<საგლეხო ბანკის საკითხისათვის>

ტფილისი, 9 იანვარი.

ჩვენ, რაც შევიძელით, ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს უმთავრესნი საფუძველნი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა, რომელიც, დღეს არა, ხვალე ეღირსება ჩვენს ქვეყანასა. ამ სათავადაზნაურო ბანკთან ერთად განზრახულია მთავრობისაგან, დაარსებულ იქნას ჩვენში საგლეხკაცო საადგილმამულო ბანკიცა. მეტი არ იქნება ვიცოდეთ, რა საფუძველზეა აგებული რუსეთში ეს საგლეხკაცო ბანკი, რადგანაც უსათუოდ ეგევე საფუძველნი ექმნება დადებული საჩვენოდაც.

საგლეხკაცო ბანკის განსაკუთრებული და ერთადერთი აზრი ის არის, რომ გლეხკაცობას, რა უწყებისაც გინდ იყოს, გაუადვილოს მამულების სყიდვით შეძენა, როცა მამულის პატრონს გასყიდვა უნდა და გლეხკაცობას სყიდვა. მთელი მოქმედება ამ ბანკისა იმაზეა მიქცეული, რომ გლეხკაცობას სესხად აძლიოს ფული მამულის სასყიდლად და ამნაირად ნასყიდი მამული გირაოდ იქონიოს ნასესხის გადახდამდე.

მამულის სასყიდლად ფული მიეცემათ სესხად ცალკე გლეხსაც, ამხანაგობასაც; ხოლო როცა ამ ამხანაგობაში სამზედ ნაკლები კაცი არ იქნება, ცალკე სოფელსა სოფლეულად, მთელს სასოფლო

საზოგადოებას, თუნდა საზოგადოებაში რამდენიმე ცალკე სოფელი იყოს, ანუ რომელისამე დიდის სოფლის ერთს ნაწილსაცა, და რამდენსამე სასოფლო საზოგადოებასაც ერთად, როცა მამულს საერთოდ ჰყიდულობენ. ამ სახით ცალკე გლეხი იქნება, თუ რამდენიმე გაამხა- ნაგდებიან, ცალკე სოფელი, დიდის სოფლის რომელიმე ნაწილი, მთელი საზოგადოება, თუ რამდენიმე საზოგადოება ერთად, საგლეხო ბანკი ყველას მიაწვდის სესხსა მამულის სასყიდლად.

როცა მამულსა ჰყიდულობს მთელი სასოფლო საზოგადოება, მაშინ ბანკში შეტანილ თხოვნასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას კანონიერი განაჩენი სოფლის საზოგადოებისა. ეს განაჩენი შედგენილი უნდა იქმნას იმ გლეხთაგან, რომელთაც ხმა აქვთ სოფლის ყრილობაში და რომელთა რიცხვი არა ნაკ- ლებ ორის მესამედისა უნდა იყოს. ეს განაჩენი შე- მოწმებულ უნდა იქმნას სათემო (волостной) მართ- ველობისაგან. როცა მამულს ჰყიდულობენ რამდენი- სამე სოფლის საზოგადოებანი ერთად, ამისთანავე გა- ნაჩენები უნდა წარუდგინონ ბანკსა და შიგ ჩაურთან, რომ ერთმანეთის თავდებობას ჰკისრულობენ ნასესხის ვადაზედ სახდელად. ამასთანავე თავდებობის ხელწერ- ილი უნდა წარუდგინონ ბანკსა მაშინაც, როცა რამ- დენიმე გლეხი საამხანაგოდ ჰყიდულობს მამულსა.

საგლეხკაცო ბანკის წესდებაში განსაზღვრულია, რაოდენის სესხის აღება შეუძლიან გლეხკაცობას. ეგ იმაზეა დამოკიდებული, მამულს საერთო სახმარად ჰყიდულობენ. თუ ცალკ-ცალკე სახმარებლად. პირველ შემთხვევაში — თითო მამაკაცთა სულზე შეიძლება მიეცეთ თორმეტ თუმან ნახევარი და მეორე შემთხვევაში თითო კომლზედ ორმოცდაათი თუმანი. თუ განსაკუთრებული პატივსადები რამ საბუთი იქნება, შესაძლოა ზემოხსენებულზედ მეტიც მიეცეთ, ხოლო ამისათვის განსაკუთრებული შუამდგომლობაც უნდა და ყოველივე ამისთანა წარმატებაზედ უსათუოდ ფინანსთა მინისტრისაგან ნებართვა უნდა

აიღოს ბანკმა. ამ პატივსადებ საბუთთა შორის დასახელებულია, მაგალითებრ, იგი, როცა სასყიდელი მამული სარწყავი სათიბია, ან საბოსტნეა, ან საკანაფე და სხვა ამგვარი.

როცა ამისთანა მამულია სასყიდელი, მაშინ განსაკუთრებული დაფასება უნდა მოხდეს მამულისა, და რამოდენადაც დაფასდება, დაფასების მანეთზედ მიეცემა არა უმეტეს ხუთმეტის შაურისა. სხვა ყოველ შემთხვევაში კი წინადვეა დანიშნული, რა ადგილას, რა მხარეში, რამდენი უნდა მიეცეს დესეტინაში. ეს წინადვე დანიშნული ფასი გამორკვეულია რუსეთში ფინანსთა მინისტრისაგან, რომელიც დავალებულია, ამ შემთხვევაში დაითანხმოს შინა საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრებიცა.

გლეხკაცობა, რომელიც ისურვებს ბანკს მიჰმართოს ფულის სასესხებლად მამულის სყიდვისათვის, თვითონ უნდა მოურიგდეს მამულის პატრონს. მორიგების პირობა უნდა ხელმოწერილ იქმნას ორისავე მხრისაგან და შემოწმებული ან ნოტარიუსისა, ან მომრიგებელ მოსამართლისა და ან სათემო მართველობისაგან. ამ პირობაში ზედმიწევნით აღრიცხული უნდა იყოს: რამდენი სული გლეხი ჰყიდულობს მამულს, რამდენს დესეტინას და თითო დესეტინას რა ფასად. თუ ვინიცობაა, ბანკიდამ გამოსატანი ფული ვერ ასწვდება მორიგებულს ფასს, მაშინ ხსენებულს პირობაში ნაჩვენები უნდა იყოს დასამატებელი ფული როგორ და რა გზით უნდა გადუხადოს მამულის პატრონს მსყიდველმა.

თუ ვინიცობაა ბანკიდამ გამოსატანი ფული აუდგა მორიგებულს ფასსა და მსყიდველმა არაფერი არ უნდა დააყაროს, მაშინ საქმე მალე თავდება, ფული ეძლევა გამსყიდველს და ნასყიდობის წერილი მსყიდველსა, რასაკვირველია, მას შემდეგ, როცა ეგ წერილი კანონიერად დამტკიცებული იქნება უფროსის ნოტარიუსისაგან; ხოლო მაშინ კი, როცა მორიგებულს ფასს ბანკიდამ გამოსატანი ფული ვერ

აუდგება, მსყიდველმა უნდა წარუდგინოს ბანკს ან დასამატებელი ფული, ან ხელწერილი გამსყიდველისა, რომ ფულს აცლის ვადითა. თუ მამულის მსყიდველმა სამის თვის განმავლობაში მას იქით, რაც სესხის გატანა დაუნიშნეს, ან დასამატი ფული, ან ხსენებული წერილი მამულის პატრონისა არ წარუდგინა ბანკს, ბანკი საქმეს აბათილებს.

ბანკისაგან ნასესხებ ფულზედ გლეხკაცი იხდის წელიწადში ყოველს ასს მანეთს ნასესხზედ რვა მანეთს და ათს შაურს თავნსა და სარგებელში, თუ ოცდაოთხის წლით და ნახევრით აღებულია სესხი, და თუ ოცდათოთხმეტის წლით და ნახევრით — მაშინ შვიდ მანეთსა და ათს შაურს.

უმთავრესნი საფუძვლნი საგლეხკაცო ბანკისა ესენია. ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვუდექით არც იმ წვრილმანების ჩამოთვლას, რომელიც აუცილებლად თანა სდევს ამისთანა რთულს საქმეს, არც თითონ ბანკის შინაგან აგებულებას, და არც მის საქმეთა წარმოების რიგსა და წესსა. ჩვენ გვსურდა, გამოგვერკვია მარტო ძირითადი აზრი ამ ბანკისა და უფლება და მოვალეობა მათი, ვის საკეთილდღეოდაც დაარსებულია. ამ მხრით ჩვენ დაგვრჩა გამოკვლევა მარტო იმისი, თუ რა შეღავათებს ჰპირდება ეს მართლა და სასარგებლო ბანკი გლეხკაცობას, რომელიც ბანკს მიჰმართავს ფულის სასესხებლად მამულის სყიდვისათვის. ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ტფილისი, 10 იანვარი.

ყველაზედ უწინარეს საცნობელი ის არის, რომ საგლეხკაცო ბანკი, როგორც ყოველივე სხვა ბანკი, ჰყიდის გირაოდ მიღებულს გლეხკაცთაგან ნასყიდს მამულს, თუ ვინიცობაა გლეხკაცმა ბანკში შესატანი ფული თავის ვადაზედ არ შეიტანა ნასესხის მოსაშორებლად. ეს ყოველ საადგილმამულო

ბანკისათვის აუცილებელი და თავი და თავი საჭიროებაა. უამისოდ საადგილმამულო ბანკს ერთი დღეც გაძლება არ შეუძლიან. რომ ეს არასასიამოვნო საჭიროება მართლა აუცილებელია, ამას ამტკიცებს თვით ეს საგლეხკაცო ბანკი, რომელსაც კაცი ვერ შესწამებს, რომ გულითა და სულით არ უნდოდეს ამ შავისა და უბედურის დღისაგან დაიხსნას მსესხებელი. მაგრამ რას იზამთ, რომ ამას ვერ იშვნევს ბუნება საადგილმამულო კრედიტისა და თვით ყოვლადშემძლებელი სახელმწიფო, რომელიც დღეს საგლეხკაცო ბანკს ბოძად უდგა, უღონოა წესად დაიდვას გაუსყიდველობა დაგირავებულ მამულისა, თუ მსესხებელი დანიშნულ ვადაზედ არ გაუსწორდა ბანკსა.

ამ მხრით გლეხკაცობას ვერაფერს შეღავათს მისცემდა საგლეხკაცო ბანკი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არავინ იფიქროს, რაკი ბანკმა მაყიდვინა მამული, თითონვე როგორღა გამიყიდისო. გაგიყიდით, თუ ბანკს მის პირობას არ შეუსრულებთ. ხოლო ზოგიერთს შეღავათს კი იძლევა ბანკი და ყველაზედ წინ შეღავათად ჩასათვლელია ის, რომ ბანკი ვადაზედ შესატან ფულს ყოველს ექვსს თვეზედ წინ კი არა სთხოვს გლეხკაცობას, როგორც სხვა ბანკები, არამედ სესხის დღიდგან ექვსის თვის შემდეგ. ეს საკმაოდ საგრძნობელი შეღავათია იმიტომ, რომ გლეხკაცს, რომელიც მამულსა ჰყიდულობს ბანკისგან ნასესხის ფულით, ისე ებღერტება ჯიბე, რომ ყოველი გროში მისთვის სანატრელია, და სად შეუძლიან იმავე დროს ნასესხის ფულის სარგებელი ექვსის თვისა წინადვე გაიღოს. ექვსის თვის შემდეგ კი სულ სხვაა, საკმაო დრო აქვს ან ნასყიდს მამულს გამორჩეს რამ, ან თავის მარჯვენასა, გროში გროშს შეაკეცოს და შესატანი გადაიხადოს.

მართალია, თუ ვადაზედ გლხკაცმა ბანკში შესატანი ფული არ შეიტანა და ნება აქვს მამული გასყიდვის დღემდე შეიტანოს, მამული გასყიდვისაგან

დაიხსნას, მაგრამ ვადის გადაცილების დღიდამ ფულის შეტანის დღემდე თვე ერთი გროში ($^1/_2$ კაპეიკი) ჯარიმა უნდა გადაიხადოს ყოველს არ შეტანილს მანეთზედ. ეს ჯარიმა ეპატიება, თუ ჯეროვანი მოწმობა მთავრობის მოხელეობისა მიიტანა ბანკში მასზედ, რომ შესატანი ფული დააგვიანა რაიმე უბედურების გამო, სახელდობრ, ან დაეწვა რამ, ან წყალმა ავნო, ან სეტყვამ, ან საქონლის ჭირმა, ან კალიამ წაუხდინა ნათესი, ან სულ მოუცდა მოსავალი, ან უეცრად მოკვდა, ან ქვეშაგებად ჩავარდა ოჯახის გამძღოლი კაცი და სხვა ამისთანა.

ამავე მიზეზთა გამო შესაძლოა გლეხკაცს ადროვონ თვით ვადაზედ შესატანი ფულიცა, ხოლო იმ პირობით კი, რომ ნარჩენი (недоимка) შეტანილ იქმნას ორის წლის განმავლობაში, ასე რომ ყოველ ექვსის თვის შესატანს ნარჩენის მეოთხედი ზედ შეეკეცოს ხოლმე. თუ ორი წელიწადი ზედაზედ შეემთხვა გლეხკაცს ხსენებული უბედურება რამ, მაშინ შესაძლოა ედროვოს გლეხს იმ ხანის შესატანი ფული სამის წლით, იმ პირობით, რომ ერთი ძეექვსედი ნარჩენისა ზედ შეეკეცოს ხოლმე ყოველ ექვსის თვის შესატანს და ნარჩენის მანეთზედ თვეში ერთი გროში ($^1/_2$ კაპ.) სარგებელი იხადოს.

გლეხკაცს, რომელსაც ეყიდება მამული ფულის არშეტანის გამო, ერთი შეღავათიც ეძლევა მამულის გამოსახსნელად გასყიდვისაგან. ამისთანა გლეხკაცმა უნდა წარუდგინოს საბუთი ბანკსა, რომ ნარჩენს ფულს მოიშორებს ან მით, რომ იჯარით გასცა მამული, ან მით, რომ ნაწილს მამულისას ჰყიდის, ან სასოფლოდ ახვნევინებს მამულს, ან სხვა რაიმე გზით, რომელსაც ბანკი საბუთად შეიწყნარებს.

გარდა ამ შეღავათებისა, გლეხკაცობას ისიც მინიჭებული აქვს ბანკისაგან, რომ არავითარს ხარჯს არა სწევს სახელმწიფოდ არც სესხის აღებაში, არც მამულის სყიდვაში, ყოველივე ქაღალდი მამულის სყიდვის თაობაზედ თავისუფალია ყოველ

გადასახადისაგან, არც ღერბის ფული, არც დასამტკიცებელი, არც სამწერლო გასაღები (Канцелярские пошлины.) არ ერთმევა გლეხკაცს ამ შემთხვევაში. ხოლო ნასყიდობის წერილზედ დანიშნულია ოთხი აბაზი თაბახზედ, თუ ფასი ნასყიდისა ხუთს თუმანზე მეტია, და თუ ნაკლები — სამი შაური თაბახზედ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ უმთავრესნი საფუძვლნი და ყველა შეღავათი, რომელიც მოხსენებულია რუსეთის საგლეხკაცო ბანკის წესდებაში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეიცვლება ეს წესდება ჩვენის ქვეყნის მიხედვითა. ეს კი აშკარაა, რომ ეგ წესდება, შეუცვლელად ჩვენში გადმოტანილი, არ შეფარდებული, არ შეწონილი ჩვენის ქვეყნის ვითარებასთან, იმ სიკეთეს ვერ მოიტანს, რის შემძლებელიც არის და იმოდენად ფეხს ვერ გაიდგამს, რამოდენადაც სასურველია ჩვენებურ გლეხკაცობისათვის. რუსეთი სულ სხვა ქვეყანაა, იქაურს გლეხკაცს სულ სხვა გზა აქვს ცხოვრებისა და აქაურს სხვა. თითონ მეურნეობაც აქაური და იქაური სულ სხვაა და ეს სხვაობა უნდა იქმნას იმ ხიდად, რომელიც აქაურმა საგლეხკაცო ბანკმა უნდა გაიდვას ჩვენში სავლელად და სამოქმედოდ.

ტფილისი, 11 იანვარი

ერთი დიდად საგრძნობელი წუნი საგლეხკაცო ბანკისა ის არის, რომ გლეხკაცისაგან სესხის აღება ამ ბანკიდამ მეტად გაჭიანურებულია. ამას თითონ რუსეთშიაც უჩივიან. ჯერ მინამ გლეხკაცი ბანკის კარამდე მივა, თავისი დაემართება: მეტად ბევრი მიწერ-მოწერაა, მეტად ბევრს ქაღალდებს ჰთხოულობს ბანკი გლეხკაცისაგან, მერე იმისთანა ქაღალდებსა და განაჩენებს, ურომელთოდაც ძალიან ადვილად შესაძლოა სესხის აღების საქმეს თავი და ბოლო მოებას. ჩვენ აქ დაწვრილებით ჩამოთვლას არ

შევუდგებით და მაგალითად თუნდ ერთს გარემოებას მოვიყვანთ. თუ გლეხკაცები ან სოფლეულად, ან საამხანაგოდ მამულსა ჰყიდულობენ და სასყიდლად ფულსა სესხულობენ ბანკიდამ, ხელწერილი უნდა დაუდონ ბანკსა, რომ ერთმანეთის თავდებობას ჰკისრულობენ და ეს ხელწერილი უნდა შეამოწმებინონ ჯეროვანად. რა საჭიროა, რომ ყოველს ცალკე შემთხვევაში ამაზედ არ მოაცდინონ გლეხ-კაცობა, დრო და ხარჯი არ გააწირვინონ? განა პირდაპირ წესდებაში ვერ აინიშნება, რომ თუ გლეხკაცნი ან სოფლეულად, ან საამხანაგოდ მამულსა ჰყიდულობენ და ამისათვის ბანკიდამ ფულს ისესხებენ, მოვალენი არიან იკისრონ ერთმანეთის თავდებობაცა. განა ამას იმნაირივე ძალა არ ექმნება, რაც ცალკე შემთხვევაში ჩამორთმეულს ხელწერილსა!

ამისთანა და სხვაც მისებრი ფორმალობა ტყუილუბრალოდ აჯანჯლებს საქმეს, მეტს ხარჯსა, დროსა და აქეთ-იქით სიარულს ითხოვს, და ყოველ ამით უძნელებს გლეხკაცს ბანკის კარამდე მისვლას. გლეხკაცი ისე არაფერს უფრთხის, როგორც საამწერლოებში გაბმას, ქაღალდების წერას და ამისათვის ტანტალსა. სასურველია, რომ ჩვენში საგლეხკაცო ბანკის წესები ამ მხრით გადაისინჯოს და რაც მეტი ფორმალობაა, შეძლებისამებრ გამოკლებულ იქმნას. ამ ფორმალობის განმარტივება, ისე კი, რომ საქმეს არა ეზიანოს რა, პირველი საჭიროებაა საგლეხკაცო ბანკისათვის, თუ უნდა პირველ ხანშივე გლეხკაცობის გული მოიგოს. უამისოდ გლეხკაცობა შორს გაუდგება ბანკსა და ძნელად მიეკარება, ნამეტნავად ჩვენში, საცა გლეხკაცი ძალიან ჰშიშობს იმისთანა საქმეში გაებას, რომელსაც ბევრი მიწერ-მოწერა და უკან დევნა მოსდევს. ეს ადვილად მისახვედრიც არის: გლეხკაცი საქმის კაცია, დრო და მოცდენა ძვირად უღირს. იმას

აღარ ვიტყვით, რომ ქაღალდების წერასა და საქმის უკან დევნას თავისი აუცილებელი ხარჯი აქვს.

საადგილმამულო ბანკს საზოგადოდ ერთი ძირითადი საგანი აქვს, რომლის მოწყობასა და ვითარებაზედ დამყარებულია ჯერ თვით ბანკის სიმაგრე და სიმტკიცე და მერე მსესხებელის ინტერესი. ეგ საგანი გირაოდ მისაღებ მამულის დაფასებაა. დაფასება ორგვარია: ერთი ნორმალური და მეორე სპეციალური. ნორმალური იმაში მდგომარეობს, რომ ბანკს წინადვე დანიშნული აქვს, რა ფასად უნდა მიიღოს დესეტინა ამა და ამ ადგილას. ავიღოთ, მაგალითად, ქართლი; თუ ქართლი მამულის ღირებულების კვალობაზედ ცოტად თუ ბევრად ერთნაირობას წარმოადგენს, ბანკი წინადვე ჰნიშნავს, რომ ქართლში დესეტინას ამა და ამ ფასადა სთვლის. ეს ფასი ნორმად არის დადებული. რაკი სესხის მსურველი წარუდგენს ბანკს საბუთებს იმისას, თუ ქართლში ამდენი და ამდენი სახმარი და გამოსაყენი დესეტინა მაქვსო, ბანკი აღარც მამულის გასინჯვას შეუდგება, აღარც იმის ავკარგიანობის აწონ-დაწონვას, აიღებს და წინადვე დანიშნულ ფასის კვალობაზედ გაიანგარიშებს სესხს და მისცემს. ამას ესეც უნდა დავუმატოთ, რომ ნორმალური ფასი მამულისა ყოველთვის ნამდვილზედ ნაკლებია და საგრძნობლადაც ნაკლები, ასე, რომ ორთაშუა რიცხვით მაღალ-დაბალი მამული თუ დესეტინა, ვსთქვათ, ორ თუმნად ჰფასობს, ნორმალური ფასი ამაზე ქვევითადაც ჩამოდის და თითქმის დაბალის მამულის ფასს არ აღემატება.

თქმა არ უნდა, რომ ეს ასეც უნდა იყოს. რაკი მამულს უნახავად და გაუსინჯავად გირაოდ იღებს ბანკი, უსათუოდ იმ ფასად უნდა იანგარიშოს, რა ფასადაც იმ ადგილებში უკანასკნელი დაბალი მამული გადის, ესე იგი, იმ ფასად, რომ დაიძახო ვყიდიო, მსყიდველი მაშინვე იპოვო. სყიდველის პოვნა უეჭველია მხოლოდ მაშინ, როცა მამული ძალიან

იეფია. უამისოდ მამულის უნახავად ფასის დადებაში შეცდომა აუცდენელია და შეცდომას ზიანი მოსდევს ბანკისათვის. ამიტომაც ნორმალური ფასი მამულისა შეადგენს უმცირესს ფასს მამულის ღირებულობისას, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, მინიმუმია მამულის ღირებულობისა.

სპეციალური დაფასება კი სულ სხვა არის. ამას აზრადა აქვს გამოარკვიოს ნამდვილი ფასი მამულისა და რაც შეიძლება ახლო მიუვიდეს მის ჭეშმარიტს ღირებულებას. ამ აზრის შესრულება შეუძლებელია, თუ განგებ ამისათვის დანიშნულმა კაცმა, თუ კომისიამ, თითონ მამული არ ინახულა, დაწვრილებით არ გასინჯა, მისი ავკარგიანობა არ გამოიკვლია, შემოსავალ-გასავალი არ აღრიცხა და ყოველ ამით არ გამოარკვია ფასი.

რუსეთის საგლეხკაცო ბანკის წესდებაში მიღებულია უფრო ნორმალურის დაფასების წესი. იქა სწერია, რომ ფინანსთა მინისტრი, შინა საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრების დაკითხვითა და თანხმობით, ყოველს ცალკე მხარისა თუ ადგილისათვის ჰნიშნავს, რაოდენი სესხი უნდა მიეცეს იმ მამულზედ, რომელსაც გლეხკაცი ბანკის შემწეობით ყიდულობსო ამ მხარესა თუ ადგილებში. რუსეთში მარტო განსაკუთრებულ შემთხვევაში, რომელიც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ნება დართულია სპეციალური დაფასება სასყიდელის მამულისა.

ჩვენში ყოვლად მოუხერხებელია ნორმალური დაფასება. აქ არამც თუ გუბერნიას, მაზრას, სოფელს, არამედ სოფ-ლის ნაწილსაც, ცალკე ტანის მიწებსაც, ერთ ფარგალში ვერ მოაქცევს კაცი ღირებულობის კვალობაზედ. ერთსა და იმავე სოფელში, ერთსა და იმავე მამულში, ასეთი სხვადასხვაობაა მიწების ღირებულობისა, რომ საცა ერთი ტანი მიწა ერთ თუმნად ჰღირს, იქავ მეორე ტანი ოც და ორმოც თუმნად ძლივს გასამეტია. რუსეთი ერთი

უშველებელი ტრიალი მინდორია. იქ ამის გამო დიდი მეტნაკლებობა არ არის მიწების სიკეთის სხვადასხვაობაში. იქ ადვილად შემოსაფარგვლელია კარგა დიდ მანძილზედ იმისთანა ადგილი, საცა ერთნაირობა მიწებისა ბევრს მეტნაკლებობას არ წარმოადგენს და, მაშასადამე, იქ არც ერთნაირის ფასის დადება არის ძნელი. აქ ჩვენში კი სულ სხვაა. აქ მთა-ბარიანი ადგილმდებარეობა ჩვენის ქვეყნისა სრულიად სცვლის ამ გარემოებასა და ერთისა და იმავე სოფლის წრეშიაც კი შეუძლებლად ჰხდის ერთისა და იმავე ფასის დადგენასა. ამიტომაც ჩვენში საგლეხკაცო ბანკი ვერ მოიხერხებს ნორმალურს დაფასებას და უნდა მარტო სპეციალურის დაფასებით იხელმძღვანელოს, ესე იგი, ყოველი ცალკე მამული ცალკე მოსჩხრიკოს, გასინჯოს და ფასი ისე დასდოს. ამ მხრითაც საგლეხკაცო ბანკი ჩვენში ჰსაჭიროებს ჩვენის ქვეყნის შესაფერი წესები შემოიღოს.

რუსეთის წესდებაში ხსენება არ არის ვენახებისა. ჩვენ-ში ვენახები გლეხკაცისათვის დიდი რამ არის, თუ ყოველგან არა, ბევრგან მაინცა. თუ გლეხკაცს ბანკი შენწეობას არ მისცემს ვენახი იყიდოს, ეს ძალიან შეუშლის ხელსა და გლეხკაცს უკან დააყენებს. ჩვენ ვშიშობთ, რომ ამ მხრივ გლეხკაცი უნუგეშოდ დარჩება, რადგანაც ამისი მაგალითი უკვე გვაქვს. ნაყმევებს ნება აქვთ საკომლო (надел) შეისყიდონ ნაბატონართაგან ხაზინის შემწეობით, ხოლო ვენახების შესასყიდლად კი ხაზინა არაფერს შემ-წეობას არ აძლევს. ეს კარგა დიდი დანაკლისია ნაყ-მევებისათვის, და თუ ამის მიხედვით საგლეხკაცო ბანკმაც გამორიცხა ვენახები ბანკის შემწეობით სასყიდელ მამულ-თაგან, ძლიერ დააკლდება გლეხსა. რუსეთის გლეხკაცობა ხვნითა და თესვით ირჩენს თავსა და ადვილად ასახსნელია, რომ იქ მთავრობა სცდილობს, მარტო სახნავ-სათესი შეაძენინოს გლეხკაცსა. ჩვენში ზოგი იმისთანა მხარეა, საცა ხვნა-თესვას იმდენად არ მისდევენ, რამოდენადაც

ვენახისა და ხილის ბაღსა. რა ჰქმნას ამ ადგილების გლეხმა, თუ საგლეხკაცო ბანკი არ მიეშველა ვენახებისა და ხილის ბაღების სყიდვაშიაც. სასურველია, რომ ეს ნაკლებულობა რუსეთის საგლეხკაცო ბანკისა, რუსეთში არაფრად შესამჩ-ნევი, ჩვენში აუცილებელ იქმნას.

[1889 წ.]

<მილიტარობა ევროპაში>

ტფილისი, 16 იანვარი.

დღევანდელი ევროპა ჰგავს იმ კაცსა, რომელიც გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესა. მართლადა მთელი ევროპა რომ მოიაროთ, ერთს სახელმწიფოს ვერა ჰნახავთ, რომ გული გულის ადგილასა ჰქონდეს. ყველას მუშტი მოღერებული უჭირავს მტრის თვალის დასაყენებლად და ამავე დროს გულში რომ ჩაჰხედოთ, ბევრს იმისთანას ნახავთ, რომ მოყვარეს თვალი უდგება. გაუჭირდა ევროპის ხალხსა ცხოვრება. უკეთესი ნაწილი ერისა და მოზდილი ლუკმა ერის ქონებისა იღუპება დღეყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალს ქონებას ჰყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფიარაღებულს მშვიდობიანობას ეძახიან.

ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა ერთი დიდი უბედურებაა ევროპისა და ეს უბედურება მოუვლინა ამ ბრწყინვალედ განათლებულს ქვეყანას თ. ბისმარკმა და მისმა მეტისმეტად გაკადნიერებულმა და მოურიდებელმა პოლიტიკამ. საითაც კი მიიხედავთ, რაზმი რაზმზედ ეწყობა, ჯარებს, რაც ძალი და ღონე აქვთ, უმატებენ, თოფსა და ზარბაზანს და ტყვიაწამალს ამზადებენ და მაინც გვეფიცებიან, რომ მშვიდობიანობის მეტი გულში არა გვაქვს რაო. ვერ

წარმოიდგენთ, რა აუარებელი ფული ამოდის ევროპის მკვიდრთა ჯიბისაგან და რა აუარებელი იხარჯება ამ შეთოფიარაღებული მშვიდობიანობისათვის. ვერაფერი მშვიდობიანობაა, თუკი კაცი იძულებულია ხელი ხმალზედ ევლოს დღემუდამ და ისე ჰპატრონობდეს თავის თავსა. ტყუილად კი არა სთქვა მონტესკიომ, რომ „სჯობია უბედურის ომის განსაცდელს მიეცეს კაცი, ვიდრე ფული გაიღოს მშვიდობიანობის დასაცავადო“.

ამას გამგებელნი ევროპისა ისე ნათლად ვერა ჰხედვენ, როგორც თვითონ მკვიდრნი თავის თავზე ჰგრძნობენ. ევროპის მკვიდრთა მუხლი ეკეცებათ დღევანდელის დღის სიმძიმის ქვეშ, სული შეეხუთათ, არაქათი აღარა აქვთ. აი ის შიგნითი მხარე დღევანდელის ევროპისა, რომელიც მოყვარეს თვალს უყენებს.

შეიხედეთ ერთი გერმანიაში, რა ყოფა აქვთ პარლამენტში ერთის მხრიდამ ბისმარკსა და მის დამქაშებსა და მეორის მხრით გერმანიის ერის გულშემატკივართა. ტყუილად ეძებენ თ. ბისმარკი და მისი ავანჩავანები ამის მიზეზს იმაში, ვითომც პირადი შური და მტრობა აგეშებდეს მის მოპირისპირეებს, როცა ეგრე მიესევიან ხოლმე თ. ბისმარკსა. აი, აიღეთ თუნდა საფრანგეთი. განა მოსალოდნელია, რომ ამისთანა ქვეყანაში ერთი ვიღაცა პამპულა გენერალი გამოტყვრეს და იძახოდეს: მე ვარ მხსნელი საფრანგეთისა ჭირთაგან და ვაივაგლახისაგანაო. მოდით და მე განგისვენებთ თქვენო, და ერიც იჯერებდეს და სახსნელად კალთაზედ ხელსა სჭიდებდეს! განა დასაჯერებელია ყოველივე ეს, თუ ერი იმ ყოფაში არა ჰგრძნობდეს თავსა, როცა კაცს, სხვა გზა რომ არა აქვს, ხავსს ეჭიდება დარჩობისაგან თავის დასახწევად. აბა მიჰხედეთ, რა საცოდავად ჰღაღადებს იტალიის ერი უქონლობისა და უილაჯობისაგან, — გავწყალდით, ლუკმა პური აღარ შეგვრჩაო. ნუთუ იმისათვის მოვიპოვეთ

თავისუფლება და ერთობა, რომ ამ ყოფაში ჩავცვივნილიყავითო! მოგვაშორეთ ეგ რაღაც ჭირი გერმანიაა, რომელმაც ეს უბედურება აგვკიდა ზურგზედ და სული ვეღარ მოგვიბრუნებიაო. არც კი ავსტრიაა უკეთესს დღეში. აქაც კი ერი ჰდრტვინავს და ჰკვნესის დღევანდელის დღის გაჭირებისაგან და გულამღვრეულად გასცქერის გერმანიას, რომელმაც ეს დღე მოუვლინა მთელს ევროპას ერთად და ავსტრიას საკუთრივ.

ეს დასისა და დასის ერთმანეთთან ბრძოლა და ეს ამათი პარლამენტებსა და სხვა სარბიელზედ ერთმანეთის წეწვა და გლეჯა სულ ერთის სათავიდამ მოდის. ყველაფერი ეს რომ გაფხიკოთ, გასცხრილოთ, ძირს დარჩება ორი ერთმანეთის მოპირისპირე მოძღვრება, ორივ ერთნაირად უჯათი და ერთნაირად სამართლიანი კი არა. გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო. სწორედ მოგახსენოთ, მთელი პოლიტიკური ისტორია ევროპისა ამ ორთა მოძღვრებათა ერთმანეთთან ბრძოლაა და სხვა არაფერი. ყოველივე სხვა მოძღვრება თითქმის აქ მიდის და აქედამ მოდის. დროთა მდინერეობაში ხან ერთი მოძღვრებაა ქვეშ და ხან მეორე, რადგანაც დღემუდამ ჭიდილში არიან, ხოლო დღეს კი ევროპის ერი თ. ბისმარკის წყალობით იმ მოძღვრების ქვეშ არის, რომელიც ჰქადაგებს, ჯერ პოლიტიკა და მერე ერიო. აქ გაწირული ერია, და რაღა საკვირველია, რომ იგი ზოგან ჰტოკავს, ზოგან შფოთავს, და ხანაც იმისთანა პამპულას მოეჭიდება ხოლმე კალთაზედ, როგორც ბულანჟეა და სხვა ამისთანა ცრუპენტელა და ჩიტირეკია გენერალი.

[1889 წ.]

ა მ ბ ა ვ ი
ყბადასაღები და ფყალფასაღები

I

ხომ იცით, რომ ქვეყანაზედ არსებობს Тифлисский Листок-ი. ისიც მოგეხსენებათ, რომ დედაბოძი ამ წრიპინა გაზეთისა ვიღაც ტირაცუა ვანუაა. ისიც, რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, რომ ამ ტირაცუა ვანუამ 31 დეკემბერის ნომერში რაღაც დაბღავჯნა, ვითარცა ვითომდა „журналист–მა обличитель-მა“. ამ ნაჯღაბნით ნიშანში ამოიღო ვიღაც доморощенные лженародники quasi-патриоты из туземцев და თავის ფაფუკის თათებითა ეს შეთითხნა ამ лженародник-ებსა და quasi-патриот-ებზედ:

,,Спросите у окружающих – чем они выдались? Приютившись в Тифлисе, господа эти сразу раскусили н а с т р о е н и е т о л п ы, начали проповедывать, что-де следует отделить себя китайскою стеною от всего окружающего, что не следует п р и з н а в а т ь в с е р у с с к о е... и под этой мишурною и глупою п р о п а г а н д о ю они ловко восседают около общественного пирога...“ და სხვანი და სხვანი.

მოდით და დაიფიცეთ, რომ აქ „დანოსი“ არ არის! ჯერ ერთი, რომ რაღაც толпа-სა სწამებს, ვითომც იგი იმისთანა გუნებაზედ იყოს, რომ გარშემო კედელი

ჰსურს შემოივლოს და ა რ ა რ ა რ უ ს უ ლ ი ა რ შ ე ი წ ყ ნ ა რ ო ს ო. ეს ერთი „დანოსი“ იმ საბრალო ხალხის შესახებ, რომელსაც ვანუა толпа-ს ეძახის. მეორე ისა, რომ ვიღაც лженародник-ებს და quasi-патриот-ებს აბეზღებს, ვითომ ალღო აართ-ვეს ამ толпы-ს გუნებასა და იმის ჰანგზედ დაიწყეს ქადაგება და ამ ქადაგებით ხელთ იგდეს ქვეყნის ნა-ზუქიო... და სხვანი და სხვანი. ეს მეორე „დანოსია“. ამ ჯერობაზე კი, ვიღაცა лженародник-ებსა და quasi-патриот-ებზედ из туземцев, ეს სიტყვები მოჰყავს ამ ბაჯაჯღანა ტირაცუას და ამბობს უსირცხვილოდ: მარტო ტვინცარიელი და გონებაჩლუნგი კაცი დაინახავს ამ სიტყვებში „დანოსსაო“. მართლა და ტირაცუობით გამოხრული გოგრა ვანუასი უნდა იყოს, რომ აქ „დანოსის“ გარდა სხვა რამ დაინახოს კაცმა. აბა ამისთანა კაცზეა ნათქვამი:

ვერ დაინახავს უტვინო
თავისას, ვერცა სხვისასაო.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ უსათუოდ იმ лженародник-ებსა და quasi-патриот-ებს из туземцев ტირაცუა ვანუა და მის ტოლ-ამხანაგი ყეინი ზოილი იმ ნაზუქამდე არ მიუშვიათო, თორემ ნაზუქი ყელში არც იმათ დაადგებოდათ, რადგანაც, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, ამათაც კარგად უჭრით კბილი და პირშიაც ნერწყვი ბლომად მოსდით სიმსუნაგისაგანაო. აქ საქმე იმაშია, რომ კატასავით ძეხვს ვერ შესწვდენიან და მეტი რა დარჩენიათ, თუ არ იძახონ პარასკევიაო.

მე არა მჯერა ეს ბოროტის ენების ნათქვამი. მე უტყუარ საბუთთანა მაქვს საქმე და მარტო ამ საბუთს ვუგდებ ყურსა. დააკვირდით რუსულად მოყვანილს სიტყვებს ვანუასას, ნამეტნავად ქვეშ ხაზგასმულებს, და მიბძანეთ: ამგვარს უწმაწურს

პირგახეულობას რა უნდა დაერქვას? მართლმოყვარე ზოილისა და ცრუპენტელა ვანუას გარდა, არც ერთს ჭკვათამყოფელს კაცს არ მოუვა ფიქრად, რომ აქ „დანოსი“ არ არისო. ნუთუ ამაზედ ვისმე ეჭვი შეუვა, თუ არ თითონვე მაბეზღარსა და მატყუარას! სწორედ საახალწლო, „საპრაზნიკო დანოსია“, თითქო მაბეზღარს საგოზინაყედ გამოცინცვლა რისამე სდომებიაო.

„ივერიამ” ამ ყოვლად საზიზღარს პირგახეულობას ბეზღობა დაარქვა და უსაყვედურა Новое Обозрение-ს: ე უბეში რომ გველი ჩაგვჯდომია, რატომ ხმას არ იღებო. შეხტა და შემოტრიალდა ამაზედ დევგმირი ზოილი. არ ვიცით, კუდი რაზედ დაეწვა, ხომ არა ენიშნა რა? თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა მაბეზღარსა, მოჰხსნა თავის თავლაფიანს ლექსიკონს პირი და მოესია საცოდავს „ივერიას“. რეები არ მოხოხნა თავისებურად, რეები არ მოროშა, რეები არ იტყუა, რეები არ იცრუა! ეს уголовные кодексы всех народов-ო, რომელიც, რა თქმა უნდა, ზედმიწევნით გაუზეპირებია, ეს основное правило толкования законов-ო, ეს ისაო, ეს ესაო და ბოლოს იმითი გაათავა, რომ თვითონაც „დანოსი” შეჰხანხლა. „Не шкуробоязнью ли вызван этот отчаянный вопль, вырвавшийся у „Иверии“, -- თავმოწონებით იკითხება ზოილი Новое Обозрение-ს სანათლისღებო ნომერში. აქედამ ის გამოდის, ვითომც „ივერიელნი“ იყვნენ ისინი, ვინც დაუსახელებლად დაბეზღებულნი არიან ვანუასაგან, თორემ ბეზღობაზედ ხმა რად უნდა ამოეღოთო, ჰფიქრობს ზოილი. ამ სახით, რაც ტირაცუამ დააკლო, დევგმირმა შეავსო.

რასაკვირველია, დევგმირი ზოილი ვერ მიხვდება იმას, რომ შესაძლოა ნამუსიანმა კაცმა უნამუსო საქმეს სიტყვა შეუბრუნოს, როგორც კაცთა ურთიერთობაში არშესაწყნარებელს საქციელსა,

იმისდა მიუხედავად — მე ვიჭყლიტები ქვეშ, თუ შენ. ესეთი თვალთახედვის ისარი არ უღირსებია ღმერთს ზოგიერთისათვის და რათ უნდა ვემდუროდეთ. მაგრამ რას იტყვის თითონ ზოილი, თუ მისივე ლოღიკა ვიხმარეთ, და ახლა ჩვენა ვკითხეთ: Не шкуробоязнью-ли вызвана эта отчаянная защита доноса, вырвавшаяся у Зоила? აქ ან ორნივ მართლები ვიქნებით, ან ორნივ მტყუანები და, მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში ქვითნი.

რა ლამაზად გვიკიჟინა ზოილმა, რომ „ივერიის" დროშაზედ ესა სწერიაო:

,,Мы рождены для вдохновенья,
Для звуков сладких и молитв".

თუ ეგრეა, ეგრე იყოს. აღსრულდეს ნება ყეინის ზოილისა, მის ტოლ-ამხანაგის ტირაცუა ვანუასი და მათის მომავლინებელისა „ტუზემცების" საბეზღრად. ხოლო ეს კი უნდა ვიკითხოთ: ნუთუ უფრო საქებსადიდებელია კაცს დროშაზე ეს ეწეროს:

Мы рождены лишь для доносов,
Для сплетень, лжи и клеветы.

II

მას აქეთ, რაც ვანუამ გამოაცხო „საპრაზნიკოდ" თავისი უკბილო „დანოსი" ვიღაც лженародник-ებზედ из туземцев და ქველის მომქმედმა ზოილმა თავისებური ტააშ, ტააშ! მისძახა გასამხნევებლად, ეს ორი უსახელო სახელი — ზოილი და ვანუა — ამოცანად გაუხდა ჩვენს საზოგადოებას. საითაც კი მიიხედავთ, ყველანი ამას ჰკითხულობენ: ვანუაა ზოილი, თუ ზოილია ვანუა? ღვთის წინაშე, არც

ერთია სახარბიელო და არც მეორე, მაგრამ რაკი ვანუამ მაბეზღარის ხელობა დაიწყო და ზოილმა ამისათვის – რუსები რომ იტყვიან – „ვაზდუშნოი პაცელუი“ გაუგზავნა ბედნიერს ტირაცუას, ჩვენც – ცოტა არ იყოს – ღიტინი დაგვიწყო ცნობისმოყვარეობამ.

მართლა და ვინ არის ან ზოილი, ან ვანუა? ორნივ ერთსულ და ერთხორცნი არიან, თუ სული, ანუ, უკეთ ვსქვათ, სუნი ერთი აქვსთ და ხორცი კი თავთავისი? ეს სწორედ გამოცნობის ღირსი საგანია. იმიტომ კი არა, ვითომ ან ბედნიერი ზოილი და ან უბედური ვანუა რადმე მიგვაჩნდეს. არც ერთი და არც მეორე, არც ცალ-ცალკე, არც ერთმანეთზედ შეკეცილნი ჩვენს თვალში ჩალის ოდენასაც არ იწონს, ხოლო ხელობა მათი „ჩოტკში“ ჩასაგდები.

მართალია, მას აქედ, რაც ცხონებულმა კატკოვმა განისვენა „წიაღსა შინა აბრაამისასა”, ლილახანა წაუხდა იმგვარს ბეზღობას, რომელიც დღეს ვანუას დაუჩემებია და ყოვლად მოწყალე ზოილს სამწე-მქებაროდ გაუხდია, მაგრამა განა ან ზოილი, ან ვანუა პირველი და უკანსკნელი მაგალითები არიან, რომ რუსულის ლიტერატურის ნასუფრალით იკვებებიან!... ღმერთს რომ თავისი არ უღირსებია, მაშ რა ჰქმნან საცოდავებმა, რომ სხვისის სუფრის ნაბღერტი მაინც არა ჰკენკონ. ეგენიც ადამიანები არ-იან, ჭამა-სმა უნდათ.

დრო იყო, როცა მაგ ბეზღობით კაცს სვე გაჰქონდა ცხოვრებისა. ზოილს, როგორც დიდ ნაჭირნახულევს კაცს, უნდა ახსოვდეს, რომ ერთს დროს ჩვენშიაც ერთმა „деятель-მა местной печати“-სამ ხელი მიჰყო მაგ ხელობასა და ორიოდე „დანოსი“ გამოჰხანხლა გორის ყმაწვილკაცობაზედ, მაგრამ – აფსუს! – ფონს ვერ გავიდა და ვერსად მოითბო გასათბობლად გაშვერილი ხელები. თუ ეს მოხდა მაშინ, ეხლა ხომ სულ შეუძლებელია მაგ ხელობით კაცმა თავი გაიტანოს სათბუნალზედ.

წაუხდა ბეზღობას მაზანდა, ბაზარში ჩალის ფასადაც აღარ გადის, მუშტარი აღარსად უჩანს.

რუსეთში ამ ბეზღობამ თავისი დრო და ჟამი მოიჭამა და ჩვენში კი თითქო დღესა ჰლამის ფეხის ადგმასაო. ჭირი ეს არის, რომ რაც რუსეთის ცხოვრების დუღილი ან თავზედ ჭუჭყს მოიგდებს, ან ძირში ლექს გაიკეთებს ხოლმე, და მერე გადაწმენდის დროს ამ უწმინდურებას დაბახანაში ისტუმრებს, იმას და მარტო იმას ჩვენებური ვანუები და ზოილები მისცვივიან ხოლმე, როგორც ახალს ხილსა, თულუხებით გადმოაქვთ ჩვენში, და ჰრწყვენ რა ამით სალიტერატურო ასპარეზსა, ჰქადულობენ კიდეც, — მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს ყელჭრელი ხოხობი და ახალი მოძღვრება მოგვაქვსო. სხვანი კი, ვინც ამ თულუხჩების უწმინდურებას დღის სავალზედ გაურბიან, ერიდებიან და ჰთაკილობენ, სულ ძველ-ძულებსა ჰღეჭვენო. არა ბატონებო, обличение-ს სახელით ვერ გააპატარძლებთ კბილებჩაცვივნულს ბებერს ბეზღობას. ბეზღობა ძველის-ძველი ხელობაა და ტყუილადა ჰრთავთ მაგ ბებრუცანას обличение-ს სამკაულით, ეგება ძველი ახლად გავიყვანოთო. წინადვე ვართ გაფრთხილებულნი, რადგანაც ნათქვამია:

ბებერსა, სასძლოდ მორთულსა,
უფრთხილდი, მოერიდეო.

ეს კიდევ არაფერი. ამ საზიზღარს ხელობას თავის კუთვნილს სახელს როდი ეძახდნენ ვანუები და ზოილები არც იქ რუსთში და არც ჩვენში, იმ მიზეზით, რომ სახელმა სახრავი არ გაამხილოს და მით ხელობას გზა არ შეეკრას. სხვა სახელი ისესხეს და ამ სახელის ქვეშ ამოაფარეს ის საზიზღარი ხელობა, რომელსაც ბეზღობა ჰქვიან. ეს ნასესხნათხოვარი, თუ მოპარული სახელი „обличение“ გახლავს და ისე ჰგავს ბეზღობასა, როგორც

ჭეშმარიტი ლიტერატორი ტირაცუა ვანუასა, ან მართალი დევგმირი ტყუილს ზოილსა. ეს ვიღაც კურდღლის ბაჭია ვანუაა, ხომ პირდაპირ იძახის Листок–ის მეოთხე ნომერში, რომ მისი „საპრაზნიკო“ საქციელი ბეზღობა კი არა, „обличение“ არისო. ამასაც არა ჰკმარობს და ჰწერიპინებს, რომ მე журналист-ი обличитель-ი ვარო. აი მეხი კი დაეცა იმ журналист–обличитель-ს, რომ სატირაცუო სავანუოდღა გამხდარა!... განა თითონ სახელოვანი დევ-გმირი ზოილი ამაზედ კვერს არ უცემს ვანუასა? აბა ზოილის ნათითხნი გასინჯეთ Новое Обозрение-ს სანათლისღებო ნომერში, თუ იმასვე არ იძახდეს, რომ „საპრაზნიკო დანოსი“ ტირაცუა ვანუასი „დანოსი“ კი არა, обличение არისო. აი ამასა ჰქვიან მდაბიურის ენით „აბრუნდი“. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ეს უნარი ერთსაცა და მეორესაც და ჩვენ კი ამას ვიტყვით: ტყუილად მომცდარა ვანუა, რომ მაბეზღარის ქერქს იძრობს და обличитель-ის ზეწარში ეხვევა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

რა გინდ რომ ქერქი შეიძროს,
გველი აგრეთვე გველია.

III

მე როგორღაც შორს გადავუხვიე გზასა და იმ ჰამლეტისებურ საკითხს პასუხი ვერ მივეცი: ვანუაა ზოილი, თუ ზოილია ვანუა? თქვენ მეტყვით ორნივ ღმერთმა შეინახოსო. შეინახოს, მე რა დამეხარჯება, მაგრამ მაინც საჭიროა ვიცოდეთ — ვინ ვინ არის? ზოგს ამის ასახსნელად ყოვლთ უწინარეს ერთი უტყუარი საბუთი აქვს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვანუა ზოილსა აქებს ხოლმე და ზოილი ვანუასა. ამის გამო ბევრსა ჰგონია, რომ ვანუა და ზოილი ერთი და

იგივე სულიერიაო, თორემ სხვა ვინ ოხერი იქნება ან ზოილი აქოს ან ვანუაო, და რადგანაც ეს ორი სახელოვანი ორ-ტყუპა სულიერი ერთი და იგივეაო, გამოდის, რომ ზოილის ქება ვანუას ქებაა და ვანუას ქება ზოილისაო. ჩვენ ამას ვერ ვიტყვით. განა ერთმანეთის ქება მაშინ კი შეუძლებელია, როცა ვიგულვებთ, რომ ვანუა პირწავარდნილი ზოილია და ზოილი პირწავარდნილი ვანუა, ესე იგი ერთმანეთის მსგავსნი არიან ფერითა და ზნითა. მე რომ ჩემი მსგავსი ვაქო და ჩემმა მსგავსმა მე, განა იგივე ჩემის თავის ქება არ იქნება: მაშასადამე, ხსენებული საბუთი თუმცა უტყუარია, მაგრამ ამ მხრით გამოსადეგი არ არის.

მე სულ სხვა მგონია. მე მგონია, რომ ზოილი და ვანუა უწინ ერთი სულიერი ყოფილა, ამ სულიერს რაღაცაზედ გასწყრომია იუპიტერი, დაუცია მეხი და ეს ერთი სულიერი ორად გაუპია, ერთი იქით წასულა და მეორე აქედ. ის დღეა და ეს დღე, ერთი ნახევარი მეორეს ძებნაში ყოფილა, და რაკი დღეს ერთმანეთს შეჰხვედრიან, უცვნიათ ერთმანეთი და ერთმანეთს ჩაჰგრეხიან და ჩასწნვიან. მე არ ვიცი ხორციელად ჰგვანან ესენი ერთმანეთსა თუ არა, ხოლო ლიტერატურულ თვალტანადობით კი სწორედ ტყუპნი არიან, ერთსა და იმავე ყალიბზედ ჩამოსხმულნი. ერთი ვერ ეტყვის მეორეს — მე გჯობო, ორნივ ისე კარგნი არიან, და რაღა საკვირველია, რომ ერთმანეთს ესარჩლებიან.

თუნდა დავატოლოთ ერთმანეთს ეს ვაჟბატონები. დატოლებაში ორნივ ერთის ჯურის ლიტერატორები არიან, ორნივ обличитель-ები, ერთის ტანისანი, ერთის ზნისანი, ერთის სუნისანი, და ერთნაირად გულადნი და გოლიათნი. რომ ეს გოლიათნი ლიტერატურისა მართლა გოლიათნი არიან, ამას მათის საკუთარის მოწმობითვე დაგიმტკიცებთ. თავის თავზედ მოწმობა რა საბუთიაო, იტყვით. მითამ რატომ არა! თუკი კაცი იტყვის, კაცი მოვკალიო,

ამას იჯერებთ და ციმბირში უკრავთ ხოლმე თავსა, რატომ ის კი არ უნდა დაიჯეროთ, როცა დღე და ღამ ჰბღავის, — მე დევგმირი ვარო. ნუ გამიჭირებთ საქმეს, თორემ თითონ ზოილს მოვიწვევ მოწმად, რომ მე ამაში მართალი ვარ, და ის ასეთს основное правило-ს ამოქექავს თავის საკუთარ კოდექსიდამ,* რომ თავი და ბედი იწყევლოთ.

მაშასადამე, თავის თავზე მოწმობაც შესაწყნარებელია და თქვენც შეიწყნარეთ, ვითარცა შეწყნარებული აქვს თითონ ზოილსა. ზოილი ხომ დიდი ხანია იძახის შესაფერის თავმდაბლობით და მისებურის მორცხვობით, რომ თუ დევგმირი არ გინახავთ, მოდით და მნახეთო. ვანუა კი, მართალია, ჯერ ასე პირგახეულად არ გათამამებულა, მაგრამ ისიც კი იძახის: რაკი ქვეყნისათვის სამსახური მიკისრია და ბეზღობაზედ — უკაცრავოდ — მხილებაზედ თავი დამიდვია, მე, როგორც журналист-ი обличитель-ი,** ყოველთვის მზადა ვარ პირისპირ ვეომოვო ვიღაცა лженародник-ებსა из туземцев. ვერ უყურებთ ამ ბაჯაჯღანას! ვინ ტირაცუა და ვინ ომი და ამისთანა გულადობა! დევგმირობაა, მა რა ჯანაბაა. მართალია, აქ ომი და სხვა ამისთანა საშინელება ვანუას მარტო მოჰლანდებია, იმიტომ რომ ძალიან კარგად იცის, იმასთან არამც თუ ომსა, ერთს ჭერ ქვეშ დახველებასაც კი არავინ იკადრებს, მაგრამ ისიც დიდი უნარია ტირაცუასაგან, რომ ომი ახსენა და შიშით სული იქავ არ გააფრთხო უომრადვე.

ღვთის წინაშე, მორცხვობით კი ეს ბაჯაჯღანა ლიტერატორი ბევრით წინ არის ზოილზედა.

---

* იხილეთ: Уголовный кодекс всех народов, сочиненный Зоилом. Издание ни первое и ни последнее.

** იხილეთ: № 4, Тифлисский Листок.

ნათქვამია, სიტყვამან შენმან გამხილოს შენაო. ეს ნათქვამი მართალია, იმიტომ რომ სიტყვა სარკეა ადამიანის სულისა და გულისა და სარკეში კაცი თავის მახინჯობას ვერ დაჰმალავს, მაშინვე გაამხელს. ამას ცოტა არ იყოს შეუშინებია ჩვენი კურდღლის ბაჭია ვანუა და როცა თავისი „დანოსი" ანუ ზოილისებური „обличение" უწერია, უფიქრია: თუ სიტყვამან ჩემმან გაამხილა ჩემი ბეზღობა, რა ვუყოთო? სიტყვისა აქ რა ბრალიაო და წინადვე იხდის ბოდიშსა ამრიგად: Нечего пенять на зеркало, когда рожа крива* აი ამისთანა თავისის თავის ცნობა მომწონს. რაკი მართლა სახე დაღმეჭილი ჰქონია, სარკესი რა გადასახადია. მიყვარს ასეთი მართლმოყვარეობა, ასეთი ზნემაღლობა, იმიტომ რომ:

დიდი სიბრძნეა კაცისა
ცნობა თავისის-თავისა.

ამ თავისის თავის ცნობამდე, ამ მართლმოყვარეობამდე თავისდღეში ვერ აიწევს ზოილი. ზნე ვერ მიჰყვება ამ სიმაღლემდე და პირველ ფეხის გადადგმაზედვე მუხლი ჩაეკეცება. არც საკვირველია. თავ-თავქვე სიარულს ჩვეული საიდამ გაიმართავდა აღმასვლისათვის მუხლსა. ამ მხრით ტირაცუა ვანუა, ეს მართლა და კურდღლის ბაჭია, ბევრით წინ არის ქველის-მომქმედ დევგმირ ზოილზედა. ზოილი თავის დღეში არ იკადრებს სთქვას, რომ მე გენიოსი არა ვარო. თავის გენიოსობაზედ თავის დღეში ეჭვიც არ შეუტანია, თუმცა იცის, რომ მარტო ტვინთხელა კაცი —

---

* იხილეთ: № 4, Тифлисский Листок.

Чужд сомнения в себе,
Сей пытки творческого духа.

IV

ეს ამბავი სრულად უარჰყოფს იგივეობას ვანუასას და ზოილისას. მე, სწორედ მოგახსენოთ, არცა მჯეროდა, როცა აქეთ-იქით ამას იძახდნენ. ეს კი ჭკუაზედ ახლოა, რომ Листок–ისათვის ცომს ვანუა ჰზელავს და ზოილი აფუებს. ამიტომაც საფიქრებელია, ამათ თავთავისი გვამი აქვთ და სული, თუ სუნი*, კი ერთი უდგათ. კიდევ ვიტყვი, ამასა ჰმოწმობს მათი ერთნაირი სიტყვა-პასუხი, ერთნაირი ზნე, ერთნაირი обличитель-ობა და აზრი კი ხომ არც ერთსა აქვს და არც მეორესა. აბა თუნდა ჩემს გასამართლებლად, თუ გასამტყუნებლად, გასინჯეთ გულდასმით იგივე ზოილის ნაჯღაბნი Новое Обозрение-ს სანათლისღებო ნომერში და ვანუას ნახანხლი 12 იანვრის Листок–ში. ძნელად გამოარჩევთ, რომელი ვისგან არის დაწერილი. მე ამისთანა მწყობრი ერთს და იმავე კილოზე გალობა ჯერ არ გამიგონია, თითქო „შავნი შაშვნი არიან შავგალიას შემსხდარნი, ტურფად მხმობნი, ხმაყარიბად მსტვინავნი“.

ამ 12-ს იანვრის Листок–ში ტირაცუა ვანუა აღარა სჩანს. თურმე ნუ იტყვით – ის, ვისაც ჩვენ ტირაცუა ვანუას ვეძახდით, ივანე ხეჩატუროვი ბრძანებულა. თუმცა არც ეს ვაჟბატონია

---

* მომიტევოს ზოილმა, რომ „სულს“ და „სუნს“ ერთმანეთში არ ვარჩევ. მარტო „სული“ რომ მეხმარა, ვაი თუ საანტონკათალიკოზოდ გახდომოდა საქმე, რადგანაც „სული“ ძალალ ფარდების სიტყვაა და ვამჯობინე „სუნიც“ ზედ დამეყოლებინა, ვითარცა თარგმანი ძველის ზოილის ახალს ენაზედ.

ტირაცუობაზედ დიდ მანძილზედ წინ წასული, მაგრამ მაინც, რაკი ნიღაბი აიხადა და დაგვენახა, ჩვენ მის წინაშე ბოდიში გვმართებს, ეს ტირაცუაზედ დიდი კაცია. ეს იგი ,,ყბედაცუა“ გახლავთ, რომელმაც ბ-ნი დავით კეზელი გაათეთრა სასამართლოს წინ და იქვე გული შემოეყარა, არ ვიცი მეტის სიხარულისაგან, თუ იმისაგან, რომ ვიღაცამ ერთი რაღაც ძნელად მოსანელებელი სიტყვა სტყორცნა და იქავ წააბარბაცა დარეტიანებული.

მე რა დავა მაქვს, სად რა სახელი მოუპოვებია ივან ხეჩატუროვსა. ჩემი საქმე მისი ,,დანოსია“ და მისი ოსტატობა ამ საზიზღარ საქციელისაგან თავის დაძვრენისა. იგი ხსენებულ 12 იანვრის წერილში გვეფიცება, რომ მე ,,დანოსი“ არ დამიწერიაო, ფიქრადაც არ მომსვლიაო, აბა სად გაგონილა, რომ ლიტერატორი ,,დანოსებსა“ სწერდესო. მითომდა მე ლიტერატორი ვარო და მაგას როგორ ვიკადრებდიო. საბუთია, ოღონდაც რომ საბუთია!.. მაგრამ ეს ცოტა ზოილისებური კვეხნა გამოდის. მერე ვინ მოგახსენათ, რომ თქვენ ლიტერატორი ბრძანდებით? თუ თქვენმა მეგობარმა ზოილმა გითხრათ, ზოილმა ცოტა ტყუილებიც იცის და გაუბრიყვებიხართ. ლიტერატორიო!.. მტრის ენაა, ჭორია, და მიკვირს თქვენის კეთილის გულისაგან, ჭორი როგორ დაგიჯერებიათ.

თუნდ რომ ღმერთი გაუწყრეს ქვეყანას და თქვენც ლიტერატორების მარაქაში ერიოთ, რა სათქმელია ის, რაცა სთქვით. ამ ნათქვამიდამ ხომ მარტო ის გამოდის, რომ სურვილი არა გქონიათ ,,დანოსის” დაწერისა. თუ ეგრეა, ბარაქალა თქვენს გულწმინდაობას, მაგრამ ამით რომ თქვენს გულსა ჰფარველობთ განკითხვისაგან, თქვენს ჭკუას კი ვერაფერს სამსახურს უწევთ. მართალია, ზნემაღალ კაცისათვის ნამუსი უფრო დიდი საქონელია, ვიდრე ჭკუა, და ამისთანა კაცი სულელის სახელს უფრო ირჩევს, ვიდრე უნამუსოსას, მაგრამ, დალოცვილო,

თუ არ გესმის რასა სწერ, რადა სწერ? თუ გული ერთს გეუბნება და ხელი სხვასა ჰბღავჯნის, ჭკუა სადღა ჯანაბაშია, რომ ამისთანა ურჩს ხელს არ მოსჭრის და ცეცხლში არ ჩააგდებს. აბა რათ გაიჭირეთ საქმე? ძალას ვინ გატანდათ, რომ „დანოსი" დასწერეთ და ეხლა საქმე ისე გაგიხდათ, რომ ან გულის სიფაქიზე უნდა დაიხსნათ სამარათლიან განკითხვისაგან, ან ჭკუაზედ ხელი აიღოთ, ან ჭკუა დაიხსნათ და გული კი მჩვარში გაახვიოთ. კიდევ სახელი და დიდება თქვენს პატიოსნებას, რომ ჭკუაზედ ხელი აგიღიათ, რომ სიკეთე გულისა გამოიჩინოთ. მაგრამ ესეც კია:

უჭკუო კაცის სიკეთე,
ვაი რა ცარიელია.

V

მერე ივანე მეტიჩაროვი, უკაცრავად, ხეჩატუროვი, ჰკითხავს თავის თავსა: რამ გააწიწმატა „ივერია", რომ ასე უწყალოდ მომესია და ათასის სახელებით შემამკოვო. იმანაო, უპასუხებს იგი თავის თავსვე: რომ „ივერიას" საზოგადოებაში ლილახანა გაუცვდა, საფანელი შემოაკლდა და მითომ თავი გამოიდო ქართველებისათვისა, მე მომესია და ჩემით სახელი უნდა გაეკეთებინა და ამით თავისი ძველი დაფნის ფოთლები, ეხლა დამჭკნარნი, პატარა გაეახლებინაო. რა ყურმახვილი, რა თვალსწრაფი და ბაბა ამირსავით ხელმარდი ყოფილა ეს ვიღაც ივანე ხეჩატუროვი, რომ „ივერიაზედ" ყური მოუკრავს საზოგადოებაშიაც, „ივერიისათვის" გულშიაც ჩაუხედნია და „ივერიის" ჯიბეშიაც ხელები უფაცურებია, და ყოველ ამ ადგილებიდამ ენა მიუტანია თავის Листок–ისათვის. ღმერთს ამდენი უნარი „დანოსისა" ესე უხვად ერთად მიუნიჭებია და მაინც გვეფიცება – ვინ მე და ვინ

„დანოსიო”. ეს მარტო მის მორცხვობას თუ მიეწერება, თორემ განა ვანუა მართლა ისეთი უჭკუოა, რომ ამოდენა ნიჭი და უნარი უქმად დააგდოს და დახლი არ ამოაღებინოს, რადგანაც თქმულ არს:

იცოდეთ, ყოვლი ბუნება
გვართაკენ მიიზიდება.

ხუმრობაგაშვებით, და ერთი შეხედეთ ამ მამლაყინწა ლიტერატორს, რა მალაყებს გადადის, რომ თავისი შავი გაათეთროს და სხვისა თეთრი გააშავოს. ერთი შეხედეთ-მეთქი ამ ვანუა მეტიჩაროვს — ეჰ, რა მემართება, — ხეჩატუროვს — და! სად გაუტია თავის კოჭლის ცხენით, თითქო და მართლა უშიშარი და უწუნარი რაინდიაო. ეს რას მიედებ-მოედება, რა ტლინკებსა ჰყრის, რომ აამტვეროს და თვალები დაახუჭვინოს ხალხს თავის საქციელზედ! ბეზღობა უნამუსობაა და ჰკვირობს ჩვენი ვანუა, უნამუსობაზედ რათ ჰწიწმატობენო. ბეზღობა ყველა პატიოსან კაცისათვის შესაზრზენია, ნამეტნავად მაშინ, როცა ეს საძაგელი ხელობა ლიტერატურაში თავის დუქანს გააღებს ხოლმე და თავის საქონელს ურცხვად გამოჰფენს რაღაც обличение-ს ფიანდაზზედა. აქ ნაქურდალი სახელი ვერ იხსნის „ბეზღობას“ ადამიანის ზიზღისაგან, თუნდა обличение დაარქვით, თუნდა вдохновение свыше. აქ ვერც ზოილის уголовные кодексы всех народов გიშველით, არც იმის основное правило толкования вкось и вкривь.

ბეზღობა ბეზღობად ჰრჩება და ყოველი კაცი თავის უდიდეს მოვალეობად უნდა ჰხადიდეს, — ამ სამარცხვინო და თავლაფიანს ხელობას მისი საკადრისი დაღი დაასვას. ეს არის მიზეზი, რომ „ივერია“ ბევრს სხვას ტაკიმასხარობას ტირაცუა ვანუასას ყურს არ ათხოებდა აქამომდე და ეს

„საპრაზნიკო დანოსი“ კი არ შეარჩინა. იმიტომ რომ ტაკიმასხარობა უვნებელი ხელობაა და მარტო თითონ ვანუას თუ ავნებს. ბეზღობა კი ყველასათვის მავნებელი ჭირია და საზიზღარი ჭირიცა. ეგ მეტად ავი ჩირქია მეტად ავის მუწუკისა და მაგ მუწუკს ძირიანფესვიანად ამოჭრა უნდა და მატლსავით ფეხქვეშ გასრესა.

ხშირად გაგვიგონია, რომ ვანუასთანა და ზოილისთანა „деятель“-ებს კაცმა არ უნდა გაუყადროს თავი და იმათთან ლაპარაკს ყოველ შემთხვევაში უნდა ჰთაკილობდესო. მართალია, მაგრამ რას იზამთ, რომ ამ შემთხვევაში უამისობა არ იქნებოდა. ჩვენცა ვწუხვართ, რომ ვერ გადვურჩით ამ მართლა და სათაკილო საქმეს. მაგრამ თაკილი უკან უნდა დაჰსდგეს იქ, საცა ბიწისაგან აშფოთებული, გამწვავებული გრძნობა ადამიანობისა ჰღაღადებს და კაცს ვალად სდებს, ბიწს ბიწის კარამდე სდიოს. რა თქმა უნდა, – ზოილისა და პარუნ იოვანე ხეჩატუროვისთანა ვაჟბატონები ბიწის დევნას სხვა ვერაფრით ვერ ახსნიან, თუ არ ჯიბისა და სხვა ამისთანა ანგარიშითა. განა ორივემ ეს ანგარიში არ შესწამა „ივერიას“! რად უნდა გვიკვირდეს, რომ ან გახეჩატურიანებული ზოილი, ან გაზოილებული ხეჩატუროვი მარტო ანგარიშს გაეტაცებინებიან ხოლმე და სხვა წმინდა უანგარიშო, უსასყიდლო წყურვილი სიკეთისა კი არა სწამთ ქვეყანაზედ. ეგეც ერთი ბუნებაა, გვარია, და რად უნდა გვეოცოს, რომ „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“.

რწმენას ადამიანის სიკეთისას პატარა მეტი ჭკუა უნდა, პატარა მეტი სიფაქიზე გულისა და არა ზოილის уголовные кодексы всех народов და ზოილისავე основное правило толкования. ღმერთს ხომ ამათთვის არც ერთი უღირსებია და არც მეორე და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ამათის აზრით, ბიწს, თუ არ ჯიბისა და სხვა ამგვარის ანგარიშით, სხვით

რითიმე ვინ ოხერი იქნება შეეჭიდოს პირქვე დასამხობლად. აკი მოგახსენეთ, ესეც ერთი ბუნებაა, გუნებაა, და ვინ წაუვა ბუნებას, გუნებას!

რაკი ბუნება, გუნება და ღირსება ერთი და იგივეა, აქ სახელი და გვარი ბევრს თაბაუთს ვერ შეადგენს, — გინდ ზოილს ზოილი ვანუოვი დაარქვით, გინდ პარუნ ვანუას — ვანუა ზოილოვი. საქმე ის არის, რომ არც გავანუობით ზოილს მოემატება და დააკლდება რამ, არც გაზოილებით პარუნ ვანუასა. ეგ ორნივ, როგორცა ვსთქვით, ორი ტყუპი, ნახევარია ერთის ყოფილის სულიერისა და ერთის სახელი მეორეზეა ზედ გამოჭრილი და მეორისა ერთისაზე. თუ დღეს ერთი-ერთმანეთს ჩაჰგრეხიან უსურვაზის წნელივითა და ერთმანეთს ზურგზედ აჰკიდებიან, რათ უნდა გვიკვირდეს? განა ახალი ამბავია, „მკვდარი მკვდარს აეკიდოს, საფლავამდე წამიღეო“.

[1889 წ.]

<ბულანჟე ამოირჩია პარიჟმა>

ტფილისი, 19 იანვარი.

ბულანჟე ამოირჩია პარიჟმა. თუმცა პარიჟს ისეთი გავლენა აღარა აქვს დანარჩენს საფრანგეთზედ, როგორც უწინ, მაგრამ იმოდენა ხმა კიდევა აქვს, რომ ამ ამბავმა დიდსა და პატარას თვალები მოაფშვნეტინოს და ასე თუ ისე, მიახედოს თავის დღევანდელს სვე-ბედზე. ამ მხრით ბულანჟეს ამორჩევა ცოტა არ იყოს შესანიშნავი ამბავია და შესანიშნავია არა მარტო საფრანგეთისათვის. ეს ამბავი ევროპაშიაც გაიხმაურებს და თავის კვალობაზედ იქაც ბევრს ჩაახედებს თავის გულში და იქნება თოფ-იარაღიც მოამარჯვებინოს. თუმცა რესპუბლიკანელები საფრანგეთში გულს არ იტეხენ და ერთმანეთს ამხნევებენ, ეხლა უფრო გვმართებს ერთმანეთს მხარი მხარს მივცეთ, დავივიწყოთ ერთმანეთის შუღლი და ყველა რესპუბლიკანელნი ერთად შევერთდეთო, მაგრამ არც ესენი ჰმალავენ, რომ ბულანჟეს ამორჩევა მათთვის დიდად ჩასაფიქრებელი მარცხია.

ამ ხანად გამარჯვებული ბულანჟე თავისის მხრით მადლობას უცხადებს პარიჟს ამორჩევისათვის და ეუბნება, რომ ჩემის ამორჩევით შენ მტვერსავით აღგავე ჩემი მაბეზღარნი, ცილისმწამებელნი და სახელის შემბღალველნიო. ამ დღიდამ დამხობილია

პარლამენტალური რესპუბლიკა და ნაციონალურმა რესპუბლიკამ თავისი ძლევამოსილი დროშა უნდა გაშალოსო. ამ დღიდამ რესპუბლიკის კარი დაიკეტა უნამუსო კაცთათვის და გაიღო ყოველ პატიოსან საფრანგეთის შვილისათვისაო.

ჩვენ, რასაკვირველია, არა გვგონია, რომ ამ პაწია ნაპოლეონის გამარჯვებამ პარიჟში ის შედეგი იქონიოს, რასაც ეგრე თავმოწონებით იქადის. ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო და, რა თქმა უნდა, ბულანჟე თუ ვისთვისმე კარს გააღებს რესპუბლიკისას, ჯერ თვით თავისათვის გააღებს და მერე თავის მსგავსთათვისა. თითონ ერთი ქარაფშუტა კაცია, ერთი რაღაც მეტიჩარა, დაფითა და ნაღარით მყვირალა თავის თავის გამოსაჩენად. ამის ხელიდამ არა გამოვარა ფართიფურთობის მეტი, რადგანაც „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“. როცა სამხედრო მინისტრად იყო დასკუპებული, განა ეგ ბულანჟე არ იყო და ეს პარლამენტალური რესპუბლიკა. მაშინ? რატომ მაშინ კი არა ჰყვიროდა, ეს რესპუბლიკა არ ვარგა, ნაციონალური რესპუბლიკა მინდაო. როცა მინისტრობიდამ გადმოაბძანეს და მხედრობაშიაც არ დააყენეს, მაშინ თუ წახდა პარლამენტალური რესპუბლიკა? მაშინ თუ გამოენასკვა თვალწინ ის რაღაც „ნაციონალური“ რესპუბლიკა, რომელსაც დღეს ასეთის თავგანწირვით ჰნდომულობს?

იქნება მართლა ეგ „ნაციონალური” რესპუბლიკა სჯობდეს პარლამენტალურსა, ჩვენ არ ვიცით. მაგრამ საცინელი ეს არის, რომ თითონ ბულანჟემაც არ იცის რა არის ეს მისი სატრფიალო „ნაციონალური” რესპუბლიკა. განა ერთხელ და ორჯელ ჰკითხეს: ერთი გვითხარ, რა რესპუბლიკაა ის შენი მოწონებული რესპუბლიკაო და საწყალს ენა დაება. თითონ ეხლანდელმა სამინისტრომაც, თუ პარლამენტის კომისიამ მიიწვია და სთხოვა, ერთი აგვიხსენ რა გინდაო და ისეთი რაღაცები

ჩაილუღლუღა, რომ ვერც თავი გაიგეს, ვერც ბოლო. შენ ეგრე სთქვიო, გვეტყვიან და პარიჟმა კი მოიწონა ეგ შენი დაწუნებულიო. ჩვენც მანდა ვართ და გვიკვირს.

გვიკვირს და გვეოცება — როგორ აჰყვა პარიჟი ამ უთავბოლო კაცს, როგორ მოტყუვდა და თავისი სვე-ბედი ამას მიანდო. აქ ორში ერთია საფიქრებელი: ან დიდი ფულია დატრიალებული საარჩევანოდ — ეგეც მოხდება ხოლმე განათლებულს ევროპაში, ან ხალხი ისე გამწვავებულია დღევანდელის დღისაგან, რომ წყალწაღებულსავით ხავსს მოსჭიდა ხელი, რაკი მეტი გზა არა აქვს. ჩვენ ეს მეორე უფრო ჭკუას ახლო გვგონია. ეს თვრამეტ-ცხრამეტი წელიწადია, რაც საფრანგეთში ეს რესპუბლიკა არსებობს. თითქმის არც ერთი იმისთანა დასი არ არის საფრანგეთში, რომ გამგეობა ქვეყნისა ხელთ არა სჭეროდა რამდენსამე ხანს მაინცა. ერთი დასი ისე არ ასულა სამინისტრო ტახტზედ, რომ არ დაექადნა — მე ამასა და ამასა ვიქმ ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდაო და არავისაგან იმდენი არა გამოსულა რა, რომ ერს გულზედ მოჰშვებოდეს.

უსამართლობა იქნება ვსთქვათ — რესპუბლიკას არა გაუკეთებიარაო, მაგრამ ერი ყველგან იმ ბუნებისაა, რომ ყოველთვის უკეთესის ნატვრაშია და თუ რაც დღესა სტკივა, დღესვე არ მოურჩინეს, გულთ აკლდება იმისდა მიუხედავად დღესვე შესაძლებელია მორჩენა თუ არა. ეს გულთა კლება უძლიერდება მაშინ უფრო, თუ დაქადებული გაუმტყუნე. მაშინ ხომ სრულებით შემოგაქცევთ ზურგსა და საით მიიბრუნებს პირს, ამას აღარ ჰკითხულობს, ოღონდ თქვენ კი ზურგი შემოგაქციოთ. ესე ექცეოდა ამ თვრამეტს წელიწადს საფრანგეთის ერი თავის მინისტრებსა, რადგანაც მეტისმეტს ქადილს ვერ ასცილდა ვერც ერთი დასი, რომელმაც კი სამინისტრომდე მიაღწია. სასოება რომ დაეკარგა საფრანგეთის ერს, — ამ ბოლოს ხანებში

სამინისტროდ მოიწვია რადიკალური დასი და მთავარმინისტრად დასვა ფლოკე: თუ გვიშველით რასმე, აბა თქვენ იცითო. ამ დასმაც ცოტა არ იყოს – ზოგიერთი თანხები მისცა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით, ზოგი შინაობაში, ზოგი გარეობაში, ფლოკემ ქადილი ვერ აასრულა, ხალხს იმედი გაუცრუვდა და გული აიყარა დღევანდელს სამინისტროსა და პარლამენტზედ, აი ჩვენის ფიქრით, ამ გულაყრამ მოუტანა ბულანჟეს გამარჯვება და არა მისმა ღირსებამ. პარიჟის არჩევანის აზრი, ჩვენის ფიქრით, ის კი არ არის, რომ პარიჟი ბულანჟესაგან მოელოდებოდეს რასმე, არამედ ის, რომ ფლოკესა და ეხლანდელ პარლამენტისაგან აღარაფერს მოელოდება.

[1889 წ.]

<რა არის სიმდიდრე ერისა?>

ტფილისი, 21 იანვარი.

რა არის სიმდიდირე ერისა? ასში და ათასში ერთის ოქროში ჯდომა, თუ ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი? ჩვენ უკანასკნელი გვგონია და ეგ უკანასკნელია, ჩვენის ფიქრით, ერთადერთი საწყაო ერის სიმდიდრისა. მართალია, ცოტად თუ ბევრად გათანასწორებული მაძღრობა ყველასი ისე თვალში საცემი არ არის, ისე არა ჰლაპლაპებს, როგოც მოოქროებული ყოფაცხოვრება ათასში ერთის მდიდარისა, მაგრამ მაძღარი და პრუდონისა არ იყოს — ფაქიზი სიღარიბე ყველასი უფრო ტკბილის, უშურველის და გაუმწვავებელის ცხოვრების მომნიჭებელია ერისათვის. საცა ეს არ არის, იქ ერი მშიერია, სიმშილით გაკაპასებულია, გაანჩხლებულია, თუნდა ათასში ერთს ოქროს კოშკები ედგას და ოქროს ტახტზედ იჯდეს და რამოდენადაც დიდი მანძილია მდიდარსა და მშიერს შორის, მით უფრო მწვავია, მით უფრო მოუნელებელია, ძნელად ასატანია ერისათვის ამისთანა ყოფა.

ერთს ამისთანას ქვეყანას წარმოგვიდგენს ინგლისი, ეგ ზღვათა მფლობელი სახელმწიფო, რომელიც თითქმის მთელის ქვეყნიერობიდამ მიეზიდება სიმდიდრეს და მარტო ორიოდე კაცის

ხელში აგროვებს. აუარებელი ფულიანობა ინგლისისა საოცარია. ამგვარს სიმდიდრეს ლაპლაპი გააქვს ყველგან და აკვირვებს მნახველსა. რას არ ჰნახავთ აქ? რა სრასასახლეებს, რომელშიაც დედაბუდიანად დაეტევა მთელი მოსახლეობა იმისთანა ქალაქისა, როგორც თელავია, ანუ გორი. რა ქარხანები არ არის, რა ფაბრიკები, რა ოქროს და ვერცხლის ტახტები, რა ძვირფასეულობა სულ ორიოდე კაცის ხელში! ამასთანავე, თითო ამისთანა კაცზედ იქავ გვერდით ჰხედავთ ათი ათას ისეთს მშიერ-მწყურვალს, ისეთს შიშველ-ტიტველსა და ღატაკს, რომ ადამიანის ნიშანწყალი ძლივს-ძლივსღა ეტყობათ.

იყო ერთი დრო და ეხლა უფრო უარესია, რომ თითონ სახელგანთქმულს ლონდონში რამდენისამ დღის განმავლობაში ქუჩებში გააკრავდნენ ხოლმე ამისთანა წერილებს: ,,სიმსუქნით გამტყვრენილი ხარები და შიმშილით დალეულნი ადამიანები! გამოდიან თავის ბროლის სრასასახლეებიდამ, რომ გამოაძღონ მდიდარნი, ოქროს კოშკებში გაპტყელებულნი მაშინ, როდესაც დამშეულნი ღვთის სახის ადამიანები კი სწყდებიან და იხოცებიან თავიანთს უწმინდურს სოროებში''*/ ეხლაც, როცა ინგლისის მუშაკაცნი მთელის ცოლ-შვილით შინ გვეხოცებიან სიცივ-შიმშილისაგანაო, ამბობს ამისი მთხრობელი მწერალი, მილიონები ინგლისის ფულისა, ინგლისის გარჯითა და შრომით მონაგარი, სესხად არის გაცემული გარედ, — რუსეთზედ, ისპანიაზედ, იტალიაზედ და სხვა უცხო ქვეყნებზედაო.

მეორე ინგლისელი მწერალი ამბობს, რომ ,,ჩვენს თვალწინ, ჩვენის საკვირველისა და ბედნიერების

---

*/ ეს ამბავი იყო 1867 წელს.

დედაქალაქის ერთს ნაწილში იმ საოცარ სიმდიდრესთან ერთად, რომლის ბადალი ჯერ არ უნახავს ქვეყნიერობასა, ჰნახავთ, რომ 40.000 სული უმწეო, უნუგეშო კაცი შიმშილითა კვდებაო“. ნუთუ საშურველია ამისთანა სიმდიდრე და მის გვერდითვე ასეთი უწყალო სიღატაკე! ნუთუ ამის შემდეგ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ასში, თუ ათასში ერთის ოქროთი ალაპლაპებული ცხოვრება სანატრელი იყოს ერისათვის, როცა დანარჩენნი ამისთანა საცოდავს დღეში არიან! ეს სიმდიდრე კი არ არის ერისა, ის სიმდიდრე, რომელიც აცხოვრებს, ათბუნებს და აძღობს, არამედ იგი შეუწყალებელი ყოფაა, რომელიც სწყვეტს, ჰულეტს და საფლავს უთხრის.

განა საკვირველია, რომ ამისთანა ყოფაში ჩავარდნილი ადამიანი იმოდენად გამხეცდება ხოლმე, რომ თავის კბილით თავის შვილსა სჭამს! რად უნდა გვიკვირდეს! მშიერი ადამიანი ყველა მხეცზედ უარესი მხეცია. ნადირთა და მხეცთა შორის ძნელად იპოვით იმისთანას, რომ სიმშილისაგან ქანცგაწყვეტილმა თავისი ნაშობი შვილი შესჭამოს და კაცს კი ეგ არ გაუჭირდება ხოლმე. მაგალითს თითონ იმავე ინგლისიდამ მოგიყვანთ, რომლის სიმდიდრესაც ასე ხარბად შეჰნატრიან შორიდამ. ლონდონში არის საზოგადოება, რომელსაც ბაშვთა მფარველი საზოგადოება ჰქვიან. გაზეთები მოგვითხრობენ, რომ მდივანს ამ საზოგადოებისას ლორდთა პალატაში გამოუცხადებია ერთი კაცთა გრძნობის ამაშფოთებელი ამბავი. იმას უთქვამს, რომ ლონდონში ყოველწლივ ათას ბაშვზედ მეტი იხოცება თავიანთ მშობელთაგან.

ხომ მოგეხსენებათ, რომ არის იმისთანა საზოგადოება, რომელიც დაიზღვევს ხოლმე კაცის სიცოცხლესა სიკვდილისაგან, როგორც სახლებს დააზღვევენ ხოლმე ცეცხლისაგან. აი მშობელნი თურმე ეგრე დაზღვევენ ხოლმე თავიანთ ბაშვებს და როგორც ცეცხლისაგან დამზღვევი ხშირად თითონვე გადაჰბუგავს ხოლმე თავის სახლ-კარსა, ისეც ბაშვის

დამზღვევი მშობელი თითონვე ჰკლავს თავის შვილსა, რომ საზღაური მიიღონ და კუჭი გაიძღონ. აბა მინამ დაზღვეული ბაშვი თავისის წერით მოკვდება, სად უცადოს მშიერ-მწყურვალმა დედ-მამამ! ამისათვის მშობელი დააზღვევს თუ არა თავის ბავშვსა, მაშინვე ცის ანაბრობაზე აგდებს და საცოდავს უპატრონო ბაშვს იძულებულ ჰყოფს შიმშილით მოკვდეს.

რა არის ეს, თუ არა საკუთარის კბილით თავის შვილის შეჭმა! აბა იფიქრეთ, რამ უნდა მიიყვანოს ადამიანი ამ საშინელებამდე, თუ არ იმ უწყალო ყოფამ, რომელიც ცალ მხრივ აუარებლის სიმდიდრით კაცს თვალს უბამს და მეორეს მხრივ დედ-მამას იძულებულ ჰხდის ან თავის თავი გასწიროს სასიკვდილოდ სიმშილისაგან, ან თავისი სისხლხორცი შვილი. წელიწადში ათასზედ მეტი ამისთანა მაგალითია ლონდონშიო, ამბობს მდივანი ლორდთა პალატის წინაშე! ათასზედ მეტი შვილი იჭმევა ყოველ წლივ მშობელთაგანაო! თმა ყალხზედ ჰდგება შიშისა და ზარისაგან! განა ერთი ამისთანა მაგალითი კი საკმაო არ არის, რომ კაცმა პირჯვარი გადაიწეროს და სთქვას: „მადლობა ღმერთს, რომ ჩემს ქვეყანაში ეს არ არისო, არც იმისთანა სიმდიდრე მინდა და არც იმისთანა საცოდავობაო!“ სიტყვა ეს არის, რომ თუ დღეს არ არის, არც ხვალ იყოს ამისთანა უბედურება და ვისაც თავისის ქვეყნისათვის გული სტკივა, ამის ასაცილებლად არ უნდა დაიშუროს გარჯა და შრომა, თითო-ოროლა კაცის გამდიდრებას ქვეყანაში ყველგან ამისთანა ბოლო მოსდევს.

[1889 წ.]

<„სამთა კავშირს“ ფესვები აწყდება >

ტფილისი, 23 იანვარი.

ეგრედწოდებულს „სამთა კავშირს“, შედგენილს გერმანიის პოლიტიკოსთ მიერ სასარგებლოდ გერმანიისა, დღედადღე ფესვები აწყდება და ლამის გაქარწყლდეს კიდეც. იტალია და ავსტრია კარგად საგრძნობლად გაუცივდნენ გერმანიას, თუმცა ამ ორის სახელმწიფოს მთავრობანი კიდევ იწევენ გერმანიისაკენ, რადგანაც ასე თუ ისე ბადეში გაბმულები არიან თ. ბისმარკისაგან, მაგრამ თითონ ერნი კი იტალიისა და ავსტრიისა ჰგრძნობენ, რომ თავიანთ საკუთარის ფქვილისაგან პურს აცხობენ გერმანიისათვის დღევანდელ საპოლიტიკო თონეში. იტალიაში ერი თავის სამდურავს უცხადებს მთავრობასა, რომელმაც გერმანიის გულისათვის მძიმე ტვირთი შეთოფიარაღებულის მშვიდობიანობისა კისერზედ დაადო ერსა.

ავსტრიაში სლავიანები თავდაპირველადვე ალმაცერად უყურებდნენ ავსტრიისა და გერმანიის ერთმანეთზედ კუდის გადაბმასა და ყოველთვის ეურჩებოდნენ იმ კავშირს, რომელიც ამ ორ სახელმწიფოს ერთმანეთში შეკრული ჰქონდა. ერთი დიდი ნაწილი ავსტრიისა, სახელდობრ, ვენგრია კი დღეს აქამომდე დიდი მომხრე იყო ამ კავშირისა, რადგანაც ვენგრიის ტკივილს აღმოსავლეთის საქმეთა

გამო რაღაცა ნუგეშს აძლევდა. დღეს კი ვხედავთ, რომ აქაც იცნეს მანქანება გერმანიის პოლიტიკისა, რომელიც მარტო თავის თავისათვის ჰფიქრობს და სხვა არავისათვის. ამის გამო ვენგრიელებმაც გული აიყარეს გერმანიაზედ და დღეს ძალიან მწვავედ ჰკიცხვენ მთავრობასა, რომ გერმანიას ჩაეთრევინა და მისის გულისათვის დღე არ გადის, რომ ავსტრია-ვენგრიის ერს ხარჯი არ მოსთხოვოს მხედრობის გაძლიერებისათვისა. რადა და რისთვის ვუჭირებთ ჩვენს საკუთარს ერს ყოფა-ცხოვრებასაო? ჰკითხულობენ ვენგრიელნი. გერმანიას რომ საქმე უჭირდეს, ჩვენი რა გადასახადიაო.

ამ ხანებში ვენგრიის პარლამენტში შეტანილ იყო განსახილველად პროექტი მთავრობისა მხედრობის შესახებ. დიდძალი წინააღმდეგნი გამოუჩნდნენ ამ პროექტს პარლამენტში, მთავრობას, რომელმაც ეს პროექტი შეიტანა პარლამენტში, ბევრი მკვახე სიტყვები უთხრეს, ერთმა დეპუტატმა პირდაპირ მიახალა სამინისტროს და მის მომხრეებს, რომ მუხანათები ხართო, რადგანაც თქვენის ქვეყნის ბედი მიჰყიდეთო ავსტრიას, რომელმაც აღარ იცის რა ჰქმნას უგერმანიოდაო. პირველმა მაგნატმა ვენგრიისამ გრაფმა სტეფანე კაროლიმ ცხარე სიტყვით გაჰკიცხა მთავარ-მინისტრის ტისსას პოლიტიკა და მისმა ძმამ გაბრიელმა კაროლიმ ამხილა თ. ბისმარკის პოლიტიკა.

გაბრიელმა კაროლიმ სთქვა, რომ თ. ბისმარკი გვატყუებსო. ვენგრიას გარედამ არავისაგან არაფრის შიში არა აქვს, რადგანაც არავინ არ ემუქრებაო. ჩვენ ყოველთვის გვეფიცებიან, ვითომ რუსეთი ეტანებოდეს ვენგრიასა, მაგრამ ეგ ზღაპარია, რომელსაც ავრცელებს თ. ბისმარკიო. ეგ დიდის ხნის ცნობილი ოსტატობაა გერმანიის კანცლერისაო, რუსეთს სრულებითაც არა ჰსურს დაიპყრას ვენგრია. თუ სდომებოდა, მაგას ადვილად მოახერხებდა 1848 წ., როცა ვენგრია მის ხელთ იყოვო, ყველას ევროპაში

მშვიდობით ყოფნა ჰსურსო, ხოლო ყველანი თოფ-იარაღს იმარჯვებენ და ახალი წესები მხედველობისა შეაქვთ, მკვიდრთა ამისათვის ხარჯს უმატებენ რაც ძალი და ღონე აქვსთ და სულ რისთვის? იმისთვის, რომ მოუსვენარს პოლიტიკას გერმანიისას მტლად დაუდონ ყველაფერიო. გერმანია ჰთრთის ძალად წართმეულ ელზას-ლოტარენისათვის, ეშინიან უკანვე არ ჩამოერთვასო. ამისათვის იგი ევროპის სახელმწიფოთა შორის მტრობასა სთესავს, შუღლსა და ძულებას აძლიერებსო. სახელმწიფო კაცნი ვენგრიისა აჰყოლიან თ. ბისმარკსა და არაფერი კი არ გაეგებათო.

რაკი ვენგრიამაც ამისთანა ლაპარაკი დაიწყო, აშკარაა, რომ გერმანიის თავმოწონებულ პოლიტიკას ცოტა არ იყოს ლილახანა წაჰხდომია ევროპაში. არავინ იცის, იქნება, გერმანიის ბედმა ისე იმუშავოს, რომ ერთს მშვენიერ დღეს თავისი თავი მარტოდ დარჩენილი ჰნახოს ევროპის სახელმწიფოთა შორის. ველას, საითაც კი მიიხედავთ, გერმანიის თავგასულს პოლიტიკაზედ ავადა აქვს თვალი ახილებული. დიდ თუ პატარა სახელმწიფოთა, ყველას ყველაზედ აქვთ მოდგომილი ჯავრი გერმანიისა. ზოგს იმის გამო, რომ გერმანიას თავისი კლანჭი გამოუკრავს და ხორცი გამოუგლეჯია, ზოგს იმიტომ რომ, ვეღარ აუტანია დღევანდელის დღის სიმძიმე, წარმომდგარი გერმანიის ევროპაში გაბატონებისაგან. რაც გერმანიამ საფრანგეთი დაამარცხა და გაბატონდა ევროპაში, ის დღეა და ეს დღე: ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ მუხლთ ეკეცება და თავისუფლად ვეღარ ამოუსუნთქავს. ამას ყველანი ჰგრძნობენ და საკვირველი არ იქმნება ვიგულისხმოთ, რომ დღეს ევროპის გულში იდუმალი აზრი ტრიალებდეს იმის თაობაზედ თუ, გერმანიაა ყველაზედ უწინარეს ფრთაშესაკვეცი, თუ სხვა ვინმე ევროპაში, ჩვენა გვგონია, რომ ამ აზრის ასე თუ ისე დაბოლოვებაა ძირეული საგანი დღევანდელის

პოლიტიკისა და სხვა ყოველი ტყუილუბრალო გაძვრენ-გამოძვრენაა დიპლომატებისა და, უფრო უკეთ ვსთქვათ, დახანებაა, რომ თითონ აზრი ასე თუ ისე მომწიფდეს გადასაწყვეტად.

[1889 წ.]

<ავსტრი-ვენგრიის ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება>

ტფილისი, 26 იანვარი.

გაზეთებს დღეს ჩრდილში აქვთ მიყენებული ყველა სხვა საქმეები და მარტო იმაზედ ლაპარაკობენ, რომ ავსტრი-ვენგრიას ეწვია დიდი უბედურება: გარდაიცვალა ტახტის მემკვიდრე რუდოლფი, სულ ოცდაათის წლის ყმაწვილი კაცი და დიდად საყვარელი იმ მრავალგვარ ერთა, რომელთაგანაც შემდგარია ავსტრი-ვენგრიის მონარქია. რუდოლფი იყო ძალიან კარგად და საფუძვლიანად განათლებული და ნასწავლი კაცი. ამბობენ, სხვათა შორის, ზედმიწევნით იცოდა ყველა იგი ენები, რომელსაც მისნი მრავალენოვანნი ერნი ლაპარაკობენო. ჯერ მარტო ეს ერთი მაგალითი ამტკიცებს, რომ იგი საფუძვლიანად და გულდასმით მოჰკიდებია მზადებას იმ რთულ მოვალეობის აღსასრულებლად, რომელსაც ადრე თუ გვიან ბედი კისრად დასდებდა. ლიტერატურისა და მეცნიერების მიმდევარი იყო და ზოგიერთ შრომას ამაებში ძალიან უქებენ გაზეთები. ამბობენ, რომ დამოუკიდებელი გაზეთი ვენისა „შვარც-გელბი“ მის მიერ არის დაარსებულიო. ამ გაზეთმა თავი იჩინა იმით, რომ წინააღუდგა გერმანიის პოლიტიკას, რომელსაც ყოველ შემთხვევაში ჰკიცხავდა და ამხილებდა,

როგორც დიდ უბედურებას ერთობ ევროპისათვის და საკუთრივ ავსტრიისათვის.

რუდოლფი თითონაც ეურჩებოდა გერმანიის პოლიტიკას და გულში ინახავდა წყურვილს, რომ ავსტრიას პირველობა კვლავ მიეცეს გერმანელთა შორის. იგი არა ჰმალავდა თავის მახლობელთა წრეში, რომ ეჯავრება პრუსიის ბატონობა გერმანიაში. ეს კარგად იცოდა თ. ბისმარკმა და ახალმა იმპერატორმა გერმანიისამ ვილჰელმ მეორემ და ამიტომაც, როცა ვილჰელმი ეწვია ავსტრი-ვენგრიის იმპერატორს, რუდოლფი და ვილჰელმი ვერ შეეყარნენ ერთმანეთს კარგად. მაშინვე დავარდა ხმა, რომ ესენი ერთმანეთს გულგრილად დაჰხვდნენო და ნამეტნავად ნაწყენი რუდოლფი დარჩაო. რუდოლფი დიდი მეგობარი იყო ინგლისის ტახტის მემკვიდრისა. არც ინგლისის მემკვიდრეზედ ითქმის, რომ კარგად გაწყობილია გერმანიასთან. ესეც როგორღაც ალმაცერად უყურებს გერმანიის ბატონობას ევროპაში და გული უფრო საფრანგეთისაკენა აქვს მიბრუნებული. არც რუდოლფი იყო თურმე უიმისოდ. ამას გული უფრო საფრანგეთისათვის უცემდა. არც საკვირველია, რუდოლფი უფრო საფრანგეთის გუნებაზედ იყო გაზრდილი, ვიდრე გერმანულზედ. მისი გამზდელი იყო ჰოფმარშალი — ბომბელი, კაცი მომხრე ავსტრიის ძველის დიდებისა და საფრანგეთის მოსიყვარულე.

რუდოლფი ბევრში მოაგონებდა კაცს განსვენებულს ფრიდრიხ III, გერმანიის იმპერატორს. იმისთანავე მოყვარე იყო ერის მშვიდობიანობისა, მშვიდობიანად წარმატებისა და გაბედნიერებისა. ეტყობოდა, რომ ვერაფრად მოსწონს თოფ-იარაღს ქვეშ დგომა და ხმალზედ ხელმოკიდებული ცხოვრება. ვინ იცის, რაგვარს შესცვლიდა საქმეთა გარემოება, როცა რუდოლფი თავის მამის ტახტზედ ავიდოდა, რადგანაც ხელმწიფენი ხშირად იძულებულ არიან გარემოებისაგან იგი ჰქმნან, რაც არა ჰსურთ. ხოლო

დღეს კი რუდოლფს იმ მხრით ახსენებენ, რომ იგი იყო მოყვარე და ხელისშემწყობი ლიტერატურისა, მეცნიერებისა და გულშემატკივარი კაცი ერისა და სახელმწიფოსათვის.

სლავიანები, ავსტრიის გერმანელნი, ვენგრიელები დიდს მწუხარებას აცხადებენ ამისთანა კაცის დაკარგვისათვის. მისი სიკვდილი სხვა ქვეყნებშიაც დიდის მწუხარებით მიიღეს. მის მამას იმპერატორს ფრანც-იოსებს დღეყოველ აუარებელი დეპეშები მისდის თურმე სამძიმრისა, თითონ ერნი ავსტრი-ვენგრიისანი დიდად შეწუხებულნი არიან მით უფრო, რომ დღესაც გამორკვეული არ არის რა მიზეზმა მოუსპო სიცოცხლე ეგრე ადრე და მალე ტახტის მემკვიდრესაო. ზოგიერთი ცნობანი გვარწმუნებენ, ვითომც რუდოლფს თავი მოეკლას თავისის ხელით. გუშინდელი ამბავი გამოცხადებული იოკაისაც პირდაპირ გვეუბნება, რომ რუდოლფს თავი თითონ მოუკლავს. მის მიერ მიწერილი სეზენისთან წერილი, იოკაისაგან გამოცხადებული გაზეთში, არაფერს ეჭვს არა სტოვებს, რომ რუდოლფს თავის თავი თითონ მოუკლავს. რუსეთიდამ მოსულს გაზეთებში დაბეჭდილი დეპეშები კი იუწყებიან, რომ მთელმა კომისიამ მკურნალებითურთ შეამოწმა ცხედარიო და იმ აზრზედ დადგა, რომ წვეთი დასცემია გულს და იმითი გარდაცვლილაო. ეს ჰოარაობა ამისთანა დიდს საქმეში, როგორც მემკვიდრის უეცარი სიკვდილია, ხალხს უფრო გულს უშფოთებს და უფრო აწუხებს. ყველანი მოუთმენელად ელიან რით აიხსნება ეს უეცარი, მოულოდნელი და ჯერხანად გამოურკვეველი სიკვდილი.

ჩვენ არ ვიცით, რით აიხსნება ეს უცნაური და მოულოდნელი სიკვდილი ავსტრიის იმპერატორის მემკვიდრისა და თუ აიხსნება, მართალს გვაცოდინებენ თუ არა ჩვენ, უბრალო სიკვდილის შვილთ, მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ ბევრითა ჰგავს უცნაურობით და მოულოდნელობით სიკვდილს

გამბეტისას, სკობოლევისას და ბავარიის მეფის ლუდოვიკისას. ყველანი ესენი ისე დაიხოცნენ უცნაურად და უეცრად, რომ ბევრი მითქმა-მოთქმა გაიმართა ამაზედ. ვინ იცის, რა ხმები არ დაიყარა, რა არ ითქვა? ყველა ამაში უეჭველი მარტო ერთი რამ იყო: გამბეტა მოსისხლე მტერი იყო გერმანიისა და როცა მისმა ვარსკლავმა საფრანგეთში ძალიან მაღლა აიწია, უეცრად ფათერაკი შეემთხვა, ვიღაცამ ტყვიით დასჭრა და მოჰკლა, როგორ მოჰხდა ეს ამბავი, დღესაც გამოურკვეველი დარჩა თუ შინაურად არა, საქვეყნოდ მაინც. სკობოლევსაც ძალიან ათვალწუნებელი ჰყვანდა გერმანია და მას შემდეგ, რაკი რუსეთში დიდი სახელი გაიგდო და თავისი პროგრამმა გერმანიის წინააღმდეგი, პარიჟში საქვეყნოდ გამოსთქვა და მერეც რუსეთშიაც არა ჰმალავდა, უეცრად გარდაიცვალა. ესეთივე უბედურობა ეწვია ბავარიის მეფეს ლუდოვიკს, რომელსაც შესწამეს თუ არა, რომ რაღაც ლაპარაკი გაჰმართაო საფრანგეთის ზოგიერთ წარმომადგენელთან, არ გასულა მცირეოდენი ხანი, რომ წყალში დამრჩვალი იპოვეს. დღეს რუდოლფის უეცარი სიკვდილიც მაშინ მოჰხდა, როცა გამომჟღავნდა, რომ რუდოლფი ეწინააღმდეგება გერმანიის გავლენას ავსტრიაში და ძალიანაც ეწინააღმდეგებაო.

ჩვენ, რასაკვირველია, არავითარი ეჭვი არა გვაქვს და ვერასგზით ვერ ვიტყვით, ვითომც ყოველ ამაში ვისიმე მანქანება და ხელი მოქმედობდეს. უეჭველია, ყველანი ესენი თავისის ბედისწერით გამოაკლდნენ წუთისოფელსა, მაგრამ საკვირველი მეგავსება კია ყველაფერში: იგივ უცნაური და გამოურკვეველი სიკვდილი და იგივ მიმართულება განსვენებულთა, გერმანიის არასასურველი.

[1889 წ.]

<პრესა და პირადობა>

ტფილისი, 27 იანვარი.

არიან ზოგიერთი იმისთანა ქვეყნები, საცა ურთიერთობა კაცთა შორის იქამდე უკან ჩამორჩენია თავის დანიშნულებას, რომ ადამიანის ნამუსს, პატიოსნებას, კუთვნილებას სულიერს, თუ ხოეციელს ვერაფერს სარჩლს ვერ უწევს, ვერა ჰპატრონობს, ვერ უვლის და ვერ იფარავს შებღალვისაგან. რასაკვირველია, აქ სარჩლი და მფარველობა უნდა გაუწიოს ზნე-ჩვეულებამ საზოგადოებისამ, ხოლო ჭირი ის არის, რომ ზნე-ჩვეულება ზოგიერთ ქვეყანაში იმოდენად განწმენდილი და მგრძნობიერი არ არის, რომ შებღალვა ვისისამე ნამუსისა, ადამიანურის ღისებისა ითაკილოს, იუკადრისოს და ყოველ ცალკე კაცის გაუპატიურებაში თავისის საკუთარის ღირსების წაბილწვა დაინახოს.

ზნე-ჩვეულებას, როგორც ჭკუასა და გონებას, განწმენდა და განათლება უნდა. უამისოდ იგი მკვდარია და უქმი იმ სახელოვან და სანატრელ დანიშნულებისათვის, რომლის გამოც ჩვენ ვლაპარაკობთ და რომელიც ქვაკუთხედია კაცთა ურთიერთობით ცხოვრებისა. ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი ერი შორს არის მაგ ზნე-ჩვეულების განწმენდასა და განათლებაზედ და მათ შორის ჩვენცა. ვიტყვით უფრო მეტს: ამ მხრით ჩვენისთანა

დაქვეითებული ერი ბევრი სხვა არ გვეგულება დედამიწის ზურგზედ. ნამუსი, პატიოსნება და ყოველივე ადამიანური ღირსება ისე ადვილად ხელშესახებელი არსად არის, როგორც ჩვენში, და ეგ ხელშეხება ისე დაუსჯელად, გაუკიცხავად არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს, როგორც ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში.

დაუსჯელად და გაუკიცხავადო!.. ეგ კიდევ არაფერი. ამას კიდევ როგორც იქნება ავიტანდით, რაკი ეს ღვთის წყრომა მოგვევლინებოდა. სავალალო და სამარცხვინო ის არის, რომ ზოგჯერ ტაშისკვრითა და ქება-დიდებით მივეგებებით ხოლმე სხვის ნამუსის წამბილწველსა, სხვის პატიოსნების შემლახველსა. ამისთანა ყოფაში დიდხანს ვერ გასძლებს ქვეყანა, ერი, საზოგადოება. ეგ წინდაუხედავად შებღალვა ნამუსისა, კაცურის კაცობისა, ჭიაა, რომელიც ქვეყანას, ერს, საზოგადოებას შიგ გულში ჩასჯდომია და დღემუდამ ჰფქვავს, ჰღრღნის, მინამ ბოლოს არ მოუღებს. საცა ეგ არის, იქ ქვეყანას, ერს, საზოგადოებას ჭიანი გული აქვს და ჭიანის გულით სიცოცხლე ხანმოკლეა და უნაყოფო.

ამ ზნე-ჩვეულების გაუწმენდელობა და გაუნათლებლობა არის მიზეზი, რომ ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფდებიან ხოლმე, ტყუილი მართალის ნიღაბქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის. ყველანი ჰხედავენ ამას, ყველას თვალწინ ათასი ამისთანა მაგალითი უდგა მოურიდებლად და ყველანი იშვნევენ და იწყნარებენ ამისთანა ყოფას, თითქო ამითი არავითარი წესი ურთიერთობისა არ ირღვეოდეს, თითქო ამ გადარევ-გადმორევაში ჰპოულობენ იმ მაგარს ტინს, რომელზედაც უნდა აშენდეს ადამიანის ბედნიერების ციხე-სიმაგრე. კაცს, ყველა ამის მოწამეს, ისე ჰგონია, თითქო კეთილს, მართალს, მადლს, უღონობა დასწამესო და ეხლა ბოროტს, ტყუილს და

ცოდვასღა მიეყუდნენ, რომ იგი ჰქმნას, რაც კეთილმა, მართალმა და მადლმა ვერ შესძლო კაცთა ბედნიერებისათვისაო.

შორს ნუ წავალთ და მივხედოთ მარტო ერთს სამაგალითო ამბავსა. აი, ვსთქვათ, ჩვენს წინა ჰდგას ერთი საწყალი, მიწასთან გასწორებული, ძონძებში და კონკებში ძლივ-ძლივ გახვეული ღატაკი კაცი, რომელსაც უსმელ-უჭმელობამ, შიშველ-ტიტველობამ ყოველივე ადამიანური ნიშანწყალი ჩამოართვა, გაუბათილა. სდგას საცოდავი და ჰცახცახებს ცალკე შიმშილისა და ცალკე სიცივისაგან და ელის მართლმსაჯულების მსჯავრს წარბშეკრულ და მიუდგომელ მსაჯულთაგან. მისი დანაშაული ის არის, რომ მშიერს ბაზარში ჩაუვლია, ფურნის დაზგაზედ პური დაუნახავს, უძლეველს შიშს შიმშილით სიკვდილისას დაუხშვია გრძნობა სირცხვილისა, დაუვლია საცოდავს ხელი და ერთი ორშაურიანი პური მოუტაცნია. „სასჯელი მაგას, სასჯელი“! — ვიძახით დიდი და პატარა: „როგორ თუ მოიპარა! როგორ თუ იქურდა! პატიობა ქურდობისა და მტაცებლობის წაქეზება და წახალისება იქნება!“

ეხლანდელთა საქებურად ამასაც ვიტყვით, რომ იქნება ერთსა და ორს ამ საცოდავის კაცის დანახვაზედ სიბრალულმაც გაურბინოს გულში, მაგრამ სრულად პატიობაზედ კი არა გვგონია ან ეს ერთი-ორი დაიყოლიოთ. ეს ხომ ასეა მაშინ, როცა მშიერმა ორშაურიანი პური მოიპარა და იქნება ადამიანის სული სიკვდილისაგან დაიხსნა იმ მცირედის დანაკლისით, რომელიც სხვას მიაყენა. რაში მდგომარეობს აქ დანაშაული, რომლის შენდობაც ცოდვად მიგვაჩნია? იმაში, რომ ხელშეხებულია, შერყეულია, შებღალულია პატივი საკუთრებისა, რომელიც კაცთა ურთიერთობის დედაბოძად მიუჩნევიათ. თუ ესეა, რამდენად უფრო გამოსამეტებელი უნდა იყოს დასასჯელად ის, ვინც ადამიანს ჰპარავს იმას, რაც მის უძვირფასესს

საუნჯეს, უძვირფასესს კუთვნილებას შეადგენს და ყოველგვარ ნივთიერ საკუთრებაზედ უფრო მეტად უღირს? განა ნამუსი და პატიოსნება ამისთანა დაუფასებელი საუნჯე არ არის! განა ადამიანი ნამუსითა და პატიოსნებით არ ადამიანობს და კაცური კაცობა ამითი არა ჰკაცობს! განა მარტო ერთსა და ორს გაუწირავს თვით სიცოხლეც კი, ოღონდ ნამუსი და პატიოსნება შეირჩინოს და არავის არ გააჩირქიანებინოს!

თუ ესეა, მაშ რამოდენად უფრო მძიმე შემცოდველი უნდა იყოს ორშაურიანი პურის მპარავზედ ის, ვინც ნამუსს, პატიოსნებას ჰპარავს კაცსა! ლოღიკას რომ ეხლანდელს დროში უკუღმა ტრიალი არ დაეწყო, სწორედ ამ გზით უნდა ევლო და ნამუსის მპარავი სამარცხვინო ბოძზედ უნდა გაეკრა. ეხლანდელი ლოღიკა ამას არ დასდევს. შიმშილისაგან ძალდატანებულს ღატაკს კი სჯის ორშაურიან პურის ქურდობისათვის და ნამუსის მპარავს კი ქების ტაშსაც შეაწევს ხოლმე, — დახე, რა ყოჩაღია, ამა და ამ კაცს საქვეყნოდ თავზე ლაფი დაასხაო!

ეს დაუსჯელად თავზე ლაფის დასხმა, ეს წინდაუხედავად ნამუსის ახდა, ეს წაწყმენდა და წაპილწვა ადამიანის ადამიანობისა, არც მთქმელს ეთაკილება, არც მსმენელს ეზიზღება, ნამეტნავად ჩვენში. ინგლისში მთავარმინისტრმა ერთი ინდოელი ქვეშევრდომი ინგლისისა ამ სიტყვით ახსენა — „ვიღაც ზანგიო“ — და მთელი ინგლისი სამართლიანის გულიწყრომით შეიძრა — როგორ თუ ამისთანა ბიაბრუად ხსენება აკადრა ინგლისის ქვეშევრდომსაო და ავად მხსენებელი მინისტრი კინაღამ სამინისტრო ტახტიდამ არ გადმოაბრძანა, და ჩვენში კი გაუხარდებათ კიდეც, თუნდა საშინელის ლანძღვითა და ცილისწამებით გააუპატიურო, გააბიაბრუო კაცი. ოღონდ ფლიდობა, ავკაცობა, ერთი სიტყვით, უღირსობა რამ კი შესწამეთ კაცსა, ისე

ადვილად და მალე დაიჯერებენ, თითქო ბედნიერება კარზედ მიადგათ და ხელიდამ გაშვება ენანებათო. ერთხელ და ორჯელ არ შეგვხვედრია, რომ კაცი კაცს უსაბუთოდ ჰლანძღავს და ლაფში სვრის და როცა გამოსარჩლებია ვინმე, უკითხავთ: „შენი რა არისო?“ — ჩემი რა უნდა იყოს, არც კი ვიცნობო? — „თუ არ იცნობ, შენ სხვისთვის რად იჭაჭებიო?“ — „იმიტომაო, რომ ისიც კაცია და უსაბუთოდ შებღალვა კაცის ნამუსისა უნამუსობაა, და თუ დღეს ის ამოგიღია ნიშანში, ვინ გვითავდებებს, რომ ხვალ სხვას ვისმე მაგ დღესვე არ დააყენებო“. ჩვენ მოწმად ვყოფილვართ, რომ ამისთანა სინდისიერი მოსარჩლე გალანძღულისა და ცილშეწამებულისა სასაცილოდ აეგდოთ, როგორც რეტროგრადი.

ძნელად საცხოვრებელია იმისთანა ქვეყანა, საცა ადამიანის ნამუსს და მის გრძნობას კაცურის ღისებისას პატივი და მფარველობა არა აქვს და საცა ხელშეხება, შებღალვა ყოველ ამისი ეადვილებათ და საცა საზოგადოებაში მოტრიალე კაცი თავის უწმინდაესს მოვალეობად არა სთვლის სდევნოს ცილს და უსაბუთოდ ავად ხსენებას კაცისას, საცა კი შეხვდება. თავის თავის პატივისმცემელი ლიტერატურა მოვალეა ჰპატრონობდეს ადამიანის ნამუსს და ღირსებას და კაცი არავის გაალახვინოს ცილითა და ტყუილითა, რადგანაც ერთიცა და მეორეც ყურმოჭრილნი ყმანი და მოსამსახურენი არიან მარტო პირადის ანგარიშებისა. ლიტერატურა კი როგორც მოღვაწეობა უკეთესთა კაცთა, ერთადერთი ფარ-ხმალი უნდა იყოს ადამიანისა, როცა მის ღირსებას უღირსად, უკადრისად ხელს შეახებენ ხოლმე და მისს ზნეობურს კუთვნილებას სტაცებენ. ლიტერატურის მრავალგვარ და რთულ მოვალეობათა შორის ეს მოვალეობა ერთი უდიდესთაგანია, იმიტომ, რომ ნამუსის შებღალვა, ნამუსის ახდა, კაცის სახელის გატეხა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ თუ არ ზედმიწევნით გამორკვეულ, უტყუარ საბუთით,

ლიტერატურამ სხვა გზით ამაებში არავის არ უნდა დაუთმოს ერთის იოტის ოდენაცა. ამ მხრით ლიტერატურა ყოველის კაცის პატრონი უნდა იყოს და მფარველი, ნამეტნავად იქ, საცა ეგ პატრონობა და მფარველობა სხვა გზით არ არსებობს.

[1889 წ.]

<მამულების გამიჯვნა>

ტფილისი, 28 იანვარი.

განმეორება იქნება ათასჯერ თქმულისა, რომ ქვეყნის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების წარსამატებლად ერთი უდიდესი ძარღვი მამულების გამიჯვნაა. ესე იგი, მამულების იმ მდგომარეობაში მოყვანა, რომ ყველამ იცოდეს თავისი კუთვნილება და სხვისაგან შეუცილებლად ჰპატრონობდეს და ცვლიდეს თავის საკუთარს მიწა-წყალსა. ჩვენში კარგა ხანია რაც გამიჯვნა მამულებისა შემოღებულია. ზოგიერთი რამ ამ მხრით გაკეთებულა კიდეც, მაგრამ სასურველის სიჩქარით არ მიდის ეს საქმე. ამაზედ ყოველის მხრიდამ ისმოდა და ისმის სამდურავი ყველასაგან, ვისაც კი რაიმე მამული აბადია. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ დღეს უმაღლესს მთავრობას მოუწადინებია ამ საქმემ ჩვენში რაც შეიძლება ფეხი აიჩქაროს და მამულების გამიჯვნას ჯეროვანი და დაუბრკოლებელი მსვლელობა მიეცეს. ამისათვის მთავრობას განუზრახავს გაამრავლოს როგორც გამიჯვნის საქმეების გამრჩეველნი მსაჯულნი, აგრეთვე იმ მოხელეთა რიცხვიც, რომელნიც ჰზომავენ და გეგმაზედ გადააქვთ სადავო მამულები.

ამ რამდენისამე წლის წინათ ჩვენმა თავადაზნაურობამაც მიაქცია ყურადღება ამ საგანს საგუბერნიო კრებაში და ბევრი სხვადასხვა აზრი

წარმოითქვა, ბევრი სხვადასხვა გზა დაინიშნა მისთვის, რომ მძიმედ სვლას გამიჯვნისას რაიმე წამალი დასდებოდა. ბოლო საქმე კომისიაზედ მივარდა და თავადაზნაურთა კომისიამ ასწონ-დასწონა ეს მრავალგვარი აზრები, გამოიძია ავკარგიანობა სხვადასხვანაირ ზომებისა და დაადგინა თავისი განაჩენი მთავრობის წინაშე წარსადგენელად. კომისიამ დაინახა, რომ მოხელენი გამიჯვნის საქმისანი მეტად ცოტანი არიან და ვერ ასდიან ვერც ადგილობრივად დავების გამორკვევას და გეგმის შედგენას, ვერც მერე გარჩევასა და საქმის გადაწყვეტას. ეს გარემოება ძალიან აბრკოლებს საქმესაო და ყოველთ უწინარეს საჭიროა მოხელეებისა და მოსამართლეების მომატებაო.

ხშირად გამიჯვნის საქმისათვის დანიშნულ მოსამართლეებს არ აცლიან თავისი საქმეები გააკეთონ და იწვევენ სამოქალაქო საქმეთა განსამართლებისათვისაო. ამ მიზეზით გვიანდება გამიჯვნის საქმეთა გარჩევა და დაბოლოებაო. საჭიროა ამისთანა ხელშემშლელი მიზეზი მოისპოს და გამიჯვნის საქმის მოსამართლენი სხვა საქმეზედ არ მოაცდინონო.

ძალიან ხშირად, თუ ყოველთვის არა, გამიჯვნას ერთს ადგილს შეუდგებიან, მერე ამ ადგილის ვითარებას არ ათავებენ და სხვაგან გადადიანო. ეს უეჭველად უნდა აეკრძალოთო, რადგანაც ერთგან აწეწილი საქმე, ერთგან ატეხილი დავები მემამულეთა შორის, გაუთავებლად დატოვებული, ჩხუბსა, მტრობასა ჰბადავს. თანდათან ამწვავებს შუღლსა მოდავეთა შორის და ხანდახან სისხლითაც თავდება ხოლმეო. წესად უნდა დაიდვას, რომ რაკი გასამიჯნავად კაცი მივიდა რომელსამე საგვარეულოს მამულში, მინამ არ გაათავებს, იმ მამულიდამ არ გავიდეს და სხვას არ მოჰკიდოს ხელიო.

ჩვენ წინადვე ვერ ვიტყვით ყოველივე ეს რამოდენად წინ წასწევს ჩვენში გამიჯვნის საქმეს,

თუ მთავრობამ ეს შუამდგომელობა თავადაზნაურობისა შეიწყნარა. ხოლო ჩვენა გვგონია, რომ ერთი უდიდესი დამაბრკოლებელი მიზეზი, აქ უსაბუთო დავების ატეხაა. რასაკვირველია, კერძო კაცს არ დაეშლება საბუთით, თუ უსაბუთოდ წაედავოს ვისმე, მაგრამ ამ მხრით საქმეთა შემსუბუქება შესაძლოა, თუ სახეში ვიქონიებთ, რომ ერთი დიდი მფლობელი მამულებისა სახელმწიფოა და, მაშასადამე, ბევრს შემთხვევაში იგია მოდავე ხოლმე. ამ მხრით რომ მოსწყდეს სათავე უსაბუთო დავებისა, ადვილად შესაძლებელია მთავრობისათვის. განა არ შეიძლება, მაგალითად, ჯერ თითონ სახელმწიფო ქონებათა გამგებელნი დარწმუნდნენ, რომ გასამიჯნავ მამულში სახელმწიფოს საბუთი რამ მიუძღვის და მარტო ამის შემდეგ ნება მისცენ თავის აგენტებს დავა გამოაცხადონ ხოლმე. თორემ ეხლა, იმისდა მიუხედავად არის რამ საბუთი თუ არ არის, აგენტები ერთს მტკაველს მიწასაც არ უშვებენ, რომ სახელმწიფოს სახელით დავაში არ ჩააგდონ, რაკი გამიჯვნაზედ მივარდება ხოლმე. ამ გზით ტყუილუბრალოდ ჰმატულობს საქმეები, გარჩევას ბევრი დრო უნდება და დასასრულს ბოლო აღარ უჩანს. რამდენი საქმე მოისპობოდა დაუწყებლადვე, რომ სახელმწიფო საქმეთა გამგებლობამ წესად დაიდვას ჯერ თვით დარწმუნდეს თავის დავის საბუთიანობაზედ და მერე ისე დაიწყოს დავა.

გარდა ამისა, სახელმწიფო ქონებათა გამგებლობას ბევრი უპირატესობა აქვს ეხლანდელის წესდებით კერძო კაცის წინაშე და იგი სასურველი თანასწორობა მოდავეთა შორის, რომელიც საფუძვლად უდევს განსამართლების წესდებას / Судеб. уставы /, გამიჯვნის წესდებაში ბევრში არ არსებობს. შორს რომ არ წავიდეთ, მარტო ისიც საკმაოა დავასახელოთ, რომ სახელმწიფო ქონებათა გამგებლობა თავის მოდავეს წინაშე არავითარს

პასუხისგებაშია თუ ვინიცობაა დავა უსაბუთო აღმოუჩნდა. ცალკე კაცი კი თუ გამტყუნდა სასამართლოში, ჯარიმას იხდის ყოველს დღიურზედ, რომელიც კი უსაბუთოდ დავაში ჩააგდო, სულ ერთია სახელმწიფოსთან ექმნება დავა თუ თავისებრ ცალკე კაცთანვე. აშკარაა, ეს ჯარიმა იმაზეა გაანგარიშებული, რომ ცოტად თუ ბევრად შელაგმოს კერძო კაცთა სურვილი უსაბუთოდ დავების ატეხისა. რატომ მაგისთანავე ჯარიმა არ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ქონებათა გამგებლობას, რომ იმანაც შეიკავოს მეტისმეტი სურვილი უსაბუთო დავების გამოცხადებისა? რასაკვირველია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჯარიმა უნდა გადაეხადოს იმის სასარგებლოდ, ვისაც უსაბუთოდ წაედავება სახელმწიფო ქონებათა გამგებლობა.

როგორც ამ მხრით, ისეც სხვებრ კაი გადასინჯვა უნდა გამიჯვნის წესდებას, რომელიც დღეს ჩვენში მოქმედობს, თორემ გამიჯვნის საქმის მიგდება იმის ანაბრობაზედ, რომ თუ არას მომცემენ, ხომ არას წამართმევენო, ვერაფერს ნუგეშს ვერ წარმოადგენს გამიჯვნის აჩქარებისათვის.

[1889 წ.]

<ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება>

ტფილისი, 3 თებერვალი.

დიდი ხანია, სჩივიან ჩვენი მემამულენი და მიწათმომქმედნი, რომ მოგივა მოსავალი ვაია და არ მოგივა ვაგლახიო. არ მოსულის ვაგლახობა ადვილად გასაგებია: არ მოგივა და თითქმის ცარიელზედ უნდა იჯდე მთელი წელიწადი და მეორე წლისათვისაც იმოდენად ვეღარ გაშალო ხელი, რამოდენადაც გული გერჯით, რადგანაც უმოსავლობა ამისათვის უღონოდა გხდით, ხოლო მოსულის ვაება კი, სწორედ მოგახსენოთ, რაღაც უცნაური რამ არის, პირველ შეხედვით მაინცა. მართლადა, მოსავლის მოსვლა რად უნდა იყოს სავაებო მემამულესათვის?

ყოველნი, და ყოველთა შორის ჩვენც, ამაზედ დასაბუთებულ პასუხს წარმოგიდგენენ. კაი მოსავალი კარგია, როცა მისი გასყიდვა შესაძლებელია თავის დროზედ და უზარალოდ. თუ ეს არ არის, მოსავალი თუნდა გქონიათ, თუნდა არა. რომ არა გქონდეთ, კიდევ ესა სჯობია, ვიდრე გქონდეთ და თქვენის თვალითვე ჰხედავდეთ, რომ თქვენი ნაშრომ-ნაჯაფევი, თქვენი ამაგი ან თქვენს თვალთა წინაშევე ჰფუჭდება, ან ჩალის ფასად უნდა გადაჰყაროთ, რადგანაც ყოველი სხვა გზა დახშულია. ამ უკანასკნელს შემთხვევაში სიმწარე თქვენის ყოფა-ცხოვრებისა

გაორკეცებულია ჯერ იმითი, რომ ამისთანა ქონება არქონებაზედ უფრო მეტად საგრძნობელია, რადგანაც ზარალი გაფუჭებულისა ან ჩალის ფასად გადაყრილისა უნდა შეავსოთ სხვა გზით რითიმე, და მერე მით, რომ გული გიკვდებათ, ზნეობრივად იჩაგრებით და მხნეობა გარჯისა გელახებათ, რაკი ჰხედავთ, რომ მხნედ გარჯას ზარალის მეტი არა მოაქვს რა.

ამ სახით სულითა და ხორცით მოუძლურებულს გული გიტყდებათ გარჯისა და შრომისათვის და ეს გულის გატეხა იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ კაცს ხელსაც აღებინებს მამულის კეთებაზედ, რადგანაც ზარალის მეტი არა მოაქვს რა. ამაში, რასაკვირველია, ბრალი არც მამულს ედება, არც გამრჯელობას კაცისას, არამედ იმ გარემოებას, რომ განაღდება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ფულად ქცევა მოსავლისა ბევრნაირის მიზეზით დაბრკოლებულია და ხშირად შეუძლებელიც. ყოველი ეკონომიურს მოქმედებას კერძო კაცისას კი მარტო საგნად ეგ განაღდება აქვს ნაჭირნახულევისა და ნაშრომისა.

შეუკარით კაცს გზა მის ნაშრომ-ნაღვაწევის განაღდებისა და იგი თუ ხელს გასძრავს, მარტო მისთვის, რომ თავისი საკმარისი მოიყვანოს, თავისი შინ სამყოფი. ამაზედ მოჭარბებულისათვის კი იგი ყოვლად უქმი იქმნება, იმიტომ რომ ანგარიში არ არის მოიყვანოს ის, რასაც ვერას გამორჩება, რასაც ვერ გაანაღდებს, რომ განაღდებულით სხვა საჭიროებას რასმე გაუძღვეს. საცა ამისთანა ყოფაა, იქ ეკონომიური წარმატება, ქვეყნის გამდიდრება, ყინულზედ დაწერილი თამასუქია და ცალკე კაცსაც სიღარიბისაგან თავი ვერ დაუღწევია.

სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენ. თუ რასმე მოვიყვანთ, ვეღარ გავყიდით; თუ გავყიდით, ჩალის ფასად უნდა გადავყაროთ, ან თუ არა, ტყუილუბრალოდ შინ წაგვიხდეს, გაგვიფუჭდეს. ამ მხრით ჩვენის ქვეყნის უკან ჩამორჩენა, ჩვენთა

მკვიდრთა სიღარიბე ტყუილად ბრალად ედება იმას, ვითომც ჩვენებური ხალხი არ იყოს მხნე, გამრჯელი, შრომა და ჯაფა ეზარებოდეს. ეს ტყუილია. ყოველ ეკონომიურ მოქმედების თავი და ბოლო გამორჩენაა. თუ ეს გამორჩენა ან არ არის, ან გაძნელებულია, იქ თუნდა მხნეობაში სახელგანთქმული ინგლისელი მოიყვანეთ, ისიც გულზედ ხელებს დაიკრებს და ხელს არ გაანძრევს, — რისთვის? რაო ჩემოო?.

გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიური მოქმედება აღებ-მიცემობისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენში ბაზარი და ვაჭრობა არ იყოს, მაგრამ ერთიცა და მეორეც ისე მოწყობილია, რომ უფრო გლეჯა-მტაცებლობასა ჰგავს, ვიდრე აღებ-მიცემობას, ნამეტნავად სოფლის ნაშრომის საქონლისათვის. ამ ბაზარში ძალიან გაძნელებულია, რომ საქონლის მომქმედმა პირდაპირ ინახულოს იგი მუშტარი, რომელიც ჰყიდულობს არა იმისთვის, რომ ხელახლად გაჰყიდოს, არამედ იმისთვის, რომ თითონ პირდაპირ მოიხმაროს. ამათ შუა ჩასდგებიან ხოლმე მრავალგვარნი ჩარჩები და სულ იმის ცდაში არიან, რომ საქონლის პატრონი მუშტარს არ შეახვედრონ, რადგანაც ამ ჩარჩებმა პირობის შეკვრა იციან და პირობაზე მტკიცედ დოგმა, ამიტომაც ადვილად აისრულებენ ხოლმე ამ წადილსა. უმუშტარო პატრონი საქონლისა რჩება ჩარჩების ანაბარად და რა თქმა უნდა, ესენი ისე გაუხდიან საქმეს, რომ აბაზიანს გროშობით გაუნაღდებენ და მერე მუშტარზედ გროშობით ნასყიდს აბაზიანობაზედ გაასაღებენ. ამ გზით რასაც ჰკარგავს საქონლის პატრონი და რასაც მეტს აძლევს მუშტარი, სულ ჩარჩების ჯიბეში ჩადის და საქონლის პატრონიც ჰზარალობს და მუშტარიცა ერთსა და იმავე დროს. ამ სახით ორნივ ერთს ტაფაში იწვიან.

სოფლის საქონლის მომტანი აუცილებლად ამ ყოფაში ჩავარდება ხოლმე და ან ისე უნდა გაჰყიდოს მოტანილი, როგორს ფასსაც ჩარჩები დასდებენ, ან

უკანვე უნდა წაიღოს მოტანილი. წაიღოს და როდემდის ინახოს? წასვლა-მოსვლის და მოცდენის ხარჯი ვიღას მოსთხოვოს? დიდი ხანია, ეს უნუგეშო მდგომარეობა მიწათმომქმედისა ცნობილია ყველასაგან, დიდი ხანია ამისთანა ყოფას უჩივიან ჩვენი მემამულენი და დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ჰტრიალებს აზრი იმაზედ მიმართული, რომ ამ სატკივარს წამალი რამ დაედოს. დიდი ხანია ისიც გამორკვეულია, რომ აქ ცალკე კაცის ძალ-ღონით შეუძლებელია ეშველოს რამ საქმეს. აქ თუ უშველის რასმე, მარტო შეერთებული ღონე ამ მდგომარეობისაგან დაჩაგრულებისა, ესე იგი, ერთის მხრით მიწისმომქმედთა და მეორეს მხრით მუშტრებისა. ეს აზრი, ჩვენდა სასიამოვნოდ, მოიწიფა და დღეს ჰლამის განხორციელებას.

გუშინ, 2-ს თებერვალს, ამ საქმის მეთაურებმა შეჰყარეს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ოცდათხუთმეტ კაცზედ მეტი მოსასმენად ამ საგნის შესახებ შედგენილ პროექტისა. პროექტის დედააზრი იგია, რომ ტფილისში ვაჭრობა ხილისა და ბოსტნეულობისა რიგიანსა და სწორ გზაზედ დააყენონ იმ განსაკუთრებულ აზრით, რომ როგორც მოწარმოენი ხილისა და ბოსტნეულობისა, ისეც ამაების მუშტრები ჩარჩების ხელისაგან დაიხსნან და სყიდვა-გაყიდვაში არც ერთი აზარალონ და არც მეორე. ამისათვის, პროექტის აზრით, უნდა შესდგეს საზოგადოება მწარმოებელთა და მუშტართაგან და იმ საზოგადოებამ უნდა ხელთ იგდოს ვაჭრობა ხილისა და ბოსტნეულობისა. პროექტი ჰცდილობს, ყოველივე იმისთანა შემთხვევა წინ დანახული იყოს, რომ მის მიერ ნაკისრ ვაჭრობაში ერთის იოტის ოდენა მოტყუება არ იყოს არაფერში. წმინდა მოგება უნდა გაუნაწილდეს იმათ, ვინც წევრად ჩაეწერება საზოგადოებაში. ძირის-ფული, ესე იგი, თავნი, უნდა შესდგეს ათასი თუმანი. ეს ათასი თუმანი 400 კერძად (пай) არის გაყოფილი, თითო კერძი 25

მანეთია. ეს 25 მანეთი დანიშნულია მწარმოებელ-თათვის, რომელთაც ნება აქვთ, რამდენიმე კერძი დაიკვეთონ. მუშტარმა უნდა ყოველწლივ წინ შეიტანოს თითო თუმანი, რომლის ანგარიშში შეუძლიან საქონელი წაიღოს ნისიად იმ დრომდე, ვიდრე მთელი თუმანი შეუსრულდება. ამნაირად შემდგარი საზოგადოება იქონიებს სახლს ქირით, საცა ყველას ნება აქვს თავისი ნაწარმოები მიიტანოს და ან თითონ, როგორც ჰსურს, გაჰყიდოს, ან თვით საზოგა-დოების მმართელობას მიანდოს. პირველ შემთხვევაში საზოგადოებას უნდა ცოტა რამ აძლიოს ნაწარმოების შეფარებისათვის. საზოგადოებას რამდენიმე ცალკე დუქანი ექნება სხვადასხვა ადგილას ქალაქში ხილისა და ბოსტნეულობის სავაჭროდ.

ჩვენ ადგილი არა გვაქვს დაწვრილებით მოვიხსენიოთ აქ ყველაფერი, რაც წაკითხულ იქმნა ხსენებულს კრებაზედ. ჯერხანად საკმაოა მარტო დედააზრი და საფუძვლის ჩვენება, მით უფრო, რომ ამ სასარგებლო საქმეზედ, იმედია, არა ერთხელ მოგვიხდება ლაპარაკი. დღეს კი ეს უნდა შევნიშნოთ, რომ კრებულმა, შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, საჭიროდ დაინახა, საზოგადოების მოქმედება მარტო ხილისა და ბოსტნეულობის ვაჭრობაზედ არ შეაყენონ და ხორბლეულობის ვაჭრობასაც ხელი მოჰკიდონ. თუ ვინიცობაა საქმის წარმატება ამის ღონეს მისცემს საზოგადოებას. კრებამ გადასწყვიტა, რომ პროექტი წესდებისა შესდგეს, დაიბეჭდოს საყოველთაო საცნობელად და 12 თებერვალს წაკითხულ და გასინჯულ იქმნას კრებისაგანვე. კრება დანიშნულია სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ დიდის თანაგრძნობით მიიღო სარჩიელი ამ საქმის მეთაურთა და ეს თანაგრძნობა მარტო ცარიელი სიტყვა არ იყო: აქავ სამოცი კერძი (пай) დაიკვეთეს და კერძზედ თვითო მანეთი შეიტანეს წესდების დასაბეჭდად. დანარჩენი საკერძო ფული

უნდა გადასცენ ბუღჰალტერს სათავადაზნაურო ბანკისას თ. ფავლენიშვილს.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს საზოგადოება შესდგეს. არ არის მიზეზი, რომ კაცმა იმედი არ იქონიოს ამისთანა საზოგადოებაზედ. თუ ჩვენი საკუთარი თვითმოქმედება და თანაგრძნობა მხარს მისცემს. საქმე ის არის, რომ ჩვენმა მემამულეებმა პირველშივე გული არ გაიტეხონ და პირველშივე სულითა და გულით მიეგებნენ ამ დაწყობილებას. ყველგან ამ გზით ჰშველებიათ, ამ გზით დაუხსნიათ თავი იმ გაჭირებულ მდგომარეობისაგან, როგორშიაც დღეს ჩვენა ვართ ჩაცვივნულნი. აქ მარტო საკუთარი სურვილია საჭირო, რომ ჩვენს თავს ჩვენვე ვუშველოთ. ამ სურვილის გაღვიძებაზეა დამოკიდებული მთელი სიმარჯვე საქმისაცა. დროა, რაც ცალკე მეცადინეობით ვერ შევძელით, იმას შეერთებულის ღონით შევეჭიდნეთ. კიდევ ვიტყვით: ეს შეერთებული ღონეა ერთადერთი სახსარი, რომელიც ჩვენ ჯერ ამისთანაებში არ გვიცდია და რომელსაც ყველგან გაუმარჯვნია, საცა კი უცდიათ. მოვიწვევთ ჩვენს მემამულეებს, რომ რაც შეიძლება ბევრმა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში, რადგანაც დიდად საიმედო და სასარგებლო საქმეა.

[1889 წ.]

<მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში>

ტფილისი, 9 თებერვალი.

ბ-ნ სვიმონ ვეზიროვის წერილი შესახებ ვაზის ავადმყოფობისა, რომელიც ამ დღეებში დაბეჭდილი იყო „ივერიაში“, ძეტად შესანიშნავი წერილია. შესანიშნავია მით, რომ ჩვენში ჯერ არავის წამოუყენებია იგი მიზეზი ჩვენის ვენახების და ვაზის უღონობისა, რომელიც ბ-ნმა ვეზიროვმა ხსენებულ წერილებში გვაჩვენა. საბუთები, მოყვანილი ბ-ნ ვეზიროვისაგან თავის აზრის დასამტკიცებლად, ძალიან ჭკუაზედ ახლო არიან და იმოდენად საკმაოდ გამორკვეულნი, რომ კაცმა უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს პატივცემულის ავტორის აზრსა.

დედააზრი ბ-ნ ვეზიროვისა იგია, რომ მიწა, რომელზედაც გაშენებულია ჩვენში ვაზი, მოიღალაო. ამოდენა ხანია ვაზი სწოვს ერთსა და იმავე მიწასა და, რა საკვირველია, მიწა იმდენად გაღარიბდეს, რომ ვაზის საზრდოდ და სახეიროდ ბევრი აღარა შერჩენოდესო. ეს აზრი იმ უტყუარს საბუთზე აქვს დამყარებული, რომ სხვა ყოველს მცენარეს სწორედ ესევე შედეგი მოსდევს, თუ ზედიზედ მოჰყავთ ერთსა და იმავე მიწაზედა. ეს კანონი მიწისმოქმედებისა ყველამ კარგად იცის, დიდმა თუ პატარამ, გლეხმა თუ თავადმა. ჩვენში ყველამ კარგად იცის, რომ

ერთსა და იმავე მიწაზედ ზედიზედ არ უნდა დაითესოს ერთი და იგივე მცენარე. ნაქერალში ქერს არავინ დასთესს, ნაპურალში პურს, თუ მცენარე არ უცვალა. თუ ყოველი სხვა მცენარე ისე სწოვს მიწასა, რომ მეორე წელს იგივე მიწა იმ მცენარისათვის აღარ ვარგისობს, რატომ ვაზის გამოც ეს არ უნდა ვიფიქროთ, მით უფრო, რომ ვაზი არამც თუ ერთსა და ორს წელიწადს, არამედ ოცსა და ოცდაათს წელიწადს ერთსა და იმავე მიწაზედ ჰდგას და ერთისა და იმავე მიწიდამ გამოაქვს თავისი საზრდო და სასმელ-საჭმელი.

ყოველი ორგანებური არსება, მცენარეა თუ ცხოველი, დიდად დამოკიდებულია საჭმლის ავკარგიანობასა და მეტნაკლებობაზე. თუ საჭმელი არ უვარგა, ან ნაკლები აქვს, თითონ არსებაც მჭლეა, უღონო და უძლური. მჭლე, უღონო და უძლური არსება წინათვე განმზადებულია სენისთვის, ადვილად შეიყრის ყოველგვარს სენსა, ადვილად დაეჩაგვრინება, ადვილად დაიძლევა, რადგანაც, როგორც მთელი აგებულება, ისეც ყოველივე ცალკე ასო იმოდენად დაუძლურებული აქვს, რომ სენთან ბრძოლისათვის სენის მოსარევად არაქათი არა აქვს. თუნდ რომ სენიც არ იყოს, უღონო მცენარე დიდსა და ბევრს ნაყოფს ვერ გამოიღებს, გამოსავალი არა აქვს. ჩვენს ვენახებს, სხვათა შორის, უმოსავლობასაც უჩივიან. საცა უწინ დღიურს მიწას ხუთას-ექვსასი თუნგი მაინც უნდა გამოსვლოდა, დღეს ასს-ორასს თუნგს ძლივსღა სწურავენ ვენახის პატრონები.

ყოველს ამას ბ-ნი ვეზიროვი აბრალებს მიწის მოღალვას. მიწა გაცვდა და ვაზი ეხლა ვეღარ ჰშოობს იმოდენის სიუხვითა და სიკარგით თავის საზრდოს მოღალულს მიწაშიო. ეს მიზეზი, ჩვენის ფიქრით, ძალიან ჭკუაზედ ახლოა, ნამეტნავად იმ მაგალითებსა და საბუთებს შემდეგ, რომელიც ბ-ნ ვეზიროვს მოჰყავს. რა არის ამისი წამალი? რამ უნდა უშველოს აქ გაჭირებულ საქმეს? რითა და რა

გზით უნდა მიენიჭოს ვაზისაგან გამოწოვილსა და მოღალულს მიწას წინანდელი ნოყიერება, რომ ვაზმა უწინდებულად იხეიროს და თავი იკვებოს?

ბ-ნმა ვეზიროვმა ამის საპასუხოდ მიჰმართა თითონ ბუნებას და მიწათმოქმედების მეცნიერებას. აქედამ გამოირკვა, რომ ნაყოფთაცვლა თითქმის ერთადერთი სახსარია ხელახლად გაღონიერდეს მიწა რომელისამე მცენარისათვის, რომელსაც მიწა მოუღლია. ამისათვის მეტად საყურადღებო საბუთები მოჰყავს როგორც თავის საკუთარის გამოცდილებით გამოძიებული, ისეც სხვისაგან შემცნეული და დანახული. შორს რომ არ წავიდეთ, თითონ ჩვენშიაც ცნობილია ღირსება ნაყოფთცვლისა, ჩვენმა მხვნელ-მთესველმა კაცმა ძალიან კარგად იცის, რომ მიწას უნდა შეუცვალოს ხოლმე მცენარე. ქერს, პურს, სიმინდს იგი მუდამ უცვლის ხოლმე, თუ ერთსა და იმავე მიწაზედ უნდა ერთ-ერთის მოყვანა.

საკითხავი ეს არის: როგორ მოუხერხდეს ნაყოფთცვლა ვენახსა? ამაზედ ბ-ნი ვეზიროვი, როგორც ფრთხილი მაძიებელი საქმისა, არაფერს გვეუბნება. „აი საგანიო, — ამბობს იგი, — რომელიც ღირსია მცოდნეთა მევენახეთა დაკვირვებისა და გამოკვლევისაო. ვინც ამ საგანზე სწორე პასუხს მოგვიგებს, იგი გვასწავლის მევენახეთა ბედნიერების საიდუმლო კარის გაღებასაო". მართლა რომ დიდად და დიდად ღირსია კაცმა ამ საგანს გაუშტეროს ცოდნისა და გამოცდილების თვალი. ნაყოფთაცვლა იმ ადგილას, საცა ვაზია დარგული, შეუძლებელია, თუ ვაზი არ გადიკაფა და იმის სანაცვლოდ სხვა რამ არ დაითესა. ამ გარემოებამ დააბრკოლა უსათუოდ პატივცემული ავტორი, რომ წესი ნაყოფთცვლისა ბოლომდინ არ მიიყვანა ვაზის შესახებ. მართლადაც ძნელი გასაბედია ამისი თქმა, ამდენის ვაივაგლახით აშენებული და გამართული ვენახი როგორ გამოიმეტოს კაცმა! მეორეს მხრით ესეც ანგარიშში მისაღებია: თუ ვენახი თავის ხარჯს ვეღარ ააყენებს,

თუ საკმაო მოსავალს აღარ მოგვცემს, თუ გაგვაღარიბებს, რისღა მაქნისია? ამ ორ წყალს შუა დგომა ჩვენთა მევენახეთათვის მეტად მძიმე და ძნელი საქმეა. რა თქმა უნდა, ვენახების გადაკაფვას ამ შემთხვევაში ვერავინ ვერ ურჩევს ვენახის პატრონსა, ხოლო ამ ნაყოფთაცვლის საჭიროებას კი ჭკუადასმით ჩაფიქრება უნდა იმ მხრით, რომ როგორმე ეშველოს ვაზისაგან მოღლილ მიწას, თავისი ძალ-ღონე დაუბრუნდეს იმ გზით, რომ მცენარეც შეეცვალოს და არც ვაზი გადაიკაფოს.

ამ საგანზედ ერთი აზრი მოგვივიდა ჩვენ და იქნება შესაწყნარებელი გამოდგეს, ამიტომაც საჭიროდ ვხედავთ აქ წარმოვსთქვათ. იქნება შესაძლო იყოს, იმისთანა მცენარე რამ მოინახებოდეს, რომ ვაზებს შუა მოვიყვანოთ და მოღალულს მიწას ის სამსახური გაუწიოს, რაც საჭიროა ვაზის სახეიროდ და იმის საზრდოს მოჭარბებისათვის. მინამ ამ სარჩიელს მივიღებდეთ, ჯერ, რასაკვირველია, საჭიროა გამოვარკვიოთ: ნაყოფთცვლაში რა მოქმედობს მიწის გაღონიერებაზედ წინანდელ მცენარისათვის? ანუ, უკეთ ვსთქვათ, ბუნება ამზადებს მიწას წინანდელ მცენარისათვის მით, რომ მიწა იმ მცენარისათვის ისვენებს, თუ თითონ შეცვლილი მცენარე ამზადებს მით, რასაც იგი სტოვებს მიწაში? თუ ეს უკანასკნელია, მაშინ ჩვენი სარჩიელი თავის საბუთს ჰპოულობს და, მაშასადამე, შესაძლოა, გამოგვადგეს კიდეც. არ იქნება მეტი, რომ ამ მხრითაც ჩაუკვირდეს კაცი ღღევანდელს გაჭირებას ვენახებისას, რაკი გულს დავაჯერებთ, რომ მიზეზი გაჭირებისა მიწის მოღალვაა და სახსარი ხსნისა ნაყოფთცვლა.

[1889 წ.]

<საადგილმამულო გადასახადის გაწ-ერის კომიტეტის დადგენილება ტფილისის გუბერნიაში>

ტფილისი, 10 თებერვალი.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კომიტეტი საადგილმამულო გადასახადის გაწერისა ტფილისის გუბერნიაში ხელახლად უნდა შეყრილიყო პირველ თებერვლის შემდეგ და ამ დროისათვის მაზრის უფროსები დავალებულნი იყვნენ შეევსოთ მამულების სიები, რომელნიც პირველ კრებაზედ კომიტეტმა არ შეიწყნარა, რადგანაც საკმაოდ სავსენი ვერა სცნო. 7-ს თებერვალს მოწვეულ იქმნა კომიტეტი საგუბერნიო მართველობის დარბაზში. გადაისინჯა მაზრის უფროსებისაგან უკვე წარმოდგენილი სიები და აღმოჩნდა, რომ თითქმის ოთხასი ათასი დესეტინა ახალის სიებით მეტია უწინდელზედ. ეხლა გამორკეულია, რომ საადგილმამულო გადასახადი უნდა დაედვას არა 700.000 დესეტინას, როგორც წინანდელ სიებში იყო, არამედ ერთ მილიონ და ოთხმოცდახუთმეტ ათასს დესეტინასა. უწინდელის რიცხვის კვალობაზედ გადასახადი მოდიოდა დესეტინაზედ 3 $^{1}/_{4}$ კაპ., ეხლა კი ორ კაპეიკ ნახევარზედ ცოტა ნაკლები მოდის.

კომიტეტმა მიიღო რა მხედველობაში ახალი სიები, ყველაზედ უწინარეს იმას მიაქცია ყურადღება,

რომ მაზრებ შორის დიდი სხვადასხვაობაა როგორც მამულებისაგან შემოსავლითა, ისეც ღირებულობის მეტნაკლებობითა. ამ მიზეზით თანასწორად გაწერა მამულის გადასახადისა უსამართლობა იქმნებაო. უნდა ჯერ გაირჩიოს რომელს მაზრას ორ კაპეიკ ნახევრიდამ დესეტინაზედ მეტი უნდა შეხვდეს და რომელს ნაკლებიო. ამ მხრით გასინჯულმა საქმემ შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა აღმოაჩინა, რომ ტფილისისა და ბორჩალოს მაზრა აღემატება სხვა მაზრებს როგორც მამულებისაგან შემოსავლითა, ისეც ღირებულობითა. ამათ მოსდევს ახალციხის მაზრა, მერე გორისა, ახალქალაქისა, დუშეთისა, სიღნაღისა, თიანეთისა და თელავისა.

დადგინეს, რომ იმ ფულიდამ, რომელიც საერთოდ ტფილისის გუბერნიას დესეტინაზედ ჰხვდება, მეტი შეახვედრონ ტფილისის და ბორჩალოს მამულებსა, მერე ახალციხისას და მერე სხვებს წინად ჩამოთვლილ რიგობაზედ. ამ სახით შესაძლოა, რომ ზოგს მაზრას ორ კაპეიკ ნახევარზედ მეტი შეხვდეს დესეტინაზედ და ზოგს ორ კაპეიკზედაც ნაკლები. ამრიგად შეხვედრილი ფული დაედება იმდენს დესეტინას, რამდენიც თითოეულს მაზრასა აქვს ახალის სიებითა.

ამ სიებით აღმოჩნდა, რომ ტფილისის მაზრასა აქვს ხარჯის სახდელი მამული 119 469 დესენტინა; გორისას – 286 965; დუშეთისას – 108 625; თიანეთისას – 53 156; თელავისას – 55 754; სიღნაღისას – 72 441; ბორჩალოსას – 292 974; ახალციხისას – 76 306 და ახალქალაქისას – 30 066.

კომიტეტმა დაადგინა, რომ ამ დესეტინების რიცხვისა და მაზრების ავკარგიანობის კვალობაზედ გაეწეროს თითოეულს მაზრას საადგილმამულო გადასახადი. ეს გაწერა მიენდო ერთს მთავრობისაგან დანიშნულს წევრს, რომელმაც ამისათვის ერთი თთვე ვადა ითხოვა. როცა იგი წევრი შეასრულებს ამ

მინდობილობას, კომიტეტი ხელახლად შეიყრება, რომ დაბოლოებული განაჩენი შეადგინოს ამ საგნის თაობაზედ.

როცა კომიტეტი დაიშალა, თავადაზნაურთა წარმომადგენელთა სთხოვეს ბ-ნს გუბერნატორს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ეს გადასახადი არ გამოერთვათ 1887 წლიდამ, რადგანაც ეს საქმე მარტო დღესა თავდება და დღესაქამომდე არავინ არ იცოდა და არც გამოცხადებული იყო მთავრობისაგან. გუბერნიის მარშალმა აღუთქვა, რომ ამ შუამდგომლობას მთავრობის წინაშე მე მოვითხოვ ქაღალდით თავადაზნაურობის სახელითაო. ბ-ნმა გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ მეც, ჩემის მხრით, ვეცდებიო, რაკი მაგისთანა ქაღალდს მივიღებო.

[1889 წ.]

<ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ>

ტფილისი, 11 თებერვალი

ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ევროპის ეხლანდელი შინაგანი მდგომარეობა მეტად გამწვავებულია; ამის გამო ყველანი სცდილობენ შინაური საქმე რიგიანად მოაწყონ და მოჰმართონ და ამიტომაც დღეს ზოგიერთს სახელმწიფოს საქმე ისე გახდომია, რომ ამ მხრით თავს როგორმე უნდა უშველოს.

საფრანგეთში თავი იჩინა ბულანჟობამ და ლამის ერთი კაი ვაი-ვაგლახი ასტეხოს შინვე და ერთისა და იმავე ქვეყნის შვილნი ერთმანეთს დაატაკოს. გაუსინჯეთ გული ამ ბულანჟობას, ის მრავალგვარი ნაჭუჭები შემოაცალეთ და დაინახავთ, რომ მიზეზი მისის მოვლენისა და მერე გაძლიერებისა მარტო ის არის, რომ ერს ვეღარ აუტანია დღევანდელი ყოფა. სიმძიმემ დღევანდელის დღისამ შეჰხუთა ქვეყანა, არაქათი გამოაცალა და რად გვიკვირს, რომ პირველ ჩხავანა კატას, რომელსაც კი შეხვდა, ჩაავლო ხელი, აბა თაგვს ეს დაგვიჭერსო. აქ მთელს დღევანდელს აშლილობაში, ამ მინისტრების გადაყენ-გადმოყენებაში მარტო ერთი თავიდათავი მიზეზია, ერი თოფ-იარაღის ჭერით დაღალული და დამძიმებული, ხვალინდელის განსაცდელის შიშით ხელფეხშეკრული, ვეღარ იტანს დღევანდელს ყოფას და იძახის, — ოღონდ ეს ყოფა

კი ნულარ იქნება და სხვა რაც უნდა მოგვივიდესო, უარესი არ იქნებაო.

ამავე ყოფაშია იტალია. ეხლანდელი აშლილობა მუშებისა, რომელმაც მთელი ეს ქვეყანა ასე ძლიერ შეაფუცხუნა, იმავ სათავიდამ მოდის, იმავ მიზეზით არის მოვლინებული. ერი გააღატაკა ამ შეთოფიარაღებამ, დღედადღე მატულობს ხარჯი მხედრობის შესანახავად და გასაძლირებლად, ლუკმა-პურის ილაჯი გაუწყდა ერსა.

ამისთანავე დღე ადგია თითონ ძლევამოსილსა და გათამამებულს გერმანიასაც. ეს ეგრეთწოდებული „თავისუფლად მსჯელთა“ დასი რომ ასე გაცხარებულად ზედმისევია თ. ბისმარკს და მოსვენებას არ აძლევს, — რის ნიშანია? აბა შიგ გულში ჩაჰხედეთ ამ დასის ღაღადსა, თუ იმავე მიზეზთან არ მიხვიდეთ. ეს მიზეზი დღეს გერმანიაში ისეთი ძლიერია, რომ ლამის შეარყიოს აქამდე შეურყეველი ციხე-სიმაგრე თ. ბისმარკის ავტორიტეტობისა და სხვისთვის დაათმობინოს ბურთი და მოედანი. არ ვიცით, ხსენებული დასი ამით მოიგებს რასმე, ან წინ წასწევს თავის საქმეს თუ არა, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ ამ მხრით რაიმე ცვლილება ცოტად თუ ბევრად გულს მოჰფხანს.

ავსტრო-ვენგრიაში, მართალია, ჯერ ამ მიზეზს ისე აშკარად არ გამოუჩენია თავი, როგორც, მაგალითებრ, საფრანგეთსა და იტალიაში, მაგრამ დღევანდელმა მიმართულებამ პოლიტიკისამ აქაც მოუვლინა დიდძალი ნაღველი ამ ქვეყნის სვე-ბედის გამგებელთა. აქაური მთავრობა გერმანიის პოლიტიკამ იძულებული გაჰხადა ვენგერთა პალატაში შეეტანა ახალი სამხედრო კანონპროექტი. აპილპილდა ამაზედ მთელი ვენგრია და საქმე იქამდე გამწვავდა, რომ თუ მთავრობამ არა დაუთმო რა, ლამის ერთი ნახევარი ავსტრო-ვენგრიის იმპერიისა მეორეს დაეჯახოს. ეს აშლილობა, მართალია, გამოწვეულია ეროვნების სახელითა, მაგრამ დღეს მაინც დიდი შინაგანი

სატკივარია დიდად სანაღვლელია, რომ წამალი რამ დაედოს.

ინგლისის ერიც ჯერ არ უჩივის თავის ცხოვრების სიმძიმეს, თუმცა ეს სახელმწიფოც დიდს სამხედრო მზადებაშია და მხედრობის გაძლიერების ფიქრში. ხოლო აქ თავისი დიდის ხნის მძიმე სატკივარია და ეგ სატკივარი ირლანდიის საქმეა. ეს საქმე ისეთია, რომ ინგლისს გაბედულად ევროპის პოლიტიკაში მონაწილეობას ვერ მიაღებინებს. გარდა ამისა, დღეს ინგლისის თვალი შორს ქვეყანაზეა მიქცეული. ავღანისტანში რაღაც მოძრაობაა და მინამ აქ საქმე თავის კვალში ხელახლად არ ჩასდგება, ინგლისი სხვა საქმისათვის ბევრს ვერას მოიცლის.

ამ სახით ვხედავთ, რომ დღევანდელს დღეს თითოეულს დიდს სახელმწიფოს თავისი საკუთარი სატკივარი აქვს აჩენილი და იმოდენად დიდი სატკივარი და დაუხანებელად მოსარჩენი, რომ, თუ არ უკიდურესი რამ მიზეზი, საგარეო საქმეთათვის ხელს არავის გაანძრევინებს, ანუ, უკედ ვსთქვათ, დიდის ომისათვის არავის არ გამოამეტებინებს თავსა. არ ვიცით, იქნება ამ სატკივრების თესლი თითონ დიპლომატიისაგან არის აქა-იქ ოსტატურად გადაყრილი. ეხლანდელ დროში ყველაფერი დასაჯერებელია და შემძლებელს კაცს სად არ მიუწვდება ხელი. ხოლო საქმე ყველგან ასეა და აი ამას უნდა მიეწეროს, ჩვენის ფიქრით, ის ამბავი, რომ დღეს ომის ატეხის ხმები სრულად მიმწყდარია. ისე გაუჩუმდნენ დღეს ომს, თითქო ყოველივე მიზეზი ომისა თავიდამ მოშორებოდეს ევროპას და იგი დღეს არა ჰგავდეს თივას, რომელშიაც ცეცხლია დამალული. სხვა რომ არა იყოს რა, ეს ხომ ვიცით, რომ გერმანია უომრად ვერ გადარჩება. ამაში ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს. საქმე იმისთანა დროისა და გარემოების ხელში ჩაგდებაა, რომ გერმანიისათვის გამარჯვება უეჭველი იყოს ცოტად თუ ბევრად. ამ დროისა და გარემოების მოლოდინშია დღეს გერმანია

და იმის ცდაში, რომ ეს დრო და გარემოება მოიმ-ზადოს.

ეს ამბავიც საკმარისია, რომ დღევანდელს მიყუ-ჩებულს ყოფას ევროპისას კაცმა სანდო თვალით არ უყუროს.

[1889 წ.]

<პროცესი მკურნალთა შორის>

ტფილისი, 16 თებერვალი.

კიდევ ერთი ახალი პროცესი მკურნალთა შორის. დოქტორები ბ-ნი ბაბოვი და კორონა ერთმანეთს წაჰკიდებიან იმის გამო, ვითომც ერთმანეთისათვის წუნი დაედვათ როგორც მკურნალთათვის და ამ მიზეზით დღეს ორნივე სამართლის წინაშე სდგანან განსამართლებლად. ჩვენს თვალში ეს საქმე იმითი არ არის საზარბიელო, რომ გამოვიძიოთ, ვინ არის აქ მართალი და ვინ მტყუანი. ამ მხრით ეს საქმე არაფერს საზოგადო ინტერესს არ წარმოადგენს და გამართლება და გამტყუვნება შეეხება მხოლოდ მოჩივრებსა, როგორც კერძო კაცებს.

ყოველთვის, როცა კი ამისთანა საქმე გამოტყვრება ხოლმე, ერთი მოუსვენარი ფიქრი წარმოუდგება კაცსა და ამ ფიქრის გამო კაცი ეკითხება თავის თავსა: რანი არიან მკურნალები? რომ ჩაუკვირდეთ ყოველ იმ ამბებს, საცა გმირებად გამოდიან მკურნალები, ერთმანეთს წაკიდებულნი, უსათუოდ შეამჩნევთ, რომ მკურნალნი ერთობ ერთს რაღაცა კრებულს შეადგენენ ამქარის მზგავსსა. ერთი მეორეს წინ ვერ გადუდგება, ერთი მეორეს ვერ გაუბედავს შეამცნიოს უცოდინარობა, უვიცობა. ეგ კიდევ არაფერი: ერთი რომ თავის უცოდინარობით, გამოუცდელობით მოსარჩენს სნეულს საიქიოს

ისტუმრებდეს და მეორე ამასა ჰხედავდეს, ვერ იტყვის: კაცო, რას შვრები? რადა ჰკლავ ამ უბედურსაო? ამისთანა მეტიჩარა მკურნალს აუპილპილდება მთელი კრებული მკურნალთა რაღაც „ამხანაგობის სახელითა“ და მიწასთან გაასწორებს. რად უნდა იყოს ეს საზოგადოდ და იქ ნამეტნავად, საცა საქმე ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეზეა მივარდნილი?

იტყვიან: თუ ესე „ამხანაგობის სახელით“ ხელშეკრულნი არ იყვნენ მკურნალნი, ხომ ერთმანეთს სიცოცხლეს გაუმწარებენ, არსებითის პურის შოვნა ერთი მეორეს ორმოს გაუთხრევინებს და გაიმართება ერთი წეწვა-გლეჯაო. არა გვგონია, ამისთანა შედეგი მოჰყვეს, თუ ეგ ამქრული თვისება ჩამოეცლება მკურნალთა. მკურნალნი ერთობ განათლებულნი კაცნი არიან, რადგანაც მკურნალად გამოსვლა შეუძლებელია, თუ არ უმაღლესის სასწავლებელიდამ. ჯერ ერთი, ეს გარემოება თავმდებია იმისი, რომ სიხარბე არსებითის პურის შოვნისა აქ ცოტად თუ ბევრად შელაგმული იქმნება განათლებისაგან. მეორე ისა, რომ ყოველი სხვა ხელობა თავისუფალია „ამხანაგობის“ შეკრულობისაგან და რატომ იქ არ არის ის საშინელი წეწვა-გლეჯა, რომელსაც ვითომ მკურნალთა განთავისუფლება „ამხანაგობის“ შეკრულობისაგან გვიქადის. თუნდ ეგეც არ იყოს და თუნდ მართლა მკურნალთა შორის ერთი ალიაქოთი ჩამოაგდოს ამ თავისუფლებამ, ვინ რას დაჰკარგავს? მარტო მკურნალთ წაართმევს ეს მოსვენებასა და ნუთუ მათს მოსვენებას უნდა შეეწიროს ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საქმე.

არა ხელობა და არა საზოგადოდ მოქმედი კაცი არ არის ქვეყანაზე, რომ გამორჩეული იყოს ერთის მხრით საზოგადოებისა და მეორეს მხრით ამხანაგთა კრიტიკისაგან. მართალია, საზოგადოების კრიტიკას გზა შეკრული არა აქვს მკურნალთა მოქმედების გამოძიებისა, მაგრამ აქ ამხანაგთა კრიტიკას კი

პირში ბურთი უდევს. იგი ხმას ვერ ამოიღებს უიმისოდ, რომ მიწასთან არ გასწორდეს სხვა ამხანაგთაგან. ყველგან კრიტიკის თვალს თავისუფალი სარბიელი აქვს და აქ მოგებაშია მარტო საზოგადოება, რომელიც კრიტიკის შემწეობით მართალსა ჰხედავს როგორც ხელობისა, ისეც მომქმედის კაცის შესახებ. რასაკვირველია, შესაძლოა კრიტიკაში ბევრი ტყუილიც გამოერიოს, შესაძლოა კრიტიკა აალაპარაკოს არა მარტო მართალისა და ჭეშმარიტების აღმოჩენის წყურვილმა, შესაძლოა სიხარბემ, მეტის ლუკმის შოვნამ, სხვის გადალახვამ, მტრობამ, შურმა და სხვა ამისთანა ქვენა გრძნობამ წმინდა უფლება კრიტიკისა წაჰბილწოს, ნაცარტუტად აქციოს, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია და ტყუილის შიშმა რად უნდა გააჩეროს მართლისა და ჭეშმარიტების ძიება.

ავიღოთ, მაგალითებრ, მწერლობა, ლიტერატურა. მწერლობა იგივე ჭკუის პროფესიაა, როგორც მკურნალობა. აქაც, როგორც მკურნალობაში ნიჭს, ცოდნას, გამოცდილებას, გამჭრიახობას, გულდადებას პირველი ადგილი უჭირავს, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გამოუცდელს, უცოდინარს, გულდაუდებელს მკურნალობას ადამიანის სიკვდილი ან სამუდამოდ ჯანმრთელობის წახდენა მოსდევს და მწერლობას კი რაც უნდა იყოს — ასეთი გაუსწორებელი ვნება არ მოაქვს. განა მწერლობაში ერთი მწერალი მეორეს შეუბრალებლად არა ჰპენტავს საქვეყნოდ? განა მწერლის ავკარგიანობას ჰმალავს მწერალი ვინმე ამხანაგთა შიშით? განა აქ კი ერთმანეთს სახელს არ უტეხენ, არ უფუჭებენ და ხშირად ლუკმა-პურის ილაჯსაც არ უწყვეტენ?

ხომ ესეა და აბა თუნდ ერთი მაგალითი გვიჩვენეთ, რომ მწერალი მწერალს გამოსარჩლებოდეს ამხანაგობის სახელითა? აქ ტყუილი მართალს ებრძვის და მართალი ტყუილსა და თუ ვინმე ვისმე წაექომაგება, მარტო მართალის

სახელითა და არა მით, რომ მწერალი მწერალის ამხანაგია და ამხანაგმა ამხანაგის ძვალი არ უნდა გასტეხოს. აქ მწერლობაში არავითარი ამქრული შეკრულობა არა მოქმედობს. აქ ავკარგიანობა თვითეულისა ყველასათვის საერთოდ და ამხანაგთათვის ცალკე ხელმისაწვდენი და გამოსარკვევი საგანია. აქ რომ გამოვიდეს მწერალი და სთქვას: დახე, მწერალი მწერალს არ ინდობს, არა ჰზოგავს, ვაი ამ დღის მომსწრესაო, სასაცილოდ აიგდებენ საქვეყნოდ დიდნი და პატარანი.

მკურნალთა კრებულს კი ამის თქმა თითქო კანონად აქვთ დადებული და ვაი იმას, ვინც ამხანაგს გააჩერებს, როცა იგი თავისის უცოდინარობით, გამოუცდელობით სენისაგან მოსარჩენს ადამიანს სიცოცხლეს უსპობს და საფლავს უთხრის გულმშვიდად და გულგრილად იმ იმედით, რომ ამ ჩემს საქციელზედ არც ერთი ჩემი ამხანაგი კრინტს არ დასძრავს და სხვას კი თვალებს ავუბამ და ვეტყვი, მთელი სამკურნალო მეცნიერება ამ შემთხვევაში უღონო იყო სნეული სიკვდილისაგან დაეხსნაო.

რად უნდა იყოს ამისთანა ამქრული ზნე-ჩვეულება მკურნალთა შორის, როცა არსად არა ხელობაში, არა პროფესიაში არ არის და თუ არის სადმე, იქიდამაც გამოსადევნელია? მკურნალობა იმისთანა განსხვავებული რამ რად არის, რომ ასეთი უპირატესობა ეძლევა სხვათა პროფესიათა შორის? იქნება ჩვენზე უფრო მცოდნე კაცთა ჰქონდეთ ამისი ღირსეული პასუხი და ჩვენ კი, — სწორედ მოგახსენოთ — ვერ მიგვიგნია.

[1889 წ.]

<საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო>

დიდი ხანია, ლაპარაკი იყო, რომ აქაური სასულიერო წოდება აპირობს სიონთან დააარსოს მუზეი შესანახავად და დასაცავად ძველთა საეკლესიო ნაშთთა, რაც კი აღმოჩნდება საქართველოს საექზარხოსოში. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს განზრახვა დღეს უკვე შეუსრულებიათ და სიონის ჩრდილოეთით, სიონისავე ეზოში, დღეს წამოჭიმულია ლამაზი შენობა მუზეისათვის და წესდებაც საეკლესიო-საისტორიო მუზეისა უკვე დამტკიცებულია და გაზეთებშიაც გამოცხადებული.

ამ წესდებაში სხვათაშორის მოხსენებულია, რომ სასურველია ამ ძველთა ნაშთთა საცავში მოგროვდეს როგორც გუჯრები, რაც კი დღეს საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში და ეგზარხოსის ეპარხიაში მოიპოვება, აგრეთვე იგი გუჯრები, რაც კანტორას გადაუცია სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის ტფილისსა თუ ქუთაისში. გარდა ყოველ ამისა, აქ მუზეიში უნდა შეიკრიბოს ყოველივე ძველი საეკლესიო ნივთი, რაც კი სადმე აღმოჩნდება და სადამდინაც კი მუზეის გამგებელთ ხელი მიუწვდებათ. აქ ჩვენს მთელს წესდებას არ მოვიხსენიებთ, რადგანაც ჩვენს გაზეთში ცალკე იბეჭდება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ამ მუზეის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე

კაცი დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს.

ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფანტული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, ტაძრებში, რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო ადგილას ჰყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში რამდენი იკარგება, ჰფუჭდება და იღუპება. ეხლა კი, რაკი მუზეი არის, ყოველი ეს ერთს ადგილას თავს მოიყრის, და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა. იმას აღარ ვიტყვით, რომ დღეის იქით შიგ ჩვენს დედაქალაქში შეიკრიბება ეგ ძველი ნაშთები, კაი ბინა ექმნება, ყოველი ნივთი თუ ნაწერი, წესსა და რიგზედ გარიგებული და ამ გზით ყოველის მოწადინესათვის ადვილად ხელმისაწვდენი, სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება.

თუ ამ მუზეის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს, არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქმნას, რომ სხვის ყურადღებაც მოიზიდოს, როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამოსადეგობითა. ჩვენი ქვეყანა სავსეა ყოველგვარის ძველის ნაშთითა, და თუ დღეს ამას არა ვხედავთ, იმისი ბრალია, რომ არ ვიცით, სად რა არის, და ვის რა აქვს. ყოველი ეს ხომ შეძლებისამებრ ერთს ალაგს ტფილისში მოგვიგროვდეს, როგორც აზრადა

აქვს მუზეისა, მაშინ, იმედია, დავინახავთ, რა განძი დებულა ჩვენს ქვეყანაში უქმად და გამოუყენებლად.

„ყოვლად წმინდის ღვთის-შობლის ძმათა“ საბჭოს საეკლესიო-საარქეოლოგიო ნაწილი მუზეისა ჩაუბარებია იმისთანა კაცთათვის, რომელთა შორის უფროს-ერთნი ცნობილ არიან, ვითარცა მცოდნენი და მკვლევარნი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისა. ამისთანა კაცნი საკმაოდ თავმდებნი არიან, რომ ამ ახლად დაწყებულ საქმეს სათავეში კარგნი გამგებელნი ეყოლება და, მაშასადამე, იმედია თვით საქმის კეთილად დაწყებისა და განგრძობისა.

[1889 წ.]

<„სამთა კავშირის“ ბატონობის დასუსტება ევროპაში>

ტფილისი 21 თებერვალი.

დასავლეთ ევროპის დიდს სახელმწიფოებს რომ კაცმა თვალი დააცქეროს, ყველგან ერთი და იგივე ამბავი დახვდება. საითაც კი მიიხედავთ, ყველგან ერთი დავიდარაბაა ატეხილი იმაზედ, რომ ეხლანდელი სამინისტროები და სამინისტროების მოთავენი არ გვივარგანო, სახელმწიფო საქმეებს, შინაურს თუ საგარეოს, კარგად ვერ უძღვებიანო, ყოველ ამის გამო სიმძიმე ყოფა-ცხოვრებისა გვემატება და ლამის ილაჯი გაგვიწყდესო. ყველგან, საცა კი მინისტრებზედ ამისთანა სამდურავი ისმის, მიზეზს ყოველ ამისას სდებენ დღევანდელ პოლიტიკას ევროპისას და რადგანაც ამ პოლიტიკის გამგენი მინისტრები არიან, რა თქმა უნდა, წამალს მინისტრების გადაყენებაში და სხვა ახლების მოწვევაში ჰხედვენ.

საფრანგეთმა ხომ დაითხოვა სამინისტრო ფლოკესი და ახალი სამინისტრო დაიყენა ტირერარის მეთაურობით. დიდი იმედი საქმეთა უკეთესად გარიგებისა არც ამ სამინისტროსი აქვთ. ამიტომაც ამ სამინისტროს დღეგრძელობას არავინ არ უქადის და ჰგონიათ დიდი საქმე იქნებაო, თუ ამ სამინისტრომ თავი დაიჭირა ახალ საერთო არჩევანამდე, ანუ,

საქვეყნო გამოფენის გათავებამდეო. ცხადია ეგ სამინისტრო წინადვე ანდერძაგებულია და საფრანგეთი ელის სხვა დროს სხვა მინისტრების მოსაწვევად. ამ სახით ითქმის, რომ სამინისტრო კრიზისი დღეს საფრანგეთში დაყუჩებულია და არა მორჩენილი.

ავსტრი-ვენგრიაში მისცვივნიან მთავარმინისტრს ვენგრიისას ტისსას და მისი ჩამობრძანება ჰსურთ სამინისტრო ტახტიდამ. ამაზედ დღეს დიდი დავიდარაბაა ატეხილი ვენგრიაში და დღეს ყველანი ელიან, რომ ტისსას მთავარმინისტრობაზედ ხელს ააღებინებენ და მის ადგილას სხვას მოიწვევენო. ეს დავიდარაბა იქამდეა გაცხარებული, რომ არამც თუ პარლამენტში, თვით პარლამენტ გარედაც დიდი წინააღმდეგობაა გამართული.

ამავე ყოფაშია იტალიის მთავარმინისტრი კრისპი — ეს ტისსასავით თავდადებული მომხრე ეგრედწოდებულ „სამთა კავშირისა“, რომელსაც თ. ბისმარკი შეჰხარის და შეჰნატრის მარტო გერმანიის საკეთილდღეოდ და გამოსაყენებლად. აქაც დღედადღე ძლიერდება კრისპის მიმართ წინააღმდეგობა, იტალიის პარლამენტის ოპოზიცია თანდათან თანაგრძნობას ჰპოულობს და თვითონ ერიც იტალიისა ხმამაღლა აცხადებს თავის სამდურავს და უწუნებს კრისპის საქმეთა გამგეობას. აქედამაც ხმები ისმის, რომ იტალიის სამინისტროს ფეხქვეშ მიწა შეერყაო და იქნება მეტი ხანი არ გავიდეს და კრისპი თავის ტახტიდამ გადმობრძანებული ვნახოთ.

მინისტრების ცვლა ავსტრი-ვენგრიასა, იტალიასა და ნამეტნავად საფრანგეთში ახალი ამბავი არ არის. ეგ ხშირად მომხდარა და კვლავაც მოხდება ამ ქვეყნებში. აქ მხოლოდ შესანიშნავი ეს არის, რომ ერთსა და იმავე დროს აუჩნდათ ეს შინაური ტკივილი თვითვეულს ზემოხსენებულს სახელმწიფოს და თუ ყოველივე ეს განსაკუთრებით ყურადღების ღირსია, უფრო ამ მხრით არის ღირსი. საქმე ის

არის, რომ ეს ჭირი გერმანიასაც გადაედო, ესე იგი, იქაც გადავიდა, სადაც სადავე სახელმწიფოს საქმეთა გამგეობისა იმისთანა კაცს უჭირავს, როგორც თ. ბისმარკია, აქამდე ყოვლად ხელმიუწვდენელი, შეურყეველი და დიდის სახელის მქონებელი როგორც მთელს გერმანიაში, ისეც მთელს ევროპაში. დღეს გერმანიაშიაც თ. ბისმარკის წინააღმდეგად ბევრი ჰლაპარაკობს და იძახიან, — დაჰბერდა და სახელმწიფო საქმეებს ვეღარ გასძღოლია წინანდელის გამჭრიახობით და წინმხედველობითაო. აქაც ჰლამიან თ. ბისმარკის გადაყენებას და მის მოადგილედაც უკვე ასახელებენ გერმანიის მხედრობის მთავარ შტაბის უფროსს გრაფს ვალდენზეეს, ეხლანდელს იმპერატორის საყვარელს და ძლიერ დაახლოვებულს კაცსა.

რას მოასწავებს ყოველივე ეს? რას ჰნიშნავს ეს ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე მიმართულება და მსვლელობა შინაურთა საქმეთა ოთხს სხვადასხვა ძლიერს სახელმწიფოში, რომელთა ხელშიაც არის დღეს თითქმის ორივე წვერი დასავლეთ ევროპის პოლიტიკის საბლისა? გერმანიაში თ. ბისმარკი, იტალიაში კრისპი, ვენგრიაში ტისსა — ეს სამნი თავდადებულნი არიან „სამთა კავშირისათვის“, რომელმაც ასეთი ყოფა-მდგომარეობა ევროპისა შეჰქმნა და ასე შეაწუხა ევროპის მკვიდრნი. მაშასადამე, გულში რომ ჩავხედოთ ჩვენ მიერ მოხსენებულ ამბებს, დავინახავთ, რომ ამ „სამთა კავშირს“ ამ სამს სახელმწიფოში სახელი გაუტყდა, თვითვეულის სახელმწიფოს მკვიდრთა გული აიყარეს დღევანდელს ყოფაზედ და იმედი გადიწყვიტეს, რომ ამ “სამთა კავშირისაგან“ რაიმე სიკეთე მოევლინება ევროპას. ამის შემდეგ, ცხადია, რომ იმ კაცებს ებრძვიან, იმ მინისტრებს სწუნობენ, რომელთ მეოხებითაც დღესაქამომდე ეს „კავშირი“ არსებობს და ჰბატონობს ევროპაში. და თუ გერმანიაში თ. ბისმარკს, იტალიაში კრისპის და ვენგრიაში ტისსას

— ამ სამს ძლიერს მომხრეს „სამთა კავშირისას“ აბრუ უტყდებათ თავიანთსავე სახელმწიფოებში, ცხადი ნიშანია, რომ ევროპის ერნი ამ „კავშირის“ გაუქმებას ნდომულობენ და ჰსურთ სხვარიგად დაწყობა ევროპის საქმეებისა, სხვარიგად ერთმანეთში გასვლა-გამოსვლა და, მაშასადამე, სხვა ახალის კაცების აჩენაცა საქმეთა გასაძღოლად.

ჩვენა გვგონია, რომ დღევანდელი ვითარება ევროპისა სწორედ ამისი მომასწავებელია. უეჭველია „სამთა კავშირს“ ჭია გასჩენია და ჰღრღნის პირქვე დასამხობლად. ძნელად დასაჯერია, რომ გერმანიასა, ავსტრი-ვენგრიასა და იტალიაში ამისი წინადგრძობა არ მოქმედებდეს დღეს და თვითვეულს ამ სახელმწიფოში არ იყოს აშლილი წყურვილი, რომ გამოეთხოვონ დღევანდელს ყოფა-მდგომარეობას, „სამთა კავშირისაგან“ შექმნილს და სხვა ახალი სათავე გაუკეთონ საქმეთა მდინარეობას. ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროდ გაუხდათ „სამთა კავშირის“ მომხრენი მოიშორონ თავიდამ და მათ მაგიერ მინისტრებად დაიყენონ იმისთანები, რომელნიც ამ ახალს ვითარებას შესაფერად გაუძღვებიან.

ყველაფერს ამაში შესანიშნავი ის არის, რომ ვენგრიაში ტისსას, იტალიაში კრისპის ხშირად აგონებენ და აყვედრიან, რომ ზურგი რად შეაქციეთ საფრანგეთსა და რატომ ეგრე ნალოსავით ასთრევიხართ თ. ბისმარკისაო. ეგ „სამთა კავშირი“, რომლითაც შეგკრათ და შეგბოჭათ თ. ბისმარკმა, გახურებული თონეა, საცა პური მარტო გერმანიისათვის ცხვება ჩვენის ხელითა და ამაგითა და რად გვიშვრებით იმისთანა საქმესა, რომ შინ შვილები გიტირიან და გარედ კი ტაბლა გაგაქვთო. ამგვარი სამდურავი დღეს იტალიაში ძლიერია და ავსტრი-ვენგრიაშიაც ფეხს იკიდებს და ავალას იკეთებს. არავინ იცის, — იქნება იმასაც მოვესწრათ, რომ გულშემატკივრობა ზოგიერთის ევროპის სახელმწიფოსი, ეხლა გერმანიისაკენ ცოტად თუ

ბევრად მიდრეკილი, კვლავ დაუბრუნდეს საფრანგეთსა და ამით საფრანგეთმა ხმა და ძალი მოიმატოს ევროპაში. მაშინ ვერაფერი დღე დაუდგება გერმანიას და ამ დღის მოლოდინში იქნება. თ. ბისმარკს უღონობა შესწამეს, რომ ვეღარ მოახერხებს ეს დღე თავიდამ აგვაცილოსო და ამიტომაც მის სამაგიეროდ სხვა კაცის მოწვევისათვის დღეს ხმა დასძრეს და ლაპარაკი ასტეხეს.

ესეა თუ ისე, ჩვენ მიერ შენიშნულ მოძრაობისაგან აშკარადა სჩანს, რომ ხანა „სამთა კავშირის" ბატონობისა ევროპაში ჰცვდება და ილევა და მის სამაგიეროდ ახალს სხვა ხანას ევროპის პოლიტიკისას კარი ეღება. დღეს ყველანი იმის ცდაში არიან, რომ ამ ახალს ხანას ახალნი კაცნი შეურჩიონ და ამ ახალ კაცთა შერჩევაში ჰხედვენ წამალს დღევანდელის სატკივარისას. ჩვენის ფიქრით, სხვა აზრი და საბუთი არა აქვს იმ მოძრაობას, რომელიც შენიშნულია დღეს გერმანიასა, საფრანგეთსა, იტალიასა და ავსტრი-ვენგრიაში.

[1889 წ.]

<გლეხკაცთა უნუგეშო ყოფა-ცხოვრება>

ტფილისი, 22 თებერვალი.

გლეხკაცთა ყოფა-ცხოვრება და ქონებითი შემძლებელობა ყველაზედ ძლიერ დამოკიდებულია სამუშაო და თითო-ოროლა მოცადს საქონელზედ. იგი გლეხი ღარიბ კაცად ითვლება, ვისაც სამუშაო საქონელი არა ჰყავს და ერთი ძროხა მაინც არ უგდია, რომ წველას გამორჩეს და წელიწადში ერთი ხბო მაინც გაზარდოს ბოლოს გამოსაყენებლად. ამ თავდათავ წყაროს გლეხის კეთილდღეობისას ორი უბედურება თანა სდევს; ერთი საქონლის ჭირი, რომელიც ხშირად ცარიელზედ დასვამს ხოლმე გლეხსა და მეორე ქურდობა, რომლის შიშით ჯერ ძვირად უჯდება შენახვა საქონლისა და მერე იმისთანა ამბავსაც დაატეხავს ხოლმე თავზედ, რომ ძვირად მოვლილსა და შენახულს საქონელს ხელიდამ აცლის.

საქონლის ჭირს ჩვენებური გლეხი ღვთის წყრომას აბრალებს და ამ უბედურობას მოთმინებით ემორჩილება, როგორც ღვთისაგან მოვლენილს წყრომასა. ამიტომაც გაჩნდება სადმე ჭირი თუ არა, გლეხკაცი, თუმცა ჰცახცახებს, ჩემს საქონელს არ მოერიოს და არ დავიღუპოვო, მაგრამ ჭირის თავიდამ ასაცდენად არაფერს თავდარიგში არ შედის და ყველაფერს თავის გულადძვირ ბედზე მიაგდებს

ხოლმე. გარედამაც ამ შემთხვევაში არავითარი შემწეობა არ უჩანს. თვითონ საზოგადოება სოფლისა ყოველს ამაზე მიყრუებულია, არაფერს ჰნაღვლობს, არფერს ზრუნავს და ეს უნაღვლელობა, უზრუნველობა იქამდე მიდის, რომ სოფლის მოხელენი არამც თუ საჭიროდ ხედავენ ჭირის მოვლენის დროს რაიმე გასაფრთხილებელი წესი და რიგი დაიცვან, არამედ არც კი აცნობებენ ხოლმე უმაღლესს მთავრობას, რომ სოფელს ეს უბედურება ეწვიაო. ამ სახით საქონლის ჭირიანობის დროს გლეხი ყოვლად უმწეო და უნუგეშოდ არის დარჩენილი: არც თვითონ სცდილობს, უბედურება აიცილოს თავიდამ და არც არავინ სხვა მის გარშემო და თავისუფლად მოარული ჭირი მუსრს ავლებს.

ეს ხომ ასეა, მაგრამ ჩვენებური გლეხკაცი ისე ჭირისაგან ვნებული არ არის, როგორც ქურდობისაგან. ჯერ ისა, რომ ჭირი, ღვთის მადლით, იშვიათია, მეორე ისა, რომ ჭირი თუ თან გაიტანს საქონელს, მარტო იმით აზარალებს ხოლმე გლეხკაცსა; მოუკლავს ჭირი საქონელსა, ალბათ ღმერთს ასე უნებებდაო, იტყვის და ღვთის ნებას ასე თუ ისე, ემორჩილება მოთმინებით. სულ სხვაა ქურდობა, აქ გლეხკაცი ჰკარგავს საქონელსა და ქურდის დევნაში თითქმის დანარჩენსაც ზედ წააგლესავს ხოლმე. ხშირად მომხდარა, რომ ერთს დაკარგულს ხარს მთელის წლის ამაგი გადააყოლოს აქა-იქ თრევაში და მთხრობლებისა, კვალისა და გეშის ძებნაში. ეს ამოდენა ხარჯი, მოცდენა, თრევა და წანწალი დაკარგულის საქონლის უკან — ხშირად უქმათაც ჩაუვლის ხოლმე და გლეხი ხშირადვე შინა ჰბრუნდება უფრო გაღარიბ-გაღატაკებული, ვიდრე გასულა. აქ ქურდობაში დაკარგვა ხომ დაკარგვაა და რასაც დაკარგულს გადააყოლებს ხოლმე საწყალი გლეხი, ეგ მეტია; ხშირად შეგვიტყვია ამგვარი საჩივარი გლეხთაგან, ხშირად უთქვამთ: არ დავუწყოთ ძებნა, არ იქნებაო, უფრო

გაგვიხალისიანდება ქურდი და უფრო დაგვიბრიყვებს და შემოგვეჩვევაო. ჯერ ეს ფიქრი არ გვასვენებსო და მერე გული — გულიც ვეღარ გვითმენსო. დანაკარგი როგორ არ მოვნახოთ! ჩვენი ცხოვრება საქონელიაო, სხვა არა იყოს რა ჯალაბის ყვედრებას ვეღარ ავუვალთო.

მართალია, იმათი ცხოვრება საქონელია, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ შემთხვევაში ეგრე არ უყურებენ გლეხკაცის დანაკარგს მოხელენი, რომელთა მოვალეობაა, ყველას მისი საკუთრება ხელ-შეხებელად მოახმარონ და შეარჩინონ. სოფლის მოხელენი ხომ ამისთანა საქმეში ყურსაც არ გაიბღერტენ ხოლმე. ისიც დიდი საქმე იქნება ამათგან, რომ მაზრის მთავრობას აცნობონ ამა და ამ კაცს ხარი, თუ კამბეჩი მოჰპარესო, თორემ ზოგჯერ ამასაც საჭიროდ არა ჰხედავენ. მაზრის მთავრობაც ძალიან ძვირად დაიძვრის ხოლმე თავის ადგილიდამ და უფრო ხშირად მოხელის მოხსენებას „входящий“-ში ჩააწერინებს და ამით თავდება საქმე. ზოგი გულშემატკივარი მოხელე მაზრისა იქამდინაც მიდის ხოლმე, რომ მისწერს მამასახლისს: გიბრძანებ, შენ, ამა და ამ სოფლის მამასახლისო, ყოველივე ღონე იხმარო და ქურდი იპოვო. ესეც ჩაიწერება „исходящий“-ში, თავისი ნომერი და თარიღი დაესმის და წავა ეს ქაღალდი, რომ სოფლის სამწერლოში დალპეს ან თაგვებმა გამოხრან. ამ სახით რაკი ერთმა მისწერა და მეორემ მოსწერა, გარიგდა საქმე და მიმწერსაცა და მომწერსაც თავისი მოვალეობა ასრულებული ჰგონიათ.

ეს იმიტომ არის ესე, რომ მაზრის მოხელენი გლეხკაცის დანაკარგს არაფრად სთვლიან. მართალია, დანაკარგი გლეხკაცისა დიდის ფასისა არ არის გარეშე კაცისათვის, მაგრამ თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ გლეხ-კაცისათვის ორთუმნიანი ძროხა, თუ ხარი ხშირად იმისთანა განძია, რომელზედაც დამოკიდებულია, იქნება, მთელის ოჯახის შენახვა,

მთელი შემძლებლობა გლეხისა, მაშინ ამ ორთუმნიან დანაკარგს დიდი ფასი ედება და აქ გულგრილად მოქცევა დიდი ცოდვაა მოხელეთაგან. აქაო და ორი თუმნის დანაკარგია და ჰღირს კი ამისთანა უბრალო საქმეზედ კაცი მოსცდესო, ამისი თქმა, ჩვენის ფიქრით, დიდი დანაშაულობა**ა** მოხელე კაცის მხრით. ჯერ ეს და მერე ის იქონიეთ სახეში, რომ ქურდობის გაძლიერების ერთი უპირველესი მიზეზი მოხელეების უქმობაა. ქურდი უფრო მაშინ ჰკადნიერობს და ჰთამამობს, როცა იცის, რომ იმ არემარეს მოხელეობა ხელს არ გასძრავს მის დასაჭერად და ნაქურდალის პატრონს კი, როგორც ცალკე უღონო კაცს, მალე დაემალება და გზა-კვალს აურევს. აი, სწორედ ეს უქმობა მოხელეობისა და ამაზედ დამყარებული იმედი დაუსჯელობისა ფრთას ასხამს ქურდობასა და აქეზებს.

ჩვენ ყოველივე ეს გვათქმევინა ერთმა ამბავმა ამ იანვრის ბოლოს ხანებში მომხდარმა ერთს ტფილისის ახლოს სოფელში. გლეხკაცს მოჰპარეს კამბეჩი. კამბეჩის პატრონი და ერთი სხვა კაციც მისი მეზობელი აჰყვნენ კვალს, რადგანაც მაშინ თოვლი იყო, და, რა ამასობაში დაუღამდათ, შეჰშინდნენ ქურდებისაგან არა შეგვემთხვას-რაო და აღარ განაგრძეს კვლევა. მეორე დღეს იქაურს პრისტავს აცნობეს, რომ მოპარულის კამბეჩის კვალი ამა და ამ ადგილამდე მივიტანეთო და გვიშველე რამეო. პრისტავს, რასაკვირველია, ადგილიდამ ფეხიც არ დაუძრავს და მიუწერია მამასახლისისათვის, აბა ერთი ჰნახე, რა ამბავიაო. მამასახლისს წაუყვანია ჩაფარი, დასდგომია კვალს და კვალი მისულა თათრების ბინაზედ; მამასახლისს მიუწერია პრისტავისათვის, რომ კვალი მივიდა თათრების ბინაზედ, რომელიც ამა და ამ თავადიშვილის მამულშია და აქ კი განგებ კაცის ფეხით წაშლილიაო. ამ მოხსენებაში არც ის არის, თუ ვინ თათრები არიან ისინი, ვის ბინაზედ კვალი მისულა,

არც ის თუ, ეკითხათ რამე იმ თათრებს დანაკარგის გამო? პრისტავს, როგორც მოგეხსენებათ, აულია ეს მამასახლისის მოხსენება და ზედ დაუწერია ჩვეულებრივი: Препровождаю Мировому Судье на дальнеишее распоряжение.

დღეს აქამომდე ეს ქურდობა, თითქმის აღმოჩენილი და ქურდიც თითქმის ხელში დაჭერილი, გაურჩეველი და გამოუძიებელია. რა თქმა უნდა, ქურდიც ეხლა ხელიდამ დამძვრალია და ნაქურდალიც შეჭმული, ან სადმე ცხრა მთას იქით გადაკარგული. ის დღეა და ეს დღე საწყალი პატრონი კამბეჩისა დადის ხან პრისტავთან, ხან მომრიგებელ-მოსამართლესთან და ვერა კმაყოფილება ვერ მიუღია. სახელებიც კი არ იცის იმ თათრებისა, რომ საჩივარი შეიტანოს. ამას წინად მისულიყო პრისტავთან: ასლი /კოპიო/ მიბოძეო იმ ქაღალდისა, რომელიც მომრიგებელ-მოსამართლეს გაუგზავნეთო. მინდა ბინის პატრონ თათრების სახელები ამოვსწეროვო და პრისტავს არამცთუ ასლი მიუცია, გამოუგდია კიდეც. აშკარაა, დღეს გეში ამ ქურდობისა, ეგრე ცხადად მიტანილი, დაკარგულია და ვინ იცის, — უბედური გლეხი უკვე ნაპოვნს დანაკარგსა ხელახლად იპოვნის თუ არა. ადვილად საფიქრებელია, რომ გლეხი ამ შემთხვევაში ველარას გახდება და ამ სახით ნაპოვნი კამბეჩი ხომ წაუვიდა, ამ ერთის თვის მისვლა-მოსვლის ხარჯი და მოცდენაც ზედ დაადო. აი ჭირი, რომელიც დღე ყოველ გლეხკაცს თავზედ დასტრიალებს!.. აი გლეხკაცის უნუგეშობა და ქურდის ნუგეში.

[1889 წ.]

<ტფილისში ჯანმრთელობისა და სანიტარული საქმის ვითარება>

ტფილისი, 23 თებერვალი.

20 თებერვალს, ორშაბათს დღეს, ქალაქის საბჭოში ბ-ნმა კალუბანსკიმ შეიტანა ფრიად კარგი და სასარგებლო სარჩიელი მასზედ, რომ ჯანმრთელობის საქმეს ტფილისში ხელი წარემართოს და უკეთესად მოეწყოს საკულავოდ, რადგანაც ეხლა ეს საქმე რიგზედ არ არის დაწყობილი. ამ სარჩიელმა, როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, დიდი ლაპარაკი გამოიწვია საბჭოში და როგორც ეტყობა საბჭომ ჯერხანად არაფერი გადაწყვეტილება არ განუჩინა.

ბ-ნმა კალუბანსკიმ ცოტა არ იყოს უსაყვედურა როგორც ქალაქის გამგეობას, ისეც ქალაქის მკურნალთა, რომ არც პირველნი და არც მეორენი გულმხურვალედ არ ეკიდებიან ქალაქის ჯანმრთელობის საქმესა, რომელიც სახლებისა და ქუჩების უწმინდურობის გამო მეტად ცუდს ყოფაშია და დიდად ჰვნებს ქალაქის მცხოვრებთაო. ამ უწმინდურად შენახვას სახლებისას, ქუჩებისას და ერთობ ქალაქის ადგილმდებარეობისას აბრალებს ბ-ნი კალუბანსკი რომ გადამდები სენები ასე ხშირნი არიან ტფილისში და ბევს მსხვერპლს შეიწირვენ ხოლმე.

ჩვენ იმის გარჩევაში არ შევალთ — ვინ არის დამნაშავე, რომ სანიტარული საქმე ტფილისში კარგად მოწყობილი არ არის, ქალაქის გამგეობა, თუ ქალაქის მკურნალები? ჩვენთვის ამჟამად საკმაოა მივემხროთ ბ-ნ კალუბანსკის და ვაღიაროთ, რომ ტფილისი ამ მხრით მართლა დიდს ყურადღებას თხოულობს, რადგანაც ბევრგან შიგ შუაგულში ასეთი უწმინდურება, სიმყრალე და ვაივაგლახია, რომ არასგზით შესაწყნარისი არ იქნებოდა, თუ ქალაქს მზრუნველი და გულთშემატკივარი მომვლელი და პატრონი ეყოლებოდა.

ბ-ნ კალუბანსკის სარჩიელის სამართლიანი სიმწვავე იმითი არ გაჰნელდება, რომ ტფილისი ჯანმრთელობის მხრით უფრო უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ბევრი სხვა ქალაქი რუსეთისა, თუ უცხოეთისა. ბ-ნ გლავაცკის სიტყვით, ტფილისში ათასზედ ოცდახუთი მკვდარი მოდის წელიწადში და ეს რიცხვი სხვაგან დიაღ უფრო მეტია, მაგრამ აქედამ ის სულაც არ გამოდის, რომ სანიტარული მდგომარეობა ტფილისისა კარგი იყოს. თუ ტფილისი მკვდართა რიცხვით სხვაზედ ნაკლებია, ეგ ჰავას, ადგილმდებარეობას და ერთობ ბუნებას უნდა მიეწეროს და არა სანიტარულს სიკეთესა. ტფილისის კარგს ჰავას, კარგს საცხოვრებელს ადგილმდებარეობას სწამლავს და აფუჭებს ადამიანის დაუდევნელობა და ბინძურობა. თუ დღეს ათასზედ ოცდახუთი მკვდარი მოდის, ეგ ბინძურობა და უწმინდურობა რომ მოისპოს, უეჭველია ეგ რიცხვი თექვსმეტ-შვიდმეტზედ ჩამოვარდება და ნუთუ გვაწყენს, რომ ოცდახუთის კაცის მაგიერ თექვსმეტ-შვიდმეტიღა დავკარგოთ წელიწადში ათასზედ.

ვისაც ჰგონია, რომ სანიტარული მდგომარეობა ტფილისისა ბევრით სხვებზე ცუდ ყოფაში არ არის, იმას ვურჩევთ თავის საკუთარის თვალით ჰნახოს რა ყოფაშია, მაგალითებრ რიყე და რიყის უბანი მთლად, საპიორის ქუჩა და ყოველი იგი ადგილები, საცა

ბაზრებია, თხრილები და ქალაქის არხები. ყურადღების ღირსია ნამეტნავად არხები, რომელშიაც ჰგროვდება მთელი უწმინდურება ამ არხების მიდამო სახლებისა და შენობებისა. ეს უწმინდურება ამ არხებში იხრწნება და სუნი გახრწნილისა სწამლავს გარეშემო მცხოვრებთა. მაგალითებრ, სოლოლაკი ჰაერით, ჰავით და მდებარეობით ხომ უკეთესს გარემოებაშია, ვიდრე სხვა ადგილები, მაგრამ ეს ადგილი ყვავილის, ქუნთრუშის, წითელის და სხვა ამგვარ გადამდების სენის ბინად არის გადაქცეული, რადგანაც მთელს სოლოლაკის უბანს შიგ შუაზედ ჩამოუდის უწმინდურების არხი და მიდის მტკვრამდე.

მართალია, საბჭოში მკურნალთაგან ის აზრი გამოითქვა, რომ სანიტარული საქმე მეტად რთულია, ბევრი რამ იმისთანა საგანია შიგ, რომ მარტო მცოდნე კაცი თუ გაუძღვებაო. მაგრამ ხომ არც ის არის ტყუილი, რომ უწმინდურება, სიმყრალე და ბინძურობა ეზოებისა, სახლებისა და ქუჩებისა ერთი უმთავრესი მიზეზია ჯანმრთელობის შემუსრვისა. მინამ მცოდნე კაცებს მოუპოვებდეს ქალაქის საბჭო ჩვენის დღეგრძელობისა და სიმრთელის საქმეს, ცუდი არ იქნებოდა, რომ ეხლავე შესდგომოდა ქალაქის დასუფთავებას და ჯერხანად ამისი თადარიგი დაეჭირა.

[1889 წ.]

<ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო>

ტფილისი, 24 თებერვალი

ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ დღევანდელ ინგლისის შინაურ პოლიტიკას ორად ჰყოფს ერთი დიდი ხნის საქმე, რომელსაც ირლანდიის საქმეს ეძახიან. ერთის მხრით სათავეში ჰდგას დაუღალავი მოხუცი გლადსტონი ლიბერალთა დასითა და მეორეს მხრით ეხლანდელი სამინისტრო სალუსბერისა კონსერვატორებითურთ და იმ ლიბერალებითურთ, რომელნიც გლადსტონის დასს გადაუდგნენ ირლანდიის საქმის გამო და მიემხრნენ სალუსბერის დასსა. გლადსტონის დასი ჰთხოულობს, რომ ირლანდიელებს თვითმმართველობა მიეცეს და სალუსბერისა კი ამას ეურჩება, და ეს ორი-სამი წელიწადია მთელი ინგლისის ყურადღება ამ ორ დასთა შორის კამათობაზედ არის მიქცეული. თვითოეული დასი ჰცდილობს თავისი სურვილი გაიყვანოს და დღეს, რადგანაც უფლება გამგეობისა სალუსბერის დასის ხელშია, რა თქმა უნდა, ეს დასი თავის სურვილისამებრ განაგებს ირლანდიის საქმესა.

იგი ღონისძიებანი, რომელნიც აწ ხმარებულნი არიან სალუსბერის სამინისტროსაგან და რომელნიც ძალმომრეობას უფრო მოასწავებენ, ვიდრე სამართლიანს კანონსა, გულს უმღვრევენ როგორც

თვით ირლანდიელებს, ისეც იმ კარგა მოზრდილს ნაწილს ინგლისის ერისას, რომლის წარმომადგენელი გლადსტონის დასია. ირლანდიის საქმეს თვით ირლანდიაშიაცა ჰყავს თავდადებული მომხრენი, რომელნიც, როგორც პარლამენტში, ისეც პარლამენტ გარეთ, ჰსცდილობენ ირლანდიის მწვავს საქმეს ირლანდიელთა სურვილისამებრ, ბოლო მოეღოს. ამათ შორის ყველაზედ უფრო გავლენიანი და სახელოვანი კაცი დღეს პარნელია, რომელთანაც ძალიან დაახლოვებულია როგორც გლადსტონი, ისეც მისის დასის გამოჩენილნი კაცნი.

მას აქედ, რაც ირლანდიის საქმის გამო დანიშნულმა საერთო არჩევანმა ჩააყენა პარლამენტში მომეტებული ნაწილი კონსერვატორთა დასის კაცნი და მით გლადსტონი, მაშინდელი მთავარმინისტრი ინგლისისა, იძულებულ გახდა დასთხოვნოდა სამინისტროს და დაეთმო მთავარმინისტრობა სალუსბერისათვის, ირლანდიის საქმე დღითიდღე მეტს თანაგრძნობას ჰპოულობდა ინგლისის ერში. დამარცხებული დასი გლადსტონისა თავს არა ჰზოგავდა და დღედაღამ ჰქადაგობდა თავის მოძღვრებას ირლანდიის გამო და იმედს არა ჰკარგავდა, რომ დღეს იქნება თუ ხვალე, ინგლისის ერი გაიგებს, საით უფროა სიმართლე და შორსმჭვრეტელობა და მიემხრობა გლადსტონს. ამ იმედს საბუთები მიეცა; მრავალგვარი მიტინგები და ცალკე არჩევნები, რომლის მეოხებითაც ინგლისის ერი თავის სურვილს აცხადებდა, უფროს-ერთს შემთხვევაში გლადსტონის მომხრეობას იჩენდნენ.

ამ გარემოებამ ძალიან დააფიქრა კონსერვატორები და უეცრად კონსერვატორთა გაზეთს Times-ში გამოტყვრა, რომ ვითომც პარნელი და, მაშასადამე, მისი მომხრენი, თავისის მოწონებითა და ქებით აქეზებდნენ კაცისკვლას ირლანდიაშიო. 1882 წ. ირლანდიაში მოჰკლეს სტატს-სეკრეტარი კავენდიში და მისი თანაშემწე ბორკი. Times-ი ამბობდა, ვითომ

პარნელს მოსწონებოდეს ეს ამბავი და მკვლელთათვის ქება შეეთვალოს წერილით. „Times“-მა ამის დასამტკიცებლად დაჰბეჭდა წერილი ვითომც პარნელისგან მიწერილი. რასაკვირველია, ეს ამბავი სახელს უტეხდა როგორც თითონ პარნელსა, ისეც მის მიერ მოძღვრებულ საქმესა, და ამ სახელგატეხილს კაცს და მის საქმეს მთლად გაუგრილდებოდნენ ინგლისელნი, თუ ეს გამართლდებოდა. ამ გზით ევნებოდა თვით ირლანდიის საქმესა, მის ამტეხელს გლადსტონსა და მის დასსა, რადგანაც კაცისკვლით წარმართული საქმე ყველასათვის თავზარდამცემია და შეუწყნარებელი და თვით ამის მომქმედნი კაცნიც შესაზარელნი არიან.

პარნელმა მაშინვე გამოაცხადა, რომ ყოველივე ეგ ტყუილია და თვითონ წერილებიც, Times-ში დაბეჭდილი, ყალბი წერილებია, სხვისი დაწერილია და არა ჩემიო. პარნელმა და ირლანდიის საქმის მომხრეებმა მაშინვე სთხოვეს მთავრობას — პარლამენტის კომისია დაინიშნოს ამ წერილების ამბის გამოსაძიებლად, მაგრამ სალუსბერის მორჩილმა უფროს-ერთმა ნაწილმა პარლამენტისამ ეს არა ჰქმნა, თითქმის წელიწადზე მეტი ხანი გაიყვანა და მხოლოდ მას შემდეგ მთავრობამ დაჰნიშნა სამსჯავრო კომისია. ამ კომისიამ ეხლახან გაათავა საქმე და გამოჩნდა, რომ წერილი, რომელსაც Times-ი აბრალებდა პარნელს, ამ გაზეთს უყიდნია ვიღაც პიგოტისაგან. ეს პიგოტი გაიტეხინა პარნელის ვექილმა და დღეს სასამართლოს ხელში აქვს პიგოტის მიერ დაწერილი განცხადება, რომ Times-ში დაბეჭდილი წერილი ტყუილია, მე შევთხზე და მევე მივამსგავსე პარნელის ხელსაო. ამბობენ, ეს პროცესი გაზეთს Times-ს ნახევარ მილიონად დაუჯდაო.

ხოლო საქმე ის კი არ არის, ვის რამდენად დაუჯდა ეს უცნაური საქმე, საქმე ის არის, რომ

ამისთანა საძაგელი ამბავი თავზედ დაატყდა მთელს კონსერვატორთა დასსა, რომელიც პარნელის პროცესისაგან მოელოდა თვის გაძლიერებას და მოწინააღმდეგეთა პირქვე დამხობასა.

როცა ბრალმდებელმა 14 თებერვალს სასამართლოს წინაშე გამოაცხადა, რომ მე მომივიდა წერილი პიგოტისა და იგი აცხადებს, რომ მე შევადგინე ტყუილი წერილი პარნელის სახელობითაო, მაშინ ადგა ვექილი პარნელისა და სთქვა: „უმორჩილესად ვთხოვ ყოვლად უპატივცემულესს მსაჯულებს, ხელი შეუწყონ მართლმსაჯულებას, გამოამხილოს იდუმალი ხვანჯები და ინტრიგები. შეუნდობარი ხელის დაფარება იქნება, თუ მართალ დამნაშავეებს ღონე მიეცემათ სასამართლოს ხელიდამ გაუძვრნენო“. ეხლა საქმე იმაზეა მიმდგარი, რომ ცხადად დამტკიცდეს Times-ისა და პიგოტის სიყალბის ურთიერთობა და აგრეთვე ურთიერთობა ამ სიყალბისა და მის დიდებულების მინისტრებისა. ამ გზით უნდა გამომხილდეს საქვეყნოდ ის საზიზღარი შეთქმულება, რომელიც განსაკუთრებით იმისათვის არის მოგონილი, რომ ავნონ პარნელსა და მასთან ერთად ირლანდიის საქმესაცაო“.

ყოველ ამათან ისიც გამოჩნდა, რომ პიგოტი სადღაც გააპარეს და გადაჰკარგეს. ეს მით უფრო გულს უმღვრევს და სწყინს ინგლისის ერსა, რომ სამი კაცი ჰყოლია პიგოტს მთავრობის მიერ ჩუმად მიჩენილი, რომ არსად არ დაემალოს სამართალსა.

ამ პიგოტის უეცრად გაქრობაზედ პარნელის ვექილმა სთქვა: „არ ვიცი, გაზეთი Times-ი რას იტყვის, რომ პიგოტი ასე უეცრად გაჰქრა და ჩვენის მხრით კი ამას ვიტყვით, რომ მოვითხოვთ ამ გამოძიებას თავისი გზა და დასასრული მიეცეს, რადგანაც პიგოტის ზურგთ უკან სხვაც ბევრია აფარებულიო“.

ამ სახით გამოდის, რომ კონსერვატორები არაფერს ავზნეობას არ ჰთაკილობდნენ, ოღონდ კი საქმე წაეხდინათ ირლანდიელებისა და ლიბერალებისათვის. ბოლოს ისე მოუხდათ წადილი და დანაპირები, რომ სხვისათვის გათხრილს ორმოში თვითონვე ტყაპატყუპით ჩასცვივდნენ. ეს ამბავი უქმად არ ჩაუვლის სალუსბერის სამინისტროს. გლადსტონელნი პირველ შემთხვევაშივე პარლამენტში მოითხოვენ ამის პასუხს და არავინ იცის, რით გათავდება ეს აბრუგატეხილობა ეხლანდელის სამინისტროსი. ადვილად საფიქრებელია, საქმე იქამდე მივიდეს, რომ ეხლანდელი პარლამენტი დათხოვნილ იქმნას, ახალი საერთო არჩევანები დაინიშნოს და ამ მხრით ეკითხოს ინგლისის ერს, რას ჰფიქრობს ამისთანა საქმეთა მსვლელობაზედ და ვისი მომხრეობა სურს, გლადსტონისა, თუ სალუსბერის დასისა.

ჩვენი საოცარი და საზიზღარი ამბავი, რომელიც პარნელის პროცესმა გამოაქვეყნა, ისეთის მნიშვნელობისა გვგონია, რომ იგი ანდერძს აუგებს სალუსბერს და მის მომხრეებსა. ბევრი ხანი არ გაივლის და ლიბერალთა დასი მიწვეულ იქმნება ინგლისის საქმეთა გამგეობისათვის და სახელოვანს მოხუცს გლადსტონს ისევ მთავარმინისტრის ტახტზედ ვნახავთ ინგლისში. თუ ეს მოხდა, მაშინ პოლიტიკამ მთელის ევროპისამ ამ შემთხვევას უნდა შეუფეროს თავისი ავკარგიანობა და მიმართულება, რადგანაც ინგლისი ამ მდგომარეობაშია დაყენებული ორად გაყოფილ ევროპის შორის, რომ ამ ორ ნაწილში ის დაიჭერს ხელში ევროპის საქმეთა მსვლელობის სადავეს, რომელსაც ინგლისი მიემხრობა; და რას და ვის ემხრობა გლადსტონი და მისი თანამოაზრენი, ეგ ხომ წინათვე ყველამ კარგად იცის.

[1889 წ.]

<ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი>

ტფილისი, 25 თებერვალი.

ერთაშორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლისღვრა რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვსთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ. იმისდა მიუხედავად, რომ ეგ აზრი მეტად ადვილი გასაგებია, მთელი ევროპა მუდამ იმასა ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ. ასორმოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მონტესკიე სჩიოდა, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, ამისათვის არა ჰზოგავს არავითარს ხარჯს და ამითი თავს იღარიბებს და იღატაკებსო. მონტესკიეს სიტყვას არავინ გაუფრთხილებია და დღეს ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს. ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს. ერთის სიტყვით, მთელს

ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებელის ხალხისა. ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანამოძმეთა ნაშრომითა და ნაღვაწით იკვებება. საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს წელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს. ეს ფული ყველა მკვიდრზე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად იხდის წელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის წელიწადში 21 ფრანკს და გერმანიისა 12 $^1/_2$-ს.

ეხლა ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27.000 ჯარისკაცი. ამ მცირე ჯარის შესანახად თითო მკვიდრი წელიწადში იხდის 4 $^1/_2$ ფრანკს.

როგორც ჰხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩენია ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზედ და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამრიგად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი კი თანდათან ვალებში სცვივიან.

რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება. ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვს სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისთვისაც ქალაქ ნიუ-იორკში კონგრესი

შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს. სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადასწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგეობითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე. უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა.

[1889 წ.]

<ყაზახის აშინოვის ამბავი>

ტფილისი, 28 თებერვალი

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ყაზახის აშინოვის ამბავი, რომელმაც ეგოდენი ალიაქოთი და ლაპარაკი გამოიწვია პოლიტიკასა და მწერლობაში. საფრანგეთის მართებლობამ მიწერ-მოწერაც გაუმართა რუსეთისას და ჰკითხა, ვინ არის ეს აშინოვი და ვისი ჩაგონებითა და ხელმძღვანელობით მოქმედობსო, რუსეთიდგან უპასუხეს, რომ მართებლობას ხელი არა აქვს აშინოვთან და ამიტომ პასუხი თვით აშინოვმა უნდა აგოსო. საფრანგეთის პალატაშიაც იყო ლაპარაკი ბ-ნს აშინოვზე. რუსეთის მწერლობამაც, რაც რომ სათქმელი ჰქონდა ამ კაცის საქმისა და საქციელის გამო კიდევაცა სთქვა და მართალი უნდა ვსთქვათ, თითქმის მთელმა მწერლობამ სამართლიანად გაჰკიცხა ეს ვიღაც აშინოვი, რომელსაც ეს რამდენიმე წელიწადია, მიპყრობილი ჰქონდა ზოგიერთის გაზეთის ყურადღება. ეხლა საქვეყნოდ გამოჩნდა, თუ ვინ არის ეგ აშინოვი, რომელმაც საღერღელი აუშალა ზოგიერთ ცრუ მამულიშვილებს, თავზე თმა აუშალა და მრავალი უგვანო აზრი წარმოათქმევინა. ეხლა კი იმედია, რომ ცხადად დაინახვენ, თუ ვისთვის წაუვლიათ ხელი და ვის უკმევდნენ საკმელსა და ქება-დიდებით იხსენიებდნენ. საქვეყნოდ გამოჩნდა როგორც აშინოვის საქმის სიყალბე, ისე იმ

მამულიშვილთა, რომელნიც ვითომ არავითარს საშუალებას არა ჰზოგავდნენ თავიანთი პატრიოტული წყურვილი მოეკლათ.

აშინოვს და იმის საქმეს არა მარტო საზოგადო საყოველთაო მნიშვნელობა აქვს, არამედ ამ კაცის ვინაობა და მოქმედება კავკასიელთათვისაც საყურადღებოა. ამ კაცის წყალობით ამ სამი-ოთხის წლის წინად დიდი ლაპარაკი იყო კავკასიისა და იმის ერთა შესახებ. ზოგიერთთა მწერალთ აშინოვმა საკბილო საქმე მისცა და ბევრი სასაცილო და უგვანო რამ წამოაროშვინა ამ მამულიშვილებს. ღმერთო ჩემო, რა არ ითქვა აშინოვის მიზეზით კავკასიისა და იმის ერთა შესახებ? რა არ შესწამეს არა მარტო კავკასიის ერთა, არამედ თვით კავკასიის მთავრობასაც? ბ-ნმა აშინოვმა შეთხზა, რომ კავკასიაში და ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრებზე ორას ათასამდე „თავისუფალი ყაზახი“ რუსი სცხოვრობს მალულად. არც მთავრობამა და არც საზოგადოებამ არა უწყის რა იმათ შესახებ. ეს ამოდენა კაცი ზოგი ტყე-ღრესა და კლდეში იმალება და ზოგი მდ. ატრეკის ღელეებშიო. ამდენს მამულიშვილს უსაქმოდ სული და გული უწუხს და სწადის მამულსა და მართებლობას სამსახური გაუწიოს თავისის მკლავითა და პატრიოტულის გრძნობით აღსავსე გულითაო. აშინოვი ამბობდა: ეს ამდენი უსაქმოდ მოხეტიალე ხალხი მინდა დავუბრუნო სამშობლოს და ამიტომ მთავრობამ ნება მომცეს ისინი კავკასიაში შავის ზღვის ნაპირებზე დავასახლოვო. ამაების მთქმელს გამგონიც ბევრი გამოუჩნდა. როგორ თუ ამდენი მამულიშვილი უსაქმოდ დაეხეტება და მთავრობას მათი მკლავი არ გამოუყენებია! აუცილებლად საჭიროა ეს უგზოუკვლოდ მოხეტიალე ხალხი შავი ზღვის ნაპირებზე დავაბინავოთო.

რაც უფრო ადრე ავუჩენთ ბინასა და სახლ-კარს ამ „თავისუფალს ყაზახებს“, რომელთა ვინაობა მარტო აშინოვმა იცოდა, უკეთესი იქნება. ჩვენი

ეროვნული პოლიტიკაც ამასა თხოულობსო. ეს თავისუფალი ყაზახები მრავალგვარს სამსახურს გაუწევენ ჩვენს პოლიტიკასაო: ერთი ისა, რომ შავი ზღვის ნაპირებზე რუსის ტომის ხალხი ერთგულად და მხნედ დაიცავს კავკასიას, თუ ვინიცობაა მტერმა კავკასიაში ფეხი შემოდგაო. თავისს სამსახურს ეს უგზოუკვლოდ განბნეულნი ყაზახნი იმითი დააგვირგვინებენ, რომ რუსულს კულტურას დაამკვიდრებენ კავკასიაშიო. ამას გაიძახოდნენ კავკასიის ვითომდა მცოდნე და მოკეთე ბოროზდინები და შავროვები, მაგრამ ამათმა ძახილმა ვერ გასჭრა. კავკასიის მთავრობა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ „თავისუფალი ყაზახობა“ ბ-ნ აშინოვის ოცნების ნაყოფია, გზაზე გადაეღობა აშინოვსა და იმისდაგვარ მამულიშვილთა პროექტს. მთავრობამ კარგად უწყოდა, რომ თავისუფალი ყაზახობა, აშინოვის შეთხზულიც რო არა ყოფილიყო, ამ სამსახურს ვერ გაუწევდა მთავრობას და ქვეყანას, რომელიც იმისთვის უნდა მოეხვიათ თავზე. ზოგი მწერალი იქამდე მივიდა, რომ ღალატი შესწამა თვით კავკასიის ადმინისტრაციასაც... საქმე იმითი დასრულდა, რომ აშინოვმა, რაკი კავკასია ვერ გააბედნიერა და მთავრობას სულში ვერ ჩაუძვრა, ადგა და აბისინიაში წავიდა და იქ რაც მოუვიდა, ხომ კარგად ვიცით.

ეხლა მაინც დარწმუნდნენ ჩვენის ქვეყნის ვითომდა მოკეთენი და მცოდნენი, რომ ღობე-ყორეს მოდება ლუკმა პურისა და მამულიშვილის სახელის მოსაპოვებლად წმინდა საშუალებაა საჭირო და არა აშინოვის ქომაგობა და სიტყვითა და სინიდისით ვაჭრობა. ეხლა ხომ ნახეთ, ვინც არის აშინოვი, რა საქმეს ემსახურებოდა და თქვენ თითონ რასა ჰგრძნობდით და როშავდით. სწორედ თქვენზე და აშინოვისებურ კაცებზე არის ნათქვამი:

„შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა,
შაბაშ საქმე მისგან ქმნილი“.

[1889 წ.]

<ქალთა სასწავლებელი>

ტფილისი, 6 მარტი.

რაც გინდ დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი, ერთადერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. მართალია, შესაძლოა სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავიდათავი მომქმედი ძალი მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა. უამისოდ სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისაგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავისთავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება.

კაცი როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მთხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი. ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ, რომ თითონ უქმია და მოედანი ცხოვრებისა კი იმისია, ვინც თითონ მხნეობს და ირჯება თავის თავის საშველად. საზოგადოებას აიღებთ, თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთსა და იმავე უცვალებელს ბედისწერასა

ჰხედავთ, რომ მარტო საკუთარს თვითმოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართნია საქმე როგორც საზოგადოებისა, ისეც ცალკე კაცისა. რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზედ დანდობილა და თითონ გულხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა, იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად.

ჩვენ ეს საუბარი ჩამოგვაგდებინა ერთმა წერილმა, რომელიც 4-ს მარტს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ამ სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ“. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ წერილში ის ვიპოვეთ, რასაც არაერთხელ ვნატრულობდით ეგრეთწოდებულ „დედაკაცთა საქმის“ ჭეშმარიტს გზაზედ დასაყენებლად და, მაშასადამე, წარსამატებლად. ამ წერილში არ არის ის უკბილო საყვედური და უქმი ჩივილი, რომ აი, თქვე გულქვაო კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთო? რატომ იმისთანა თავისუფლებას ჩვენც არ გვაძლევთ, რომელიც თქვენ ასე ტკბილად გატარებინებთ თქვენს სიცოცხლესაო და სხვა ამისთანა? არც ის უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ, — დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი „უწმინდაესი, უსამღვთოესი დანიშნულება“ აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო ყველაზედ უწინარეს იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი და, მაშასადამე, მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზედ უწინარეს ივივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს. დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ

უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაიკაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის.

ჩვენ ეს, ამხანად მოკლედ გამოთქმული, აზრი იქნება ოდესმე უფრო ვრცლად გავარკვიოთ, ეხლა კი ისევ ზემოხსენებულ წერილს დავუბრუნდეთ. პატივცემული ავტორი ქალი გვაუწყებს, რომ ჩვენს ქალებს უთავნიათ, ღონე მოიპოვონ და სკოლა გაჰმართონ ქალების გასაზრდელად და თვით გაზრდა შეუფერონ ჩვენის დღევანდელის დღის საჭიროებასა.

> „უთუოდ მეტყვით, მკითხველო — ამბობს ავტორი, — რომ ამგვარ სკოლას დიდძალი ფული მოუნდება. მაგრამ, ბატონებო, თქვენის დახმარებით და ჩვენის მეცადინეობით იქნება ეს აზრი საქმედ ვაქციოთ. უეჭველია, საქართველოს ყველა კუთხითგან გამოგვეხმაურებიან, ხელს მოგვაწვ-დენენ, აღმოგვიჩენენ შემწეობას და ამითი გაგვამხ-ნევებენ და შეგვისუბუქებენ იმ ტვირთს, რომელიც ჩვენ ვიდეთ კისრად“.

ჩვენ ამ წერილისა ის მოგვწონს და ის გვიხარიან, რომ ჩვენს ქალებს თავის თავის შველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მეცადინეობა. უკეთესს სახსარს, უკეთესს ღონეს სხვას ვერას იპოვიან, თუ მართლა ჰსურთ საქმის გაკეთება და არა ტყუილუბრალო წივილ-კივილი. ჩვენ ეს ამბავი სიხარულით შეგვაქვს ჩვენს მატიანეში და მივულოცავთ ჩვენს ქალებს, რომ ჭეშმარიტს გზას დასდგომიან თავიანთ სვე-ბედის გასასწორებლად. მალე შეუსრულდებათ ეს კეთილი განზრახვა, თუ გვიან, — დღეს საქმე იმაში არ არის. საქმე იმაშია, რომ თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ

მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთ სვე-ბედის ბურთი. რაც გინდ ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდეს პირველ ხანებში ამ ქალებისაგან განზრახულს საქმეს, ბოლო მაინც გამარჯვებაა და გამარჯვება, რადგანაც იშვიათი ამბავია, რომ დაუღალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავი არ გაეტანოს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს ქალებს წესად მიუღიათ, რომ —

„თუ თვით არ ვიღწვით, ვერ ვპოვებთ
კეთილსა შესაკრებულსა“.

1889 წ.]

<ბულანჟეს ხმაური საფრანგეთში>

ტფილისი, 7 მარტი.

ეხლანდელ მთავარ-მინისტრს საფრანგეთისას ტირარს აბრალებენ, რომ მისმა წინდაუხედაობამ გააძლიერა და ხმა გაუგდო ბულანჟესაო. თითქმის ეგეევ სამინისტრო იყო მაშინაც, როცა ბულანჟე მხედრობისაგან დაითხოვეს და ეხლა ამბობენ რომ სწორედ ამ დევნულებამ გაუკეთა სახელი ბულანჟესაო. ტირარი დღესაც წინანდელ პოლიტიკას მისდევს ბულანჟეს შესახებ და მედგრად ებრძვის ბულანჟობას საფრანგეთში. პირველი, რასაც ახალმა სამინისტრომ მოჰკიდა ხელი, იყო ერთი საზოგადოება, რომელსაც სათავეში ბულანჟეს მომხრე პოეტი დერულედი ედგა რომელსაც „მამულისშვილთა კავშირს“ ეძახიან. ამ საზოგადოებამ დიდი შემწეობა აღმოუჩინა ბულანჟეს, როცა ამან ასე სახელოვანად გაიმარჯვა პარიჟის არჩევანებზე, ამავე შემწეობის შიში ჰქონდა სამინისტროს სამერმისოდაც, რადგანაც მოახლოებულია ჟამი ახალის საერთო არჩევანებისა და ვაი თუ ბულანჟემ ამ არჩევანებზედაც გაიმარჯვოსო.

ამ შიშის გამო სამინისტრომ საჭიროდ დაინახა გაეუქმებინა ხსენებული „კავშირი“ და მისნი მოთავენი სამართლში მიეცა, როგორც კანონით აკრძალულის საზოგადოების შემადგენელნი და

მართველნი. არ ვიცით, რამდენად გასჭრის ეს ღონისძიება, და ეს კი აშკარაა, რომ მარტო ამაზედ არ გაჩერდა ეხლანდელი სამინისტრო და სხვა სახსარსაც მოჰკიდა ხელი ბულანჟეს დასამარცხებლად. ცნობილია, რომ ბულანჟეს მომხრეობენ ყველაგვარნი მონარქიელნი და, სხვათა შორის ორლეანელნიცა, ესე იგი, ისინი, ვისაც ჰსურთ ორლეანის პრინცი აიყვანონ საფრანგეთის სამეფო ტახტზედ. რომ ამ მონარქიელთა შორის გამხეთქილება ჩამოაგდოს და ამით შეასუსტოს მომხრეობა ბულანჟესი, ტირარის სამინისტრომ ერთი ღონე იღონა, რომელიც თვით ფლოკესაც ჰქონებია უზურში, როცა მთავარ-მინისტრად იყო.

ჩვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეს, რომ გრევის პრეზიდენტობის დროს ჰერცოგი ომალისა განდევნილ იყო საფრანგეთიდამ. ეს ჰერცოგი, როგორც სახლიკაცი ორლეანის პრინცისა და დიდად მსურველი, რომ ორლეანის გვარეულობა გამეფდეს საფრანგეთში, შეიქმნა იმ ღონეთ, რომელმაც უნდა ჩამოაცალოს ბულანჟეს მთელი დასი ორლეანებისა. ჰფიქრობენ, ვითომ რაკი ჰერცოგი ომალისა საფრანგეთში დაბრუნდება, დასი ორლეანებისა ჩამოეცლება ბულანჟესა და ჰერცოგის გარეშემო მოიყრის თავსაო. ამ მხრით დიდძალი კენჭი დააკლდება ბულანჟესა საერთო არჩევანებზედაო. ამიტომაც სამინისტრომ სარჩიელი შეიტანა პალატაში, რომ ჰერცოგს ომალისას ნება მიეცეს ხელახლად დაბრუნდეს საფრანგეთში საცხოვრებლად.

ყოველ ამას შორის ბულანჟე თავისას არ იშლის და დღემუდამ ჰხმაურობს საფრანგეთში. ეხლა ყველა აშკარადა ჰხედავს, რომ ბულანჟეს ირგვლივ თავს იყრიან უფრო კონსერვატორები, კლერიკალები და სხვა ამისთანა ძველის მოძღვრების კაცნი, თუმცა ზოგიერთი რესპუბლიკელები და რადიკალებიც ურევიან, თვითონ ბულანჟესაც თითქო უგვრძნია, რომ მისი ღონე ამათი მობირებაა და ამიტომაც არაფერს

ჰზოგავს ამათის გულის მოსაგებად. თუ გუშინდელი დეპეშა მართალია და ბულანჟეს ის უთქვამს ტურში, რასაც დეპეშა გვაუწყებს, მაშინ უეჭველია რა განზრახვითაც საქმობს ბულანჟე საფრანგეთში. ჩვენი პროგრამა ის არისო, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა იყოს, მხოლოდ ისეთი კი, რომელსაც ძლიერი მთავრობა ჰმართავდეს და ყოველს სარწმუნოებას შეიწყნარებდესო. იქნება ყოველივე ეს სასურველი იყოს საფრანგეთისათვის, მაგრამ ეს „გაძლიერება მთავრობისა და შეწყნარება სარწმუნოებისა“, იმისთანა სიტყვებია, რომელთაც ასეც უზამთ თავსა და ისეც და ორგზითვე მართალი იქნებით. ეს ნათქვამი ორპირი და ორგულია, თუ ესე ითქმის, ეს დიქტატორობას და კლერიკალობასაც თავს უკრავს და საფრანგეთის ერის წყურვილსაც, აქედ მთისაც არის და იქითისაც. ეს ორისავე მხარის თავის მოქონებაა და რომელს გამოავლებს პირში ჩალას ბულანჟე, თუ ვინიცობაა ალჩუ დაუჯდა, ამას დრო გამოაჩენს და ჩვენ კი ბულანჟესი არა გვწამსრა.

[1889 წ.]

<კრება საადგილმამულო გადასახადის გაწერის თაობაზე>

ტფილისი, 8 მარტი.

გუშინ უკანასკნელი კრება მოხდა კომიტეტისა, რომელიც მიწვეული იყო ბ-ნ გუბერნატორისაგან საადგილმამულო გადასახადის გაწერის თაობაზედ. ამ კრებაზედ დაესწრნენ თვითონ გუბერნატორი, გუბერნიის მარშალი, ვიცე-გუბერნატორი, რამდენიმე განგებ მიწვეული მამულის პატრონი, წევრნი გუბერნიის საგლეხო მართველობისა და სხვანი. სხვათა შორის, მიწვეული იყო წევრი სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკისა კრუზე. ამ კრებამ განიხილა სიები მამულებისა და დაადგინა, რომ სიმართლე ითხოვსო, ტფილისის გუბერნია დაყოფილ იქმნას რამდენსამე ნაწილად მამულების ავკარგიანობის მიხედვითა და თვითეულს ნაწილს დესეტინობაზედ შეეწეროს თავისი შესაფერი ხვედრი გადასახადი მეტნაკლებობითაო. კომიტეტმა წაიმძღვარა რა ეს აზრი, სამართლიანად სცნა მამულის ავკარგიანობის მიხედვით დაიყოს ტფილისის გუბერნია ცხრა ფარდად და თვითვეულს ფარდში დესეტინაზედ ცალკე შესახვედრი გადასახადი დაინიშნოს. ამ სახით შესდგა სქემა, საცა ნაჩვენებია რა ფარდი რამდენი დესეტინაა მთელს გუბერნიაში და თვითეულს

ფარდში დესეტინაზედ რაოდენი გადასახადი შეეწერა. აი იგი სქემა:

ფარდი	– რამდენი დესეტინაა	– რა შეხვდა დესეტინაზედ
1	– 13813	– $10^{1}/_{4}$ კაპ.
2	– 34189	– 6 $^{1}/_{2}$ კაპ.
3	– 20607	– 5 კაპ.
4	– 44562	– 4 კაპ.
5	– 116265	– $3^{1}/_{2}$ კაპ.
6	– 256786	– 3 კაპ.
7	– 151750	– 1 $^{1}/_{2}$ კაპ.
8	– 173939	– 1 $^{1}/_{4}$ კაპ.
9	– 287658	– 1 კაპ.

პირველს ფარდში იგულვება უფრო ვენახები, საბოსტნეები, საბაღო ადგილები და განსაკუთრებით მომცემი სახნავ-სათესი მიწები.

თუმცა მთელს ტფილისის გუბერნიაში მამულის ავკარგიანობის მიხედვით ცხრა ფარდი გამოარკვიეს, მაგრამ თვითვეულ მაზრაში კი ცალკე მარტო სამი ფარდი დასდეს. პირველს ფარდში მოქცეულია მაზრის საუკეთესო მიწები, მეორეში – შუა ღირსებისა და მესამეში – მდარე მიწები. მაზრაში თვითვეულის ფარდის მიწა მოექცა მთელის გუბერნიის სხვადასხვა ფარდში იმ სახით, რომ მაზრის ფარდის მიწა თავისის ღირსებით და ავკარგიანობით შეეწონა გუბერნიის ფარდსა და ზოგან ისე აღმოჩნდა, რომ მაზრაში პირველ ფარდის მიწა გუბერნიაში პირველ ფარდში კი არა, სხვა რომელსამე ფარდში შეტანილ უნდა იქმნას. ამრიგადვე მოექცნენ სხვა ფარდებსაც მაზრისას, ასე რომ, მაგალითებრ, ახალციხის მაზრაში არც ერთს ფარდში იმისთანა მამულები არ აღმოჩნდა, რომ პირველ ფარდში გუბერნიისაში ჩაეწეროს; დუშეთის მაზრაში არც ერთი იმისთანა მამულები არ აღმოჩნდა,

რომ გუბერნიის პირველ ოთხს ფარდს უდრიდეს და სხვა ამგვარად. გამოირკვა რა ფარდი მაზრისა გუბერნიის ფარდის კვალობაზედ, გაეწერა გადასახადიც იმოდენა, რაც შეხვედრილი აქვს გუბერნიას იმ ფარდის დესეტინაზე. ამ სახით სქემა ტფილისის გუბერნიის მაზრებისა წარმოადგენს იმას თუ რა ფარდის მამული მაზრისა რამდენია და რომელს ფარდშია ჩაგდებული გუბერნიაში და ამის კვალობაზედ რა გადასახადი უნდა შეხვდეს ამგვარად გარკვეულს ფარდსა მაზრისას (აი ეს სქემა თვითეულის მაზრისა).

	ფარდი მაზრისა	რამდენი დესეტინაა	რომელს ფარდს უდრის გუბერნიისას	დესეტინაზედ რამდენი კაპეიკი გადასახადი ჰხვდება
ტფილისისა	1 2 3	3142 1/2 44560 71760	1 4 7	10 1/4 4 1 1/2
ბორჩალოსი	1 2 3	34189 84846 173939	2 5 8	6 1/2 3 1/2 1 1/4
გორისა	1 2 3	4089 171759 1/2 111117	1 6 9	10 1/4 3 1
თელავისა	1 2 3	2082 111601 45985	1 6 9	10 1/4 3 1
სიღნაღისა	1 2 3	1908 1/2 21568 1/2 48964	1 6 9	10 1/4 3 1
დუშეთისა	1 2 3	31419 75858 1/2 1348	5 7 9	3 1/2 1 1/2 1
თიანეთისა	1 2 3	2591 12074 38464	1 6 9	10 1/4 3 1
ახალციხისა	1 2 3	20607 21419 341199 1/2	3 6 9	5 3 1
ახალქალაქის	1 2 3	18364 1/2 4132 7600	6 7 9	3 1 1/2 1

ამ ანგარიშით გამოდის, რომ ორთაშუა რიცხვით ტფილისის მაზრას ჰხვდება დესეტინაზედ გადასახადი 2 $^{33}/_{50}$ კაპ., ბორჩალოს 2 $^{13}/_{25}$ კაპ., გორისას – 2 $^{33}/_{100}$ კაპ., თელავისას – 1 $^{7}/10$ კაპ., სიღნაღისას – 1 $^{21}/_{25}$ კაპ., დუშეთისას – 2 $^{7}/_{100}$ კაპ., თიანეთისას – 1 $^{19}/_{10}$ კაპ., ახალციხისას – 2 $^{16}/_{25}$ კაპ. და ახალქალაქისას – 2.

მთელმა კომიტეტმა თანახმად აღიარა, რომ ამ რიგით გაწერა გადასახადისა ცოტად თუ მეტად სამართლიანიაო. ჩვენც ვიტყვით, რომ იმ საბუთების ძალით, რაც ხელთა ჰქონდა კომიტეტს, ამაზედ უკედ გაწერა არ შეიძლებოდა. ხოლო სამწუხარო ეს არის, რომ ამ კომიტეტს არც დრო ჰქონდა მიცემული და არც რაიმე სახსარი, რომ უკეთესი და უფრო უტყუარი საბუთები შეეკრიბა ამ დიდ საქმის უფრო სამართლიანად წარმართვისათვის. ამას ესეც უნდა დაემატოს, რომ უტყუარი საბუთები არ არის დავჯერდეთ იმ რიცხვს დესეტინებისას, რომელსაც კომიტეტის განაჩენით ჰხვდება მთელი ჯამი გადასახადებისა, მთელს გუბერნიაზედ საერთოდ გაწერილი. ჩვენა გვგონია, რომ ეხლანდელი რიცხვი დესეტინებისა ბევრად ჩამოუვარდება ნამდვილს რიცხვსა და ამის გამო დღეს იძულებული იქმნა კომიტეტი თვითვეულს დესეტინას მეტი შეახვედროს, ვიდრე შეხვდებოდა მაშინ, როცა ნამდვილი რიცხვი დესეტინებისა მთელს გუბერნიაში გამორკეული იქნებოდა.

ესეა თუ ისე, დღეს ეს საქმე გუბერნიის მთავრობის მიერ ასე გადაწყდა, ასე დაბოლოვდა და დანარჩენი დამოკიდებულია უმაღლესს მთავრობაზედ, რომელსაც გასაჩხრეკად წარედგინება კომიტეტის მიერ შედგენილი საადგილმამულო გადასახადის სიები.

[1889 წ.]

<ბათომის მიწათმფლობელობის საქმე>

ტფილისი, 13 მარტი

ერთი მეტად ხელისშემშლელი მიზეზი და გარემოება ბათომის წარმატებისა იგია, რომ დღეს აქამომდე გამორკეული არ არის მიწათმფლობელობის საქმე ამ დიდის მერმისის მომლოდინე ქალაქისა, რომელსაც ასეთი კარგი ადგილმდებარეობა აქვს შავის ზღვის პირას და რომელმაც, ნავთის ზიდვის გამო საზღვარგარეთ, დიდი აღებმიცემობა აღძრა და დიდი სავაჭრო საქმიანობა. მართალია, ეს ქალაქი დღითიდღე მატულობს, კეთდება და შენდება, მაგრამ უფრო ძლიერ გაიწევდა, რომ უფლება მიწათსაკუთრებისა განსაზღვრული იყოს და რაიმე მტკიცედ დადგენილს წესს ემორჩილებოდეს. საქმე ის არის, რომ დღეს აქამომდე არ გამოურკვევიათ რა საბუთებით და სიგელებით შესაძლოა კაცმა დაიმტკიცოს იგი საკუთრება, რომელიცა ჰქონია მაშინ, როცა ბათომი ოსმალოს მთავრობის ხელში ყოფილა.

ამ გამოურკვევლობის გამო დღეს მრავალი დავიდარაბა აქვთ ატეხილი ბათომელებს სასამართლოებში და თვითონ სასამართლოებმაც არ იციან რა წესი და კანონები გაიმძღვარონ საქმეების გადასაწყვეტად, რა საბუთები და სიგელები მიიღონ მხედველობაში საქმეთა გარჩევის დროს. ამისთანა

მდგომარეობა ძალიან აჯანჯლებს საქმეებსა, მამულის პატრონებს გულს უტეხს და ჰხუთავს მით, რომ თავის სურვილისამებრ მამული პატრონს ვეღარ მოუხმარებია და არც გული დაჯერებული აქვს, რომ მისი უფლება მამულზედ ხელშეუხებელია და შეურყეველი.

ესეთი ყოფა თავს დაატყდა ბათომს იმის გამო, რომ იგი 13 მკათათვემდე 1878 წ. სხვა კანონებსა და სხვა წესებს ემორჩილებოდა, რადგანაც ამ დღემდე ოსმალოს ხელში იყო და მხოლოდ ამ დღიდგან დაეკუთნა რუსეთსა ბერლინის ხელშეკრულობის ძალითა. რუსეთის მთავრობამ ჩაიბარა ბათომი 25 აგვისტოს 1878 წელსა და თითქმის იმავ დღესვე საქმე მიწათსაკუთრების განსაზღვრისა წინ წარმოუდგა მთელის თავის აწეწილობითა და გამოურკვევლობით. მთავრობამ მაშინვე მიაქცია ამ გარემოებას თავისი ყურადღება, რადგანაც კარგად იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მკვიდრთათვის საკუთრების განსაზღვრასა და გამორკვევას.

1879 წელს მთავრობამ დააწესა „ბათომის საადგილმამულო კომისია“ და დაავალა გადაესინჯა და შეემოწმებინა ოსმალოს მთავრობის დროს ვის რა მამულები ეჭირა, რა სიგელების ძალითა და რა საბუთებითა. ის დღეა და ეს დღე, გაიმართა ყოველ ამის გამო მიწერ-მოწერა და დღეს აქამომდე არ გათავებულა. რაც უფრო ბევრი ხანი გადის, მით უფრო ჰმატულობს დავიდარაბა მამულების თაობაზედ და ამასობაში თვითონ საქმესაც ჩაერთვა ბევრი იმისთანა სხვადასხვაგვარი გარემოება, რომელმაც უფრო გაუძნელა მთავრობას ერთის საერთოს წესისა და რიგის ჩამოგდება.

ესეთი ყოფა, რომლის გამოც პატრონს რწმუნება არა აქვს თავის უფლების შეურყევლობისა, ყველგან შემხუთველია მისი, რასაც ეკონომიური წარმატება ჰქვიან და ბათომისათვის ხომ განსაკუთრებით საზიანოა, იმიტომ რომ ბათომი ამ შემთხვევაში

განსაკუთრებულ ქალაქს წარმოგვიდგენს იმ მხრით, რომ დიდძალს ხალხს იზიდავს. მას აქედ, რაც რკინისგზამ შეაერთა ბათომი და ბაქო, და ბაქოს ნავთმა ასეთი ძლიერი აღებ-მიცემობა გამოიწვია შავის ზღვის პირას, აუარებელი წარმომადგენელი მოაწყდა ბათომს სხვადასხვა ფირმებისა. ამ ფირმებს სააღებმიცემოდ და სავაჭროდ დიდძალი შენობები უჭირავთ ცალკე საქონლის საწყობად, ცალკე ქარხნებისათვის.

გამოურკვეველობა საკუთრებისა ამ მხრით ძალიან ხელს უშლის ამ ქალაქის წარმატებას და აღებ-მიცემობის უფრო ძლიერ გაჩაღებას, რადგანაც შენობები დიდძალს ფულს თხოულობენ და მსურველნი და მოწადინენი ვერა ჰბედვენ ან იყიდონ, ან იჯარით აიღონ შენობისათვის მამულები, რომელთ კუთვნილება კანონის მიერ ჯერ აღიარებული არ არის. ამ სახით თვითონ მამულის პატრონებიც ზარალობენ და თვით ქალაქის აღებ-მიცემობის წარმატებაც ბრკოლდება. იმას აღარ ვიტყვით, რომ იქ, სადაც კაცი თავის მამულის კუთვნილებაზედ გულდაჯერებული და დაიმედებული არ არის, ყოველი გზა წარმატებისა და კეთილდღეობისა შეკრული აქვს: იქ კაცი ვერც თვითონ ხეირობს და ვერც სხვას ახეირებს. გარდა იმისა, რომ კერძო კაცთა არ იციან, რის პატრონები არიან ბათომში, თვითონ ქალაქმაც არ იცის რა ეკუთვნის და საიდამ რის გამორჩენა შეუძლიან. დღეს აქამომდე ეს საქმე ესეა დარჩენილი და ბათომელები, როგორც ცალკე კაცნი, ისეც ქალაქის გამგეობა, მოუთმენელად ელიან ამ საქმის ასე თუ ისე დაბოლოვებას.

რა გზას ადგია დღეს ეს საქმე და რა მიზეზები აბრკოლებს, ამას შემდეგ მოვიხსენიებთ, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო.

[1889 წ.]

<საკუთრების საქმე ბათომში>

ტფილისი, 14 მარტი

ჩვენის ფიქრით საკუთრების საქმე ბათომში სათავეშივე აირია. თითქმის პირველ ხანშივე, როცა ჩვენმა მთავრობამ დაიჭირა ბათომი, დაწესებულ იქმნა დროებით ცალკე კომისია, რომელსაც ეწოდებოდა „ბათომის საადგილმამულო კომისია". ეს ამბავი მოხდა 1879 წელს. ამ კომისიას მთავრობამ დაავალა გამოიძიოს, ვის რა მამულები ეკუთვნის ბათომში და რა საბუთით. გარდა ამისა ამ კომისიას მინიჭებული ჰქონდა უფლება გამოეძია და გამოძიების შემდეგ ეცნა ვისი საბუთი თუ სიგელი მამულებისა შესაწყნარებელი და, რაც შესაწყნარებელი აღმოჩნდებოდა, დაემტკიცებინა.

ბევრს მამულის პატრონს ჰქონებიყო ოსმალოს მთავრობის მიერ მიცემული სიგელები მამულის კუთვნილებისა. კომისიას არავითარი ღონისძიება არა ჰქონდა სიმართლე ამ სიგელებისა შეემოწმებინა, რადგანაც „დავთრები" ოსმალოს მთავრობისა ჯერ ხელთ არა ჰქონდა. მეტი რა გზა იყო, კომისია იძულებულ იქმნა იქაურ მკვიდრთა მოწმობით დაესაბუთებინა მის წინაშე წარდგენილი სიგელები. კომისია ამ გზით სცნობდა რა მამულების სიგელების სიმართლეს, ამტკიცებდა ამ სიგელებს და ისევ პატრონებს უბრუნებდა. იმავ 1879 წელს

მთავარმართებელმა განკარგულება მოახდინა, რომ იმ მამულის პატრონებს, რომელთ სიგელები შეწყნარებულ იქმნა კომისიისაგან, დაემტკიცოთ, როგორც საკუთრება, სიგელებში მოხსენებული მამულები. ამ განკარგულების ძალით ზოგს დაემტკიცა მამულები და ბოლოს აღმოჩნდა, რომ ამრიგად დამტკიცებული მამულები პირველ პატრონთაგან ჩვენის ნოტარიატის წესით სხვის ხელში გადასულა. ხოლო ამგვარად დამტკიცებულ მამულებ შორის ბევრი იმისთანა გამოდგა, რომელიც ოსმალოს კანონებით ცალკე კაცის საკუთრებად ვერ გახდება. ამისთანა მამულებს ოსმალონი „ვაკუფ“ ეძახიან და ესგვარი მამულები სახელმწიფო მამულად ითვლება და დანიშნულია მაჰმადიანთა სასულიერო წოდებისა და მეჩეთების სარჩოდ. ამ გარემოებას ის ბოლო მოჰყვა, რომ დღეს არ იციან რა ჰქმნან. სამში ერთია ასარჩევი: ან ჩვენის ნოტარიატის სიგელები უნდა გაუქმდეს, ან მაჰმადიანთა სასულიერო წოდებასა და მეჩეთებს კუთვნილი მამული დაეკარგოს, ან საქმე როგორც არის ისე დასტოვონ და მეჩეთებს მამულების სამაგიერო მისცენ რამ.

მერე, როცა ჩვენმა მთავრობამ მიიღო ოსმალოს მთავრობისაგან „დავთრები“, საცა ჩაწერილებია კუთვნილება უძრავის ქონებისა ბათომში, შეუდგნენ კომისიისაგან შემოწმებულ სიგელების ხელახლად შემოწმებას გამოგზავნილ დავთრებთან. ამრიგად, ზოგიერთი სიგელი შემოწმებულ იქმნა და უფროსერთი კი დარჩა შეუმოწმებელ, რადგანაც ამის თაობაზედ არავითარი განკარგულება არ იყო მომხდარი მთავრობისაგან საერთოდ.

ამ „დავთრებში“ ერთი იმისთანა გარემოება გამოჩნდა, რომ თვით ამ „დავთარში“* ჩაწერილი სიგელებიც დასაჯერი არ იქმნენ. ეგრედწოდებულ 1878 წლის აგვისტოს „დავთრებში“ ამ თთვის პირველის დღიდამ ოცდასამამდე, ესე იგი, ოცდასამის დღის განმავლობაში ჩაწერილი აღმოჩნდა 1598 სიგელი მაშინ, როდესაც 1860 წლიდამ არც ერთი იმისთანა წელიწადი არა ყოფილა, რომ 200 მეტი სიგელი შედგენილიყოს და „დავთარში“ ჩაწერილიყოს. რადგანაც რუსეთს დაეკუთნა ბათომი 13 ივლისს 1878 წელს და ჩაიბარა მხოლოდ 25 აგვისტოს 1878 წელს, ოსმალოს მთავრობას შეეწამა, რომ ამ ხნის განმავლობაში ბევრი ტყუილი სიგელები მოუქცევია დავთრებში, რაკი იცოდა, რომ ბათომი ხელიდამ მისდის. ამის გამო კომისიამ წარუდგინა ჩვენს უმაღლესს მთავრობას თავისი აზრი, რომ 1878 წლის აგვისტოს დავთრები ოსმალოს მთავრობისა არ შეიწყნაროს. ამ გარემოებამაც აურია საქმე, მით უფრო, რომ თვითონ კომისიისაგან უკვე დამტკიცებული იყო ზოგიერთი სიგელი, რომელიც აგვისტოს „დავთარში“ შეეტანა ოსმალოს მთავრობას. ეხლა საკითხი ეს არის: შესაძლოა თუ არა არშეწყნარებულ იქმნას აგვისტოს დავთარში შეტანილი სიგელები, რომელნიც უკვე შეწყნარებულია და დამტკიცებული ჩვენის მთავრობის კომისიისაგან?

1879 წელსავე განკარგულება მოხდა, რომ იმ უბანში, რომელსაც „ნურიე“ ჰქვიან, მოსახლეებს სასახლის ადგილები მიეზომოს და რაც ამას გადარჩება, გადაეცეს ქალაქსა. ეს განკარგულება

---

* „დავთარი“ ოსმალეთში ჩვენებურის ნორმატიულის რეესტრის მსგავსი წიგნია. ამ „დავთარში“ ინიშნება ყოველი კუთვნილება უძრავის ქონებისა და ამრიგად „დავთარში” შეტანილი სიგელი მამულისა კუთვნილების საბუთად იხმარება.

აასრულეს, მაგრამ მოსახლეებს არ ჩამოართვეს კომისიისაგან დამტკიცებული სიგელები და ეხლა ამ სიგელების ძალით ქუთაისის ოლქის სასამართლოში არა ერთი და ორი დავაა ატეხილი ხსენებულ უბნის მამულების თაობაზედ. რა თქმა უნდა, არც ეს გარემოება დარჩა უიმისოდ, რომ არ აეწეწა უამისოდაც აწეწილი საქმე.

ყოველ ამან ჩვენი მთავრობა იძულებულ გახადა შეეყენებინა ბათომში გაყიდვა მამულებისა და ხელიდამ ხელში გადასვლა. უმაღლესად დამტკიცებულმა მინისტრთა კომიტეტის განაჩენმა 26 ოქტომბრის 1884 წლისამ დროებით აუკრძალა ჩვენს ნოტარიატს შედგენა და დამტკიცება ნასყიდობის წერილებისა და სხვა სიგელებისა, რომლის ძალითაც მამულის ხელიდამ ხელში გადასვლა შესაძლებელია. ამ განკარგულებამ თუმცა შემწეობა გაუწია ინტერესებს სახელმწიფოსას და „ვაკუფისას“, მაგრამ აწეწილი საქმე საკუთრებისა რიგში ვერ ჩააგდო და ვერ გაასწორა. იმათ, რომელთაც ამ განკარგულებამდე იყიდეს მამულები, ხშირად ჩალის ფასადაც, გამოიყენეს და მოიხმარეს ნასყიდი მამულები როგორც ჰსურდათ. ხოლო ძველნი მემამულენი კი, რომელთაც მოასწრო ხსენებულმა განკარგულებამ, დიდს ზარალს მიეცნენ. ამაზედ უარესს ყოფაში ჩაცვივდნენ ისინი, რომელთაც 26 ოქტომბრამდე უყიდნიათ მამულები და ნასყიდობის ქაღალდის შედგენა კი ვერ მოუსწვრიათ. რასაკვირველია, ამ გარემოებამაც გამოიწვია არა ერთი და ორი დავა და თუმცა მსყიდველებს „ისპოლნიტელნი ლისტები“ ხელში უჭირავთ, მაგრამ არ იციან საიდამ მიიღონ კმაყოფილება, რადგანაც მამულებს ვერ გაუყიდიან.

რაკი გასყიდვა და ხელიდამ ხელში გადასვლა მამულებისა აიკრძალა ბათომში, იქაური ნოტარიუსები აღარ ამტკიცებენ იჯარის ქაღალდსაც, რომ მამულის პატრონმა იჯარით მაინც გასცეს თავისი მამული და

ამ გზით გამორჩეს რასმე თავის კუთვნილებას. ეს ბევრრიგად აზიანებს როგორც მამულის პატრონსა, ისეც იმათ, ვისაც ბათომის გაჩაღებული ვაჭრობა ნავთისა და სხვა შავის ზღვით შემოსატან-გასატან საქონლისა იძულებულ ჰყოფს იქონიოს შენობა ან საქონლის საწყობად, ან საქარხნოდ. დღეს ამის გამო თითქმის შემდგარია კეთება და აგება შენობებისა, რადგანაც აქამომდე არავინ იცის, ვის რა ეკუთვნის და თუნდა იცოდეს, ვერც გასცემს იჯარით მამულს, ვერც გაჰყიდის. ამის გამო თვითონ ქალაქიც ვეღარ მატულობს, ვეღარ შენდება, ვეღარ კეთდება იმოდენად, რამოდენადაც ხელს უწყობს ადგილმდებარეობა და მასზედ დამოკიდებული აღებ-მიცემობა. ამიტომაც ფრიად საჭიროა, რომ დროებით დადგენილი ყადაღა მამულების გასყიდვისა და ხელიდამ ხელში გადასვლისა აიხსნას.

ქუთაისის გუბერნიის მართველობა სცდილობს, რომ მამულების დაკუთნების საქმეს ბათომში მალე წამალი რამ დაედოს, რადგანაც დღევანდელი არსებითი საჭიროება ბათომისა ამ საქმის ასე თუ ისე დაბოლოვებაა. ქუთაისიდამ უკვე წარმოდგენილია მთავარმართებლის წინაშე სარჩიელი მასზედ თუ, — რა წესი და რიგი უნდა დაიდვას ბათომში საკუთრების გამოსარკვევად. აი საგნები, რომელზედაც დღეს ყურადღებაა მთავრობისა მიქცეული:

1) ხელახლად შემოწმებულ იქმნას თუ არა ოსმალოს მთავრობის დავთრებთან იგი სიგელები, რომელიც ბათომის საადგილმამულო კომისიისაგან დამტკიცებულნი არიან?

2) სიგელები ოსმალოს დავთრებში შეტანილი 1878 წლის 1-ს აგვისტოდამ 23 აგვისტომდე შეწყნარებულ უნდა იქმნას თუ არა?

3) ვისაც ნურიეს უბანში მდებარე მამულებზედ კომისიისაგან დამტკიცებული სიგელი აქვს, როგორ მოექცნენ, სახელდობრ, ჩამოერთვათ მამულები, რაც მთავრობის განკარგულებით მიზომილ გარდა

აღმოჩნდება, თუ არ ჩამოართვან და თუ ჩამოართვან, ქალაქს დაეკუთვნოს თუ ხაზინასა?

4) რადგანაც ხშირად სიგელებში ნაჩვენები ზომა მამულებისა და საზღვრები ერთმანეთს არ ეთანხმებიან, მამულის მეტ-ნაკლებობა რით განისაზღვროს, ესე იგი, საბუთად მარტო ნაჩვენები ზომა წაიმძღვარონ თუ მარტო საზღვრები?

5) რადგანაც ჩვენის ნოტარიატის წესით ბევრი მამული „ვაკუფისა“ უკვე გაყიდულია და ხელიდამ ხელში გადასული, როგორ დააკმაყოფილონ მაჰმადიანთა სულიერი წოდება და მეჩეთები, რომელთა სარჩოდაც ეს მამულები დადებული იყო?

6) აიხსნას თუ არა ყადაღა მამულების ხელიდამ ხელში გადასვლისა და გასყიდვისა, დადგენილი მინისტრთა კომიტეტისაგან 26 ოქტომბერს 1884 წელსა?

ყოველ ამ საგანზედ ბ-ნს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს თავისი აზრი წარუდგენია ბ-ნ მთავარმართებლისათვის. მისსს ბრწყინვალებას ეს მოხსენება გადაუცია გასარჩევად იმ კომისიისათვის, რომელსაც ეწოდება „Сословно-поземельная комиссия по военно-народному управлению“.

ამ კომისიას თავისი აზრი მოუხსენებია ბ-ნ მთავარმართებლისათვის 20-ს ოქტომბერს 1888 წელს. შემდეგ ამისა ორივე ეს მოხსენება ბ-ნ მთავარმართებლის ბძანებით გადაუციათ ბათომის საქალაქო გამგეობისათვის გასარჩევად და აზრის წარმოსათქმელად. გამგეობას მოუსმენია ყოველივე ეს და ამ 1889 წლის იანვრის 19-დამ თავისი აზრი წარუდგენია, საცა ჯერ არს.

დღეს ეს საქმე ამ მდგომარეობაშია და ხსენებულ ექვს საგანზეა აგებული. ადვილად მისახვედრია, რომ ბათომელები მოუთმენელად ელიან ამ საქმის მალე დაბოლოვებას. ათი წელიწადია, რაც ეს საქმე ასე აშლილი და აწეწილია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ წელიწადში მაინც ბოლო მოეღება და როგორც

ქალაქი ბათომი, ისეც იქაურნი მკვიდრნი თავთავის კუთვნილებას ხელშეუხებლად და შეურყეველად დაისაკუთრებენ.

[1889 წ.]

<მორწყვის საქმე წინათ და ახლა>

ტფილისი, 20 მარტი.

ამიერკავკასია მიწის პოხიერებით და ჰავითა ერთი იმისთანა ქვეყანაა, რომელსაც შეუძლიან დიდძალი სიმ-დიდრე იქონიოს. ერთი დიდი ნაკლი ამისი მარტო ის არის, რომ ურწყულია და მშრალი. ესევე ითქმის საქართ-ველოზედაც, ნამეტნავად სურამს აქედ. ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გამ-ლიერებისათვის და ამიტომაც, რო-გორც კანონმდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება, წყლის არხებით გაყვან-გამოყ-ვანისათვის დიდს უფლებას აძლევდა კაცსა. წყლის გაყ-ვანას ვერავი-თარი მიზეზი ვერ დააბრკოლებდა, ოღონდ კი თვით ბუნებას ხელი შეეწყო. ეკლესიაც რომ დახვედროდა წინ არხსა, კანონი ნებას იძლეოდა, თვით ეკლესია გაეჭ-რათ და წყალი გაეყვანათ.

თვითონ ჩვენმა ენამაც კი შეირჩინა იმისი კვალი, თუ რა ძვირფასად მიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი. „წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მიწყალე“ — ყვე-ლა ამ სიტყვებს დასაბამი აქა აქვს. ყველა ამ სიტყ-ვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო. წყალის შევედრება, წყალის მომადლება ჩვენს ქართველს კაცს უპირველეს სავედრებლად და სახვეწარად ჰქონია გამხდარი.

ამიტომაც, საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისასაც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა ვანიშნოთ უშველებელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოღებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია ტფილისიდამ დაწყებული თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან შესართავამდე და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ. ეტყობა, ჩვენს მამა-პაპას არაფერი არ დაუზოგავთ, რომ არ შეჰშინებიან და ამოდენა არხების გაჭრისათვის თავი დაუდვიათ. რამოდენა ჯაფა, ხარჯი და ხალხი დასჭირებია, იქიდამა სჩანს, რაც ხალხის ხსოვნაში დღესაც დარჩენილია. მივიღებთ რა სახეში, რომ ყოველს დიდს საქმეს ჩვენში თამარ მეფეს ვაწერთ, ხალხი ალაზ-ნისა და არაგვის პირისანი დღესაც ამბობენ, რომ როცა თამარ მეფემ გაიყვანა ეს არხები და ბოლოში წისქვილი დააბრუნა, წისქვილის ქვებიდამ სისხლი გადმოსკდაო. ეს ამბავი გვაუწყებს, — რამოდენად ძვირად დასჯდომია ხალხს ეს დიდებული საქმე, რომ მის წარმოდგენით მის მიერ დაღვრილი ოფლი სისხლად გადმომსკდარა წისქვილის ქვებიდამ.

გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა. ის დღეა და ეს და გულამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გავერანდა მდიდარი მამულები აოხრდა, და იქ, საცა ქვეყანა წალ-კოტსავით ჰყვავოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივსღა მოდის. ამაოდ ჩაიარა ამოდენა შრომამ, ამოდენა ჯაფამ და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენთა მამა-პაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს — რანი ვყოფილ-ვართ უწინ და რანი ვართ დღეს.

მთავარმართებლმა თ. ბარიატინსკიმ შენიშნა, რა დიდი საქმეა ამიერკავკასიისათვის საერთოდ და საქართველოსათ-ვის ცალკე სარწყავი წყალი. დაიმორჩილა შამილი თუ არა, მაშინვე შეუდგა ამის საქმეს და მიანდო ინგლისის ინჟენერებს — ბელის და გამ-

ბას, გამოეძიათ მთელი ის ად-გილები, რომელნიც მტკვრის აყოლ-დაყოლებაზე მდება-რეობენ. ბელი მა-ლე დაეთხოვა ამ საქმეს და წავიდა. გამბა კი დარჩა, კარგად გამოიკვლია მტკვრის პირების არემარე და შეადგინა უშველებელი პროექტი იმაზედ თუ, — რო-გორ და რა გზით უნდა მოირწყას აღმოსავლეთი ა-მიერკავკა-სიისა. ეს საქმე მას აქეთ ხელუხლებლად დარჩა, ჩვენდა სამწუხაროდ.

დღეს რუსეთის მწერლობამ მიაქცია ყურადღება ამ ფრიად საჭირო საქმეს. ერთს რუსულ ჟურნალში ჩვენ შევხვდით ამ საგანზედ წერილს ბ-ნ ვოიეკოვი-სას.* იგი ამბობს:

დროა, დიდი ხანია დროა, ხელი მოვკიდოთ ამიერკავკასიაში რწყვის საქმეს. საჭირო არ არის ჩვენთვის ინდოეთის დაპყრობა, — ჩვენ ჩვენი ინდოეთი გვაქვს ამიერკავკასიის ვაკეებზედ, თუკი მოვი-წადინებთ. მტკვარი და არაქსი ერთ მილიონ დესეტინაზედ მეტს ად-გილს მორწყავს, მერე დიდ ნაყოფიერს ადგილსა. სარ-წყავი მიწები ძვირფასს მცენარეს გაზდიან, რწყვა გააღონიერებს მიწებს და გაუძ-ლიერებს მომცემლობას იმოდენად, რომ ორი, ზოგჯერ სამი მოსავალიც მოგვივაო. ყოველ ამის გამო სარწყავი დესეტინა ფასს მოიმატებს და ას თუმანზე** ნაკლებ არ ელირე-ბაო. მაშასადამე, რომ ამიერკავკასიაში რწყვის საქმე მოეწყოს, ჩვენ შევიძენთ მილიარდ მანეთზედ მეტს ქონე-ბას და მაინც არა ნაკლებ იმისა, რაც გერმანიამ დავლა წაართვა საფ-რანგეთს 1871 წელსაო.

თქმა არ უნდა, რომ მართლა დროა ამ ჩვენდა სამწუხაროდ, დაძინებულმა საქმემ ჩვენდა სასიხარუ-ლოდ გაიღვიძოს. არხების გაჭრაა აქ დიდი საქმე, სხვა არაფერი მიზეზი არ არის, რომ ამ საქმეს ბო-ლო არ მოედგას. მაგალითებრ, სამხრეთ რუსეთში,

---

* P. M., №2.

** წინათ ჰყავს ავტორს მოყვანილი, რომ ბევრგან დღესაც სარწყავი დესეტინა 800 მან. ღირსო, მაშინ როდესაც იქავ ურწყავი 10 მანეთად ძლივ იყიდებაო. საფრანგეთში 3000 მანეთად გადის სარწყავი დესეტინა და იქავ ურწყავი 50 მან.

საცა მდინარეებს საწყლე დაბლები აქვთ, ძნელია წყლების ამოყვანა მაღლა და იქი-დამ მიშვება. ამისათვის იქ ცალკე მოწყობა უნდა, ცალკე მანქანები წყლის მაღლა ამოსაყვანად და მერე არხში ჩასაშვებად. ჩვენში ეს არ დასჭირდებათ, რადგანაც თითქმის ყველა ჩვენებურს წყალს სათავე მაღალი აქვს და კარგი ავალა. ამიტომაც ჩვენში ოღონდ არხი იყოს, წყალი ადვი-ლად და გაუჭირებლად მიეგდება და წავა.

[1889 წ.]

აი ისტორია

წერილი პირველი

წლევანდელ თებერვლისა და მარტის ნომრებში რუსულმა ჟურნალმა „Северный Вестник“-მა დაჰბეჭდა ორი წერილი, რომელთათვისაც ავტორს დაურქმევია საერთო სახელი „Письма о Грузии“. რა აზრი ჰქონია ავტორს, როცა ამ წერილებისათვის ხელი მიუყვია, თითონვე მოგვითხრობს.

იგი წერილების თავშივე გვეუბნება, რომ განვიზრახეო, გაკვრით (бегло) ვაცნობო მკითხველებს სურათი ქართველთა სულიერის და ნივთიერის ცხოვრებისა ისე, როგორც იგი გამოიხატა ქართველთა ისტორიასა, ლიტერატურასა და ეხლანდელ ყოფამდგომარეობის ფორმებშიაო. ამ ჩემის სუსტის ღვაწლით მსურსო, რომ განვუღვიძო რუსეთის ინტელიგენციას წყურვილი უფრო ღრმად და ზედმიწევნით შეისწავლონ ეს ბევრგვარად საინტერესო ერი, რომელიც, ავტორის ფიქრით, სხვა ამიერკავკასიის ტომებზედ უძრავლესია, უფრო განვითარებული მოქალაქობრივად (граждански) და რომლის ჩამომდინარობა და ენა დღესაც უცნაურ საგნად მიაჩნიათ უუმეცნიერესს ანტროპოლოგებსა და ლინგვისტებსაო.

ამას ამბობს ავტორი 49 გვერდზედ თებერვლის ნომერში და ამნაირად გვაუწყებს თავის განზრახვასა

და ნიშანში ამოღებულ საგანსა. ხოლო მარტის ნომრის 57 გვერდზედ იგივე ავტორი თავის განზრახულს საგანს ამრიგად გვიხსნის: მე მინდოდა მეცნობებინაო, — ,,საქართველოს ერი მართლა დაბერდა, დაიცალა თავის ღონისაგან, თუ ჯერაც დღეს-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალ-ღონე მერმისისათვისაო. თუ ჩვენმა წერილებმა ამ ძირეულს და თავდათავს საკითხს საკმაოდ ცხადი პასუხი მისცა, ჩვენ ჩვენს განზრახულს საგანს შესრულებულად ჩავთვლითო". აქედამა სჩანს, რომ თავიდათავი საგანი ავტორისა ისა ყოფილა, რომ ამ ძირეულს საკითხს საბუთიანი პასუხი მოუპოვოს.

ჩვენ იმის გამოძიებაში არ შევალთ, — რამოდენად ეთანხმება თავში განზრახული საგანი ბოლოში გამოთქმულსა. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ამისთანა საკითხს იძლევიან ისტორიის მკვლევარნი. რომ ეს ჩვენი გაკვირვება ცუდუბრალო გამოკიდებად არავინ არ ჩამოგვართვას, საჭიროა გამოვწლათ ასო-ასო თავიდათავი საგანი, რომელიც ავტორს ნიშანში ამოულია და რომლის მისაღწევად აუღია კალამი ხელში. გვეშინიან, გადასხვაფერება სიტყვისა ან აზრისა არ მოგვივიდეს თარგმანში და ამიტომაც ავტორის სიტყვებს რუსულადაც მოვიყვანთ. ავტორი, ათავებს რა თავისებურ გამოკვლევას საქართველოს ერის ძველისძველ ცხოვრებისას, ამბობს:

,,Без ясного знакомства с этими доистирическими условиями, читатель не мог бы верно судить ни о его (грузинского народа) литературе, ни о бытовых явлениях его современной жизни и для него (для читателя) не был бы решен самый главный вопрос, действительно ли грузинский народ стар (!) и износил свои силы (!), или же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свой силы для будущего (!). Если письма наши дали достаточно ясный ответ на

этот основной (!) вопрос, мы считаем цель нашу достигнутою“.

თუ ამას დავიჯერებთ, ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ ყველაზედ ძირეული და თავიდათავი საგანი რომელისამე ერის ისტორიის მკვლევარისა ისა ყოფილა, რომ გამოარკვიოს, — დაბერდა იგი ერი და ღონისაგან დაიცალა, თუ ჯერ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ღონე მერმისისათვის. ჯერ ქვეყანაზედ ამ აზრით არავინ შესდგომია ისტორიას და პირველობა ამაში ჩვენს ავტორს უნდა დავულოცოთ.

აშკარაა, ავტორს, ცოტად თუ ბევრად, უწამებია უკვე დაძველებული და ბევრთაგან გამტყუნებული აზრი დრეპერისა იმის თაობაზედ, რომ ერსაც, როგორც თვითოეულს ცალკე ადამიანს, თავისი ასაკები აქვს: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა და ბოლოს სიბერე, რომელსაც სიკვდილი მოსდევს აუცილებლად. დრეპერის აზრით, ეს ყველა ერისათვის გარდაუვალი კანონია, როგორც ცალკე ადამიანისათვის. ამას ვერც ერთი ერი ვერ წაუვა, ვერ გადასცდებაო.

ჩვენს ავტორსაც ეს აზრი უნდა ჰქონდეს, როცა თავის თავს ჰკითხავს, — დაბერდა საქართველოს ერი, თუ არაო. უამისოდ მისი საკითხი მომცდარის კაცის ჩხირკედელობა იქნება, ცუდუბრალოდ მოცდენა მთქმელისაცა და მსმენელისაც.

ან რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაშის ეთიოპელისა და გვითხარით, ამათში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია, ამათში არიან ძველნი და ახალნი, და ეს სულაც იმ სიბერეს და სიყმაწვილეს არა ჰნიშნავს, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს და მეორე კი ზრდაში იყოს,

მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან.

თუ ბევრი მაგალითია ისტორიაში, რომ ერი სრულიად აღგვილა დედამიწის ზურგიდამ, სიბერეს კი არ აბრალებენ ეხლანდელნი მეცნიერნი, არამედ შინაურ საქმეთა მოწყობილობას, ურიგობას და გარე მიზეზებს, მაგალითებრ, მტერთაგან ძლევასა, აკლებასა და აოხრებას. დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან. ეს შესაძლოა მოჰხდეს. თუმცა ძნელად წარმოსადგენი კია, მაგრამ, თუ მოჰხდა, აქ სიბერე არაფერს შუაში იქნება, იმიტომ უფრო, რომ სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც კი ყოვლად შეუძლებელია. ამაზედ სიტყვის გაგძელება მეტი იქნება. თვითონ რუსულ ლიტერატურაშიაც კი საბუთიანად გამოძიებულია ეს საგანი და ჩვენ არ გვახსოვს, რომ რომელსამე დაწინაურებულს მეცნიერს რუსეთისას არ გაეკილვოს, ასე თუ ისე, დრეპერის აზრი ამის თაობაზედ. ჩვენ გვიკვირს, რომ ავტორს, ვითარცა კაცს ასეთის ჭეშქუხილით მოუბარს ,,о свободном и широкольющемся потоке света и знания, о связи с могучим, глубоким родником общечеловеческой мысли“* ზურგი შეუქცევია იმ поток-ისათვისაც და იმ родник-ისათვისაც და, არამც თუ რაშიმე გამოუყენებია, ყურიც არ უთხოებია; მაშ, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს ამისთანა ყალხზედ შეყენებულ ფრაზებს, თუ თითონ მთქმელს

---

* ავტორის სიტყვებია.

საჭიროდ არ დაუნახავს არც ის поток-ი света и знания, არც ის родник-ი общечеловеческой мысли და მარტო ორიოდე კაცის ნათქვამს უანგარიშოდ, ბრმად გაჰყოლია, თითქო იმ მთელ კაცობრიობის აზრთა წყაროში, იმ ნათელისა და ცოდნის ნიაღვარში, მარტო დრეპპერისა და მის მიმდევართა აზრი იყოს და სხვისა არავისი.

„სიბერე ერისა“, ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის. თუ ესეა, რის მაქნისია კაცმა ეგ უქმი, არაფრის მომასწავებელი სრულებითაც არარსებული საგანი იძიოს, ან მსოფლიო ისტორიაში საზოგადოდ, ან საქართველოსაში ცალკე. რაც არ არის და არც ოდესმე იქნება, იმისი ძებნა ტყუილი მოცდენაა, წყლის ნაყვაა და, რასაკვირველია, ყველას ნება აქვს, როგორც სურს, ისე შეიქციოს თავი. ეს კიდევ არაფერი. რაც უნდა იყოს, აქ დრეპერს მაინც იმოწმებს ავტორი თავის გასამართლებლად და ჩვენდა გასამტყუნებლად, თუმცა, ვიმეორებთ, მინამ ამას დაგვმართებდეს, ავტორმა ჯერ უნდა იკისროს, რომ მის მიერ ქებული დიდებული родник-ი общечеловеческой мысли, ის поток-ი света и знания მისთვის ცარიელი ფრაზაა, მისთვის არ არსებობს. აკი ვამბობთ, ამ „ერის სიბერის“ გამო ავტორს კიდევ ხელმოსაჭიდებელი ხავსი აქვს თავის გადასარჩენად; საქმე მეორე წინადადებაა:

„დაიცალა (ქართველი ერი) ღონისაგან (?), თუ ჯერ დღეს-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და შეუნახავს თავისი ძალღონე მერმისისათვისაო“ — (Износил свои силы, или же он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною жизнью и сберег свои силы для будущего?).

აბა, ერთი გვითხარით, ეს „сберег свои силы для будущего“ რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხია? ყველა ყველა და ამისთანა საკითხს კი არ მოველოდით

არავისაგან. ვინც ამისთანა საკითხს იძლევა და ამრიგად, იმას ორი რამ უნდა რწმენად მიღებული ჰქონდეს, ერთი მეორეზედ უფრო საოცარი, უფრო საკვირველი, რომ სხვა არა ვსთქვათ რა; ერთი ისა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცლის ერსა, ესე იგი ასუსტებს, აუძლურებს; და მეორე — არაინტენსიური ცხოვრება კი ანახვინებს ღონეს მერმისისათვის. დააკვირდით ზემო მოყვანილს სიტყვებს ავტორისას და დაინახავთ, რომ, თუ ამ სიტყვებში რაიმე ლოღიკაა, მისი საკითხი სწორედ ამ ორგვარ რწმენისაგან მომდინარეობს. სხვა სათავე არა აქვს მის საკითხსა. გაგონილა ეს სადმე და ვისგანმე? მაშ რაღაზედ იხოცვენ თავს ევროპიელნი „სრულის ინტენსიურ ცხოვრებისათვის“, თუ იგი ღონეს არა ჰმატებს და ღონისაგან სცლის! სულელები!.. მოსულიყვნენ და ჩვენგან ჭკუა ესწავლათ!.. ის არა სჯობია — ჩვენ, ქართველებს, მოგვბაძონ*, ინტენსიურ ცხოვრებას ჩვენსავით თავი არიდონ და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის. აი, ესეც თქვენი ახალი ამბავი! მოდით და ამას იქით ინატრეთ „სრული ინტენსიური“ ცხოვრება!.. დღეს-აქამომდე გვეგონა, რომ ხსნა ერისა სწორედ მაგ ინტენსიურ ცხოვრებაშია და, თურმე ნუ იტყვით, დასარჩობი ფონი კი სწორედ ეგ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა. ღონისაგან არდაცლა, ღონის შერჩენა ხომ ბედნიერებაა და, მაშასადამე, ბედნიერი ერი ისა ყოფილა, ვინც ამ ინტენსიურ ცხოვრების მაცდურებას არ აჰყოლია, მისგან არ გაბრიყვებულა და ღონე შეუნახავს მერმისისათვის. ამაზე ბედნიერი უფრო დათვები და მგლები უნდა იყვნენ, რადგანაც ამათ გუშინდელი დღეც არ

---

* ავტორი მერე დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ სრულის ინტენსიურის ცხოვრებით არ გვიცხოვრია და (გვიხაროდეს!) ღონე შეგვინახავს მერმისისათვის.

ახსოვთ და, მაშასადამე, ადამიანზედ უფრო მეტი ღონე შეუნახავთ მერმისისათვის. გაგონილა ასეთი სასაცილობა! გაგონილა ასეთი მოთხრა და გაბიაბრუება ისტორიისა! ჰოი, поток-ო света и знания, ჰოი, родник-ო общечеловеческой мысли! „რაზედ გაცუდდნენ ძალნი თქვენნი მომჯადოებნი“?!

„ინტენსიური ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია, კაცობრიობის დაუღალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონისღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, — იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში. თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისაგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის.

ღონე შეინახება მერმისისათვისაო, გვანუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვისღაა საჭირო. რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიურ ცხოვრებისათვის. თუ ესეა, ან თითონ ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს! ეს რა ბაბილონის გოდოლია, არ გვესმის და იქნება ავტორმა შემდეგს წერილებში აგვიხსნას.

ეხლა კი უსაბუთოდ ჰკილავს ავტორი ჩვენებურ ინტელიგენციას 54 გვერდზედ, რომ ტყუილად აბნევს

აქ (საქართველოში) მზე თავის ბრწყინვალე და სიცოცხლის სასიხარულო სხივებსაო. იგი თითქო არც ათბობს, არც ანათებს და მარტო თვალს ახამხამებსო. რად არის ესე, ჰკითხულობს გულშემატკივარი ავტორი: კაცს აქ სული რად უგუბდება და რატომ ნათელი არა ნათობსო. ბევრიაო ამისი მიზეზი და უპირველესი თავიდათავი ის არისო, რომ აქაურ ინტელეგენციას თავი შეუკეტნია, ,,потеряв связь с могучим и глубоким родником общечеловеческой мысли“.

ჩვენ გვგონია, რომ ავტორი არ უნდა უწყრებოდეს ჩვენებურს ინტელიგენციას ამისათვის, თუ თავისი დედააზრი, თავისი მოძღვრება ,,ღონის შენახვაზედ“ მართლა სწამს. ავტორს, წყრომის მაგიერ, უნდა გახარებოდა, რომ ჩვენებური ინტელიგენცია მისის რეცეპტით იქცევა ამ შემთხვევაში: ღონეს ინახავს მერმისისათვის და ამიტომაც თავი შეუკეტნია, რომ კაცობრიობის ,,ინტენსიურმა აზროვნებამ“ ღონე არ შემოახარჯვინოს.

აი, სადამდე მიჰყავს კაცი უთავბოლო ფრაზებსა. ის თავიდათავი საგანი, რომლის გამოსარკვევადაც აუღია ავტორს კალამი ხელში და რომელიც გამოთქმულია ზემომოყვანილ რუსულ ციტატაში, აშკარად გვეუბნება, რა განძის პატრონი ყოფილა ჩვენი ავტორი. მას სწამებია ჯერ ისა, რომ ერის ცხოვრებაში სიბერეს თავისი ადგილი აქვს; მეორე ისა, რომ ,,ინტენსიური ცხოვრება“ ერისა ღონის გამომცლელია და, მაშასადამე, დამაუძლურებელი; მესამე ისა, რომ რომელს ერსაც ინტენსიური ცხოვრება არა ჰქონია, ჭკვა უხმარია და ღონე შეუნახავს მერმისისათვის და, მაშასადამე, წინ უნდა იყოს იმ ერზედ, რომელიც მისცემია ინტენსიურს ცხოვრებას და ამაობაში ღონისაგან იცლება. ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია.

ამას გვეუბნება კაცი, რომელიც ჰკიცხავს ჩვენებურ ინტელიგენციას, თავი შეგიკეტნიათ და არ ეწაფებით კაცობრიობის აზრთა ყოვლადშემძლებელ წყაროსაო! უმეცრებას ის კაცი უკიჟინებს სხვას, რომელსაც „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ერის ღონისაგან დამცლელი ჰგონია და არაინტენსიური ცხოვრება კი – ღონის შემნახველი.

ეხლა, აბა ჰნახეთ, სხვა ადგილას იგივე ავტორი იმავ ინტენსიურ ცხოვრებას რა ფრაზებით, რა ბუკითა და ნაღარით აქებ-ადიდებს: „всесильная современность, могучий и глубокий родник общечеловеческой мысли, свободный и широколькющийся поток света и знания, общечеловеческая сокровищница слова и мысли“ და სხვანი და სხვანი. ახლა ერთი ჰკითხეთ ავტორს, საიდამ არის ყოველივე ეს, თუ არ „ინტენსიურ ცხოვრებისაგან“. რამ შეჰქმნა ეს ყოვლადშემძლებელი ეხლანდელობა, ეს ღონიერი და ღრმა წყარო კაცობრიობის აზროვნებისა, ეს თავისუფალი და განივრად მომდინარე ნიაღვარი ნათლისა და ცოდნისა, ეს კაცობრიობის სალარო სიტყვისა და აზრისა, თუ არ „ინტენსიურმა ცხოვრებამ“?

ნუთუ ყოველივე ეს ერთად და თვითოეული ცალკე უტყუარი ნიშანი და მაგალითი არ არის „სრულის ინტენსიურის ცხოვრებისა“? თუ ესეა, ამის მთქმელს განაღა შეეძლო ბოლოს ეს ეკითხნა:

„Грузинский народ стар (?) и износил свои силы (?), или он до сих пор не начинал еще жить полною интенсивною (?) жизнью и сберег свои силы для будущего (?)“.

ორში ერთი: ინტენსიური ცხოვრება ან ღონეა, ან ღონისაგან დამცლელი. რომელი ერთი დავუჯეროთ ავტორსა. აქ ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ან ზემოხსენებული ქება-დიდება ცუდუბრალო ფრაზებია მტვერის ასაყენებლად, ან ეს უკანასკნელი ლათაიად მოყვანილი. თუ ერთიცა და მეორეც მართლა ცარიელი ფრაზები არ არის და აზრი რამა აქვთ,

ძნელად დასაჯერია, რომ ერთისა და იმავე კაცისაგან იყოს ნათქვამი.

ახლა ჩვენ ხომ ვიცით, რა ღრმა აზრი და საგანი ჰქონია ავტორს, როცა თავისის წერილებისათვის ხელი მიუყვია. საგანი, როგორც ჰხედავთ, ურიგო არ არის, რადგანაც აქედამ ერთი კარგი რჩევა გამოდის: ვერიდნეთ ინტენსიურს ცხოვრებას ერთი ათასიოდ წელიწადი კიდევ და ამით ღონე შეგვენახება უფრო შორეულ მერმისისათვის. და თუ ეს ღონის შენახვა კარგია, ჩვენს შემდეგთაც ვუანდერძოთ, ესევე ჭკუა იხმარონ, იმათაც ზურგი შეაქციონ ინტენსიურ ცხოვრებას და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის და ეგრე ერთი შთამომავლობა მეორეს მიჰყვეს ქვეყნის დასასრულამდე. ახლა დაიჟინებთ და იკითხავთ, — ეგ ღონე რაღა ეშმაკად უნდა ერსა, თუ ყოველთვის ზანდუკში შენახული ექნებაო? ამისი კი რა მოგახსენოთ. ხოლო ეხლა კი ადვილად გასაგებია, ველურნი ერნი რად უფრთხიან, როგორც ჭირს, ინტენსიურს ცხოვრებას? თურმე ნუ იტყვით, არ იხარჯებიან და ღონეს ინახავენ მერმისისათვის. მეტი ჭკუაღა გინდათ! რომ სწორედ ამ ჭკუაზედ გვივლია ჩვენც, ამას ავტორი სცდილობს თავის წერილებში დაამტკიცოს. ეს ახალი მეცნიერება დღეს-აქამომდე არავინ იცოდა და, მადლობა ღმერთს, „Северный Вестник“-მა ქვეყანას შეატყობინა, ჩვენის ავტორის შემწეობით. რა თქმა უნდა, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ერთობ მთელი ევროპა თავს დაანებებს ინტენსიურ ცხოვრებას და ღონეს შეინახავს მერმისისათვის ჩვენებურადა, ქართველურადა. მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს ევროპისათვის ეს ახლად ნაპოვნი წამალი „ღონის შენახვისა“.

ყოველივე ესეც საკმაო საბუთს გვაძლევს ამაზედ გაგვეთავებინა ჩვენი საუბარი. ვინც ისტორიაში იმას ეძებს, — აცა, ვინ არ მიეცა ინტენსიურს ცხოვრებას და ამით ღონე შეინახა მერმისისათვისაო, იმასთან

ლაპარაკი მეტია. მაგრამ ჩვენ მაინც ამით არ ვათავებთ ჩვენს საუბარსა, იმიტომ რომ ერთს ადგილას (53 გვერდზედ) ავტორი ამბობს, მე იმისთანა მხარეს ქართველთა ცხოვრებისას უნდა შევეხოო, რომელსაც ჯერ არავინ შეჰხებია ქართულს ლიტერატურაში და ამაში პირველობა მე შემხვდაო. მოდით და წყურვილი ნუ აგეშლებათ, ბოლომდე მიჰყვეთ ავტორსა.

შემდეგში გავსინჯავთ, რა გზით, რა „ინტენსიურ ცოდნით“, ერთის სიტყვით — რა საგზალით უვლია ავტორს თავის ძირეულ და თავდათავ საგნამდე მისაღწევად და რა საკვირველებანი აღმოუჩენია გზადაგზა მსოფლიო ისტორიისათვის საზოგადოდ და ჩვენისათვის ცალკე.

წერილი მეორე

ჩვენა ვნახეთ, რომ ავტორმა „Письма о Грузии“-სამ თავდათავ საგნად წინ დაიყენა — შეგვატყობინოს, — „დაბერდა საქართველოს ერი და დაიცალა ღონისაგან, თუ ჯერ-აქამომდე არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და თავისი ძალ-ღონე შეუნახავს მერმისისათვის“. რა პასუხს მისცემს ავტორი ამ საკითხს, ამაზედ ბოლოს ვიტყვით. ჯერ მოვკვლიოთ — რა სამცნო მეთოდით მიჰმართა თავის ახირებულ საგნის გამორკვევასა.

თითონ ავტორი ამაზედ არას ამბობს პირდაპირ. არც საჭირო იყო; თითონ წერილები ავტორისა ამ შემთხვევისათვის „მოდი მნახეა“. თუნდ ეგეც არ იყოს, რაკი ავტორი უკიჟინებს ჩვენს ლიტერატურას, არ იცის — რა არის „შედარებითი მეთოდი კვლევისა“-ო (сравнительный метод) და კრიტიკით არ შეჰხებია საქართველოს ისტორიასაო, — უნდა ვიგულისხმოთ, რომ თითონ ამისი მოკიჟინე ავტორი ამ მეთოდს და ამ კრიტიკას იხმარებს.

ძალიანა ვწუხვართ, რომ კარგა ხანს თავი უნდა დავანებოთ ავტორსა და შევუდგეთ იმის ახსნას თუ რის მომასწავებელია „შედარებითი მეთოდი“ და რასა ჰნიშნავს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ, — რის არცოდნა უკიჟინებია ავტორს ჩვენის ლიტერატურისათვის. ესე იგი, რა მოუთხოვნია ჩვენგან, რომ იგივე მოვსთხოვოთ თითონ მას, რადგანაც — როგორც ეტყობა — იგი ამ მეთოდისათვის თავგამოდებულია და თავდადებული. რა თქმა უნდა, ვრცლად ამის ახსნას ვერ გამოვუდგებით, რადგანაც ამისათვის არც დროა და არც ადგილი პატარა გაზეთში. ამის ახსნას ჯონ სტუარტ მილლმა რამდენიმე დაბეჭდილი თაბახი მოანდომა თავის სახელოვან თხზულებაში, რომელსაც „სისტემა ლოღიკისა“ ჰქვიან.

ამჟამად ჩვენთვის საკმაოა მარტო თავიდათავი ძარღვი გავუგოთ ამ მეთოდსა, ისიც იმ საგნების მიხედვით, რომელნიც ერთად კრებულად შეადგენენ ისტორიას მთელის მისის ვრცელის მნიშვნელობითა. რა თქმა უნდა, აქაც ისე ვერ გადავურჩებით, რომ სიტყვა არ გაგვიგრძელ-დეს. თითონ საგანია იმისთანა რთული და მრავალ ფესვ-შტოიანი, თუმცა ჩვენი სურვილი კია, რომ მარტო დედაძარღვს მეთოდისას მივაგნოთ, და სხვას ყოველს, მის მეტ-ნაკლებობას და გარემოცულობას გზა ავუქციოთ.

ჩვენ წინათვე ბოდიშს ვიხდით ჯერ ჩვენის პირდაპირის საგნიდამ გადახვევისათვის და მერე იმისათვის, რომ აქ იძულებულნი ვიქნებით ბევრი იმისთანა სიტყვები — ქართული და უცხო — ვიხმაროთ, რომელთაც ჯერ ადგილი არ დაუჭერიათ ჩვენს ენაში. ტერმინების უქონლობა ამ შემთხვევაში მეტისმეტად აბრკოლებს კაცსა და, იმის გარდა, რომ აძნელებს გაგებას ნათქვამისას, სიტყვასაც ძალაუნებურად აგძელებს, თითონ ენასაც აჭრელებს, ამძიმებს. ეს აჭრელება და დამძიმება არ უხდება არც წერასა, არც ლაპარაკსა და ამიტომაც, როგორც

საკითხავად, ისეც სასმენლად, მოსაწყენია. ჩვენი ნუგეში ამ შემთხვევაში ის არის, რომ ვინც სიტყვაში აზრს ეძებს და არა მარტო გართობასა და სიამოვნებას, ის არ შეუშინდება ამ მოწყენასა და გაირჯება, ძალაუნებური სიმძიმე ენისა აიტანოს აზრის გაგების სურვილით.

არის იმისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, სადაც მჭრელი და გამომძიებელი გონება ადამიანისა თავგამოდებული იბრძვის — შეიტყოს სასურველი, გაიგოს, აიხსნას უტყუარად და შეუცდომლად, მაგრამ ამისათვის ვერავითარს გარეგანს საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად. ამისთანა სფერა საცოდნელისა, თუ საცნაურისა, ყველა მეცნიერებაში არის და, სხვათა შორის, ისტორიაშიაც. ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი მდგომარეობაა თვითოეულის ერისა და აქედამ მთელის კაცობრიობისაც. ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელსაც ისტორიის წინადყოფილს დროს ეძახიან, ესე იგი იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიასა და მოუსვენარი, ცოდნის ხარბი გონება ადამიანისა კი სცდილობს, რაც ისტორიას არ დაუხსომებია, იგი თვითონ გვიამბოს, გვაცოდინოს. საიდამ და როგორაო? — იკითხვენ. მართლადა საიდამ და როგორ, მაშინ როდესაც არავითარი პირდაპირი მთხრობელი, არავითარი წერილობითი მოწმობა არ არსებობს?

პროგრესიო, — ამბობს ფილოსოფოსი ბეკონი, — არის გაუთავებელი შორს გადგმა არშესაძლებელის საზღვრებისაო. მართალიც არის: ვის ეგონა, რომ შესაძლებელია უშველებელ მანძილზედ კაცი კაცს გამოელაპარაკოს თვალის დახამხამების უმალ? ვის ეგონა, რომ შესაძლოა ორთქლმა სახლების ოდენა ვაგონები გააქან-გამოაქანოს გაჭენებულ ცხენზედ უფრო სწრაფად? დღეს ყველა ეს არის და, ამ სახით, საზღვარი არშესაძლებელისა ამაების შესახებ,

წინად ახლო მდგარი, დღეს შორს გადადგმულია, ანუ, უკეთ ვსთქვათ, საზღვარმა შესაძლებელისამ ადგილი გადაინაცვლა და შორს გაიწია.

ესევე არშესაძლებელი შესძლო ადამიანის გონებამ, როცა შეუდგა იმის გამოძიებას და გაგებას, თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითვეული ერი ცალკე — იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია. აქ ის მდგომარეობა იგულისხმება, რასაც „ცივილიზაციას“ ეძახიან. ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა, მიზეზი კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა ერთად, რომელნიც ერთად, კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითვეულ ერში ცალკე. ამგვარს ძალ-ღონეებს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან. ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა, რწმუნება (Верования) იმ საგნების მიმართ, რომელნიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წესწყობილება ოჯახებური, საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მომქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტ-ნაკლებობით.

ყოველივე ეს, თუ ისტორიის წინადყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად.

ეს გასაღები ზოგში იგი ამბებია, რაც ადამიანს დაუხსომებია ზღაპრულად. ეს ზღაპარნარევი ამბები, თქმულობანი, რა თქმა უნდა, მოწმად და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისამე ყოფილის საქმისა. ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და

სანდონი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისას. სასაფლაონი და სამარხი ნაშთნი აკლდამებსა და კუბოებში ძველისძველის დროებისანი — ესენიც მეცნიერებამ გამოიყენა იმ ცხრა კლიტით დაკეტილის გასაღებად. თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ. ეტნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ, ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა.

რამოდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არხეოლოგიურსა და ეტნოლოგიურს ნაშთსა და კვალსა, იმოდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადედე შემდეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ აჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი — სულ უდიდესს პროგრესსა.*

ყოველ ამაებში — ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს-ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას. მაგალითებრ, გამოცნობილია, რომ რამდენადაც ბევრია საერთო სახელები ენაში და ახლოა ერთმანეთზედ მათი მნიშვნელობა, იმოდენად შესაძლოა

---

* ტეილორი.

გამოვარკვიოთ ცოდნა ეპოქისა.* ენის მკვლევარი მეცნიერება – ფილოლოგიაა და ამიტომაც მართალს ამბობენ, რომ ფილოლოგია და ისტორია მხარდამხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავალისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისაო.**

აქედამა სჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად. ეს ღონე გამოიჩინა ფილოლოგიამ უფრო მაშინ, როცა ადამიანის გონებამ მიაგნო ერთსგვარს გზას კვლევისას, რომელსაც „შედარებითი მეთოდი“ – ჰქვიან. ამ მეთოდმა, სიფრთხილითა და ცოდნით ხმარებულმა, ისეთი უტყუარობა, ისეთი ზედმიწევნილობა აღმოიჩინა, ისეთი სახელი დაიგდო, რომ არ არის მეცნიერება, რომელიც, საცა საჭიროა, ამ მეთოდს არა ჰხმარობდეს. ამ მეთოდით ბევრს მწყვდიადსა და ბნელს ნათელი მოეფინა, ბევრი დაფარული გამომზევდა. ამიტომაც ამბობს ერთი მეცნიერი,*** რომ „შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევამოსილობაა გონებითად ჩვენის საუკუნისაო“. მისის სიტყვით, ამ მეთოდმა იმისთანა გზა გაგვიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უეჭვოდ დავრწმუნდეთ იქ, საცა უწინ მარტო ამოცანებით და ეჭვით ლაპარაკი იყო. ამ მეთოდმა მოგვცაო, ამბობს იგი, ღონე და სახსარი

---

* ჯონ–სტუარტ მილლი.

** ეიჰგოფი.

*** ედუარდ ფრიმანი, ინგლისელი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი.

შინაგანის საბუთებით დავამტკიცოთ უფრო ცხადად და უტყუარად ის, რასაც გარეგანი საბუთები არა აქვსო.

პირველი, რომელმაც ეს მეთოდი იშვილა, ფრიმანის სიტყვით, არის ფილოლოგია, და მას აქედ ფილოლოგია, ანუ უკედ ვსთქვათ — შედარებითი ფილოლოგია, ისეთს მაგარს საფუძველს დაებჯინა, რომ ვერა ძალი ვეღარ შეარყევსო. თუმცა იმ ხანაში, რომელსაც შედარებითმა ფილოლოგიამ თავისი ნესტარი გაუბნია, არავითარი წერილობითი მოწმობა არ დარჩენილა, არავითარი პირდაპირი გეში, მაგრამ, ამბობს იგივე ფრიმანი, საბუთები შედარებითის ფილოლოგიისა უფრო საიმედონი არიან, ვიდრე ბევრი რამ იგი, რასაც იძლევა წერილობითი ნაშთი ისტორიისაო. ამ გზით ჩვენ იმისთანა ამბებს ვცნობულობთო, რომელთ შესახებ შეუძლებელია გარეგანი საბუთი, მაგრამ შინაგანი საბუთი კი, რაკი ერთხელ ნაპოვნია და დადგენილი, შეურყეველია და ყოველს ეჭვს უკარგავს ადამიანსაო.

ეს ჩვენი ნათქვამი თუმცა გვეუბნება, რის მომასწავებელია და რა ღირსებისაა შედარებითი მეთოდი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ არა ჰხსნის, თითონ მეთოდი რაში მდგომარეობს. თუ აქ, ვიდრე ამას ავხსნიდით, უფრო შედარებითი ფილოლოგია ვახსენეთ, მარტო იმისთვის, რომ თვით მეთოდის ახსნა გავიადვილოთ, იმიტომ რომ სხვა სამეცნიერო სფერაში ეს მეთოდი ისე საკუთრად, მარტივად და შეურევნელად დასანახი არ არის, როგორც ფილოლოგიაში.

თითონ სიტყვა „შედარება“, ცოტად თუ ბევრად გვამცნევს — რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობთ „შედარებითი მეთოდი“. შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა. შედარების საგნად

შესაძლოა რამდენიმე სხვადასხვანაირი შემთხვევაც იყოს ერთისა და იმავე მოვლენისა, ხოლო იმისთანა შემთხვევანი კი, რომელშიაც გამოსაძიებელი მოვლენა თავს იჩენს ასე თუ ისე.

სწორედ რომ ვსთქვათ, სიტყვა „შედარება“ სრულიად არ უხდება, სრულიად არ შეეფერება იმგვარს კვლევას საგნისას, რომელსაც ამ სიტყვით ჰხატავს მეცნიერება ყველა ენებში. ესგვარი კვლევა — შედარება კი არ არის, სწორედ ის არის, რომ კაცი კვალში ჩაუდგეს რომელსამე საგანს, ანუ მოვლენას, რომ ან სათავიდამ ბოლომდე ჩამოჰყვეს, თუ სათავე ვიცით და ბოლო არა, და ან ბოლოდამ სათავემდე აჰყვეს, თუ ბოლო ვიცით და სათავე არა, და ამისათვის კიბედ გაიხადოს ყოველივე შემთხვევა, ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია. ვსთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშური სიტყვა „აჩუა“. საიდამ არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა — რასაც ბავში ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვნით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად* acva, ზენდურად** aspa, ლათინურად equus, ირლანდიურად ech, ლიტოვურად aszwa — ცხენსა* ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა“. ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა“, რომელსაც დღეს ჩვენში მარტო

---

* ძველისძველი ენაა.

** ძველისძველი სპარსული.

* შრადერი.

ბავში ჰხმარობს, ან ბავშისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ?

რა თქმა უნდა, ეს ამბავი, ასე ცალკედ, ასე ობლად და მარტოდ აღებული, იმოდენად არა არის რა, რომ კაცმა მისდა მიხედვით რაიმე გადაწყვეტილი აზრი შეადგინოს ან ერთა შთამომავლობასა და ნათესაობაზე, ან რაიმე მახლობელობაზე. ხოლო ყოველივე ამისთანა ამბავი, ცალკე თუ სხვებთან ერთად, ისტორიის მკვლევარისათვის ანგარიშგასაწევია იმოდენად, რამოდენადაც იგი ანიშნებს ზედგავლენას, დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვადასხვა ერებისას, რომელნიც, რაკი ამისთანა საბუთია, უეჭველია, ერთმანეთს ოდესღაც შეხვედრიან ისტორიის გზაზედა ისე თუ ასე. ფრიმანი უფრო დიდს ავალას აძლევს ამისთანა ამბავსა, თუმცა ზოგიერთნი ამაში უცილობელად ბევრს არას უთმობენ ამ მეცნიერს.

ფრიმანს მოჰყავს, მაგალითად, სიტყვა mill, molare, რუსული молоть, და ამბობს, რომ ერთგვარ ენების ჯგუფში ყველგან ეს თავდაპირველი ძირი სიტყვისა ისმის, ზოგან უცვლელად და ზოგან ცვლილებით, იმ მოქმედების აღსანიშნავად, რომელსაც „ფქვა“ ჰქვიანო. აქედამ წარმომდგარია თვით წისქვილის სახელიცაო ამ სხვადასხვა, ერთმანეთზე იმოდენად დაშორებულ ენებში, რომ ერთის მიერ მეორისაგან შემოღება რისამე საზოგადოდ და სიტყვისა ცალკედ ყოვლად შეუძლებელია ისტორიულის საბუთით კაცმა წარმოიდგინოსო. ნუთუ ეს ამბავი შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა იმას, რომ ეს სხვადასხვა ენები ოდესღაც ერთი და იგივე ენა ყოფილაო. შეიძლება რომელმამე ცალკე ერმა ცალკე თავისგნით მოიგონოს ხელობა ფქვისა, მაგრამ რომ ამ მოქმედებას ერთი და იგივე სახელი დაარქვას ერთმანეთზედ დამოუკიდებლად — ეს კი ყოვლად შეუძლებელიაო. თუ ესეა, როცა სახეში გვაქვს მარტო ერთი ცალკე სიტყვა, რაღა ითქმის მაშინ, როცა ამისთანა

მსგავსებით სხვა ბევრი სიტყვაც აღმოჩნდება სხვადასხვა, ერთმანეთზედ დაშორებულ ენებშიო. როცა ამისთანა საბუთები წინ გვედება, შეუძლებელია კაცმა ის დასკვა არ გამოიყვანოს, რომ ყველა ამგვარად შედარებული ენები ოდესღაც ერთი და იგივე ყოფილა და ერნი, რომელნიც ამ ენებს ლაპარაკობენ, ერთისა და იმავე შთამომავლობისაო, ხოლო განაწილებულან და გაყრილან მას შემდეგ, როცა უკვე ერთობაში მიუღწევიათ იმ ცივილიზაციის ხარისხამდე, რომ წისქვილის ხმარება სცოდნიათო, — ამბობს ბოლოს ფრიმანი. აი, როგორ ჰშველის შედარებითი ფილოლოგია ისტორიას.

ან, მაგალითად, ავიღოთ ჩვენი ჩვეულება, რომელიც გვიშლის, რომ მონაკვეთი ფჩხილი, ან თმა არ გადავაგდოთ ცუდუბრალოდ, და გვავალებს — უსათუოდ ცეცხლში დავსწვათ, ან მიწაში ჩავფლათ. სად არის ამის მიზეზი, სათავე? რის მომასწავებელია ეს ჩვეულება? აშკარაა, აქ რაღაც მიზეზს დაუდგენია ეს ჩვეულება, და რა მიზეზს — ეს კი აღარ დაგვხსომებია. რომ მოვჩხრიკოთ, ყოველს დროს, ყოველს ადგილას, ყოველს შემთხვევაში, საცა კი დედამიწის ზურგზედ ამ ჩვეულებას თავი უჩენია, ვნახავთ, რომ ეგ ჩვეულება ერთნაირ რწმენისაგან არის წარმომდგარი. უწინ სჯერებიათ, რომ ადამიანის კუთვნილს რასმე, საცმელს, სამოსელს, ნაკვეთს ფჩხილს, თმას და სხვას ამისთანას, განუწყვეტელი კავშირი და დამოკიდებულება აქვს პატრონთან მაშინაც, როცა პატრონი ერთგან არის და მისი კუთვნილი — მეორეგან, თუნდა ძალიან შორსაც. ამის საბუთს დღესაც ვხედავთ, როცა ჩვენებურს მკითხავებს აკითხვინებენ ხოლმე, ან ბედს შეაკვრევინებენ და გაახსნევინებენ მარტო იმით, რომ ხელცახოცზედ აკითხვინებენ, ან ხელცახოცს შეალოცვინებენ იმ კაცისას, რომელიც მკითხავზე შორს არის. ამ რწმენის პირდაპირი შედეგი ის არის, რომ რასაც ადამიანის კუთვნილს შეამთხვევთ, ის

პატრონსაც შეემთხვევა. რადგანაც ესეა, შესაძლოა პატრონს მონაკვეთისას, მონარჩენისას, ან კუთვნილისას — ჯადო რამ გაუკეთონ, ბედი შეუკრან და ბოროტი შეამთხვიონ. ამის შიშით ყველა თავისას უფრთხილდება, რომ უალაგო ალაგას არა დარჩეს რა, თორემ მავნე სული, ან მტერი ვინმე იპოვნის, მოაჯადოებს და აქედამ ჯადო პატრონს ეწვევა.

ყველგან, საცა კი ეს ჩვეულება ითვალთვალება, მაგალითებრ — ავსტრალიის, პოლინეზიის, გვინეის ხალხში, — ჰნახავთ, რომ შიშითა თრთიან დღესაც, ჩვენს კუთვნილს რასმე ჯადო არ გაუკეთონ და იქიდამ ჩვენ არ გადმოგვედოსო. რა თქმა უნდა, რომ თუ ეს შიში ასე მოქმედობს მაშინ, როცა ლაპარაკი იმისთანა კუთვნილებაზეა, რომელიც ადამიანის ნაწილს არ შეადგენს, მაგალითებრ — ხელცახოცი და სხვა ამისთანა, მაშინ რაღა უნდა ითქვას, როცა კუთვნილი მონაკვეთი ნაწილია ადამიანისა, როგორც ფჩხილი და თმა. ძველისძველს სპარსებს მთელი წესი და რიგი აქვნდათ დანიშნული მონაკვეთის ფჩხილისა და თმის მიწაში დასამარხად, რომ მავნე სულებმა არა შეამთხვიონ რა მათ გამო პატრონსა. შორს რად წავიდეთ, დღესაც ევროპაში ერიდებიან ფჩხილისა და თმის გადაყრას ამავე შიშით. გერმანიის გლეხი დღესაც თურმე ყმაწვილის დაბადების დღიდამ ნათლობამდე სახლიდამ არაფერს გააცემინებს, რომ გაცემულს არავინ შეულოცოს და იმის გამო ბავშს ბედი არ შეეკრას.*

ეს მაგალითი, სულ სხვა სფერის მოვლენიდგან ამოღებული, რა თქმა უნდა, შედარებულ ერთა ნათესაობის და ერთობის მომასწავებელი არ არის.

---

* ზანგების მოგვებმაც ასე იციან: როცა ავადმყოფს არ შეუძლიან მათთან მისვლა, მაშინ იმის ტანისამოსსა, თუ სხვას რასმე ამის მსგავსზედ შეულოცვენ ხოლმე.

იგი მარტო იმას გვაუწყებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გადუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება. გარდა ამისა, ეს მაგალითი შუქსა ჰფენს იმ წყვდიადსა, რომელიც დღეს გარს ახვევია ჩვენგან მოყვანილს ჩვეულებას, გვშველის აღვადგინოთ ის, ეხლა დავიწყებული, აზრი ჩვეულებისა, რომელიც ოდესღაც ასულდგმარებდა თითონ ჩვეულებას. ამ გზით იგი ხელს უწყობს გაგებას და ახსნას ეხლანდელისას, რომელიც თუმცა შერჩენია ცხოვრებას, მაგრამ არც თავი უჩანს, არც ბოლო, და სასაცილოდღა ასაგდები გაგვხდომია, მაშინ როდესაც ერთს დროს თავისი შესაწყნარებელი მიზეზი ჰქონია და, მაშასადამე, საპატიო ყოფილა. ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან.

აშკარაა, ამით ვერ ამოვწურეთ მთელი და რთული მნიშვნელობა „შედარებითის მეთოდისა“. ჩვენ შეგვეძლო ამ მეთოდის მაგალითები მოგვეყვანა სხვა მეცნიერებისაგანაც, მაგალითებრ — შედარებითის მითოლოგიიდამ, შედარებითის პოლიტიკიდამ და სხვა ამისთანიდამ, რომელნიც ერთად შველიან ისტორიას მის ქვემდებარე საძიებელში, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რაცა ვსთქვით, ისიც საკმაოა დედაძარღვს ამ მეთოდისას კაცმა მიაგნოს. ამაზე მეტი სურვილი არც ჩვენა გვქონია. თუ მართლა ამ წინად თქმულმა ეს დედაძარღვი მეთოდისა გვაუწყა, ჩვენ ხელთა გვექნება სასწორი განკითხვისა.

როცა ამ სასწორზედ დავაყენებთ ავტორს „Письма о Грузии“-სას თვითეულ ცალკე შემთხვევაში, მაშინ გავიგებთ ეს შედარებითი მეთოდი მის ხელთ, — ამბად გაგონილი, ახალმოდური ფრაზაა მტვრისა და ბუქის ასაყენებლად, — თუ მართლა მის

მიერ შეთვისებული გზაა კვლევისა. ავტორმა უკიჟინა არცოდნა ამ მეთოდისა ჩვენს ლიტერატურას. ეს იქნება მართალიც იყოს, ხოლო კაცი, როცა მეორეს უკიჟინებს — შენ ეს საქმე არ იციო და თითონ ჰკიდებს ხელს ისევე, როგორც დაწუნებული კაცი, მაშინ მოკიჟინე ან ცუდუბრალო ბაქიაა, ან თითონაც არ იცის, რას ამბობს.

წერილი მესამე

ახლა გავსინჯოთ თავის უარარაო და ფუჭის საგნის გამოსაკვლევად რა წყაროები და მასალები ჰქონია ავტორს „Письма о Грузии"-სას. ესეც საჭიროა ვიცოდეთ იმისათვის, რომ შევიტყოთ — რა კბილის ისტორიაა ის მითამდა ისტორია, რომელსაც მოგვითხრობს ავტორი.

იგი სჩივის, რომ ტფილისში ამისათვის თითქმის არავითარი წყარო და მასალა ვერ ვიპოვეო, ვერც ევროპიული, ვერც რუსულიო,* თითონ ქართველებსაც ამის შესახებ არა გაუკეთებიათ რა. მთელს მათს ეხლანდელს ლიტერატურაში ერთი ნაწერიც არ არის, რომელსაც განეზრახოს კრიტიკულად გარჩევა და გამოკვლევა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისაო. თუმცა ხანდისხან პაწია წერილები იბეჭდებოდა შესახებ ამ საგნებისაო, მაგრამ ისეთის მიდგომით არიან დაწერილნი,* ან, უკედ ვსთქვათ, ისეთი უვიცობაა შედარებითის მეთოდისა, რომ

---

* ჩვენში რომ ვსთქვათ, ან სხვაგან სად იპოვიდა იმის მასალასა და წყაროს, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება" ღონისაგან სცლის ერსაო?

* „სანდალას" ნაჯღაბნი მაინც წაეკითხა, მაგრამ მიდგომა „ჰოს" თქმაშიაც შესაძლოა და „არას" თქმაშიაც. ამის მაგალითს თითონ ავტორი მოგვცემს, როგორც თავის ადგილას დავინახავთ.

არაფრად ღირანო, მასალადაც გამოსადეგნი არ არიანო.**

აქვთ ერთი რაღაც მატიანე, „ქართლის ცხოვრება“, და ისიც იმ ყოფაშია, რომ პირველყოფილი სახე არ შერჩენია, რადგანაც XVIII საუკუნეში ვახტანგ VI გადააკეთებინა რაღაც კომისიას, რომლის ღირსება და ჯეროვანება ამ საქმისათვის ისე არავინ იცისო, როგორც არავინ იცის – რა იქმნენ ის სიგელები და მატიანენი, რომელნიც ამ კამისიას უნდა შეემოწმებინაო. ავტორი სწამებს ამ კამისიას – არ ვიცით კი რა საბუთით, – რომ ტყუილი მეცნიერობა გასწიაო და, მითამდა შესასწორებლად და შესამოწმებლად – მეტად ხელგაშლით იხმარა სპარსული და სომხური წყაროებიო. ამის გამო ჩამოაცალა თვითყოფილი ფერი, რომელიც თანა ზდევს ხოლმე ყოველ გულუბრყვილო წერას თანამედროვე კაცისასაო. ეს საქართველოს მატიანე ამ ეხლანდელის სახით მოგვითხრობს უფრო უცხო ერთა ზედმოქმედობას საქართველოზედ, ვიდრე იმას თუ – რა თავისებური და განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრება, მდგომარეობა ჰქონია და გამოუვლია საქართველოს ერსაო.

საიდამ ამოიკითხა ავტორმა ეს ასეთი მკვახე განსაკითხველი ჩვენის მატიანისა და რა საბუთით ამბობს ყოველს ამას, – ავტორი გულში ინახავს და ამისთანა ქცევას, ასე ალალბედად ლაპარაკს – იგი კრიტიკით გარჩევას თუ ეძახის, ან შედარებითს

** შემდეგში ვნახავთ, რომ ავტორს აქ ნათქვამი დავიწყებია და წამდაუწუმ ჩვენის მწერლების ნაწერებს იმოწმებს, ესე იგი იმას, რაც – მისივე სიტყვით – მასალადაც გამოსადეგნი არ არიან და ზოგან ამაზე შორსაც მიდის; მაგალითებრ, მის მიერვე დაწუნებულის „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით, იმასაც კი უარჰყოფს, რაც მსოფლიო ისტორიაში მეცნიერებისაგან შეურყეველად დადგენილია. როგორ მოგწონთ ჯერ ესეთი მჩვარში გახვევა ჩვენის საისტორიო მასალებისა და მერე ესე ბრმად განდიდება ერთისა და იმავ კაცისაგან.

მეთოდს. სხვაში არ ვიცით და ამ შემთხვევაში — ჩვენი, მის მიერ კიჟინად აგდებული, ლიტერატურა ცოტაოდნად მაგალითს აჩვენებდა — რა არის კრიტიკა და შედარებითი მეთოდი, თუ რომ ავტორი თავის ახირებულს გუნებას არ გაჰყოლოდა და წაეკითხა ბ-ნ ბაქრაძის წერილი „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“. დავარწმუნებთ ავტორს, რომ ეს ბ-ნ ბაქრაძის წერილი — თუმცა ქართულის ლიტერატურისაა — არამც თუ მასალად გამოსადეგია, ჭკუის მასწავლებელიც არის ახირებულთათვის.

თითქმის უფროს-ერთი სიტყვა, თითქმის უფროს-ერთი ასო ზემომოყვანილ განკითხვისა, რომელიც ეგრე ალალბედობაზედ ენაზე მოსდგომია ავტორს „ქართლის ცხოვრების“ შესახებ, თავს არ დაიჭერს, თუ კრიტიკამ ოდნავ მაინც კლანჭი გამოჰკრა, არამც თუ თავიდამ ბოლომდე გამოჰშიგნა.

აქ ჩვენი ავტორი, „კრიტიკისა და შედარებითის მეთოდის“ ასეთი ტრფიალი, ყოვლად უკრიტიკოდ, ყოვლად „შეუდარებლად“, სხვის ფეხის ხმას თვალდახუჭული აჰყოლია, სახელდობრ — პროფესორ პატკანოვისას, უკვე საბუთიანად შენიშნულს ბ-ნ ბაქრაძისაგან მიდგომასა და ტყუილში. ამის მომქმედი კაცი სხვას უკიჟინებს კრიტიკის არ-ხმარებას! მოდი და ნუ ეტყვი: ჯერ დაჯე და მერე სამართალი ისე ჰქმენო.

ამ სახით, ავტორი გვარწმუნებს, რომ თითქმის არავითარი მასალა და წყარო ხელთ არა ჰქონია არც ევროპიული, არც რუსული და არც ქართული*. მაშ საიდამღა შეგვიდგინა თავისი მითამდა ისტორია? ისტორია ხომ ალალბედად მოსაგონი და მოსაქსოვი

---

* გვიკვირს, ქართულს მაინც ამისთანა ცილს რათა სდებს? იმისათვის, რის გამორკვევაც თავდათავ საგნად ჰქონია, ხომ „სანდალას“ ნაწერებიც საკმაოა.

არ არისო, – ამბობს თითონვე ავტორი, და ჩვენ იმას ვაძლევთ მკითხველს, რაც მიგვიღიაო**. თუ ამ შემთხვევაში ამნაირი თავის გამართლება ჭკუაში მოსასვლელია, დღესაქამომდე არ ვიცოდით. ეს ახალი თეორია გამართლებისა რომ მივუბრუნოთ ავტორს, სასაცილო რამ გამოდის. სჩივის, მასალა და წყარო არა მქონდა რაო, სჩანს არაფერი მიუღია რა და, ნურას უკაცრავად, თუ არაფერსვე გაძლევთო. ჩვენ კი ასე გვგონია, რომ, თუ ჩვენის ისტორიის დასაწერად არაფერი არ მიუღია, რადგანაც ამისათვის თითქმის არც მასალა ჰქონია, არც წყარო, არც უნდა ხელი მიეყო ისტორიის წერისათვის; ლოღიკა საქმისა ამას ითხოვს, რადგანაც „არარაისგან არ იქმნების არარაიცა“, შექსპირისა არ იყოს. ნეტა ძალას ვინ ატანდა? მაგრამ არა: საღერღელი წერისა აშლია და თითქო ამით ჰმართლულობს თავს, რომ არა მიმიღია რა და არას გაძლევთო. მერე მკითხველისა რა ბრალია, რომ ავტორს არა მიეღოს რა, არც ამ მთისა, არც იმ მთისა.

ამისთანა შენიშვნას ცუდუბრალოდ გამოკიდებაში, ცუდუბრალოდ ახირებაში ნურავინ ჩამოგვართმევს. ჩვენ ბევრგან სხვაგანაც ვნახავთ, რომ ამისთანა თვალხუჭუნა ნახტომები უცაბედად კი არ მოსდის ავტორს, არამედ მისი მანერაა, მისი თვისებაა, მისი ხასიათი, მისი ზნეა წერისა. კრეშჩინსკისებური „сорвалось“ ერთხელ ეპატიება კაცს, ორჯერ და ყოველ ნაბიჯზედ რომ საამსიტყვოდ გაუხდეს საქმე, ხელჩასაჭიდებელი საბუთია ავტორის ღირსების ასა-

---

** ნახე 53 გვერდი №2 „Сев. Вестник“: „Историй не сочиняют, - и мы даём читателю то, что получили сами“.

წონად და იმის გამოსაცნობად, თუ რას უნდა მოველოდეთ ამ ზნის პატრონისაგან.

მართალია, ავტორი გვეუბნება, რომ საცა კი ხელი მიმიწვდებოდა, ყველგან მოვჩხრიკე და გამაოცა ასეთმა სიღარიბემ მასალისამაო*, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, მასალა ცხვირწინა სდებია, მერე ისეთი მასალა, რომლის გამო ფრიმანი ამბობს, რომ იმისათვის, ვინც იცის შედარებითის მეთოდის გამოყენება, უფრო საიმედოა, ვიდრე ბევრი რამ იგი, რასაც იძლევა წერილობითი ნაშთი ისტორიისაო. რაღა თქმა უნდაო, ამბობს ავტორი „Письма о Грузии“-სა, ამ საისტორიო მასალების სიღარიბეში გამორკვევა და შესწავლა საქართველოს ერის ეხლანდელ ცხოვრების ფორმებისა, დიდს სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიასაო, რადგანაც, არა მგონია სხვა იმისთანა ერი, რომლის წარსული ჯერ კიდევ ისე ცოცხლად იყოს აწმყოში, როგორც ქართველებსა აქვთო**. ამ მხრით ქართულს ლიტერატურაში არავინ სცდილა შეჰხებიყო ამ საგანსაო და მე პირველს შემხვდა შევეხო ჩემს წერილებშიო. ქება და დიდება!

ცხადია, რომ ავტორს ჰსურვებია ჩვენის ეხლანდელ ცხოვრების ფორმები გამოეძია და მარტო ეს გვიკვირს — რაღასა სჩივის უმასალობას, უწყაროობას, როცა ამისთანა ცოცხალი მასალა და წყარო თვალწინა სდებია. ნუთუ აწმყოში ცოცხალი წარსული საკმაო და უკეთესი მასალა არ არის მეისტორიესათვის? სხვა, მართალი მეისტორიე, სიხარულით ფეხზე არ დადგებოდა, რომ ამისთანა სარკე წარსუ-

---

* ბ-ნ ბაქრაძის წერილამდინაც რომ ავტორს ხელი ვერ მიუწვდენია, ძალიან ხელმოკლე უნდა იყოს.

** აი, თითონ ავტორის სიტყვები: „Нет, кажется, народа, у которого прошлое было так еще живо в настоящем, как у Грузии“. Вам и книги в руки, - ეტყოდა ამაზედ ავტორს რუსი.

ლისა ხელთა ჰქონოდა და ესე ცხვირწინ და ჩვენი ავტორი კი მაინც გაიძახის — მასალების სიღარიბემ გამოაცაო. სხვა რაღა მასალა უნდა ამაზედ მდიდარი, როცა წარსული ცოცხალია აწმყოში, როცა, მაშასადამე, ცოცხალი მთხრობელი და მოწამე გვყავს? აქ რაღაც უთავბოლო ლაპარაკია ავტორისა, თორემ ჯერ იმის თქმა რა არის, არა ვიპოვე რაო და მერე იმისა, რომ საქართველოს ერის აწმყოში წარსული ისე ცოცხლად არისო, როგორც, მგონია, არსადაო.

თუ ეს რაღაცნაირი „იყო და არა იყო რა“ არ არის, მაშ, უნდა ვიგულვოთ, რომ ავტორი ან ტყუილადა სჩივის მასალის უქონლობას, ან პირიქით, ხელთა ჰქონია იმისთანა მასალა, რომელიც ყველა სხვა მასალას აღემატება სისრულით, უტყუარობით და ზედმიწევნილობით. რომელი ერთი დავუჯეროთ? ჩვენის ფიქრით, არც ერთი, იმიტომ რომ არც ერთია უეჭველი და არც მეორე და, თუ ავტორი ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს, და ორივე ერთი ჰგონია, — ეგ მისი განსაკუთრებული მანერაა, რომელსაც იმის წერილებში თითქმის ყოველ ნაბიჯზედ ხან ბოლო უჩანს, ხან თავი.

ეხლა ვიცით, — რა საგანი ჰქონია ავტორს, როცა თავის წერილებისათვის ხელი მიუყვია, რა მეთოდს კვლევისას უნდა მოველოდეთ მისგან და რა მასალები ჰქონია. ამის შემდეგ თვით მის შეთხზულს ისტორიას შევუდგებით და ფეხდაფეხ მივყვებით, რომ გავიგოთ — რა ისტორიაა ის მისი ისტორია. ნუ დაგვემდურებით, რომ ასე შორიდამ და გძლად მოვუარეთ. ჩიტი ბრდღვნად არა ჰღირდა, უკან დევნა მეტი იყოო. მართალია ეს, მაგრამ ასე სასაცილოდ აგდება ყველაფრისა, ასეთი შელახვა და შებღალვა ლოღიკისა, ცოდნისა, მეცნიერებისა, ლიტერატურისა, ნამყოსი, აწმყოსი, მერმისისა, ასეთი „იყო და არა იყო რა“, მარტო იმისათვის, რომ კაცმა ბოლოს და ბოლოს გვითხრას, სრული ინტენსიური ცხოვრება ღონისაგან სცლის ერსა და არაინტენსიური კი ძალ-ღონეს

უნახავს მერმისისათვისაო, — რაც გინდა სთქვით — ბრდღვნადაცა ჰღირს და დევნადაც.

წერილი მეოთხე

ავტორი „Письма о Грузии“-სა თავის მეორე წერილის ბოლოში ამბობს, რომ თუ ისტორიის წინადყოფილი დრო საქართველოსი არ გამოგვერკვია, ვერას გავიგებდით ვერც ქართველების ლიტერატურისას, ვერც ეხლანდელის მათის ყოფა-ცხოვრების ვითარებასაო და ამიტომაც უპირატესი ყურადღება მივაქციეთ ისტორიის პირველყოფილ დროს საქართველოსასაო.

სჩანს, სწორედ ამ გზით მიჰყოლია ავტორი ჩვენის ძველისძველ ვითარების მოთხრობას, სჩანს, რომ ეს აზრი უკვე შეუსრულებია კიდეც, თორემ არ იტყოდა, — უამისოდ ვერას გავიგებდითო. ჯერხანად, მეტი რა გზაა, უნდა დავუჯეროთ ავტორსა, რომ მითამდა ჩვენს ხბოს მგელი დაუჭერია. ხომ ესეა, მაგრამ ნუ კი გგონიათ, რომ ავტორი მართლა რასმე განუწყვეტელს ძაფს გააბამს იმ დროდამ დღევანდლამდე, ან რომელსამე ვითარებას დღევანდელისას აგვიხსნის წარსულითა. სრულებითაც არა, თუ არ მივიღეთ სახეში თავიდათავი და, ჩვენის ფიქრით, განგებ აკვიატებული აზრი ავტორისა, რომ ქართველებს თავისი არც არა ჰქონიათ რა თითქმის წინად და არც არა აქვთ რა ეხლაო. აქედამ გამოჰყავს, ნუგეშად ჩვენდა, თავისი სასაცილო თეორია „ღონის შენახვისა მერმისისათვის“ და თითქო ბარაქალასაც გვეუბნება ქართველებს, რომ დასაბამიდამ დღევანდლამდე არა გიკეთებიათ რა და ამ გზით ღონე შეგინახავთ მერმისისათვისაო.

ჩვენ დავპირდით მკითხველს, რომ ფეხდაფეხ მივყვებით ავტორსა, მაგრამ, როცა საქმეს გულღვიძლამდე ჩავაკვირდით, ჩვენი დაპირებული სანანურად გაგვიხდა. ვერ წარმოიდგენს კაცი — რა ზედ-

მიუყოლებელს, რა არევდარეულს მოთხრობას თავს წავაწყდით, როცა ავტორის დაბნეულ აზრების ანუსხვას ხელი მივყავით. ასეთს სკუპ-სკუპებს, ასეთს უეცარს კამარებს, ასეთს ასკინკილად ხტომას განგებ ამისათვის დაწერილს წერილში თუ ჰნახავს კაცი. ჩვენს ისტორიას ნულარ იკითხავთ: აქ კაცს დაუსჯელად შეუძლიან თავის ნებაზედ ნავარდი. ავტორს მსოფლიო ისტორიაც კი თავდაყირა გადაუტრიალებია და იმისთანა ამბები გამოჰპარვია, რომ დღეს მეოთხე კლასის შეგირდისათვის შეუნდობელია. არც ქრონოლოგიაღაა, არც გეოგრაფია, არც ისტორიისაგან შეურყეველად გამორკვეული საბუთები, თითქო ავტორს სმარაგდოვის ისტორია უკანასკნელ სიტყვად მეცნიერებისა მიუჩნევია და თითქო მას აქედ ისტორიას ფეხიც არ წაუდგამს წინა. გარდა ამისა, ერთგან რომ ერთს იტყვის ავტორი, მეორეგან სულ სხვას ამბობს, ,,უმსგავსოს და შორი-შორსა", იმავე რიხით და გადაწყვეტილებით, როგორც პირველს. ერთსა და იმავე საგანზედ ერთგან რომ ჰო აქვს, მეორეგან არა და ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ არც ჰოა და არც არა. ამას ყველაფერს თავის ადგილასა ვნახავთ.

და თუ ეხლა ამას ვიხსენიებთ, მარტო იმისათვის, რომ ბოდიში მოვიხადოთ წინადვე, თუ ამრიგად არეულმა წაჯექ-უკუჯექობამ ავტორისამ, ჩვენდა უნებურად, აგვითრია და ლარსავით გასაბმელი სიტყვა მიგვახვევ-მოგვახვევინა მკითხველის მოსაწყენად

ავტორი იწყებს რა ჩვენს ძველისძველს ისტორიას, ამბობს, რომ მაშინ, როდესაც სირიის ზღვის პირას ჯერ კიდევ ჰბატონობდა სიდონი და ფინიკიის ხომალდები უკვე კიდეც ჰლახავდნენ ხმელთაშუა ზღვას, ეგეისას და შავს ზღვასა, როცა ტიგროსსა და ევფრატს შუა მდებარე ვაკეზედ ჰყვაოდა ჯერ კიდევ ძველი ქალდეის სამეფო და თავმომწონე მპყრობელნი ეგვიპტისა უკვე წარსულადა სთვლიდნენ მეცხრამეტე დინასტიას, მაშინ პირველად ვხედავთ საამოცანო

სახელებს თორგომისას, თუბალისას და მოსოხისასაო. ამ სახელებს იხსენიებს მოსე წინასწარმეტყველი თავის შექმნათა წიგნშიო, უმატებს ავტორი სხოლიოში. ნეტა რა საუკუნე იყო ეს საუკუნე ქართველების პირველ ხსენებისა?

ავტორი მოურიდებლად გვეუბნება, რომ ეს ამბები ერთსა და იმავე დროს იყოო, სახელდობრ ოცდათორმეტ საუკუნის წინად. გამოვიძიოთ ეს დანადგენი ავტორისა. ავტორის სამი ათას ორას წლიდამ რომ გამოვთვალოთ 1889 წელი ქრისტეს აქეთ, დარჩება 1311 წელი ქრისტეს წინად, ესე იგი უკანასკნელნი წელნი მეთოთხმეტე საუკუნისა.

სიდონის ბატონობის დასასრულად ისტორიაში მიღებულია მეთორმეტე საუკუნე*. ფინიკია უკვე ჰლასავდა ხმელთაშუა ზღვასა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ქრისტეს წინად**. მეცხრამეტე დინასტია ეგვიპტეში დასრულდა მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს; მოსე წინასწარმეტყველი გარდაიცვალა მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს***. ძველ ქალდეის სამეფოს ყვავილოვანება ჯერ იყო სარგონ I-სა და მისის შვილის ნარამ-სინის დროს და, მეორედ მაშინ, როცა კასნი, ელამის მთიულთა ნათესავი ერი, დაეცა ქალდეას და დაიპყრა. როდის იყო ეს დრო ისტორიამ ჯერ არ იცის* და ჩვენს ავტორს კი შეუტყვია, რომ ოცდათორმეტ საუკუნის წინად ყოფილა.

დააკვირდით ყოველ ამას, შეადარეთ ავტორის ნათქვამს და მერე გამოიცანით — რა დროს ჰგულისხმობს ავტორი ქართველების პირველ

---

* ვებერი, ტომი I, გვერდი 500.
** შლოსსერი, ტ. I, გვერდი 55.
*** შლოსსერი, ტ. I, გვერდი 51.
* ვებერი, ტომი I, გვ. 431.

ხსენებისას. ჯერ ყველაზედ უწინარეს ვიკითხოთ — ეს რა ამბავია, რომ ჯერ ისტორიულ მეცნიერებისაგან გამოურკვეველი დრო ძველის ქალდეის ყვავილოვანებისა ისტორიულ მეცნიერებისაგან ცნობილი არ არის და ჩვენმა ავტორმა ზედმიწევნით საიდამ გამოარკვია. ერთი რატომ არ უჩვენებს ამის საბუთს სადმე? ხომ აღმომჩენის სახელს დაიგდებდა საქვეყნოდ და რატომ მოჰრიდებია ამისთანა გამტაცებელს საცდურსა?! თუ სმარაგდოვის და სხვა ამისთანა დაობებულს რასმე იმოწმებს ავტორი, ამაზედ ვუპასუხებთ, რომ ყოველივე უწინდელი თხრობილი, თუნდ ნინსა და სემირამიდაზედ**, დღეს სულ ზღაპრად მიჩნეული აქვს ისტორიასა. თუ ავტორი მიგვითითებს ბაბილონის აყვავების ხანაზე, რომელიც ბოლოს დროს ეწვია ბაბილონსა, ეგ ხომ ნაბუქოდონოსორის დროს იყო, მეშვიდე საუკუნის დასასრულს ქრისტეს წინად***.

ვსთქვათ, ყოველს ამაში გამოგვეკიდა ავტორი და, ასე თუ ისე, თავი იმართლა. მოსე წინასწარმეტყველის ამბავს ხომ ვეღარსად წაუვა. ავტორის სიტყვით, 1311 წლის წინად ქრისტეს შობამდე არავის უხსენებია ქართველთა თესლი. მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც, ავტორისავე სიტყვით, პირველად ახსენა ქართველთა ნათესავი, გარდაიცვალა 1480 წ. ქრისტეს შობამდე*. გამოდის, რომ მოსე წინასწარმეტყველი ჯერ გარდაცვლილა და მერე,

---

** იქავ: გვერდი 444, 445.

*** იქავ: 474.

* შლოსსერი, ტ. I, გვ. 51.

როცა მიცვალების დღიდამ 169 წელიწადი გასულა, უხსენებია ჩვენის ერის ნათესავთა სახელები. ისტორიის სასაცილოდ აგდება მეტიღა გნებავთ!.. მართალია, მოსე წინასწარმეტყველად ცნობილია, მაგრამ მისი მკვდრეთით აღდგენა კი 169 წლის შემდეგ აქამომდე არავის გაუგონია. თქმა არ უნდა, რომ ეს მკვდრეთით აღდგენა მოსესი ჩვენის ავტორის სასწაულით არის მომხდარი, იმ სასწაულით, რომელსაც მარტო ჩვენებური, მდაბიური „დიამც-იყოს“-ღა ეთქმის.

ამ სახით, ჩვენს ავტორს არაფრად მიაჩნია, რომ ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ამბებს დომხალსავით, ვითომდა ერთისა და იმავე დროისანი არიანო, მაშინ როდესაც ზოგ ამ ამბებს შორის ჰთაბაუთობს ასი, ორასი და უფრო მეტი წელიწადიცა. ეს გახლავთ ის კაცი, რომელმაც ასე გაბედულად უკიჟინა ჩვენს ლიტერატურას — კრიტიკით არ შეჰხებია ისტორიასაო. დალოცვილს, თითონ კი ისიც ვერ გამოურკვევია, რაც სამეცნიერო კრიტიკას უკვე გამორკეული აქვს.

ესეც ყველა შევუნდოთ ავტორსა, რადგანაც უსრულოების წინაშე ასი, ორასი და სამასი წელიწადი ბევრი არაფერია. საქმე ის არის, რომ შემდეგ ამისა ერთხელ წახალისებული ავტორი ასისა და ორასის წლის გამოპარებას არა სჯერდება, მთელს რვაას წელიწადს ჩაილულის წყალს ასმევს. ქართველების პირველ ხსენების შემდეგ, ესე იგი მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულიდამ, გადის კიდევ რვაასი წელიწადიო, ამბობს ავტორი: ეპოქა მითებისა წავიდა, საბერძნეთი თითქმის ათავებს სოლონის ეპოქასა; ძველი ქალდეა უთმობს ადგილს ასურეთსა, რომელზედაც უკვე ხმალამოღებულნი არიან დევგმირნი ირანისა, — და თუბალებსა, მოსოხებსა და კოლხიდელებს ისტორია არ ახსენებსო.

ეს დრო, ავტორის ანგარიშს რომ მივყვეთ, უნდა იყოს ხუთასიანი წელიწადი ქრისტეს შობამდე, ანუ

უკედ ვსთქვათ, მეექვსე საუკუნე. ესე უნდა ვიფიქროთ, რადგანაც სოლონი გარდაიცვალა 559 წელსა*. ხოლო ძველ ქალდეამ დაუთმო ასურეთს თავისი ადგილი მეცამეტე საუკუნის დასაწყისს, რადგანაც ასურელთა მეფემ თუგლათ-ადარმა დაიპყრა ბაბილონი 1290 წ.** და თითქმის ნაბუქოდონოსორამდე, ესე იგი მეშვიდე საუკუნემდე — ბაბილონი ასურელთა ხელიდამ არ გამოსულა. მიდ-სპარსნი, ესე იგი ირანელნი, ხმალმოსაქნევად მიიღწივნენ — მარტო ჯერ მიდია — კიაქსარისა (633-593 წ.) და მერე სპარსეთი — კიროსის (+530 წ.) დროს. ამ სახით ჰხედავთ, რომ ავტორს მეექვსე, მეშვიდე, მეცამეტე საუკუნეების ამბები ერთისა და იმავე დროისანი ჰგონებია. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ავტორი გვარწმუნებს, ვითომ იმ დღიდამ მეექვსე საუკუნემდე ისტორია აღარ იხსენიებს თუბალებსა, მოსოხებსა და კოლხიდელებსაო.

სხვა არა იყოს რა, მარტო არგონავტების კოლხიდაში მოსვლა რომ ფიქრად მოსვლოდა ავტორს, ამას არ იტყოდა. არგონავტების მოსვლა კოლხიდაში 1263 წელიწადშია* ცნობილი ქრისტეს შობამდე. თითონ ავტორიც თავის პირველ წერილის პირველს გვერდზედვე იხსენიებს ამ ამბავს, მაშასადამე, აშკარაა, რომ მეთოთხმეტე საუკუნიდამ, რომელსაც ავტორი ჩვენის ხსენების დასაბამადა სთვლის, რვა საუკუნე კი არა, არც ორმოცდაათი წელიწადი გასულა. მას შემდეგ მიდ-სპარსთა ისტორიის სარბიელზედ გამოსვლამდე, ესე იგი

---

* შლოსსერი, ტ. I, გვერდი 156

** ვებერი, ტ. I, გვ. 449.

* შლოსსერი, ტ. I, გვ. 86.

მეშვიდე და მეექვსე საუკუნემდე — ხსენება ქართველთა ნათესავისა არ შეწყვეტილა და მიდ-სპარსთა მერე ხომ, ავტორისავე სიტყვით, ეგ ხსენება არის და არის.

გვიკვირს, ავტორმა რაზედ გაგვახვია ქართველები მჩვარში და გვეუბნება რიხით, ვითომც მეთოთხმეტე საუკუნიდამ ქრისტეს შობამდე მეშვიდე-მეექვსე საუკუნემდე არავის ვუხსენებივართ. მართალია, დიდი არაფერი ადგილი გვჭერია მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ იმოდენად კი მაინცა ვართ ჩაგდებული მაჩანჩალად, რომ ისტორია განუწყვეტლივ გვიხსენიებს. აკი ვსთქვით, რომ დღეს სმარაგდოვისა და ბარათაშვილის ისტორიით კაცი ფონს ვეღარ გავა. მას აქეთ ისტორიამ ბევრი რამ ახალი და უტყუარი საბუთი შეიძინა.

მას აქედ, რაც ლურსმულმა წერილებმა თავისი გული გადუშალა მეცნიერებას წასაკითხად, რაულინსონის, ტალბოტის, ჰინკსის და ოპერტის წყალობითა, მას აქედ, — რაც ლენორმანმა და ამ ბოლოს ხანებში, — სულ ოთხი-ხუთი წელიწადიც არ არის, — სეისმა ვანთან ნაპოვნი ლურსმული წერილები გამოარკვიეს, ეჭვი აღარავისა აქვს, რომ ქართველთა უძველესი დედა-ბინა, სხვათა შორის, არმენიაც ყოფილა, ესე იგი ვანის ტბისა და არარატის მიდამო ადგილები არზრუმითურთ. ლენორმანმა* და მის შემდეგ ინგლისელმა სეისმა საქვეყნოდ დაამტკიცეს, რომ ეგრეთწოდებული ძველად „არმენია“ გეოგრაფიული სახელია და არა ეტნოგრაფიული. მათის სიტყვით, აქა მდგარან სხვადასხვა სახელწოდების თემნი ქართველის

---

* წერილი ლენორმანისა არმენოლოგ დელორიესთან მიწერილი 25 მაისს 1871 წელს. ამ წერილის თარგმანი მზადდება და „ივერიაში“ იქნება დაბეჭდილი თავის დროზედ.

თესლისანი, რომელთაც შორის ყველაზედ უდიდესი და უძლიერესი ყოფილა ერთი თემი, სახელად „ნაირი“. ლენორმანის გამოძიებით სომხები, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ჰაოსიანნი, – ფრიგიელთა ნათესაობისა არიან, კიროსის დროს მოსწყვეტიან ფრიგიას, გადმოსულან „არმენიაში“ და ადგილის სახელი თავიანთ სახელად გაუხდიათ. ამაში ლენორმანს ჰმოწმობს თვით ისტორიის მამამთავარი ჰეროდოტე.

ამ მეცნიერთა წყალობით დღეს ჩვენ ღონისძიება გვაქვს ჩამოვთვალოთ სახელები ქართველთა თესლის თემთა ადგილებისა არმენიაში; მაგალითებრ, – „ნაირი“– მხარე, რომელიც იყო ტიგროსისა და ევფრატის სათავესთან; „მანნა“ – ვანის ტბასთან; „მუსასირი“ – ამ ტბის ჩრდილოთ; „მილიდი“, „მილდისი“ (არზრუმი) და ბოლოს „ურარტი“, ანუ „არარტი“ მტკვრისა და არეზის შუა.

ყველაზედ ძველი ლურსმულმა ნაწერი, რომელიც ჩვენ გვიხსენიებს, ეკუთვნის ასურელთა მეფეს თუგლათ-პალასარსა, მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებელს. მას მერმედ ჩვენ გვიხსენიებს მეცხრე საუკუნეში ასურელთა მეფევე ასურ-ნაზირ-აბალი და აქედამ ჩვენი ხსენება არ შეწყვეტილა ასურ-ბან-აბალამდე, რომელიც ცხოვრებდა 668–625 წ. ქრისტეს შობამდე, და ამის შემდეგ ხომ მიდ-სპარსნი, ესე იგი ირანი გამოდის და ირანს კი ხომ ენაზედ აკერია ჩვენი ხსენება, როგორც თითონ ავტორიც ამბობს. ამ მეთორმეტე საუკუნიდამ დაწყებული მეშვიდე საუკუნემდე, სახელდობრ, 625 წლამდე, „არმენია“ ასურეთის საომარი მოედანი ყოფილა. ამ დროთა მანძილზედ ასურთა მეფენი თითქმის განუწყვეტლივ გვიხსენიებენ ასე, რომ ლურსმულნი ნაწერნი ღონისძიებას გვაძლევენ თვით ჩვენთა თემთა მთავრების სახელებიც ჩამოვთვალოთ. მაგალითებრ, მერვე საუკუნეში თუგლათ-პალასარი II თავის ლურსმულს ნაწერში იხსენიებს თუბალთა მეფეს

„უასამს“-ს, ურარტის მეფეს „ურსა“-ს და მის ძმას „არგისტი“-ს, ზიქართისას — „მიტატი“-ს, მანნისას — „ირანსუ“-ს, ირანსუს შვილს „აზო“-ს, „ულუსუნ“-ს, მის ბიძაშვილს; მილდისისას — „ბაღადატი“-ს და ბოლოს ხანებში ასურ-ბან-აბალის დროს (668–625 წ.) იხსენიებს ურარტისავე მეფეს „სადურ“-ს. ამას გარდა, თითონ ლენორმანსაც მოჰყავს იმავ ლურსმულ ნაწერებიდამ სხვა მეფეების სახელებიცა, რომელთ შორის დასახსომები არიან „არამ, ანუ არან და აზო“. დასახსომები არიან იმიტომ, რომ ჩვენს ახლად ნაპოვნ ქართულ მატიანესაც მეცხრე საუკუნისას დაჰხსომებია ეს სახელები და თუმცა ქრონოლოგია მატიანესი ამ შემთხვევაში არ ეთანხმება ლურსმულ ნაწერისას, მაგრამ თვით მაგ სახელების შერჩენაცა და დახსომებაც ჩვენის მატიანესაგან უმნიშვნელო არ არის.

აი ეს მთელი ხანა ჩვენის ისტორიისა გამოჰპარვია ჩვენს კრიტიკით და შედარებითის მეთოდით მოსილს ავტორსა, რომელსაც ამასთანავე თავიც მოაქვს, ვითომც მე პირველი ვარო ამ მხრით გამომძიებელი ქართულის ისტორიისაო. იქნება გვითხრას, რომ ეგ „ურარტი-მურარტი“ მე არ ვიციო, ან მოსოხი, ან თუბალი მიჩვენეთ, რომ ეხსენებინოთო. მეთორმეტე საუკუნის თუგლათ-პალასარი I იხსენიებს „მუსკაებს“, — იგივე მოსხებია; აგრეთვე ასურ-ნაზირ-აბალი მეცხრე საუკუნეში, თუგლათ-პალასარი II (744-726 წ.) — „თუბალებს“, და ბოლოს სინაქერიბი (704-681 წ.) და ასსურ-ბან-აბალი — „ქალდუ“-ს, რომელიც — ვინ იცის — იქნება ჩვენი ქართლიც გამოდგეს, თუმცა ამას ჩვენ მარტო ვვარაუდობთ და დიდის სიფრთხილითაც ვახსენებთ, ისიც ჯერ იმიტომ, რომ სიტყვამ მოიტანა, და მერე იმიტომ — რომ ეგ „ქალდუ“ არმენიაშივეა ნაჩვენები, ვითარცა ბინა ქართველთა ნათესავის ცალკე თემისა.

აქ ავტორი თავს ვერ გაიმართლებს იმითი, რომ სადამდენაც ხელი მიმიწვდებოდა, მოვჩხრიკე და წყაროები და მასალა ვერ ვიპოვეო ტფილისში.

საბუთი გვაქვს, აქ არ დავუჯეროთ ავტორს ეს მითამდა მისი ხელის გაწვდენა. ის ცნობები, რომელნიც ჩვენ მოვიყვანეთ, მოხსენებულია თვით ზაიცევის ისტორიაში*, რომელიც ტფილისში არამც თუ იყიდება წიგნის მაღაზიებში, ყველა გიმნაზიის შეგირდსაცა აქვს. ნუთუ ამ წიგნამდენაც ხელი ვერ მიაწვდინა ჩვენის პირველყოფილ დროების თამამმა გამომძიებელმა? ამას ვინა სჩივის: თავის პირველ წერილის 6 გვერდზედ ავტორი მისებურის ხელგაშლით გვარწმუნებს, რომ ასურეთი არც პოლიტიკურად, არც გეოგრაფიულად არ ეხებოდა საქართველოსაო (!)*.

პოლიტიკურად ეხებოდა თუ არა, ეს ხომ ვნახეთ. გეოგრაფიულად ეხებოდა თუ არა ამასაც ეხლა ვნახავთ, თუ ძველის ისტორიის რუკას წინ დავიდებთ. ეს რუკა გვაჩვენებს, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ასურეთი უდევს და სამხრეთ-აღმოსავლეთით — მიდ-სპარსეთი, მერე ისე, რომ სატახტო ქალაქი ასურეთისა, ნინევია უფრო ახლო სჩანს, ვიდრე მიდიის — ეკბატანი და სპარსეთის პერსეპოლი. ან ამისი არცოდნა როგორღა მოეკითხება იმ კაცს, რომელმაც არ იცის დღევანდელი ამბავიცა, ესე იგი იმისთანა ამბავი, რომელიც დღესაც ყველა მეურმემ იცის ჩვენში ყოველ ფეხის გადადგმაზე. მაგალითებრ, მეორე წერილის 37–38 გვერდზე

---

* История Востока, Зайцева.

* აი ავტორის სიტყვები: ,,Жители Мцхет..._ ე. ი. ქართველები, _ будучи под влиянием ближайших соседей своих—мидян и персов, заимствовали символы сабаизма, даже не прямо из Ассирии, с которой они не соприкасались ни политически, ни географически“.

ავტორი გვარწმუნებს, რომ მცხეთა დარიალის ხეობის შესავალშია**. სად დარიალი და სად მცხეთა! მცხეთა, ბავშმაც კი იცის ჩვენში, რომ არაგვის ხეობის შესავალშია და დარიალის ხეობასა და არაგვის შუა ერთი უშველებელი წყალთ-გამყრელი ზურგია მთისა აბანოს-გუდაურ-კაიშაურისა, რომელს აქედ, სამხრეთისაკენ, არაგვი ჩამოდის და იქით, ჩრდილოეთისაკენ — თერგი, დარიალის ხეობის გამჭრელი. მინამ კაცი ამ მთის ზურგამდე მივა, უნდა გაიაროს მცხეთიდამ არაგვის ხეობა; მერე შეჰხვდეს გუდამაყრის ხეობას; შეუხვიოს მთიულეთისას; აქ მიაწყდეს ხსენებულ წყალთა-გამყრელ მთას; გადავიდეს ამ მთის ზურგსა; აბანოსა, კობის და სნოს ხეობას კარგა მანძილზე გასცდეს და ბოლოს და ბოლოს დარიალის ხეობაში ჩავიდეს. ნუთუ ამის საცოდნელადაც ხელი ვერ მიაწვდინა კრიტიკითა და შედარებითის მეთოდით შეჭურვილმა ავტორმა! დალოცვილი, პირველ შეხვედრილ მეურმეს მაინც ჰკითხავდა!

აი რაგვარ მეცნიერთან, რაგვარ ცოდნის პატრონთან გვაქვს საქმე, ჩვენდა სამწუხაროდ და მკითხველის მოსაწყენად. ეს იქონიეთ სახეში და შეგვიბრალეთ ჯერ ჩვენ, რომელსაც წილად გვხვდა გარჩევა ავტორისა და მერე რუსული ჟურნალი „Сев. Вестник“-ი, რომელმაც დაჰბეჭდა ამ ავტორის ორი წერილი.

ღღეს, რაცა ვსთქვით, ესეც კმარა. რაკი დავპირდით მკითხველს თავიდამ ბოლომდე მივყვებით

** აი ავტორის სიტყვები: „Киаксар.., позаботился укрепить Мцхет, резиденцию старшего мамасахлиса, расположенную у входа в Даряльское ущелье“.

ავტორსაო, ჩვენ ამ პირობას აღარ გადავალთ და სხვა მარგალიტებს ავტორისას შემდეგ გავარჩევთ. ეხლა კი მაინც ამას ვიტყვით: კაცს რომ ჯერ ისიც არ შეუტყვია, მცხეთა სად არის, დარიალის ხეობაშია, თუ არაგვისაში და სტრაბონი ბერძენთა მწერალია, თუ რომაელთა*, აბა საიდამ შეგვიტყობდა, რაც პირველყოფილ დროებას ჩვენის ისტორიისას შეეხება. ამაზეა ნათქვამი, რომ სანეკრე ნახა და სახტომი კი არ გაუსინჯაო.

წერილი მეხუთე

მოგვითხრა რა თავისებური ისტორია მოსოხთა, თუბალთა და კოლხიდელთა ხსენებისა, ავტორი „Письма о Грузии“-სა გვეუბნება, რომ ისტორია ათასის წლის* დუმილის შემდეგ ხელახლად ახსენებს პირველად, — ისიც გზადაგზა, — თუბალებსა და მოსოხებსაო. ვინ არიან ეს თუბალები და მოსოხები ბიბლიისა და საამოცანო კოლხიდელნი არგონავებისაო, ჰკითხულობს შედარებითის მეთოდის და კრიტიკის თვითმპყრობელი ავტორი. ეგენი არიან ქართველთა ნათესაობის შტონიო, გვაუწყებს იგი იქვე. ჩვენც აგრე გვგონია, მაგრამ ამისათვის მარტო ერთი და ისიც სასაცილო საბუთი მოჰყავს ყველაფერზედ ეჭვით მჭვრეტელს ავტორს. ამ შტოების ერთმანეთთან ნათესაობა იმითი მტკიცდებაო, რომ ჰეროდოტეს სიტყვით, სპარსეთის მეფის

---

* ავტორი თავის პირველ წერილის პირველ გვერდზედვე გვეუბნება, რომ სტრაბონი რომაელთა მწერალიაო. ესეც ახალი ამბავი და ახალი საბუთი ავტორის გულახდილ არცოდნისა.

* ეხლა ათასის წლის დუმილია, ათის სტრიქონის წინად ხომ რვაასი იყო, ამავ ავტორის სიტყვით. ამ სახით, ორასი წელიწადი მიაფუჩეჩა ავტორმა ათის სტრიქონის მანძილზე. ჰნახეთ ავტორის პირველ წერილის 55 და 56 გვერდი.

ქსერქსის ლაშქარში ყველა ესენი ერთის მხედართუფროსის ხელში იყვნენო**. სთქვა და თავისი ხელთუქმნელი ბეჭედი დაასვა. მოდით და შეშალეთღა, მოდით და ამისთანა ჭკუათაუქმნელს ფილოსოფიას გაექეცით სადმე. მაშ, ყალმუხები, ყაზანის თათრები, ებრაელნი, ქართველები, რუსები და სხვა მრავალის ტომის კაცნი სულ ერთის ნათესაობისანი ყოფილან, რადგანაც რუსეთის იმპერიაში, თუ მუდამ არა, ხშირად მაინც ერთის მხედართუფროსის ხელში არიან. ამას გვიქვიან შედარები-თის მეთოდით კვლევა სხვადასხვა ერთა ნათესაობისა! ამას იქით, თუ გნებავდეთ შეიტყოთ, სიპაები და ინგლისენი როგორ მოჰხვდებიან ერთმანეთსა, მარტო ის გამოიძიეთ — ერთის მხედართუფროსის ხელში არიან, თუ არა. ეს გახ-ლავსთ შედარებითი მეთოდი ავტორისა. რადგანაც ენას ბრწკალი არ მოედება, შესაძლოა გვითხრან, — ეჰ, თქვენ რა იცით, რა არის ფილოსოფია ისტორიისაო. ჩვენ ამაზედ ვიტყვით, რომ თვით ისტორიის ფილოსოფიამაც არ იცის ეს ამისთანა ფილოსოფია ავტორისა.

ამით ათავებს ავტორი აღმოსავლეთ საქართველოს ამბავს — მოსოხთა, თუბალთა ხსენებისას და ვინაობისას. მერე ამბობს, რომ რაც შეეხება დასავლეთ საქართ-ველოსას, აქ ჯერ კიდევ 3200 წლის წინად ქრისტეს შობამდე ძლევამოსილი მხედრობა ეგვიპტის მეფის რამზეს დიდისა კოლხიდაში შევიდა და რამდენიმე ეგვიპტელთა სოფელი გააშენაო. აქ ავტორი იმასაც გვაუწყებს, ვითომც ჩვენ, ქართველებს, ამ რამზესისაგან

** ხუმრობა კი არ გეგონოთ: ჰნახეთ ავტორის პირველ წერილის 56 გვერდზედ სხოლიო.

დასახლებულ ეგვიპ-ტელთაგან გვესწავლოს ხვნა-თესვა და ზოგიერთი სხვა ხელობა. ამაზე საუბარი მერე გვექნება, როცა ავტორს გამოვიწვევთ ჩვენის ძველის კულტურის სათხრობლად. ხ-ლა კი მარტო ავტორის ისტორიულ მეცნიერებას ვიძიებთ.

ავტორი პლინის იმოწმებს, — ისიც სულხან ბარათაშვილის* სიტყვითა — მასზედ, ვითომ რამზეს დიდი კოლხიდაში ყოფილიყოს ოდესმე. დიდი საქმე იყო განა, რომ ავტორს, კრიტიკის ასეთს ტრფიალს, ეს ამბავი მართ-ლა კრიტიკით გამოეძია?! ეხლა ხომ დამტკიცებულია და ყოველ ეჭვგარედაც დაყენებულია, რომ ეგვიპტელნი საზო-გადოდ და რამზეს დიდი საკუთრივ, თავის დღეში არ გადმოსცილებიან ორონთას, მდინარეს ასურეთის დასავ-ლეთზე, რომელზედაც იდგა ქალაქი კადეში. ან რა ჭკუაში მოსასვლელი იქნებოდა ეგვიპტელთათვის კოლხიდაში გამოსვლა, როცა მათი ერთადერთი ტკივილი და ნაღველი ის იყო, რომ ევფრატის მხრით* უშიშარ ყოფილიყვნენ.

მათი პოლიტიკა აქ სულ იმაზედ ჰტრიალებდა, რომ ასურეთი დაემხოთ და დაემორჩოლებინათ ზღვის პირი სირიისა**, საიდამაც მტერნი მოსვენებას არ აძლევდნენ. ან თუნდ ესეც არ იყოს, როგორ გასცილდებოდნენ ამ ქვეყნებს და შევიდოდნენ კოლხიდაში, როცა ასურელებისა და სირიელებისთანა დაუძინარნი მტერნი ზურგთ უკან დაჰრჩე-ბოდათ. რა

---

* ღირსშესანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ავტორი თ. სულხან ბარათაშვილს ხელსა ჰდებს მოწმად და თვით სულხან ბარათაშვილის ნაწერი დედანი-კი არ წაუკითხავს და დასჯერებია ბ-ნ მურიესაგან ფრანგულად შემოკლებულ ნათარგმნსა. ამას თითონ ავტორი გვანიშნებს პირველ წერილის 57 გვერდზედ სხოლიოში.

* ვებერი, ტ. I. გვერდი 193.

** იქავ, გვერდი 196.

თქმა უნდა, მხედართმთავრად, ან ბედის გამგე-ბელად ეგვიპტელებს რომ ჩვენი ავტორი ჰყოლებოდათ, უფრო შორსაც წავიდოდნენ. ვითომც ნახტომი შეეშლე-ბოდათ თუ! მაგრამ ეგვიპტის ბედზედ სულ სხვა კაცები, უფრო წინდახედულები შესწრებიათ, თორემ მალე გადაიჩეხებოდნენ სადმე კლდეში.

ან რაღა შორს წასვლა გვინდა: ლენორმანმა, ამ სახელ-განთქმულმა მცოდნემ აღმოსავლეთისამ, რომლის ავტორი-ტეტი ამისთანაებში შეურყეველია, კარგა ხანია თვით ჰიეროგლიფურ ნაწერებით დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ეგვიპტელნი კავკასიაში არასოდეს არა ყოფილან და, ამ სახით, პლინის ტყუილი, კოლხიდაში ეგვიპტელთა შემოს-ვლის შესახებ, გამოაქვეყნა*. ჩვენმა ავტორმა კი ჯერ ხომ ასე მჩვარში გაახვია ჩვენი ქართველი მეისტორიენი, მათი ნაწერები მასალადაც გამოსადეგნი არ არიანო, ეხლა კი ერთი ამ ქართველთა მეისტორიეთაგანის, სახელდობრ, ბარათაშვილის ნაწერი მასალად კი არა, საბუთადაც გამოიყენა, რომ მსოფლიო ისტორიაში უკვე დადგენილი და დამტკიცებული ამბავი გაამტყუნოს. ამ ზღაპრების შემდეგ ავტორი თითქმის ცხრა გვერდს ანდომებს სხვა ზღაპრებს, რომელნიც შეეხებიან ქართულს ენას, სარწმუნოებას, არქეოლოგიას, კულტურას, ხან სად ჩაჩხირულს, ხან სად. ვიმეორებთ — თვითვეულს ამას ჩვენ ცალკეც გამოვიძიებთ. ეხლა კი ჩვენც ავტორსავით იმ რვა-ცხრა თავს გადავახტებით და მუხლს მოვუყრით ისევ ისტორიულ ამბების მოთხრობას, რომელსაც იგი

---

* ეს ტყუილი, რამზესის ვითომდა ყოფნისა კოლხიდაში, ეხლა საისტორიო სახელმძღვანელოშიაც კია შენიშნული. ჰნახეთ ტრაჩევსკის „Древняя история“, გვერდი 40. მოდით და ამას იქით ენდეთღა ავტორის ცოდნასა და იმის თავმოწონებულ ძიებას ჩვენის ძველისძველ ცხოვრებისას. გამოძიებულიც რომ თვალით არ დაუნახავს, აბა გამოუძიებელს როგორღა დაინახავდა.

განაგრძობს მეორე წერილში წინანდებურის ხელგაშლითა და ცოდნის ქადილით.

პირველ წერილში ავტორმა ხომ დაასკვნა, რომ მეთოთხმეტე საუკუნიდამ მეშვიდემდე არავისღა უხსენებია ქართველებიო და, როცა ამ მეშვიდე საუკუნეში სკვითებმა ქარტეხილსავით გადალახეს კიდით-კიდემდე აზიაო, მაშინ კვლავ იხსენიებიან მოსოხნი და თუბალებიო. ეს სკვითების ამბავი იმიტომ მოჰყავს ავტორსა, რომ სთქვას, ვითომც მთელი რვა თუ ათი საუკუნე ქართველებს ეძინათო. ამ სახითაო, განაგრძობს ავტორი მეორე წერილში, მეშვიდე საუკუნეს ქრისტეს შობამდე საშინელმა თავდასხმამ სკვითებისამ (ზოგან ხაზარებს ამბობს) გამოაღვიძა ტკბილის ძილისაგან ქართველები და გამოიყვანა დაუწყნარებელ ბრძოლის საქვეყნო მოედანზედაო. ხაზარები, შეჭირვებულნი მიდიის ძალოვან მეფის კიაქსარისაგან, შევიდნენ იმ დრომდე შეუვალ ადგილებში კავკასიის მთისაში და, იპოვეს რა დარიალის გასავალი, აქამდე ქართველთათვის უცნობი*, გავიდნენ და კავკასიის ჩრდილოთ გაიმართეს თავისი სახელმწიფვო. ჩვენ ხაზარების თუ სკვითების გამო არ გამოვეკიდებით ავტორს, ეს მის ნებაზე მიგვიგდია.

საქმე აქ იმაშია, რომ ავტორის მიერ დაწუნებულ „ქართლის ცხოვრების" მოწმობით ავტორი უარჰყოფს მსოფლიო ისტორიის დანადგენს. აქ რაკი კიაქსარი ახსენა, სხვათა შორის, იმასაც გვეუბნება, რომ კიაქსარმა ააშენა დარუბანდიო (დერბენტი) და

---

* ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამავე ავტორის სიტყვით, მცხეთა დარიალის შესავალშია და გვიკვირს, ავტორს როგორ მოუთავსდა თავში, რომ ქართველებს თავისი სატახტო და დედა-ქალაქი დარიალის შესავალში ჰქონიათ და დარიალიკი არა სცოდნიათ, ვიდრე სკვითებმა არ დაანახვეს. მოდით და ან ერთი დაუჯერეთ და ან მეორე! კრიტიკა აქ თავის-თავად ეტყოდა ამის მთქმელს კაცსა — მომიხმარეო, რომ კრიტიკისა მართლა რაიმე გაგება ჰქონოდა.

ქართველებმა ამ დროდამ ისწავლეს ქვითკირის ხმარება შენობისათვისაო. ეხლა ყველანი ამბობენ, რომ დარუბანდი სასანიდებისაგან** არის აშენებული. ამას ჰმოწმობენ ყველა წყარონი აზიის ისტორიისა და ამასვე უჩვენებს თურმე ფალაური (ფეხლეური) წარწერა დარუბანდისა. თუ აქ ავტორს დარუბანდად მიულია „კასპიის კარი“, ამაშიაც შემცდარა ჩვენის ფიქრით, რადგანაც, პტოლომეოსის გეოგრაფიით, „კასპიის კარი“, ანუ ქართლის ცხოვრების „ზღვის კარი” დარუბანდის დასავლეთით არის თურმე. აშკარაა, ჩვენი „ქართლის ცხოვრება” მიჰშველებია აქ ავტორს. აი რა საბუთით ვამბობთ ამას. ავტორი გვარწმუნებს, რომ „ქართლის ცხოვრების” აფრიდონი — კიაქსარიაო. აფრიდონის ერისთავმა „არდამ“-მა, აფრიდონისგან გამოგზავნილმა ქართლის შესამუსრველად ააშენაო „ქალაქი ზღვის-კარს და უწოდა სახელი დარუბანდიო“, ამბობს „ქართლის ცხოვრება“. ავტორს უსათუოდ აქედამ გამოჰყავს თავისი ზღაპარი დარუბანდის აშენებისა კიაქსარისაგან, იმიტომ რომ ავტორის კიაქსარისაგან, ანუ „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონისაგან აშენება დარუბანდისა მარტო ჩვენს მატიანეშია ხსენებული და, ჩვენის ფიქრით, სხვაგან არსად. იქნება სხვაგანაც იყოს სადმე და ჩვენ მხოლოდ ჩვენს უვიცობას ვაღიარებთ ამ შემთხვევაში.

ან საიდამ გამოიცნო ავტორმა, რომ „ქართლის ცხოვრების” აფრიდონი მართლა კიაქსარია? თუ თითონ „ქართლის ცხოვრებას“ ჩაჰკვირვებოდა, დაინახავდა, რომ ჩვენის მატიანის “აფრიდონი” რაღაც მითური გმირია, „რომელმან შეკრაო ჯაჭვით

** სასანიდების დინასტია ავიდა სპარსეთის ტახტზედ 226 წელს ქრისტეს მერმედ (კორში, ტ. I გვერდი 170) და კიაქსარი მეშვიდე საუკუნეში იყო ქრისტეს წინად.

ბევრასფ, გველთა უფალიო, და დააბა მთაზედა, რომელ არს კაცთ შეუვალიო“.* განა პირდაპირ არა სჩანს აქედამ, რომ ეს „აფრიდონ“ რაღაც ზღაპრული გმირია და არა კიაქსარი? აშკარაა, აქ „ქართლის ცხოვრება“ იმეორებს იმ მითურ გმირის სახელს, რომელსაც ფერდუსი თავის შაჰ-ნამეში იხსენიებს ფერიდუნად, ანუ ფრედუნად, და რომელსაც, მინამ გამეფდებოდა სპარსეთში, რაღაც საქმე ჰქონია სპარსეთის მეფის სოღაკის გველებთან. თუნდ ეგეც არ იყოს „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება იქავ, რომ აფრიდონის კარგა შემდეგ, ქეკაპოს ყოფილი სპარსთა მეფედ, იმას ჰყოლია შვილი ფარშაროტ (ფრაორტი) და ფრაორტის შვილად მეცნიერნი ჰგონებენ კიაქსარსა.* თუმცა, მართალია, სკვითების შემოსვლის ხანებში ყოფილა ეს „ქართლის ცხოვრების“ აფრიდონი და მსოფლიო ისტორიის კიაქსარიც ამ დროსვე იყო, მაგრამ მარტო ამით განა დასაჯერია, რომ აფრიდონი და კიაქსარი ერთი და იგივე კაცია? აშკარაა, „ქართლის ცხოვრებას“ აურევია სახელები და იგი აფრიდონად იხსენიებს მითურს გმირსა და არა კიაქსარსა, თუნდ კიაქსარის დროების ამბავიც რომ ვიგულისხმოთ მის მიერ მოთხრობილში; მაინცდამაინც ამაში ძალიან არ ავუხირდებით ავტორს. მივიღოთ მისი აზრი, რომ აფრიდონი „ქართლის ცხოვრებისა“ მსოფლიო ისტორიის კიაქსარია.

ჩვენ ხომ მოვიხსენიეთ, რომ კიაქსარს, რომელიც მეშვიდე საუკუნეში სცხოვრებდა ქრისტეს შობამდე, არ აუშენებია დარუბანდი, არამედ ააშენეს სასანიდებმა, რომელთა დინასტიაც მესამე საუკუნის

---

* იხილეთ „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვერდი 23.

* ვებერი, ტ. I, გვერდი 407.

პირველ ხანებში ქრისტეს მერმედ ავიდა სპარსეთის ტახტზედ. რადგანაც აფრიდონი ,,ქართლის ცხოვრებისა“ კიაქსარად მონათლა ავტორმა და რადგანაც აფრიდონის დროს აშენდა, ,,ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, დარუბანდი, აშკარაა, ჩვენი ავტორი ,,ქართლის ცხოვრებას“ დაჰფუძნებია, იმიტომ რომ ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, სხვაგან არსად იხსენება ამრიგად. თუ ჩვენი ,,ქართლის ცხოვრება“ ისეთი სანდოა, რომ მსოფლიო ისტორიაში არსებულ აზრს დარუბანდის აშენებაზე აუქმებინებს ავტორი, მაშ რაღად მოიხსენა უწინ ისეთის ცხვირაწევით, თითქო რაღაც უღირსი რამ, ვიღაც კომისიისაგან შეთითხნილი და ისიც ,,в армянской переделке“. თუ ესეთი სანდოა ჩვენის ავტორისაგან აბუჩად აგდებული ,,ქართლის ცხოვრება“, მაშ რაღა საბუთი ჰქონდა ავტორს — იგი მასალადაც გამოსაყენად არ ჩაეთვალა. ჩვენ კვლავაც ვნახავთ გზადაგზა, რომ ჩვენი კრიტიკის მოყვარე ავტორი ,,ქართლის ცხოვრებას” ტყუილსაც უჯერებს, როცა უჯობს თავის სიტყვის გასაყვანად, და როცა არ უჯობს, მისი მართალიც არა სჯერა.

რად უნდოდა ყველა ეს სიდონები, ქალდეები, რამზესები და კიაქსარები ავტორსაო, იკითხვენ. მად უნდოდა, რომ დაემტკიცებინა ქართველების ისტორიული არარაობა, ვითომ რაკი ისტორიამ მთელი ათასი წელიწადი იგინი აღარ ახსენა, სჩანს ხსენების ღირსნიც არ იყვნენო. ამას არ სჯერდება ავტორი და ჰსურს ამ, მის მიერ ტყუილად მოგონილს, ქართველების არხსენებას ფილოსოფიური საბუთიც მოიპოვოს. აბა, აქ არის ის არეულობა ავტორისა, რომელსაც თვით სკვითებისაგან მომხდარი არეულობა აზიაში არ შეედრება. ჩვენ აქ, სწორედ მოგახსენოთ, ვერა გავიგეთ რა და ვგონებთ არც ბევრი თითონ ავტორს გაუგია. ეგ კიდევ არაფერი: ავტორი არავითარს ღონისძიებას არ გვაძლევს ერთს რასმეზედ შევჩერდეთ და იმაზე ვისაუბროთ,

რადგანაც თითონაც არა სდგას ერთს რომელსამე აზრსა და დასკვნაზედ. არ არის თითქმის არც ერთი ფურცელი მის ნაწერისა, რომ ერთხელ თქმული ისევ არ გადასთქვას სულ სხვარიგად და ერთმანეთში მოუთავსებლად. ამიტომაც ჩვენ მარტო მაგალითებს ამ წაჯექ-უკუჯექობისას წარმოვადგენთ და მათს განკითხვას კი თავს დავანებებთ.

ავტორს მოჰსურვებია რა — ახსნას, რანი ვიყავით ქართველები ან სათავისოდ, ან სამეზობლოდ და რა მნიშვნელობა გვქონდა ან სათვისტომოდ, ან სასხვისოდ, — ასე გვიხატავს ჩვენს ყოფა-მდგომარეობასა.

,,Территориальная недоступность не только надолго изолировала их (грузин) от живого общения с цивилизованными соседями запада и востока, но препятствовала также объединению разрозненных ветвей самого грузинского племени“*.

დავიხსომოთ, ვითომც ჩვენის ქვეყნის ადგილ-მდებარეობის შეუვალობამ ისე შეგვამწყვდია და შეგვკეტა, რომ აღარც რა ვინ მოგვაკარა და აღარც რა ვის ჩვენ მივეკარენით. მერე კიდევ ამბობს ავტორი, რომ ამ გეოგრაფიულმა განყოფილებამ ისე გაგვიხადა საქმე, რომ თვითვეული ცალკე თემი საქართველოსი ქართველთათვის იქნება იმოდენადვე უცნობი იყოო, რამოდენადაც უცხოთათ-ვისაო**. აქედამ ცხადიაო, რად მდუმარებდა ქართველებზედ ისტორია მთელი ათასი წელიწადი პირველ ხსენების

---

* ჰნახეთ ავტორის პირველი წერილი, გვერდი 56.

** Страна (Грузия), которая для каждого из этих (грузинских) маленьких племен была, быть может, так же неведома за пределами их крошечных поселений, как и для чужеземцев! ჰნახეთ მეორე წერილი ავტორისა, გვერდი 37.

შემდეგაო[***]. სასაცილოა!.. ჩვენ ხომ ვნახეთ, ათასის წლის დუმილი როგორი მართალი გამოდგა და ეხლა ავტორმა თეორიული საბუთიც დაუდვა სარჩულად. ეგრე აშკარად გამართლება თეორიისა საქმით ჯერ სხვა მეცნიერს ბედად არა სწვევია.

ამ საქმით აშკარაა, რომ აქ ავტორი გვიმტკიცებს ქართველების კარშეკეტილობას, რომელმაც არც სხვა ვინმე მიაკარა ქართველებს და არც თითონ ქართველები სხვებსა. გგონიათ, რომ ამაზედ დასდგეს ავტორი? თქვენგან არ გვიკვირს! ამიერკავკასიაო, მაშასადამე, საქართველოც, ,,эта исконная арена боевых встреч всевозможных племен человечества“[*], — ამბობს იგივე ავტორი სხვაგან. როგორ მოგწონთ ჯერ ის კარშეკეტილობა და მერე ეს „исконная арена боевых встреч всевозможных племен человечества“!

ვსთქვათ, ეს ,,იყო და არა იყო რა“ დავუთმეთ ავტორს, ერთი ეს ვიკითხოთ: ან როდის გამოვუყარეთ ურდული ჩვენს კარშეკეტილობას (замкнутость-ს ავტორისას), ან როდის და ვინ შემოგვიმტვრია კარი და ქვეყანაში გამოგვიყვანა. ავტორი გვარწმუნებს, რომ ეს მოხდაო ფარნავაზ მეფის შემდეგაო, ესე იგი არა უწინარეს მესამის საუკუნისა ქრისტეს შობამდე. ამას გვანიშნებს ავტორის სიტყვები, როცა გვეუბნება, რომ დიდი გზა რიონისა გააკეთეს ,,после Фарнаваза (первого грузинского царя, жившего в III веке), когда замкнутость Грузии была нарушена ея зависимостью от Персии“[**].

[***] ჰნახეთ პირველის წერილის 57 გვერდი: Отсюда ясно, почему после первого произнесения имени этих племен, целую тысячу лет (?) молчала о них история,

[*] ჰნახეთ 48 გვერდი პირველის წერილისა.

[**] ჰნახეთ 64 გვ. პირველის წერილისა.

სჩანს, სპარსეთმა მესამე საუკუნის შემდეგ გამოუმტვრია კარი ჩვენს შინშეკეტილობას. გგონიათ, რომ ან აქ მაინც დასდგეს ამაზედ ავტორი და ეს აღარ გადასთქვას?! ნურას უკაცრავად: ჩვენ სხვა ლეკი-ბიჭები ვართ. როცა კიაქსარმა გაამაგრა მცხეთა და ააშენა დარუბანდიო, ,,с этого момента уже начинается прямая связь Грузии с Ираном, снашения их делаются более живыми и частыми и Грузия мало-по-малу вовлекается в русло исторической жизни Востока" და სხვანი***. ან ამას გაკმარებთ განა! ახლა სხვაგან აი ამაზევე რას ბრძანებს ავტორი: ,,Начиная с нашествия скифов и до завоевания Персии и Грузии арабами, она почти непрерывно жила общею жизнью с Ираном"*. გეგონათ ამას მაინც დაგვაჯერებს ავტორი! აი კიდევ სხვა: ,,уже при первых Ахеменидах (в VI в. при Кире) Грузия становится пристанищем самых разнообразных пришлецов"... და სხვანი.

ეს რა არის კიდევ! ავტორი სხვას უფრო საკვირველს გვეუბნება. თურმე ნუ იტყვით, დღეს ჩვენში არიან ცალკე მოსახლეობანი (колонии) ხაზარებისა, რომელნიც კიროსის დროისანი არიან, ვითომცდა თავისი ენა შეუნახავთ ისე როგორც მათთა ძველისძველ წინაპართა ჰქონიათ. თუ არ დაგვიჯერებთ, აი ავტორის სიტყვებიც: ,,Мы встречаем здесь (в Грузии) и в наше время потомков, изгнанных Навуходоносором евреев, а также туранцев, хазар и греков, живущих обособленными группами, быть может со времени Кира, сохраняя свои права (?), привычки, национальный тип и

*** ჰნახეთ მეორე წერილის 38 გვერდი. აქ შევნიშნავთ, რომ კიაქსარი მეშვიდე საუკუნეში იყო ქრისტეს შობამდე.

* იქავ: 40 გვერდი.

язык почти каким он был во времена их далеких предков“**.

ბერძნებისა და ებრაელებისა რა მოგახსენოთ და ამ ხაზარების ყოფნა კი ჩვენში დღეს პირველი გაგონებაა. მეცნიერებს პატარა ბუნდადა აქვთ წარმოდგენილი ამ ხაზარების ვინაობა და, რადგანაც ჩვენში ესენი ისე კარგად დაბინავებულან, რომ თავისი ძველისძველი ენაც თითქმის შეუცვლელად შეუნახავთ, რა დიდი სიხარული აუტყდებათ სწავლულთა და მეცნიერთა, რომ ასეთი შემთხვევა ეძლევათ ზედმიწევნით შეიტყონ ამ ერის ვინაობა. სამწუხარო ეს არის მარტო, ვაი თუ ჩვენს ავტორს ცოტაოდენად გაუჭირდეს ამ ხაზარების ბინაზე მიყვანა ვისიმე. მაგრამ რა ვუყოთ, განა ტყუილად არის ნათქვამი, გაჭირვება მიჩვენე, მე გაქცევას გიჩვენებო. ვერ გაექცევა თუ? რა გაუძნელდება იმას, ვინც ერთის კამარით ათასს წელიწადს ზედ თავზე ახტება ხოლმე და ვინც მცხეთას ზურგზე იკიდებს და დარიალის ხეობაში გადააქვს. ან იქნება თითოოროლა კაცი, რომელნიც ჩვენში „ყაზარას“ სახელს ატარებენ, ავტორს „ხაზარები“ ჰგონია! არც ეს არის შეუძლებელი ჩვენის ავტორისაგან, რადგანაც მისი შედარებითი მეთოდი ეტყოდა, რომ ყაზარადალაქი და „ხაზარი“ კიროსის დროინდელი, ძალიან ახლონი არიან ერთმანეთზე.

განა დაიჯერებს ვინმე, რომ ეს ყველაფერი ერთისა და იმავე კაცის ნათქვამია ერთსა და იმავე საგანზე, ერთსა და იმავე დროს! რომელი ერთი ამისთანა ამბავი მოვთვალოთ ავტორისა? რომელს ერთს მივყვეთ? რომელს ერთზედ ვუთხრათ ან ჰო, ან

** იქავ: 40 გვერდი.

არა? კმარა ასე წინა და უკულმა ტრიალი. ყველაფერს რომ გამოვუდგეთ,
ენა დაშვრების, ყურნიცამ სმენლისა დავალდებიან.

წერილი მეექვსე

იმ წარამარა სიარულით, რომელიც წინა წერილებში ავღნიშნეთ, ავტორმა, როგორც იყო, ფარნავაზამდე მიგვიყვანა. ფარნავაზის თაობაზე ავტორი გვეუბნება, რომ თვითონ იგი და მისი შთამომავლობა „ჯანღითა და ბურუსით“ არის მოცულიო, ეს კი აშკარაა, რომ შთამომავლობით სპარსი იყო, ახემენიდების ნატამალიო*. ამ ფარნავაზის აშკარა სპარსობაზე მოწმად მოჰყავს ბარათაშვილი, მაშინ როდესაც ავტორმა დაგვიფიცა, რომ ქართველების ნაწერები მასალადაც არ გამოდგებიანო. მაგრამ ამისთანაებს ნუღარ გამოვუდგებით. ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი მოვიყვანეთ იმისი, რომ ავტორი ამისთანაებში იმ მინასესა ჰგავს, რომელსაც თეიმურაზ მეფე ხშირად ეტყოდა ხოლმე:

ეგრე, ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო.

ერთის სიტყვითაო, ამბობს ავტორი, ფარნავაზი საქართველოში ისეთივე საშუაგულო კაცია (центральная личность), რომლის გარშემოც ხალხის თქმულობა აგროვებს ხოლმე ყველა თვალსაჩინო ნამოქმედარს ცხოვრებისას, როგორც, მაგალითებრ, კარლოს დიდი ევროპის შუასაუკუნეთათვის და

---

* ჰნახეთ მეორე წერილი, გვერდი 42.

„ვლადიმირი – კრასნოე სოლნიშკო“ რუსეთის ზღაპრულ მოთხრობათათვისაო. ჩვენის ეხლანდელობის დიდად მცოდნე ავტორს რომ მოვკითხოთ, ერთი გვაჩვენოს, სად, როგორ და რა თქმულობით იხსენიებს ქართვლის ერი ფარნავაზსა, ნეტა რას გვეტყვის? არა გვგონია, „ქართლის ცხოვრების“ გარედ, ჩვენმა ავტორმა გვიპოვოს რაიმე ხსენება ფარნავაზისა ჩვენს ხალხში და, თუ გვიპოვის, მადლობით მუხლს მოვიყრით. დალოცვილს, თუ ეს თქმულობანი ფარნავაზზე სიზმრად არ მოზმანებია და მართლა სადმე არის, რატომ აქ მაინც არ გამოიყენა ის შედარებითი მეთოდი, რომელიც ამისთანაებში მართლა რომ სასწაულთმომქმედია და ბევრის რამის ამხსნელი და გამომრკვეველი. ამისთანაებში ხომ ეგ მეთოდი თითონ თავისთავად ეხვეწება კაცს, აცა – ჩემი საქმე აქ არისო, მიმიშვიო და რატომ ავტორს ყური არ უთხოვებია. სჩანს, ეგ მეთოდი ავტორისათვის ფრაზაა და არა საქმე.

ავტორი, ფარნავაზის ხსენების შემდეგ, ბევრს რასმე ჰლაპარაკობს ზოგს ქართულ ენასა, სარწმუნოებასა, სახელმწიფო წესწყობილებასა და ერთობ კულტურაზედ და ბოლოს ამბობს, ჩვენ გვგონია – მეტი იყოსო ჩამოთვლა იმ მრავალგვარ ამბებისა, რომლის სარბიელად იყო საქართველო. ღმერთმა უშველოს, თორემ ჩვენვე გაგვიხდებოდა სახათაბალოდ. ნეტავი ამ საქებურს გზას დასდგომოდა აქამდინაც და მოკლედ მოეჭრა, რაც სათქმელი ჰქონდა. არც ჩვენ დაგვადგებოდა ამოდენა ჯაფა და არც ამდენად შევაწუხებდით მკითხველსა.

აქ მარტო იმას ვიტყვითო, გვეუბნება ავტორი, რომ ფარნავაზიდამ დაწყებული არაბებამდე (მეშვიდე საუკუნემდეო ქრისტეს აქედ) საქართველოს ერთხელაც არ შეხვედრია ფეხზედ მაგრად დადგომაო. იქნება ეგრეც იყო; მაგრამ საიდამა აქვს ეს აზრი გამონასკული? არა გვგონია, ფარნავაზის ხსენება სხვაგან სადმე იყოს, თუ არ „ქართლის ცხოვრებაში“.

„ქართლის ცხოვრება“ კი, რასაც ფარნავაზზე მოგვითხრობს, ამის საბუთს არ იძლევა. კაცმა, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, შემოიერთა მთელი საქართველო, ერთმთავრობა დააფუძნა, წესწყობილება ჩამოაგდო, საერისთაონი გააჩინა და რიგი და წესი დაუდო. ნუთუ ეს ფეხზედ დადგომა არ არის! ამიტომაც ამბობს „ქართლის ცხოვრება“:

„იყო განსვენება და სიხარული ყოველსა ქართველსა ზედა და მეფობისათვის ფარნავაზისა იტყოდეს ყოველნი: „ვმადლობთ სვესა ჩვენსა, რამეთუ მოგვეცა ჩვენ მეფე ნათესავისაგან ჩვენთა და აღგვეხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“.

იქნება, და ძალიან შესაძლოც არის, რომ ყოველივე ეს ტყუილიც იყოს მატიანეს მთხრობელისა, მაგრამ თუ ავტორმა ფარნავაზი მატიანეს სიტყვით იცნო, და სხვა წყარო-კი არა გვგონია საფარნავაზოდ გვაჩვენოს სადმე, მაშ ეს სიტყვები იმავ მატიანისა რატომღა ჩააფუჩეჩა. თუ ტყუილი იყო, რატომ არ წაუსაბუთა რამ და, თუ არა წაუსაბუთა რა, რატომ აგრე მჩვარში გაახვია თავისი დაქადებული კრიტიკა. ცარიელი სიტყვა დამიჯერეთო, განა? მეტი რა გზაა, უნდა დავუჯეროთ იმას, ვინც საბუთიანს სიტყვასაც არ ეჯერებს. ეს, მართალია, ძალმომრეობაა, ჩემნებობაა, მაგრამ მაინც უნდა შევიწყნაროთ, რადგანაც ახალი აღთქმა მოაქვს ჩვენის ისტორიისა და მეცნიერებისათვის: კრიტიკა შემოაქვს და შედარებითი მეთოდი კვლევისა. დეე, მოტყუვდნენ ბალღები მითომდა ახალის აღთქმით, რომელიც ყოველ ძველისძველ აღთქმაზე უარესი და უმდარესია. დეე, კრიტიკისა და შედარებითის მეთოდის კალთა გადააფარონ თავიანთ უვიცობას, ვისაც ჰსურს, და ამ ამაოდ ხსენებულ სიტყვებით კი ვერც ერთს ჭკვათამყოფელს კაცს ვერ დაემალებიან უვიცნი და უმეცარნი.

მაგალითად ჩვენის არარაობისა მოჰყავს ავტორს თვით ვახტანგ გორგასლანიც კი, რომელიც — თუ

გნებავთო – ძველის დროთა გმირებს მიეგვანებაო, მაგრამ ამისთანა კაცების მნიშვნელობა არ იყო ხანგრძლივიო. ესენი უბრალოდ იხოცებოდნენ უნაყოფო ბრძოლაში და ვერაფერი მტკიცედ ვერ ააგეს და დაამყარესო. მაშ, მტკიცედ ვერ ააგეს და დაამყარეს მირიანიდამ დაწყებული ქრისტეს რჯული, რომლისათვისაც მეცხრამეტე საუკუნემდე მთელი ათას ხუთასი თითქმის წელიწადი ჯვართ ეცვა მთელი საქართველო?! მაშ, უნაყოფო იყო ბრძოლა ვახტანგ გორგასლანისა, რომ ჩრდილი კავკასიელთ თავზარი დასცა იმოდენად, რომ მას მერმედ თითქმის ვეღარა შემოჰბედეს რა საქართველოს და მას აქედ, ჩრდილოდამ საქართველო სამუდამოდ უშიშარ იქმნა? მაშ, არც ის ჩაითვლება საგულისმყოფელ საქმედ, რომ ვახტანგმა მიანიჭა ჩვენს ეკლესიას თვითმყოფელობა, დაიხსნა ანტიოქიის დამოკიდებულებისაგან? ეს ორი-სამი მაგალითიც საკმაოა კაცმა დაასახელოს, რომ შევიტყოთ გულმართლობა ამ მაგალითების განგებ არდამნახველისა, ჩვენ ვამბობთ „განგებ“, იმიტომ რომ წარმოუდგენელია ავტორს არ წაეკითხოს „ქართლის ცხოვრება“ მაინც, როცა საქართველოს ისტორიის წერას მოისურვებდა, და თუ წაუკითხავს, ამ უეჭველს ამბებზედ განგებ დახუჭავდა თვალს, თორემ სხვაფრივ მოუფიქრებელია ამაების შეუნიშნავობა.

დაასვა რა თავისი თვითნებობის ბეჭედი საქართველოს ისტორიას ფარნავაზიდამ არაბებამდე, ავტორი მერე იხსენიებს დავით აღმაშენებელს და ამბობს, რომ გამოსაჩენის ნიჭის კაცი იყო, უყვარდა დაახლოება მეცნიერ კაცებთანა, თუმცა თითონ წერა-კითხვა (грамота) მარტო სიბერეშიღა (в преклонных летах) ისწავლაო. ჯერ ესა, რომ დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა სულ ორმოცდათორმეტის წლისა და ამას არ ეთქმის

„преклонные лета“. თუნდ ესეც არ იყოს, საიდამ გამოატყვრინა ავტორმა ესეთი ამბავი! კაცი, რომელიც წიგნს თვალიდამ არ იშორებდა მაშინაც, როცა საომრად და სანადიროდ დადიოდა და ამის გამო კინაღამ საშინელ განსაცდელსაც არ შეემთხვია ტფილისის პირს, როცა არაბებს ჩაუსაფრდა, კაცი, რომელმაც სომეხთა სამღვდელონი გააკვირვა თავისის ცოდნითა და მწიგნობრობითა, კაცი, რომელმაც ღირსშესანიშნავი ფსალმუნები დასწერა და რომელიც, ავტორისავე სიტყვით ქართველ ყმაწვილებს ჰგზავნიდა სამეცნიეროდ ათონს, ეს კაცი სიბერემდე უვიცი იქნებოდა წერა-კითხვისა?! ყოველს ამას ხომ მისი მნახველი, მასთან ყოფილი მთხრობელი მოგვითხრობს. ნუთუ მნახველის სიტყვაც აღარა სჯერა ჩვენს ყოვლად უჯერო ავტორს, რაღაც უცნაურის ჯადოთი მოჯადოებულს, რომ იქ „არა“ სთქვას უსათუოდ, საცა „ჰო“ არის სათქმელი უტყუარის საბუთითა.

დავით აღმაშენებელიდამ ავტორი გადადის თამარ მეფეზედ. აი ამაზედ რას ამბობს ავტორი:

„...век Тамары, несмотря на его блеск и внешнее величие, можно скорее назвать веком нравственного разложения и началом политического падения государства“*.

ავზნეობით ხსენება თამარის დროებისა მტკნარი ტყუილია, თუ უკაცრავად არ ვიქნებით ავტორთან, და სხვებრ კი იქნება თამარის მეფობა მისაჩნევი იყოს დასაბამად დასასრულისა. ხოლო ამის დამტკიცებას იმისთანა საბუთები კი არ უნდა, როგორიც ავტორს მოჰყავს, საჭიროა ამ შემთხვევაში პატარა ღონიერად

---

* ეს სულხან ბარათაშვილისაგან უსესხნია ავტორს, რომელმაც წინათ დაიქადა პირველობა ამისთანაებში. ამაში მაინც ბარათაშვილს დაუთმოს პირველობა. სულ თავისაკენ რათ ითლის დალოცვილი.

დასძრას კაცმა ტვინის ძაფები. ,,თამარ მეფეო, — ამბობს ერთი გერმანელი, — იმისთანა სახელია საქართველოში, რომ კლდე, ღრე, ხე, ქვა, რასაც ხელს ახლებ და თვალს მიაკარებ, ყველა იძახის ამ სახელოვანის მეფის სახელსაო". ეს მართალიც არის. რაკი ესეა, ამისთანა სახელის გაუქმებას და დამდაბლებას პატარა მეტი საფანელი უნდა, ვიდრე ავტორს ჰქონია. აი, საბუთად რა მოჰყავს. აუარებელი ფული იხარჯებოდა სასახლის მორთულობაზე, მონასტრების და ტაძრების აშენებაზე, რომელზედაც უამისოდაც, უცხოელთა სიტყვითაო, მიდიოდა სამი მეოთხედი მთელის სახელმწიფო შემოსავლისაო.

სრა-სასახლის მორთულობისა რა მოგახსენოთ და რაც შეეხება მონასტრების და ტაძრების განდიდება-გაშენებასა და ერთობ ამაებზე დიდს ხარჯსა, სწორედ ამაშია დიდი სიბრძნე თამარისა, თუ მართლა ესენი მოუხდენია. ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომაც მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ჰზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც

განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად.

და თუ თამარ მეფე ამავე გზას ვიდოდა, ეგ მარტო იმის სიბრძნესა და მიხვედრილობას უფრო მოასწავებს, ვიდრე არ გაგებას დროების საჭიროებისას. ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდ მთელს ჯვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი შეაკლა. ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა, რომლის კალთას ხშირად გადიფარებენ ხოლმე ბალღების მოსატყუებლად გალაღებულნი უვიცნი, როცა ტყუილების ბადეში გაებმიან და სხვა გასამართლებელი არა აქვთ-რა.

თუნდ ეგეც არ იყოს, რომელს ისტორიაში თქმულა, რომ აშენება, გამართვა, სახსოვრების აგება — თუნდ მონასტრებისა და ტაძრებისაც, — წუნად ჩაეთვალოს რომელსამე ერსა, ანუ ერის ბედის გამგებელსა. მაშ, დღეს რომ პარიზში ეიფელის კოშკი ამართეს ქვეყნის გასაოცებლად, სულელობაში ჩამოერთმევა საფრანგეთსა, აქაო და ამაებზედ ფულს როგორ ჰფანტავენო, როცა მუშაკაცნი შიმშილით უწყდებიანო. თუ ესეა, მაშ ადამიანს ჯერ უნდა ჩამოართვათ ის ნიშანწყალი ადამიანობისა, რომელიც იწვევს — თავისის სულის წყურვილი ასე თუ ისე სახსოვარში რამეში ხელოვნებით რამით გამოსთქვას, გამოსახოს, გულიდამ გარეთ გამოიტანოს. განა ძველმა სარწმუნოებამ ძველის ბერძნებისამ არ შეჰქმნა იგი მითი ხელოვნება, რომელიც დღესაც ქვეყანას აკვირვებს და სახელს ბერძნისას ჰფენს მთელს ქვეყნიერობაზედ?! ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს

ხუროთმოძღვრებას ამისთანა საქვეყნო მნიშვნელობას არ ვაძლევთ, მხოლოდ ვამბობთ, რომ ერს შეხვდება ხოლმე დრო, როცა თუნდ მონასტრებისა და ტაძრების შენებით – წყურვილს სულისას იკლავს ხოლმე. ეს საპატიო წყურვილია, იმიტომ რომ სათავე წარმატებისა ეს სურვილია და სხვა არა რა.

მეორე საბუთად ის მოჰყავს, რომ თამარ მეფემ გაილაშქრა ყარსზედა, ვითომ მარტო იმისათვისა, რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილუბრალოდაო. გაგონილა – ასეთი მალე დაჯერება დაუჯერებელისა იმ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომდა უკრიტიკოდ! იქნება გვითხრან, – ,,ქართლის ცხოვრებაში" ესე სწერიაო. თუნდ რომ ეწეროს, რა დასაჯერია?! ნუთუ ძველისძველ საქართველოს მეისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს, რომ მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შემოსასევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არა სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშრობისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებედნა რა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა. შანქორის ომსაც განჯისაკენ ესევე აზრი ჰქონდა და საჭიროება. ამ მხრით გალაშქრება და განზედ გაწევა ჩვენი – დიდი ხანია ერთს უპირველესს საქმეს შეადგენდა ჩვენის ისტორიისას. განა სულელები იყვნენ დავით აღმაშენებელი და მისნი შემდგომნი თამარამდე და თამარის შემდეგ სხვა მეფენიც, რომ სულ აქეთ იწევდენ საომრად?! ქართველებს ამ მხრით გამაგრება

რომ მოესწროთ, – ვინ იცის – საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო. საუბედუროდ, ეს ვერ მოასწრეს და ამისი მცდელი-კი, სხვათა შორის, თამარი, ჩვენმა ავტორმა გამოაკლო დიდებას და სახელსა. მერე რა საბუთით?

აი, როგორ უთარგმნია, ჩვენს ავტორს „ქართლის ცხოვრების“ ცხადი სიტყვები: „პირველად შემყრელთა ბედსა და სვესა ზედა ლაშასა... მიჰმართეს ბარდავად“... და სხვანი. აქ ის არის ნათქვამი, რომ ლაშა გიორგის დაბადების დღიდამ ეს პირველი გალაშქრება იყოო და სიტყვანი „ბედსა და სვესა ზედა ლაშასა“ უფრო სიტყვის გალამაზებისათვის არის მთხრობელისაგან, ვიდრე რაიმე აზრის დასაბუთებისა და დასკვნისათვის. ეხლა კი არ ვიტყვით ხოლმე „ამის ბედზედ წავედიო“. განა აქ „ბედი“ წასვლის მიზეზად იგულისხმება და არა მარტო სიტყვის მასალად?! ერთის სიტყვით, რაშიაც ღრმად გამსინჯავი კაცი თამარის სიკეთეს დაინახავდა, იქ ჩვენი ავტორი წუნსა და ცუდსა ჰხედავს. რა თქმა უნდა, ეს ავად ხსენება თამარისა არ უშლის ჩვენს ავტორს იქავ ისიც ახსენოს, რომ თამარის დროს მიაღწია ჩვენმა ენამ თავის უმაღლესს სისრულემდე. მოსე ხონელი, შავთელი, სარგის მთოგველი და რუსთაველი დასახელებულნიცა ჰყავს. საქართველოში ამ დროს იღვიძებს წყურვილიო სწავლისა და ცოდნისაო. პლატონი, არისტოტელი და სხვა ფილოსოფოსნი ბიზანტიის სკოლისა ითარგმნებიან ქართულადა, მაგრამ ყოველივე ეს წარსულის შუქი უფრო იყოო, ვიდრე საკუთარი ნათელი თამარის დროებისაო. ამბობს ყოველს ამას და არაფრით კი არ ამტკიცებს, არაფრით ასაბუთებს, პირიქით, იმისთანა საბუთები მოჰყავს, რომელნიც უფრო თამარ მეფის საქებარად გამოდგებიან და არა საწუნარად.

დაანებეთ ყოველს ამასაც თავი და მარტო ეს იკითხეთ, რაღა ეს დაუჯერებელი დაიჯერა თამარ

მეფეზედ ავტორმა და მთელი ქება-დიდება მემატიანესი ყურთ იქით აიცილა. თუ ცუდს უჯერებს მემატიანეს, კარგს მაინც ყურს რატომ არ ათხოვებს, თუნდ მემატიანის გასამტყუნებლად დაქადებულ კრიტიკაში გასატარებლად. რა ჰქვიან ამისთანა ქცევას, — ეს თქვენ გამოიცანით.

თამარ მეფის ხსენებით ათავებს ავტორი ჩვენს ისტორიას საკუთრივ. მთელს დიდ ხანას თამარის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნემდე ორიოდე სიტყვითღა იხსენიებს თავისებურ კადნიერებითვე. აქ არც ერთი ისტორიული სახელი აღარ შეგხვდებათ და ყოველივე იმისთანა ცარიელი და ფუჭი მასლაათია, რომ გაკვირვებულს მკითხველს იმის მეტი არა ჰრჩება რა, რომ გულამოსკვნითა სთქვას: მახლას!

რაკი საკუთრივ ისტორიას მოვრჩით ღვთისა და ავტორის წყალობით, ამის შემდეგ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რას ამბობს ჩვენი ავტორი ჩვენის კულტურის სხვადასხვა ელემენტზედ. დიახ, ბატონებო, საქმე აქ არის. აქა მარხია ის განძი, რომლისათვისაც ასტეხა ჩვენმა ავტორმა ასეთი უილაჯობის ქარ-ბუქი. ამაებში ქადულობს ავტორი, რომ მე პირველი ვარ, რომელიც ამ მხრით ვეხები საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურასაო. მართალია, ბოდიშის მოსახდელად ისა აქვს, რომ რაც მიმიღია, იმას გაძლევთო, მაგრამ მაგას რომ არაფერი მიეღოს ან ჩვენი რა ბრალია, ან ჩვენის ისტორიისა: საცა გაწვრთნილა და უსწავლია, იმას გადაახდევინოს. განა ტყუილია?!

ცემა გმართებს გამზრდელისა,
რა ყრმა ჰნახო ავად ზრდილი.

წერილი მეშვიდე

ჩვენა ვნახეთ, როგორი საისტორიო ქარგა გაჭიმა ავტორმა „Письма о Грузии“-სამ და რა-რიგად ზედ წამოაქსოვა თავის საკუთარის ხელით დართულ ძაფებით ყოველივე ის, რაც საზმარში მოზმანებია. ყოველ ამის შემდეგ ავტორი გადადის ჩვენს ძველისძველ კულტურის გამორკვევაზედ. იგი სიბრძნის მანტიაში გახვეული, მითამ იძიებს ქართველების პირველყოფილ ვინაობას, ქართულს ენას, უწინდელს სარწმუნოებას, ზნე-ჩვეულებას, სახელმწიფო და საზოგადოებურ აგებულებას, ერთის სიტყვით, ყოველს ცალკე ელემენტს კულტურისას თვითოეულად. ჩვენც მივყვეთ ყოველ ამაში ფეხდაფეხ, თუ მოთმინება შეგვრჩა მთქმელსაცა და მსმენელსაც ბოლომდე, იმიტომ რომ ავტორის ნათქვამების ნაყვა სწორედ წყლის ნაყვაა.

ავტორი იკვლევს რა პირველყოფილს ვინაობას ქართველებისას, ამბობს, რომ იმათი სომეხთაგან გადაკეთებული მატიანე მოგვითხრობსო, ვითომც ქართველები, როგორც სომხებიცა, იაფეტის შვილისშვილ თორგომისაგან ჩამომდინარეობენო. თუ ამ თქმულობას დავუჯერებთ, ქართველები არიელნი უნდა იყვნენო, რადგანაც სომხები არიის თესლისად არიან ცნობილნი მეცნიერებისაგანაო. მაგრამაო, განაგრძობს ჩვენი ავტორი, უკეთესი ლინგვისტები ევროპისანი ქართულს ენას არ აკუთნებენ არც არიულ ენებს, არც სემიტურებს და არც თურანულებსაო. კლაპროტი და სხვანი მკვლევარნი ენისანი უფრო იმაზედ ჰდგანან, რომ ქართული ენა არის რაღაც მთლად განცალკევებული, როგორც ენა ბასკებისაო. ჩვენი ავტორი, როგორც ყველაფერში, ისეც ამ შემთხვევაში, უარყოფის გუნებაზეა და ამ „ევროპის უკეთსს ლინგვისტებსა და მათთან ერთად კლაპროტსაც აზრს ურღვევს და ამბობს, ჩვენთვის შესაძლებელიაო ანალოგიით (რომელის ანალოგიით?) ის დავასკვნათ, რომ ქართული ენა, თუმცა თვალსაჩინოდ განირჩევა არიულ, სემიტურ და

თურანულ ენებისაგან, მაგრამ ზოგიერთ მუხლში ნათესაობაცა აქვს ამ ენებთანაო*. განირჩევა იმითიო, რომ არიულს ენებს ორასოიანი ფესვი აქვთ, სემიტურს — სამასოიანი, და ქართულს კი ორასოიანიც, სამიანიც და ერთასოიანიცაო. სთქვა და დაჰკრა თავისის ავტორიტეტობის ბეჭედი. თუმც ესეა, მაგრამ ყოველივე ეს მტკნარი ტყუილია, ავტორისაგან მოგონილი ყველა ამ ენებშია ერთასოიანი ფესვიც, ორასოიანიც, სამასოიანიც, ოთხიანიც და მეტიანიც. საკმაოა ავტორის გასამტყუნებლად მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი სხვათა მრავალთა შორის, რომ სიტყვა არ გაგვიჭიანურდეს: მაგალითებრ, ძაღლი სანსკრიტულად cva (ფესვი cvan და cun), ბერძნულად „კიონ“ (ფესვი „კიონ“ და „კინ“), ლათინურად cani, გერმანულად hun-d*. აი სხვა მაგალითებიც, საცა უეჭველია ფესვი ერთასოიანი, ორასოიანი, სამიანი და ოთხიანიც არიულ ენებში: i=სვლა, ma=ზომვა, vdi=ხედვა, ნახვა, gno=ჩვენი გონი, საიდამაც წამოსულია რუსული знать, ინგლისური Know**, და იქნება ჩვენებური: „ცნა”-ც, bhidh=ჩხვლეტა, bhudh=გაღვიძება. აბა, თითებზედ დასთვალოს ჩვენმა ავტორმა რამდენი ასოა ამ არიულ სიტყვათა ფესვებში. ან იქნება ჩვენ არ დაგვიჯეროს, რომ ფესვების საქმე ესეა. მაშ, აბა ერთი სხოლიოში მოხსენებულ მეცნიერთა წიგნებს გადახედოს ავტორმა და თავის одним штрихом მკლავი გადაჰხვიოს. თუ ესეა, მაშ ტყუილი ბაიათი არ არის ავტორისა, რომ

---

* Сев. Вест. , № 2, გვ. 58, 59.

* შრადერი, შედარებითი ენათა-ცოდნა, გვ. 195, 446.

** ტეილორი, ანტროპოლოგია, გვერდი 142.

ვითომ ფესვის ასოთა რიცხვით განირჩევიან არიული, სემიტური და ქართული ენები, მერე თვალსაჩინოდაც! თვალსაჩინო კი არა, მარტო თვალხუჭუნობით თუ მოელანდება კაცს ამისთანა ტყუილი საბუთი გარჩევისა. რა თქმა უნდა, არიული, სემიტური და ქართული ენები განირჩევიან, მაგრამ რით? ამას ავტორი მერე გვეტყვის, რომ ჭკუას ისწავლის. ეხლა კი თავისი ზღაპარი უკან წაიღოს, სხვაგან გამოადგება.

ეს ხომ თვალსაჩინო გასარჩევი მოგვცა ხსენებულ ენებისა. ეხლა ჰნახეთ — რა სასაცილო საბუთს იძლევა ამ ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად წინააღმდეგ კლაპროტისა და სხვათა ევროპის უკეთეს ლინგვისტებისა. იგი ამბობს:

Существование сродства грузинского языка с упомянутыми (арийскими, семитическими и туранскими) языками доказывается уже тем, что раньше одни из лингвистов причисляли его к арийскому, другие – семитическому, а третъи – даже к туранскому семейству*.

გესმით ეს „доказывается уже тем"! ეს რა არის: ბოდვაა, თუ ჭკუათამყოფელის დალაგებული საუბარი! თუ ევროპის უკეთესნი ლინგვისტნი და იმათ შორის კლაპროტიც ქართულ ენას არ აკუთვნებენ არც არიულს, არც სემიტურს, არც თურანულს, მაშ ტყუილი უნდა იყოს აზრი წინანდელ ლინგვისტებისა, რომელთა შორის, ავტორის სიტყვით ზოგნი არიულს აკუთვნებდნენ, ზოგნი სემიტურს და ზოგნი თურანულს. აშკარაა, წინანდელი ლინგვისტები სტყუოდნენ, რადგანაც უკეთესნი, ავტორისავე სიტყვით, სულ სხვას ამბობენ: თუ ესეა, მაშ ჩვენის ავტორის „доказывается уже тем"... რა არის? ის არის, რომ, მტკიცდებაო იმითი, რაც ევროპის უკეთესთა მეცნიერთა აზრით — მართალი არ გამოდგაო. გაგონილა დამტკიცება რისამე იმ საბუთით, რომელიც მართალი არ არის?! თუ არ გაგიგონიათ, ეხლა გაიგონეთო, გვეუბნება ავტორი,

რომელსაც ღმერთმა მიანიჭა постичь историю и одним штрихом обнять ея перспективу. ერთი ამგვარი გენიოსიღა აკლდა Новое Обозрение-ს და დახე, ყოვლად მოწყალე ღმერთმა ამ გენიოსსაც იქ ამოაყოფინა თავი. ამაზეა ნათქვამი: მიეცეს და მიემატოსო.

დღეს გაბათილებულია წინანდელ ლინგვისტების დანასკვნი, რომ ქართულს ენას აკუთვნებდნენ ხან არიულს, ხან სემიტურს, ხან თურანულს ოჯახს ენებისას. ევროპის უკეთესმა ლინგვისტებმა და იმათ შორის ჩვენის ავტორის კლაპროტმაც წინანდელ ლინგვისტებს ჩაილულის წყალი დაალევინეს და ქართული ენა ყველა ამ ენებისაგან განსაკუთრებულ ენად ჩასთვალეს. თუ ესეა, რომ ქართული ენა რაღაც განსაკუთრებული ენააო, უკეთესთა მეცნიერთა აზრით, — სხვა რაღა უნდოდა ავტორს? უსათუოდ ჩვენი ავტორი ევროპის უკეთესთა ლინგვისტებზე უფრო უკეთესი ყოფილა, თორემ — თქვენგან არ გვიკვირს — Новое Обозрение-ში, ამ ბრძენთა ბრძნულ გაზეთში, ის ფეხს მოიკიდებდა და ქადაგად ჩავარდებოდა?! Новое Обозрение-ლებსაც აქვთ ხომ ის უნარი ,,постичь историю и обнять одним штрихом ея перспективу“. ამიტომაც ჩვენმა ავტორმა და Новое Обозрение-მ სუნით მიაგნეს ერთმანეთს. ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო.

ან ვინ გაამტყუნებს Новое Обозрение-ს, რომ აიღო და თავის ფურცლებზედ ნება მისცა ჩვენს ავტორს ქადაგად ჩავარდნილიყო. Новое Обозрение-მ, обняло одним штрихом, რომ აქ ვიღაც გოლიათთანა აქვს საქმე, იმისთანა გოლიათთან, რომელმაც ჯიბეში ჩაისხა ყველა ლინგვისტები ერთად. იქნება არ დაი-

ჯეროთ! ჩვენმა ავტორმა გამოიცნო, რომ ხაზარების ენა აქ, ჩვენში, სადღაც ისე შენახულა, როგორც კიროსის დროს ყოფილა*. აბა, Новое Обазрение კი იქნებოდა და ამ ცოცხალ-ცოცხალ ტყუილის მთქმელს ორსავე კარს არ გაუღებდა! წარმოიდგინეთ, რომ მეცნიერებამ დღეს-აქამომდე, არამც თუ ენა ხაზარებისა, ვინაობაც კი არ იცის; ვინ იყვნენ ხაზარები, ერთი რომელიმე ერი იყო, თუ კრებული მრავალ ერებისა, ჯერ არავის გაუცვნია. ამათგან ერთი იოტის ოდენა ნაშთიც არ დარჩენილა, რომ კაცმა ვარაუდობით მაინც მიაგნოს — ვინ და რა ეგულებოდათ ხაზარების სახელ-ქვეშ ამის მხსენებელ მემატიანეთა. ერთს სიტყვასაც ამ ხაზარების ენისას არ მოულწევია მეცნიერთა ყურამდე და ჩვენს ავტორს კი, არამც თუ ამ ხაზარების ვინაობა სცოდნია, ენაც კი ისე დაუხსომებია, ისე ზედმიწევნით შეუსწავლია, რომ შეუდარებია კიდეც უწინდელი ეხლანდელ ჩვენში მყოფთ ხაზართა ენასთან და დაუნახავს, რომ იგი დღეს თითქმის იმისთანავეა, როგორც კიროსის დროს იყო, ესე იგი ორი ათას ოთხასის წლის წინათ. თუ კაცია, ქვეყანაზედ ამას ერთი ლინგვისტი იტყვის, და ჩვენმა ავტორმა კი სთქვა.

ამ სახით ჩაისხა ავტორმა ყველა ლინგვისტები ერთად ჯიბეში! არ ვიცით, ჯიბე მისი დაიტევს თუ არა ამოდენა ხალხს და ტყუილების მაფრაშა კი ამისათვის მეტიც მოვა, იმიტომ რომ ტყუილების მაფრაშა თუნდ მთელს ქვეყანას გასწვდება.

რაც გნებავთ დაარქვით ამისთანა თავგასულობას ცოცხალის და მოურიდებელის ტყუილისას და ავტორი კი მაინც თავმოწონებულია, რომ აქაც პირველობის ბურთი მან გაიტანა მოედნიდამ და

---

* ნახეთ Сев. Вест., №3, გვ. 40.

ტყუილების პარკში შეინახა უთაკილებლად. არა გვგონია, მართლმოყვარე Новое Обозрение-ს ამისთანა გამბედავი მთქმელი სხვა ჰყვანდეს. ჩვენმა ავტორმა ამისთანებში ყველას იქ მყოფს აჯობა და დაფნის გვირგვინი სამართლით ამას უფრო ეკუთვნის, ვიდრე სხვას. აკი არარაისგან არ იქნება არა რაიცაო! აი, თუ არ იქნება: დღეს ხაზართა არც ენაა ქვეყნიერობაზედ, არც თითონ ხაზარები არიან სადმე, არსად ერთი სიტყვაც არ დარჩენილა უწინდელ ხაზართა ენისაგან და ჩვენმა ავტორმა კი ერთიცა, მეორეც და მესამეც იპოვნა კიდეც, — მერე სად? ჩვენში! — კიდეც შეადარა ჩვენში ნაპოვნი ხაზარული ენა კიროსის დროინდელთან და აუწყა ქვეყანას, რომ ხაზართა დღევანდელი ენა თითქმის იგივეა, რაც კიროსის დროისაო. ერთი, არ შეიძლება, წყალობა მოიღოს ავტორმა და ერთი ფრაზა მაინც ხაზარულისა ან კიროსის დროინდელი, ან ეხლანდელი, გამოაცხადოს Новое Обозрение-ს ფურცლებზედ! აბა, ამას ჰქვიან одним штрихом, აი!

ჩვენ კი ყურებში თითი დაგვიცვია ამ სიდიდე ტყუილის წინაშე და ავტორმა ხომ თავისი იცის: ის მოატყუოს, ვინც მოუტყუებია, და ამისთანები ხომ ყველგან არიან. გულს ნუ გაიტეხს, მით უფრო, რომ ამ ბოლოს დროს იმისთანა მართლმოყვარე ავტორიტეტმა გადააფარა თავისი ძლევამოსილი კალთა, როგორც Новое Обозрение-ა და მისი უშიშარი და უწუნარი დამქაშები. ვინ გაუძლოს!

ჩვენ ვერ მოგვითმენია, რომ ქართულის ენის შესახებ არ მოვიყვანოთ აზრი, ერთის, საუბედუროდ, უდროოდ გარდაცვალებულის მეცნიერისა, რომელმაც დიდი პატივი დაიმსახურა მეცნიერთა შორის პირველ დაწყებითვე.

ეხლა შეგვიძლიან დავასკვნათ, — ამბობს იგი, — რომ მომეტებული ნაწილი ქართულ სახელარსებითისა და ყველა იმის ფესვთა ეკუთვნიან განსა-

კუთრებულს გვარსა, რომელსაც ჩვენ „ქართულის გვარს" ვუწოდებთ. თუ მომეტებული ნაწილი ამ სიტყვებისა იპოება სომხურს ენაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იგინი სომხურს ენას შეუთვისებია ქართულის ენისაგან, რომელიც ოდესღაც დიაღ გავრცელებული უნდა ყოფილიყო დიდს სომხეთში, ვიდრე არიელები შემოვიდოდნენ. შესაძლებელია, რომ თვით ენას ალბანელებისას კავშირი ჰქონოდა ქართულის ენის ნათესაობასთან. და თუ ეს უკანასკნელი ჰიპოთეზი შესაწყნარებელია, შესაწყნარებელი უნდა იყოს ის აზრიცა, რომ თავდაპირველად ქართველების მეზობლად უცხოვრიათ ალბანელებს, რომელნიც ბოლოს დროს დაუშორებიათ სომხებს-არიელებს*. სომხურის ენის ლექსიკონი, ღარიბი სემიტურის სიტყვებით, შეიცავს მრავალს სიტყვას, შესთვისებულს ქართულისაგან და სხვა კავკასიურ ენებისაგან, რომელთაც უმოქმედნიათ იმის სინტაქსისის წარმატებაზედაც. ამის გამო შეუძლებელია ზედმიწევნით სომხურის ენის შესწავლა, თუ რომ წინადვე შესწავლული არა გაქვთ ქართული და სხვა კავკასიური ენები... ქართულის შესწავლით მე ვცან დიდი მნიშვნელობა ამ ენისა სომხურის ენის გამოკვლევისათვის და ვიდრე სომხურის ენის გრამატიკას გამოვცემდი, შევუდეგ, თვით ედ. დიულორიეს (განთქმული არმენოლოგია) რჩევით, ქართულის შესწავლასა იმ განზრახვით, რომ გამომეკვლია, — რა ეკუთვნის სომხურში ქართულს ენასა. უამისოდ

---

* გატტერიასი: ლინგვისტური ეტიუდი ქართულის ენის შესახებ 15 ივლისს, 1881 წ.

სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ საძირკველსა და მეთოდს**.

რაღა თქმა უნდა, არც ამას დაიჯერებს ჩვენი ავტორი, როგორც არ იჯერებს ლენორმანის ნათქვამს. ეგ მისი ნებაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თვითნებობა და ჭირვეულობა. ეს რომ დაიჯეროს, ქართული ენა ხომ ცოტად მაინც პატივში ჩავარდება, და ეს, როგორც ვნახავთ, ავტორის ანგარიშში არ შედის. ავტორს ჰსურს, ქართული ენა არიულის, სემიტურის და თურანულის ნაბიჭვრად გაჰხადოს ჩამომავლობით და ღირსებით ხომ თითქმის მიწასთან გაასწოროს, როგორც ყველაფერი, რასაც კი ქართული სახელი ჰქვიან. ეს მოსწონთ-ღა ბულვარის აკადემიის წვრილფეხობას, და ჩვენის ავტორის მსგავს კაცისათვის დიდი გულადობა და უნარი იქნებოდა ამ წვრილფეხობის ტაშს ყური არ ათხოვოს და არ წაეცდენინოს.

ავტორმა სხვა არა გვაუწყა რა შესახებ ქართულის ენის ფილოლოგიისა. ის არის და ის, რაც ზემოთ მოვიყვანეთ. ახლა ხომ გაარჩია მითამ ფილოლოგიური აგებულება ჩვენის ენისა და გამოარკვია მისი გვარეულობა, მას მერმედ შეუდგა მის ისტორიის მოთხრობასაც. ეგ ენაო ფლექსიური ენაოო, — გვეუბნება ამ ახალს ამბავს ჩვენი ახალი ისტორიკოსი — და ეხლანდელი ქართულიო ისე ცოტად განსხვავებულია ძველქართულისაგან, რომ შუა საუკუნეთა თხზულებას დღევანდელი ქართველი ადვილად ჰკითხულობს და ადვილადაც ესმისო. ეს გარემოება გვაჩვენებს, რა ცოტად წარუმატნია, რა ცოტად განვითარებულა ქართული ენაო. დიახ, ეგრე გახლავთ:

** ივივე გატტერიასი: სომხეთი (არმენია) და სომხები, 1882 წ. ეს გატტერიას აზრი ჩართული აქვს ბ-ნს ბაქრაძეს თავის ახალ ისტორიაში და იქიდამ ჩვენ სიტყვა-სიტყვით ამოვწერეთ.

იტალიელნი დანტეს (+1321 წ.), ტორკვატო ტასსოს (+1595 წ.) დღეს ადვილად ჰკითხულობენ და ადვილად იგებენ წაკითხულსა და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მას აქეთ იტალიური ენა ძალიან ცოტად წინ წასულა და განვითარებულა!

იმას ხომ არა ჰკმარობს, რომ ეს საბუთი არ არის ენის წარუმატებლობისა და განუვითარებლობისა, იმასაც იძახის, — აქედამ ცხადად ვხედავთო ქართულის ენის შეგვიანებას წარმატების გზაზედაო. აქედამ უნდა ვიგულვოთო, რომ ისტორიის წინად-დროს სვლა ქართულის ენის წარმატებისა უფრო მძიმედ მიდიოდაო. ვინ იცის, რამდენი დაუსრულებელად დიდი დრო გავიდა, ვიდრე ქართული საფლექსიო ხანამდე მოაღწევდაო, სად, როდის და რა გარემოებით მოხდა ეს ამბავი, არავინ იცისო, მაშინ როდესაც მხოლოდ ისტორიას ენისას შეეძლო დაეხატა ჩვენთვის სრული სურათი ქართველების ავკარგიანობისა ისტორიის წინად-დროსაო. ამით ათავებს ავტორი ჩვენის ენის ისტორიას და ეს ისტორიაა, თუ არა, თქვენვე გამოიცანით. ეს ისეთი ისტორიაა ენისა, როგორც ასტრონომიაა — კაცმა სთქვას: დღისით სინათლეა და ღამით ბნელიაო. აქ ის ღირსება მაინც არის, რომ ყურებდასაცმელი ტყუილი ცოტაა.

რაც აქ დააკლო ავტორმა, ის იქ შეასრულა, როცა ჩვენს მწიგნობრობაზე გადადის. არავინ იცისო, ამბობს ავტორი, როდის შემოიღეს ხუცური ანბანიო. სომხებს რომ დაუჯეროთ, — ქართული ხუცური ანბანი იმ მესროფმა შემოიღო, რომელმაც სომხური ანბანი შეადგინაო. სჯერა თითქმის ჩვენს ავტორს ეს ამბავი და უმატებს, არა გვგონია ქრისტიანობამდე ქართველებს ანბანი ჰქონოდეთო. მართალია, ქართული მატიანე და იმის ამყოლი ბარათაშვილი და სხვა ისტორიკოსები ამტკიცებენ, ვითომც ქართული მხედრული ანბანი შემოღებული არის III საუკუნეში, ფარნავაზის დროსაო, მაგრამაო:

,,Это утверждение не только идет в разрез с общим законом развития народов, но и со всем ходом развития Грузии“ (Сев. Вест. №3, გვ. 49.).

ეხლავ დაინახავთ – რა კარგად სცოდნია ჩვენს ავტორს ეს ,,общие законы развития народов”. ჯერ თითონ ავტორსა ვკითხოთ: რას ჰნიშნავს ეს მისი разрез-ი с общими законами развития народов. აი რასაო:

,,Грузинская гражданская азбука мхедрули звуковая, между тем, древнейший в мире памятник звукового азбучного письма (надпись на гробе царя Ашманацора, найденная близ Сидона) относится, как известно, лишь ко II в. до Р. Х., а следовательно, в III в. до Р. Х, грузины не могли знать звукового азбучного письма (Сев. Вестник, №3, გვ. 49.)“

ანუ, მოკლედ ვსთქვათ, ქართველებს საიდამ ექნებოდათ ხმოვანი ანბანი, როცა ქრისტეს წინათ მეორე საუკუნემდე ქვეყანაზედ არავისა ჰქონიაო. მთელმა ქვეყანამ იცის, ჩვენის ავტორის მეტმა, რომ ხმოვანი ასოები ჯერ კიდევ ეგვიპტელთა ჰქონდათ, ამათგან გადავიდა ფინიკიაში და ფინიკიელებმა შეადგინეს მას მერმეთ სრული ხმოვანი ანბანი და მთელს ქვეყანას მოჰფინეს. ყველანი, ვისაც კი ამ საქმისა გაუგია რამ, ამბობენ, რომ ხმოვანი ანბანი ათასს წელიწადზე უფრო ადრე ქრისტეს წინათ შემოღებულიაო. ზოგი ორი ათასს წელიწადზედ მეტსაც ჰფიქრობს ქრისტეს წინათ* და ათასზედ ნაკლებ კი არავინ. შორს რათ მივდივართ, თითონ იმ აშნამაცორის საფლავზედ ზედწარწერილი, რომელსაც ჩვენი ავტორი ზემოთ იხსენიებს, მეორე საუკუნეს კი არა, მეთერთმეტე საუკუნეს ეკუთვნის ქრისტეს წინათ. ეს ამბავი ჩვენს

---

* ტრაჩევსკი, ძველი ისტორია, გვ. 18.

ავტორს ამოუწერია კორშის თხზულებიდამ, მაგრამ თავისის „одним штрихом“ ვერ გაუგია სიტყვები კორშისა, რომელსაც ხშირად იმოწმებს ხოლმე ჩვენი ავტორი თავის წერილებში. აი კორში რას ამბობს:

„Древнейший из сохранившихся памятников азбучного письма относится к одинадцатому веку до христианской эры… Это надпиь на гробе царя Ашманацора, найденная близ Финикийского Сидона“ (Всеоб. ист. лит., т. I, стр. 81.)

ეხლა კიდევ ჩვენ ვეტყვით ავტორს მისსავე სიტყვებს, რომელიც ჩვენზედ იმან სთქვა Новое Обозрение-ს № 1847:

„... Увы, знать заглавие книги и уметь пользоваться ею – далеко не одно и тоже“.

კაცს ვერ გაურჩევია თერთმეტი (ასოებით დაწერილი და არა ციფრებით) ორისაგან და სხვას კი ასე გაბედულად უსაყვედურებს. ვსთქვათ, არ იცოდა ავტორმა, რომ ხმოვანი ანბანი მეორე საუკუნის ამბავი არ არის და ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს ქრისტეს წინათ, ვსთქვათ – მისი უნარი „постичь историю и обнять ее одним штрихом“ იქამდე „დარდაკია“, რომ ზემო-მოყვანილი კორშის სიტყვებიც ვერ გაუგია, – ის კრიტიკული ნიჭი სადღა დაემალა, რომ ეფიქრა, – ამ ჰეროდოტეს რომ ვახსენებ ჩემს წერილებში, რა ანბანითა სწერდაო. ხმოვანი ანბანი მეორე საუკუნეს ქრ. წინათ შემოიღესო. მაშ, ჰეროდოტე, რომელიც 484 წელს იყო ქრისტეს წინად, ფუკიდიდი (474 წ. ქრ. წინად), სოფოკლე (490 წ. ქრისტეს წინად), პინდარი (520 წ. ქრ. წინად) ჰიეროგლიფებითა, იდეოგრამებითა და ლურსმულითა სწერდნენ?! სხვას ნუღარავის დავასახელებთ, ესეც ეყოფა ჩვენს ავტორს ძილადაც და სიზმრადაც.

ეს გახლავთ მისი в разрез с общими законами развития народов.

კიდევ ვიტყვით: დალოცვილს, ესე კარგად სად უსწავლია ეს общие законы развития народов. აკი მოგახსენეთ, რაც ზევით დააკლო ავტორმა, აქ შეგვისრულებს მეთქი. ამისთანა უებრო ტყუილისათვის უპრიანიც იყო, ცოტა შეესვენა.

წერილი მერვე

ჩვენ, რასაკვირველია, სახეში არა გვქონია და არცა გვაქვს ან ჰო ვსთქვათ და ან არა მასზედ, თუ — როდის და ვისგან იყო შემოღებული ქართული ხმოვანი (ფონეტური) ანბანი და ან რომელი ადრეა შემოღებული — ხუცური თუ მხედრული. ეს ჩვენზედ უკეთესად მცოდნეს დავანებოთ. ჩვენ მივყვეთ ისევ მტყუანს ტყუილის კარამდინ.

საქმე ის არის, — ჩვენს ავტორს „Письма о Грузии“-სას გაუგონია, ალია მომკვდარაო და არ იცის კი, რომელი ალია. ალალბედად ყური სადღაც მოუკრავს, რომ ეხლანდელს დროში ერთადერთი სახსარი, ერთადერთი გზა გამოძიებისა და მართლის კვლევისა კრიტიკაა და ვერ დაუსწავლია, ვერ შეუთვისებია კი, ეს კრიტიკა რა ხილია. ამ ბატონს ჰგონია, ვითომც კრიტიკა მარტო აშას კვრაა ანუ სალდათური „ატკაზი“. ბალღური, ანუ უკეთ ვსთქვათ, ქუჩური კრიტიკა ხომ იმაში მდგომარეობს, რომ წუნი დასდო იმასაც კი, რაც დასაწუნი არ არის და საცა „ჰოა“ სათქმელი, იქაც „არა“ სთქვა და ამისათვის თუნდ ლოღიკა გაიწიროს, თუნდ ჭეშმარიტება გაითელოს, თუნდ მართლმსაჯულობა გაილახოს, ბევრს არაფერს დაგიდევს. ეს არის იგი ქუჩური კრიტიკა, რომელსაც დღეს ჩვენში დიდძალი ტაშის მკვრელი ჰყავს ჩვენს ბულვარზედ. ხოლო არის სხვა კრიტიკა, რომელსაც მეცნიერული კრიტიკა ჰქვიან. იგი „ჰოს“ სათქმელსაც და „არას“ სათქმელსაც ერთნაირის სიფრთხილით, ერთნაირის აწონ-დაწონვით ეპყრობა. იგი იმითია ღირსეული,

რომ „ჰოს“ საბუთსაც ისეთისავე გულმოდგინებით იძიებს, როგორც „არას“ საბუთსა, რადგანაც სახეში მარტო მართალი აქვს და სხვა არარა. ამისთანა კრიტიკა მართლმოყვარე გამომძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი: თუნდ რომ „ჰოს“ გზით შეუდგეს თავის საქმეს, თუნდ „არას“ გზით, ორმავე გზამ მართალთან უნდა მიიყვანოს. ამიტომაც კრიტიკა ერთს გზასაცა ჰხმარობს და მეორესაც, იმისდა მიხედვით, თუ — რა საქმეში რომელი უფრო უტყუარად და ადვილად აპოვ-ნინებს მართალს.

როგორც ეტყობა, ამ უკანასკნელის მხრით ჩვენი ავტორი არ იცნობს კრიტიკასა და ამიტომაც თითქო უფიქრნია, თუ ყველაფერზედ აშა არა ვკარ, ყველაფერს წუნი არ დავსდე, კარგიც ცუდად არ ვაქციე, ტყუილს „არას“ მართალი „ჰო“ არ გავაბათილებინე, ან ტყუილს “ჰოს“ — მართალი „არა“, კრიტიკოსად არვინ ჩამთვლისო. სხვა გზით არ აიხსნება იგი უცნაური ქცევა ავტორისა, რომლის გამო იძულებულ ვართ ეხლა საუბარი ჩამოვაგდოთ.

ჩვენს ავტორს თითქო გულში ეკლად სცემია, რომ უსლარმა — ამ ყველასაგან ცნობილმა და პატივცემულმა მეცნიერმა — ჩვენი ქართული ანბანი მოიწონა და სთქვა, ამისთანა სრული და სავსე ანბანი არავისა აქვს ქვეყანაზედაო. თითონ ჩვენს ავტორს მოჰყავს ეს აზრი უსლარისა.*

აბა, ბალღური კრიტიკა როგორ შეიშვნევდა ამ ქებას, რაღა კრიტიკაა, თუ აქებ, თუნდ მართლა საქებურიც რამ იყოს!.. როგორ თუ გაჰბედა ვინმემ და ქართველს რამ უქოვო, — თითქო ატკეცილა ამაზედ ავტორი, მოსულა გულზედ და გვეუბნება, — აბა, სწორედ ეგ ანბანის სავ-სეობა და სისრულე

---

* Сев. Вест., №3, გვ. 50.

ამტკიცებსო, რომ ქართულს ენას მაგდენი არა წარუ-მატნია რა და არ განვითარებულაო.

თუ ენის წარმატებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მეტნაკლებობაზედ, — რა თქმა უნდა — სავსეობა და სისრულე ანბანისა უეჭველი ნიშანი უნდა იყოს ენის წარმატებისა და განვითარებისა. თუმცა ესეთი დამოკიდე-ბულება ყინულზე დაწერილი თამასუქია ჩვენის ავტორისა, მაგრამ ცოტას ხანს დავუჯეროთ ეს ამბავი და ერთი ვნახოთ, ჩვენს საქე-ბურ ანბანისაგან რა უცნაურს საწუნარს გამოატყ-ვრენს. მართალიაო, ამბობს ჩვენი ავტორი, უსლარი უქებს ქართულს ანბანს სისრულესა და სავსეობასა, მაგრამაო:

,,Это обстоятельство еще более подтверждает (?) наше мнение (!!!), высказанное в предыдущих письмах относительно заметно выраженной медленности развития грузинского языка. Если бы он развивался полнее и быстрее, в нем непременно (?!) появились-бы, как это мы видим в других языках, некоторые новые особенности, хотя-бы, напр. сложные гласные“ (Сев. Вест., №3, გვ. 50).

ამასა ჰქვიან გამგელებული მადა ბალღური კრიტიკისა. ჩვენს ავტორს არა სცოდნია, რომ ყველა ენას თავისი საკუთარი ანბანი იმიტომა აქვს, რომ თავისი სიტყვები წერით გამოათქმევინოს ასოებს. ვინ არ იცის, ჩვენის ავტორის მეტმა, რომ ანბანი საზოგადოდ მარტო იმ ხმების კრებულია, რომელთაც ენა საჭიროებს თავის სიტყვების გამოსათქმელად და რომელნიც აღინიშნებიან, გამოიხა-ტებიან ასოებით. ანბანი წარმომადგენელია მარტო იმ ხმე-ბისა, რომელნიც ენაში არსებობენ. ანბანის ავკარგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენის სავსეობითა და სისრულით ჰშველის ენას — მისი სიტყვები განგებ შემოღებულ ნიშნებით, ესე იგი ასოებით, გამოსთქვას წერითა.

უსლარს, რასაკვირველია, ჩვენს ავტორზედ უკეთ სცოდნია ეს ერთადერთი ღირსება ანბანისა და ამიტომაც რაკი ჩაჰკვირვებია ჩვენს ანბანს, დაუნახავს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა ასო, რომ რა ხმის ნიშანიც არის, ის არ გამოითქმებოდეს; არ არის ქართულში არც ერთი იმის-თანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით, უმეტ-ნაკლეობით გამოსათქმელად შესაფერი ასო არა ჰქონდესო. ამიტომაც მართლწერა ქართულისა ისე გაადვილებულია, ისე განმარ-ტივებული, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზედ არ მეგულებაო. სავსეობა და სისრულე ანბანისაც ამაშია და სხვა არარაში. სხვა რაღა უნდა მოეთხოვებოდეს ენას, ანუ ენის პატრონს ერს, როცა თავის სიტყვების დასა-წერად თავის ანბანსა ჰქმნის?

არაო, — გვეუბნება ჩვენი ავგუნებიანი ავტორი, — რატომ „რთული ხმოვანი“ ასოები არა გაქვთო. გაგონილა! თუ ენას არ ესაჭიროება, რად უნდა ტყუილუბრალოდ ის რაღაც „რთული ხმოვანებია“! სხვა ენის სიტყვების დასაწერად და გამოსათქმელად თუ? თუ ესეა, ეს რა თავში საცემია ქართულის ენი-სათვის, რომელსაც იმდენი და ისეთი ხმოვანი ასოები აქვს ანბანში, რამდენიც და როგორიც საჭიროა მისთ-ვის. თუნდ ესეც არ იყოს, რა საბუთია ენის წარ-მატებულობისა და განვითარებისა რთული ხმოვანები? ან რა არის ეგ რთული ხმოვანები? ამისთანა ტერმინი ჩვენ არსად შეგვხვედრია. მეცნიერებაში ჰხმარობენ ამისათვის სულ სხვა ტერმინს, სახელდობრ, ორკეცი, ანუ ორმარცვლოვანი (Двусложные) ხმოვანიო. თუ ორკეცი, ორმარცვლოვანი ხმოვანი ნიშანია ენის წარ-მატებულობისა და განვითარებულობისა, მაშ ეს-ტონური ენა ძალიან განვითარებული და წარმატე-ბული უნდა იყოს, რადგან ცხრა ხმოვან ასოთა შო-

რის ბევრი ორკეცი ხმოვანიცა აქვს*. ამაზედ უფრო უკეთესს მაგალითს წარ-მოგვიდგენს ჰოტენტოტების ენა, რომელსაც თორმეტი ორ-კეცი ხმოვანი აქვს**. მაშ, ჩვენის ავტორის თეორიით, ჰოტენტოტების ენა დიდად წარმატებული და განვითარებული ენა უნდა იყოს, რადგანაც იმოდენა ორკეც ხმოვანს არა ევრო-პიული ენა ვერ წარმოგვიდგენს. თუნდ ეგეც არ იყოს, არის ბევრი იმისთანა ენა, რომელსაც ძველად ორკეცი ხმოვანები ჰქონია და, რაოდენადაც წარმატე-ბაში შესულა, იმოდენად ცდილა ორკეცი ხმოვანი ერთხმოვანად გადაექცია. მაგალითებრ კლასიკური ლათინური ენა, რომელიც ყოველთ უწინარეს იმითი განესხვავება ძველს ლათინურს, რომ ორკეცი ხმოვანები ერთხმოვანებად გადაიქცია: თითქმის ყველა ორკეცი ხმოვანი, „აუ"-ს გარდა, ერთს გრძელ ხმოვანებად შეიცვალა**. ჩვენის ავტორის ტყუილი თეორია რომ დავიჯერეთ, გამოვა, — ვითომც კლასი-კური ლათინური ნაკლებ წარმატებული და განვი-თარებული იყოს ძველს ლათინურზე, რადგანაც ის ორკეცი ხმოვანებიც გაიუქმა, რაც ძველს ენაში იყო, და არამც თუ მოიმატა რამ ახალი.

გაგონილა!.. გაგონილა ასეთი ლაგამწამოყრილი ლაპარაკი სამეცნიერო საგნებზედ!.. საკვირველია, საიდამ იგონებს ამისთანა უცნაურს საბუთებს ეს მართლა უცნაური და რაღაც ჯადოთი შელოცვილი ავტორი. აქ რა არის, თუ არ ბალღური დაჟინება, რომ კრიტიკა მარტო მაშინ არის კრიტიკა, როცა სწუნობ რასმე, თუნდ საწუნარიც არ იყოს. ან რაზედ შეჰშურდა, რომ საწყალ ქართველებს ეს ერთი რამ მაინც უქეს ევროპიელებმა და ეს ერთადერთი მადლი

---

* ოველაკ, ლინგვისტიკა, გვ. 93.
** ოველაკ, ლინგვისტიკა, გვ. 48.

მატლად რაზედ გადაგვიქცია! ასე იცის განგებ აკვიატებულმა აზრმა, უვიცობაზედ შემჯდარმა: გინდა თუ არა, ჰსურს გადალახოს ყოველივე ქართული და ამისათვის კარგსაც ცხვირში ძმრად გვადენის, მერე ისე, რომ ტყუილს ყველგან კუდი გარედგან ჰრჩება. ესეც კია: ჩვენი მართლადა მოსაწონი ანბანი რომ ექო, რას ეტყოდა ავტორს ჩვენი აკადემია ბულვარისა, — ეგ რაღა „отрицание“ და კრიტიკააო, თუკი ქება და მოწონება წამოგცდებოდაო.

ეხლა დროა ვიკითხოთ, — რა დამოკიდებულება აქვს ენის წარმატებას ანბანის მეტნაკლებობაზედ. სლავიანური ენა კირილესა და მეთოდეს დროს განა უფრო განვითა-რებული იყო და წარმატებული, რომ მაშინაც ჰქონდა „რთული ხმოვანები“, როგორც მაგალითებრ, — „я“, „ю“, რომელთაც ჩვენ „რთულს“ ვეძახით, ანუ უკეთ ვსთქვათ, ორხმოვანებს, რადგანაც სხვა ხმის მოუშველებლად ვერ გამოითქმებიან. ინგლისური ანბანი დღესაც სხვა ანბანზედ უფრო ნაკლულია, უფრო უკან ჩამორჩომილი. ინგლისელნი ერთსა სწერენ და სულ სხვას ამოიკითხვენ ხოლმე. იქ სიტყვა წერით ერთია, წაკითხვით სხვა და ხშირად ისეც არის, რომ სამი სხვადასხვანაირად დაწერილი და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა ერთნაირად გამოითქმის, ასე რომ მნიშვნელობას მაშინ გაიგებთ, როცა დაწერილსა ჰნახავთ. მაგალითებრ, write=წერა, right=უფლება (право), rite=წესი (обряд). ამ სამსავე სიტყვას ერთნაირად ჰკითხუ-ლობენ ინგლისელნი და გამოითქმის როგორც „რაიტ“, სხვადასხვანაირად კი იწერება და სხვადასხვა მნიშვნე-ლობისაა. ტეილორი ამ ამბავს დიდ ნაკლად უთვლის ინგლისურს ანბანს, მაგრამ განა ამითი ითქმის, რომ ინგლისური ენა განუვითარებელია? ჩვენ მოვიყვანეთ ორი მაგალითი, რომ ანბანის მეტნაკლებობა არაფრად შეეხება ენის წარმატებას არც მაშინ, როცა „რთული” ხმოვანებია

ანბანში, არც მაშინ, როცა ანბანი ნაკლულია. მაშასადამე, ენის წარმატებასთან ანბანის მეტნაკლებობას არავითარი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს. ესე რომ არ იყოს, მაშ როცა ჰოტენტოტები იქამდე წარიმატებენ, რომ თავის ანბანს იქონიებენ და იმ ანბანში თორმეტს ორკეცს, ანუ ორმარცვლოვანს ხმოვანს ჩამოარიგებენ, მათი ენა ერთბამად წარმატებული და განვითარებული გამოვა ქვეყნის მოედან-ზედ. ჰოტენტოტების ანბანის შექმნა ხომ დღესაც შესაძ-ლებელია, ნამეტნავად თუ ევროპიელებმა მოიწადინეს. მაშ ჰოტენტოტების ენა შესაძლოა დღესვე მეტად წარმატებულ ენათა შორის ჩაითვალოს, თუ ჩვენის ავტორის ტყუილმა თეორიამ იპრიანა. აკი ვამბობთ, აშკარაა, რომ ენის წარმატებასთან ანბანის მეტნაკლებობას არავითარი კავშირი არა აქვს. თუ ესეა, მაშ ავტორის ნათქვამი ჩვენის ანბანის სისრულის გამო: ,,это обстоятельство еще более подтверждает наше мнение“ ასე უნდა შეიცვალოს: ,,это обстоятельство всего менее подтверждает “... და სხვანი.

ან რა აუხირნია და ყურებს გვიჭედავს იმითი, რომ ქართული ენა მძიმედ, დაგვიანებით ვიდოდა წარმატების გზაზედაო. ან რადა ჰგონია, რომ არის ქვეყანაზედ რომელიმე ენა, რომ ჭენებით ევლოს. ყველასაგან ცნობილია, რომ ბევრი ათიათასი წელიწადი გავიდა, ვიდრე ადამიანი ენას შეჰქმნიდა სამეტყველოდ. ეს შემოქმედობითი ძალი მეტყველებისა უფრო ნაკლებად სწარმოებს მას შემდეგ, რაკი ისტორიულ ხანამდე მოაღწია ადამიანმა. ტეილორი ამბობს, რომ ამას შემდეგ ამ ძალმა ახალი თითქმის აღარა შესძინა რა ენასაო. ამისი მიზეზი ის არისო, რომ ადამიანის საჭიროებას ჰყოფნიდა იგი სიტყვები, რაც მამა-პაპათაგან ესწავლათო და, თუ ახალი აზრი რამ გამოეხატებოდა გონებაში, ესევ ძველს სიტყვებს გადააკეთებდა ხოლმე

ასე თუ ისე ამ ახალის გამოსამეტყველადაო. თუ ესე იყო მაშინ, როცა ენა ნაკლებ მდიდარი იყო სიტყვებით, უფრო ასე უნდა იყოს ეხლა, როცა უკვე ამ მხრით გამდიდრებულია.

ვგონებთ, თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჯერ არდადუღებული, არდასრულებული, არდამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარება. ბავში უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაჟკაცებული ადამიანი, ხოლო იგი ენები, რომელთაც უკვე მიუღწევიათ იქამდე, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა, უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდნენ ცვლილებას, ესე იგი ახლის რისიმე შემოსევას, რადგანაც ლიტერატურა, მწიგნობრობა, ანუ, როგორც ტეილორი ამბობს, სკოლის მასწავლებელი და სტამბა ძლიერ ინახვენ სიტყვებს და ერთხელ და ერთხელ დადგენილ ფორმებს. ველურთა ენა უფრო უღონო უნდა იყოს ამ შემთხვევაში. იგი უფრო ადვილად მოძრავია, რადგანაც ყოველ ცალკე თაობის ხელთ არის. მას მარტო საყოველდღეო ლაპარაკი ინახავს და მარტო იგი შერჩება ხოლმე, რაც განუწყვეტლივ ხმარებაშია*. ამისთანა ყოფაში ენა მარტო ყურის ანაბარად არის დაგდებული. ხან ვერც მთქმელი იტყვის სიტყვას რიგიანად, ხან ვერც მსმენელი დაიხსომებს გაგონილს უცვლელად და ამიტომაც სიტყვა გადიცვლება ხოლმე ზოგჯერ იმდენადაც, რომ ვერც-კი აღადგენს კაცი მის პირველყოფილ სახეს. ეს მიზეზია, რომ მდაბიო ხალხი, ესე იგი უწიგნო, რომელიც სიტყვებს მარტო ყურით ჰტყობულობს და ყურით იხსომებს, ხშირად გადასცვლის ხოლმე სიტყვას და აფუჭებს.

---

* კარიერი.

მაგალითებრ: Квартира=хватера=фатера, свобода=слабода, жизнь=жисть, ბედნიერი=ბედრიანი, მეფე=ნეფე, ნიშანი=ლიშანი და სხვანი.

მინამ ლიტერატურა, მწიგნობრობა, გაძლიერებული და მოფენილი არ არის, ენის ცვლილებას კიდევ გზა აქვს, დიდი თუ პატარა, მერე კი მუხლი თანდათან ეხუთება და სვლა უმძიმდება და ამიტომაც ადვილად დასაჯერებელია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში ერთხელ დადგენილი სიტყვები და ფორმები უფრო გამძლეობენ, უფრო უცვლელობას ექვემდებარებიან, ვიდრე ცვლილებასა. თუ ესეა, მაშინ ავტორის სიტყვები, რომ თუ ქართულს ენას სრული და სწრაფი წარმატება ჰქონებოდა, ახალს განსაკუთრებულს რასმე თვისებას შეიძენდაო, არას გზით ჭკვაში მოსასვლელი არ არის და უგულო ნაჭუჭია. აკი წინად მოვიყვანეთ აზრი ტეილორისა, რომ ეხლა ენები საზოგადოდ იმ მდგომარეობაში არიან, რომ შემოქმედებითს ძალს ადამიანისას ძალიან ცოტაღა შეუძლიან ახალის რისამე გაჩენისათვის. ან რა არის ის ახალი განსაკუთრებული თვისება, რომლის არშემოღებას წუნადა სდებს ჩვენს ენასა ჩვენი ახირებული ავტორი? თუნდა ორმარცვლოვანი ხმოვანებიო, გვეუბნება ავტორი. ჩვენა ვნახეთ, რომ ორმარცვლოვან ხმოვანების ქონა არამც თუ ენის წარმატებულობას მოასწავებს, არამედ რაღაც ლინგვისტურს ბურანს, რომელიც ჩვენს ავტორს თავს დასხმია.

ახალისა არ ვიცით და რომ ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნატრებენ, — ამას ეჭვი არ უნდა. ჩვენ მოვიყვანთ ორიოდე ამის მაგალითს, მით უფრო, რომ ეხლა სიტყვამ მოიტანა და — ვინ იცის — მერე შეგვხვდებაღა დრო ამის თქმისა, თუ არა.

შრადერი ამბობს, რომ ინდო-გერმანული ენები ყველაფერში არ წარმოადგენენ იდეალს სისრულისასაო. მე მოვიყვანო ერთს დიდად საყურადღებო მაგალითს, რომელიც დაგვანახვებს, რომ ინდო-გერმანული ფორმა მეტყველებისა სხვაზედ უარესია და ნაკლულოვანიო. რა მაგალითია ის მაგალითი, რომელიც ასე უსრულადა ჰქმნის ინდო-გერმანულს ენებს და თავის წარმატებულობით სჯობნის? გული გაუსკდება ჩვენს ავტორს, როცა ამის პასუხს ვეტყვით. აი რა: ინდო-გერმანულს ენებს მრავლობითის რიცხვის აღსანიშნავად აქვთ ბრუნვა განსხვავებული მხოლოობითის ბრუნვისაგანაო, მაშინ — როდესაც ლოღიკა ითხოვს მრავლობითსა და მხოლოობითს ერთი და იგივე დაბოლოვება ჰქონდესო. არიანო ამ მხრით უფრო სრული ენები, რომელთაც მრავლობითის მაჩვენებელ სუფიქსს ჩაერთვის ხოლმე მხოლოობითის დაბოლოება დასაბრუნებლად. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი ენაც ამ შრადერისაგან მოწონებულ ენათა შორის მოქცეულია. ერთგვარს მრავლობითს ჩვენს ენაში აქვს სუფიქსად „ები“ და ამ სუფიქსით ჩვენი მრავლობითი ისე იბრუნება, როგორც მხოლოობითი, მაგალითებრ: კაც-ები, კაც-ებისა, კაც-ებსა, კაც-ებმა, კაც-ებითა და სხვანი. ამ სახით, ჩვენს ენაში სუფიქსი სიტყვასა და ფლექსიას შუა მოექცევა ხოლმე, შრადერის სიტყვისამებრ, და იბრუნება როგორც მხოლოობითი. ეს ენის ღირსებად მიაჩნია შრადერს*.

მეორე განსაკუთრებული თვისება ჩვენის ენისა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ენის წარმატებულობის მომასწავებელია, ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლადა გასაკვირველი ფორმები. ამ მრავალგვარ

---

* შრადერი, შედარებითი ენათა-ცოდნა, გვ. 172.

ფორმების წყალობით, მარტო ერთის ზმნით, სხვა სიტყვის ნაწილების დაუხმარებლად გამოითქმის პიროვნებაც მომქმედისა, მიმართულებაც მოქმედებისა, სხმით-გარდასხმითობაც, მაგალითებრ, ,,ვაკეთებინებ“, და ბევრი სხვა გარემოება მოქმედებისა თუ მდგომარეობისა. არა გვგონია, სხვა ბევრმა ენამ გამოსთქვას ერთის ზმნით, სხვა სიტყვის დაუხმარებლად თუნდ, მაგალითებრ, ეს ქართული: ,,წავაღებინებ, წამოვაღებინებ, გადააზომინა, გადმოაზომინა“ და მებრვე სხვა. რომ ჩვენმა ავტორმა ესეთი სამარჯვო მიხვრა-მოხვრა ჩვენის ზმნებისა წუნად არ დასდოს ჩვენს ენას, როგორც სისრულე ანბანის ენის წარუმატებულობის საბუთად გაგვიხადა, ჩვენ ვიმოწმებთ იმისთანა ავტორიტეტებს, რომელნიც, თუ ჩვენის ავტორის თანასწორნი არ არიან, ბევრში არ ჩამოუვარდებიან. აი რას ამბობს კარიერი:

,,Большим шагом и новою ступенью словоразвития было… то, что человек начал различать предметы от их действия и страдания… Глагол знаменует деятелъность вещей, которою они собственно и производят на нас впечатление… Но чтобы речь была образом настоящего мира (который состоит в движении и взаимодействии вещей), действие и страдание должны выражаться в ней движением“.

თითონ დიდი სახელოვანი ჰუმბოლტიც ზმნების თაობაზედ ამ აზრისაა. იგი ამბობს:

,,Все остальние части речи представляют как бы мертвый, ждуший живой связи материал, один глагол – средоточие жизни, всюду ее разливающее. Мысль, если можно так чувственно выразиться, покидает, благодаря глаголу, внутреннее свое жилище и прямо переходит в действительность“.

ამის შემდეგ აღარაფერი განმარტება უნდა იმას, თუ რა დიდი ღირსება უნდა იყოს ენისა, როცა მრავალფერობა ზმნების ფორმებისა შესაძლოდა ჰხდის მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას

ბევრგვარი გარემოება გამოუთქვამს სხვა სიტყვების დაუხმარებლად. არ ვიცით, სხვა რას იტყვის და ჩვენ კი გვჯერა, რომ მრავალფერად მიმოხვრა და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც გული და სულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას. თუ, კარიერისა და ჰუმბოლტისა არ იყოს, მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის, მაშ, ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედ, იმიტომ რომ ქართული უფრო ზმნებით ლაკარაკობს, ზმნებით ჰმეტყველობს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით. მაგალითად, მოვიყვანთ რუსთაველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას წარმოგვიდგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ ამ დედაძარღვს ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნა.

ერთს მართლადა განსაკუთრებულს თვისებას ჩვენის ენისას კიდევ მოვიხსენებთ, სხვათა შორის, და მით გავათავებთ. ეს განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი-არსებითი არ იბრუნებოდეს, თუნდ ზმნისზედა აიღეთ, თუნდ თანდებული, თუნდ ზედშესრული, თუნდ ნაცვალსახელი და თუნდ თითონ ზმნაც, როცა უღვლილების ფორმაშია. მაგალითებრ, „შენის ხვალი-სა (ზმნისზედა) მე არა ვიცი რა, ან შენმა გუშინ-მა (ზმნისზედა) ყური გამომიჭედა; შენის შინა-თი (თანდებული) თავი მობეზრებული მაქვს, ან შენს შინა-ს ვინ გაუძლოს; ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდა-ს (ზმნა); შენს მე-ს (ნაცვალსახელი) მე ვერსად წაუველ; შენმა ახ-მა და უხ-მა (შორისდებული) ჩემს ვაი-სა და ვიშ-სა აჯობა“ და სხვანი.

ეს კიდევ არაფერი. ჩვენს ენას არ ეხამუშება, არ ეუცხოება თუნდ მთელი ფრაზა დააბრუნოს, როგორც ცალკე სიტყვა. მაგალითებრ, „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი-ს მაგიერ რუსთაველი უკეთესს ვერსა იტყოდა“; ან „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია-მ მთელს ქვეყანას მოჰფინა რუსთაველის სახელი“; ან „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია-ს არა შეედრება რა“. მართალია, იშვიათი შემთხვევაა, როცა კაცს დასჭირდება ამისთანაებში ესეთი ფორმა მოიშველიოს, მაგრამ, თუ მოიშველია, ჩვენის ენის წინააღმდეგი არ იქნება, მით უფრო, რომ თითონ ამრიგად მიმოხრილი აზრიც ადვილად გასაგებია. ჩვენ არა გვგონია, რომ ენას წარუმატებლობაში ჩამოერთვას, როცა სხვა სიტყვების ჩაუმატებლად და აუჭრელებლად, მარტო ერთის ფლექსიის შემწეობით, ამისთანა სახსარს იძლევა აზრის მიმოხვრისა და განცხადებისათვის.

ყოველს ამას ყური მოუყრუა ჩვენმა ავტორმა და ჩვენ, რასაკვირველია, ვერც დავემდურებით. განგებ აკვიატებულს აზრს ბევრი ბამბა აქვს ყურების დასაცობლად. ჩვენის ფიქრით კი, როცა კაცი ენის თვისებაზედ ჰლაპარაკობს, ამისთანაებს ყურს ვერ მოარიდებს, თუ განგებ თითით ყური არ დაიცო. სხვა რომ არა იყოს რა, თუ ყოველივე ეს საბუთი არ არის ენის წარმატებულობისა, ენის განსაკუთრებული თვისება ხომ არის. ამ მხრით მაინც მიექცია ჩვენს ავტორს თავისი ბედნიერი თვალი, თუ მართლა ქართულის ენის გამო რისამე თქმა სდომებია, თორემ ქართული ენა ფლექსიური ენააო, ესე იგი ბრუნვა და უღვლილება აქვსო, ეგ ხომ იმასა ჰგავს, რომ კაცმა სთქვას, კაცს ორი ფეხი აბიაო და ეგონოს, ახალს ამბავს ვამბობო. ან რის მაქნისია ავტორის ზღაპრები ორმარცვლოვან, თუ ორკეც ხმოვანების თაობაზედ? ვინ უნდა მოეტყუებინა ამით? ან რა სათქმელია, მაგალითებრ, რომ ვითომც „U“ რაღაც გრძელი

ხმოვანია, ორხმოვანთაგან წარმომავალი*. ეს ასო გრძელი ხმოვანი კი არა, სულაც ცალკე ხმოვანიც არ არის, რადგანაც სხვა ხმის მოუშველებლად ვერც კი იხმარება. ამიტომაც მაგ „U“-ს უიმისოდ თითქმის არსადა ვხედავთ, რომ გვერდთ არ მოისვას ან ხმოვანი „E“ ან „ა“. ეგ რაღაც ნახევარ-ხმაა, რომელიც ყურს ესმის, როგორც რამ საშუო ხმა „ვ“ და „U“-ის შორის. აბა, ეს რომ ვერ გაუგია და ამისთანა დაუხლართველი ამბავი ვერ გამოურკვევია, სხვა რაღა უნდა მოეკითხებოდეს ჩვენს ავტორს, რომელსაც რაღაც ჯადოობა სცოდნია, არამც თუ მოკლე გასჭიმოს და გააგრძელოს, როგორც „U“, არამედ არარაისგან რაიმეც შეჰქმნას, როგორც დღევანდელი ხაზარული ენა.

ერთგან ჩვენი ავტორი ამბობს, რომ მარტო ერთს ისტორიას ენისას შეეძლო აღედგინა ჩვენთა თვალთა წინ სრული სურათი ისტორიის წინად-დროინდელ ქართველებისაო*. დალოცვილს ის კი დავიწყებია, რომ თითონ ენაა იგი სარკე, გადმომცემელი ცოტად თუ ბევრად მაგნაირ სურათისა. ჩვენს ავტორს რომ მაგ სარკეში ჩახედვის და ნახვის უნარი რამ ჰქონოდა და ერთი ბეწვა გაგება, სხვა გზით დააკ-ვირდებოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გა-მოჰკითხავდა და არ შეაჩერდებოდა „U“-ის გაზან-დრის ადლით გაზომვას. განა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი

---

* Сев. Вест., №3, გვ. 50.

* Сев. Вест., №2, გვ. 59.

მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყლობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია. ტიგროსისა და ევფრატის დაღმა აღარ ვიტყვით, მარტო არმენია ავიღოთ, საცა წინად ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყლობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ კი არა მოჰყავს რა. ან სიტყვა „მოცვალება“, „მიცვალებული“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარარაებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან. ან ქალის „გათხოვება“, „მითხოება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ. ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა, თუ რომ ბრმა კაცი და, ჩვენს ავტორსავით, ყოვლად უვიცი არ შეხვდა, ან განგებ ყურებში ბამბის დამცმელი. ლებბოკმა ამისთანაებზე მთელი მოწმობა ააგო პირველყოფილ კულტურისა და ისტორიულ წინათდროინდელ წყვდიადისაგან სინათლეზედ გამოიტანა ზნე, ჩვეულება, საზოგადოებური თუ ოჯახებური წყობილება, გონიერების მეტნაკლებობა და ერთობ მსოფლხედველობა პირველყოფილ ადამიანისა.

კიდევ ვიტყვით, — ყოველ ამაებს ყური მოუყრუა ჩვენმა ავტორმა. ვინ იცის, იქნება იმიტომაც, რომ ეს ამისთანა ამბები, ცოტად თუ ბევრად, მოასწავებენ ერის თვითმოქმედების ძალღონეს, იმიტომ რომ სხვაზედ განსხვავებულის რისამე შექმნას — თვითმოქმედება და თვითმოქმედების უნარი უნდა, სულ ერთია ზნე-ჩვეულებას აიღებთ ამ შემთხვევაში, ოჯახე-

ბურ და საზოგადოებურ წყობილებას, სარწმუნოებას, ენას, თუ სხვას რასმე. ჩვენი ავტორი რომ ამ მხრით ჩაჰკვირვებოდა საქმეს საზოგადოდ და საკუთრივ ქართულს ენას, ვაი თუ ქართველების თვითმოქმედების საბუთს ზედ წასწყდომოდა და ეს ხომ ის იქნებოდა, რომ თაგვმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო. თვითმოქმედებით შექმნა რისამე — ქებაა. და ქართველის ქებას აბა პირიდამ როგორ ამოუშვებს ბულვარის კრიტიკოსი. კიდევ ვიტყვით, — ეგ რაღა კრიტიკა იქნება, რაღა „отрицание“!.. იქნება ყოველ ამან დაახუჭვინა თვალი ჩვენს ავტორს. საკვირველიც არ არის:

კარგი რამ სჭირდეს, გვიკვირდეს,
ავი რა საკვირველია.

წერილი მეცხრე

ჩვენ ვშიშობთ, რომ რაც წინა წერილში ვთქვით ქართულის ენის შესახებ, ის იმაში არ ჩამოგვართვან, ვითომც ჩვენ ჩვენის ენის ნაკლულევანების დანახვა არ გვინდოდეს და სრული გვეგონოს. ჩვენი ენა, მართალია, წარუმატებელია, ჩვენის ფიქრით, და განუვითარებელი, ხოლო იმ მხრით კი, რომ ჯერ მომზადებული არ არის დღევანდელს აზრს კაცობრიობისას საზოგადოდ და თუნდ ჩვენებურ ინტელიგენციისასაც აღებ-მიცემობა გაუწიოს გაუჭირებლად და საკმაო განცხადებით. დღეს ჩვენი ენა იმ ხანაშია, რომ ამ მხრით შეიძინოს რამ და წარიმატოს. ამისათვის ქართულს ენას მასალა საკმაო აქვს და მხოლოდ სიმარჯვე და მოხერხებაღაა საჭირო, რომ ეს თავისი დიდი ნაკლი შეივსოს. ვსთქვით რა ეს, ეხლა შეგვიძლიან განვაგრძოთ ჩვენი საუბარი და ისევ ჩვენს ავტორს „Письма о Грузии“ — სას კვალდაკვალ მივყვეთ.

ჩვენს ავტორს ჰგონია, რომ რაც ჰსურდა, ვითომ ყველაფერი დაასაბუთა, დაამტკიცა და გადაჭრილად ამბობს:

ამ სახითაო (კაი სახე არ იყო!), ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე, საქართველოს არც თავისი ანბანი ჰქონია, არც მწიგნობრობა და არც თავისი ფულიო, – უმატებს ავტორი სხოლიოში, რომ – ვინიცობაა – მერე არ დაავიწყდეს, თორემ ღმერთი უწყენს. იქნება ყოველივე ეს მართალიც იყოს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ტყუილი აი რაშია. თურმე ნუ იტყვით, ქართველებს ენაც არა ჰქონიათ სახელმწიფო საქმეთათვის. ავტორი აი ამას რაგვარ მოგვითხრობს:

,,Итак, до принятия христианства, Грузия не имела ни своей азбуки, ни письменности, а для государственных целей употреблялся, вероятно, персидкий язык, тем более, что большинство правителей Грузии были персидской крови“ (Сев. Вест. №3, გვ. 50).

როგორ? მაშინაც სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ქართველები, როცა ჯერ სპარსელების საისტორიოდ ხსენებაც თითქმის არ იყო, თუნდ იმ ხანებში, მაგალითად, როცა მოსე წინასწარმეტყველი, ავტორისავე სიტყვით, ახსენებს მოსოხებსა და თუბალებს! ან როცა მთელი რვაას-ცხრაასი წელიწადი, ფარნავაზზედ კიდევ წინათ, ქართველებს მთელი დიდი არმენია სჭერიათ, როგორც ეხლა დამტკიცებულია, თავიანთი სამეფონი, სამთავრონი, თუ სამამასახლისონი ჰქონიათ, მაშ სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ეს მეფენი, მთავრები, მამასახლისები? დავანებოთ ამასაც თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: ეს „вероятно“ საიდამ და რა საბუთით არის „вероятно“? იქიდამაო, რომ ქართველების მმართველნი სპარსთა ჩამომავალნი იყვნენო. მაშ, უწინდელი მამასახლისები და მერე ფარნავაზი და მის შემდეგნი სულ სპარსები იყვნენ ჩამომავლობით? თუ ესე ჰგონია ავტორს, მისი „მგონიაობა“ საბუთი არ არის. ამ სპარსთაგან ჩამომავლობას დამტკიცება უნდა და არა ცარიელ

სიტყვების ფქვა და რახარუხი. თუნდ ფარნავაზი და მისი შემდეგნი ჩამომავლობით სპარსნი ყოფილიყვნენ, აქედამ განა ის გამოდის, რომ უსათუოდ სპარსულს ენასაც შემოიტანდნენ სახელმწიფო საქმეებისათვის? განა როცა უცხო თესლის დინასტია დაიჭერს სამეფო ტახტსა რომელისამე ერისას, უსათუოდ უცხო ენასაც შეიტანს ხოლმე სახელმწიფო საქმეთათვის? თუ ესეა, მაშ როცა ჩვენში არშაკიდები ჰმეფობდნენ, სომხური ენა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო საქმეებში სახმარისად. საზოგადო აზრია, რომ რაკი ერს თავისი სახელმწიფო აქვს, თავისი ენაც ექმნება ყოველგვარ საქმეთათვის. ამ ზოგად აზრს მგონიაობით, вероятно-ებით ვერავინ უარჰყოფს, თუ ამისათვის უცილობელი, უტყუარი, ზედმიწევნილი საბუთი ხელთ არა აქვს, იმიტომ რომ ყოველივე მგონიაობა, вероятно-ბა ამ შემთხვევაში ამ ზოგად აზრისაკენ არის, თუ ჭკუის მართულები არა აქვს კაცს მოშლილი. თუნდ ეგეც არ იყოს, ჯერ ჩვენის ავტორის „положительно“ რა არის, რომ მისი „вероятно“ რა იყოს.

საქმე ის არის, რომ ავტორს, რაკი ერთხელ და ერთხელ აუკვიატებია აზრი — ქართველებს არა ჰქონდათ რაო, უნებებია ენაც კი გაუბათილოს და, რადგანაც ვერ მოუხერხებია, შეუკმაზავს ეს ყველაფრის ამკიდებელი „вероятно“, შემხტარა ზედ და ჰხედნის: თუ დამიჯერებენ, ხომ რა კარგი, თუ არა და, ცოტათი მაინც დავაქვეითებ ქართულსა და ქართველებსაო. სხვა არ ვიცით, რა მიზეზს გამოუწვევია ეს მისი „вероятно“. ან რა საჭირო იყო იმის თქმა, რომ სახელმწიფო საქმეთათვის სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ქართველებიო. რაკი ამის თქმა უნებებია, კვლავაც იყოს ნება მისი, თუმცა წინა წერილში მოყვანილი აზრი გატტერიასი კი ამტკიცებს, რომ ქართული ენა ძალიან გავრცელებული ყოფილა არმენიაში — სომეხთა

მეშვიდე საუკუნეში შემოსევამდე. ვგონებთ, გატტერიას აზრი ცოტათი მაინც წინ დასაყენებელი იყოს ვიდრე ჩვენის ავტორის ყოვლად სახედნი „вероятно“.

მწიგნობრობის შესახებ ავტორი მოგვითხრობს, რომ თვით უძველესს ნაშთს ქართულის ნაწერისას აზის თარიღი IX საუკუნისა ქრისტეს მერმეთ; თუმცა ამაზედ უძველესნი ნაშთნიც არიან, მაგრამ თარიღი არა აქვთო. მაშ თარიღი არა აქვთ ძველს ჩვენს ფულს მეხუთე საუკუნისას, ძველს ხელნაწერებს V-VII საუკუნეებისას, ჯვარის მონასტრის ზედწარწერას VII საუკ. და უძველესთა გუჯრებსა? ან იქნება ავტორს ჰგონია, რომ ესენი არ არიან ნაშთნი ნაწერისანი? თუ არა და რას გვემართლება, რომ ყოველს ამას გვიმალავს ჯერ ჩვენ და მერე თავის მკითხველებს? იქნება არ იცოდაო, გვეტყვით. შესაძლოა, — და თუ ეს მარტო არცოდნაა და არა განგებ გათელვა მართლისა — ეპატიება, რადგან არცოდნა არცოდვაა. ხოლო როცა ჩვენი ავტორი არწმუნებს თავის მკითხველს, რომ მეცამეტე საუკუნეზედ ადრე ქართველებს მატიანე არა ჰქონიათო, — ეს კი არცოდნად არ ჩაეთვლება, რადგანაც აქ არცოდნას ადგილი არა აქვს. დღეს ჩვენში ყველგან მოფენილია ის ამბავი, რომ აღმოჩნდა ქართული ქრონიკა, რომლის უეჭველი, ყოვლად უცილობელი თარიღი XI საუკუნეა. ავტორი აქ იმითაც თავს ვერ იმართლებს, რომ აქ ქრონიკამდე ხელი ვერ მივაწვდინეო; ყველამ იცის რომ ეგ ქრონიკა „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავშია და არავის უშლიან ინახულოს საკუთარის თვალით. მაშასადამე, აქაც იტყუა ჩვენმა

---

* დ. ბაქრაძე.

ავტორმა, მაგრამ ცოტად კი. ცოტად ვამბობთ, იმიტომ რომ ბევრი-ბევრი, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, ერთი ოთხიოდე საუკუნეა თაბაუთი მეცხრესა და მეცამეტე საუკუნეს შორის და ოთხი საუკუნე, აბა, რა არის იმისთანა კაცისათვის, რომელიც 1700 წელიწადსაც მალაყით და „одним штрихом“ თავს ახტება და მაინც ფეხზედ ჰდგება ხოლმე.

ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, ამ ტყუილის ამბავისაგან რა დასკვნა გამოჰყავს ავტორს. დაუჯერებელია, თუ თითონ მისი სიტყვები არ მოვიყვანეთ. იგი ამბობს:

,,Несомненно одно, что они (летописные сказания грузин) появились много спустя после хринстианства (указание на существование грузинской летописи не появляется ранее XIII в.) и это обстоятельство еще рельефнее (!!!) оттеняет влияние Ирана, печать которого не могло стереть даже хринстианство“ (Сев. Вест., № 3, გვ. 40).

აქ „влияние Ирана“ რა შუაშია? არ გვესმის და, თუ ვინმე გაიგებს, არ ვიცით. ქართველებს მატიანე არა ჰქონდათ მეცამეტე საუკუნემდეო და ეს გარემოება უფრო თვალნათლად ამტკიცებს ირანის გავლენას საქართველოზედაო. მოდით და ნუ ჰკითხავთ ავტორს, — ლოღიკა რა ხილია?!

„Да и как могло быть иначе, იძახის ამ ულოღიკობით გათამამებული ავტორი, когда в течении тысячи лет, начиная с нашествия скифов и до завоевания Персии и Грузии Арабами (ჩვენში კი დარჩეს და ამ ორ ამბავ შორის ათასი კი არა, მთელი ათას სამას წელიწადზე მეტია), она (Грузия) почти непрерывно жила общею жизнью с Ираном“

ეს „Грузия непрерывно жила общею жизнью с Ираном“ საიდამ გამოატყვრინა ავტორმა? მაშ, მეშვიდე საუკუნედამ ქრისტეს წინათ, ესე იგი სკვითების

გამოსვლიდამ, – არაბების შემოსევამდე მეშვიდე საუკუნეს ქრისტეს მერმეთ, საქართველო და ირანი ხელი-ხელ გადაჭედილნი იყვნენ და ამფსონობას უწევდნენ ერთმანეთს.

სხვა არა იყოს რა, მარტო ერთი ქართველების გაქრისტიანება მირიან მეფის დროს საკმარისია კაცს წარმოედგინა, რომ ეს ამისთანა ბედაური ტყუილი არ წამოსცდენოდა. განა ჭკუათამყოფელს კაცს ფიქრად მოუვა, რომ ზოროასტრის მიმდევარი და ცეცხლთაყვანისცემელი სპარსი და ქრისტიანი ქართველი ერთის საერთო ცხოვრებით შეკრული და შებოჭვილი იგულვოს, ერთს საერთო ცხოვრებაში მოათავსოს და მოარიგოს? მერე როგორ აბრტყელებს ჩვენი თავდაუჭერელი ავტორი ამ მოთავსებას და მორიგებას!

,,Их связывала не одна только политическая связь, всегда недолговечная, и часто прерываемая, а более глубокая, органическая…“ (Сев. Вест., № 3, გვ. 40).

გესმით რა ამბავია!.. უფრო ღრმა, უფრო ორგანებური კავშირი ჰქონდათ, ვიდრე პოლიტიკურიო, მერე ვისა? ზოროასტრის მიმდევარს სპარსსა და ქრისტეს მოსავს ქართველსა!

მაშ, თუ მთელი ეს ათას სამასი წელიწადი საქართველოს საერთო ცხოვრება ჰქონდა ირანთან. როგორღა დავიჯეროთ, რომ ამ ორმა ერმა, ათას სამას წელიწადს ერთის საერთო ცხოვრებით მცხოვრებმა, თავ-თავის ვინაობა, ენა, მიწა-წყალი, რჯული შეირჩინა და ან ერთიმეორეს არ გაექელვინა, ან ერთმანეთს არ შეუდუღდა და ერთ ერად არ გარ-დაიქმნა. რაკი ეს არ მოხდა, აშკარა საბუთია, რომ საქართველოს და ირანს, არამც თუ ერთად უცხოვ-რიათ საერთო ცხოვრებით, არამედ თვითოეულს თავისი საკუთარი სისხლ-ხორციც ჰბადებია, თავისი გული და წყურვილიც ჰქონია, თავისი ფარი და ხმალი სჭერია, ესე იგი თავისითაც განსხვავებულად უცხოვრია და ამ თავისობას შეუნახავს თითოეულის

ვინაობაც, ენაც, რჯულიც და მიწა-წყალიცა. ათას სამასი წელიწადი რომ ირანს საქართველოზედ განუწყვეტლად ემოქმედნა ისე, როგორც ავტორს მოჰზმანებია, დღეს ქართველების ხსენებაც არ იქნებოდა დედამიწის ზურგზედ და არც ჩვენს ავტორსღა გაუხდებოდა თავში საცემად, საქართველოს ისტორიის მაგიერ, უნდილ ზღაპრების ბღავჯნა.

ამ სახით, ავტორის ზემოხსენებულ „несомненно"-ს თუნდა ეს „да и как могло быть иначе" ზედ დაემატოს, მაინც ის სარჩიელი გამოვა ავტორისათვის, რომ თავის ქერქში მჯდარიყო, ის ერჩივნა, იმიტომ რომ тетеревам не летать по деревам, ანუ ჩვენებურად — არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

წერილი მეათე

წინა წერილიდამ ვნახეთ, როგორ მოიხმარა ჩვენმა ავტორმა „Письма о Грузии"–სამ ლინგვისტიკა და ფილოლოგია ქართველების ვინაობის, წარმომავლობის გასაცნობად და მათის წარმატების გამოსარკვევად. მერე ამბობს, რომ:

,,Археология и антропология, служа подспорьем лингвистики, могли бы с своей стороны пролить, конечно, не малый свет на происхождение грузин, но в этом отношении сделано так мало, что не дает даже опоры для каких нибудь хотя бы приблизительных выводов" (Сев. Вест., №2 გვ. 60).

ხომ ამბობს, არქეოლოგია და ანტროპოლოგია, როგორც მშველელნი ლინგვისტიკისა და მხარის მიმცემნი, თავის მხრით ნათელს მოჰფენდნენ ქართველთა ვინაობის წარმომავლობასაო, მაგრამ ამ მხრით ასე ცოტა რამ არის აღმოჩენილი, რომ კაცს ხელთ ვერაფერი ჩაუგდია, თუნდ დაახლოვებით რაიმე დასკვნა გამოიყვანოსო.

რაც შეეხება ანტროპოლოგიას, ავტორი ამის საქმეს ორი სტრიქონით ათავებს: ბროკმა, რომელსაც ვითომ აქედამ გაუგზავნეს ორი თავის სარქველი, გასინჯა და სთქვაო, რომ იგი ეკუთვნის კიმერებსაო. ეს არის და ეს. სხვაგან ავტორი არც კი ახსენებს ანტროპოლოგიას. ხოლო არქეოლოგიისათვის კი მეტი ადგილი უღირსებია და ყოველს ამაში წინამძღვრად აუჩენია ბაიერნი, რომელმაც სამთავროს სასაფლაო მცხეთაში გასთხარა და ბევრი არქეოლოგიური ნაშთი იპოვა. ეს ბაიერნი ცნობილია, — როგორც კარგი მთხრელი საფლავებისა და საფლავებში ნაპოვნის კეთილსინდისიერი და უტყუარი აღმწერელი, ხოლო მისი საისტორიო დასკვნა და განსჯა კი ყველასაგან სასაცილოდ არის აგდებული. მოდით მართლა და ნუ გაგეცინებათ, რომ ეს ბატონი ბაიერნი ალექსანდრე მაკედონელის საფლავს სადღაც ავლაბრის ხევში ეძიებდა და სემირამიდისას, რომელიც ეხლა მითიურ არსებად მიჩნეულია, წიწამურში, მცხეთის პირდაპირ, არაგვ-გაღმა.

ჩვენი ავტორი, თუმცა დიდი მოყვარეა კრიტიკისა და отрицание-სი, მაგრამ აქ კი ბაიერნს ბრმად აჰყოლია, უსათუოდ იმიტომ, რომ სამთავროს სასაფლაოსა და ამ სასაფლაოში ნაპოვნებზედ ბაიერნმა თავისი წერილი გერმანულ ჟურნალში დაჰბეჭდა. ამას თითონ ავტორიც გვეუბნება თავის პირველ წერილის სხოლიოში 60 გვერდზედ და თვით იმ ჟურნალსაც გვისახელებს. აქაოდა გერმანულ ჟურნალმა დაჰბეჭდაო, აბა, ჩვენი ავტორი როგორღა შეიტანდა ეჭვსა ბაიერნის შესახებ, თუმცა კი თვითმსჯელობასა და კრიტიკაზედ დიდის ბაქი-ბუქობით ლაპარაკობს, თითქო ერთისა და მეორის მადლით უხვად მოსილი იყოს! ხოლო ჩვენს ავტორს რომ თვალი ცოტა გრძლად მჭრელი ჰქონოდა, დაინახავდა, რომ ბაიერნის საისტორიო მსჯელობას და დასკვნას თვით რედაქცია, რომელმაც ბაიერნის წერილი დაჰბეჭდა, არ ენდო, რადგანაც აშკარად

შეუსაბამონი არიან. ჟურნალი იგი, რომელსაც ჩვენი ავტორი ასახელებს და რომელმაც დაჰბეჭდა ბაიერნის წერილი, არის Zeitschrift fur Ethnographie von Basian und Hartmann. ამის რედაქციამ იქავ გამოაცხადა, რომ ჩვენ პასუხისგება აგვიხდია ბაიერნის საისტორიო დასკვნისა და განსჯის თაობაზედაო და ამ მხრით თავზედ მოახვია თვით ბაიერნსა*. აბა, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ჩვენმა ავტორმა მიაფუჩეჩა უსათუოდ იმისათვის, რომ ამით აბრუ გაუტყდებოდა ბაიერნს და ბაიერნის მოწმობა კი მისთვის საჭირო იყო, რომ ქართველები ადამიანის ხორცის მჭამელად და ბარბაროსებად გამოეყვანა. დიაღ, საჭირო იყო, რომ ეს ეთქვა ჩვენს ავტორს:

,,Итак, Самтаврския (Байерна) раскопки, не решая вопроса о племенном происхождении грузин, рисуют нам их, начиная с X в. до Р. Х. сначала антропофагами, исповедывающими элементарную религию“, და სხვანი და სხვანი (Сев. Вест., №2 გვ. 64).

ახლა რა უნდა დავარქვათ იმ კაცს, რომელსაც ფრანსუა ლენორმანი, ეს ყველა მეცნიერთაგან ავტორიტეტად ცნობილი, არაფრად მიუჩნევია და ბაიერნი კი კერპად დაუსვამს და უწამებია, ბაიერნი, რომლის სჯასა და გამჭრიახობასაც თვით მისის წერილის დამბეჭდველი რედაქციაც ვერა ჰნდობია? ეს შეუსაბამო ,,отрицание“ ყველასაგან მიჩნეულისა ერთის მხრით და მეორეს მხრით ეს ასეთი ბრმა დანდობა ყველასაგან უარყოფილისა — რის მომასწავებელია ერთსა და იმავე კაცში? ამისი პასუხი ყველას ადვილად მოადგება ენაზდ და ამიტომაც ჩვენ აღარას ვიტყვით. ჩვენ მარტო ამას დავუმატებთ, რომ ლენორმანის ნათქვამი

---

* ხვოლსონი: Надгробная надпись из Мцхета, გვ. 120.

ქართველებზედ, ცოტად თუ ბევრად აბრუს უკეთებს ქართველსა და ბაიერნისა კი საბუთს აძლევს ავტორს, სახელი ცოტად თუ ბევრად მოუთხაროს ქართველსა. აი ამოცანა სად არის ავტორის უცნაურის ქცევისა, თორემ რა დასაჯერებელია, კაცმა უარჰყოს ლენორმანი და ბაიერნი კი ბრმად იწამოს.

საფლავები, სამთავროში ნაპოვნი, ორგვარნი არიანო, ამბობს ავტორი; ერთი ქვისანი, ძველის ქართველების სამარხნი, მეორე — აგურისანი, უფრო ბოლონდელ დროისანი, და ეკუთვნიან, ბაიერნის აზრით, ბერძნებსაო. ამ საფლავებში ნაპოვნ ცეცხლისაგან შეფიცხებულმა ძვლებმა ადამიანებისამ, თუ სხვა პირუტყვისამ, ბაიერნი იძულებულ ჰყო ეფიქრნა, რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი ადამიანის ხორცის მჭამელნი იყვნენო და თვით ადამიანის ლეშსაც კი საჭმელად ჰხმარობდნენო. ეგ ჩვეულება მკვდრების ჭამისა და კაცის კვლა კერპების შესაწირად შემოწმებულია თვით ქართველთა მატიანესაგანაო, — ასვამს მერე თავის ბეჭედსაც ავტორი და თვით ვახუშტისაგანაც ამის დასამტკიცებლად მოჰყავს საბუთად შემდეგი ამბად დარჩენილი თქმულობა: ,,კარსნელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო". ამ საბუთების გასაძლიერებლად ჩვენს ავტორს ერთი სხვა სასაცილო და ჭკუაში მოუსვლელი საბუთიც მოჰყავს. ამას კი თითონ ავტორის სიტყვებით მოვიყვანთ, თორემ სხვაფრივ დაუჯერებელია.

,,Существование антропофагии в эпоху самтаврского кладбища подтверждает еще и то обстоятельство, что большинство найденных там костей, как человеческих, так и животных, лишено студени, -- обстоятельство, заставившее Байерна предположить, что их подвергали вывариванию (?)" (Сев. Вест., №2 გვ. 61).

ამ სახით გამოდის, რომ ქართველებს იმ დროს ძვლები უხარშავთ და ბულიონი უკეთებიათ, თორემ ის რაღაც студень-ია აქამდე ძვლებს უნდა შერჩენოდათო. Студень-ი ძვლებში ჩამდგარი

სიმსუქნეა, რომელიც გამოხარშვით გამოიწოვება ხოლმე, და მერე, როცა გაცივდება, შედედდება და ჟილეს მსგავსად დადგება. ეს არ შერჩენიათ ადამიანის ძვლებსაო. მაშასადამე ქართველებს ეს ძვლები უხარშავთ, და აქედამ ადვილად მისახვედრია, რომ ადამიანის ხორცის მჭამელები ყოფილანო. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სწორედ ჩვენს ავტორსა და ბაიერნზედ ითქმის. კაცი ამბობს, რომ სამთავროს საფლავები ეკუთვნიან ხანას მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ და იმ დროდან ბაიერნამდე, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, სამი ათას წლიდამ ორი ათას წლამდე ხანი გასულა და რაღა საწვნე, თუ სიმსუქნე, ანუ ჩვენის ავტორის студень-ი უნდა შერჩენოდა ძვლებს? ეს დრო იმოდენაა, რომ თითქმის ძვალსაც მტვრად გადააქცევს და ჩვენს ავტორს-კი თავის ბაიერნთან ერთად მოსდომებიათ ის რაღაც студень-ი შეენახათ იმ ხანის ძვლებსა, რომ დღეს ბულიონი გამოხადონ. ამისთანა გამძლეობა студень-ისა თუ სიმსუქნისა ძვლებში ახალი აღმოჩენაა მეცნიერებისათვის და აქაც პირველობა ჩვენს ავტორს უნდა მივულოცოთ, თუ ბაიერნი საიქიოდამ არ შეეცილება.

ან რა საბუთია ქართველებისაგან ადამიანის ხორცის ჭამისა ვახუშტისაგან მოყვანილ თქმულობაში, რომ კარსნელთა ჰმართებთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო! განა ეხლა კი არ ამბობენ, მაგალითებრ, მთიელები საცა სისხლის აღება ჯერ გადავარდნილი არა არის, რომ ჩვენი მკვდარი ამა და ამ თემსა ჰმართებსო. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ერთს თემს მეორის თემის კაცი მოუკლავს და ჯერ ან სისხლი არ აუღიათ, ან სისხლის ფასი. თუ ამ საეჭვო ამბავს უჯერებს ჩვენი ავტორი ვახუშტსა, რატომ იმას კი არ უჯერებს, საცა იგივ ვახუშტი კეთილს რასმე ამბობს ქართველებზედ? ნუთუ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს

ავტორს ყოველივე კეთილი ქართვლის შესახებ ეხამუშება, სწყინს და ყოველსავე ავსა და ცუდს კი თუნდ საეჭვოსაც, ხელზედ დაიხვევს ხოლმე, როგორც უეჭველსა და უცილობელს. ეს გახლავთ беспристрастие и об'ективизм-ი, რომელიც აღუთქვა მკითხველს თავის პირველ წერილის 54 გვერდზედ ჩვენმა ავტორმა.

რაც შეეხება იმას, ვითომც ადამიანის ძვლები ცეცხლისაგან შეფიცხებულნი უპოვნია ბაიერნსა სამთავროს საფლავებში, ამაზედ მერე ვიტყვით, როცა ჩვენს ავტორს გამოვკითხავთ ჩვენის უწინდელის სარწმუნოების ამბავს, ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ ჩვენს ავტორს ბევრი რამ გამოჰპარვია ჩვენის ქვეყნის არქეოლოგიის შესახებ. მაგალითებრ, იმას არა სცოდნია, რომ ბევრი და ფრიად შესანიშნავი არქეოლოგიური ნაშთი აღმოჩენილია კამენტსა და კობანს (ვლადიკავკასის მხარეა), სტეფან-წმინდას ანუ ყაზბეგს, დილიჟანს, წალკას, სართიჭალას და სხვ. ყოველს ამაში ყველაზედ ძვირფასნი ნაშთნი პოვნილია კობანს, დილიჟანს და ნამეტნავად სამთავროს. თუ ამას იტყვის, ამისათვის ხელი გავიწვდინე და ვერ მივწვდიო, ეგ ბანზედ სიტყვის აგდება იქნება. ამას დიდი ძებნა არ მოუნდებოდა, თუკი მოისურვებდა. საჭირო იყო მოეკითხნა Труды Москов. Археолог. Общ. Т. X. და იქ იპოვიდა უვაროვის წერილს: Взгляд на Мцхетский могильник.

ეს რომ წაეკითხა ჩვენს ავტორს, მაშინ ის ტყუილი აღარ მოუვიდოდა, რომ ვითომც საფლავები სამთავროსი მარტო ორგვარნი არიან და არც ისე გაითამაშებდა სამთავროს საფლავების ძვლებით ხელში. სამთავროს საფლავები ძალიან კარგად გამოძიებულნი არიან იმისთანა მცოდნესაგან, როგორიც უვაროვია. ამ გამოძიებისაგან სჩანს, რომ სამთავროს საფლავები ორგვარნი კი არ არიან, როგორც ჩვენს ავტორს მოსჩვენებია, არამედ

სამგვარნი არიან. უუძველესი საფლავები რიყის ქვით არის აგებული და მოწყობილი, მეორეა – აკლდამები დიდროვანის კლდის ქვისა და მესამე – უშველებელის აგურისა. ამაებში ნაპოვნი ნივთები კულტურის ნაშთნი არიან და იმათს ამბავს თავის ადგილას ვაუწყებთ მკითხველს.

ამ ხანად კი ჩვენ იმას ვიტყვით, რომ ეს ზღაპრები ავტორისა იმიტომ არ მოგვიყვანია, ვითომც არა გვჯეროდეს, რომ ოდესმე ქართველებს ჩვეულებად არა ჰქონოდეთ ადამიანის ხორცის ჭამა. იქნება იყო ამისთანა დრო და საკვირველიც არ არის, იმიტომ რომ ქვეყანაზედ თითქმის არც ერთის ერის პირველყოფილ წინაპართ არ დაეფიცებათ ამ საზარელ ჩვეულების არქონა. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ქართველების სახელის შეთითხნისათვის რა სასაცილომდე უცნაურს სახსრებსა ჰხმარობს ჩვენი ავტორი, რა რიგად ადვილად ემყარება არასარწმუნო კაცებს და მოწმობას და ამავე დროს რა რიგად ყურს იყრუებს, თვალსა ჰხუჭავს იქ, საცა პირდაპირი, უტყუარი საბუთია ქართველის ასე თუ ისე კეთილად ხსენებისა. ფრანსუა ლენორმანს და სხვებს ამისთანა გამოჩენილს კაცებს არას უჯერებს და ბაიერნის წინაშე კი ქედს იხრის და თავის კრიტიკისა და отрицание-ს შუბს ძირსა სდებს. ეგ რათ გიკვირთ: თითონ სამთავროს საფლავებმა ბევრი რამ იმისთანა აღმოაჩინა, რომელიც ჰმოწმობს უწინდელ ქართველების კულტურის ასე თუ ისე სიდიდეს და სიმაღლეს და, აბა, თუ ერთი სიტყვა წასცდენოდეს ამაზედ; პირიქით, მკითხველის თვალი შეაყენა თითქმის მარტო იმაზედ, რომ ქართველები კაცისმჭამელები იყვნენო. მერე ვისის ავტორიტეტობით? აი ამაზეა ნათქვამი, ქოთანმა იგორა, იგორა და თავის სარქველი იპოვაო. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს.

წერილი მეთერთმეტე

ბაიერნისაგან ზეგარდმო შთაგონებულმა ავტორმა „Письма о Грузии“–სამ წყურვილი მოიკლა იმაზედ, რომ ვითომც დაგვიმტკიცა, – ქართველები ადამიანის მჭამელები იყვნენო სამთავროს სასაფლაოს ხანაში. ეს, რასაკვირველია, არ იკმარა, ვაი თუ მარტო ბაიერნს არ დაუჯერონო და ამიტომაც ქართველების მიერ მკვდრის მჭამლობას თავისი ფილოსოფიური სარჩულიც დაუდვა, ესე იგი, თავისი ავტორიტეტობაც ზედ დააბღერტა და ძლევამოსილი ბეჭედი დაჰკრა.

იგი თავის მეორე წერილის 37 გვერდზედ ხელაღებით და უცილობელად გვარწმუნებს, რომ მძაფრი, პირქუში (суровая), მთიანი ბუნება საქართველოსი ადვილად არ ემორჩილებოდა ადამიანსაო, მითამდა ხელს არ აძლევდა, ჰძუნწობდაო და ხშირად სიმშილობის დროს, აქ კაცი კაცსა ჰკლავდა საჭმელადაო. ძალიან არა სდომებია ჩვენს ავტორს ქართველები კაცის მჭამელად გამოეყვანა, რომ ამისათვის ეს ჩვენი ტკბილი და თბილი, მდიდარი და უხვი ბუნებაც კი მძაფრ, პირქუშ ხელმოუცემელ მწირ ქვეყნად გადააქცია, ქვეყნის სასაცილოდ და თავის სასახელოდ. ყველაფერში შეიძლება კაცმა იტყუოს და ასეთი ზორბა, დიდისა და პატარასათვის ადვილად დასანახი ტყუილი კი არ გაგვიგონია. ამის მთქმელს ჯერ ქვეყნისათვის თვალის ჩინი უნდა წაერთმია, ჯერ ყველანი დაებრმავებინა და მერე ეს ამისთანა ტყუილი ეთქვა გასასაღებლად.

ბაიერნის ავტორიტეტობით და თავისის ფილოსოფიით გონებაგაფიცხებული ავტორი ამაზედაც არ შეჩერდა. მისმა გახურებულმა ფანტაზიამ უფრო გააფუა, გაადიდა ეს ჩვენი კაცისმჭამლობა. „რასაკვირველიაო, – ამბობს იქავ ავტორი, – ამისთანა მწირ ქვეყანაში დამშეულნი პირველ ყოველთა უძლურთა და უღონოებს მისცვივდებოდნენო, სახელდობრ – დედათა და

ყრმათაო. ამათ არამც თუ ჰხოცდნენ შესაწირავად, არამედ ჰყიდდნენ კიდეც ზიზილ-პიპილებზედაო“. ამ სახით, ქართველები თავის ცოლ-შვილსაც არა ჰზოგავდნენ საკლავად და საჭმელად. ეს ამბები აუწყა ჩვენს ავტორს სამთავროს სასაფლაომ ბაიერნის ბაგითა და ბოლოს ხომ მისმა საკუთარმა ფილოსოფიამაც თავისი უტყუარი, უწუნარი და ყოვლად შეუშლელი ბეჭედი დაასვა. სად წაუხვალთ ამ ორკეც საბუთებს, მერე იმისთანა კაცებისაგან შემოწმებულს, როგორიც ბაიერნია საზოგადოდ და ჩვენი ავტორი საკუთრივ!

ამავ სამთავროს სასაფლაოსაგან გამოსჩიკა ჩვენმა ავტორმა თავისი დანასკვნი შესახებ ჩვენის სარწმუნოებისაც. იგი ამბობს, — უფრო ადვილად საგულვებელიაო, რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი სამთავროს სასაფლაოს ხანაში, სახელდობრ, მეათე საუკუნეში ქრისტეს წინად აღიარებდნენ უბრალოს, პირველდაწყებითს სარწმუნოებას ბუნებისასაო, თაყვანსა სცემდნენ მნათობთა, პირუტყვთა და უსულო საგნებსაცკიო. ამასვე ჰმოწმობს ქართული მატიანეცაო, რომელიც — ჩვენში კი ითქვას — სხვაგვარებში არა სწამს ჩვენს ავტორს. ეს “უბრალო, პირველდაწყებითი” სარწმუნოებაც კი შეჰშურდა თითქო ჩვენს ავტორსა და ვინიცობაა სხვამ არ იფიქროს, ვითომდა ქართველებს აქ მაინც თავისი საკუთარი რამ ჰქონიათო, უმატებს: по всей вероятности, ქართველებს არავითარი განწყობილი და შემუშავებული წესი არ ექნებოდათ და, როცა ხანდისხან მსოფლიო ისტორიის ბედის ტრიალი გადმოჰხვეწდა საქართველოში სხვა წესსა და რიგში ჩაგდებულ რჯულის კაცებს, ქართველები თავის ღმერთების სიას ჩაურთავდნენ ხოლმე ახალმოსულების ღმერთებსაცა და გადმოიღებდნენ იმათს სიმბოლოებსაცაო. ესეთი თვისება აქვს ყოველ პირველ ყოფილ სარწმუნოებასაო, —

ჰფილოსოფოსობს ჩვენი ავტორი (Сев. Вест., №2 გვ. 62).

ჩვენ არ ვიცით და ჯერ არც არავინ სხვამ იცის, ჩვენის ავტორისა და ბაიერნის მეტმა, რომელს ხანას ეკუთვნიან პირველნი ორის გვარის (რიყის ქვისა და კლდის ქვისა) საფლავნი სამთავროს სასაფლაოსი. მეცნიერთ, რომელთაც ამ მხრით უძიებიათ ეს საქმე, ვერავითარი საბუთი ვერ უპოვიათ ჯერ, რომ ეს ხანა აღრიცხონ და გამოარკვიონ. ვირხოვი, რომელიც ჩვენს ავტორზედ არა ნაკლებ გათქმულია ევროპაში თავისის ცოდნით, ამბობს, რომ სამთავროს სასაფლაოს ნაშთნი უნდა ეკუთვნოდნენ ქრისტეს წინათ ორის ათასის წლის კულტურასაო, და სახელდობრ რომელ საუკუნისანი არიან, ამას კი არ გვიჩვენებს. ჩვენმა ავტორმა კი, ბაიერნის შთაგონებით, გამოიცნა ბეჯითად და გადაწყვეტილად, რომ იგი საფლავები ეკუთვნიან ხანას მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ. მოდით და ნუ იტყვით ქებასა და დიდებას ჩვენის ავტორისას! ჯერ ხომ გაამტყუნა ვირხოვი და მერე ზედმიწევნით გამოიცნა სხვა მეცნიერთაგან გამოუცვნელი. მაგრამ, ჩვენის ავტორის სამწუხაროდ, აქაც რაღაცა პატარა ზიანი სჩანს. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ბაიერნის წერილი ამის თაობაზედ, ხოლო ბ-ნი დ. ბაქრაძე თავის ახლად დაწერილ ისტორიაში (გვ.74) გვეუბნება, რომ ბაიერნი სამთავროს სასაფლაოს ხანად სთვლისო დროთა სივრცეს მეექვსე საუკუნიდამ ქრისტეს წინად მეექვსე საუკუნემდე ქრისტეს მერმედ. თუ ესეა, მაშ აშკარაა, რომ ჩვენს ავტორს თავისი საყვარელი ბაიერნიც კი ვერ გაუგია და საწყლისათვის ის უთქმევინებია, რაც არ უთქვამს.

ესეა თუ ისე, მივიღოთ ჯერხანად ჩვენის ავ-ტორის მეათე საუკუნე და გამოვიძიოთ, — ქართ-ველები ამ ხანაში მართლა იმ მდგომარეობაში ჰყო-ფილან, რომ თითქო გლახა-მთხოვარებსავით დიდ გზაზედ მსხდარან და გამვლელ-გამომვლელებისათვის

ხელი გაუშვერიათ, – ღმერთები შემოგვაწიეთ სამადლოდა, რადგანაც არა ჰქონიათ რჯული წესსა და რიგში ჩაგდებული და, მაშასადამე, მტკიცედ და გამორკვეულად არა სწამებიათ რა. თუ ჰქონიათ რამ, ისიც მარტო პირველდაწყებითი რჯული ბუნებისაო, გვეუბნება ავტორი.

ჯერ ვიკითხოთ, საიდამ გამოიყვანა ეს ასეთი ამბავი ჩვენმა ავტორმა? იგი გვეუბნება, რომ სამთავროს საფლავებში ნაპოვნი ნაშთნი მოგვითხრობენ ამასაო და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითები. სხვათა შორისაო, იქ იპოვეს საცრემლონი: ზოგ ამ პატარა მინის ჭურჭლებზე სახე წარმოადგენს სიმბოლოს ქალდეურ ჰერკულესისას სანდონისასაო, ზოგი – ბაალისას და მარსისასაო, ზოგი – ეგვიპტელთა მზისასაო. ამ საცრემლოთა შორის იმისთანანიც აღმოჩნდნენო, რომ ზედ გამოსახულნი არიან სახენი უწინდელის ქართველ ქალ-ვაჟისაო. ვაჟი გრძელ ხუჭუჭთმიანია და წვერმოპარსული და ქალი მხრებზედ ჩამოშლილ თმიანი და თავსაკრავით მორთულიო. იმავ საფლავებში იპოვნეს ბევრი ვერცხლისა და რკინის ღილები თუ ბალთები, ორი ოქროს საყელური, მინის ჭურჭელი ვერცხლით შემოსილი და ზედ გამოსახულია საქმენი ჰერკულესის, ქალდეურ სანდონისაო. აქავ ნაპოვნია აბსიდიანის დანა, რომლიც გვანიშნებსო, რომ ძველი მცხეთელები ცეცხლთაყვანისმცემელნი ჰყოფილანო. მოგვითხრობს რა ყოველს ამას, ავტორი ჰფილოსოფოსობს:

,,Итак, Самтаврские раскопки... рисуют нам их (грузин), начиная с X в. до р. Хр., сначала антропофагами, исповедывающими элементарную религию природы, превращающуюся мало-по-малу, под влянием политической зависимости от Мидо-Персии, нечто в роде эклектического культа, в котором элементы сабаизма, парсизма и слабые следы греческого политеизма мирно уживаются рядом, не успевая, однако, сложиться в систему“ (Сев. Вест., №2 გვ. 64).

თუ იმ ნაშთებისაგან, რომელიც ავტორმა ჩამოგვითვალა თავის პირველის წერილის 63 გვერდზედ, ამისთანა „итак“-ს გამოიყვანს სხვა ვინმე, ჩვენის ავტორის გარდა, მაშინ ადამიანმა ხელი უნდა აიღოს ჭკვასა და გონებაზედ, იმიტომ რომ იმისთვის ერთიცა და მეორეც ტყუილი და მეტი ბარგი იქნება. ეგ მაგისთანა „итак“ ხომ დაასკვნა და დაასკვნა. მაგრამ თითქო შეჰშინებია, არავინ იფიქროსო, ვითომც ამ сабаизм-ის, парсизм-ის და ბერძნულ политеизм-ის შემორევნით ქართველს პატარა ჭკუა და თვალი აეხილებოდაო, — ავტორი იქვე მისწრებით უმატებს:

,,Если в древнем грузинском культе и сказывается некоторое преобладание сабаизма, то это легко объясняется тем, что сабаизм является более элементарным и наглядным, а след. более доступным первобытному мировоззрению древних грузин, чем другие религии“.

ამ სახით აფრთხილებს თავის მკითხველებს: ნუ გეგონოთ, რომ აქაო და საბაიზმმა, პარსიზმმა და პოლითეიზმმა ბინა დაიდო ქართველების რჯულში, ამით ქართველებს გონება გახსნოდეთ და მოჰმატებოდეთ რამეო. არადა იგინი მაინც უფრო საბაიზმს მისდევდნენო, რადგანაც გონებაგაუხსნელ მაშინდელ ქართველთათვის უფრო ადვილად მისაწვდომი იყო ეგ პირველდაწყებითი და თვალადსაჩენი სარწმუნოება, ვიდრე სხვაო. თითქმის იმავე სახით, როგორც სამთავროს სასაფლაო, ქართული მატიანე გვიხატავს სარწმუნოებას ქართველებისასაო და, მატიანეს გარდა, თვით ბატონიშვილი ვახუშტიცაო. აქ ავტორი შემთხვევას არა ჰკარგავს კიდევ არ განიმეოროს ბევრგან განმეორებული მის მიერ კაცისმჭამელობა ქართველებისა, უთუოდ იმისათვის, რომ ამით კარგად გამოუჭედოს ყურები თავის მკითხველს, ვინიცობაა ბედი არ გაუწყრესთ და არ დაავიწყდეთო.

პირველდაწყებით რჯულად მეცნიერებაში ცნობილია თაყვანისცემა ცისა: რა თეორიაც უნდა წაიმძღვაროს კაცმა, თუნდ სპენსერისა, რომელსაც პირველდაწყებითი რჯული ადამიანისა გამოჰყავს წინაპართა სულის თაყვანისცემისაგან, თუნდ ამისი წინააღმდეგი თეორია სხვებისა და, სხვათა შორის, კარიერისა, რომელსაც სათავედ პირველდაწყებით სარწმუნოებისა მიღებული აქვს თვით გარემოხვეული ბუნება და მისი უშუამავალო, პირდაპირი ზედმოქმედება პირველყოფილ ადამიანის გრძნობა-გონებაზედ, — მაინც იქ მიხვალთ, რომ პირველდაწყებითი სარწმუნოება თაყვანისცემაა ცისა. ჩვენ ამაზედ გაბმა საუბარისა შორს წაგვიყვანს და ვისაც ჰსურს ამის თაობაზედ ვრცლად სიტყვა მოისმინოს, იმან უნდა მიჰმართოს, სხვათა მრავალთა შორის, კარიერს, რომელსაც ეს ამბავი, ჩვენის აზრით, მშვენივრად და ნათლად გამოძიებული აქვს*.

ეს ცის თაყვანისმცემლობა ერთ ღმერთობას მოასწავებდა, არა იმისთანას, რომ ეპირისპიროს მრავალღმერთობას, რადგანაც მრავალღმერთობის აზრიც არ იყო ჯერ იმ ხანაში. ამ პირველყოფილ ერთღმერთობას — კარიერის სიტყვით — მოჰყვა მრავალღმერთობა, სახელდობრ, თაყვანისცემა მნათობთა — მზისა, მთვარისა და ვარსკვლავებისა**. ეს მნათობთა გაღმერთება და თაყვანება შეადგენს შემდეგს ხანას სარწმუნოებურ გრძნობის განვითარებისას. ამ ორ ხანაში ადამიანს წარმოდგენილი აქვს ღვთაება განყენებულად; აქ

---

* კარიერი: ხელოვნება, კულტურის საზოგადო განვითარებასთან ერთად. ტომი I, გვ. 46 და შემდეგი.

** საბაიზმი, რომელსაც ესე ხშირად იხსენიებს ხოლმე ჩვენი ავტორი, ჰქვიან მნათობთა თაყვანისცემას და განსაკუთრებით უფრო ვარსკვლავებისას და ცდომილებისას.

ღვთაება იდეაა, აზრია, და მას არავითარს ნივთიერს სახეს არ აძლევს ადამიანი არც გამოხატვით, არც გამოქანდაკებით. დიდი დრო გადის, ვიდრე ადამიანი ცალკე გამოარკვევს ხილულ ბუნებისაგან უხილავ, ხორცუსხმელს ღმერთებს და ხილულად და ხორცსხმულად გარდაჰქმნის სალოცავად. კერპები, რომელნიც წარმოადგენენ უხილავთა ღმერთთა — ან გამოხატულობით, ან გამოქანდაკებით, ახალს ხანას მოასწავებენ სარწმუნოების განვითარებისას და წარმატებისას და ძალიან წინ წასულია, პირველდაწყებით ბუნების რჯულს რომ შეედაროს. ადამიანს დიდი და ხანგრძლივი დრო მოუნდა, დიდი წინ წაწევა განვითარების გზაზედ, ვიდრე კერპთმსახურებამდე მიაღწევდა.

კერპთმსახურებაო, — ამბობს ლებბოკი, — უცილობლად წარმოადგენს უკვე უმაღლეს ხარისხს სარწმუნოებისასა და ერთობ მოასწავებს გონების განვითარებას, აღმატებულობას, იმაზედ გაცილებით შორს, რასაც წარმოადგენს პირუტყვთა და ცის მნათობთა თაყვანისცემა. კერპობა არისო ნივთიერად გამოხატულობა ღმერთებისა და კერპთმსახურება კაცობრიობის წარმატებულობის უმაღლესს ხარისხს გვიმტკიცებსო. ახლა ვანახოთ, იმ ხანაში, რომელსაც ჩვენი ავტორი აკუთვნებს სამთავროს სასაფლაოს, ესე იგი მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ, იყო საქართველოში კერპთმსახურება თუ არა.

ჩვენ ვერ წარმოვუდგენთ მკითხველს ზედმიწევნილ საბუთს მეათე საუკუნისას ქრისტეს წინათ, ხოლო მეცხრე საუკუნედამ თითქმის მეხუთე საუკუნემდე კი დღეს მეცნიერებას ხელთა აქვს უტყუარი საბუთი იმისი, რომ ამ ხანაში ქართველების სარწმუნოება კერპთმსახურება ყოფილა. ეს ამბავი

აღმოჩნდა ასურელთა ლურსმულ წარწერათაგან, რომელნიც ზოგი ასურელთ მეფეებს ეკუთვნის და ზოგი იმ ალაგების მკვიდრთა, საცა უწინ ბინადრებულან ქართველები. ფრანსუა ლენორმანი* მოგვითხრობს, რომ ლურსმულნი წარწერანი ვანისა, Palou და არზრუმის გარეშემოსი გვიმტკიცებს, რომ იქაურნი მკვიდრნი, რომელთაც ლენორმანი ქართველებად ჰრაცხს, არამც თუ ენითა და ზნე-ჩვეულებით, არამედ სარწმუნოებითაც ერთნი იყვნენო, თუმცა კი პოლიტიკურად ცალ-ცალკე დაყოფილ თემებს წარმოადგენდნენო. ამ წარწერილებში მოიხსენებიან აუარებელი რიცხვი როგორც იქაურების ღმერთებისა, აგრეთვე სხვებისაცაო. ზოგან აღნიშნულია კიდეც, რომ ლაშქრობის ნადავლისაგან რომელს ღმერთს რა ნაწილი დავლისა უნდა ჰრგებოდა და ზოგან ისიც არის, რამდენი რა შეუწირავთ სამღვთოდა, რამდენი და რა საკლავი დაუკლავთ.

ლენორმანის სიტყვით, ეს სარწმუნოება იმაში მდგომარეობდა, რომ თაყვანსა სცემდნენო ერთს უზენაესს სამეულს (ტრიადას). ყველა წარწერა ჯერ იწყება ამ სამსამობის, თუ სამეულ ღმერთების მიმართ სავედრებელითა და მერე იხსენიებიან სხვა უმცირესნი, მეორე ხარისხის ღმერთებიო. ამ სამეულის უპირველეს ღმერთს ეწოდება „ქალდი“, „ქალდისი“-ო. სარიუკინი მეფე ასურეთისა (ბიბლიის სარგონი) ამ „ქალდი“-ს იხსენიებს უმაღლეს და უპირველეს ღმერთადაო. ამ სამეულის ორ სხვა ღმერთებს ლურსმულნი წარწერანი წარმოადგენენო იდეოგრაფიულ ნიშნებით, რომელთაც, თუ ასურულად

---

* წერილი დელორიესთან ლენორმანისა.

წავიკითხავთ, „Bin და Samas“ გამოდისო**. ეს სახელები ხან მარტივად არიან ხსენებულნი, ხან ბრუნვათა დაბოლოვებითაო, როგორც, მაგალითებრ, ზემოხსენებული „ქალდისი“*. უკანასკნელნი ორნი ღმერთნი წარმოადგენენ: ერთი — ატმოსფერასა, ეთერს, ბრწყინვალე ცას, მეორე – მზეს, და „ქალდი“ შესავსებლად სამეულისა — მთვარეს**. რომ ეს ღმერთები კერპის სახედ იყვნენ, ამტკიცებს ის გარემოება, რომ ასურელნი მეფენი, როცა მოგვითხრობენ თავიანთ გამარჯვების ამბავს მაშინდელ ქართველებზედ, სხვათა შორის ამბობენ, დავატყვევეთო იმათი ღმერთი „ქალდი“ ანუ „ქალდისი“ და წამოვიღეთ ასურეთშიო. ხორზაბადის სასახლის ბარელიეფნი წარმოადგენენ ერთს ამისთანა ლაშქრობას ასურეთის მეფისას, და ამ ბარელიეფის მოწმობით ლენორმანს დიდის დაწვრილებით აწერილი აქვს თურმე საკერპო ტაძარი „ქალდისისა“, რომელიც ასურთა მეფეს გაუძარცვავს და სატაძრო განძი დავლად წაუღია.

რას ჰნიშნავს ეს „სამეულობა“ ღმერთებისა? შედარებითი მითოლოგია რომ მოვიშველიოთ, ამის პასუხს მალე ვიპოვით. ბევრს ერს ქვეყნიერობაზედ — ზოგან მიბაძვით, ზოგან დამოუკიდებლად, — თვისის სარწმუნოების ღმერთნი წარმოდგენილნი ჰყოლიათ

** ბ-ნი ოქრომჭედლიშვილი გვაუწყებს, რომ შემდეგში ეს სახელები ადგილობრივ და არა ასურულ ენის მიხედვით ასეა წაკითხულიო: Teisba და Ardini.

* აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულის ენის თვისებისამებრ, თვით ეს ფორმა „ქალდისი“ სახელობით ბრუნვად ჩაითვლება. ქართულში ხშირია რომ ნათესაობითი ბრუნვა სახელობითად გადაიქცევა ხოლმე, მაგალითებრ, მამა-სახლისა — მამასახლისი, ტფილისა — ტფილისი.

** აქ უნდა შევნიშნოთ, რომ შედარებითიი მითოლოგია ბევრს მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, რომ ზოგი ერი ღმერთს მთვარისას უფრო დიდ პატივს აძლევდა, ვიდრე ღმერთს მზისას. მაგალითებრ, ძველ ქალდეველთა სარწმუნოებაში ღმერთი მთვარისა უმაღლესი და უდიდესი იყო მზის ღმერთზედ.

გუნდ-გუნდად, უფროს-უმცროსობის და მაღალ-დაბალის ხარისხებით. თითო გუნდში მოუქცევიათ სამ-სამი ღმერთი თანასწორის ხარისხისა, ხოლო სხვადასხვა წოდებისა და მნიშვნელობისა. ზოგან ამისთანა სამეული გუნდი ორია, ზოგან სამიც არის და ამ სამეულთაგან წარმოშობილ არიან დანარჩენი დაბალის ხარისხის ღმერთნი. მაგალითებრ, ბაბილონსა და ქალდეაში ორი ამისთანა სამეული გუნდი იყო. პირველ ხარისხის, ანუ უკეთ ვსთქვათ, უმაღლესის ღმერთების სამეულს წარმოადგენდა ღმერთი „ანუ“, „პირველშობილი, უუძველესი ღმერთთა შორის, მამა ღმერთთა, მპყრობელი საუკუნისა“ (უკუნი=ბნელი, საუკუნე=საბნელე, საბნელეთი). ეს „ანუ“ იყო ღმერთი ცისა; მისი საბრძანებელი უძრავი ცაა, უძრავის ვარსკვლავებით. მეორე ღმერთი ამ სამეულისა „ეა“-ა და მოასწავებს შემოქმედების ძალს ღვთაებისას. და მესამე — „ბელ“, გამჩენელი ზესკნელისა და გამგებელი ვარსკვლავთა მსვლელობისა ცის სივრცეზედ*.

ამ პირველხარისხოვან სამეულისაგან ჩამოდიან მეორე სამეულის ღმერთნი: „სინ“, ღმერთი მთვარისა, ძე „ბელ“-ისა, მანათობელი და გამათბობელი დედამიწისა; „ბინ“, ანუ „რამან“ (სირიული „რიმონ“) ღმერთია ატმოსფეროსი, წვიმისა, ჭექა-ქუხილისა და ელვის მომავლინებელი; და მესამე — „სამას“ ღმერთია მზისა, მპყრობელი ცისა, ძე „სინ“-ისა.

თურანელთაც სამეულობით სწამებიათ ღმერთები. ამათგან მარტო ერთი სამეულიღა დახსომებია ისტორიას. თურანელთა სამი უდიდესი ღმერთი ჰყოლიათ, ერთი — ზესკნელს, მეორე — დედამიწას და მესამე — ქვესკნელს. ამ სამეულის გარდა, ბევრნი

---

* ვებერი.

სხვა ღმერთებიცა ჰყოლიათ, რომელთ შორისაც ზოგნი კეთილისმყოფელნი არიან და ზოგნი ბოროტისა; აგრეთვე ეგვიპტეშიაც შენიშნულია სამეულობა ღმერთებისა*. სამ-სამობით დაყოფილნი გუნდნი ღმერთებისა სარწმუნოებაში აღმოჩენილია ასურეთშიაც, რომელსაც ღმერთნი და სარწმუნოება ბაბილონისაგან მიუღია და შეუთვისებია.

თუ ვიგულვებთ, ვითომც ქართველებს სხვისაგან მიეღოთ თავისი რჯული, დაუჯერებელი არა არის რა, რომ ეს სამეულობა ღმერთებისა შემოსულიყოს ჩვენში ან თურანელთაგან, რომელთაც ხშირად შევხვედრივართ და თითქმის მეზობლადაც ვყოფილვართ, ან ასურელთაგან, რომელნიც ჩვენი მტერ-მეზობელნი ყოფილან და რომელთაგანაც ჩვენ ბევრი რამ სხვა გადმოგვიღია, მაგალითებრ, — ხუროთმოძღვრება და ლურსმული წერა, რომელიც, ლენორმანის სიტყვით, ჩვენ ჩვენის ენის თვისებისამებრ მერე ცოტად თუ ბევრად გადაგვიკეთებია. შესანიშნავი ამ სამეულ ღმერთების გამო ის არის, რომ ქართველებს არამც თუ ასურელთა ეპოქაში, მერეც, მცხეთის გაძლიერების დროს, ეს სამეულობა არ დაუკარგავთ. ამას ამტკიცებს ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ფარნავაზის დროსაც სამეულს ღმერთებს გვისახელებს: „არმაზს, გაიმს და გაცის” და უმატებს, რომ ამასთანავე „ქართლოსის“ საფლავსა ჰლოცულობდნენ და ჰფიცავდნენო.

ძალიან ჭკუას ახლოა და ადვილად საფიქრებელი, რომ ლურსმულ წარწერილში მოხსენებული „ქალდი“, „ქალდისი“ იგი „ქართლისი“ იყოს, რომელიც მერე ბიზანტიის ზედგავლენით

---

* კორში.

„ქართლოსად“ გადაკეთდა და რომელიც ქართულმა მითოლოგიამ დაგვისახელა ქართველთა პირველყოფილ წინაპარად და რომელსაც ქართველნი მერეც თაყვანსა სცემდნენ, როგორც ჩვენი მატიანე გვაუწყებს. რასაკვირველია, ამ ჩვენს ნათქვამს, ჩვენს დაახლოვებას ჩვენის მატიანის „ქართლოსისა“ ლურსმულ წარწერილის „ქალდისთან“ უფრო ძლიერი დასაბუთება სჭირია და ჩვენ ძალიან შორსა ვართ ამას რაიმე უცილობელი მნიშვნელობა მივცეთ. ჩვენ აქ ეს ამბავი მოვიხსენიეთ მარტო იმისათვის, რომ ამ მხრით ყურადღება მიექცეს და ეს საგანი გამოძიებულ იქმნას ჩვენზედ უკეთ მცოდნეთაგან. შედარებითმა მითოლოგიამ აღმოაჩინა, რომ ეს მითად გადაქცევა მართალისა თუ მოგონილის წინაპარისა, — მთელს ქვეყნიერობაზედ შემჩნეულია. ტეილორი, ლებბოკი, სპენსერი და სხვანი ბევრს მაგალითს გვიჩვენებენ ამისას და იქამდინაც მიდიან, რომ მოგვითხრობენ დიდის წინაპარის, ანუ გმირის და სხვა გამოჩენილის კაცის უმაღლესს ღმერთად გადაქცევასაც. ამ სახით, დღესაც მონგოლები ჩინგის-ყაენს ღმერთად ჰხადიან*.

ასეა თუ ისეა, ორი სამეულნი ღმერთნი სჩანან ჩვენს პანთეონში, ერთი ასურელთა ეპოქისა და მეორე — მცხეთისა. აშკარაა, ეს სამეულობა ღმერთებისა ჩვენშიაც, როგორც ბევრგან სხვაგან, ჩვენის ადრინდელის სარწმუნოების გარკვეულს სისტემას მოასწავებს. უყურადღებოდ დასაგდები არ არის სამგვარი ცნობა ჩვენის მატიანისა ჩვენის უძველეს რჯულის შესახებ. ერთი ისა, რომ თავდაპირველად ქართველები ერთს ღმერთსა სცემდნენ თაყვანსაო და ეს, როგორცა ვნახეთ, ესეც

---

* ტეილორი: ანტროპოლოგია, გვ. 356; ლებბოკი: დასაწყისი ცივილიზაციისა; სპენსერი: სოციოლოგია, და სხვანი.

უნდა ყოფილიყო პირველ-დასაწყისში, ვითარცა კარიერი გვემოწმება საზოგადოდ, როცა პირველყოფილ სარწმუნოებაზედ ლაპარაკობს. მას მერმედ ქართველებს, ჩვენის მატიანეს სიტყვით, მრავალღმერთობა შემოუღიათ და ბოლოს ხომ კერპთმსახურება. არც ერთი ეს ცნობა არ ეწინააღმდეგება ისტორიულს დანასკვნსა მასზედ, რომ ყველგან ამ კიბით უვლია რჯულის განვითარებასა და წარმატებას. მესამე ცნობა, რომელსაც, ლენორმანის სიტყვით, ისტორიული საბუთი აქვს, — ეგ სამეულობაა ღმერთებისა, და ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, როცა ბოლონდელ დროშიაც სამეულს ღმერთებს იხსენიებს, მხარდამხარ უდგება ისტორიულს საბუთსა.

მეტად საინტერესოა გამოძიება იმისი, თუ რა მნიშვნელობის ღმერთნი არიან არმაზი, გაცი და გაიმი, და რას მოასწავებდნენ, მით უფრო, რომ ჩვენ, თუ არა ვცდებით, ზოგიერთ საბუთს წავაწყდით ამ საკითხის აღსახსნელსა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი წერილები უამისოდაც მეტად გრძელდება და ამიტომაც ამაზედ საუბარი კაცმა ცალკე სჯობს იქონიოს. ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ ჩვენის ღმერთების პანთეონში ბევრი სხვა ღმერთებიც მოიპოვებიან, მაგალითებრ „ბოჩი“. თეიმურაზ ბატონიშვილი ასე აგვიწერს ამის კერპსა:

„ბოჩისასა იტყოდეს ამას: ესხნენ შვიდნი ხელნი, რომლითაცა ხელმწიფებდა თვითოეულითა ხელითა მათ ყოველთა სხვათა მწვერვალთაგან შვიდთა მწვერვალთა კავკასიისათა და თვითოეულსა ხელსა მისსა აქვნდა თვითო ფერი ხელმწიფება მოფენად სარგებლობისა, წყალობისა, გინა რისხვისა*. ეგ

---

* ეს „ბოჩი დღესაც დარჩენილია ჩვენში, მაგალითებრ ქვემოიმერეთში დღესაც ბალღებს აშინებენ და ეუბნებიან, როცა გაჭირვეულების დაწყნარება სურთ,

სახედვეო, — უმატებს მერე თეიმურაზი, - შვიდნი ხელნი ბოჩისანი ნიშვნიდენ შვიდთა ნათესავთა თარგამოსიანთასა, ქართლოსისა და სხვათა ექვსთა ძმათა მისთა“.

უძველესნი ღმერთნი იყვნენ კიდევ ზემოხსენებულნი „გაცი და „გაიმი“, ანუ „გაისი“, თუ „გაასი“. გაცი კაცის სახის კერპი იყო, ოქროსი, ფეხ-მდგომარე, გაიმი კი — ვერცხლისა. ამათ გარდა, ჯერ კიდევ მამასახლისობის დროს, ყოფილა კერპი „ზადენი“, „აინინა“, „დანინა“ და ბოლოს „აფროდიტეც“ კი, რომელიც მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მითომ მეფე რევის ცოლს, სეფორს, ბერძნის ქალს, მოეტანოს საბერძნეთიდამ და მცხეთას აღემართოს. ფარნავაზ მეფის დროს ხომ უპირველეს ღმერთად, ჩვენის მატიანეს სიტყვისამებრ, შეიქმნა კერპი არმაზი, რომელიც ფარნავაზმა აღმართა და ჩააყენა არმაზის მთაზედ უძველესთა კერპთა — გაცისა და გაიმის შუა. არმაზის კერპი წარმოადგენდა ფეხზედ მდგომარე სპილენძის კაცს, ტანზე სცმია ოქროს ჯაჭვი, თავს ჰხურებია ოქროსავე ჩაფხუტი, სამხრენი და თვალნი ზურმუხტისა და ბივრიტისა ჰქონია, ხელთ სჭერია ხმალი „ელვარე და ბრწყინვალე“, რომელსაც კერპი იქნევდა თურმე აქეთ-იქით და „შიშითა მისისა მიმთხვევისა და სიკვდილისათა მის მიერითა არავინ განუკრძალველად შეეთხვეოდეს“.

სამწუხაროდ ჩვენდა, არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო გამოგვეცნა, — თვითოეული ღმერთი ამ პანთეონისა რის მომასწავებელნი არიან და რა აზრს, იდეას

დაჩუმდი, თორემ „ბოჩია მოდის, ბოჩიაო“. საკვირველი არა არის რა, რომ ძველთაგან დარჩენილი იყოს ეს საშინელი სახელი ძველის, ზოგჯერ მრისხანე ღმერთისა.

უწინდელის ქართველისას წამოადგენენ არ ვიცით საიდამ და თეიმურაზ ბატონიშვილი კი ზოგიერთს ნიშნებს მოგვითხრობს. მაგალითებრ, ერთს ადგილას ამბობს, რომ არმაზი ნათელისაგან შობილად იყო წამებულიო. იგივე თეიმურაზი გვაუწყებს, რომ მირიან მეფე წმინდა ნინოს სასწაულთმოქმედებას „იხილვიდა მცირედ ორგულებითაო“ და მოჰყავს საიდამღაც ამოწერილი მისი სიტყვა, წარმოთქმული წმინდა ნინოს წინაშე. ამ სიტყვისაგან სჩანს, ვითომც არმაზი და ზადენი იყვნენო ღმერთნი „სოფლის მპყრობელნი, წვიმის მომყვანებელნი, მზის მომფენელნი, ქვეყანით ნაყოფთა აღმომყვანელნი, გამომზრდელნი ქართლისანი“, ხოლო გაიმი და გაცი „ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნიო“.

აქ დაუჯერებელი არა არის რა. ვისაც შედარებითის მეთოდით უსინჯავს სხვადასხვა რჯულნი, რომელთა ცნობაც მეცნიერებას დღეს ხელთა აქვს, იმას ეცოდინება, რომ ძალნი სოფლის მპყრობელობისა, მზისა და ნათელის მომფენელობისა, წვიმის მომყვანელობისა, ნაყოფთა აღმომცენებლობისა და სხვა ამისთანა მოვლენისა გაღმერთებულნი იყვნენ ყველა ერისაგან მთელს დედამიწის ზურგზედ. ჯერ მინამ მეცნიერება თავის უტყუარის მცნებით არ მიჰშველებია ადამიანს გაგებად ბუნების მოვლენისა, ყველა ეს ძალი კაცის გონებისათვის მიუწვდომელნი და გამოუცვნელნი არიან. გონება კი ადამიანისა იმ თვისებისაა, რომ რა ხარისხზედაც გინდა იდგეს კაცი, — ველურია თუ განათლებული, — ყოველთვის წინ უდგა ამ მრავალფერ ქვეყანაში ჭირვეული საკითხი: საიდამ რაა და როგორ? ტეილორი ამბობს, რომ ესეთი საკითხები მარტო განათლებულის კაცის კუთვნილებას არ შეადგენს და ველურს კაცსაც ისე აეკვიატება ხოლმე, როგორც მეცნიერებით გონებაგახსნილსაო.

რაკი ესეა და ბუნების დიდნი მოვლენანი უმეცნო კაცისათვის გაუგებარნი არიან, მაშ რა ჰქნას ახლად

ფეხადგმულმა გონებამ კაცისამ, თუ მიზეზად ყოველ ამისთანა მოვლენისა არ იწამოს რაღაც ყოვლადშემძლებელი, უხილავი არსება და იმას არ მიაწეროს შექმნა და მოვლინება ყოველ იმისა, რის მიზეზი და სათავეც თითონ ვერ გამოუცვნია და ვერ მისწვდომია. აქედამ არის წარმომდგარი ის, რომ უწინდელ დროების ერნი, და ეხლაც ველურნი, ყველა ამისთანა მოვლენის ასახსნელად ცალკე ღმერთსა ჰქმნიან და ღმერთი ხომ ყოვლადშემძლებელია. მზე — ეს დიდებული მნათობი, ნათელის მომფენელი, სიცოცხლის მომნიჭებელი, მთვარე, ვარსკვლავი, ქარი, წვიმა, ჭექა-ქუხილი, ელვა თითონ ხეც კი, რომელიც ერთ ბეწო თესლისაგან, რაღაც დაფარულისა და გონებამიუწვდომელის ძალით, მრავალშტოიან უშველებელ საჩრდილობელად გადაიქცევა ხოლმე, — ყველა ეს განსაცვიფრებელი ამბავი უმეცნო კაცისათვის საიდუმლოებაა, დაფარული, უხილავი ყოვლადშემძლებელობაა და აქედამ დიდი მანძილი არ არის ამ უხილავის ძალის გაღმერთებამდე. სხვადასხვა რჯულთა, სხვადასხვა ერთა შედარება გვიმტკიცებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა თუ საგანში ცალკე მიუწვდომელი ძალა უგულვებია და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის მომასწავებლად, მიზეზად და დასაბამად. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ ამ შემთხვევაში ძალია საგნისა გაღმერთებული ხოლმე და არა თითონ საგანი. მაგალითებრ ძალი მზისა, რომელიც ნათელსა და სითბოს აფენინებს, და არა თვითონ მზე.

ამ ერთგზად სვლას ადამიანის გონებისას ერთსახის დასკვნაც მოჰყვებოდა და ამიტომაც ვხედავთ საოცარს მსგავსებას რჯულისას სხვადასხვა ერში, რომელნიც თავის დღეში ისტორიის გზაზედ ერთმანეთს არ შეჰხვედრიან. მსგავსება კი ისე გასაოცარია, თითქო ერთმანეთისაგან მიუღიათ,

ერთმანეთისათვის მიუბაძავთო მაშინ, როდესაც, როგორც სივრცით, ისეც ყოველისფრით ერთმანეთზედ მიუწვდომელად დაშორებულნი ყოფილან და არიან. სეისი, რომელიც თითონ სახელგანთქმულს სპენსერსაც კი ამისთანაებში მოწმად მოჰყავს, ამბობს, რომ სწორედ ეს გარემოება (დამოუკიდებლად მსგავსება) ამტკიცებსო, რომ ბუნება ადამიანისა, სემიტია თუ არიელი, ზანგია თუ თეთრი, დიდთავა თუ წვრილთავა, ყველგან ერთი და იგივეა; თუ გარემოებანი, რომელთ შორისაც ადამიანი ჰტრიალებს, ერთი და იგივეა, თითონ მათი შედეგიც ერთი და იგივე იქნებაო, ერთმანეთს ეგვანებაო. ამიტომაც გვანება, მსგავსება რჯულისა, ანუ ღმერთებისა, ყოველთვის არა ჰნიშნავს ერთის ერისაგან მეორის მიერ მიღებას. აქ შესაძლოა ერთმა ერმა თავისთავად ისეთივე რჯული შეიქმნას, როგორც სხვა ერმა, მსგავს ბუნებასა და გარემოებაში მყოფმა.

ამიტომაც ერთისა და იმავე თვისებისა და მნიშვნელობის ღმერთნი, ხოლო სახელების სხვაობით კი, ყველა ერში მოიპოვებიან. შედარებითი მითოლოგია საოცარის, მაგრამ უტყუარის საბუთებით გვიმტკიცებს ამას და მეტისმეტი კადნიერება არ იქნება ჩვენის მხრით, რომ ჩვენც თეიმურაზის სიტყვისამებრ, ესევე უწინდელის ქართველებში ვიგულვოთ.

გარდა იმისა, რომ ქართველთა კერპთმსახურება მტკიცდება იმისთანა უცილობელ საბუთით, როგორიც ლენორმანს მოჰყავს, ისიც დამტკიცებულად ჩასათვლელია, რომ ქართველებს სარწმუნოებური წესი, რიგი და სისტემა უნდა ჰქონებოდათ კარგად გარკვეული. უამისოდ ძნელად წარმოსადგენია კერპთმსახურება, რომელიც, როგორც უფრო რთული და განვითარებული რჯული, წესსა, რიგსა და სისტემას ითხოვს ლოცვისას, თაყვანისცემისას, მსხვერპლის შეწირვისას და მებრვე სხვას. თუნდ

ეგეც არ იყოს, თვით იგი ამბავი, რომ მაშინდელ ქართველებს საკერპო ტაძრები ჰქონიათ, მერე იმისთანა სატაძრო განძითა და ავეჯით, რომ თითონ ასურელთა მეფენიც კი ამაების მოტაცებასა და წაღებას ჰქადულობენ, პირდაპირ გვეუბნება ამ რიგისა და წესის არსებობას. რაკი ტაძარია, იქ ლოცვაც არის და მსხვერპლის შეწირვაცა; რაკი ლოცვა და შეწირვაა – იქ მღვდელმსახურებაც არის და რაკი მღვდელმსახურებაა – იქ მაღალ-დაბალნი, უფროს-უმცროსნი მსახურნიც არიან ტაძრისა თუ კერპებისა, და ნუთუ ყოველივე ეს უწესოდ, ურიგოდ და უსისტემოდ შესაძლებელია? ნუთუ ყოველ ამის ამსრულებელი რჯული წესსა და რიგში ჩაუგდებელი, სისტემაში მოუყვანელი უნდა იყოს?

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ თუ არ საკუთრივ მეათე საუკუნიდამ ქრისტეს წინათ, მეცხრიდამ მაინც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველების რჯული კერპთმსახურება ყოფილა ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე. ჩვენ ლებბოკი ვიმოწმეთ, რომ კერპთმსახურება ძალიან შორს გაცილებულია პირველდაწყებით სარწმუნოებისაგან და წარმოადგენს უფრო უმაღლესს ხარისხს რჯულის განვითარებისას და წარმატებისას, ვიდრე მნათობთა მსახურება და თაყვანისცემა. თუ ლებბოკის სიტყვას არ დაიჯერებს ბაიერნის ჩვენი ბრმად დამჯერი ავტორი „Письма о Грузии“–სა, კარიერი მაინც გადიკითხოს, ის კარიერი, რომელსაც ასე ხშირად თითონვე იმოწმებს ხოლმე თავის წერილებში. სხვებს აღარ ვიტყვით, იმიტომ რომ ჩვენი ავტორი ამისთანაებს ვერ ეწყობა, რადგანაც თავის პირველ წერილის 49 გვერდზე ამბობს:

,,Для этого понадобилось бы много кропотливого, скучного труда, к которому совсем не располагает Кавказ с его вечно-ясным небом и жгучим (აკი суровая იყო!!!) солнцем*, погружающим в сладкое far niente“.

იყოს ნება მისი მაგ „сладкое far niente“-ს შესახებ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ზემონაჩვენები გზა სარწმუნოების მსვლელობისა სრულებითაც არა სცოდნია ჩვენს ავტორს, თორემ როგორ იტყოდა, ვითომ მეათე საუკუნიდამ დაწყებული ქრისტეს წინათ ქართველებს პირველდაწყებითი რჯული ჰქონდათო, მაშინ როდესაც კერპთმსახურობა ჰქონებიათ, ესე იგი დიდად შორს გავლილი და წინ წასული რჯული. ლენორმანის მოკლე, მაგრამ დასაბუთებულ სიტყვიდამვე სჩანს, რომ იგი რჯული – გარკვეული, სისტემაში და წესში ჩავარდნილი ყოფილა და, თუ ჩვენი ავტორი თეიმურაზ ბატონიშვილსაც დაუჯერებს, მაშინ ხომ მთლად და დაწვრილებით შეიტყობს ამ წესისა და რიგის ამბავს. დავარწმუნებთ, რომ თეიმურაზი ამისთანაებში უფრო სარწმუნოა, ვიდრე ჩვენის ავტორის ბაიერნი.

მაშ რიღას პატრონი გვეუბნება და რამდენჯერმე გვიმეორებს, ვითომც ქართველებს ისეთი რჯული ჰქონებოდეთ, რომ მისი არც თავი იცოდნენ, არც ბოლო, ესე იგი, უწესო და ურიგო იყოო. აშკარაა, ამაშიაც ჩვენი ავტორი, погруженный в сладкое far niente, მართალს გაჰქცევია და ტყუილს გადაჰხვევნია. ამასა ჰქვიან ,,одним штрихом обнять”, რომელიც ჩვენმა ავტორმა ასე თავმოწონებით დაიქადა Новое Обозрение-ს ფელეტონში. დალოცვილს ბაჟს ხომ

---

* ეგ მაშინ იყო, როცა ჰსურდა ქართველების კაცისმჭამელობა დაემტკიცებინა, ეხლა კი, როცა თავისი უვიცობა უნდა შეგვაწყნარებინოს და შეგვანდობინოს, ის „суровая, горная природа” შეიცვალა, ცაც მოიწმინდა და მზეც გაფიცხდა.

არავინ ართმევდა, ორის штрих-ით სცდილიყო გაეგო რამ, რაკი მისი ერთი штрих-ი ასე ჰცულლუტობს ხოლმე და ამისთანა ხათაბალაში ჰხვევს. თუნდ მესამე штрих-იც ეშველია, რაკი ეგრე იყო, ვინ დაემდურებოდა, მაგრამ —

თუ კაცი თითონ არ არის,
რას არგებს მრავალ-штрих-ობა.

წერილი მეთორმეტე

ჩვენ ერთს წინა წერილში ერთი იმისთანა საქმე დაგვრჩა გამოსაძიებელი, რომელსაც, ჩვენის ფიქრით, რჯულის წესთანა აქვს კავშირი. ამიტომაც ჩვენ მისი გამორკვევა ვამჯობინეთ მაშინ, როცა ავტორს „Письма о Грузии"–სას ჩვენის უწინდელის რჯულის სათხრობლად გამოვიწვევდით. ეს საქმე შეეხებოდა სამთავროს საფლავებში ნაპოვნ ნაშთებს, რომელთა შორის ბაიერნმა იპოვა ვითომც ნიშნები ქართველების მიერ კაცისმჭამელობისა და მერე ხომ ჩვენმა ავტორმაც თავის მხრით დაასაბუთა ეს ქართველთა მიერ კაცისმჭამელობა სამთავროს სასაფლაოს ხანაში, რომლის სივრცე, ავტორის აზრით, იწყება მეათე საუკუნიდამ და თავდება მეორე საუკუნეს ქრისტეს წინათ.

არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ავტორი ჩვენს ლიტერატურას უკიჟინებს, კრიტიკა და შედარებითი მეთოდი მისთვის სრულიად უცნობიაო. ეს მართალია, ხოლო საბუთი გვაქვს ამის შემდეგ თვით ამისთანა მოკიჟინეს ვუგულვოთ ეგ კრიტიკაც და ეგ შედარებითი მეთოდიც. ეხლა ვნახოთ, რა ძალღონიერის კრიტიკისა და შედარებითის მეთოდის კაცი ყოფილა ჩვენი ავტორი, და ამ კრიტიკასა და

მეთოდს მართლა რაშიმე იყენებს, თუ ეს სიტყვები მისთვის მარტო თქმაა და არა ქმნა.

აი საიდამ გამოჰყავს ჩვენს ავტორს თავისი აზრი, რომ ქართველები სამთავროს სასაფლაოს ხანაში კაცისმჭამელები ყოფილანო. ბაიერნმაო, ამბობს იგი, დასინჯა რა სამთავროს საფლავები, განცვიფრდაო, რომ ადამიანის ძვლები ერთსა და იმავე საფლავში იმდენად არეულ-დარეული იყოო, რომ ერთი მთელი ჩონჩხიც კი (скелет) ვერ ამოიღოო. გარდა ამისა, ერთი საფლავის გვერდით ნაცარი ჰნახაო და იმ ნაცარში იპოვნა დამწვარი ძვლები ადამიანისა და იქავ ძვლები ხარისა, ცხენისა, ცხვრისა და ქათმისაო. თითონ საფლავებში არამც თუ მარტო ჩონჩხები თავისა ენახა შუაგაპობილი, არამედ ტანიცა, ასე რომ ზოგან ზედატანი ერთს საფლავში გამოჩენილა და ქვედატანი მეორეშიო. ,,ყოველ ამ გარემოებამაო, — უმატებს ჩვენი ავტორი, — ბაიერნი იძულებულ ჰყო ეგულვნა (предположить), რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი, არამცთუ კაცისმჭამელნი იყვნენ, არამედ მკვდრის ლეშსაც ხმარობდნენ საჭმელადა და როცა ლეში მოსჭარბდებოდათ, ბევრი უგროვდებოდათ, გადანარჩენს საფლავში ინახავდნენო''*.

ამ სახით, გამოდის, რომ ჩვენის ავტორის აზრით, ზოგიერთი საფლავი საკუჭნაოსავით უხმარიათ ადამიანის ლეშის შესანახავად, რადგანაც ხორაგად გამოსადეგი ყოფილა. სხვა რა აზრი უნდა ჰქონდეს ჩვენი ავტორის სიტყვებს:

,,Питались даже трупами и, когда трупов накоплялось много, прятали остатки их в гробницах".

ამისთანა ბრძნულად საფლავის გადაქცევა საკუჭნაოდ მარტო ბაიერნს და ჩვენს ავტორს თუ

---

* Сев. Вест., №2 გვ. 60.

მოუვა ფიქრად, თორემ სხვას არა გვგონია. ეს საკუჭნაოდ საფლავის გადაქცევა ახალი ამბავია მეცნიერებისათვის და, რადგანაც ჩვენის ავტორის „კრიტიკითა და შედარებითის მეთოდით“ არის აღმოჩენილი, დასაჯერებელიც უნდა იყოს. ამიტომაც სამართალი ითხოვს ამის აღმოჩენაშიაც პირველობა ჩვენს ავტორს დავულოცოთ. მეცნიერული განსჯა და ბჭობა გაგონილა და ამისთანა? გაგონილა ამისთანა სასაცილობა?!

ეგ კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ბაიერნი ქართველების მიერ ადამიანის ხორცის ჭამას გადაწყვეტილად არ ამბობს. იგი ამ ამბავს მგონიაობით გვაუწყებს. თითონ ჩვენი ავტორი ამ მგონიაობით გვიცხადებს ბაიერნის აზრსა: „Эти обстоятельства заставили Байерна предположить“—ო. თუმცა ესეა, მაგრამ ჩვენმა ავტორმა ბაიერნის предположение გარდაჰქმნა გადაწყვეტილ და უცილობელ ამბავად. იგი ამბობს:

„ჩვეულება მკვდრის ხორცის ფქვლეფისაო (пожирать) და ადამიანის შეწირვა კერპებისათვის შემოწმებულია ქართული მატიანესაგანაცაო... რომ სამთავროს სასაფლაოს ხანაში კაცისმჭამელობა არსებობდა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ უფროსერთს იქ ნაპოვნს ძვლებში, — ადამიანისაა, თუ პირუტყვისა, — სიმსუქნე, ესე იგი ტვინი (студень) არ აღმოჩნდაო; ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო ბაიერნი ეგულვნა (აქაც предположить) რომ ძვლები უხარშავთო*.

ამ აღსავალს კიბეზედ დამდგარი ჩვენი ავტორი უფრო და უფრო მაღლა ადის ბაიერნის

---

* Сев. Вест., №2 გვ. 61.

предположение-საგან. თავის მეორე წერილის 37 გვერდზედ იგი უფრო ძლიერ ასაბუთებს ქართველების მიერ კაცისმჭამელობას და ამ გზით, ბაიერნის „предположение“-თი დაწყებულს, ბოლოს და ბოლოს უეჭველ ამბავად ჰხდის. იგი ამბობს:

,,Суровая горная природа (Грузии) не легко покорялась человеку и часто в голодные годы им (грузинам) приходилось налагать руку на ближнего. Первыми жертвами становились, конечно, слабые – женщины и дети…“

აშკარაა, ჩვენი ავტორი თავის ოსტატს ბაიერნზედ უფრო შორს წასულა ამ შემთხვევაში: რაც ბაიერნს ეჭვით და მგონიაობით უგულვნია, ის ჩვენს ავტორს დაუსაბუთებია და უეჭველობის ტახტზედ დაუბრძანებია, ვითარცა გამორკვეული ჭეშმარიტება.

რადგანაც სათავე ჩვენის ავტორის დანასკვნისა ამ შემთხვევაში მაინცა და მაინც ბაიერნის ნათქვამია, სრულიად განუსჯელად, განურჩევლად, უკრიტიკოდ მიღებული მის მიერ, ჩვენ ჯერ გავსინჯოთ, – რამოდენად სარწმუნოა ეს თითონ ბ-ნი ბაიერნი საზოგადოდ და ქართველების მიერ კაცისმჭამელობის შესახებ საკუთრად. ბაიერნი უსათუოდ დიდი და შეურყეველი ავტორიტეტი უნდა იყოს, რომ ასე ბრმად აჰყვეს ჩვენის ავტორისთანა კაცი, რომელიც ვითომდა უკრიტიკოდ არაფერს იჯერებს, არაფერს ითვისებს. ვნახოთ, ამისთანა ავტორიტეტია ბაიერნი, თუ არა.

ბაიერნის წერილები, რომელთაც უკრიტიკოდ აჰყოლია ჩვენი ავტორი, გასინჯულია მეცნიერთაგან და ჯერ არც ერთი იმისთანა მეცნიერი არ გამოჩენილა, ჩვენის ავტორის გარდა, რომ ბაიერნის დანასკვნი და ნაბჭობნი შეეწყნარებინა და ყოვლად უსაფუძვლოდ არ ეცნა. ჩვენ წინათაცა ვსთქვით და არც ეხლაა მეტი გავიხსენოთ, რომ ჯერ თითონ რედაქციამ გერმანულ ჟურნალისამ, საცა ბაიერნმა თავის წერილები დაჰბეჭდა სამთავროს სასაფლაოს

შესახებ, საჭიროდ დაინახა ამ დანასკვნთა გამო პასუხისგება თავის თავისაგან აეხადნა და მთლად ბაიერნისათვის ეკისრებინა.

ყველასაგან არქეოლოგიის მცოდნედ ცნობილი გრაფი უვაროვი პირდაპირ აცხადებს, რომ ბაიერნის დანასკვნნი შეუწყნარებელნი არიანო*; ვ. გ. ტიზენჰაუზენი, რომელმაც ორჯერ გაარჩია ბაიერნის ნათქვამი და ნაწერი სამთავროს სასაფლაოს შესახებ, თითქმის სასაცილოდ იგდებს ბაიერნს. იგი ამბობს:

,,ჩემი აზრი შესახებ მცხეთაში ნაპოვნ ნაშთებისა და ბაიერნის უცნაურ დანასკვნთა მე წინათაც გამოვთქვი. მას შემდეგ უფრო დაწვრილებით შევიგნე ბაიერნის აზრები მცხეთის სასაფლაოს თაობაზედ მისის ორის წერილისაგან, რომელნიც დაბეჭდილნი იყვნენ 1872 და 1874 წ. გერმანულ ჟურნალებში*. ამ წერილებმა უფრო ცხადად დამანახვეს, რომ ბაიერნის დანასკვნნი და მოსაზრებანი სულ ერთიანად უღონონი და შეუწყნარებელნი არიან‘‘**.

აი რა სარწმუნო და ხელშეუხებელი ავტორიტეტი ყოფილა ჩვენის ავტორის ხელმძღვანელი ბაიერნი საზოგადოდ. საკუთრივ ქართველების მიერ კაცისმჭამელობის თაობაზედ აი რას ეუბნება არქეოლოგიური საზოგადოება ბაიერნს:

,,В обряде погребения Байерн усматривает из безпорядка, в котором встечаются кости, особое жертвоприношение людей и даже какие-то следы антропофагии. Между тем граф Уваров полагает, что безпорядок, в

---

* Взгляд на Мцхетский могильник, Труды Имп. Моск. Археолог. Общеста, т. X, стр. 10.

* აქ ტიზენჰაუზენი იმ წერილებს ასახელებს, რომელიც ჩვენს ავტორს მოჰყავს, როცა ბაიერნზედ ჰლაპარაკობს.

** იქავ: გვ. 59.

котором встречаются кости, может объясниться гораздо проще“[***].

გრაფმა უვაროვმა, რომელმაც თავის თვალით დასინჯა სამთავროს საფლავები და მერე ტიზენჰაუზენმა[****] ცხადად დაამტკიცეს, რომ ის საფლავები, საცა ბაიერნს რამდენისამე კაცის ძვლები ერთმანეთში არეული უნახავს, საოჯახო სამარხნი ყოფილან. ეს ყველაზედ უწინარეს იმითი მტკიცდება, რომ ყოველს ამისთანა საფლავს სახურავად სამი ქვა სდებია, ადვილად ასახდელი ერთმანეთზედ დამოუკიდებლად. ახალის მკვდრის ჩასასვენებლად ხან ერთს ქვას ახდიდნენ, ხან ორს ერთად, ხან სამსავეს, იმისდა მიხედვით, თუ რა ტანის მიცვალებული უნდა ჩაესვენებინათ. რა თქმა უნდა, ეს უიმისოდ არ მოხდებოდა, რომ ახალის მკვდრის გვამს წინათ დამარხულის ძვლები არ მიეწივ-მოეწია, არ აერივ-დაერია ერთმანეთში. გრაფი უვაროვი და ტიზენჰაუზენი ამითი ხსნიან იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე საფლავში რამდენისამე ადამიანის ძვლებია ერთმანეთში არეული. ასე ყოფილა ბევრგან სხვაგანაც და საკვირველი რად უნდა იყოს, რომ ჩვენშიაც ეგევე ყოფილა. ამის დასამტკიცებლად სხვა საბუთებიც მოჰყავთ ზემოხსენებულთ მეცნიერთ, ხოლო სიტყვის მოკლედ მოჭრისათვის ჩვენ აქ არ ვიხსენიებთ.

აშკარაა, ბაიერნს არავითარი საბუთი არა ჰქონია ამ გარემოებისაგან თავისი предположение გამოეყვანა და ჩვენს ავტორს კიდევ საფლავი საკუჭნაოდ გადაექცია. რაც შეეხება კაცისმჭამელობას, ეს ისე

[***] იქავ: გვ. 58.

[****] Труды четвертого археолог. съезда в России, т. I, стр. 53 и 54.

უღირსად დაინახეს უვაროვმა და ტიზენჰაუზენმა, რომ ყურიც არ ათხოვეს და ამის თაობაზედ ბაიერნს პასუხიც არ აღირსეს. თითონ ზემომოყვანილი სიტყვები: даже какие-то следы антропофагии გვიმტკიცებს, — რომ ეს აზრი ბაიერნისა თითქმის სასაცილოდაც არის აგდებული.

ჩვენს ავტორს რომ მართლა კრიტიკის გაგება რამ ჰქონოდა და ეს სიტყვა არ დაეხვია ხელზედ მარტო თავმოსაწონებლად და მარაქაში გასარევად, ესე ბრმად არ დაჰნებდებოდა იმისთანა ავტორიტეტს, როგორიც ბაიერნია. აბა, ამისთანა კაცი უკიჟინებს სხვას კრიტიკის არ ხმარებას! მოდით და ნუ იტყვით: სართი დასწრებისაო.

ეხლა გავუსინჯოთ მეორე საბუთი, საიდამაც ბაიერნსა და მის ამყოლს ჩვენს ავტორს გამოჰყავთ თავიანთი დასკვნა ქართველთა მიერ კაცისმჭამელობის თაობაზედ. ეს მეორე საბუთი დამწვარი ძვლებია — ადამიანისა თუ პირუტყვისა — ბაიერნისაგან ზოგიერთ საფლავების ახლო ნაცარში ვითომდა ნაპოვნი, და გამოვიძიოთ, — ეგ დამწვარი ძვლები, თუნდა ადამიანისაც, კაცისმჭამელობას მოასწავებს, თუ მეცნიერება საბუთს გვაძლევს სხვა რამ ვიგულისხმოთ.

შედარებითმა მითოლოგიამ გამოარკვია, რომ ყოველს ერს დედამიწის ზურგზედ თითქმის ერთნაირი გზა გამოუვლია სარჯულო ფილოსოფიისა და ამ ფილოსოფიას ერთნაირი, ერთგვარი ჩვეულება მოჰყოლია, ბოლოს წესად და რიგად გადაქცეული, ყველა ერს იმისთანა ხანა ჰქონია, როცა სიკვდილი ჰგონებია დროებითი განსვენება, მიცვალება, მიბარება და არა სამუდამოდ მოკვდომა. ეს რწმენა კაცობრიობას დღევანდლამდე შერჩა, ხოლო სხვა სახით. დღესაც გვწამს, რომ, როცა იქნება მკვდრეთით აღვსდგებით, მეორედ მოვალთ; აქედამ იმ დროს მეორედ მოსვლას ვეძახით. ეხლა გვწამს, რომ სიკვდილით სააქაოს ვშორდებით, პირველყოფილ

დროს კი სიკვდილს ისე უყურებდნენ, როგორც განგრძობას სააქაო ცხოვრებისას. ამასთანავე ეგონათ, რომ ადამიანი სიკვდილს შემდეგაც ისე სცხოვრობს, როგორც ცოცხლობის დროს, ისეთივე საჭიროება აქვს, ისეთივე სურვილი, ისეთივე წყენა და სიამოვნება, სიმშილი და წყურვილი*.

ეს ამისთანა გამოხატულობა სიკვდილის შემდეგ ცხოვრებისა, რასაკვირველია, ვალად დასდებდა ჭირისუფალთ თავის მიცვალებულისათვის ისე ეპატრონათ, ისე მოევლოთ, მისი ცხოვრება ისე მოეწყოთ, როგორც ცოცხლობის დროს. აქედამ არის წარმომდგარი იგი ჩვეულება, რომ მიცვალებულს თან გაატანდნენ ყოველ იმას, რაც სააქაოს იმისთვის საჭირო იყო, რაც უფრო უყვარდა, რაც უფრო ესიამოვნებოდა, რომ საიქიოს ცხოვრება არ გასჭირებოდა, და ყოველივე ის — ცოტად თუ ბევრად — ჰქონოდა, რაც სიცოცხლის დროს ჰქონებია. ამიტომაც, რაკი ოჯახში ვინმე მოკვდებოდა, უკეთეს ტანისამოსით მორთავდნენ, თან საფლავში ჩააყოლებდნენ იარაღს, სამკაულს, ხორაგსა, საჭმელ-სასმელს, საფლავზედ დაუკლავდნენ ცხვარს, ცხენს, ქათამს და სხვას ამისთანას, რომ ყოველივე ეს საიქიოს მოიხმაროს საჭიროებისამებრ. ყოველს ამას მიართმევდნენ მიცვალებულს, არამც თუ მარტო დამარხვის დროსა, დამარხვის შემდეგაც კიდევ დიდხანს ეგრე ჰპატრონობდნენ და ეს პატრონობა იქამდე მიდიოდა, რომ იმის კერძს საჭმელ-სასმელს არ მოაკლებდნენ ხოლმე და ზოგან ყოველდღე და ზოგან დროგამოშვედით ამ კერძს ცალკე

---

* სპენსერი: საფუძველნი სოციოლოგიისა; ლებბოკი. დასაწყისი ცივილიზაციისა; ტეილორი და სხვანი.

დასდგამდნენ, მიცვალებულის სული მოვა და შეექცევაო.

ზოგი ერია დღესაც, რომ სუფრიდამ ცალკე კერძს გადასდგმენ ხოლმე მიცვალებულის სულისათვის. ფიჯიელნი (ველური ხალხია) დღესაც ნაწილს ხორაგისას ცალკე გადისვრიან, როცა ჭამა-სმაზედ სხედან, რომ მიცვალებულის სული უნაყროდ არ დარჩეს. სპენსერს მოჰყავს მალკოლმი იმის მოწმად, რომ ბილახნი (ველური ხალხია) სასმელს ისე არავის არ უთავაზებენ, რომ თავი არ გადაუქციონ, ვითომდა მიცვალებულსაც ერგოს რამეო. სმიტი მოგვითხრობსო, ამბობს სპენსერი, რომ არაუკანელნი (ველური ხალხია) ყოველთვის სასმელს თავს გადუქცევენ ხოლმე და ყოველის საჭმლის ნაწილს ცალკე გადასდებენ მიცვალებული სულისათვის უწინარეს იმისა, მინამ თითონ ჭამა-სმას დაიწყებენო.

განა შორს არის ყოველს ამაზედ ჩვენი საკუთარი ჩვეულება, რომ მკვდრის ხსენებაზედ ღვინოს თავს გადავუქცევთ და ხან პურზედ დავაწვეთებთ, ხან მიწაზედ, იმისდა მიხედვით, ვდგევართ, თუ ვსხედვართ, და პური ხელთა გვაქვს თუ არა სმის დროსა. ეს ჩვენი ჩვეულება სწორედ იმ სათავიდამვე მომდინარეობს.

რომ ეს ასეთი რწმენა თითქმის ყველასა ჰქონია ერთს დროს, ამისი უკეთესი საბუთი იგია, რომ დღესაც ყველგან დარჩენილია ჩვეულებად სამკვდრო ტაბლა. როგორც ჩვენში, ისე ბევრგან სხვაგან, და სხვათა შორის ევროპაშიაც, დღესაც წელიწადში ერთხელ მაინც მიცვალებულს მიუტანთ ხოლმე სასაფლაოზედ ტაბლას ხორაგითა და სხვა სასმელ-საჭმელით. ჩვენი კოლიო, წანდილი, ქელეხი, მკვდრის სულისათვის საკლავის დაკვლა სხვა არა არის რა — გარდა იმისი, რომ ნაშთია იმ რწმენისა, ვითომც სული მიცვალებულისა არ მოგვიშივდესო და საზრდო მივაწოდოთო. ამ რწმენის ნიშნებს ბევრს სხვა ჩვეულებაშიაც იპოვის კაცი, თუ გონება გაადევნა.

გარდა ამისა რომ ჭირისუფალნი მიცვალებულის სულისათვის საჭმელ-სასმელსა ზრუნავდნენ, თავის თავს მოვალედა რაცხდნენ მიცვალებულის სულს ის მოწყობილობა არ მოაკლონ, რაც სიცოცხლის დროს ჰქონდა. ეგონათ, რომ მიცვალებულს სიკვდილის შემდეგ ყოველივე ის დასჭირდება, რაც სააქაოსა სჭირდებოდა. ამიტომაც, როგორცა ვსთქვით, სახმარს იარაღს, საყვარელს ცხენს, თუ ხარს ზედ დააკლავდნენ, ზოგან თან ჩააყოლებდნენ ხოლმე საფლავში. ამისთანა რწმენამ იმ საზარელ ჩვეულებამდე მიაღწევინა ადამიანს, რომ მიცვალებულის მოსამსახურეებს, მიცვალებულის ცოლს შიგ ჩააყოლებდნენ ხოლმე საფლავში იმ აზრით, რომ ყოველივე ეს იქაც დასჭირდებაო. სპენსერი, როცა ამ მკვდრისათვის საჭმელ-სასმელზედ და მოსამსახურეების თან ჩაყოლებაზედ ლაპარაკობს, გვეუბნება, რომ ორი მიზეზი იყო ამისთანა წესისა და რიგისაო: ერთი ისა, რომ საჭმელ-სასმელი არ მოაკლდეს მიცვალებულის სულსაო და მეორე ისა, რომ მოსამსახურე და ცოლი იქაცა ჰყვანდესო. ეს პირველ ხანებში სამარხი რიგი იყოო* და მერე თანდათან რჯულის წესად შეიქმნაო*. ბევრგან ჩვეულებად მიცვალებულის დაწვაც ყოფილა, პირდაპირ დამარხვის მაგიერ, ინდოელნი, ბუდის მოძღვრებისანი, სწვავდნენ მიცვალებულსა**.

არიელნი — კელტნიც აგრე იქცეოდნენ***. რა თქმა უნდა, დასწვავდნენ მიცვალებულისათვის თან გასატანებელსაც, — ადამიანი იქნებოდა თუ პირუტყვი. ლებბოკი ამბობს, რომ ეს დაწვა მიცვალებულისათვის

---

* spenseri: safuZvelni sociologiisa, gv. 282, 284.

** იქავ: გვ. 275.

*** კარიერი: გვ. 108.

გადადებულის მსხვერპლისა — ადამიანია, თუ პირუტყვი — ყველა ძველ რჯულში მოიპოვებაო. ეს წესი წარმოადგენსო აუცილებელს საფეხურს ყოველის რჯულის განვითარების კიბეზედაო. იგი გვარწმუნებს, რომ არც ერთი რჯული არ არის, რომ ეს გზა არ გამოევლოსო. ლებბოკიც თანახმაა სპენსერისა, რომ ეს წესი ჯერ სამარხი წესი იყოო და მერე რჯულის წესად გადაიქცაო, და იმ მიზეზთაგან წარმოსდგაო, რომელსაც სპენსერი გვაუწყებს, როგორც ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. ლებბოკი გვიხსნის, საიდამ წარმოსდგა ჩვეულება მკვდრისათვის გადადებულ შესაწირავის დაწვისა. იგი ამბობს, რომ ჯერ, რასაკვირველია, ეგონათ, მკვდრის სულნი მართლა სჭამენ შეწირულსაო და მერე, როცა არა ერთხელ და ორჯელ ჰნახეს, რომ შეწირული ხელუხლებლად რჩება და სულთაგან არ იჭმევა, აშკარაა, ის აზრი ებადებათ, რომ სულნი მარტო სულიერ ნაწილს შეწირულისას იწირვენო*.

აქედამ არის წარმომდგარი წვა შესაწირავისა, რომლის გამოც ხორციელი ნაწილი, სულთათვის უვარგისი, სრულად იწვის, და სულიერი კი, ბოლის სახით, მაღლა ადის, ვითომდა სულის სახმარად და სარგოდ.

იმავე გრძნობამ, იმავე მიზეზმა, რომელმაც ადამიანს ჩააგონა პირუტყვის შეწირვაო, ამბობს ლებბოკი, მიიყვანა ადამიანი შეწირვის უმაღლესს ხარისხამდე, ესე იგი კაცის მსხვერპლად შეწირვამდეო. იმ განვითარების ხარისხზედ, რაზედაც მდგარან ადამიანები პირველყოფილ დროს, ეს ამბავი იმოდენად ადვილად მისაღებია ადამიანის გონებისათვისაო, რომ ეს მსხვერპლად გაწირვა

---

* ლებბოკი. დასაწყისი ცივილიზაციისა, გვ. 263.

ადამიანისა ჩვეულებად ჰქონია ყოველს ერს მთელს ამ ქვეყნიერობაზედაო. ამის გამო სრულიად უსამართლო იქნება მივაწეროთ ეს ამბავი ადამიანის გამხეცებულობასაო. პირიქით, იგი გვანიშნებს ღრმასა და ღრმად გამსჭვალულს გრძნობას სარწმუნოებისას, მხოლოდ უკუღმართად და შეცდომილად მიმართულსაო.

მართლადაც, ეს შეწირვა ადამიანისა — წვითა, დაკვლითა, თუ ცოცხლადვე მკვდართან ერთად დამარხვითა, ჯერ სამარხის წესად ყოფილი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მკვდრის სულისათვის თან გასაყოლებელი, ესე იგი ჯერ სამკვდროდ დადებული და მერე რჯულის წესად, საღმრთოდ გადაქცეული, — ყველგან არის შენიშნული. კართაგენელთა, როცა დამარცხებულ იქმნენ აღათოკლესაგან სიცილიაში, დასწვეს შესაწირავად რამდენიმე ტყვე. ასურელნი ამისთანავე მსხვერპლს სწირავდნენ თავის ღმერთს ნერგალს. საბერძნეთშიაც ყოფილა ეს ჩვეულება, თუმცა ისე ხშირად არა, როგორც სხვაგან, რადგანაც ამისთანა წესი მათს მითოლოგიას ეუცხოებოდა. კლასიკური მწიგნობრობა ადამიანის მსხვერპლად წვას ბევრგან იხსენიებს. მაგალითებრ, პატროკლის დაწვას და მასთან ერთად ტროიანელ ტყვეებისას, ცხენებისას და ძაღლებისას. რომის ისტორიაში უფრო ხშირად შეჰხვდებით ამისთანა ამბებს თითქმის ბოლონდელ დრომდე. ცეზარმა ორი ჯარისკაცი შესწირა ღმერთებს. აგვისტოსმა შესწირა ერთი ქალწული ქალი, სახელად გრეგორია. ანტიოქიის ტაძრის განახლების დროს ტროიანემაც კი შესწირა ერთი სული.

ევროპაში ამ ჩვეულების მაგალითებს კარგა ხანის შემდეგაც ვპოულობთ. სკანდინავიაში ღმერთს ოდინს 893 წელს შესწირეს იქაურ მეფის შვილი. იარლმა გაკონმა შესწირა ღმერთებს თავისი საკუთარი შვილი. 993 წ. მეფე შვედებისა დომალდი დაუწვეს ღმერთს ოდინს შესაწირავად სიმშილის ასაცილებლად.

ტეილორი ამბობს, რომ ევროპაში, მას აქედ რაკი გადავარდა ცოლებისა და მოსამსახურეების თან გადაყოლება, ცხენის დაკვლა მიცვალებულის საფლავზედ და მიცვალებულთან ერთად მისი დამარხვა კიდევ დიდხანს იყო ჩვეულებადაო. ამისი მაგალითი ყოფილა ჯერ კიდევ 1781 წ. ინგლისში და ბევრგან სხვაგანაც. დღესაც მიცვალებულს უკან მიაყოლებენ ხოლმე ცხენსა. ეს ჩვეულება ჩვენშიაც არის დღეს: ამ შემთხვევისათვის ცხენს უკუღმა შეჰკაზმენ, ვითომდა მიცვალებულის უკან მოსაბრუნებლად.

ლებბოკის სიტყვით, ებრაელთაც ჰქონიათ ადამიანის მსხვერპლად გაწირვა დაწვითა, თუ დაკვლითა. ამ რჯულად ქცეულს წესს ისე შეუხურებია ადამიანის გონება, რომ ბევრგან არამცთუ შესაწირავს ადამიანს სწვავდნენ, თითონ თავის ნებითაც ცეცხლში ცვივოდნენ და ამრიგად გაიწირვიდნენ ხოლმე თავს. ეს იყო, ლებბოკის სიტყვით, ინდოეთში, ორსავ არაბეთში, საცა ყოველ დღე დანიშნულს დროს ადამიანს სწირავდნენ ღმერთად აღიარებულს ცეცხლს, და ზოგნი თითონაც თავის ნებით შიგა ცვივოდნენ და ამრიგად ღმერთს სწირავდნენ თავსა.

სლავიანებს, როგორც ბევრს სხვასაც, ჩვეულებად ჰქონიათ თან ჩააყოლონ, ანუ დასწვან მიცვალებულთან ერთად, იმისი ქონება, იმისი პირუტყვი, მოსამსახურეები, ცოლი. დუნაისპირელნი ბოლგარნი მიცვალებულთან ერთად ჰმარხავდნენ იმის ცოცხალს ცოლსა, მოსამსახურეებსა და ზოგჯერ სწვავდნენ მიცვალებულთან ერთად. ერთს მატიანეში აწერილია დამარხვა ერთის სოვდაგრისა ბოლგარიაში. მდიდრად მოსილი გვამი მიცვალებულისა დაუწვავთ და მასთან ერთად დაუწვავთ აგრეთვე იმისი მრავალი ქონება, ხორაგი, სანოვაგე, ძაღლი, ორი ცხენი, ორი ძროხა, ქათმები, მამლები და ახალგაზრდა მოახლე, დამარხვის დღეს დაკლული.

ყოველი ესენი რომ წავიმძღვაროთ და მივმართოთ იმ სამთავროს საფლავების ახლოდ ყოფილს ნაცარს, საცა ბაიერნს, ჩვენის ავტორის სიტყვით, უპოვნია დამწვარი ძვლები ადამიანისა, ხარისა, ცხენისა, ცხვრისა და ქათმისა, განა შორს ვიქნებით მართალზედ, ვიგულისხმოთ, რომ ქართველებსაც წესად და ჩვეულებად ჰქონიათ წვა მკვდრის საფლავზედ, ანუ მის ახლოდ, მსხვერპლისა — ადამიანისა თუ პირუტყვისა, ისე, როგორც თითქმის ყველა სხვა ერს იმ ადრინდელ ხანაში, რომელსაც ეკუთვნიან პირველის ორის რიგის საფლავნი სამთავროსი, რომლის ძველისძველობა ჯერ გამოცნობილი არ არის მეცნიერთაგან დაბეჯითებით და რომლის ზოგიერთი ნაშთი, ვირხოვის სიტყვით, მიეწერება კულტურას ორი ათასის წლისას ქრისტეს წინად. ეს არამც თუ საგულისხმოა, უეჭველიც უნდა იყოს, ნამეტნავად იმისათვის, ვინც ჩვენზედ უფრო დაწვრილებით ჩააკვირდება შედარებითს მითოლოგიას. ჩვენი ავტორი აბა ამ ჩაკვირვებისათვის რათ შეიწუხებს თავს მაშინ, როდესაც უბეში ჩასჯდომია იმისთანა ავტორიტეტს, როგორიც ბაიერნია. ამისთანაებში ჩვენი ავტორი მარტო ბაიერნს იცნობს და იმის წყალობით გამოდის. ამაზეა ნათქვამი: მითხარ, ვის იცნობ, გეტყვი, ვინა ხარო.

მეორე საბუთი ქართველების მიერ კაცისმჭამელობისა ხომ ის არის ჩვენის ავტორისაგან წარმოდგენილი, რომ ბაიერნმა სამთავროს საფლავების ადამიანთა ძვლებში ტვინი ველარა ჰნახა და აქედამ იგულვა, ვითომც იგი ძვლები უხარშავთო. თუ გავიხსენებთ, რომ იგი ძვლები ორი ათას წელიწადზედ ნაკლებისანი არ არიან, ავტორისავე სიტყვით, მაშინ ეს საბუთი უტვინოსათვისაც კი ყოვლად შეუწყნარებელი იქნება. ამოდენადვე შესაწყნარებელია თითონ ჩვენის ავტორის საკუთარი საბუთი, ვითომც მჭახე და მოუცემელი ბუნება საქართველოსი იძულებულ ჰყოფდა ქართველებს

სიმშილობის დროს ერთმანეთი ეჭამათ. ეს ისეთი საბუთია, რომელიც თავის-თავსვე აბათილებს, რადგანაც საქართველოს ბუნების აგრე ხსენებისათვის ჯერ საჭიროა კაცმა თვალები დაითხაროს და გრძნობიერება, ცნობიერება დაიხშოს. ამ ორსავ საბუთზედ, ჩვენის ავტორის მიერ გაფუებულებზედ, პასუხი უკვე მოვახსენეთ ჩვენს მკითხველს წინა წერილში და ხელახლად განმეორება თქმულისა მეტია.

ამ სახით, ჩვენის ავტორის მიერ მოქსოვილი და ბეჭედდაკრული კაცისმჭამელობა ქართველების მიერ — ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, თუ ამისათვის იმაზედ მეტს საბუთს ვერ გამოგვიჩხრეკს, რომელიც მას მოყვანილი აქვს თავის წერილებში. ვიმეორებთ, ჩვენ ამით იმის უარყოფა კი არ გვინდა, ვითომც ქართველებს ეგ საზარელი ჩვეულება ოდესმე არა ჰქონოდეთ. იქნება ჰქონდათ, როგორც ბევრს სხვას, მაგრამ ქართველების კარგად თუ ავად ხსენებისათვის რაკი დანახულია საჭიროდ ამისი თქმა და მერე დაჟინებითაც, სხვა საბუთებიც უნდოდა და არა იმისთანა უხერხულად მოქარგული, როგორც ავტორს და იმის წინამძღოლს ბაიერნს უნებებიათ. აქაოდა ღმერთს ჩემთვის მოუნიჭებიაო одним штрихом все обнять, და თითო მარცვლობით ასაკენკს, კრიტიკის ცხრილში გასაცხრელს ჩვენი ავტორი ნიჩბითა ჰხვეტს გაუცხრელად და გადაუნიავებლად. მართალია, ამისთანა ქცევას თუ შრომას მარტო ერთი ის ღირსება აქვს, რომ ჩქარია, მაგრამ ესეც კი საცოდნელია, რომ —

ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა.

[1889 წ.]

დამატება წერილებისა

აი ისტორია

წერილი მეშვიდე

ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი წარმოვუდგინეთ მკითხველს იმისი, თუ რა „ინტენსიურის" ცოდნით აკიდებული ბრძანებულა ჩვენი ბაქია და ტყუილად თავმომწონე ავტორი „Письма о Грузии"–სა. ეხლა შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რა სიბრძნისა, გონებაგახსნილობისა, რა მსოფლმხედველობის და ჭკუის პატრონი ყოფილა ჩვენი ჭკუააფრინე ავტორი. თუ სხვისა არა ჰღირსებია, სხვისაგან არა უსწავლია რა, თავისი საკუთარი მაინც ჰქონია რამე თუ არა, ყოველივე საამისო მაგალითი ერთი მეორეზედ უკეთესი მარგალიტია იმ გვირგვინში, რომელსაც ასეთის ბაქიბუქით და კორიანტელის აყენებით თავზედ იდგამს ეს ჩვენი ახლად გამომცხვარი გაბუებული მეცნიერი, როცა ჩვენს ძველისძველს კულტურაზედ ჰლაპარაკობს. აქაც იგივე ჰო და არა აქვს ერთსა და იმავე საგანზედ. რასაკვირველია, ეს კაი ხერხი და ოსტატობაა, რადგანაც ან ერთი გამოდგება მართალი, ან მეორე, თუმცა ზოგან კი იმასაც ახერხებს, რომ მისი არც ჰო იყოს მართალი, არც არა.

ჯერ გამოვარკვიოთ ავტორის დედააზრები მასზედ თუ, – კულტურა, ანუ ცივილიზაცია, სხვისა თუ

საკუთარი, როგორ და რა გზით შედის და მოქმედობს ერის ცხოვრებაში. აბა ამაზედ ავალაპარაკოთ თითონ ენაჭრელი და ენაპტყელი ავტორი. ბოდიშს ვიხდით, რომ ავტორის ნაუბარი რუსულად მოგვყავს, მიზეზს ვერიდებით, არ შეგვწამონ სიტყვების გადასხვაფერება. აი რას ამბობს ავტორი:

,,Под напором новой жизни, нового яркого духовного света, народ может скоро забыть старые былины и песни… Народ начинает обыкновенно в таких случаях стыдиться (?) своего темного житья и, спеша воспринять доступную ему внешность, отбрасывает прошлое со всеми его драгоценными сокровищами“*.

დაიხსომეთ აქ ნათქვამი და ნამეტნავად ის, რომ ავტორის აზრით, ერი მიიღებს ხოლმე მარტო გარეგანობას კულტურისას. ორს-სამს სტრიქონს შემდეგ ჩვენი გულმავიწყი მეცნიერი სულ სხვარიგად გადასთქვამს ამ ნათქვამსა, თითქო სხვას თავის მოპირისპირეს ალაპარაკებსო. იგი ამბობს:

,,Она (современная цивилизация) захватывает сразу (!) весь (!) уклад (!) народной жизни, неся могучие идеалы и… заставляя импонирующе ярко выступать современнось и тонуть во мраке прошлое“**.

აქ ხომ ჰხედავთ, ავტორი სულ სხვას ამბობს. სამის სტრიქონის წინათ მოგვითხრა, რომ ერი მარტო გარეგანობას კულტურისას გადაიღებს ხოლმეო. ეხლა კი გვეფიცება, გარეგან სახეს კი არა, ცივილიზაცია მთელ შინაგან-გარეგანობას (весь уклад) ერის ცხოვრებისას ძირიდამ თხემამდე ერთბამად შეიპყრობს ხოლმეო. ამ სახით სამის სტრიქონის მანძილზედ ჩვენს მეცნიერს ლოღიკა ვერ მიჰყვა და

---

* Сев. Вест., №2, გვერდი 51.

** Сев. Вест., №2, გვერდი 51.

დიდის ბაქი-ბუქით კი ჰლამის მთელს სამი ათასს წლის მანძილზედ ვითარება საქართველოსი განსჭვრიტოს ამ უღონო და ფეხმოკლე ლოღიკითა. აქ უღონობა ლოღიკისა იმოდენად საკვირველი არ არის, რამოდენადაც ასეთი გალაღებული გამბედაობა უმეცრებისა და ჭკვამოკლეობისა.

ეხლა ვკითხოთ ავტორს, — ვის და რას შემოაქვს ერის ცხოვრებაში ეს ყოვლადშემძლებელი იდეალები, რომლის მეოხებითაც ცივილიზაცია ,,сразу захватывает весь уклад народной жизни, заставляя импонирующе ярко выступать современность и тонуть во мраке прошлое". ამ საკითხების პასუხად სიტყვაჭარბი ავტორი აი რას გვეუბნება:

,,Как сильно встряхнула современность весь стародавний уклад грузинской жизни, ярко доказывается" და სხვანი და სხვანი*.

იმას ნულარ ვიტყვით, რომ ავტორი სხვა ადგილას გვეფიცება, ვითომც ქვეყანაზედ მარტო საქართველოს ერია იმისთანა, რომლის აწმყოშიც ისე ცოცხლად შენახულია წარსული, როგორც არსად**, და მაშასადამე, ან ეს ,,сильно встряхнула современность весь стародавний уклад грузинской жизни" უნდა ტყუილი იყოს, ან ეს ცოცხლად შენახულობა წარსულისა.

საქმე ის არის, რომ ამ ,,сильно встряхнула"-ს ბრწინვალე საბუთიც მოუპოვა ჩვენმა ავტორმა, რომელიც რასაც ერთგან ამბობს, ის მეორეგან ავიწყდება, თითქო ჯადოს რასმე შეუკრავს მისი ჭკუა და გონებაო.

---

* იქავ.

** იქავ, გვერდი 53.

ზემოხსენებულ ,,как сильно встряхнула“-ს წაიკითხავთ თუ არა, რასაკვირველია, იმას მოელოდინებით, რომ აი ავტორი ეხლა იმასაც გვიჩვენებს, რა იდეალებია ის ყოვლადშემძლებელი იდეალები, და იმასაც — თუ ვის და რას შემოაქვს იგინი და როგორ ,,захватывает современность весь уклад народной жизни сразу“, თურმე ნუ იტყვით, ყოველ ამ სასწაულების მომქმედი, ამ იდეალების შემომტანელი ,,შარმანკა“ და ქალაქის კინტო ყოფილა და სარბიელი მათი — მუშტაიდი და მიკიტნის დუქანი. თუ არა გჯერათ, წაიკითხეთ (51 გვერდი Сев. Вест. №2) სასაცილო მასხარაობა ავტორისა ამ საგანზედ. ჩვენში კი ითქვას და სამასხაროდ კი არა, საბრძნოდ მოჰყავს ავტორს ეს ცივ-ცივი ტყუილი და ჭკუაში მოუთავსებელი მაგალითი ცივილიზაციის გარედამ შიგნით შემოსვლისა. აი თურმე ,,შარმანკისა“ და კინტოს მეოხებით современность сразу захватывает весь уклад народной жизни, неся могучие идеалы და სხვანი და სხვანი. აი თურმე ,,შარმანკა“ და ქალაქის კინტო ყოფილა ავტორის ,,напор новой жизни, напор нового яркого духовного света“, რომელთა გამოც ერი მალე ივიწყებს თავის ძველ ზღაპარ-თქმულობას და ლექსებსა. მაგრამ ყოველივე ეს напор-ები, ეს сразу захватывает — გულმავიწყს ავტორს რამდენისამე სტრიქონის მანძილზედ აღარ ახსოვს, თითქო მისი ნათქვამი არ იყოს და ამიტომაც ახლა სხვას გვეფიცება. რაკი დაამტკიცა, რომ ,,შარმანკის'' და კინტოს მეოხებით ,,напор новой жизни, напор нового яркого духовного света“ მიაწყდება ხოლმე ერის ცხოვრებას, იგი განაგრძობს:

,,Так мало-по-малу (აკი сразу-ო !) современность в ея искаженных уродливейших формах“ (ვაი ყოვლადშემძლებელო იდეალებო ავტორისავ, ვაი яркий духовный свет-ო, რა მალე აგეგოთ ანდერძი!) подка-

шивает стародавний уклад и ничто не в силах побороть ея влияния და სხვანი*. როგორ მოგწონთ! ჯერ ხომ ცივილიზაციის გარეგანობა შეიპყრობს ხოლმე ერის ცხოვრებას. მერე გვეუბნება, გარეგანობა კი არა, ძლიერი იდეალები მოაქვს და ,,сразу захватывает весь уклад народной жизни, заставляя ярко выступать современность и тонуть во мраке прошлое“.

ბოლო კი გამოდის დიამც იყოსავით, რომ сразу კი არა, мало-по-малу современность в ея искаженных уродливейших формах подкашивает стародавний уклад. რაღა იქმნა ის современность-ი, რომელიც ,,сразу захватывает весь (!) уклад народной жизни, неся могучие идеалы?“ სად დაიკარგნენ ის ავტორის напоры? გზაზედ გაეფანტა ჩვენს ბატონსა. მაშ რა ექმნა? მძიმედ აკიდებულია ,,ინტენსიურის“ ცოდნით და სულ სად ეზიდნა ამოდენა ბარგი და მერე იმ სიდიდე მანძილზედ, როგორც ერთი სტრიქონიდამ მეორეა.

ნუთუ გგონიათ, ან ამაებზედ დასდგეს დიდხანს ავტორი. ნურას უკაცრავად. ავტორი არც ისეთი ჯიუტია, რომ სთქვას და აღარ გადასთქვას, თითქო გევუბნებოდეს, დიახ, მე კი ვიქნები, ერთი ვსთქვა და აღარ გადავსთქვაო, მაშ თავზედ ქუდი არ მხურებიაო. არაო, გვეუბნება იგი სხვა ადგილას, არც подкашивает, არც захватывает весь уклад народной жизни, და თუ ან ერთი, ან მეორე დამიჯერეთ წინათ, გთხოვთ ეხლა ნუღარ დამიჯერებთო. სულ ტყუილია ესენიო, რადგანაც:

,,Человеческая натура так пластична (ეს пластична რაღა ეშმაკი და ქაჯია!), что уступая во власть собы-

---

* Сев. Вест., №2, გვერდი 52.

тиям форму и внешность,… свято бережет заложенные в ней природою силы* და სხვანი.

თურმე ნუ იტყვით, ადამიანი მარტო ფორმით და გარეგანობით ემორჩილება საქმეთა ვითარებას და შინაგანად, ძირეულად კი ხელუხლებელად ჰრჩება. მაშასადამე, რაც ავტორმა წამოფქვა, ვითომც ცივილიზაცია сразу захватывает ანუ подкашивает весь уклад народной жизни, ტყუილი ყოფილა. ესეც მეოთხედ გადათქმა ერთისა და იმავე საგნის გამო. მოდით და ამ ოთხკეც ლოღიკას, ამ აბდაუბდას, ამ უმჭკვაობას მოჰკითხეთ, კულტურა რა ხილია. ან განა ამ მეოთხე გადათქმას გვაკმარებს ეს ჩვენი მეცნიერი! იგი თავის მეორე წერილის 44 გვერდზედ იმ აზრს გვიქადაგებს, ვითომც ცხოვრება ერისა, რაკი ერთხელ თავის ჩარჩოებში ჩაჯდა, შეურყეველია და ყოვლად შემძლებელი იმოდენად, რომ არამც თუ თითონ ელახვინებინება სხვის ზედმოქმედებას, არამედ თითონ ზედმოქმედობს სხვაზედ და იმორჩილებს**. ესეც ახალი ამბავი, მით უფრო რომ ამას საქართველოზედ ამბობს, რომელიც ავტორისავე სიტყვით, სულითაც და ხორცითაც ყოვლად უძლური იყო. თუ ყოვლად უძლურის ერის ცხოვრება ესე თავისშემნახველია და გამძლე, მაშ ის ზოგადი თეორია ავტორისა რაღაა, რომ გარედამ მოსული ცივილიზაცია сразу захватывает весь уклад народной жизни? მოდით და გაიგეთ, ამ ხუთში რომელშია მართალი პტყლა-პტყლად მოუბარი მეცნიერი. ესეც თქვენი ერთარსი სამება კი არა, ერთარსი ხუთება, რომელსაც ავტორი თავის თავით წარმოგვიდგენს,

---

* Сев. Вест., №3, გვ. 47.

** Сев. Вест., №3, გვ. 44.

თითქო ხუთთავიანი დევიაო. ჯადოღა იქნება ამაზე მეტი! კაცი ერთი იყოს და ერთსა და იმავე დროს ხუთნაირად გეჩვენოთ. ნუთუ ეს მეცხრამეტე საუკუნეს სასწაულად არ უნდა ჩაეთვალოს!

ეს დედააზრები ხომ ასე გარკვეული ჰქონია კულტურის და ცივილიზაციის ძალ-ღონის გამომძიებელს ამ ჩვენს ახლადმოზელილს ბოკლსა. ამის შემდეგ იგი გადადის ჩვენის ძველისძველ კულტურის თვითეულს ცალკე ელემენტზედ. არჩევს ენას, ძველისძველ სარწმუნოებას სახელმწიფო და სამმართველო აგებულობას, ერთის სიტყვით, ჩვენს სულიერს და ხორციელს ყოფა-ცხოვრებას. აბა ამაებში ვნახავთ ლაგამწამოყრილი ყოვლად მტკნარი უვიცობა რარიგ დოღს გაგვიმართავს და რა მანძილზედ გაჭენდება ამოუქშენლად. დაგვიჯერეთ, რომ ჩვენთან ერთად გაოცებულნი შესძახებთ ავტორს კიკნაძე-ბერის სიტყვებს:

,,შენ ვარდის კონავ,
დრამის წონავ,
რა მოგიჩმახავს!''

[1889 წ.]

წერილი მეთოთხმეტე

თუმცა პირდაპირ არ გვითქვამს, მაგრამ წინა წერილებიდამ ცხადადა სჩანს, — საით გადახრილა ჩვენი ავტორი „Письма о Грузии"–სა და საითკენ სჭიმავს თავის ზღაპრებით გაპოხილს ჭაპანსა. ორსავ წერილში ის თავიდათავი აზრი აქვს გატარებული, რომ ქართველებს თავიდამ ბოლომდე თავისი არა ჰქონიათ რა და სულ ყოველისფერი სპარსელების ნაწყალობევიაო. ჩვენ ხომ ვნახეთ, ჩვენი ავტორი რა სიმარჯვით მოახტა ზურგზედ თავის უბელო ,,вероятно"-ს იმის შესახებ, რომ ქართველებს ენაც კი სამეფო საქმეთათვის სპარსული უნდა ჰქონებოდათო.

ეხლა გვიმტკიცებს, რომ რჯულიც სპარსული ჰქონებიათო. იქნება ეგრეც იყო, მაგრამ ერთი გამოვკითხოთ რა საბუთებმა მიიყვანა ჩვენი ავტორი ამ დასკვნამდე.

აშკარაა, ჩვენის ავტორის დანასკვნის დასამტკიცებლად საჭიროა შედარება ქართველთა და სპარსთა რჯულისა. ამისათვის ერთადერთი სახსარია: ქართველთა და სპარსთა რჯულის ზედმიწევნილი ცოდნა. ჩვენ ხომ ვნახეთ, რა ცოდნის პატრონი ყოფილა ჩვენი ავტორი მსოფლიო ისტორიისა საზოგადოდ და საქართველოსი ცალკე, ამაზე უფრო ნაკლებ ქვეითი ყოფილა სპარსეთის შესახებ. ამას ეხლავ ვნახავთ.

იგი ამბობს, რომ ქართველები ცეცხლმსახურნი იყვნენო სამთავროს სასაფლაოს ხანაში, ესე იგი მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინათ. ეს შესაძლოა, ხოლო შეუძლებელია ეს ამბავი კაცმა გამოიყვანოს იქიდამ, საიდამაც ჩვენს ავტორს გამოჰყავს. იგი ამბობს, ცეცხლში დამწვარ ძვლებ შორის, რომელიც სამთავროს სასაფლაოზე იპოვა ბაიერნმა, აღმოჩნდა აბსიდიანის* ნატეხები. ეს აბსიდიანის ნატეხები ამტკიცებსო, გვეფიცება ჩვენი ავტორი, რომ მაშინდელ დროში მცხეთის მკვიდრნი ცეცხლმსახურნი იყვნენო**. მართალია, აბსიდიანის დანით ჰხოცდნენ უწინ საწირავს საკლავსა, მაგრამ ეს სრულობით საკუთარი ნიშანი არ არის ცეცხლმსახურებისა. საწირავის დაკვლა ერთია და ცეცხლმსახურება სხვაა. სხვა რჯულთა წესის აღსასრულებლადაც ჰხმარობდნენ და დღესაც ჰხმარობენ

---

* აბსიდიანი ერთნაირი ქვაა, ერთგვარის ტალისა. ამისაგან საჭრელს აკეთებდნენ უწინდელ დროში და იმითი ჰხოცდნენ შესაწირავს საკლავსა.

** Сев. Вест., №2, გვ. 61.

აბსიდიანის დანასა. მაგალითებრ წინადაცვეთისათვის*. მაშასადამე, აქაო და აბსიდიანის ნატეხები აღმოჩნდა სამთავროს სასაფლაოზე, აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ ამნაირის დანის მხმარებელნი ცეცხლმსახურნი ყოფილიყვნენ.

მეორე საბუთი ქართველების ცეცხლმსახურებისა ის არის, ავტორის ფიქრით, რომ ვითომც დღესაც ქართველები ცოდვად სთვლიან უწმინდურებით რითიმე წამურტლონ ცეცხლი. არ ვიცით, სად და რომელს მხარეს ჩვენში შეუნიშნავს ეს ამბავი ჩვენს ყოვლადმხედველს ავტორსა. ის მაინც არ უნახავს ავტორს, რომ ყოველ დიდ დღესასწაულის წინა დღეს ჩვენი ქართველი კაცი თავის ეზოს, სახლს მოჰგვის და ყოველს უწმინდურებას ერთს ადგილას დაახვავებს და მერე წაუკიდებს ცეცხლსა დასაწვავად. არ გვინახავს ჩვენ და არა გვგონია სხვასაც ვისმე ენახოს, რომ ცეცხლს აგრე მოწიწებით და სასოებით ექცეოდნენ ჩვენში, როგორც ავტორს მოსჩვენებია. თუ კერაზედ ცეცხლს პატივსა სცემენ, ეგ პატივი კერას ეკუთვნის და არა ცეცხლსა, იმიტომ რომ კერას გარე მძოვრსაც კი არ არიდებენ ჩვენში ცეცხლსა.

ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ არა გვჯეროდეს, რომ ქართველები ერთს დროს ცეცხლმსახურნი ყოფილიყვნენ. ეს აზრი არამცთუ შესაწყნარებელია, უსათუოც უნდა იყოს, როგორც შემდეგ ვნახავთ. ხოლო ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ ავტორს უსაბუთო საბუთები მოჰყავს ამის დასამტკიცებლად.

რაკი ჩვენმა ავტორმა დაამტკიცა, რომ ქართველნი ცეცხლმსახურნი ყოფილან, აქედამ იქ გადავიდა, ვი-

---

* სპენსერი.

თომც ცეცხლმსახურება სპსრსეთისაგან აქვნდათ მიღებულიო, იმიტომ რომ სპარსელები ცეცხლმსახურნი იყვნენო.

განა სპარსელების მეტს სხვა არავის გაუღმერთებია და არა სწამებია ცეცხლი? მეცნიერთა სიტყვით ცეცხლმსახურება მეტად გავრცელებული და თითქმის მთელს ქვეყნიერობაზედ მოფენილი საყოველთაო რჯული ყოფილა. ცეცხლმსახურება ისე ხშირიაო, ამბობს ლებბოკი*, რომ თითქმის მთელის მსოფლიოს რჯულად ჩაითვლებაო... არა ყოფილა არც ერთი ქვეყანა, ცოტად მაინც ცნობილიო, განაგრძობს იგი, რომ ეგ ცეცხლმსახურება რჯულის წესად არ ჰქონებოდესო. მისის სიტყვით, ეგ მსახურება წესად არ ჰქონიათ აზიაში ებრაელთა, ქალდეველთა, ფრიგიელთა, ლიკიელთა, მცირეაზიელთა, სპარსთა, მიდიელთა, სკვითთა, სარმატთა, ყველა ერს პონტოისას და კაპადოკიისას, ინდოეთისას და ორსავ არაბეთისას. აფრიკაში ჰქონებიათ — ეგვიპტელთა, ეთიოპელთა, ლივიელთა, ატლანტიელთა; ევროპაში — რომაელთა, იტალიელთა, ბერძენთა, ისპანიელთა, გალიელთა, ძველ პრუსსიელთა და სხვათა. ამერიკაში თითქმის ყველგან შენიშნულია ეგევე, ასე რომ თვით ველურთა შორისაც გავრცელებულიაო. რასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ ეგ რჯული ჩვენშიაც ყოფილიყოს.

ესე ერთმანეთზე დაშორებულ ერთა შორის ერთისა და იმავე წესის არსებობა ცხადად გვიმტკიცებს იმას, რომ ცეცხლმსახურება შესაძლოა რომელსამე ქვეყანაში თავისითაც დაფუძნდეს, ერთმანეთის მიუბაძველად. ვსთქვათ, ჩვენმა ავტორმა არ აღირსა

---

* დასაწისი ცივილიზაციისა, გვ. 227 და შემდეგი.

ეს თავისთავობა ქართველებსა და რასაც ველურებში ვპოულობთ, იგი ჩვენთვის მიუწვდომელად სცნა. მაგრამ აქედამ მაინც ის არ გამოდის, რომ ცეცხლმსახურება სპარსელებისაგან მიგვეღოს. პირველი ესა, რომ თითონ ავტორი გვარწმუნებს, ვითომც ცეცხლში არამცთუ ადამიანებსა ვწვავდით, არამედ ადამიანის ლეშსაც. თუ ჩვენს ავტორს სპარსელების რჯულის ცოტა რამ გაგება ჰქონოდა, სწორედ ამ ამბავს უნდა დაეჯერებინა, რომ ჩვენ ცეცხლმსახურება სპარსელებისაგან არ უნდა გვქონოდა გადმოღებული. დღეს ბავშმაც კი იცის, რომ სპარსელნი ისეთის სასოებით ეპყრობოდნენ ცეცხლს, არაფერს მიაკარებდნენ. მკვდრებს არცა ჰმარხავდნენ, დედამიწა არ წავმურტლოთო და არცა ცეცხლში სწვავდნენ, ცეცხლი არ შევაგინოთო. მკვდარს ხეზედ დასდებდნენ, ან ჩამოჰკიდებდნენ ფრინველთა შესაჭმევად. ვებერი ამბობს, რომ სპარსელნი ისეთი პატივისმცემელნი იყვნენ ცეცხლისაო, რომ ჰშიშობდნენ, ამოსუნთქულის ჰაერითაც არ წაებილწებინათო. ამისათვის ცეცხლთან ხელსახოცით პირაკრულები მიდიოდნენ, ვითომ ხელსახოცი სუნთქვას დაიჭერს და ცეცხლს არ მიაკარებსო.

ახლა იფიქრეთ, ცეცხლმსახურება ქართველებისა რაში ჰგვანებია სპარსელებისას, როდესაც პირველნი ცეცხლში სწვავდნენ ადამიანის გვამსა, თუ ლეშსა და მეორენი სუნთქვასაც არ აკარებდნენ, არ წავბილწოთ ცეცხლიო. მარტო ეს მაგალითი საკმარისი იყო, რომ ავტორს ქართველების ცეცხლმსახურება სპარსთაგან გადმოღებულად არ მიეჩნია.

[1889 წ. 2 აპრ-29 ივლ.]

წ ე რ ი ლ ე ბ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რ ა გ ი ნ დ ა-რ ა ზ ე

/წერილი პირველი/

პატივცემულო თადეოზ!

მრავალი კოკა წყალი ჩაივლიდა ავლაბრის ხიდს ქვეშ მას შემდგომ, რაც მე შენთვის წიგნი არ მომიწერია, ჩემო პატივცემულო თადეოზ! მართლაცდა, ამ წელიწადნახევარში ბევრი რამ მოჰხდა ქვეყანაზე, მრავალი რამ გამოიცვალა საპოლიტიკო ასპარეზზედ. მაგრამ პოლიტიკას თავი დავანებოთ, მე და შენ რა გვენაღვლება, რომ მილან ობრენოვიჩი ტახტიდგან ძირს ჩამობრძანდეს, თუ გინდ თანჯურეთის სულთანი, ან რა შესაწუხარი იქმნება თქვენთვის, რომ ბისმარკს კარგი და ლაზათიანი სურდო შეხვდეს, ჩვენთვის ის არის სამჯობინო, რომ ჩვენს გარშემო მივიხედ-მოვიხედოთ.

როგორც გეტყობა ჩემო თადეოზ, სიბერე მოგერია და ქალაქში აღარ ჩამოდიხარ ისე ხშირად, როგორც უწინდელს დროში, თორემ ბევრს ცვლილებას ჰნახავდი ჩვენს თბილის ქალაქში. აქ დარწმუნდებოდი, რომ ჩვენს თავადაზნაურთა, მეტადრე იმათ, ვისაც რკინის გზა დასამხარად აქვსთ, ქალაქი თავისი სასტუმრო გაუხდიათ. წამდაუწუმ არბიან და ჩამორბიან განა თუ მარტო, არამედ

მთელის ჯალაბით. ერთსა ვკითხე ამისი მიზეზი და იმან მიამბო, რომ სოფელში ვეღარც ჩვენა ვძლებთ და ვეღარც ჩვენი ცოლ-შვილიო. გამოგვიცხობენ ორიოდე კვირის საგძალსაო, დავხოცამთ ქათამ-ინდოურებსაო, ამის შესაფერ ღვინოსაც ტიკებით თან გამოვიყოლებთო და მივდივართ ქალაქში დედა-ბუდიანათო. აქედან გამოდის, რომ ვითომ ჩვენი თავადაზნაურნი სოფელში მიდიან მხოლოდ საზაფხულოდ.

რას აკლებს ამნაირად ცხოვრების გამოცვლა ჩვენ მეზობლებს ან რას ჰმატებს, მე ამას შორიდგან ვერა ვხედავ და შენ კი ზედმიწევნით გეცოდინება, მართალია უწინდელს დროშიაც ჩამოდიოდნენ ქალაქში ჩვენი დიდი კაცები ჯიბის დასაბერტყად, მაგრამ ეს მგზავრობა ჰშვენოდა იმათა, ვისაც ბლომად გლეხკაცები ჰყვანდათ და ამათი მონაგარ ფულის შენახვა ძალიან ამძიმებდათ. ეხლა კი ღარიბებსაც კი ქალაქში ვხედავთ და სწორედ გითხრა, მე, როგორც ხამად ჩამოსულს ადამიანს, თვალში მეჩოთირება.

ალბათ, ამისთანა მგზავრობა ახლად შემოღებულია მართლადაც, სადაც კი სამხიარულო და გასართობს ადგილებში მიხვალთ, სავსე არის ხალხით და ამ ხალხში ჰხედავთ სოფლელ ხალხსაც თავის ჯალაბით. როგორც ზემოდ მოგახსენეთ, უწინდელს დროში გაწუწკებული სოფლელები ,,კოტრების გასტინას“ არა შორდებოდნენ და ახლა კი მეჯლისებში და თეატრებში ფუტკარივით ირევიან. ცხადია, ასე გართობილი ხალხი ქალაქის მრავალნაირს შექცევაში სოფლის ცხოვრებასა, ჯაფასა და ყაირათს ვეღარ გაუძლებს და გულგაქსუებული შეიქმნება. უბინადრო ქალაქის მედუქნეებსაც ეს უნდათ.

ამავენაირი გრძნობა სწვევიათ ჩვენს მეზობელ თათრებს, თუმცა უფრო მცირედ, ვიდრე ქართველებს, ამ მიზეზით ქალაქი ძალიან აჭრელებულია, დიდს

ცვლილებაში არის, დიდი არეულდარეულობა, ვინ გინდა, რომ აქ არ არის, რომელი მილეთის ხალხი გინდა, რომ აქ არ იპოვებოდეს. რა ენას არ გაიგონებ, როგორც შინ, ისე გარეთ. რა ხმაურობა და ღრიანცელია: ერთი აქეთ გარბის, მეორე იქით მირბის. აქ ფაეტონებს გააქვს საშინელი ხრიალი ამ ქვებით მოკირწყლულს ქუჩებში, იქ ცხენის რკინისგზის ზარის რეკა და კონდუქტორების სტვენა, ამათშივე ურევია ცხენოსნები, ურმიანები, საკუთარი ეტლები, აქ ეჩრებიან: ვირი, ჯორი, აქლემი, ცხენიანი, ქვევითი, ერთის სიტყვით გასაკვირველი ხმაურობა და ჟივილ-კივილია. ამათი მოძრაობა არ ჩაფერხდება მთელი დღე და ღამე. უწინდელს დროს ეს ამბავი სად იყო.

აბა ეხლა წამოდგეს ის მოშაირე თათარი, რომელსაც უთქვამს:

თიფლისნ ბარი, ბარი ჩაჩან დაგესტანდა დეგულ
ბაქი დარბანდ შემახია, ყიზლარ აშტარხანდა
დეგულ
ჰოი მარაჰათ სალმასტ, თავრიზ, თეირანდა დეგულ.

ან ის ქართველი მესტვირე, რომელსაც დაუწერია:

ნეტარ ქება როგორ ითქმის ამ ტფილის
ქალაქისაო,
ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ზურმუხტისაო
და სხვ.

მაგრამ სოფლელ ადამიანს, რომელიც, შეჩვეულია მშვიდობიანს ცხოვრებას, რად მოსწონს ეს ცხოვრების მორევი, სადაც ერთმანეთს ჰგლეჯენ და სწეწენ, ერთი ერთმანეთს არ უსვენებენ, რად იზიდავს ამისთანა დაუდეგარი და მომღალავი ცხოვრება, ეს საფიქრებელია, როგორ არ შეაძულებს სოფლელს კაცსა ის საძაგელი მილის წყალი, ის

უგემური ფშნის წყალი, რომელიც პირში არ ჩაიშვება, ის გამოუცხვარი (სიმძიმის გულისათვის) პური, რომელიც ადამიანს პირში ეგლისება აყალო მიწასავით; ის მრავალნაირად შეღებილი ღვინო, ინჯური კახურად მონათლული, ყიზლარული დამპალი ღვინო ოჯალეშად გადაქცეული, ხაშმური ცოლიკაურად და სხვ. ამას არაფერს დასდევენ, ოღონდ ქალაქში კი იყვნენ.

მე კი, როგორც ხამს კაცს, სწორედ მოგახსენო, ძალიან გამიჭირა საქმე, მომეტებულად უწყლობამ. შენ, ჩემო თადეოზ, ძალიან გაგიკვირდება ეს ჩემი სიტყვა და იფიქრებ: მტკვარი ხომ არსაით გადუგდიათო. არა, მტკვარი აქ არის, მაგრამ... მაგრამ წაიკითხავდი კი, რასაც გაზეთებში სწერდნენ ქალაქის საჩივარს ფშნის წყლის გამოყვანისათვის. მე, სწორედ მოგახსენო, ტყუილი მეგონა გაზეთების საუბარი. ეხლა კი დავრწმუნდი, რომ აქ გამოყვანილს მილებით წყალს სრულებით გემო არა აქვს. ვაი შენს მტერს მისცემია, რა დღეც მე დამადგა: მწყურიან, მივალ გრაფინკასთან დასალევად და ფერი მაგონებს, რომ ეს მტკვრის წყალი არ არისო, ის ტკბილი წყალი, რომელსაც უწინ ვსვამდით. ჩავყარე ამ მილის წყალში სოდა და არ გაიხსნა. სწორედ სამი დღე მედგა ჭიქით სოდა და აქაფებულს საპონსა ჰგავდა მაშინ, როდესაც სოდა კარგს წყალში გაიხსნება ნახევარ წამში ისე, რომ ვერც კი შეატყობ, სოდა ჩაგიყრია თუ არა. შემთხვევით რიყეზე ვიყავი ერთს მოსარეცხესთან, იმან შემამჩივლა, რომ მილის წყალში სარეცხის გარეცხა არ შეიძლებაო, რადგანაც საპონი არ იხსნებაო, ამის მიზეზით მტკვარის პირასა ვდგევარო და მტკვრის წყალსა ვხმარობო.

ვისაც ბევრი უვლია სოფლად, როგორც მე, ეცოდინება, რას ეძახიან ქართველები ფშანსა და თათრები ყარა-სიუსა (შავი წყალი). ზოგიერთს წყლის ნაპირებზე და მოშორებითაც ბევრჯელ, ვსთქვათ მტკვრისა, ივრისა, აქსტაფისა, ძეგამისა,

შამხორისა და სხვაგან მრავალგან, მგზავრი შეხვდება წყაროსა, რომელიც მიწიდგან ამოდის ჩუხჩუხით. ბევრგან ამისთანა წყაროები (განჯის მხარეს) იყრიან ერთად თავს და შეადგენენ ისეთს დიდროვან მდინარეებს (მაგალითად ყარა-ბულაღი), რომ დიდის გაჭირებით თუ გახვალ შიგ ცხენით. საკვირველის თვისებისაა ეს წყლები. შეხედულობით ფერი აქვს კარგი, გლდნის წყალზედაც უკეთესი, ცივია ზაფხულში და პირველში არ გაწყენს, ცუდს გემოს ვერას შეამჩნევ, მაგრამ ხუთი დღე რომ სვა ეს წყალი, ხუთის თთვის ციებას შეგყრის. ეს ამბავი ადგილობრივ მცხოვრებლებს აქვსთ შენიშნული და არა სმენ ამ წყალს. 1855 წ. მე, ჩემის ამხანაგებით და მხლებლებით, ისე დაგვხადა ამ ფშნის წყალმა იორის ნაპირზე, რომ ცოცხალმკვდრები წამოგვიღეს იქიდგან. სულ კი 10 დღე ვსვით ეს წყალი.

თუმცა ეს ჭეშმარიტია, მაგრამ აქამდე ჯერ არავის გაუსინჯავს ეს ფშნის წყლები და არაფერი არა დაუწერია რა. მე მაინც არაფერი არა წამიკითხავს რა ამ საგანზე. ამ წყლებს არ მიუპყრია ექიმების ყურადღება იმისათვის, რომ ალბათ ჯარები არა ხვდება ამისთანა მავნებელს წყლებს და განგებ კი ვინ წავა ამის გამოსაძიებლად. ეს კი მაქვს შენიშნული, რომ ფშანი ქვემოდ ქვეყნებში უფრო მავნებელია, ვიდრე ქართლ-კახეთში. მე ასე მგონია, ქალაქში გამოყვანილი წყალი არის ფშანი და არა წმინდა წყარო და ამასთან ალბად შიგ ერევა რამე სხვა წყალიცა და მავნებელს თვისებას ცოტაც არის აკლებს.

როგორც მოგახსენე, ჩემო თადეოზ, ქალაქის ხალხი ამ ბოლოს დროს ძალიან გამოიცვალა. უწინ ღვინის დაძალება იცოდნენ და ახლა გეუბნებიან: გინდა თუ არა ფშნის წყალი სვითო. რათაო, კითხულობენ ყველანი, ამისათვისაო, იძახიან ქალაქის მმართველები: რომ ფშნის გამოყვანაში დიდძალი ფული დაგვეხარჯაო. აი, კარგი მასპინძლები:

თვალწინ მტკვარი ჩამოუდიოდეს ადამიანსა და ფშნის წყალი კი სვას სხვის შეცდომისათვის.

გადაიხედონ მთას იქით, აი ამ კავკავში, სადაც თერგი დაულევიათ ჩვენის დედაქალაქის მმართველებს და იქ ჰნახავენ იმავე ბ-ნ კონრადის გამოყვანილს წყალს და იმასაც კერძო კაცის ფულით. ნახევარ წელიწადი მაინც თერგი ისეთი ტურტლიანი და მღვრიე მოდის, როგორც კუპრი, მაგრამ ეზოებში მილის წყალი აქვსთ წმინდა, ანკარა, გემრიელი, ასე რომ სმით ვერ გაძღება ადამიანი. თუკი იქ კუპრის ფერი წყალი იწმინდება, განა მტკვრის წყალს კი ვეღარ გასწმენდდა იგივე კონრადი? ან სად არის იქ ძალდატანება? ვისაც სურს, მილის წყალსა სვამს და ვისაც უნდა, პირდაპირ თერგიდგან მოაქვს, ამისი მოდავიდარაბე არავინ არის. იმას კი ნუ იფიქრებთ, რომ ამ თავისუფალ ვაჭრობით მილის პატრონი ზარალობდეს, — იმდენი წყალი იხარჯება, რომ მაშინა ვერ ასდის და ამის მიზეზით დიდ მაღლობზე გააკეთეს დიდი აუზი, რომ ღამე, როდესაც უფრო ცოტა იხარჯება წყალი, იმ აუზში მოაგროვონ და დღისით დააკმაყოფილონ მსურველნი. აი ასე უნდა საქმის დაჭერა და არა ძალადობით. მაგრამ იტყვიან: ზოგიერთი ფათერაკი ბედნიერიაო, იქნება ფშნის წყალმა ზოგიერთს ღენდერა მედუქნეებს მუცელი დაუპატარაოს!

ჩემო თადეოზ, სხვაც ბევრი ახირებული ხასიათები დაუჭერია ჩვენს დედაქალაქს. ქადების მაგივრად ბლინები შემოულიათ, იაღლო აღარავის ახსოვს; დო-შეჭამანდი წამლადაც არ იშოვება; ხაჭაპურისა და კუპატების სახელი სულ დავიწყებიათ; მშვენიერი ბოზბაში, ჩიხითმა და ზარბაბის ლობიო სადღა არის. ჩვენი ნაზი ბარიშნები ცხვირაწევით ამოჰკვრენ ხოლმე თითს ლობიოსა და კითხულობენ ფრანციზულად „სე ტენ ლობიო“. ფიჩხულსა და ხრამულს ვინღა შეიტანს სახლში, ვისი საკადრისია, და თუ გაბედეს, მაშინ თუ

ფქვილში არ გაგანგლეს და ისე არ მოსწვეს, ვერ მიირთმევენ. მრგვალ დედალს დანაყილ-დაბეგვილს ხორცს ამჯობინებენ, ხაშს, – ნემენცურ სუფს, ქუფთა ბოზბაშს, – ბორშჩსა და სხვ. კახურს და ნემენცურ ლუდს /პივოს/ მოსდით დიდი ჩხუბი, არ ვიცით, ვის დარჩება მეიდანი. თუ ბორშჩმა აჯობა ჩიხირთმას, რა გასაკვირველია, რომ ლუდმა აჯობოს ღვინოს, მით უმეტესად შესაძლოა ეს, რომ ქერის მოყვანა უფრო ადვილია ვენახების გაშენებაზე.

ალბად ყველა ეს დამოკიდებულია ჩვენის ქვეყნის მდებარეობაზე. წარსულს დროს რომ გავადევნოთ თვალყური, მივხვდებით, რომ ყოველთვის საქართველო ყოფილა ასპარეზი ყოველის ვარჯიშობისა... ამჟამად ევროპიდგან წამოსული სწავლა და ჩვეულება, გამოვლილი რუსეთზე, ისევ საქართველოში ჰპოვებს სამჯობინო ასპარეზს. აზიულმა ჩვეულებამ კავკასიის მთისა და შავ ზღვას ვერ გადაატანა, ევროპელებსაც სამაჰმადიანო უდგას წინ, ასე რომ ჩვენში უნდა დატრიალდეს ყოველი ახალი შემოღება. მაშინ როდესაც საქართველოში ისეთნაირად ფესვი გაიდგა თეატრის წარმოდგენებმა, რომ სოფლებშიაც კი იმართება ხოლმე დროებითი სცენები, დაათვალიერეთ და ნახეთ, რომ თათრებს ჯერ სიზმრადაც არა სჩვენებიათ; სომხებმაც, მთელს აზიაში მცხოვრებელთა, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოახერხეს სცენის გამართვა. არც ერევანში, არც ბაქოში, არც ყარაბაღში, სადაც მრავალი სომხობა სცხოვრობს, არა აქვსთ სრულებით წარმოდგენა, თუ რა არის თეატრი. რისგან წარმოსდგება ესა? იქიდგან, ვეჭვობ, რომ სომხები, ქართველთა გავლენის ქვეშ მყოფნი და მათთან ერთად მცხოვრებელნი უფრო ქართველობენ, ვიდრე თითონ ქართველები. ჩვენი ხალხი ძალიან ადვილად სცვლის თავის ჩვეულებასა და მიიღებს ხოლმე, რაც მოეწონება. ბევრიც რომ იწიწინოს ჩამიშკიანმა, რაც უნდა ბევრი ცილი დაგვწამოს, არც ერევანში, არც შემახში და არც

ვინმე სომხურს თეატრს ვერ გაჰმართავდა და არც დაებადებოდა სუნდუკიანცი. იმ ქვეყანაში, სადაც ჯერ დედაკაცს პირზე რიდე ვერ მოუშორებია, იქ, სადაც დედაკაცი ცხადად კაცს ხმას ვერ გასცემს, რა თეატრი უნდა გაიმართოს და ან ვინ ეწვევა იქ თეატრს, სადაც ქორწილში წასვლისა სცხვენიათ. ამათზე უარეს მდგომარეობაში არიან თათრები, რომელნიც მთელს კავკასიაში თითქმის მომატებულს მცხოვრებლებს შეადგენენ. ისე მაგრადა დგანან თავიანთ ჩვეულებაზე, რომ ევროპიულს არაფერს უშვებენ სახლში.

ქართველებსა და სომხებს, მცხოვრებლებს საქართველოში, თუ დაეყვედრება რამე, მხოლოდ ისა, რომ ძალიან დაამჟავეს საქმე, თავისუფლების წრეს გადავიდნენ. ან იქნება 50 თუ 60 წელიწადი, როდესაც ჩვეულებრივი თავდაცულობა იყო. ჩვენსავე ხსომაში ჩვენმა მანდილოსნებმა ჯერ აისხნეს პირის რიდეები, მერე მოიხადეს ჩადრები, თან გააყოლეს ქათიბები, შემდგომ მოიშვლიპეს თავები, რადგანაც ძალიან ამძიმებდათ თავის დახურვა და მრავალმა მათგანმა დაივიწყა საშობლო ენა ისე, რომ ქართულად რომ ელაპარაკებოდე, ის სხვა ენაზე გელაპარაკება. არ არის ეჭვი, რომ ბევრი არაფერი არა გაფუჭდება რა ასიოდე ადამიანის ყრანტალით, თუმცა ოჯახები აქვსთ ძალიან აჭრელებული. ღმერთმა დამიფაროს, რომ ამ არეულდარეულობაში მარტო ქალები გავამტყუნო, ჩვენ, კაცები, უარესნი ვართ... აქ მხოლოდ ის არის შესანიშნავი, რომ მანდილოსანნი, როგორც ძალიან მიმღებნი ყოველის ახალის შემოღებისა, უფრო მალე გადაუდგნენ თავიანთს ჩვეულებას. გარემოებისაგან ქვეშმოტანილებსა და მოსრესილებს ასეთი არეულ-დარეული ცოლ-შვილი ჰყავთ, რომ შვილს მამისა არ ესმის და მამას შვილისა. მამა ლაპარაკობს ქართულად, დედა რუსულად და შვილი ფრანციზულად. მოდი და გაიგე რამე ამათი, სწორედ

ბაბილონის გოდოლის აშენების დროსაც უთუოდ ასე იქნებოდა. ხალხის შთამომავლობაც ჩვენს თვალწინ ირევა და ამისი თვალის გადევნება ძალიან სანუკვარი იქნება მომავლის დროის მეცნიერთათვის. ამ არეულ-დარეულ ოჯახების სიები რომ შესდგეს, მეცნიერებს დიდს შეღავათს მისცემს.

როგორც მაგალითს მოგახსენებ, ჩემო თადეოზ, ამბავს ჩემის ნაცნობებისას და შენ კი გამოიცანი მათი შთამომავლობა:

1) ქმარი არის მამით ებრაელი და დედით პოლონელი.; ცოლი არის მამით ოსი და დედით ჩერქეზი. ვინ იქნება ამათი შვილი?

2) ქმარი არის მამით ქართველი, დედით რუსი; ცოლია მამით რუსი და დედით სომეხი, ვინ იქნება ამათი შვილი?

4) მამა არის მამით პოლონელი და დედით რუსი; დედა არის მამითაცა და დედითაც ქართველი. ვინ იქნება ამათი შვილი?

5) ქმარი არის მამით რუსი და დედით სომეხი; დედა არის მამით ნემენცი და დედით – რუს-ქართველი. ვინ იქნება ამათი შვილი?

ან ვინ იქნებიან შთამომავალნი მაშინ, რომ პირველის ოჯახის შვილმა ვაჟმა შეირთოს მეხუთე ოჯახის ქართველი და ამათ შთამომავლობიდგან ქალი მიეთხოვოს მეორე ოჯახის ვაჟსა?

ჯერ ეხლავე ვერ გამოგვიცვნია, თუ რომელის თემისანი იქნებიან ზემოდ მოყვანილი ოჯახის შვილები და რას გამოიცნობს ის ჭკვიანი მეცნიერი, რომელსაც ათასის წლის შემდეგ მიუტანენ ამათს გამოხრულს თავის ქალასა, სკვითია, თუ სარკინოზია. ვაი, თუ ის თავი რომელიც ბაიერნმა ამოთხარა მცხეთაში და გაგზავნა პარიჟში, ამნაირივე შერეული გვართტომის კაცი იყო და ფრანციზულმა მეცნიერმა სკვითის თავად მიიღო.

აი, ჩემო თადეოზ, ბევრჯელ სწავლულნი იქამდისინ დარწმუნებითა სჯიან საგანსა და იქამდის

თითონვე სჯერათ თავის სიტყვა, რომ ტყუილად ნურავინ უწინააღმდეგებს. ან რას უზამ, რითი დაუმტკიცებ წინააღმდეგს, როდესაც ის არის ავტორიტეტი და შენ არაფერი, ის ლაპარაკობს ისეთს საგანზე, რომელიც შეეხება ათასის წლის ამბავსა. წადი და შეამოწმე, მართალია თუ ტყუილი.

[1889 წ. 4 აპრილი]

გზადაგზა და სხვათაშორის

ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი წარმოვუდგინეთ მკითხველს იმისი, თუ რა "ინტენსიური" ცოდნა ჰქონია ისტორიისა ავტორს „Письма о Грузии"–სას. ეს არ იკმარა გალაღებულმა ავტორმა და ერთი ორიოდე მაჩთი-მალაყი კიდევ გადავიდა „Новое Обозрение"-ს ფურცლებზედ, თითქო ლიტერატურა საართურმო მოედანი იყოს. ჩვენ თავს არ გავუყადრებთ და ყურს არ ვათხოვებთ იმ ყოვლად უზრდელობას და უწმაწურობას, რომლითაც თავდაუჭერელმა ავტორმა ააავსო თავისი ორი უღირსი ფელეტონი, იმიტომ რომ ესეთია გადაუვალი ბუნებური კანონი: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების" და „ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობს". არც იმ სახელ-უწოდებელ ტყუილს გამოვუდგებით, ვითომც „audiatur et altera pars" ჩვენ წესად არა გვქონდეს მიღებული. შესაძლოა ამით ვინმემ იფიქრა, — იქნება თითონ „Новое Обозрение"-ს რედაქციამაც, — რომ ვითომც თავისი პასუხი ავტორს ჩვენს რედაქციაში მოეტანოს და ჩვენ დაბეჭდვის უარი გვეთქვას. ეს სინიდისის საქმეა და დეე საკუთარმა სინიდისმა ამხილოს ამისთანა კადნიერი მომგონი აშკარა ტყუილისა.

ჩვენ მარტო მის უთავბოლო სიბრძნეს ჩავუდგებით კვალში და ორიოდე ბრწყინვალე მაგალითს კიდევ

წარმოვუდგენთ მკითხველს იმისას, თუ სადამდე მივა ხოლმე ლაღი კადნიერება თავმომწონე და თავგასულ უმეცრებისა.

ჩვენ ჩვენს წერილებში ვსთქვით, რომ მოსე წინასწარმეტყველი, შლოსსერის სიტყვით, გარდაიცვალა 1480 წ. ქრისტემდე. როგორც თქვენ, ისეც შლოსსერი სტყუითო, გვიბრძანა ამაზედ ავტორმა და ჩვენდა გამტყუნების საბუთად წარმოგვიყენა სიტყვები ვებერისა:

,,Возвращение израильтян из Египта (около 1300 г.) оттеснило хананейские племена на узкое побережье".

ამ სიტყვებით აფრთოვანებული ავტორი ,,Письма о Грузии"–სა რაღაც უცნაურის ლოღიკით განაგრძობს:

,,Нужна-ли еще ссылка на то, кто именно, Моисей, или кто другой вывел израильтян из Египта? Сравните-же после этого дату Вебера 1300 г. с нашею датою – 1311г. и с его (фельетониста Иверии) датою по Шлоссеру – 1480 г., и скажите, не фарс-ли его поход против нас. В том то и дело, что Вебер не календарь, его нужно знать и уметь им пользоваться"¸(Новое Обозрение № 1847).

ჩემი რა გითხრა, გული რით დაგწვაო, სწორედ ეს არის. თითონ ვერ გაუგია ვებერის თქმული და სხვას კი უკიჟინებს, არ გესმითო. ვებერის თარიღი ეკუთვნის ერთს ამბავს, რომელიც ავტორს სულ სხვა ამბავში აურევია. ვებერი უჩვენებს თარიღს ისრაელთა პალესტინაში მისვლისას და ჩვენს ავტორს კი ეგვიპტიდამ გამოსვლის თარიღად მიუჩნევია. განა ისრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდამ მოსეს დროს და პალესტინაში მისვლა ისუ-ნავეს დროს ერთი და იგივე ამბავია, ან ერთისა და იმავე თარიღისა? აბა ერთი მეორე კლასის შეგირდსა ჰკითხოს ავტორმა, რა პასუხს მიიღებს. დღეს ბალღმაც კი იცის, რომ ამ ორს ამბავს შორის მთელი ორმოცის წლის ხანაა ისრაელთა უდაბნოში ყოფნისა, სულ ცოტა რომ

ვსთქვათ, ბალღმაც კი იცის, რომ მოსემ ვერ მიაღწია პალესტინამდე და ისრაელთა მისვლამდე გარდაიცვალა, და ჩვენს თავმომწონე ავტორს კი ყოველივე ეს ჯერ არ შეუტყვია. ვებერი ამბობს ისრაელთა პალესტინაში მისვლაზედ და ავტორს კი ეს ამბავი ეგვიპტიდამ გამოსვლად ჩასწვეთებია ყურში. წაკითხულის გაგება გინდათ და ამისთანა! მოდით და ამის შემდეგ ავტორს მისვე სიტყვებს ნუ მიუბრუნებთ:

Вебер не календарь, его нужно знать и уметь им пользоватся и когда он говорит о возвращении израильтян в Палестину,следует понимать это в смысле возвращении израильтян в Палестину, а не исхода их из Египта, ибо между этими двумя совершенно различными событиями лежит почти целый полувековой период странствования евреев по пустыне.

თუნდ ეგეც არ იყოს: ჩვენც შეტყობილი გვქონდა, რომ მოსეს გარდაცვალებას ზოგნი 1480 წელს ამბობენ, ზოგნი 1475 წელს, როგორც ნემზერი, რომლის ებრაელთა ისტორია გამოვიდა 1888 წ., ზოგნი – 1350 წელს. ჩვენ მივიღეთ თარიღი შლოსსერისა, რომელსაც ნემზერის თარიღთან მარტო ხუთი წელიწადი აქვს თაბაუთი, უამისოდ ჩვენის ავტორისათვის უნდა შეგვეწამა არცოდნა გამოთვლისა (вычитание). აი რა საბუთით ვამბობთ ამასა:

ზემოხსენებულისაგან სჩანს, რომ ავტორს ეხლა ჰსურს მოსეს აღსასრულის თარიღად მივიღოთ 1300 – 1311 წელი. დავუთმოთ ეს ჩვენს ავტორს. ხოლო რას გვეტყვის იგი, როცა მოვაგონებთ, რომ თავის პირველ წერილში (Сев. Вест., გვერდი 56) მოგვითხრობს, ვითომც მოსეს შემდეგ გადისო კიდევ რვაასი წელი (ზოგან ათასსაც ამბობს) იეზეკილამდე, რომელიც, ავტორისავე სიტყვით, მეშვიდე საუკუნეში სცხოვრებდა. გამოსთვალეთ 1300 – 1311 წლებიდამ რვაასი წელიწადი – ათასს აღარ ვიტყვით – და განა ძირს მეშვიდე საუკუნე დარჩება? აბა, ერთი თითებ-

ზედ იანგარიშოს ავტორმა. ჩვენ მიერ ჩვენებულ თარიღიდამ კი სწორედ მეშვიდე საუკუნე ჰრჩება. მა-შასადამე, ჩვენ არ უნდა გვეფიქრა, რომ ავტორი შლოსსერის თარიღს ჰგულისხმობს, ან უნდა შეგვე-წამა, რომ თითებზედ თვლაც არა სცოდნია. ჩვენ პირველი მივიღეთ სახეში და თავაზა და ხათრი გავუწიეთ ავტორს. ჩვენ არ გვინდოდა თითებზედ თვლის არცოდნამდე დაგვექვევითებინა თავმოწონებული ავტორი, დაწაფებული „დიდს წყაროს ცოდნისას და ნათელისას“.

ეხლა კი თითონ ავტორს სამჯობინაროდ დაუნახავს თითებზედ თვლის არცოდნა იკისროს, ვიდრე შლოსსერს დაუჯეროს, ეგ მისი ხელშეუხებელი ნებაა. ჩვენ კი ამ შემთხვევაში მოსეს გარდაცვალების თარიღად თუნდ დღევანდელ დღეს მივიღებთ, როგორც სალმანასარის ცხოვრების თარიღად ავტორს მიულია მეცხრე საუკუნე ქრისტეს შემდეგ (Сев. Вест., №2, გვერდი 63) მაშინ, როდესაც იგი მერვე საუკუნეში იყო ქრისტეს წინათ. ამ სახით, ყოვლადშემძლებელმა ავტორმა მკვდრეთით აღადგინა იგი თითქმის 1700 წლის მერმეთ. ეხლა ჰნახეთ, რა მალაყს გადადის ჩვენი ავტორი მცხეთის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობის გამო. ჩვენ ჩვენს წერილებში ვსთქვით, რომ ავტორს მცხეთა გადაუტანია და დარიალის ხეობის შესავალში დაუბინავებია. ეს იმ საბუთითა ვსთქვით, რომ ავტორი (Сев. Вест., №2, გვერდი 37) გვეუბნება: ვითომც Ксеркс –,,позаботился укрепить Мцхет, резиденцию старшего Мамасахлиса Грузинского, расположенную у входа в Дарьялское ущелье“.

დააკვირდით ამ სიტყვებს და გულზედ ხელის დადებით გვითხარით, სცოდნია მცხეთის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა თუ არა ავტორს. ჩვენ, რასაკვირველია, ვუთხარით ავტორს, რომ არა სცოდნია. ეხლა უყურეთ, რა პასუხს იძლევა იგი

ამაზედ ,,Новое Обозрение”-ს № 1859-ში. თქვენ რად გიკვირთო, რომ მე მცხეთა დარიალის ხეობის შესავალში მდებარედა ვსთქვიო; თქვე საწყლებო, სტრატეგიისა არა გაგეგებათ-რაო; განა არ ამბობენო, რომ:

,,Смоленск для Наполеона был ключем к Москве, Мец – ключ для немцев к Парижу, а Герат является ключом к Индии“.

მითამ რა გამოდის აქედამ? რა ვუყოთ, რომ სმოლენსკი „ключ”-ია მოსკოვისა, მეცი — პარიზისა და ჰეირათი — ინდოეთისა! აქედამ განა ის გამოდის, რომ სმოლენსკი მოსკოვის შესავალში მდებარეობს, მეცი — პარიზისაში და ჰეირათი — ინდოეთის შესავალში? განა ავტორმა არა სთქვა — მცხეთა დარიალის ხეობის შესავალში მდებარეობსო და აქ „ключ“-ების ჩხარაჩხური რა შუაშია. ნეტა ვის დასცინის ავტორი? თავის თავს, თუ ,,Новое Обозрение“-ს მკითხველებს? ღვთის გულისათვის, ერთი გვიამბეთ, — რა უგავთ ერთმანეთს — Мцхет расположен у входа в Дарьялское ущелье და Смоленск ключ к Москве, Мец – ключ к Парижу, а Герат - к Индии? პირველ შემთხვევაში საუბარი გეოგრაფიულ მდებარეობაზეა და მეორეში — სასტრატეგო ადგილზე, ფიგურულად ნანიშნზედ. პირველ შემთხვევაში გეოგრაფიული ადგილმდებარეობაა, მეორეში სტრატეგიული მნიშვნელობა ადგილისა. დავანებოთ ამასაც თავი, ცოტა ხანს დავუჯეროთ ავტორს, რომ, რადგანაც ამბობენ სმოლენსკი „ключ“-ია მოსკოვისა და მეცი — პარიზისა, ამიტომაც მეც შემიძლიან ვსთქვაო, რომ Мцхет расположен у входа в Дарьялское ущелье, — ეს სულ ერთი იქნებაო.

ხოლო ავტორის სიტყვით, სმოლენსკი ხომ ნაპოლეონისათვის იყო „ключ”-ი მოსკოვისა და მეცი — გერმანელებისათვის — პარიზისა. მცხეთა თუ „ключ“-ია დარიალისა, ვისთვის? თითონ

ქართველებისათვისვე განა! აბა მცხეთიდამ სხვა ვინ გააღებდა, დარიალს და თუ სხვა ვინმე გააღებდა — მადლობა ღმერთსაც — ჩვენგან გასასვლელად გააღებდა და თავიდამ მოგვშორდებოდა.

ჩვენ გვახსოვს ლორის მელიქოვზედ გრძელი წერილები და იქიდამ დიაღაც შეტყობილი გვაქვს, რომ „Новое Обозрение“-ს კარგი სტრატეგოსები ჰყავს და, მაშასადამე, სტრატეგიის შესახებ ყველაფერი, მის ფურცლებზედ ნათქვამი, სახარების სიტყვასავით უნდა დავიჯეროთ. მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ ამ შემთხვევაში გავბედავთ ჩვენი აზრი ვიქონიოთ. ვინ არ იცის რომ, სტრატეგიის თვალით, შესანახი და დასაცველი რომელისამე ქვეყნისა მისი სატახტო ქალაქია, და „ключ“-ი, ესე იგი ჩვენებურად — კარი, მისი გარეთი ნაპირებია.

ვის არ გაუგონია, ჩვენის ავტორის მეტს, რომ კარს გარედამ შემოსვლის შიშით აბმენ და არა შიგნიდამ გასვლის შიშითა. მცხეთა ხომ სატახტო ქალაქი იყო, ავტორისავე სიტყვით, და სასტრატეგიო ლოღიკა ითხოვს, რომ თუ სადმე „ключ“-ია, სატახტო ქალაქის მიღმართ უნდა იყოს, როგორც სმოლენსკია მოსკოვის მოღმართ, მეცი — პარიზისა და არა მოღმართ როგორც მცხეთისათვის დარიალია. აბა ერთი მაგალითი გვიჩვენოს ავტორმა მთელს ქვეყნიერობაზედ, რომ სატახტო ქალაქი სადმე კარად, ანუ ავტორის „ключ“-ად გაეხადნოს ვისმე, რომელისამე სანაპირო ადგილისათვის.

აი ავტორმა, „Новое Обозрение“-ს ავტორიტეტობის წინამძღოლობით, რომ მოსკოვი სმოლენსკის „ключ“-ად გადააქციოს, პარიზი — მეცისად და მერე რომ მცხეთაც დარიალის „ключ”-ად გარდაქმნას, კიდევ ჰო: კაცი ამას მაინც იტყოდა, აქ მცირეოდენი ძაფი მაინც არის ლოღიკისაო, თუმცა ამ ძაფზე გამონასკული სტრატეგია კი მაინც ბედაური ტყუილი იქნება. იმისთანა სტრატეგია, როგორც

ავტორმა მცხეთის თაობაზედ გამოაჩინა და „Новое Обозрение“-ს ავტორიტეტობით გააძლიერა, ახალი გაგონებაა ქვეყნისათვის. და აქაც მეტი რა გზაა – პირველობა აღმონაჩენობისა ჩვენს ავტორს უნდა დავულოცოთ და ამ სტრატეგიის გამომზევება „Новое Обозрение“-ს, თუმცა Сев. Вест. კი იწყენს, ეს პატივი მე რათ ჩამომართვესო. მინამ ჩვენის ავტორის თავაზითა და „Новое Обозрение“-ს ხათრით საფრანგეთი პარიზს მეცის „ключ“-ი იქნება მცხეთისა ჩრდილოეთით და არა მცხეთა დარიალისა. ხათრიჯამად ბრძანდებოდეს ამაზედ ავტორი და ნურას უკაცრავად, თუ, სანდალას და ბალღების მეტმა, სხვამ ვინმემ არ დაუჯეროს ესეთი გადატრიალება სიტყვებისა, ვითომც მის მიერ თქმული – მცხეთის მდებარეობა დარიალის შესავალში – იმასვე ჰნიშნავდეს, რასაც სმოლენსკისა და მეცის „ключ”-ობა მოსკოვისა და პარიზისათვის.

ამასაც თავი დავანებოთ. თუ მცხეთა მართლა დარიალის „ключ“-ად ეგულებოდა ავტორს და აქ ღობე-ყორეს არ ედება ბალღების გასაბრიყვებლად, მაშ რაღად ამბობს (Сев. Вест., №3, გვ. 37), რომ ვიდრე ხაზარებმა არ ასწავლეს მეშვიდე საუკუნეში, ქართველებმა არ იცოდნენ დარიალის გასავალიო. როგორ? ქართველებმა მცხეთა დარიალის „ключ“-ად გაიკეთეს და თითონ დარიალი კი არ იცოდნენ!.. ღმერთმა მშვიდობა მისცეს ჩვენს ავტორს! მართლა რომ საოცარი კაცი ყოფილა... ეხლა გვესმის, რათ ასტეხია ხანგრძლივი სიცილი, როგორც თითონ ამბობს „Новое Обозрение“-ს თავისუფალ ფურცელებზედ, როცა ჩვენი ფელეტონები წაუკითხავს: მე ზღაპრებს გეუბნებით ისტორიის სახელითა და თქვენ კი მართალი ისტორია გგონებიათ და გამომეკიდენითო. მოდი და ნუ გაეცინება სიხარულისაგან ამისთანა ოსტატს, რომ ამ შემთხვევაში ალჩუ დაუჯდა და ჩვენ წაგვიტყუა.

ჩვენ ჩვენს წერილებში შევნიშნეთ, რომ ჩვენს доисторический период-ის მკვლევარს ბატონს ისიც არა სცოდნია, რომ სტრაბონი ბერძნელი მწერალია. იგი ეხლაც ამტკიცებს, რომ სტრაბონი რომაელი მწერალია. ტყუილს სიტყვას, რომ ბაჟი ედოს, რასაკვირველია, ეს ასე არ მოხდებოდა. ბედი ავტორისა, რომ დღეს ბაჟისაგან თავისუფალია. მართალიაო, გვეუბნება ავტორი: სტრაბონი ჩამომავლობით არ იყო რომაელი და ბერძნულადაც სწერდაო, მაგრამ:

„Упоминая Страбона, мы имели в виду оттенить эпоху; происхождение же его не имело никакого отношения к делу“*.

ბატონო! ბატონო! რა არის ამდენი ტყუილი! რა საკადრისია! აი, ავტორის სიტყვები, საცა იგი სტრაბონს რომაელთა მწერლად ჰგულობს:

„Пророки Моисей и Иезекиил, греческие историки Геродот и Ксенофонт, римские Страбон и Плиний и... даже сам Тацит упоминают всколзь о некоторых племенах, населявших Закавказье“**.

სხვაგან არსად, არსად ავტორი სტრაბონს არ იხსენიებს რომაელ მწერლად. ამის მთქმელი გვეუბნება, რომ упоминая Страбона, мы имели в виду оттенить эпоху. აბა დააკვირდით აქ ავტორის მიერ ხსენებას სტრაბონისას და გვითხარით, არის თუ არა იოტის ოდენა მაინც მართალი იმაში, რომ ჩვენ ვახსენეთ რა სტრაბონი, სახეში გვქონდაო „оттенить эпоху“. აბა მალაყი ამისთანა უნდა, აი! თუ კაცია ქვეყანაზედ ვინმე ამოიკითხავს ავტორის

---

* „Новое Обозрение“, № 1859.

** „Сев. Вест“, №2, გვ. 47.

ზემოამოწერილ სიტყვებიდამ, რომ „он, упоминая Страбона, имел в виду оттенить эпоху“. რა ,,эпоха“? რა ,,оттенить“? სად არის აქ ან „эпоха“, ან „оттенить“! კაცი ამბობს, სტრაბონი რომაელი მწერალიაო და აქედამ არც რაიმე ეპოქა გამოდის, არც რაიმე „оттенить“. აქ მარტო ის გამოდის, რომ ავტორი ტყუილში მოემწყვდა და თავის დასაძვრენად ერთს ტყუილს მეორეც ზედ დააკეცა.

ახლა მითამ ავტორმა თავი გაიმართლა სტრაბონის შესახებ და ჩვენ გვეუბნება იქავ, საცა სტაბონის ხსენებით ჰსურვებია „оттенить эпоху“.

,,Да, г. фельетонист, постичь историю, обнять одним штрихом ея многообразную перспективу, далеко не так легко, как обновить костюм“.

ვსთქვათ, ეს ბაიათად თქმული постичь историю, ეს обнять одним штрихом ღმერთმა ჩვენ არ გვარგუნა და ყოველ ამითი სავსე კალთა ზედ დააბღერტა ჩვენს ავტორსა, — საკითხი ეს არის: ნუთუ ღმერთი ისე გაუწყრა ქვეყანას, რომ მთელს დედამიწის ზურგზედ ჩვენის ავტორის მეტი სხვა აღარავინ გამოჩნდა, რომ შესძლებიყო постичь историю, обнять одним штрихом და ყოველ სხვა ამისთანა ბაიათებით ჩვენს ავტორსავით სტრაბონი რომაელი მწერლად ჩაეთვალა. ერთი მოწყალება მიიღოს ამ ჩვენმა обнимающий-მ одним штрихом ავტორმა და გვიჩვენოს ან ინგლისის, ან საფრანგეთის, ან გერმანიის, თუნდ რუსეთის, და ერთობ ევროპის თუ სხვა ქვეყნების მწერლობაში, რომ ვისმე სტრაბონი რომაელ მწერლად დაესახელებინოს. აქაც პირველია ჩვენი ავტორი და იმედია — უკანასკნელიცა. დალოცვილს იმ საიდუმლოდ შენახულ წიგნში მაინც ჩაეხედნა, რომელსაც ,,чтоб подразнить любопытство“ (Иверийцев) ბუტია ბალღსავით გვიმალავს, და 63 გვერდზედ ჰნახავდა, სტრაბონი რომაელია, თუ ბერძნელი.

თუმცა სტრაბონი კაპადოკიიდამ იყოო, — გვიქადაგებს ავტორი, — და ბერძნულად სწერდაო, მაგრამ რადგანაც სტრაბონი დაიბადა იმ ეპოქაში, როცა რომი ბრძანებლობდა მთელს ქვეყანასა*, როცა საბერძნეთი აღარ იყო და იყვნენ მარტო ბერძენნი-მონანი, ამიტომაც სტრაბონი რომაელი მწერლად უნდა ჩაითვალოსო. მაშ მოსე წინასწარმეტყველიც, რომელიც დაიბადა კიდეც ეგვიპტეში, გაიზარდა კიდეც ეგვიპტეში, ეგვიპტისავე სწავლა-მეცნიერება მიიღო და ეს ყოველივე მოხდა მაშინ, როცა ეგვიპტე გაძლიერებული იყო და ებრაელნი ტყვედა ჰყვანდა, მაშ, ვამბობთ, უფრო მეტი საბუთია მოსე წინასწარმეტყველი — ებრაელ მწერლად კი არა, ეგვიპტელ მწერლად ვიცნათ, ჩვენის ავტორის თეორიით. რა მოგახსენოს ამ, постичь историю, ამ обнять одним штрихом ея перспективу. არც ეს გაგვიკვირდება, რომ ეხლა ამაზედ გამოიდოს თავი ჩვენმა ავტორმა და მოსე ეგვიპტელად გაჰხადოს. მითამ იმაზედ მეტი, რაც დააკლდა, სხვა რაღა დააკლდება. ვინც არასა ჰკარგავს, ის ყოველთვის კადნიერი და გამბედავია.

ჩვენა ვსთქვით, რომ აწინდელი „არმენია“ დასახლებული ყოფილა ქართველთა ნათესაობისაგან ასურელთა გაძლიერების ხანაში მეშვიდე საუკუნემდე ქრისტეს წინათ. მაშასადამე, ასურეთს ზედ ეკრა ქართველთა მაშინდელი ქვეყანა. ეს ასეთის უეჭველის საბუთებით დაამტკიცა ფრანსუა ლენორმანმა, რომ

---

* დაიხსომეთ, რომ თუმცა მაშინ რომი, მართალია, ბრძანებლობდა მთელს ქვეყანას, მაგრამ კულტურა, სწავლა-განათლება კი მთლად ბერძნებისა ჰქონდა და ბერძნების ხელში იყო. მაშასადამე, სტრაბონი არამც თუ სისხლით, არამც თუ ენით რომაელი არ იყო, არამედ კულტურითაც, სწავლა-განათლებითაც სულ სხვა ერს ეკუთვნოდა.

დღეს ყველა სახელმძღვანელოშია მოქცეული, როგორც მეცნიერებისაგან ეჭვს გარეშე დაყენებული მართალი*. ჩვენი ავტორი კი დაიცინება, საიდამ სადაო, და საბუთად მოჰყავს რა კიპერტის რუკა, გვეუბნება, — ასურეთსა და საქართველოს შუა „არმენი

კადნიერებას! — თავის წარმატების გზაზედ სვლას არ იშლის და ჩვენი გამწყრალი ავტორი კი იჯდეს, მინამ მოეწყინება ზღვის პირას და დარი მოილოდინოს. ჭკვაც — თუ გნებავთ — ეს არის, ამიტომ რომ ცუდად შრომას ისევ ცუდად ჯდომა სჯობია.

[1889 წ.]

სახელდახელო

სახელდახელოს დეპეშა

(ყბადასაღები და წყალწასაღები)

23 მაისი

დღეს „Тифлиский Листок“-ს რედაქციამ ბელინსკობა უბოძა ნიკოლოოზ იაკობის ძეს ნიკოლაძეს. ქვეყანა სიხარულით ფეხზედ აღარა სდგას. ყველას მოსწონს გულუხვობა „Тифлиский Листок“-ისა. ამბობენ ჯერ ამისთანა ჯილდო ზოილისათვისაც არ გაუმეტნია „Тифлиский Листок“-ს — ამ ქადაგს ძლევამოსილ დაბახანისას. აუარებელი მილოცვის დეპეშები მოსდის ბ-ნს ნიკოლაძეს ყოველის ქვეყნიდამ. ყველაზედ შესანიშნავი სამახარობლო დეპეშა თვითონ ბ-ნმა ნიკოლაძემ მისწერა თავის თავს. „Новое Обозрение“-ს განუზრახავს სამადლობელი პარაკლისი გადაიხადოს, დაუბარებიათ მგალობლები „Тифлиский Листок“-ისა „მრავალჟამიერისათვის“. ამბობენ, ლოტბარობა ინება თვით დევგმირმა ზოილმა. რადგანაც ხმა გავარდა, რომ ზოილი ჰლოტბარობს, მთელს ქალაქს სურს დასწრება და მის დასატევად ადგილი არ არის, ხალხს ბილეთებით შეუშვებენო. დიდს ცერემონიებს, ზარსა და ზეიმს აპირობენ. შვიდი დღე ჩირაღდნებით

განათებული იქნება „Новое Обозрение“-ს რედაქცია. მშვენიერს ვენზელს ამზადებენ. ვენზელის შუაგულზედ ეწერება ჰიეროგლიფე-ბით შემდეგი:

„Полемика для нас должна иметь цель общественную, как, напр., уголь, нефть, кавказская железная дорога, Мани и т. д. тою именно стороною их, какая нужна для частных целей. Да кроме того полемику можно вести с людьми, добивающимися истины, как напр., с газетою “Кавказ” об раздутых нами, -- конечно, с целью общественною, -- убытках Картвелова и Зеземана и т. п.“

მიმლოცველთაგან მთელი კარები „Новое Обозрение“-სი მთლად დაჭერილია: ყველას წყურვილი ჰკლავს ინახულოს თავის თვალით „Тифлиский Листок“-ისაგან გაბედნიერებული ბ-ნი ნიკოლაძე. ხალხისაგან ტევა აღარ არის. ბევრი სიხარულისაგან სტირის. „ურას“ ძახილით ყურთა სმენა გამოჭედილია. ზოილი და ვანუა — ღვთის მადლით — მშვიდობით ბრძანდებიან.

24 მაისი

დღეს „Тифлиский Листок“-ის რედაქციამ მორთო ძველ რაინდის ტანისამოსით თავისი ტირაცუა ვანუა. ლამაზად უხდება ჟანგიანი მუზარადი დევგმირის ზოილისა, მისივე რკინის პერანგი, საბახურები, ფარშიმშერი და ორად გატეხილი ხმალი. ვანუას ხელთ უპყრია ქუჩის ტალახისაგან მშვენივრად გაკეთებული ტაბაკი, დაფენილი ფერად-ფერადად ზოილის ჭორებისა და ტყუილების ქსოვილით. ქსოვილი ფასდაუდებელია. ამ ქსოვილზე ამოქარგულია ძვირფასის ნახშირით, არანაკლებ ძვირფას ნავთის გამონახადით და რკინის გზის ლოკომოტივის ჭვარტლით ახლად ნაბოძები ტიტული „ბელინსკი — ნიკოლაძე მადლობელი და მოწყალე ზოილი „Тифлиский Листок“-ის რედაქციითურთ“. ამ ტაბაკის მისართმევად

შედგენილი პროცესია წარმოადგენს შემდეგს დიდის ყოფითა და ამბით მორთულს სურათს: ყველაზედ წინ ჟღარუნებით მიაბოტებს დევგმირი ზოილი, ხელთ უჭირავს ბაირაღი, რომელსაც ზედ ერთს მხარეზედ აწერია: „почто ты мя оставил еси“ და მეორეზედ „не любо, не слушай, а врать не мешай“. ამის შემდეგ მოცუნცულებს ვანუა მაღალის და წვეტიან ქუდით, ვარაყიანის ქაღალდისაგან გაკეთებულით. ხელთ უპყრია ზემოხსენებული ტაბაკი. გულზედ აწერია: не нам, не нам, а имени твоему, შუბლზედ: свободен от постоя და გულზედ: когда я был аркадским принцем. ვანუას მისდევს მთელი დანარჩენი რედაქცია „Тифлиский Листок“-ისა, რომლის ბაირაღსაც ზედ აწერია: „общесто взаинмого от ума и правды страхования“.

შუადღისას ეს პროცესია მივიდა „Новое Обозрение“-ს რედაქციაში. მთელი ეს რადაქცია წინ გამოეგება და გადაეხვია „Тифлиский Листок“-ის რედაქციას ისე ტკბილად და გულჩართულად, რომ ძნელად გამოიცნობს კაცი, სად იწყება და თავდება ერთი და სად მეორე. ყელში მოწოლილ სიხარულისაგან ერთმანეთისათვის ველარა უთქვამთ რა ამის მეტი: „მე თუ შენ, შენ თუ მე“. Трогательная сцена! ყველანი ტირიან, ამისთანა სიყვარულს და ტრფიალებას რომ ჰხედავენ. ხალხში ისმის ქების ხმა და მხიარულება, აქა-იქ იძახიან აღტაცებულნი: მაშ!..

სული სულს იცნობს
და გული გულსა.

ქალაქში და დაბა-სოფლებში დიდი მხიარულებაა, რომ ბ-ნი ნიკოლაძე ასე სამართლიანად გატიტულიანდა „Тифлиский Листок“-ის მოწყალებით. დაფა-ზურნა ეს ორი დღეა არ შემწყდარა. შარმანკები ბ-ნ ნიკოლაძეს წინაშე სდგანან და უკვრენ დღის

შესაფერს საგალობელს, რომელიც ასე იწყება: „Куда, мой друг, ты стремишься“. ივერიის რედაქციას შავები აცვია შურისაგან. ამდენმა ქება-დიდებამ და ზარმა-ზეიმმა ძალიან მოჰღალა თურმე ბ-ნი ნიკოლაძე, მაგრამ მაინც ყოჩაღადა ჰსუფევს. ზოილი და ვანუა, ღვთის მადლით, მშვიდობით ბრძანდებიან.

25 მაისი, დილით

გაზეთს „ივერიას“ მგლოვიარობისათვის მაშინ, როდესაც ქვეყანა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა ბ-ნ ნიკოლაძის გაბელინსკების გამო, პატივი აჰყარა „Новое Обозрение“-მ და გამოუცხადა, მე შენთან ლაპარაკს აღარ ვიკადრებო იმიტომ, რომ მე თუ ვლაპარაკობ, მარტო და მხოლოდ с целью общественною და თქვენ ამ цель-ებამდე ფეხი სად მოგიწვდებათო. ყველას უხარიან, ნამეტნავად ბულვარის აკადემიკოსებს, ასეთი სამართლიანი წყრომა და რისხვა. ზოილი და ვანუა, ღვთის მადლით, მშვიდობით ბრძანდებიან.

25 მაისი, შუადღით

ეს-ეს არის ეხლა შევიტყე, რომ ამავე დღეს და საათს Новое Обозрение-მ კეთილ ინება და თავისი ძვირფასი მოწონება უბრძანა სომხურს ლიტერატურას ამ სიტყვებით: Молодцы! „армянская литература прогрессирует“. ვანუა ამ წყალობის გამო სიხარულით ყირამალა შემდგარა და აღარ აპირობს თურმე ამ поз-ის გამოცვლას. ძალიან თურმე ჰშვენის და უხდება. ამბობენ ეს მოწონება იმისათვის ინებაო Новое Обозрение-მ, რომ „ივერიას“ წყრომა და რისხვა თვისი უფრო გაუმწაროს და გაუორკეცოსო. ახიც არის, მე და ჩემმა ღმერთმა, რა სჯიდა, რომ შავებს იცვამდა მაშინ, როცა მთელი ქვეყანა ასე სადღესასწაულოდ მორთული იყო. ღმერთს არ

მიუცია, არა და არა „ივერიისთვის“ ის нюх-ი მიეგნო, რომ ბ-ნი ნიკოლაძის გაბელინსკებაში არის ის общественная цель, რომელსაც Новое Обозрение ასეთის გამარჯვებით ეძებს და ასეთის დამარცხებით ვერ უპოვნია დღემდე. ზოილი და ვანუა, ღვთის მადლით, მშვიდობით ბრძანდებიან.

25 მაისი, საღამოთი

დღეს ხმა გავარდა, ვითომ Новое Обозрение, გახარებული მით, რომ ეგრე გაბედნიერდა ბ-ნი ნიკოლაძე Тифлиский Листок-ის წყალობით, ახლა ბ-ნ ნიკოლაძის შუამდგომლობით აპირობს თავისის მხრითაც ჯილდოების დარიგებას. ბ-ნ ნიკოლაძეს წარუდგენია, რომ სახელოვანი ზოილი ორჯელ გამოგდებული Новое Обозрение-დამ, ხელახლად მიღებულ იქმნას ამ რედაქციაში წინანდელის მუნდირით, ჭორებისა და ტყუილების ჯვრებით გულზე და ყელზე, და მხარიღლივ ლენტით, რომელსაც ზედ აწერია: „За усердие“. ძალიან მოსწონთ აქ ეს ამისთანა სულგრძელობა ბ-ნი ნიკოლაძისა. ამბობენ, თუმცა Тифлиский Листок-ის წყალობით აგრე გადიდკაცდა და ამაღლდა ბ-ნი ნიკოლაძეო, მაგრამ — დახე იმის სულგრძელობასაო! — თავისი უკანჩამორჩომილი მეგობრები დიდკაცობაშიაც არ დაივიწყაო. მთელი ქალაქი სიხარულით ფეხზე ვეღარა დგება, რომ ძლივს ამ უბრალოდ დევნულს სახელოვანს ზოილს შესაფერი წყალობა ეღირსება Новое Обозрение-საგან, რომელსაც თურმე დიდი მზადება აქვს ამ მის მიერ შერისხულის დევგმირის ახლად მიღებისათვის. ტახტად უდგმენ ოქრომკედით ნაკერს ტყუილის გუდას და იმ პატივსაც უპირობენ, რომ ბ-ნს ნიკოლაძეს გვერდით მოუსვან მხარის დასაშშვენებლად. ქალაქი ამ დღისთვის ჩირაღდანს

ამზადებს. ზოილი და ვანუა – ღვთის მადლით – მშვიდობით ბრძანდებიან.

[1889 წ.]

<ევროპაში ყველას ხელი ხმლის ვადაზე უჭირავს>

ტფილისი, 13 ოქტომბერი

ეს მესამე წელიწადია თითქმის, რაც ევროპის პოლიტიკა ერთსა და იმავე მდგომარეობაშია: არც წინ იწევს, არც უკან. ცეცხლის წასაკიდი ჩალა-ბულა ბევრია, ერთი დაკვესება, ერთი ნაპერწკალი და ერთი უშველებელი ალი კიდეც ავარდება ევროპაში, საცა ყველას ამ დღისათვის ხელი ხმლის ვადაზედ უკვე უკიდია. ემზადებიან, ემზადებიან, ამრავლებენ ჯარებს, სცვლიან თოფ-იარაღსა, იგონებენ რაღაც ახალ ტყვია-წამალსა, მილიონებს ჰხარჯვენ, წელებზედ ფეხს იდგმენ, რომ უეცარმა შემთხვევამ მოუმზადებელს არ მოასწროს და ნაცარტუტა არ ადინოს.

უამხანაგოდ, უმომხრეოდ მოედანზედ გამოსვლა ყველას შიშის ზარსა სცემს, რადგანაც იციან, საქმე იქამდეა გამწარებული და გამწვავებული, რომ მიმდგარა სიკვდილ-სიცოცხლეზედ: ან ერთი მოპირისპირე უნდა იყოს, ან მეორე და ორივე ერთად კი ძალიან ძნელ მოსანელებელად არის მიჩნეული.

გერმანია, რომელსაც ყველაზედ მეტად ეფიქრება უეცარის შემთხვევის მოვლენა და რომელსაც, ჩვენის ფიქრით, ბევრი გულითადი მეგობარი არა ჰყავს ევროპაში, თუმცა თვალად კი ბევრი პირში

შესცქერის და სულ „ბალი აღას“ ეუბნება, ეს ძლიერი და ძლევამოსილი გერმანია, დღეს ევროპაში გაბატონებული, სულ იმის ცდასა და თავდარიგშია, რომ სხვისით ზურგი მოიმაგროს და ამით მტერს თვალები დაუყენოს. ამ ცდამ ამაოდ არ ჩაუარა და დღეს ვხედავთ, რომ იტალია და ავსტრია კუდზედა ჰყავს გამობმული. ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით მომჩხრეკის თვალი ჩერდება საფრანგეთზედ, რომელსაც თითქო მეგობარი და მომხრე არსად უჩანს და რომელიც ამასთანავე ისეთი ძლიერი და შემძლებელია ჯერ თავისით და მერე იმ გარემოებით, რომ საფრანგეთის დღეგრძელობა და კარგად ყოფნა ბევრისათვის ევროპაში საკუთარი დღეგრძელობა და კარგად ყოფნაა. ეს გარემოება საფრანგეთის საკუთარ ძლიერებასთან ერთად მოსვენებას არ აძლევს გერმანიას, რომელსაც ეფიქრება, რომ ერთი წაცდენა ფეხისა და ერთად თავის მოყრა მის მტრებისა ერთი იქნება. მაშინ არც დღევანდელ მეგობრების იმედია ბევრი, ნამეტნავად ავსტრიისა, რომელსაც გულში დიდის ხნის ხვანჯი აქვს და რომელსაც არ დაჰვიწყებია, რომ პრუსიამ გამოდევნა და გამოაგდო გერმანიიდამ და პირი ბალკანეთისკენ აქმნევინა.

დიდი იმედი ჰქონდა გერმანიას, რომ ზემოხსენებული გარემოება საფრანგეთს შეეცვლებოდა, ის განხეთქილება, არევ-დარევა და წეწვა-გლეჯა, რომელიც საფრანგეთის საპოლიტიკო დასთა შორის არსებობს და რომელიც ცოტა არ იყოს — სახელს უტეხავს საფრანგეთს ევროპაში და უფრთხობს მომხრეებს, ეგონათ ბულანჟეს გამო ისე გაძლიერდებოდა, ისე გადიდდებოდა, რომ თვით ეხლანდელ წესწყობილებას პირქვე დაამხობდა და მაშინ შინ გაბზარული, შინ გატეხილი, შინ აწეწილი საფრანგეთი ადვილად მოსარევი იქნებოდა.

ეს ასე არ მოხდა: გონიერებამ საფრანგეთისამ გაიმარჯვა და ის ქარაფშუტა ბულანჟე, ის “მამაცი გენერალი“ დღეს ერთს კუნძულზედ იმალება თავის

ქვეყნის გარეთ და, ვგონებთ, სამუდამოდ გამოსალმებულია პოლიტიკის წუთისოფელს, როგორც ბევრნაირ საქმით შერცხვენილი და აბრუ გატეხილი კაცი. მართალია, რესპუბლიკა დღეს საფრანგეთში გამარჯვებულია და უფრო დამკვიდრებული, ვიდრე აქამომდე იყო, მაგრამ ბულანჟეს მოძღვრების ერთი მუხლი კი დღესაც ანგარიშგასაწევია და ამ მუხლს ბევრი მომხრე აღმოუჩნდება საფრანგეთის ახალ პალატაში. ჭირი ეხლანდელ წესწყობილებისა საფრანგეთში ის არის, რომ ხანგრძლივად არც ერთი სამინისტრო არა რჩება და ამის გამო მართვა და გამგეობა ქვეყნის საქმეებისა სასურველად ვერ მიდის. ეს ცვლა მინისტ-რებისა ისე ხშირია, რომ ერთი მინისტრი ვერ ასწრობს რიგიანად ჩააკვირდეს საქმეს, მაშინვე ახალი მინისტრი ურაკუნებს კარს, ნურას უკაცრაოდ, თქვენ ჩამობძანდით სამინისტრო ტახტიდამ და ეხლა მე უნდა დავბძანდეო. ამ ახალსაც ის დღე ადგება და ამ სახით ვერც ძველი და ვერც ახალი, ბევრიც რომ შეეძლოთ, ვერას არიგებენ ხოლმე.

ეს ჭირი შენიშნულია და ამის ასაცილებლად დღეს ბევრია საფრანგეთში მონდომილი და, თუ თვით ბულანჟეს ბევრი მომხრე ჰყვანდა რესპუბლიკელთ შორის, უფრო ამ ჭირისაგან იყვნენ იძულებულნი. მიზეზს ამ ჭირისას აბრალებენ დღევანდელ კონსტიტუციას საფრანგეთისას. ამიტომაც მის გადასინჯვას და გადაჩხრეკას შესაცვლელად ბევრი მოწადინებულია. დღეს საფრანგეთში ის აზრი ტრიალებს, რომ კონსტიტუცია უნდა გადაიჩხრიკოს და სამინისტრო ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი გაჰხადოს პალატისაგან, საცა ხშირად შემთხვევით შემდგარი უმეტესობა იძულებულ ჰყოფს ხოლმე სამინისტროს სამსა-ხურიდამ გადადგეს. მართალია, დღევანდელს პალატაში ამ კონსტიტუციის გადაჩხრეკას ბევრი ეურჩება, მაგრამ არც გადაჩხრეკის მსურველნი არიან ცოტანი. რა თქმა

უნდა, საფრანგეთს ძალიან მოუხდებოდა, ნამეტნავად დღევანდელს დღეს, რომ დადგრომილება რამ მიენიჭოს მის სამინის-ტროს და შემთხვევას არ ექვემდებარებოდეს, მაგრამ რო-გორ უნდა მოხერხდეს ეს უიმისოდ, რომ პარლამენ-ტარული წესი არ შეირყას? საცა პარლამენტია, იქ უსა-თუოდ მისი უმეტესობა უნდა აძლევდეს ფერსა და მიმარ-თულებას საქმეთა მსვლელობას, რადგანაც პარლამენტი ქვეყნის წარმომადგენელია და მისი უმეტესობა ქვეყნის უმეტესობაა.

როგორ მოახერხებს საფრანგეთის პალატა ამ საქმეს, რომელიც თხოულობს, რომ არც მწვადი დაიწოს, არც შამფური, ამას დრო გამოაჩენს.

ეხლა კი ამას ვიტყვით, რომ ეხლანდელმა ახლად-ამორჩეულმა პალატამ, დღეს იქნება თუ ხვალ, ანგარიში უნდა გაუწიოს ამ მძიმე საგანს. ერთი უდიდესი და უძ-ლიერესი სატკივარი საფრანგეთისა, ჩვენის ფიქრით, ეს საგანია დღეს. მართალია, ეს საგანი იმისთანა არ არის, რომ დააუძლურონ საფრანგეთი და გაძლიერების შემძლე-ბელი კია, თუ ამ მხრით საფრანგეთმა თავს როგორმე უშ-ველა და შინ ზურგი გაიმაგრა გარედ ხელის გაშლისათვის.

ამასობაში გერმანიის პოლიტიკაც თავისას არ იშლის და მომხრეების ძებნაშია. არა ჰკმარობს იტალიას და ავსტრიას. ინგლისის ჩათრევაც უნდოდა, მაგრამ, ვგონებთ, აქ ცარიელის ტკბილ-ტკბილ და თბილ-თბილ სიტყვების მეტი ბევრი არა ინუგეშა რა. ეხლა კურკური დაუწყო ოსმალეთს. გერმანიის იმპერატორი ეწვევა სულთანს სტამბოლში და თუმცა ამბობენ, აქ საპოლიტიკო აზრი არა არის რაო, მაგრამ უიმისობა არ იქნება. მარტო ერთი ეს არის საკითხი: რად უნდა გერმანიას ამდენი მომხრენი? ამით ჰმართლულობს თავს გერმანია, რომ რაკი ერთი მხარე მეტად ძლიერი იქნება მეორეზედ, ეს მეორე ომს ვეღარ ასტეხს შიშითაო და ევროპა მშვიდობიანად იქნება, რადგანაც მე სრულად ომი არა

მსურსო. მართლა კი არა ჰსურს ომი, თუ მაშინ უნდა დაიქუხოს, როცა ზურგს კარგად გაიმაგრებს მომხრეებით? ჩვენ ეს უკანასკნელი გვგონია, იმიტომ რომ გერმანია უომრად ვერ გადაურჩება იმ მდგომარეობას, რაშიაც დღეს იმყოფება: ორისავე მხრით შიშს ქვეშ მუდამ ყოფნა აუტანელია.

[1889 წ.]

<ნავთის საქმის მომავალი კავკასიაში>

ტფილისი, 14 ოქტომბერი

კარგა ხანია ხმა იყო დავარდნილი, თუმცა კანტიკუნტად კი აქა-იქ, ვითომც ბაქოში ნავთი თავდება და ნავთის წყაროებს დასასრული უჩანსო. ეს ხმა ზოგჯერ აქაურ ჟურნალ-გაზეთებშიაც შემოპარულა, ზოგიერთი მალე დამჯერი კაცი ამის გამო დამფრთხალა და გამოსცლია ნავ-თის საქმეს, რომელიც თავისთავად დიდად სახეირო და გამოსარჩენია ფულის პატრონისათვის. ამ ზაფხულს ამ ხმამ ხელახლა აიდგა ფეხი და მთელს ევროპას მოედო. ინგლისურმა გაზეთებმა „Standart“-მა და „Morning Post“-მა თიბათვეში და მარიამობისთვეში მოჰფინეს მთელს ინგლისსა და ევროპას ის ხმა, ვითომ ბაქოში ნავთს ბოლო მოეღება, რადგანაც ნავთის წყაროები შრებაო.

რასაკვირველია, ესეთი ამბავი ხალისს წაართმევს და დააფრთხობს ერთის მხრით სოვდაგრებს, რომელთაც სასარგებლო საქმე ბაქოს ნავთის აღებმიცემობისა ახალი-სებდა და მეორეს მხრით ფულის პატრონებს, რომელთაც ნავთის ამოღება და გამოხდა ადგილზედვე იმედს აძლევდა მოგებისას. იმისთანა საქმეში, როგორიც ნავთის აღებმიცე-მობაა, ნავთის ამოღება და გამოხდაა, დიდი ფული უნდა და, თუ არ დიდის ხნით და ხანგრძლივად შერჩენა

საქმისა, ხელს არ მისცემს არც ნავთის აღებმიმცემს, არც ნავთის მომქმედს, ფული დააბანდოს და გააბას მოკლე ხნობით, რადგანაც მოკლე ხანში ვერც სარგებელს დახარჯულის ფულისას ააყენებს და ვერც თავნს დაუბრუნებს. უამისოდ კი ვერც ერთი ჭკუადამჯდარი ვაჭრობა და ანგარიშამყოლი მრეწველობა ვერ შეჰბედავს ვერა საქმეს, ნამეტნავად ნავთისას, რომელიც ყოველ შემთხვევაში დიდს წინასწარ ხარჯსა თხოულობს და დიდის ფულის დაბანდებას.

იგი შიში, რომელსაც, უეჭველია, გამოიწვევს სოვდა-გართა და ფულის პატრონთა შორის ზემოხსენებულ გაზე-თებისაგან დაყრილი ხმა, შეაფერხებს და შეაყენებს განდიდებასა და გაძლიერებას ნავთის საქმისას ბაქოში და, რა თქმა უნდა, შემძლებელია დიდი ზარალიც მოუტანოს როგორც ცალკე მრეწველთა და მომქმედთა, ისეც მთელ იმ დიდს აღებმიცემობას, რომელიც დღეს ფეხადგმულია და რომელიც სამერმისოდ უფრო დიდს იმედს იძლევა. ეს ამ-ბავი შეუტყვია რუსის გამოჩენილს ქიმიკოსს მენდელეევს და გამოსარჩლებია ბაქოს ნავთსა საკმაოდ სარწმუნო საბუ-თებით; მას მიუწერია წერილი ლუდვიგ მონდისათვის, რო-მელიც პრეზიდენტია საქიმიო და სატექნიკო საზოგადოე-ბისა ინგლისში. იგი სწერს, რომ „მე, ჩემის მხრით, სასარგებლოდა ვრაცხ, თქვენს შუამდგომლობას მოვმართო იმისათვის, რომ ინგლისის მრეწველთა შორის გავრცელდეს მართალი ამბავი შესახებ კავკასიის ნავთისაო!“.

ბ-ნი მენდელეევი ბაქოს ნავთის წყაროების დაშრობის ხმას აბრალებს ჯერ უცოდინარობას და მერე რაღაც ხვან-ჯებს, კერძო სარგებლობისაგან გამოწვეულს და ამავ სარ-გებლობისაკენ მიმართულს. იგი უეჭველის ციფრებით ამტკიცებს, რომ ბაქოში ნავთის ამოღება და გამოხდა არამც თუ ჰკლებულობს, არამედ ჰმატულობს კიდეც. მისის

სიტყვით, 1876 წ. ამოღებულია ნავთი სულ 727.000 ფუთი. ამ რიცხვს ყოველ წელიწადს უმატნია, ასე რომ 1881 წ. ასულა 2.286.000 ფუთამდე და 1885 წელს კი 6.250.000 ფუთამდე მისულა. ამ სახით, ცხრა წლის განმავლობაში თითქმის ერთიათად უმატნია ამოღებულ ნავ-თის რაოდენობასაო. რასაკვირველია, ეს ამბავი სრულები-თაც არ მოასწავებს ნავთის წყაროების დაშრობასაო. ირი-ქით, ბაქოში ნავთი ჯერ კიდევ იმდენად ბევრიაო, რომ ნავ-თის მომქმედნი არც კი ჰკადრულობენ იმისთანა ჭას ნავთისას, რომელიც დღეში მარტო ორას ფუთს იძლევა და ამისთანა ჭები უქმად არიანო იმ დრომდე, ვიდრე ფასი ნავთისა არ აიწევს ხოლმეო.

რომ ბაქოში ნავთის წყაროებს სრულებით არ ემჩნევა ნიშნები დაშრობისა, უფრო ორი გარემოება ამტკიცებსო: ერთი ისა, რომ 1886 წ. და შემდეგაც იმისთანა შადრევანმა ნავთისამ ამოხეთქა, როცა თხრა დაუწყეს ახალ ადგილებს, რომ იმის მსგავსი დღეს-აქამომდე არა ყოფილა არც ამერიკაში და არც თითონ ბაქოშიო; მეორე ისა, რომ 1885 წლიდამ 1888 წლამდე ამოღებულმა ნავთმა წელიწადში 116 მილლიონ ფუთიდამ 180 მილლიონ ფუთამდე მიაღწიაო, წელს კი პირველ იანვრიდამ მარტო პირველ აგვისტომდე 125 მილლიონი ფუთი ამოღებულია და რამდენიმე დიდრონი შადრევანი მოქმედებდაო ისე ძლიერად, რომ მაგალითებრ, ბ-ნ კოშჩეევმა ვერც კი მოახერხა მოგროვება და რომანინის ტბაში მიუშვაო.

ყოველ აქედამა სჩანს, რომ ბაქოს ნავთი ჯერ კლებაში არ არის შესული. საცა ნავთის წყაროები ჰშრება, იქ ნავთის წარმოება ჰკლებულობს. ამის მაგალითად ბ-ნს მენდელეევს მოჰყავს პენსილვანია (ამერიკაშია), საცა 1882 წლიდამ დაწყებული, ამოღებულის ნავთის რაოდენობა ჰკლებულობს, ასე რომ 1882 წლიდამ ამოღებულის ნავთის რაოდენობა

1888 წელს თითქმის განახევრდა. ბ-ნი მენდე-ლეევი ამბობს, რომ ბაქოში ჯერ კიდევ იმდენია ნავთი, რომ რკინისა და კასპიის ზღვის გზა გატანას ვერ ასდის. ბევრი-ბევრი კასპიის ზღვით ვოლგაზე და რკინისგზით გატანილ იქმნას 50 მილლიონი ფუთი კეროსინი წელი-წადშიო, მაშინ, როდესაც ბაქოს შეუძლიან წელიწადში ას ოთხმოცი მილლიონი ფუთი ჰგზავნოს რუსეთში და საზ-ღვარგარეთაო. ბ-ნი მენდელეევი ჰფიქრობს, რომ კასპიის ზღვის გემებსა და ბაქო-ბათუმის რკინისგზაზედ არ უნდა შეჩერდეს საქმე. საჭიროაო, ნავთის საზიდი მილები დაეწყოს შავ ზღვამდე და იმითი იზიდოს ნავთიო. დღეს სხვადასხვა ინტრიგები უშლიან ამ მილის საქმესაო და დღეს იქნება, თუ ხვალ, ეგ საქმე უსათუოდ უნდა შესრულებულ იქმნასო.

ამ იმედზედ დამყარებული ბ-ნი მენდელეევი ამბობს, რომ, როცა ეგ მილი დაეწყობა და ამ მხრით იეფი და მალი გზა გაეხსნება ნავთსაო, მაშინ თუნდაც ბაქოს ნავთი სრულად დაჰშრეს, კავკასია მაინც იმოდენა ნავთს მოგვცემსო, რომ საქვეყნო ბაზარში პატივსადები ადგილი დაიჭიროსო. იმ გზაზედ, საცა მილი უნდა გავიდეს ბაქოდამ შავ ზღვამდე, მრავალი ნავთი არისო, არამც თუ ბაქოს ახლომახლო, არამედ შიგნითაც, მაგალითებრ დედოფლის წყაროზედ, ტფილისს ახლო, ქუთაისთან, გურიასა და სხვაგანაც. ეს ადგილები მილებით შეუერთდება შავს ზღვასა და კასპიისასა და, მაშასადამე, ნავთის საქმე აღებ-მიცემობისათვის იმავე მდგომარეობაში ჩავარდება, როგორც ჩრდილო-ამერიკის ნავთის ადგილები არიან ფილადელფიის, ნიუორკის და ბუფფალოს წინაშეო: ქარხნები ზღვების პირად იქნება და ნავთის ამოღება კი რამდენსამე ასს ვერ-სტზედ შორსაო. ერთს ადგილს მაინც რომ გამოჩნდეს კავ-კასიაში ნავთი, მაინც ბევრით წინ წაუვა ეს ნავთი ამე-რიკის ნავთს. ჯერ იმიტომ, რომ ზღვამდე მიტანა იეფი იქნება და მაინცდამაინც ზღვის

პირას მიტანილი ამერიკის ნავთზე ძვირად არ დაჯდებაო. არსად კავკასიაში, იქაც კი, საცა ხელით ამოსაღებია ნავთი ჭებიდამ, კავკასიის ნავთი ფუთი 18 კაპ. არა ჯდება, როგორც ამერიკაშიო; კავკასიის ნავთი ყოველთვის ერთიორად, ერთისამად ამერიკის ნავ-თზედ ნაკლებ ეღირებაო.

ამისთანა მერმისს უქადის ბ-ნი მენდელეევი კავკასიის ნავთს, რომელსაც იგი ღირსებითაც მაღლა აყენებს ამე-რიკის ნავთზედ იმიტომ, რომ ჩვენებური ნავთი თურმე „ახალია“ და ამერიკული „ძველიო“. ამ სახით გამოდის, რომ ტყუილი და უსაბუთო შიშია, ვითომც ბაქოში ნავთს აღსასრულის დღე დასდგომია და თუნდ ესეც მოჰხდეს, ჩვენს ქვეყანაში ნავთი მაინც არ შესწყდება და ეხლა თითქმის უქმად მყოფი ადგილები ნავთისა დედოფლის წყაროზე, ნავთლუხსა, ქუთაისს ახლო, გურიასა და სხვაგან ბევრგან გზას გაიხსნის საქვეყნო აღებმიცემობისა და ბაზრისათვის.

[1889 წ.]

<სახელმწიფო ბანკის გამართვა თავადაზნაურთათვის>

ტფილისი, 16 ოქტომბერი

ცოტად თუ ბევრად სარწმუნო კაცები ამბობენ, რომ თავადაზნაურთათვის სახელმწიფო ბანკი მომავალ გაზაფ-ხულამდე უსათუოდ გაიმართებაო ჩვენში. ამ თავად-აზნაურთათვის სასიამოვნო ამბავს არ შეიძლება კაცმა ყური არ ათხოვოს. ეს მით არის სასიამოვნო, რომ სა-ხელმწიფო ბანკი ზოგს შემთხვევაში 5 $^{3}/_{4}$ % სარგებელს სჯერდება თავნსა და სარგებელში ესე იგი, ას თუმანზე ორმოცდაშვიდმეტ მანეთსა და ათს შაურს მაშინ, როდესაც ჩვენი სათავადაზნაურო ბანკი ამავე ასს თუმანში იღებს რვა თუმანს წელიწადში. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბანკისაგან აღებული სესხი უფრო შეღავა-თიანი და სუბუქად გასაძღოლი იქნება, რადგანაც შესატანი ფული თავნისა და სარგებლის სახდელად ყოველს ასს თუმანს ნასესხზედ ოცდაორის მანეთით და ათ შაურით ნაკლები მოვა, ვიდრე ეხლა მოდის სათავადაზნაურო ბანკის კვალობაზედ.

ამაზედ იეფად ფულის შოვნა ძნელადღა იქნება. ესეთი იეფი კრედიტი აწინდელს ეკონომიურ მდგომარეობაში არა კერძო ბანკს არ შეუძლიან. თუმცა ესეა, მაგრამ რუსეთის თავადაზნაურობა,

რომელმაც სახელმწიფო ბანკისაგან სეს-ხი აიღო, მაინც სჩივის, მაინც უღონიბას ჰხედავს ვალის გადახდისათვის და დღეს ბანკში შესატანი ფული იმ ზომით არის დარჩენილი თავადაზნაურობაზე, რომ სახელმ-წიფო ბანკიც დააფიქრა, სახელმწიფო ხაზინაც და თვით თავადაზნაურობაც. დღეს ბევრის გუბერნიის თავადაზ-ნაურობა შეჰბღავის მთავრობას, გვიწამლე რამეო. რად უნდა მომხდარიყო ეს ამბავი მაშინ, როცა სესხი ისე იეფად აღებულია, რომ ნაკლებ აღარ შესაძლოა?

აქ ბანკის ბრალი სრულებითაც არ არის. ვიმეორებთ, სახელმწიფო ბანკმა ყოველივე ღონე, ყოველივე სახსარი მოიწვია, რომ თავადაზნაურობას სუბუქმა კრედიტმა სული მოაბრუნებინოს, გაჭირებიდამ გამოიხსნას. ამის მაგიერ დღეს მარტო ჩივილი და დრტვინვა ისმის რუსეთში: ეს სუბუქი და შეღავათიანი კრედიტიც დაუმძიმდათ, გაუძ-ნელდათ, კიდევ ვკითხულობთ რადა?

იმიტომ, რომ კრედიტი, რაც უნდა სუბუქი იყოს, მაინც ტვირთია და ტვირთი. ტვირთს, რაც უნდა სუბუქი იყოს, ზიდვა უნდა და სწორედ აქ არის ის ფონი, რომელიც წინდაუხედავს არჩობს. კრედიტი ბუნებითად კარგიც არის და ავიც, ორპირი საჭრელია: კაცის დაღუპვაც შეუძლიან და გაკეთებაც. სიავე და სიკეთე კრედიტისა თითონ სესხის ამღებზეა დამოკიდებული.

კრედიტი ძნელად შესაბედი რამ არის. კაცს ყოველივე სხვა ღონისძიება უნდა გამოელიოს, სხვა ყოველივე სახ-სარი უნდა გაუწყდეს და მხოლოდ მაშინღა გაბედოს კრე-დიტით ხელის გამართვა. ამასთან ისიც აუცილებლად საჭიროა, რომ კრედიტი, ანუ მარტივად ვსთქვათ, სესხი მარტო საქმისათვის მოიწვიოს კაცმა, იმიტომ რომ, კრე-დიტის ტვირთის მომშორებელი მარტო საქმეა. მარტო იმ საქმემ უნდა ჰზღოს, მარტო ის საქმე უნდა გაუძღვეს თავანსაცა და სარგებელსაც, რომელზედაც მიმართულია

კრედიტით ნაშოვნი ფული. ეს აუცილებელი პირობაა, თუ რომ გვინდა კრედიტმა ჩვენც შეღავათი მოგვცეს და ჩვენს ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებასაც რაიმე ხეირი დაატყოს.

თუ ეს პირობა არა, სხვაფრივ კრედიტი, რაც უნდა შეღავათიანი და სუბუქი იყოს, მძიმეა და უფროსერთს შემთხვევაში დამღუპველიცა, თუ ღონე გადახდისა არ ჰმატულობს საქმის გაძლიერებისა და განდიდებისაგან. ავიღე, ვსთქვათ, გაუჭირებლად ბანკისაგან ასი თუმანი სესხი იმ პირობით, რომ ორმოცდაშვიდმეტი მანეთი და ათი შაური ვაძლიო წელიწადში თავნსა და სარგებელში. თუ ეს ასი თუმანი ავიღე და მით რაიმე წარმოება, რაიმე საქმე არ გავაძლიერე, არ წარვუმატე იმოდენად, რომ წინან-დელზე ორმოცდაშვიდმეტი მანეთი და ათი შაური მეტი მაინც მომცეს, მაშინ მე უნდა გავღარიბდე, ჩემი ქონებითი ძალ-ღონე უნდა შემცირდეს და გამიხდეს წინანდელზე ორმოცდაშვიდმეტის მანეთით და ათი შაურით ნაკლები წლითიწლობამდე, ვიდრე თავნი და სარგებელი ადგება, რადგანაც თავნისა და სარგებლის აყენების ვადა საკმაოდ გრძელია ხოლმე, საკმაოდ ხანგრძლივადაც მაკლდება ქონება ამ შემთხვევაში.

აი მიზეზი და უმთავრესი მიზეზიც, რომლის გამოც დიდად შეღავათიანი კრედიტი სახელმწიფო ბანკისა მაინც სავალალოდ და სადრტვინველად გაუხდა რუსეთის თავად-აზნაურობას. აქაოდა სახელმწიფო ბანკმა ასეთი კრედიტი გაგვიხსნა, ასე ცოტა სარგებლითა, წინდაუხედავად ზედ მიესივნენ, გამოიტანეს ფულები, მიფლანგ-მოფლანგეს, იმ ფულის ჯანით ერთი იოტის ოდენადაც არ გააძლიერეს თა-ვისი ერთადერთი ეკონომიური წარმოება, რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, და ეხლა გულხელი დაუკრებიათ და იძახიან, გვიხსენით ბანკის ვალისაგანაო.

ჩვენს თავადაზნაურობასაც ეს დღე მოელის, თუ ჩვეულებრივის წინდაუხედავობით წატყუებულმა გინდ იეფის კრედიტითაც, გაუჭირებლივ სესხის აღებას მიჰყო ხელი და ნასესხი მამულ-დედულს არ მოახმარა გასაკეთებ-ლად და გასაძლიერებლად. უქმად და ამაოდ აღებული სეს-ხი, სარგებლის გაუღებლადაც რომ იშოვოს კაცმა, მაინც ძნელი მოსაშორებელია, მაინც მეტად სამძიმოა. ვიმეორებთ, ეკონომიური ბუნება კრედიტისა ისეთია, რომ მისით წარ-მოება უნდა გაიძლიეროს, წარიმატოს კაცმა, თორემ დღეს იქნება, თუ ხვალ სიმძიმე კრედიტისა ძალიან ჩააჩოქებს და ამაში ბანკი, სახელმწიფო, თუ კერძო, არაფერს შუაში იქნება.

[1889 წ.]

<უყურადღებობა ვარჯიშის მიმართ ეხლანდელ სკოლებში>

ტფილისი, 17 ოქტომბერი

დიდი ხანია როგორც ევროპასა, ისეც რუსეთში ლაპარაკია იმაზედ, რომ ყმაწვილები მეტისმეტად იქანცებიან, იღლებიან ეხლანდელ სასწავლებლებში, მეტისმეტად ბევრს ირჯებიან გონებითა და აგებულებით, ჯანით კი უღონოვდებიან, უძლურდებიან. ეს გადაჭარბებული, გადამეტებული ჯაფა და ვარჯიში გონებისა და თითქმის სრული უვარჯიშობა და გაურჯელობა ტანისა და აგებულებისა, ეს მეტ-ნაკლებლობა იქ, საცა ერთი მეორეზედ განუყრელად დამოკიდებულია ბუნებითად, არსებითად, საცა სიკეთე და სისრულე ერთისა წარმოუდგენელია უმეორედ, იმითი თავდება, რომ გონებასაც ღონე უდუნდება, სიცხოვლე, მკვირცხლობა, მჭრელობა აკლდება და ჯანი და აგებულება ხომ იხუთება და ილახება.

ამის მიზეზს ყველანი იმას აბრალებენ, რომ ეხლანდელ სასწავლებლებში მეტად უყურადღებოდ დაგდებულია ჯანისა და აგებულების ვარჯიშობა და წრთვნა. ეხლანდელ სკოლებში თითქმის მთელი დრო მოზარდისა გონების გახსნასა და ცოდნის შეძენას უნდება. ტანი, აგებულება, ჯანი კი რჩება შემთხვევის ანაბარად, მოუვლელად და განუვითარებლად. თითქო

დავიწყებულიაო, რომ ადამიანის სისრულე სულ-ხორცის თანაბარ სისრულეზეა დამყარებული, რომ ხორცსაც, ესე იგი, ჯანსა და აგებულებას მოზარდისას იმოდენავე მოვლა, პატრონობა, წრთვნა და ხელისშეწყობა უნდა, რამოდენადაც სულსა, ესე იგი, ჭკუა-გონებას, რომ მოზარდი საბოლოოდ რაც შეიძლება სრულ იქმნას სულითაცა და ხორცითაც.

უკვე გამოქვეყნებული ცირკულიარი სწავლა-განათლების მინისტრისა ცხადად გვეუბნება, რომ ეს ჯანაგებულების წრთვნა საჭიროდ დანახულია თვით უმაღლეს მთავრობისაგანაც. ეხლა გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ ცირკულიარმა აღძრა ლაპარაკი რუსეთის პედაგოგებ შორის. რვას ოქტომბერს მომხდარა დიდი კრება პედაგოგებისა პეტერბურგში, ამ კრებას დიდი ხალხი დასწრებია და ბ-ნ მინისტრის ცირკულიარისაგან წარმომდგარ საგანზე ჰქონიათ სჯა და ლაპარაკი. კრების თავმჯდომარეს პროფესორს ლესგაფტს წარმოუთქვამს პირველი სიტყვა და გამოურკვევია, რაში უნდა მდგომარეობდეს ჯანაგებულების წრთვნა და რა მეტოდი და ღონე უნდა იხმაროს სკოლამ ამ წვრთვნისათვის. რამდენიმე დანასკვნი წარმოსდგა ამ წარმოთქმულის სიტყვისაგან და კრებამ კი მოასწრო გარჩევა მარტო ორისა. ერთი იმისა, რომ „საჭიროა თუ არა საშუალ განათლების“ სკოლებში ეგრეთწოდებული, ჯანაგებულების წრთვნა. კრებამ, რასაკვირველია, დიდის ერთსულობით დაადგინა, რომ საჭიროაო. მეორე ეს იკითხეს: რამდენი დრო უნდა დაიდვას კლასებში სწავლებისათვის და რამდენი კლასგარეთისათვის.

ეხლანდელი სკოლები სწორედ ამ მხრით არიან სუსტნი და მტკივნეულნი და, რა თქმა უნდა, ეს საკითხი დიდს გაცხარებულს ბაასს ასტეხდა. ეგრეც ყოფილა, როგორც გაზეთები გვაუწყებენ. ხოლო ბოლოს კი მაინც შემდეგს განაჩენზე დამდგარან: „საშუალ განათლების“ სკოლებში შეგირდები სამად უნდა განაწილებულ იქმნანო ხნოვანობისადაგვარად.

ერთი ნაწილი ათიდამ თორმეტ წლოვანობამდე პირველი და მეორე კლასისანი; მეორე ნაწილი მესამისა, მეოთხისა და მეხუთის კლასისანი თორმეტიდამ ხუთმეტ წლოვანებამდე და დანარჩენი სამის კლასისანი ხუთმეტიდამ ცხრამეტ და მეტ წლოვანებამდე.

პირველის ნაწილისათვის კრებამ საჭიროდ დაინახა კლასში სწავლების დრო ოთხ გასაკვეთზედ დააყენოს და თითო გასაკვეთისათვის 45 წუთი დაინიშნოს. მათ შორის ერთი გასაკვეთი ჯანაგებულების საწრთვნელად დასდევს, ხოლო კლასგარეთ სწავლებისათვის დანიშნულ იყოსო დრო ერთის საათიდამ საათნახევრამდე. მეორე ნაწილისათვის კლასში სწავლება ხუთ გასაკვეთზედ დააყენეს, 45 წუთით თითო გასაკვეთი. მათ შორის ერთი გასაკვეთი ჯანაგებულების წრთვნისათვის. ხოლო კლასგარეთ სწავლებისათვის საათნახევრიდამ ორ საათ ნახევრამდე. მესამე ნაწილისათვისაც კლასში სწავლებისათვის ხუთი გასაკვეთია, თითო გასაკვეთი 45 წუთი, ხოლო ჯანაგებულების საწრთვნელად აქედამ თითო გასაკვეთი დღე გამოშვებით უნდა ჯანაგებულების წრთვნას მოჰხმარდეს. კლასს გარეთ სწავლებისათვის კი განაჩინეს დრო ორსაათნახევრიდამ სამსაათნახევრამდე.

აქედამ გამოდის, რომ სულ ბევრი რომ ვსთქვათ, მცირეწლოვანი შეგირდები /10-12 წლამდე/ სკოლის საქმეს მოუნდებიან დღეში მარტო ოთხსაათნახევარს, ამაზე უფრო მოსწრებულნი /12-15 წლამდე/ ექვს საათს და 15 წუთსა და ამათზე უფროსნი – შვიდ საათსა და 15 წუთს. თუ ვიანგარიშებთ, რომ ამ საათებში ჩართულია ის დროც, რაც ჯანაგებულების წრთვნაზეა გადადებული, გამოვა, რომ მოზარდ თაობას კარგად საგრძნობელი შეღავათი მოელის, მერე იმისთანა შეღავათი, რომელიც სულსაც არგებს და ხორცსაც, თვითონ მოზარდსაც და ქვეყანასაც,

რომელსაც ამ გზით ფხიზელის გონებისა და საღ ჯანაგებულების შვილი გაეზრდება.

ჩვენ მარტო ეს უნდა ვინატროთ, რომ რაც შესაძლოა, მალე აგვისრულდეს მოლოდინი ამ შეღავათისა და მალე გაგვიხორციელდეს ეს კეთილგონიერი განაჩენი პედაგოგებისა მოზარდის თაობის საბედნიეროდ, დედ-მამების სასიხარულოდ და ქვეყნის საკეთილოდ. ყველასათვის მეტისმეტად სანატრელია, რომ სკოლით გაწრთვნილი ყმაწვილი კაცი ხორცითაც ისეთი საღი და მთელი იყოს, ისეთი ძალღონიერი, როგორც სულითა და გულით. წრთვნას, სწავლებას, განათლებას და ერთობ სკოლას სხვა ამის მეტი საგანი და დანიშნულება არა აქვს და, მაშასადამე, არც უნდა ჰქონდეს.

[1889 წ.]

<ფილოქსერა>

ტფილისი, 19 ოქტომბერი

ფილოქსერა, ეს ყველა ჭირზედ უდიდესი ჭირი ვაზისა, ჰლამის მოედოს ჩვენს ქვეყანას. იმერეთში 16 სოფელში შორაპანისა და ქუთაისის მაზრისაში ფილოქსერა უკვე აღმოჩენილია და ეს უფრო მით არის სამწუხარო, რომ ეს ორი მაზრა ბევრვენახებიანი მაზრებია. ეხლახან აქ რომ სახელმწიფო მინისტრი იყო, ამ ფილოქსერის თაობაზედ კრება გაიმართა თვით ბ-ნ მინისტრის თავმჯდომარეობით. ამ კრებაზედ გამოცხადდა, რომ მთელს ქუთაისის გუბერნიაში 60.000 დღიურამდე ვაზი არის გაშენებული, აქედამ 18.000 დღიური შორაპნის მაზრაზე მოდის თურმე და 16.000 დღიური — ქუთაისისაზედ. ფილოქსერა გაჩენილია, როგორც ვსთქვით, 16 სოფელში და მოდებული აქვს 120 ცალკე ვენახს, რომელთაც ერთად უჭირავთ 166 დღიური მიწა და მოფენილია 75 ვერსის სივრცეზედ.

კრებას, რომელიც მოხდა ამ წარსულს 30 სექტემბერს და რომლის თავმჯდომარედაც თითონ ბ-ნი მინისტრი ყოფილა, საჭიროდ დაუნახავს: 1) განიგრძოს ფილოქსერის გაწყვეტა სოხუმისა და ყუბანის ადგილებში და ქუთაისის გუბერნიის იმ ადგილებში, საცა ფილოქსერაა; 2) ყოველივე ღონისძიება იხმარონ, რომ ეს ჭირი არსად

გადავიდეს, და თუ დასნეულებულ ვენახების ამოგდება დასჭირდებათ, ამაზე არ დაბრკოლდნენ, იმ პირობით კი, რომ ვენახის პატრონებს სამაგიერო ეზღოს, 3) იმ ადგილებში, საცა ეს ფილოქსერის ჭირია, ეწამლოს ვენახებსა; 4) მკვიდრთა შორის მოიფინოს ცნობა მასზედ, თუ რა არის ფილოქსერა და როგორ უნდა შეეჭიდოს კაცი ამ საშინელს ჭირსა; 5) გზები უფრო სასტიკად შეიკრას კარანტინებით, რომ ფილოქსერა არც ჭირიან ადგილებიდამ გავიდეს და არც სხვიდამ შემოვიდეს. და სხვა ამგვარნი.

ბ-ნს მინისტრს დიდის გულმტკივნეულობით მიუღია ეს საუბედურო ამბავი ფილოქსერის გაჩენისა ამიერკავკასიაში და აღუთქვამს იშუამდგომელოს უმაღლეს მთავრობის წინაშე — რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს ფულითა, რადგანაც ნაანგარიშებია, რომ ქუთაისის გუბერნიაში ფილოქსერასთან საბრძოლველად ათი ათასი თუმანი ძლივს ეყოფაო.

ამასობაში, როცა სხვადასხვა კომიტეტები და კრებანი, აგრეთვე მთავრობა და სახელმწიფო მოხელენი, სწუხან და ჰფიქრობენ, როგორ მოაშორონ ჩვენს ქვეყანას ეს საშინელი ჭირი, რომელიც გვიქადის ჩვენის ვენახების თავიდამ ბოლომდე ამოგდებასა და აოხრებას, ჩვენ თითონ გულზედ ხელი დაგვიკრებია და ყურსაც არ ვიბერტყავთ, თითქო აქ არაფერია, თითქო არაფრის შიშია, რომ ერთი უდიდესი წყარო ჩვენის სიმდიდრისა, ჩვენის ცხოვრებისა, დაგვიშრეს და სრულად მოგვესპოს. ჩვენი განუყრელი უბედურება ის არის, რომ სულ სხვის იმედითა ვცხოვრებთ, სულ სხვისგან მოველით შველას და ჩვენ თითონ კი ხელს არა ვძრავთ, რომ თავს ვუშველოთ.

ეს ფილოქსერა სახუმარი საქმე არ არის და არც ხანდასაყოვნებელია. ვენახის პატრონებმაც ხელი უნდა გამოიღონ ამ საქმისათვის და რაც შეიძლება მალე, თორემ მერე გვიანღა იქნება, მერე ველარას

ვუშველით, და ის საქმე დაგვემართება, რაც საფრანგეთს მოუვიდა, საცა ასი ათას დღიურობით მოუხდათ ვენახების გაკაფვა და ვაზების ძირიანად ამოთხრა და დაწვა. თუ მდაბიო ხალხი ვერ მიმხვდარა, — რა უბედურება უდგა კარწინ ფილოქსერის სახით, ჩვენი თავადაზნაურობა მაინც რატომ თავს არ იჩენს, რატომ არ მოქმედობს? განა მეტი იქნება, რომ ჩვენმა მარშლებმა ამისათვის თავი გამოიდონ, შეჰყარონ თავთავისი თავადაზნაურობა, მოიწვიონ მცოდნე კაცები და რაიმე წამალი დასდონ ამ ჭირსა, რომელიც გვიქადის ვენახებისაგან ხელცარიელი დაგვსვას? თუ ადგილის კაცნი ამ გზით მხარდამხარ არ მიჰყვებიან მთავრობას, მარტო მთავრობა აქ ბევრს ვერაფერს გახდება და, ვინ იცის, იქნება მისმა ჯაფამ და ხარჯმაც უბრალოდ ჩაიაროს და ჩვენც ბევრი არა გვეშველოს რა. დროა გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყარად გვახსოვდეს, რომ რასაც კაცი თავის თავს თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის.

[1889 წ.]

<სახელმწიფო ბანკის შეღავათიანი კრედიტი თავადაზნაურთათვის>

ტფილისი, 21 ოქტომბერი

ერთი სასიამოვნო ამბავი კიდევ მოგვიტანა გუშინდელმა დეპეშამ თავადაზნაურთათვის. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ სახელმწიფო ბანკისაგან ნასესხს ფულებზე რუსეთის თავადაზნაურობას გაუჭირდა და დაუმძიმდა, წლიური ხვედრი შესატანი თავნისა და სარგებლისა მოეშორებინა. ამის გამო კარგა დიდი ფული შესდგა საერთოდ შესატანის ნარჩენისა. ამ ყოფამ აიძულა იქაური თავადაზნაურობა მიემართა მთავრობისათვის და შეჰვედროდა შემწეობას. თვით სიდიდემ ნარჩენის ფულისამ მიიქცია ყურადღება თითონ მთავრობისაცა. ორში ერთი: ან თავადაზნაურთაგან დაგირავებული მამულები, რიცხვით მრავალი, ერთბამად უნდა ბაზარში გამოსულიყო გასასყიდად, ან სახელმწიფო ბანკს რაიმე შეღავათი მიეცა. მთავრობა, როგორც ეტყობა, ამ მეორე ღონისძიებაზედ დამდგარა და თავის მოვალეთათვის შეღავათი მიუცია.

ამ გამოცხადებულის უმაღლესის ბძანების ძალით, დღეისამასიქით სახელმწიფო ბანკისაგან ნასესხს ფულს მარტო ოთხნახევარი სარგებელი ექნება უწინედ ხუთის მაგიერ, ესე იგი, ათას თუმანზედ ოთხი და ათი შაური და არა ხუთი მანეთი, როგორც აქამომდე იყო, ამ სახით წინანდელი წლიური

შესატანი ყოველს ათს თუმანს ნასესხზედ ათის შაურით ნაკლებ იქნება და სულ ერთად შეადგენს ყოველს ათს თუმანზედ ხუთს მანეთსა და ხუთს შაურსა თავნსა და სარგებელში მაგიერ ხუთის მანეთისა და ხუთმეტის შაურისა. ხოლო ვადა სესხისა ამ შემთხვევაში წაემატება, ასე რომ, ვისაც 48 წლით და რვა თთვითა ჰქონდა აღებული, იმას ვადა გაუდიდდება 51 წლამდე და ცხრა თთვემდე, და ვისაც 36 წლით და შვიდის თთვით, იმას 38 წლამდე და ოთხს თთვემდე. გარდა ამისა სესხი მიეცემათ ვალის ამღებთ არა გირავნობის ფურცლით, არამედ ნაღდის ფულითა მაშინ, როდესაც აქამომდე გირავნობის ფურცლებით ეძლეოდათ და ამ ფურცლების განაღდებისათვის სახელმწიფო ბანკი ყოველს ათს თუმანს ნასესხზედ ორს მანეთს იჭერდა. დღეს ამ მხრითაც ვალის ამღებთ გამორჩენა ექმნებათ ასე, რომ უწინ 98 მანეთი ეძლეოდათ სესხად და ვალად ეწერებოდათ ათი თუმანი და ეხლა კი რაც ვალი დაეწერებათ, იმდენი ნაღდი ფული მიეცემათ სესხად.

ყოველივე ეს შეღავათი იმათაც ეძლევათ, ვისაც დღევანდლამდე ფული უსესხნიათ სახელმწიფო ბანკისაგან. ხოლო სხვა შეღავათები, რაც ამ უკანასკნელთათვის მთავრობას დაუდგენია, ჩვენ არ შეგვეხება და ამიტომაც იგი ჩვენ არც დეპეშაში მოვიყვანეთ და არც ვხედავთ საჭიროდ აქ გამოვარკვიოთ. ჩვენ ამ შეღავათებს თუ მივაქციეთ ყურადღება, მარტო იმისთვის, რომ უეჭველია ეგევე შეღავათი ჩვენშიაც მიეცემა თავადაზნაურობას, როცა სახელმწიფო ბანკი აქაც თავის მოქმედებას დაიწყებს და ჩვენებურ მსესხებელთ პირველ ხანშივე ამ ნაკლების სარგებლით მიეცემათ ნაღდი ფული უკლებლივ და გამოურიცხველად იმ ასზედ ორის მანეთისა, რომელსაც სახელმწიფო ბანკი აქამომდე უკან იჭერდა გირავნობის ფურცლის ნაღდ ფულად ქცევისათვის.

რა თქმა უნდა, იმედია, რომ თავადაზნაურობა მაინც იძულებულ ჰყოფს სახელმწიფო ბანკს იმ უსიამოვნო საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომ დაგირავებული მამულები ჰყიდოს, რადგანაც, თავადაზნაურთა ცნობილ ჩვეულებისა და ზნისამებრ, თავ-თავის დროს არ შეიტანენ შესახვედრს წლიურს შესატანს თავნსა და სარგებელში. გუშინდელი დეპეშა ამის გამო გვაუწყებს, რომ უმაღლესად დამტკიცებულიაო განაჩენი სახელმწიფო საბჭოსი იმის თაობაზედ თუ, რა შემთხვევაში და რა წესით უნდა ჩავარდეს საჯარო გასასყიდად იგი მამულები, რომელთ პატრონებიც ნასესხ ფულის შესატანს თავის დროზედ არ მოიშორებენ. რა შემთხვევანი არიან დასახელებულნი და რა წესია აღნიშნული საჯარო გასყიდვისათვის, ამის ამბავს ჯერ ჩვენამდე არ მოულწევია.

წინადაც ვსთქვით და კვლავ ვიმეორებთ, რომ ამისთანა შეღავათიანი და სუბუქი კრედიტი, რომელიც სახელმწიფო ბანკს თავადაზნაურთათვის აღმოუჩენია, ძნელად წარმოუდგენელია, თუ დღევანდელ ზოგად ეკონომიურ მდგომარეობას მივხედავთ. ამაზედ იეფად შოვნა სესხისა ძნელად საფიქრებელია. ეხლა ამ კრედიტის გამოყენება თვით თავადაზნაურთა წინდახედულობასა, ფხიზლობასა და თავდარიგობაზეა მარტო დამოკიდებული. ვისაც ეს კრედიტიც არას გამოადგება, ნურავის დააბრალებს: თავის თავისა და ქონების წახდენაში თვით იქნება ბრალეული.

[1889 წ.]

<ევროპა გაყოფილია ორ ბანაკად>

ტფილისი, 23 ოქტომბერი

ინგლისი დღევანდელ პოლიტიკის გარემოებამ სხვაზედ უფრო კარგს მდგომარეობაში ჩააყენა. ევროპა თითქმის ორ თანასწორ ბანაკად გამოყოფილია და აშკარაა, რომელსაც ინგლისი მიემხრობა, იგი დასძლევს სასწორს. ეს ასეთი ყოფა ინგლისისა კარგად გაგებული აქვთ მის ბედის გამგებელთა და ეჭვი არ არის, რომ ინგლისელნი კარგად გამოიყენებენ ამ დღევანდელის დღის ვითარებას. მართალია, მთავარ-მინისტრს სალუსბერის სწამებენ ვითომც გერმანიასთან რაღაც შეკრულობა აქვსო, მაგრამ ეს ისე ადვილად დასაჯერი არ არის, როგორც ბევრსა ჰგონია.

სალუსბერი, როგორც კონსერვატორთა დასის მეთაური, იქნება უფრო გერმანიის პოლიტიკისაკენ იყოს მიდრეკილი, იქნება გულში გერმანიასთან ყოფნა უფრო ედოს, მაგრამ ინგლისი მით არის სხვებზედ განსხვავებული, რომ იქ ძალმომრეკი დონე თითონ ერსა აქვს და ყოველი მინისტრი, სალუსბერი იქნება თუ სხვა, უსათუოდ ანგარიშს უნდა უწევდეს ერის სურვილსა და მიდრეკილებას.

თუ ამ სურვილისა და მიდრეკილების გამორკვევას შევუდგებით, არა გვგონია ბევრი მაგალითი ვიპოვოთ იმისი, რომ ინგლისის ერსა ამ უკანასკნელ ხანებში

გული ძლიერ უცემდეს ან სალუსბერისათვის ან მის საგარეო პოლიტიკისათვის. რაც ამ ბოლოს ხანებში დასამატი არჩევანები მოხდა, იქიდამა სჩანს, რომ სალუსბერის სამინისტროს ცოტა არ იყოს გარს ბნელი მოსდგომია. თითქმის ყველგან, საცა ეს არჩევანები მოხდა, გლადსტონის მომხრეებმა გაიმარჯვეს და აქედამ ყველას ის გამოჰყავს, რომ ინგლისის ერმა წინანდელი სურვილი, რომელიც ხელს უწყობდა კონსერვატორთა სამინისტროს, ცოტად თუ ბევრად გლადსტონისაკენ მიჰმართა. ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას აძლევენ. არიან იმისთანანიც, რომელნიც იმედოვნებენ, რომ „სახელოვანს მოხუცს", — ასე ეძახიან გლადსტონს, ერთხელ კიდევ ვნახავთ ინგლისის მთავარ-მინისტრის ტახტზედაო.

გლადსტონის გამინისტრება და გერმანიასთან გაგულგრილება ერთი იქმნება. ლიბერალთა დასს, რომელსაც სათავეში უდგას სახელოვანი გლადსტონი, დიდი ხანია თვალში ვერ მოსდის არც გერმანია და არც სალუსბერის პოლიტიკა, რომელიც თუ საქმით ძალიან დაახლოებული არ არის გერმანიის პოლიტიკასთან, გულით მაინც ცოტად თუ ბევრად მონდომილია გერმანიას აამოს და მისი საწყინარი რამ არ ჩაიდინოს. გლადსტონელთა საგარეო პოლიტიკას მომხრობია საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი დერბი, ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ ლორდი დერბი კონსერვატორთა დასის კაცია და ინგლისში კარგი ხმა აქვს დაგდებული. ამისი მომხრეობა დროთა ნიშანია და დიდი საქმეა გლადსტონის დასისათვის. ცოტად თუ ბევრად მოსალოდნელია, რომ ლიბერალთა დასს ინგლისში დღეს ხელახლად მზე ამოუვა. რას უნდა მოველოდეთ საგარეო საქმეთათვის, თუ ვინიცობაა გლადსტონი იქმნა მიწვეული მთავარმინისტრად?

ამის პასუხს თვით გლადსტონის ნათქვამში ვიპოვით. მას წარმოუთქვამს ამ ახლო ხანში სიტყვა

საგარეო პოლიტიკის თაობაზედ და გამოუცხადებია, რომ, მართალია, დღეს მიზეზი არა არის რა, კაცმა რამ შიში იქონიოს ომისაო, მაგრამ შესაძლო კია მშვიდობიანობა ევროპისა შეირყას მომავალშიო. რა თქმა უნდაო, დიდნი სახელმწიფონი სულ იმის ცდაში არიან, რომ რაც შეიძლება დიდხანს გასტანოს მშვიდობიანობამ ევროპისამო, მაგრამ ევროპის აღმოსავლეთში ბევრი იმისთანა ამბავია, რომელიც შიშსა ჰბადავს და ყოველ დღე ამ შიშს აძლიერებსო. ამ შიშის ბრალსა გლადსტონი სდებს ოსმალეთს, რომელსაც თითქმის რისხვით და წყრომით იხსენიებს. ოსმალეთის გამგეობა სომხეთსა და კრიტში გულს უმღვრევს გლადსტონსა და ამწარებს. მე მგონიაო, ამბობს გლადსტონი, ცუდი გამგეობა ოსმალეთისა, ცუდი მართველობა დაჭერილ ქვეყნებისა მუდამი მუქარაა ევროპის მშვიდობიანობისათვისაო და შელახვა და შებღალვაა კაცთმოყვარეობისა და ქრისტიანობისაო.

ეხლა, როცა გერმანიის იმპერატორი სტუმრად არის სტამბოლში სულთანთან და ლაპარაკია იმაზედ, რომ გერმანიას ჰსურს ჩაბას „სამთა კავშირში“ ოსმალეთი, ეს სიტყვა გლადსტონისა ვერაფერი საამური იქნება გერმანიის პოლიტიკისათვის. ოსმალეთისაკენ გადაქნეულ მათრახის წვერები გერმანიასაცა ჰხვდება ახლოდამ თუ შორიდამ, სჩანს, რომ გერმანიის ყოფაქცევა არ მოსწონს გლადსტონს და, მაშასადამე, ცხადია, რომ, თუ გლადსტონი გამინისტრდა, ინგლისი ვერაფერი საიმედო იქნება გერმანიისათვის. საგარეო პოლიტიკას ეს ასეთი საქმე თავის კვალს დააჩნევს, ცოტად თუ ბევრად შესანიშნავს.

[1889 წ.]

<ისევ განათლების საკითხებზე>

ტფილისი, 26 ოქტომბერი

დღეს ჩვენშიაც კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს, — რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს. როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჰლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არცა ჰშივა კაცს და არც სცივა. ამის გამო ცოდნის არქონას ისე ვუყურებთ, როგორც არქონას მორთულობისას, სამკაულისას, სახელდობრ იმ მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც, თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არადა, არა ჰღირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს.

ჩვენი შეცდომა სწორედ ამაშია. ცოდნა, სწავლა-განათლება, ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა. ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონესაც და

შეძლებასაც. დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უმარცხოდ და უძლეველად. ცხოვრების მოედნიდამ ბურთი დღეს მარტო მცოდნეს გააქვს, მარტო მცოდნეს აქვს საკმაო და საპატიო კერძი წუთისოფლის სუფრაზედ, და თუ უცოდინარისათვის რჩება რამე, ნარჩენი მარტო მცოდნეს ნასუფრალია, მცოდნე კაცის სუფრის ნაბღერტია. დღეს მარტო მცოდნე და ნასწავლია ბატონი და უსწავლელი, უცოდინარი კი მისი ყურმოჭრილი ყმაა, რომელიც ძალაუნებურად იძულებულია იმას დასჯერდეს, რასაც მცოდნეს და ნასწავლს ჰმორჩება, რასაც მცოდნე და ნასწავლი ხელს არა ჰკიდებს, როგორც მისთვის უღირსსა და გამოუსადეგს.

ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალწინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება.

ესეთი ძლიერება ცოდნისა და სწავლა-განათლებისა ჩვენ საკუთარ თვალწინ შესაძლოა კაცმა დაინახოს. რამდენი მაგალითია, რომ უცხოქვეყნელი, ვინ იცის საიდამ მოსული და ჩვენში შემოხიზნული, არამც თუ ლუკმა პურსა ჰშოულობს, მდიდრდება, კეთდება ჩვენს შორის, და ჩვენ კი, ჩვენს საკუთარ სახლსა და ქვეყანაში, ჩვენს საკუთარ მამა-პაპის ბინაზედ გვენატრება სარჩო და საგზალი ცხოვრებისა. ჩვენ მუდამ იმასა ვჩივით და ვტირით, რომ ღარიბნი ვართ, ლუკმაპურის ილაჯს ვერსად

გამხდარვართ და ის კი აღარ გვახსოვს, ის კი აღარ გვაგონდება – სად და რაშია სათავე და მიზეზი ჩვენის სიღარიბისა.

საკვირველია! თუ უცხოქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც ერთი მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშემწყობი და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზედ დანდობილი, ჰშოულობს საქმეს, თავს ირჩენს, მდიდრდება, კეთდება, ჩვენ რაღა დაგვემართა, ჩვენ, რომელთაც მიწაცა გვაქვს, მამულ-დედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესავობაც გვყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს. ჩვენს საკუთარს სუფრაზედ სხვანი სძღებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდამ სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ კი ცარიელზედ გასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გვშიან და გვწყურიანო. ის კი არ ვიცით, რომ „ტირილითა და ვიშითა" სოფელი არ აშენდება.

რად არის ესე? იმიტომ არის, რომ უცხოქვეყნელი იმ განძით, იმ საუნჯით მოდის ჩვენში, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და ურომლისოდ ეხლანდელ დროში თითონ ფულითაც მდიდარი ღარიბია, რადგანაც უქმია და გამოუსადეგი, და უქმი და გამოუსადეგი ხომ მარტო ქონების მჭამელია და არა ქონების გამდიდებელი და გამაძლიერებელი, ქონების გამღებია და არა მომღები. ეხლანდელს დროში ნურვინ იფიქრებთ, რომ წინ წაუხვიდეთ მცოდნესა და განსწავლულსა და ან არსებობისათვის ჭიდილში საეკონომიო მოედანზედ გამარჯვება თქვენ დაინარჩუნოთ; ნაღებს ქვეყნისას და ცხოვრებისას მცოდნე კაცი ჰხდის და უცოდინარს სასვლეპავად თუ დო დარჩა, ღმერთს მადლობა შესწიროს.

ჩვენი უცოდინარობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ვეღარ გაგვიწევია ახალმოსულთა უცხოელთათვის. ყველგან იგინი გვჯობნიან, ყველგან იგინი წინ

გვასწრობენ, გამოსარჩენს საქმეს ხელიდამ გვაცლიან. რას იზამთ? იმათკენ ცოდნაა, განათლებაა, მიხვედრილობა და გაგებულობაა, ჩვენკენ კი უვიცობა, სიბნელე, მიუხვედრებლობა, გაუგებლობა. ამ სამწუხარო მდგომარეობაში მყოფნი რით უნდა შევეჭიდნეთ, რით უნდა გავუმკლავდეთ სწავლითა და ცოდნით შეთოფიარაღებულს, ცოდნითა და სწავლით გაძლიერებულს, გაღონიერებულს და გათამამებულს? რასაკვირველია, იმავ იარაღით, რითაც ისინი იმარჯვებენ ჩვენზედ, ესე იგი, ცოდნითა და სწავლულობითა. სხვა ვერაფერი გაუსწორებს ომს ცოდნასა, თუ არ ისევ ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა.

ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთამიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა. მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან.

აქედამ აშკარაა, რას უნდა ეტანებოდეს ჩვენი ქართველობა, თუ სურს, რომ ჯანი მიეცეს მის სულსა და ხორცს ცხოვრების მოედანზედ საჭიდაოდ და გასამარჯვებლად? იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ, აბა ერთი უყურეთ, ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც ჩვენდა საუბედუროდ, სხვებზედ უკანა ვართ დარჩენილნი.

რის გამო გავმართეთ საუბარი ამ ძველისძველ და ყოველთვის კი ღირსსახსენებელს საგანზედ, ამას შემდეგს წერილში გამოვარკვევთ.

ტფილისი, 27 ოქტომბერი

ჩვენს წინა წერილში ვსთქვით, რომ ქართველობა, რაც შესაძლოა, ძლიერ უნდა ეტანებოდეს სკოლებს და სასწავლებლებს ცოდნისა და სწავლა-განათლების კარის გასაღებად, ხოლო ამის სანაცვლოდ იმასა ვხედავთ, რომ აწ არსებულს სკოლებსა და სასწავლებლებში ქართველები თითქმის ყველგან ნაკლებად არიან. ეს ცხადად დაგვანახვა, სხვათა შორის, ტფილისის რეალურ სასწავლებლის წლიურმა ანგარიშმა.

კვირას, 22 ოქტომბერს, ხსენებულ სასწავლებელში იყო აქტი. ამ აქტზედ წაკითხულ ანგარიშიდამა სჩანს, რომ გასულს წელს ამ სასწავლებელში ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორის ქართველი მხოლოდ 27, მაშინ როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი – 136, გერმანელი – 24, პოლშელი – 16, თათარი – 10, ბერძენი –4 და ებრაელი –3. მოდით და გული ნუ დაგეწვით მწუხარებით ამისთანა ამბის გაგონებისაგან! 358 შეგირდს შორის 27 ქართველია მაშინ, როდესაც სომეხი 136-ია, რუსი 138-ი და გერმანელი –24! მერე სად? საქართველოს დედაქალაქის, საქართველოს შუაგულის სასწავლებელში!..

ეს ამბავი გულში უფრო მწვავედ ჩააჩნდება ყოველს ჩვენს მოკეთეს, როცა გვეცოდინება, ქართველებთან შედარებით ვინ რამდენნი არიან, თუნდ, მაგალითად, მარტო ტფილისში. ტფილისი აიწერა 1876 წ. ამ აღწერიდამ სჩანს, რომ რუსები არიან ტფილისში რიცხვით 20.000-მდე, ჯარებს გარდა. ამათში 9.000 წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა; იმერ-ამერ ქართველნი – 22.000, ამათში

მარტო 7.000 წერა-კითხვის მცოდნეა; სომეხი – 37.000, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 11.000-ზე მეტია; თათარი – 2.000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე მარტო 381; ყიზილბაში – 1.700-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე 240-ი; გერმანელნი – 2.000-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნეა – 1.500-ი; პოლშელები – 1.500-ი, ამათში წერა-კითხვის მცოდნე – 1.000-ია; ერთს მესამედზედ მეტს ჩვენებურ მკვიდრთა სცოდნიათ რუსული წერა-კითხვაც. ყოველ აქედამ გამოდის, რომ რუსებს თითქმის ნახევარ წილს სცოდნია წერა-კითხვა, ქართველებს თითქმის მესამედ წილსა, სომხებს მესამედზე ცოტა ნაკლებს. ხოლო წერა-კითხვის ცოდნის კვალობაზედ ყველაზე წინ არიან გერმანელნი, რომელთა შორის მცოდინარი ოთხში სამია; ამათ მოსდევენ პოლშელნი, რომელთა შორის მცოდინარი სამში ორია; შემდეგნი არიან რუსნი, რომელთ შორის ორში თითქმის ერთია. მეტ-ნაკლებობა ეგრეთწოდებულ კულტურისა და სხვათა შორის ამ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვითაც განიზომება.

თუ 20.000 რუსი სასწავლებელში ჰზდის 138 ყმაწვილსა, თუ ორი ათასი გერმანელი ზდის 24-ს, 1.500 პოლშელი – 16-სა, ჩვენ რა წყრომა ღვთისა გვეწია, რომ 22.000 ქართველი თითქმის მარტო იმოდენასა ჰზდის, რაც ორი ათასი გერმანელი. ეს გულსაკლავი ამბავი რის მომასწავებელია? ვამბობთ, ღარიბნი ვართო და ვერ ვუძღვებით შვილების გაზდის ხარჯსაო. კიდეც ეგ არის სავალალო, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი კი იმოდენად მდიდარია, შვილების გაზრდის ხარჯსაც ჰშოულობს და სახლობასაც გაუჭირებლივ ჰკვებავს. რათა? რად უნდა იყოს ესე? ჯერ იმიტომ, რომ გერმანელს და სხვას მისებრ მიხვედრილს კაცს ცოდნა და სწავლა-განათლება სამკაულად კი არა აქვს მიჩნეული,

როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულკერდისათვის. იგი ცოდნასა და განათლებას უყურებს, როგორც აუცილებელს საჭიროებას, როგორც არსებითს პურსა, და ამიტომაც, როცა სარჩო-საბადებელისათვის იღვწის, მაშინ წელებზედაც ფეხს იდგამს, რომ შვილის გასაზრდელი ხარჯიც მოიამაგოს. გერმანელი პურს დაიკლებს, ღვინოს დაიკლებს, შიმშილს, წყურვილს არ შეუშინდება და შვილის გასაზრდელად კი თავის მონაგარს გროშს გადასდებს, შვილის მცოდნე კაცად ქცევისათვის არაფერს დაჰზოგავს და ყველაფერს გაიმეტებს. გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული. იცის, რომ ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი. ამ სახით, რაკი გერმანელისათვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებელი საჭიროებაა, მის საეკონომიო ანგარიშში, მის საღვაწოსა და საამაგოში შვილის გასაზრდელად სახარჯოს მოპოვებას თითქმის უპირველესი ადგილი უჭირავს. ჯაფას, გარჯას იორკეცებს და, თუ ამით ვერას გამხდარა, სხვაგან იკლებს და ამ სახარჯოს კი ჰმატებს.

მეორე მიზეზი იმისი, რომ გერმანელს არ უჭირდება შვილის სკოლაში გამოსაზრდელი ხარჯი, ის არის, რომ გერმანელს ცოტად თუ ბევრად ცოდნა აქვს რისამე: ან სწავლულია და ამით ჰშოობს ცხოვრების საგზალსა, ან ხელოვანია რაშიმე, ან ხელოსანია. იგი საცა მიდის, ყველგან ჰპოულობს საქმეს, და რაკი ცოდნა აქვს, მრავალკეცად იადვილებს სარჩო-საბადებლის შოვნასა და ჩვენებურ უცოდინარს ხელიდამ აცლის საქმესაც და ლუკმასაც, ძალმომრეობით და უნამუსობით კი არა, პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით — იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა

ჰქვიან და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული.

ჩვენ ყოველს ამაზედ ძალიან შორსა ვართ. ჩვენს საეკონომიო ანგარიშში, ჩვენის ცხოვრების „ჩოტკში" შვილის გასაზრდელს სახარჯოს არავითარი ადგილი არ უჭირავს. განა მითამ სურვილი სკოლაში მიბარებისა არ იყოს ჩვენში გაძლიერებული!.. აბა ჰნახეთ, რამოდენა ქართველობა მიაწყდა ხოლმე სასწავლებლის კარს, როცა მიღების დრო მოდის. ხომ ესეა, და ბოლოსდაბოლოს მარტო იმასა ვხედავთ, რომ ამ მრავალთაგან თითო-ოროლაღაა შესული სასწავლებელში და ამ გზით ქართველები ყველგან ცოტანი არიან.

რად არის ესე? თუ სურვილი ძლიერია, საქმეც უნდა გამოდიოდეს რამე და რატომ არ გამოდის? იმიტომ, რომ ჩვენ შვილი მიგვყავს სკოლაში მარტო იმისათვის, რომ თავიდამ მოვიშოროთ, ან სახელმწიფოს მოვახვიოთ კისერზედ, ან სხვას ვისმე კეთილმყოფელს და რადგანაც სხვისი ჯიბე იმოდენად უხვი არ არის, რამოდენადაც დიდია სურვილი მუქთად შვილის გამოზრდისა და გამოკვებისა, ამიტომაც ბევრი დედ-მამა იძულებულია შვილი უკან წაიყვანოს. ეს სწორედ იმასა ჰგავს, — ყვავს ბახალა მოუკვდაო და ბუს მიუგდო, დიდი თავი შენა გაქვს და შენ იტირეო.

ერთხელ და ერთხელ საჭიროა ყურებიდამ ბამბა გამოვიღოთ. ერთხელ და ერთხელ საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდაესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. რასაკვირველია, ამას ხარჯი უნდა და აი სწორედ ამის სახარჯოსათვის ჩვენ არ ვირჯებით, არა ვმოქმედობთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთს ოფლსაც არ ვიმეტებთ. პური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოობთ, ღვინო როცა გვაკლია — ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, იქით ვეცემით, აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ, — და როცა

შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გავძრავთ, თუნდა მთელი დღე იმოდენად მოცლილი ვიყვნეთ, რომ გულდაღმა ვიწვნეთ და ჭერში ბუზებსა ვსთვლიდეთ. გაზრდა შვილისა კი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროსერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ.

აკი ვსთქვით, სურვილი სკოლაში შვილის მიბარებისა ბევრია, მაგრამ გვინდა კი, რომ ყოველივე ეს ან მუქთად მოგვეცეს, ან მოწყალებასავით სხვისაგან გვეძლიოს. ჩვენ თითონ კი ამისათვის ხელის განძრევაც გვეზარება: თუ მოვა თავისთავად, ხომ რა კარგი, თუ არა, უმაგისოდაც გავძლებთო, ვიტყვით ხოლმე. უმაგისოდ ვერ გასძლებთ, ვერა. ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია და ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია. მაშ თან ხომ არ გადავყვებითო მაგ ხარჯსა და მოვალეობას, როცა ჩვენ თითონაც არა გვაბადია რაო. სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან.

[1889 წ.]

<რუსეთის იმპერატორის ვიზიტი გერმანიაში>

ტფილისი, 28 ოქტომბერი

ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ბერლინში და ორმა იმპერატორმა ერთმანეთი ინახულეს. გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ამ ერთმანეთის ნახვას კარგი შედეგი მოჰყვაო და ცოტა არ იყოს გერმანიასა და რუსეთ შორის აშლილობა და გულგრილობა განელდა და დაწყნარდაო. არ ვიცით, — რაოდენად მართალია ეს ამბავი, ეს კი აშკარაა, რომ ამ ორ ძლიერთა იმპერატორთა ერთად შეყრამ შეაფუცხუნა ავსტრია და იტალია, რომელნიც გერმანიასთან ერთად შეადგენენ ეგრედწოდებულს კავშირს მშვიდობიანობის დაცვისას. ესეც უნდა მომხდარიყო, იმიტომ რომ გერმანია ისე ვერც გაისწორებს საქმეს რუსეთთან, რომ იტალია და ნამეტნავად ავსტრია ცოტად თუ ბევრად არ გასწიროს. რუსეთსა და ავსტრიას მოურიგებელი და ერთმანეთში გაუთავებელი საქმე აქვთ ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ და თუ რუსეთმა გული აიყარა გერმანიაზედ, მარტო იმის გამო, რომ აქ გერმანია ავსტრიას უფრო ხელს უწყობდა, ვიდრე რუსეთს. ეხლა რაკი გაზეთები გვარწმუნებენ, რომ იმპერატორთა ერთმანეთის ნახვის შემდეგ გერმანია და რუსეთი ხელახლად მოუტკბილდნენ ერთმანეთსაო,

უნდა ვიგულისხმოთ, რომ გერმანიამ რუსეთისაკენ გადიწია ბალკანეთის საქმეთა გამო. უამისოდ წინანდელი მიზეზი სამდურავისა თავიდამ მოშორებული არ იქმნება და, მაშასადამე, მოტკბილებაც წარმოუდგენელია.

თუ ესეა, რაღა თქმა უნდა, ავსტრიას ყურები უნდა ეცქვიტნა და იტალიასაც უნდა თვალები დაეჭყიტა, რადგანაც არც იტალიაა უიმისო, რომ პოლიტიკის ცვლილება ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ ცოტად თუ ბევრად არ შეეხოს იტალიის ინტერესებსა. იტალიასაც აქ თვალი უჭირავს, რომ რასმეს გამორჩენ ბალკანეთის საქმეთა მირევ-მორევას. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ გარემოებამ აიძულა იტალიის მთავარ-მინისტრი კრისპი და ავსტრიისა — კალნოკი, რომ ბისმარკი ინახულონ და პირდაპირ მოელაპარაკონ აწინდელ საქმეთა მდგომარეობასა და მსვლელობაზედ. თუ ის ამბავი მართალია, რომ გერმანია და რუსეთი ცოტად თუ ბევრად შეუწყნარდნენ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, თ. ბისმარკის ეხლანდელი ყოფა კრისპისა და კალნოკის წინაშე ორწყალშუა დგომას ეგვანება. ბატონობა ევროპაში გერმანიისა, რომელიც ბისმარკმა აკისრებინა ავსტრიასა და იტალიას, როგორც თავის ყურმოჭრილ ყმებს, არც უიმისოა, რომ ამ კისრად აღების სამაგიეროდ არ დაჰპირებოდა ერთსაცა და მეორესაც რისამე გამორჩენას.

ავსტრია, ნება-უნებურად ბალკანეთისაკენ პირმიქცეული, უიმისოდ ვერ გასძლებს, რომ ბალკანეთი არ იყოლიოს, თუ არ თავის ბძანებლობის ზედმოქმედების ქვეშ მაინცა. თუმცა ამ ბოლოს დროს ავსტრიას პატარა ხელი შეეშალა სერბიაში, რომელმაც თითქო რუსეთისაკენ უფრო გადიწია, მაგრამ მის სამაგიეროდ გავლენა ავსტრიისა გაძლიერდა ბოლგარიაში. საქმე ეხლა იმაშია, ამ გაძლიერებას ხელს შეუწყობს ბისმარკი თუ არა, არ შეუწყობსდა, რითღა მოუგებს გულს ავსტრიასა,

ურომლისობა თითქმის ისეთივე დანაკლისია გერმანიისათვის, როგორც რუსეთის განზე ყოფნა. ავსტრიასაც, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულია გერმანიასთან, ადვილად შეუძლიან ხელი გაუწვდინოს საფრანგეთსა, რომლის შიშით თ. ბისმარკი ასე სცდილობს მომხრეები და მეშველნი მოიკრიბოს ევროპაში. ამ შემთხვევაში, ვინ იცის, იქნება ავსტრიის გადგომა უფრო საშიშარი იყოს გერმანიისათვის, ვიდრე სხვისა ვისიმე, რადგანაც ავსტრია შიგ პირში უდგა გერმანიას და თითქმის გერმანიის საზღვრებში შიგ შეჭრილია და შესული. ამ სახით, უეჭველია, რომ კალნოკი და ბისმარკი საუბარს გამართვენ და არც უიმისობა იქნება, რომ თითონ კრისპიმაც ამაზედვე არ ჩამოაგდოს ლაპარაკი, რადგანაც ბალკანეთში ავსტრიის თუ რუსეთის გაწევ-გამოწევა შეატოკებს საზღვრებს ოსმალეთისას და ეს შეტოკება კიდევ გააძლიერებს დიდის ხნის მადას იტალიისას გამორჩეს რასმეს ადრიატიკის ზღვის პირებზედ, რომლის დასავლეთი მხარე იტალიისაა და ჩრდილო-აღმოსავლეთისა ავსტრიას უჭირავს და სამხრეთ-აღმოსავლეთისა ოსმალეთსა.

როგორ გაუძღვება თ. ბისმარკი ცალკე რუსეთს, ცალკე ავსტრიას და ცალკე იტალიას, რომელთაც ერთმანეთში არამც თუ საერთო რამე აქვსთ, პირიქით, რაც ერთისათვის სახეიროა, ის მეორესა და მესამესათვის საწყენია და საზიანო, როგორ გაუძღვება მაშინ, როდესაც გერმანიისათვის ისე საჭიროა, — რუსეთთანაც კარგად ყოფნა, ავსტრიასთანაც და იტალიასთანაც. რასაკვირველია, თ. ბისმარკი — ეს გენიოსი კაცი გერმანიისა — მეტისმეტად მოხერხებულია ყოველს ამისთანებში, მაგრამ მოხერხებასაც თავისი საზღვარი აქვს, რომლის იქით ყოველივე შემძლებელობა ადამიანისა უქმია. ჩვენის ფიქრით, ზემოხსენებული ამბავი, ნაუწყი გაზეთებისაგან, დასაჯერი არ არის და ნათქვამია მარტო იმისათვის, რომ ჯერხანად საჭიროა

მაგისი თქმა, რადგანაც უამისოდ გერმანიას, ცოტა არ იყოს, აბრუ გაუტყდებოდა ევროპაში. უეჭველია, კრისპი და კალნოკი, ბისმარკს შეხვდებიან თუ არა, პირდაპირ დაუყენებენ საპასუხოდ ამ საკითხს: ჰო თუ არა. ისიც უეჭველია, რომ ბისმარკი ჰოს უფრო იტყვის, ვიდრე არასა და ამით გამოისტუმრებს ორსავ სახელმწიფო მინისტრებს, ხოლო ამ შემთხვევაში ამ არაერთხელ თქმული ჰოსათვის გულდასაჯერებელს საბუთს მოსთხოვენ და ცარიელს სიტყვას აღარ დასჯერდებიან.

[1889 წ.]

<არეულობა იტალიასა და საფრანგეთს შორის>

ტფილისი, 30 ოქტომბერი

მაშინ, როდესაც გერმანიის იმპერატორი მოგზაურობს და დადის ევროპაში, რომ თავის იმპერიის პოლიტიკას, თუ შემწენი არა, თანამოზიარენი და თანამგრძნობნი უშოვოს და როცა მთელი ქვეყანა ჰკითხულობს — რად და რისთვის უჭირს იმპერატორს ვილჰელმს ამოდენა უკან დევნა, რომ თითქმის მთელი ევროპა მოიმხროს, თუ საქმით არა გულით მაინცა. მისი წინანდელი და სიგელით ხელშეკრული მოკავშირე იტალია როგორღაც განზედ იწევს. ჩვენ ამას ვამბობთ არა იტალიის გამგებელთა შესახებ. იტალიის მთავარ-მინისტრი კრისპი მაინც გულითა და სულით გერმანიისაკენ არის და საფრანგეთს დღემდე ამრეზილის თვალით უყურებს და იმდენადაც ჰკადნიერობს, რომ საფრანგეთის საზღვრებისაკენ ჯარებსაც ჰგზავნის და სიმაგრეებსაც ამზადებს. ხოლო ერი იტალიისა როგორღაც ჰტოკავს და ჰხამუშობს ამისთანა პოლიტიკას თავის მთავარ-მინისტრისას.

იტალიელთ ეს ცხადად დაამტკიცეს, როცა თავისი დეპუტაცია გაჰგზავნეს საფრანგეთს, რომელმაც დიდი პატივი სცა და დიდის ყოფით მიიღო. ამ საგანზედ საზოგადოებამ უკვე ხმა ამოიღო

გაზეთების პირით. გაზეთს „Capitale“-ს დაუბეჭდია წერილი და კრისპის პასუხისგებას კისრად სდებს საფრანგეთთან სამდურავის ჩამოგდებისას. იგი ამბობს, კრისპის ყოფნამ ბისმარკთან იტალიას ორმო გაუთხარაო და დაჰღუპა და გაათახსირა იტალიის ვაჭრობაო. მთავარ-მინისტრმა პასუხი უნდა გასცესო იტალიას, რომელსაც სამართალი ნებას აძლევს მოსთხოვოს თავის მინისტრს ანგარიში იმ პოლიტიკისა, რომელმაც იტალია ყურმოჭრილ ყმად გაუხადა გერმანიასაო.

თითონ მინისტრ კრისპის გაზეთი „Riforma“-ც კი ეხლა უფრო დაწყნარებით ჰლაპარაკობს საფრანგეთის შესახებ და უფრო მოტკბილებულია.

ამასწინად საფრანგეთის გაზეთმა „Journal des Debats“-მა ჩამოაგდო ლაპარაკი იტალიისა და საფრანგეთის აშლილობის გამო და სხვათა შორის, სთქვა: „რაც იყო, იყოვო, სჯობია ჩვენი ამშლელი ყოფილი დავივიწყოთ და დღევანდელს დღეს ჩავუდგეთ კვალში და აქ მოვჩხრიკოთ ის, რაც ჩვენ ერთმანეთს დაგვაახლოვებსო“. „Riforma“ მთლად ეთანხმება ამაში ხსენებულს ფრანგულ გაზეთს და ამბობს პასუხად, რომ, თუ ეხლანდელი ურთიერთობა იტალიისა და საფრანგეთისა ისეთი სასიყვარულო არ არის, როგორიც სასურველია, ამაში იტალიას არავითარი ბრალი არა აქვსო. ამავე საგანზე დაიწყო ლაპარაკი ჟულ ფერიმ, რომელსაც 20 ენკენისთვეს ამ წლისას იტალიის გაზეთი „Il Tempo“-ს რედაქტორისათვის წერილი გაუგზავნია.

> „თქვენ ათასჯერ მართალი ბძანდებითო, რომ არა გჯერათ იმათი სიტყვა, ვინც ჩემზე ამბობენ, ვითომც მე მტერი ვიყო იტალიისა. მე ვეკუთვნი იმ თაობას საფრანგეთის ლიბერალობისას, რომელიც შეიწირა მეორე იმპერიამ სხვერპლად და რომელიც გულახდილად

> და გულუბრყვილოდ მიეგება იტალიის განთავისუფლებას. ჩვენს დასში არ არის და არც იქნება არავითარი მტერი იტალიისა. ჭეშმარიტი მტრები იტალიისა ისინი არიან, რომელნიც ხელახლად აღვიძებენ დავიწყებულს ამბებს, არ ჰტვირთულობენ დიდთა და სახელოვანთა ანდერძთა, ჰრყვნიან ისტორიასა და სწამებენ საფრანგეთს იმისთანა ცილს, რომლის გამოც თვით გიჟების სახლში შემწყვდეულნი სნეულნი გაოცებით მხრებს აიწევენ. სად მიგვიყვანს ჩვენ მაგისთანა საფრანგეთისათვის სამტრო პოლიტიკა და რა სარგებლობას მოუტონს იგი იტალიას? ამის პასუხი მიმინდვია თქვენის განათლებულის მამულიშვილობისათვის“.

ამ სახით აშკარაა, რომ ორსავე მხრით, თუ დიდი არა, პატარა ძაფი მაინც გაბმულია ერთმანეთთან მოტკბილებისათვის და ეს, ცოტა არ იყოს, დროთა ნიშნად ჩასათვლელია. ვინ იცის ამ გზაზედ დამდგარმა გონებამა და გრძნობამ იტალიისამ და საფრანგეთისამ სადამდე მიიყვანოს საქმე და თუ გაძლიერდა და ფეხი გაიდგა ამ ორ ეხლა ერთმანეთზედ ამრეზილს სახელმწიფოში, მაშინ ეს ამბავი ძალიან შეატოკებს და შერაყევს სასწორს დღევანდელის საზოგადო პოლიტიკისას.

[1889 წ.]

<გერმანიის იმპერატორის ვიზიტი სტამბოლში>

ტფილისი, 31 ოქტომბერი

მთელი ჟურნალ-გაზეთები ევროპისა დღეს მარტო ოსმალეთისა და გერმანიის თაობაზედ ჰლაპარაკობენ. ვერავის დაბეჯითებით ვერ გამოუცვნია — რას უნდა მოასწავებდეს გერმანიის იმპერატორის წასვლა სტამბოლში სულთანის სანახავად. გერმანიის გაზეთები, ხელქვევითნი ბისმარკისა, ირწმუნებიან, ვითომც აქ არავითარი საპოლიტიკო განზრახვა და საგანი არ არისო, ვითომც ვილჰელმ II ეწვია სულთანს მარტო სადარბაზოდ, რადგანაც თითქმის ყველა სხვა გვირგვინოსანი ინახულა ევროპაში და დაშთენილი იყო მარტო სულთანი, რომელს ვითომც ეწყინებოდა ასეთი დავიწყება, თუ ვინიცობაა იმპერატორი ვილჰელმი არა სწვევოდა სტამბოლის მბძანებელს.

იქნება ეს მართალიც იყოს, მაგრამ ჯერ ეს უნდა ვიკითხოთ: ან სხვების ნახვა რად დასჭირდა გერმანიის ახალგაზდა ხელმწიფესა? არავის ახსომს, ნამეტნავად ამ საუკუნეში, რომ რომელიმე ხელმწიფე ასე ადვილად მიდ-მოდიოდეს სხვადასხვა სახელმწიფოში, როგორც ეს შეემჩნია იმპერატორს ვილჰელმს. აშკარაა, აქ მარტო ცარიელი დარბაზობა არ უნდა იგულისხმოს კაცმა, იმიტომ რომ

დარბაზობისათვის მოცალეობა სად უნდა ჰქონდეს იმისთანა სახელმწიფოს მფლობელს, როგორიც გერმანიის იმპერიაა, რომელსაც ისტორიულმა გარემოებამ ამოდენა მტრები აუჩინა, გარს შემოარტყა და თუ მეგობარი ჰყავს ვინმე, არც ერთი გულითადი და გულწრფელი არ არის. ყველას თავისი ანგარიში აქვს და დღეს ყველაფერზედ „ბალი აღას“ ეუბნებიან თ.ბისმარკს.

თითქმის სხვა ყველა გაზეთები, რომელნიც განზე უდგანან თავადს ბისმარკს, გულდაჯერებულნი არიან და იძახიან, რომ ეს მიმოსვლა იმპერატორის ვილჰელმისა უმიზეზოდ არ არის. ნამეტნავად ოსმალეთში წასვლას რაღაცეებს სწამებენ. ამბობენ, ვითომც ვილჰელმი უიმისოდ არ წამოვა ოსმალეთიდამ, რომ გული არ მოუჩხრიკოს სულთანს შესახებ იმისა თუ — საით უჭირავს თვალი და შესაძლოა თუ არა ეგრეთწოდებულს „სამთა კავშირს“ ზედ მიაწებოს ოსმალეთიცა. არც შინაური გაზეთები, არც გარეულნი არ ურჩევენ სულთანს „სამთა კავშირში“ ჩარევას. ხომ ამბობენ, რომ ეხლანდელი მთავრობა ინგლისისა, სალუსბერის წყალობით, გერმანიისაკენ იწევსო, მაგრამ გავლენიანი ინგლისური გაზეთი „Times“-იც კი ამას უქადაგებს სულთანს, არამცდაარამც ხელ-ფეხი არ შეიკრა და არ გაება „სამთა კავშირშიო“. დრო მოვა, როცა შენი თავი შენვე დაგჭირდება და იმ შემთხვევისათვის ხელფეხგახსნილი უნდა იყოვო.

თითონ სულთანიც თურმე ამ აზრისაა და ცოტა არ იყოს უფრთხის იმისთანა პოლიტიკას, რომელიც სამერმისოდ თავისუფლებას არ მისცემს ისე იმოქმედოს, როგორც დრო და ჟამი მოითხოვს. ეს ყველა კარგია, მაგრამ რად უნდა მომხრეობა ოსმალეთისა გერმანიას, რომლის დიდი ტკივილი საფრანგეთის ძლიერებაა? სად ოსმალეთი და სად საფრანგეთი? საიდამ სად მიაწვდენს ოსმალეთი შველასა და შემწეობას, თუ ვინიცობაა ომი აუტყდა

გერანიას საფრანგეთთან? აშკარაა, ამ მხრით ოსმალეთის კავშირში ჩარევა არაფრად გამოსაყენია გერმანიისათვის, რომელსაც არ უყვარს ტყუილუბრალოდ დროს კარგვა, ტყუილუბრალოდ გარჯა.

ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან შველა ოსმალეთისა საჭიროა გერმანიისათვის სხვასთან და არა საფრანგეთთან პირდაპირ გასამკლავებლად, ან იმისათვის, რომ გააძლიეროს ავსტრია, რადგანაც ოსმალეთის მომხრეობა რუსეთის მხედრობას ცოტად თუ ბევრად შეასუსტებს ავსტრიის საზღვრებზედ და მაშინ ავსტრიას უფრო მეტის ჯარის მიშველება შეუძლიან, თუ ვინიცობაა საფრანგეთთან ომი აიტეხა გერმანიამ, რომელსაც დიდი ფიქრი აქვს, რომ საფრანგეთთან ერთად რუსეთიც იშიშვლებს ხმალსაო და რუსეთთან — საფრანგეთიო. ამიტომაც იქაც და აქაც გერმანია ჰცდილობს თავის გარდა სხვა მტერიც აუჩინოს ცალკე საფრანგეთს, ცალკე რუსეთს, რომ მათი ძალ-ღონე ერთად კრებულად არ დაჰხვდეს, თუ ვინიცობაა ბედი, ქვეყნის საუბედუროდ, საომრად გახდის საქმეს. ამ სახით, ჩვენ არა გვგონია, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა არა იმეცადინოს რა ოსმალეთში და ბისმარკის გაზეთებმა, რაც გინდ ბევრი იძახონ, აქ სამაგისო არაფერი ამბავიაო, დასაჯერი არ არის და ვერც ვერავის აუბმენ თვალს. იმპერატორი ვილჰელმი, მართალია, ჯერ ყმაწვილი კაცია, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ტყუილუბრალო მოყვარე არ არის სიარულისა და მოგზაურობისა. მაინცდამაინც რომ დააკვირდეს კაცი ამ ახალგაზდა იმპერატორის საქციელს, შეჰნიშნავს, რომ იგი უქმად არ ჩაატარებს თავის ხელმწიფობას.

[1889 წ.]

<არეულობა კრეტას კუნძულზე>

ტფილისი, 2 ნოემბერი

კრიტის კუნძულის აშლილობამ წინააღმდეგ ოსმალეთისა, რომელიც დიდი ხანია ჰფლობს ამ ბერძენთა ქვეყანას, ჰლამის ერთი ანთებული მუგუზალი კიდევ წაუმატოს უამისოდაც ომის ცეცხლისაგან შიშში მყოფს ევროპას. ეს კუნძული დიდი ხანია მტკივნეულობს ოსმალეთისაგან, რომელიც მართლა რომ ავად ეპყრობა და ვერ უვლის იქაურ მკვიდრთა ქრისტიანეთა ისე, როგორც ამას ითხოვს ამ მკვიდრთა კაცობრიული საჭიროება, კაცობრიული მოთხოვნილება. ქრისტიანენი, რომელნიც დამორჩილებულს ხალხს წარმოადგენენ და მაჰმადიანები, რომელნიც მბრძანებლად არიან, ვერა ჰრიგდებიან ერთმანეთში და ამის გამო თითქმის ყოველთვის ავის თვალით უყურებენ ერთმანეთს და კრიტის კუნძულს თვალი საბერძნეთისაკენ უჭირავს.

ის აზრი, რომ მკვიდრნი მისნი სისხლითა და ხორცით ეკუთვნიან საბერძნეთის ერსა და სრულიად უცხონი არიან ოსმალთათვის, რა თქმა უნდა, დიდ პატივსადებ საბუთს აძლევს გულიც საბერძნეთისაკენ იქონიონ. ესეთი მიმართულება კრიტელთა სურვილისა ახალი ამბავი არ არის არც ევროპისათვის საზოგადოდ და არც საბერძნეთისათვის ცალკე.

გრძნობა სამართლიანობისა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კრიტელთა მხარეზედ არის და ამ მომხრეო-ბას თხოულობს თვით ჭეშმარიტი და განწმენდილი ზნეობაც, მაგრამ რას იზამთ, როცა ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. მტრობა, ჯაბრი, ცილობა და ხარბობა, რომელიც დღეს ამოქმედებს პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას, სვე-ბედს დაჩაგრულის კრიტისას ჰხუთავს, აბორკილებს და ხელიდამ არ აცლის ოსმალეთს, რომელიც — რაკი ესეა — ყურსაც არ იბერტყავს, რომ კარგის გამგეობით და პატრონობით კრიტელებსაც შეღავათი მიეცეს ადამიანურად სულის ბრუნებისა, ადამიანურად ცხოვრებისა, მათის ეროვნულ ღირსების დაუჩაგვრელად და შეუხუთველად.

დიდი ხანია, კრიტი ჰდუღს და ჰტოკავს, რომ ეს შეღავათი მოიპოვოს, ბევრჯელ აჰშლია ის ოსმალეთს ამისათვის, ბევრჯელ შეუშინებია ევროპა, რომ იქიდამ წამოსულმა ნაპერწკალმა ცეცხლი არ წაუკიდოს იმ ჩალაბულაში გახვეულ საქმეს, რომელსაც აღმოსავლეთის საქმე ჰქვიან და რომელიც იმისთანა თვისებისაა, რომ შემძლებელია მთელი ევროპა ერთმანეთს დააჯახოს. ხანგრძლივმა ცდამ, ხანგრძლივმა თავის გაწირვამ, კრიტელნი მიაღწია ეგრედწოდებულ ხალეპის კონვენციამდე, რომელიც შესდგა 1879 წელს. ამ კონვენციის ძალით, ოსმალეთს — ცოტა არ იყოს — თვითნებობა ჩამოერთვა და შეეხუთა, მაგალითებრ, ორი მესამედი საბაჟო შემოსავალი იქავ კრიტისათვის უნდა დაეგდო გზების საკეთებლად, სკოლების გასამართავად და სხვა იქაურ მკვიდრთათვის საჭირო საქმეთა გაძღოლისათვის, მოსამართლენი თვით იქაურ მკვიდრთაგანნი უნდა ყოფილიყვნენ იქაურთავე ამორჩევითა. ამ ბოლო ხანებში ოსმალომ ამაებს ყური

აღარ ათხოვა, საბაჟო ფულიც სრულად გადაზიდა და არჩევანებშიაც ხელი შეაპარა თავის გუბერნატორების დახმარებით. ამნაირმა საქციელმა აამღვრია მთელი კუნძული და მისთა მკვიდრთა ხელი ხმალს იკრეს თავის დარღვეულ სამართლიანობის აღსადგენად, ასე რომ რამდენიმე შემთხვევაც იყო ომისა კრიტელთა და ოსმალთა ჯარს შორის. დღეს, ვსთქვათ, ხელდახელ დაჯახებისა აღარაფერი ისმის, მაგრამ მშვიდობიანობა მაინც ჩამოვარდნილი არ არის კუნძულზედ. კრიტელნი მაინც იღვწიან თავის ეროვნულის ღირსების დასაცავად და პატარა საბერძნეთს შესდგომიან, შენნი ვართ, მიგვიღე და შეგვივრდომეო.

საბერძნეთს ძალიან სწყურიან კრიტის შემოერთება, მაგრამ ევროპის დაუკითხავად ეს ვერ გაუბედნია. რაკი ევროპაზედ მიდგება საქმე, აქ ნაძირალი გრძნობანი ევროპის პოლიტიკისა თავს წამოჰყოფენ და საბერძნეთს ის დაემართება, რაც კოზაკს, როცა აქლემები წაიკიდებიან. ეს კარგად იცის საბერძნეთმა და ჰფრთხილობს — სამართლიანმა სურვილმა თავის შვილთა შემოერთებისამ უდრო-უდროოდ არ წაიტყუოს და მით არ ააწეწინოს ეგრეთწოდებული აღმოსავლეთის საქმე, რომელშიაც ყველას, როგორც თაფლში, თავისი ხელი ურევია. თვით ევროპაც შიშობს ამ აწეწვას, რადგანაც ჯერ აღმოსავლეთის საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტისათვის მზად არ არის. აი მიზეზი, რის გამოც კრიტის საქმე ჯერხანად არც ჰოა და არც არა და ამ ჰო-არაობაში მოგებული რჩება მარტო ბრალიანი ოსმალეთი და უბრალო კრიტი კი იჩაგრება.

[1889 წ.]

<გაურკვევლობა დღევანდელ პოლიტიკაში>

ტფილისი, 2 ნოემბერი

რაღაც დომხალი კეთდება დღევანდელ პოლიტიკისაგან. ვერავის ვერა გაუგია რა რას ჰნიშნავს, რას მოასწავებს ცალკე იმპერატორ ვილჰელმის ყოფნა სტამბოლში, ცალკე ფერდინანდ კობურგელის ევროპაში სეირნობა და ცალკე უეცარი სურვილი სერბიის გადამდგარ მეფის მილანისა, რომელიც ჰჩქარობს სამის დღით ბელგრადში მივიდეს პარიჟიდამ. ყოველივე ეს ცოტა წინ და უკანაობით მოხდა ჯერ იმ დროს, როცა ხელმწიფე იმპერატორმა ინება და გერმანიის იმპერატორი ინახულა მის სატახტო ქალაქში და მერე იმ დროს, როცა გერმანიის მფლობელმა მოიარა სტამბოლი და სულთანთან ლაპარაკით ასე თუ ისე შეიჯერია გული. ყოველ ამას უნდა დაემატოს ერთი ისა, რომ ვილჰელმმა უკვე აცნობა თ. ბისმარკს, ვითომც ძალიან კმაყოფილი მოდის სტამბოლიდამ, მეორე ისა, რომ უკან დაბრუნებაზე იგი შეივლის ჯერ ვენეტიკაში, საცა, რასაკვირველია, ინახულებს იტალიის საჭირო კაცებს, მერე ავსტრიის იმპერატორსაც შეეყრება და ბოლოს იქნება რუმინიის მეფესაც ეწვიოს. ყოველ ამასთან ისიც სახეში ვიქონიოთ, რომ ვენის გაზეთები მეტისმეტად უქებენ

და უწონებენ ფერდინანდ კობურგელს სატახტო სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა ბოლგარეთის ერის წარმომადგენელთა კრებულის წინაშე და რომლისაგანაც სჩანს, ვითომც კობურგელს ხელს უწყობენ ძლიერნი მომქმედნი ევროპის პოლიტიკისა.

რას უნდა მოასწავებდეს ყოველივე ეს ერთად და თვითვეულად ცალკე? არა გვგონია ამოდენა ერთი ერთმანეთზე ზედმიყოლილი ამბები შემთხვევას მიეწერებოდეს. აშკარაა, თვითვეული ეს ამბავი ერთისა და იმავე სათავიდამ მოდის, ერთისა და იმავე გრეხილის ძაფებია ერთმანეთში ერთს ყაიდაზედ ჩართული და ჩაგრეხილი. რაში უნდა მდგომარეობდეს კმაყოფილება, რომელიც გერმანიის იმპერატორმა საჭიროდ დაინახა ახაროს თ. ბისმარკს? აშკარაა, აქ ის კმაყოფილება არ უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც ჰგრძნობს ხოლმე სტუმრად მისული მასპინძლისაგან. იმპერატორს ვილჰელმს შინაც ბევრი და მძიმე საქმეები აქვს და მარტო ამისთანა კმაყოფილებისათვის იგი თავს არ შეიწუხებდა სიარულით გვირგვინოსანს, ნამეტნავად იმისთანა ძლიერს, როგორიც ახალგაზდა იმპერატორიალ\ გერმანიისა, სად არ დაჰხვდება მასპინძელი იმოდენად კარგად და ტკბილად, რომ უკმაყოფილოდ არ დარჩეს ამ მხრით.

აქ, რა თქმა უნდა, სტუმარ-მასპინძლობა არაფერს შუაშია. აქ საგანი კმაყოფილებისა სხვა უნდა იყოს, სახელდობრ, ან ის, რომ სულთანი დაიყოლია ,,სამთა კავშირში“ ჩასარევად, ან ბალკანეთის საქმის თაობაზედ თავის სურვილზედ მოიყვანა ფადიშაჰი ოსმალეთისა. სხვა საქმე გერმანიას არა აქვს ოსმალეთთან და ესეც თუ აქვს, ცალკე საფრანგეთისა და რუსეთის შიშითა და ცალკე ავსტრიის შესაწევრად და სამხროდ.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ მინამ ვილჰელმი სტამბოლში იყო, ავსტრიის მინისტრმა კალნოკიმ ინახულა თ. ბისმარკი და დაბრუნდა კიდეც ვენაშიო.

დაბრუნების უმალვე ავსტრიის გაზეთებმა დაფა-ნაღარა დაჰკრეს, რომ ავსტრია ყოველ ღონისძიებას იხმარებს ეხლანდელი ყოფა ბოლგარეთისა ხელუხლებელად დაანარჩუნოს და აქ ავსტრია არავის არაფერს ვერ დაუთმობსო. ცხადია, გრაფი კალნოკიც კმაყოფილი წამოსულა თ. ბისმარკისაგან და, მაშასადამე, ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ამ ორგზობის კმაყოფილება ჰსურთ ერთმანეთს გაუზიარონ, ერთის მხრით, გერმანიის იმპერატორმა და, მეორეს მხრით, იტალიამ და ავსტრიამ. აი, ჩვენის ფიქრით, მიზეზი, რომელმაც საჭიროდ ჰქმნა ვილჰელმის მისვლა ჯერ ვენეტიკაში, და მერე ინსპრუკში, საცა ავსტრიის იმპერატორს შეხვდება. რუმინიის მეფის ნახვას გერმანიის იმპერატორისაგან, რასაკვირველია, სხვა საგანი ექმნება: აქ მომხრეობაზე თუ იქნება ჩამოგდებული სიტყვა, თორემ სხვაფრივ აქ მოსაჩხრეკი და მოსამკალი არ არის რა გერმანიის პოლიტიკისათვის ბალკანეთის შესახებ. ჩვენ ვამბობთ, ბალკანეთის შესახებ, რადგანაც თვითვეულ ზემოჩამოთვლილ ამბებში თავი და ბოლო პოლიტიკისა ბალკანეთია და უბალკანეთოდ არც აზრი აქვს და არც საბუთი.

რაკი აშკარაა, რომ თვითეულ ამ ამბების მიზეზი ბალკანეთია, საკითხავად მარტო ესღა ჰრჩება, : ვინ არის აქ ნიშანში ამოღებული? რასაკვირველია, რუსეთი, რომელიც აინუნშიაც არაფერს იმჩნევს და ეგრეთწოდებულს პოლიტიკას „свободных рук“-ს ადგია.

[1889 წ.]

<„Новое Обозрение“-ს წერილის გამო>

ტფილისი, 4 ნოემბერი.

ძლივს, ძლივს მოვესწარით, რომ აქაურმა რუსულმა გაზეთმა „Новое Обозрение“-მ მოიცალა ჩვენთვისაც მრავლად რთულ და მძიმე საქმეებისაგან. ძლივს იკადრა და ხმა ამოიღო „Сев. Вестник“-ში დაბეჭდილ „Письма о Грузии“–ს თაობაზედ. იკადრაო ვამბობთ იმიტომ, რომ ამ ყურმახვილს და გონებაფხიზელს გაზეთს არ უყვარს რაღაც დაობებულს საგნებზე ლაპარაკი. იგი უფრო მწვავს და უფრო დღევანდელს საჭირბოროტო საქმეებზეა თავდადებული, როგორც მაგალითებრ ბაქოს ნავთი და ბაქო-ბათომის რკინის გზაა და ხავსმოკიდებული წარსული საქართველოსი კი, რომელიც ხსენებულ წერილებს საგნადა აქვს, მიუნებებია საღეჭად და საცოხნელად იმისთანა გაზეთებისათვის, როგორც ჩვენი უბადრუკი, უფხო და მკვდარი „ივერიაა“, ან იმისთანა წვრილ-ფეხობისათვის, როგორც ჩვენი ჭკუამოკლე და გონებამიხდილი ინტელიგენციაა.

ვამბობთ – ხმა ამოიღო, მაგრამ ვაი ამ ხმის ამოღებას!.. „Новое Обозрение არც აქ ასცდენია თავისებურ თავმოწონებას. როცა თავიდამ ბოლომდე ჩაიკითხავთ გუშინწინდელს მის მეთაურს, სამ-ოთხს სვეტზედ გაპტყელებულს და გაჭიანურებულს, მარტო ესღა გრჩებათ გულსა და გონებაში: ავტორიც

„Письма о Грузии“–სა სულელი ყოფილა, მის მიერ გულამღვრეული და გულზედმოსული ქართველთა ინტელიგენციაც, და თუ ჭკუა გინდათ, მარტო „Новое Обозрение“-ს რედაქციაში მონახეთო. სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მარტო ეს შეგვრჩა იმ გრძელ მეთაურისაგან.

რასაკვირველია, პირდაპირ ეს არ არის თქმული. სიტყვა „სულელი“ აქ ხმარებული არ არის „Письма о Грузии“–ს ავტორის დასამშვენებლად და არც ქართველთა ინტელიგენციის თავმოსაწონებლად და სანუგეშებლად. აბა ყოველთვის მართებული და ზრდილობიანი „Новое Обозрение“ რად იკადრებდა ეხმარა ამისთანა უმართებულო სიტყვა. მაგრამ განა არ შეიძლება თქმაშიაც ოსტატობა იყოს? განა არ შეიძლება ფიცი იყოს და ბოლო კი გვაკვირვებდეს? ძაღლსა სცემდნენ და რძალს ასმენდნენ, ხომ გაგონილი გვაქვს, სხვა არა იყოს რა.

საკვირველია! საქმე იმაზეა აქ შემდგარი, რომ „Письма о Грузии“–ს ავტორი გადაჰკიდებია რუსთაველს, ჰლამის ვირზედ პირუკუღმა შესოს და კუდი ხელში დააჭერინოს ამ აქამდე ქართველთაგან თაყვანცემულს კაცს, და ჩვენი ინტელიგენცია „Новое Обозрение“-ს სიტყვითვე, ამაზედ გამწარებულა და გამოსარჩლებია საწყალს შოთას და მის უსაბუთოდ გაუპატიურებას უკადრისობს, ჰთაკილობს. ამ წრეში, ამ მიჯნებში ჩაყენებული საქმე მარტო იმას ჰთხოულობს, რომ გადაწყვეტილ იქმნას, ვინ არის აქ მართალი და ვინ მტყუანი, ვინა ჰსულელობს აქ და ვინ არა და „Новое Обозрение“ კი გამოსულა და იძახის: ერთიც ტყუის და მეორეც, ერთიც ჰსულელობს და მეორეც და ამავე დროს წარბშეუხრელად თითონვე ესარჩლება რუსთაველს და გვიმტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი დიდი და სახელოვანი კაციაო. აი, ამასა ჰქვიან, გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესაო. აი, ამასა ჰქვიან ოსტატობა და

ხერხი ლაპარაკისა. აი ამასა ჰქვიან, ერთსა და იმავე დროს კაცმა თვალი უყოს მგმობელსაც და მოსარჩლესაც, მტერსაცა და მოყვარესაც, შორეულსა და მახლობელსაც ერთმანეთზე წასაქეზებლად. მართლადა განა გასაშტერებელი ოსტატობა არ არის, რომ ერთსა და იმავე დროს ერთმა და იმავე კაცმა რუსთაველის მგმობელსაც უთხრას, რომ რუსთაველის მოსარჩლე სულელია, მოსარჩლესაც უფიცოს, რომ სულელი მისი მგმობელია, და ამავე დროს თითონვე ესარჩლებოდეს რუსთაველსა და აინუნშიაც არ მოსდიოდეს, რომ აქ სამს საგანს, ერთმანეთთან შეუწონელს და შეუფერებელს, ერთმანეთის გამომკლებელს, ბურთსავით ხელში ათამაშებს.

გვეტყვიან, სარჩელიც არის და სარჩელიც, შესაძლოა კაცი კაცს სულელურადაც გამოესარჩლოს და ჭკვიანურადაც. ეგ ჭკუამახვილობასა და ცოდნაზეა დამოკიდებული. ჩვენც სწორედ აქა ვართ. აკი მოგახსენეთ, რომ „Новое Обозрение“ ჭკუის საპოვნელად თავის რედაქციაში ეპატიჟება ხალხს. იგი თავის მეთაურით, სწკეპლავს რა ინტელიგენციას, ეუბნება, სარჩლი თქვენებურ სულელური კი არ უნდა, აი როგორი და რა გზით უნდაო და მაგალითისათვის ანბანს უკითხავს ქართველთა ინტელიგენციას, მერე იმისთანა ანბანს, რომელიც დღეს ბაღლსაც კი ენაზედ აკერია და თავმოწონებულს „Новое Обозрение“-ს კი ახალი ამბავი ჰგონია საზოგადოდ და ჩვენის ინტელიგენციისათვის ცალკე.

„Новое Обозрение“ ასე იწყებს თავის მეთაურს:

,,В грузинском обществе смятение: нашелся ,,нечестивец“, усомнившийся в самобытности и оригинальности Шота Руставели, творца ,,Барсовой кожи“. Сомнения свои сей заалазанский Герострат изложил – о, ужас! – на русском языке и предал тиснению в либе-

ральном ,,Северном Вестнике“ под заглавием ,,Письма о Грузии“.

საკმარისია კაცმა ყური ათხოვოს მარტო სამს გამონათქვამს ამ ციტატისას, სახელდობრ, „нечестивец,“ „сей заалазанский Герострат“ და „о, ужас,“ — რომ უეჭველი აზრი გამოინასკვოს მასზე, თუ ასე დაწყებული გრძელი წერილი რითი გათავდება ბოლოსდაბოლოს. ჩვენის ფიქრით დანარჩენს გადაკითხვაც არ უნდა. თვითვეული აზრი, აქ მოჭრით გამოთქმული, ხსენებულ მეთაურში მარტო გაპტყელებულ-გაჭიანურებულია და ხელმეორედ გადაზელილ-გადაზეპილი ასაკრიალებლად.

„Нечестивец“ თავის თავად საამური სიტყვა არ არის. მაგრამ როცა იგი განსაკუთრებულ ნიშნებით შემკულია, როგორც ხსენებულ მეთაურში და როცა ამასთანავე ზედ დაატანენ, რომ შენ ამას გეძახიან იმიტომ კი არა, რომ მართლა უწმინდურება რამ ჩაგედინოს, არამედ იმიტომ, რომ გაჰბედე და არა გჯერა ყველასაგან აქამდე უკვე დაჯერებული, ეგ უამური სიტყვა საქებურად მისაღებია, ნამეტნავად ეხლანდელ დროში, როცა ყოვლად უსაბუთო უჯერობაც კი გენიოსობას და თავგაწირულ ვაჟკაცობას მოასწავებს ჩვენი ბულვარის აკადემიის თვალში. თუნდ ეგეც არ იყოს, დასაბუთებულ ეჭვის ლახტით შერყევა იმისი, რაც ყველას ხელზედ დახვეული აქვს, ვითარცა უცილობელი ჭეშმარიტება, მართლა რომ საქებური გაბედულებაა და სასახელო სამსახური. უმეცარნი და ჭკუაბნელნი ამისთანა კაცს, ვითარცა შემარყეველს მათ მიერ ჭეშმარიტებად ნარწმენისას, „нечестивец“-ს ეძახიან და ეს სიტყვა რუსულს ლიტერატურაში ხშირად ხმარებულია სანუგეშოდ გამბედავ მეეჭვისა და დასაცინლად უმეცარ და ჭკუაბნელ მოსარჩლისა. აბა მართლადა ტვინთხელა და ჭკუამოკლე კაცის მეტი ვინ ვის უწოდებს „нечестивец“-ს მარტო იმისთვის, რომ ეჭვის თვალით

სჩხრეკს ყოველს საძიებელსა, გამოსაკვლევსა. თითონ ჩხრეკა და კვლევა ეჭვისაგან მოივლინება, თორემ უეჭველს რაღა ჩრეკა და კვლევა უნდა?

ამ სახით, ეგ სიტყვა „нечестивец“ ამ შემთხვევაში ნუგეშსაცემი, ქებად მისაღები სიტყვაა ჩვენთვის „Письма о Грузии“-ს ავტორისათვის. ხოლო მეტისმეტად თავი რომ არ მოიწონოს და არ გაიზვიადოს ერთის მხრით ავტორმა და მეორეს მხრით არ იწყინოს ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც, რა თქმა უნდა, მარტო უმეცრების და ჭკუაბნელობის გამო „нечестивец“-ს ეძახის გაბედულს მეეჭვეს, — „Новое Обозрение“ აქვე სასაცილოდ იგდებს თავის მიერვე ქებულს და ნუგეშცემულს ავტორს „Письма о Грузии“-სას, სდებს რა ალაზანგაღმელ ჰეროსტრატეს სახელსა. ხომ ჰხედავთ, რა გასაშტერებელი ამბავია. ერთს ანუგეშებს, რომ მეორე უმეცრებით „нечестивец“-ს ეძახის იმისათვის, რაც საქებურია და მეორეს ეუბნება, რომ მართალი ხარ, ეგ ალაზანგაღმელი ჰეროსტრატეა, რომელმაც (ბერძენთა ჰეროსტრატემ და არა ალაზანგაღმელმა) ერთს დიდსა და სახელოვანს ტაძარს ცეცხლი წაუკიდა მარტო იმისათვის, რომ ქვეყანაზედ ამით მაინც დარჩება, ამით მაინც გაითქმის ჩემი სახელიო. მეტი ოსტატობაღა გნებავთ, რომ კაცმა თავის ნებით საგანი აიღოს ჰოსა თუ არას სათქმელად და არც ჰო სთქვას და არც არა, ან ჰოცა და არაც ერთსა და იმავე დროს იძახოს? მეტი ოსტატობაღა გინდათ, კაცმა განგებ ცეცხლი გააჩაღოს, გააღუოს შიგ მწვადი ჩასდოს და არც მწვადი იწოდეს და არც ჩამფური? ერთს მეორით ანუგეშებს, აქეზებს, მეორეს — ერთითა და ორივე ერთად კი სულელებად გამოჰყავს. ოსტატობა არ არის, მა რა ეშმაკია.

ეს კიდევ არაფერი: სიტყვას „о, ужас“-ს დაუკვირდით. ამით რა ჰნებავს ეთქვა „Новое Обозрение“-ს? ვინ ужас-ობს, რომ ავტორს „Письма о Грузии“-

სას რუსულად დაუწერია თავისი წერილები? ვისთვის რა სა- ужас-ოა ეს ამბავი? ან აქ რა ჭკვადმისაღები მიზეზია ужас-ობისა ვისგანმე და ვისთვისმე? ან ამ ужас-ობასთან რა მოსატანია რუსული და რუსულად წერა? ვითომ ვის გაჰკრეს და ვის გაჰკინწლეს ამით? არ ვიცით, რისთვის და ვისთვის არის წამოტყვრენილი ეს უადგილო სიტყვა? არ ვიცით, ვის უმიზნებს „Новое Обозрение“ ამ ფრთოსანს ისარს მაშინ, როდესაც მშვილდსა ჰმალავს, და ეს კი ვიცით, რომ ახლო სცემს და თავის ადგილას მივა. საწყალი ქართველები! ნეტა ვის რა გველი შეუწვეს!..

სადღეისოდ ესეც კმარა, დანარჩენი შემდეგისთვის გადავსდოთ.

ტფილისი, 6 ნოემბერი.

შემდეგ იმისთანა საუცხოვო „წყობილსიტყვაობისა“, რომელიც ჩვენ წინა წერილში რუსულად ამოვწერეთ, „Новое Обозрение“ შეჰნანის ავტორს „Письма о Грузии“-სას და თითქო სწუხს კიდეც, რომ მან თავისი ძვირფასი დრო და არანაკლებ ძვირფასი ცოდნა-სიბრძნე შეახარჯა და შეალია იმისთანა მკვდარს საგანს, როგორიც საქართველოს ძველი ისტორიაა. და არა იმდღევანდელ ჭირბოროტსა, რომ შიმშილით კუჭი გვეწვის და თავზე სახურავი ჭერი არა გვაქვს. მართლადა იმისთანა ჭკუის პატრონს, როგორიც ჩვენი „ნარდონია“*, ჩვენის დღევანდელ გაჭირვებისათვის რომ ხელი ჩაეკიდნა, აბა ძალიან კი გაუძღობდა საქართველოს დამშეულ კუჭსა და

* ავტორი „Письма о Грузии“-სა თავის წერილებს ბოლოში აწერს „ნ. დ.“ თავის სახელისა და გვარის მაგიერ. ჩვენც ამას იქით ხან „ნარ-დონად“ მოვიხსენიებთ სიმოკლისათვის, თორემ ავტორი „Письма о Грузии“-სა მეტად გრძელია და მოსაბეზრებელიც.

ლამაზადაც წამოადგამდა თავზე ჩარდახსა. „ნეტარ არიან მორწმუნენი" — ნათქვამია და, როგორც ვხედავთ, „Новое Обозрение"-ესაც ამ ნეტარებაში წილი ჩაუდვია. დეე, ეგ იმედი იქონიოს „Новое Обозрение"-მ და როცა „ნარდონის" ხელით პური რამ გამოცხვეს, ჩვენ წილს ნუღარ დაგვიდებს.

რად ინება „ნარ-დონმაო", — ჰკითხავს თავის თავს „Новое Обозрение", — რომ საქართველოს ძველს ისტორიას შეახმარა თავისი ძალ-ღონე მაშინ, როდესაც იგი ღონე ისე საჭიროა დღევანდელ ჭირ-ბოროტისათვისაო! მათაო, რომ დაემტკიცებინა, ვითომც ქართველებს იმდენი ათასი წელიწადი უცხოვრიათ და თავისი არა ჰქონიათ რაო. სხვაც რომ არა იყოს რაო, განა თვით ეს ათასწლობითი ცხოვრება არ ითხოვს ჭკუადამჯდარ ისტორიკოსისა თუ კრიტიკოსისაგან მეცნიერულად ახსნასა და გამორკვევასა, იკითხავს პირუთვნელი მკითხველიო, — ამბობს „Новое Обозрение". ამ პირუთვნელ სჯას მკითხველისას „Новое Обозрение" აძლიერებს მით, რომ თავისის მხრითაც უმატებს: „თუ ქართველებს თავისი არა ჰქონიათ რა, უიმისოდ როგორ გასძლებდა ეროვნული არსებობა საქართველოსი ამოდენა საუკუნოების განმავლობაშიო, თვით ამ არსებობის მაგალითი ბრძნად მკვლევარისა და ისტორიკოსის თვალში მოასწავებსო, რომ ამ ერს ჰქონია რაღაც ჯერჯერობით გამოუცნობელი, ჯერჯერობით არდანახული და გამოურკვეველი, მაგრამ უეჭველად ღარიბული კი ასახსნელად და საძიებლადაო".

„Новое Обозрение" გვარწმუნებს, რომ ამას იტყოდა ყოველი პირუთვნელი და ბრძნულად მკვლევარი კაციო. მაშასადამე, ვინც ამას არ იტყვის, იგი პირმოთნე და უგუნურად მკვლევარი კაცი უნდა იყოს თვით „Новое Обозрение"-ს სიტყვითვე. ხომ

ესეა და აბა ეხლა ჰნახეთ, თვითონ „Новое Обозрение“ ამავე საგანზე რას ამბობს იმავე მეთაურში:

„გონებიანად რომ დავუკვირდეთ, რა უნდა სთქვას კაცმაო ამ „Северный Вестник“-ში დაბეჭდილ „Письма о Грузии“-საზედ? მარტო ის თუ, რომ მათმა ავტორმა უნაყოფოდ შეახმარა თავისი დრო და ღონე (აფსუს!) იმისთანა საქმეს, რომელიც, სწორედ რომ ვსთქვათ, გამოჭმულ კვერცხის ნაჭუჭის ფასადაც არა ჰღირსო“. მეორე ადგილას ამის გამოვე უმატებს: „ამ გზაზედ დადგომა და გარჯა ტყუილუბრალო შრომააო“.

როგორ? ერთი და იგივე საგანი მათაურის მეორე სვეტზედ იმოდენად ღირსსაცნობია, რომ ითხოვს ჭკუადამჯდარ ისტორიკოსისა და კრიტიკოსისაგან მეცნიერულს ახსნასა და გამორკვევას, იმოდენად დიდი რამ არის ბრძნულად მკვლევარისათვის, რომ უეჭველად ღარიბულია ასახსნელად და საძიებლად, და იგივ საგანი იმავ მეთაურის მესამე და მეოთხე გვერდზე კვერცხის ცარიელ ნაჭუჭადაც არა ჰღირს და მის ძიებისა და გამოკვლევის გზაზედ დგომა და გარჯა წყლის ნაყვაა?!.

ეს სადაური ლოღიკაა? თუ პირუთვნელი და გონიერი კაცი, „Новое Обозрение“-ს სიტყვით, იმ საგანს ღირსად ჰპოებს საცოდნელად და გამოსაკვლევად, მას მარტო პირმოთნე და უგუნურს კაცსღა ეთქმის, რომ კვერცხის ნაჭუჭადაც არა ჰღირსო და ამას ხომ თვით „Новое Обозрение“ ამბობს. მაშ ამ შემთხვევაში ვისღა ჰრჩება სანატრელი სახელი პირმოთნესი და უგუნურად მკვლევარისა? ეგ თითონვე გამოიცანით და ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ მართლა თქმულა: რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას სხვა არ უზამსო.

კიდევ ვიტყვით: ეს სადაური ლოღიკაა? ეს ის ლოღიკაა, რომლის წყალობითაც ეხლანდელს დროში გაზეთს „живая газета“-ს ეძახიან და „живая“ ხომ

ცოცხალს თევზსავით ხელიდამ ადვილად გამოუსხლტდება ხოლმე კაცსა, ხელში ადვილად არ დაეჭერინება.

აქაც ესეა. მეორე სვეტიდამ მესამე და მეოთხე სვეტამდე ცოტა თუ ბევრი მანძილია და, რასაკვირველია, ამ მანძილზედ ბევრი რამ არის ნათქვამი თავის დასაძვრენად, თუ ვინიცობაა ვინმე ულოღიკობას შესწამებდა ამ „живая газета“-ს მეთაურსა. და არც ჩვენა გვგონია გადავურჩეთ უიმისოდ, რომ ეს თავის დასაძვრენი არ მოგვახალონ გასამტყუნებლად, ჩვენ კი, რაკი წინა წერილში მოყვანილმა რუსულმა ციტატამ ღობე-ყურეს მოუდებელად პირდაპირ გაგვაგებინა დედააზრი მეთაურისა, რომელსაც ჰოს თქმაც მოსწყურებია და არასიც ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე საგანზე, ჩვენ კი ვამბობთ, ამ წაღმა-უკუღმა ლაპარაკში იმასა ვხედავთ, რაც წინად დავინახეთ, სახელდობრ, წაჯეგ-უკუჯეგობას იმისთანას, რომ ერთსაც ხელთ სამურველი ჰქონდეს გულის მოსაფხანად და მეორესაც და ორნივ ერთად კი სასაცილოდ ასაგდებნი გამოვიდნენ.

ვინ ერთი და ვინ მეორეო? — იკითხავთ. ერთია ავტორი „ნარ-დონი“, რომელსაც თავს უქონავს, რომ აფსუს! — ტყუილუბრალოდ შეალიე შენი ძვირფასი ღონე და ძვირფასი დრო იმისთანა საქმეს, რომელიც ჩალის ფასადაც არა ჰღირსო, მაშინ, როდესაც შენისთანა ბრძენი კაცი ბევრს რასმე მოიამაგებდა ჩვენთვის დღევანდელ ჭირ-ბოროტობაშიო, და მეორე, ქართველები და ქართული ინტელიგენცია, რომელთაც თავსა ჰფხანს, რომ საქმე, რომლის გამოც თქვენ უწყრებით „ნარ-დონსა“, უეჭველად ღირსია, ჭკუადამჯდარმა ისტორიკოსმა და ბრძნულად მკვლევარმა გამოიძიოს და არა იმისთანა მამლაყინწამ და ჩიტირეკიამ, როგორიც „ნარ-დონია“, ეგ ალაზანგაღმელი ჰეროსტრატეო. მეტი რა მოეთხოვება ეგრედწოდებულ „живая газета“-ს? შენც გაამებს,

იმასაც და ამასთანავე ორივეს გაგწკეპავს, მაგრამ ისე კი, რომ ერთმა მეორის ტკივილით ინუგეშოს და წყენა გაინელოს.

ამ გაწკეპაში, კაცმა რომ მართალი სთქვას მოგებული მაინც ალაზანგალმელი ჰეროსტრატე ჰრჩება. ამ ვაჟბატონს ცოტა არ იყოს უფრთხილდება ჩვენი „живая газета“ და ან რათ უნდა გვიკვირდეს: „Новое Обозрение“-ს იმედი აქვს, რომ იგი მის რჩევას ყურში ჩაიწვეთებს, არქეოლოგიურ ბარდებიდამ გამოძვრება, დღევანდელს ჭირ-ბოროტს დაუბრუნდება და მაშინ ჰნახეთ, რა ქადებსა და ნაზუქებს გამოუცხობს დამშეულს ქართველებსა და რა დახარატებულ ჩარდახს თავზე წამოადგამს. ჩვენ კი ღმერთმა გვიხსნას იმის გამომცხვარ ნაზუქ-ქადებისა და მის მიერ აშენებულ ჩარდახებისაგან. კიდევ ვიტყვით, რომ ნეტარ არიან მორწმუნენი და ჩვენ კი „ნარ-დონისა“ არა გვწამს რა: საცა და რა წრეშიაც გინდ იფორთხალოს, იგი ფონში გამსვლელი კაცი არ არის. ეგეთი არარაობის ნიშანი არავის დასმია შუბლზედ ისე უეჭველად და უცილობელად, როგორც ბ-ნს „ნარ-დონს“, მერე საკუთარის ხელითვე. ამ ვაჟბატონს თითქო ეთავაზება ჩვენი „живая газета“ და ეხლა ჰნახეთ ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც „Новое Обозрение“-ს სიტყვით, აპილპილებულია „ნარ-დონზედ“ რუსთაველის გაუპატიურების გამო, რა სისულელემდეა ძირს დაშვებული, რა ბრიყვად გამოყვანილია. ამას შემდეგს წერილში ვიტყვით და ეხლა კი ერთს კიდევ დავძენთ პირის ჩასამტკბარუნებლად.

ჩვენი „წყაზარი გაზეთი“ გულმტკივნეულობით ამბობს, რომ ჩვენს დღევანდელ ჭირსა და ბოროტს რიგიანი კაცები არა ჰყავს გასაძღოლადაო და ამ კაცების უყოლობაში იმისთანა ძვირფას დროის და ღონის პატრონი, როგორც „ნარ-დონია“, როდი უნდა მოსცდეს რაღაც ძველ-ძულების ძონძებისათვისაო და

თუ მაინცდამაინც მოსცდება, კიდევ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ისტორია საქართველოსი მიეტევება, რომ გამოიძიოს და გამოარკვიოსო.

როგორ? სხვა საუკუნოებიღა რად უნდა მიგვაფუჩეჩებინონ, რაკი ჩვენის ისტორიის კვლევასა და გამოძიებაზეა საუბარი? ორში ერთი: ან ის სხვა საუკუნოები სულ არა ყოფილან და ყოფნადაც არა ჰღირებულან, თორემ რა სათქმელია, სამი ათასის წლის ისტორიაში მარტო ორის უკანასკნელის საუკუნის ავკარგიანობა გეპატიება რომ იკვლიო და იცოდეო? მერე ვის ეუბნება ამ პატიებას? ჯერ „ნარ-დონსა“, რომლის ძვირფასს დროს და ღონეს ეგრე შეჰნატრის „Новое Обозрение“, მერე ქრთველთა ინტელიგენციას, რომელსაც ამით მითომდა ჭკუას ასწავლის: ჰა, გაფრთხილდით, იმაზე შორს ნუღარ გაიწევთო.

მაშ, ხელი უნდა ავიღოთ, რაღა, მთელს ორი ათას რვაას წლის ისტორიაზედ? ბატონმა შავროვმა რაღა ბევრი დააშავა, როცა სთქვა, რომ ბევრი-ბევრი მეთერთმეტე საუკუნიდამ იწყება თქვენი ისტორიაო და თუ გინდათ თქვენის ვინაობის ამბავი, აქედამ დაიწყეთო, და ამ სახით ხელი აგვაღებინა მთელს წინა საუკუნოებზე. მაშინ ამ თქმისათვის ძალიან გამოეკიდა ჩვენი „წყაზარი და მალხაზი გაზეთი“ ბ-ნ შავროვს და ეხლა კი თითონ იმასაც გვართმევს, რაც ბ-ნმა შავროვმა გვიწყალობა და გვეუბნება: დასჯერდით მარტო ორს უკანასკნელ საუკუნესაო, აქედამ დაიწყეთ თქვენის ვინაობის ამბავიო, თითქოს ჩვენი ისტორია მართლადა მარტო მეთვრამეტე საუკუნოდამ იწყებოდეს. ბ-ნ შავროვის ოდენა შებრალება მაინც ჰქონოდა ჩვენი ამ ჩვენთვის თავდადებულს „живая газета“-ს!

ხოლო „Новое Обозрение“-ს სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ იგი ხელს გვაღებინებს სამუდამოდ კი არა, მარტო იმ დრომდე, ვიდრე

ავტორი „Письма о Грузии“-სა ქადა-ნაზუქებს გამოგვიცხობდეს და ჩარდახებს დაგვიდგამდეს. თუ ამას ვუცადეთ, მალე კი მოვესწრობით, აი, ნამეტნავად თუ ღმერთი გაგვიწყრა და „ნარ-დონის“-თანა გაბრძნობილმა კაცებმა თავისი ძვირფასი დრო და არანაკლებ ძვირფასი ღონე ამაებს მოახმარეს „Новое Обозрение“-ს რჩევითა და წინამძღოლობით. აბა კუჭი მაშინ გაუძღება საქართველოს. აი! კიდევ ვიტყვით მესამედ: ნეტარ არიან მორწმუნენი და ამ ნეტართა შორის ერთიც „Новое Обозрение“ ყოფილა.

ტფილისი, 7 ნოემბერი.

ჩვენ ვნახეთ, რომ „Новое Обозрение“-მ მარტო ორი დანაშაული უპოვა ავტორს „Письма о Грузии“-სას. ერთი ისა, რომ შეუდგა საძიებლად საქართველოს ისტორიას, ესე იგი იმისთანა საქმეს, რომელიც ცარიელ კვერცხის ნაჭუჭადაც არა ჰღირს, და მეორე ის, რომ სცდებაო, ვითომც ქართველებს თავისი არა ჰქონიათ რა მაშინ, როდესაც ამოდენი საუკუნოები უცხოვრიათო. პირუთვნელობამ „წყაზარის გაზეთისამ“ სხვა ველარა შეიმჩნია რა იმ სახელდაუდებელს კადნიერებას უვიცობისას, რომლითაც „ნარ-დონმა“ წასთითხნა თავისი ნაჯღაბები. ის ათასი სხვა უშვერობა, ის ათასი სხვა განგებ მოგონილი ტყუილები, განგებ თავდაყირა და უკულმა გადაბრუნებული ამბები კი „Новое Обозрение“-მ აპატია „ნარ-დონსა” და წააფუჩეჩა. კაცი იტყვის: რაკი ამას შეეხო „Новое Обозрение“, როგორღა გამოეპარა ყოველივე ესაო? რატომ ამაების გამო კრინტიც არ დასძრაო? ხომ ამისათვის დასტამბული, გამოქვეყნებული საბუთი ხელთ მისცა თითონვე „ნარ-დონმაო“? სხვებრ რით ავხსნათ ეს ამოცანა, თუ არ იმით, რომ ჩვენი „წყაზარი გაზეთი“

არ იმეტებს არანაკლებ „წყაზარს“ ავტორს „Письма о Грузии“-სას.

ახლა ჰნახეთ, რარიგის გამომეტებით, რარიგ დაუზოგველად იგივ „Новое Обозрение“ მიწასთან ასწორებს ქართველთა ინტელიგენციას იმისთვის, რომ გაჰბედა და აუპილპილდა „ნარ-დონსა“ და ეომებაო მაშინ, როდესაც საომარი საგანი დახარჯულის ტყვია-წამლის ფასადაც არა ჰღირსო; აქ რა თქმა უნდა „Новое Обозрение“ შემთხვევას არა ჰკარგავს, ახაროს თავის მკითხველებს, რომ ქართველთა ინტელიგენცია ისე გონებამიხდილი და დახშულიაო, რომ „Письма о Грузии“-ს მეტი სალაპარაკო საგანი იმათს გონებას ველარ მოუპოვებია და მოუხერხებია სავარჯიშოდაო. ასეთი საბუთადებული სჯა, ასეთი პირუთვნელობა დასაჯერი უნდა იყოს, თუ თქვენც იტყვით. პირუთვნელობას ვამბობთ იმიტომ, რომ უფროს-ერთი თანამშრომელი „Новое Обозрение“-სი ქართველთა ინტელიგენციას ეკუთვნის და, მაშასადამე, რასაც ქართველთა ინტელიგენციას უკიჟინებენ, ისიც თავის თავს უნდა უკიჟინონ, რადგანაც აქ გამოუკლებლივ ლაპარაკია ყველაზე საერთოდ, მთელს ინტელიგენციაზედ. ან იქნება ჰგონიათ, რომ რაკი რუსულადა სწერენ, ჩვენგან გაიხიზნენ? სწორედ მოგახსენოთ, აქ არც პირუთვნელობაა და არც გახიზვნა. აქ მარტო ის არის, რომ ჩვენს გარდა ყველანი ჩიტირეკიები არიანო. ჩვენ „Письма о Грузии“-ს გარდა სხვა ბევრი საგანი გვაქვსო ჩვენის გონების სალესავად და გასაჩარხავადო. ვინ გაამტყუნებს, მართალნიც არიან. ეს ხომ კარგია და თქვენი მოსაწონებელი, ხოლო არ შეიძლება ერთი ეს ვიკითხოთ: ნუთუ მართლა ქართველთა ინტელიგენციას იმოდენად გამოჰლევია გონება, რომ მარტო „Письма о Грузии“-ს ცრუპენტელობითღა იკვებება? სად არის ამისი საბუთი?

ამ უსაბუთოდ გაბიაბრუებას ქართველთა ინტელიგენციისას არა ჰკმარობს "წყაზარი" გაზეთი. ზედ სხვასაც უმატებს და აქ კი საბუთიც მოჰყავს. იგი ამბობს, ვითომც ქართველთა ინტელიგენცია აუპილპილდა „ნარ-დონსა" მარტო იმისათვის, რომ ამ ვაჟბატონმა შესწამა რუსთაველს, ვითომ სხვისაგან გადმოელოს თავისის „ვეფხისტყაოსანის" ამბავი. ვსთქვათ, რომ ასე იყოსო, — ამბობს სხვა საგნებზე გონებაგალესილი „Новое Обозрение": — აქ წყრომას და რისხვას ინტელიგენციისას რა ადგილი აქვსო? ვის არ გადმოუღია. ვის არ გადმოუკეთებია სხვისაგან გაგონილი ან ამოკითხული ამბავიო? მარტო ამით არ ათავებს „Новое Обозрение" თავისის სიბრძნის გულზედ მოწოლას და, თითქო ჰსურსო დაგვიმტკიცოს, რომ მართლა უჩარხავს თავისი გონება ბევრ სხვა მაღალ ფარდების საგნებზედაც, მოჰყოლია და გვიქადაგებს: ან ერთი ბისტია, ბან — ორიო. დიახ ქართველთა ინტელიგენციას ჭკვის სასწავლებლად ყოვლადმცოდნე „Новое Обозрение"-ს მაგალითები მოჰყავს მთელს სვეტ ნახევარზედ იმისი თუ, გეტე, შექსპირი და სხვა ბევრი სახელოვანი მწერალი ამასვე სჩადიოდნენო, ესე იგი ხშირად სხვის ამბავს გადმოიღებდნენ და ამის გამო იმათს სახელოვანებას არავითარი ჩრდილი არ მისდგომია და მაინც მსოფლიო გენიოსებად ითვლებიანო.

საწყალი ჭკუაუბადრუკი და გონებაგაუჩარხავი ქართველთა ინტელიგენცია! ეს ანბანიც არა სცოდნია, რომ არაფერი საძრახისია მწერლისათვის სხვისაგან ნათქვამი, ან გაგონილი ამბავი აიღოს და ამ ამბისაგან ისეთი რამ შეჰქმნას, რომ სახელი იდიდოს, თავი გამოიჩინოს. კიდევ კარგი, რომ ამ ინტელიგენციას გულშემატკივრად ჰყოლია „Новое Обозрение", რომელსაც გეტეს, შექსპირის მაგალითები სცოდნია, თორემ შენი მტერი, ვიღა აცოდინებდა ამ ძნელად საცოდნელსა. ხოლო ის კი არ არის კარგი, რომ

ქართველთა ინტელიგენცია ყოველ ამის უცოდინარი ჰგონებია და ჰგონია ჩვენს გონებაფხიზელს რუსულს გაზეთს. დღეს ამის უცოდინარი ხომ მეორე კლასის გიმნაზიელიც არ არის და რათ უნებებია „Новое Обозрение“-ს ასე დაქვეითება, ასე ძირს დაწევა, ასე სულელად გამოყვანა ჩვენის ინტელიგენციისა? ყოველთვის სამართლიან „Новое Обозрение“-ს არ შეიძლება არ შევნიშნოთ ეს ერთადერთი უსამართლობა, გასაკიცხად კი არა, შესაწყნარებლად, რადგანაც ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო.

ვინ იტყვის? ქართველთა ინტელიგენციას ბევრი რამ ეკიჟინება, მაგრამ არც ისეთი მჩვარში გასახვევია, რომ იმისი არცოდნა დაჰბრალდეს, რის ცოდნაც დღეს ბალღსაც კი ენაზე აკერია და ამ არცოდნას რომ სწამებს „Новое Обозрение“, იმ წმინდა გრძნობას სამართლიანობისას რაღა პასუხს აძლევს? მაგისი თვითონ „Новое Обозрение“-მ იცის და ჩვენ კი ამას მოგვკითხვენ: საიდამ გამოიყვანეთ, რომ „Новое Обозрение“ მაგას სწამებს ჩვენს ინტელიგენციას? იქიდამ, რომ ჩვენი მართლმოყვარე გაზეთი არწმუნებს თავის მკითხველებს, ვითომც ჩვენი ინტელიგენცია მარტო იმაზე უწყრებოდეს ავტორს „Северный Вестник“-ის წერილებისას, რომ — როგორ გაჰბედა და რუსთაველზე სთქვა, სხვისგან მოიღო თავის პოემის ამბავიო. ვითომ ჩვენი ინტელიგენცია მარტო ამაზედ იმღვრევდეს გულს, რომ:

,,Как смел нечестивый автор статей ,,Северного Вестника“ утверждать, что Шота Руставели ,,заимствовал” свое произведение у персидских поэтов“.

ამის თქმა რის მომასწავებელია, თუ არ იმისი, რომ ჩვენს ინტელიგენციას არა სცოდნია არაფერი იმისი თუ, აქ საძრახისი არა არის რა. არა სცოდნია ის ანბანი, რომ შესაძლოა კაცმა სხვის ამბავზე ისეთი თხზულება ააგოს, რომელიც მთელს ქვეყანას

შემოირბენს ქებითა და დიდებითა. ამაზე მეტი გაბიაბრუებაღა იქნება, რომ კაცმა ცოტად თუ ბევრად ნასწავლს კაცს უთხრას, ეს ამბავი შენ არ გაგეგებაო. ჩვენი გულშემატკივარი „Новое Обозрение“-ც ჰგრძნობს, რომ ეს უანბანობა, ამის არცოდნა, მეტისმეტი ჭკუამოკლეობა, მეტისმეტი სამარცხვინოა ჯერ ინტელიგენციისთვის და მერე თვით ქართველთა საზოგადოებისთვის, ჰგრძნობს და ჩვენის სიბრალულით, ჩვენის მეტისმეტ სიყვარულით ამას გულამოსკვნით და მწუხარებიტ იძახის:

,,Что нас особенно печалит во всем этом деле, это отношение грузинской интеллигенции и публики к подобным ошибкам и несообразностям“.

კაი ნუგეშია, განა, კაცმა კაცს უთხრას: უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში ჰყოფილხარ და ანბანიც არ გისწავლია; ღმერთი, რჯული, გულითა ვწუხვარ, რომ ამისთანა სულელი და ბრიყვი ხარო. ეს ,,გულით წუხილი“ როგორი საქებარია მწუხარესათვის და როგორი საამურია ჭირისუფლისათვის — ეგ კი აღარ ვიცით.

თუნდ ეგეც არ იყოს, გაჭირვეულებულმა ,,ნარ-დონმა“ განა მარტო ისა სთქვა რუსთაველზედ, რომ თავისის პოემის ამბავი მოჰპარა სპარსელებსა, ან იმათგან გადმოიღოო, და თუ სთქვა — განა რითიმე დაასაბუთა, განა რაიმე ხელთ მოგვცა ამისათვის, გარდა იმისა, რომ სპარსელების ამბებსაც საგნად სიყვარული აქვთ და ,,ვეფხისტყაოსანსაცაო“. ეგ ხომ იმასა ჰგავს, კაცმა სთქვას, ივანე პეტრესა ჰგავს მარტო იმიტომ, რომ ერთსაც ცხვირი აქვს და მეორესაცაო. განა პირუთვნელს მჩხრეკელს ,,ნარ-დონის“ პირგახეულ ტყუილებისას მარტო ეს უნდა ეთქვა და სხვა არაფერი? ,,ნარ-დონმა“ რუსთაველი განა მარტო ამით ამოსვარა ლაფში, განა მარტო ამის გამო შესვა ვირზედ?

განა აშკარა არ არის, რომ ,,ნარ-დონმა“ განგებ თვალებში ნაცარი ჩაიყარა, განგებ ყურებში თითი

დაიცო, რომ არა დაინახოს რა, არა გაიგონოს რა რუსთაველის სიკეთისა და უებარ ბრწყინვალებისა? განა „ვეფხისტყაოსანზე“ კაცმა მარტო ის უნდა სთქვას, რომ, რაკი საქართველოს მთელი ექვსი საუკუნე ეს წიგნი სიყვარულით ხელში სჭერია, მისი სიტყვები ანდაზებად გაუხდია, გაუზეპირებია, რაკი მისი სენტენციები საფუძვლად დასდებია ქართველთა ზნეობას, რაკი ყოველივე ეს ასე მიუღია ქართველობას, იგი წიგნი დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს ამ ერის ავკარგიანობის გამოსარკვევად და სხვა მისი მხარენი კი უკან დაყენებულ და გაბათილებულ უნდა იქმნან ჭკუადამჯდარ მკვლევარისა და კრიტიკოსის თვალშიო? განა მარტო ეს უნდა ეთქვა „Новое Обозрение“-ს სარჩლად რუსთაველისა? ნუთუ „ვეფხისტყაოსანი“ მარტო დოკუმენტია, მარტო მშრალი პროტოკოლია და სხვა არარა? ამით ხომ „Новое Обозрение“ უფრო „ნარ-დონს“ ჰმოწმობს, ვიდრე ამტყუნებს. მართლა კი ეგრეა? აბა ერთი გულზედ ხელი დაიდოს კაცმა და ესა ჰკითხოს თავისთავსა.

ან ვსთქვათ, საქართველო ესე მოექცა და ექცევა თავის საყვარელ „ვეფხისტყაოსანს“, განა არ შეიძლება საქართველო მოტყუებული იყოს ამაში და ის მოსწონდეს, რაც მოსაწონი არ არის თავისთავად? განა ცოტა მაგალითებია მსოფლიო ისტორიაში, რომ „ხელიხელ საგოგმანებლად“ გაეხადნოთ უშვერი და ულაზათო რამ? განა თვით „ნარ-დონი“ არა ჰყვირის თავის ჩხავანა ხმითა, რომ ეგ საქართველოს მიერ მოწონება „ვეფხისტყაოსნისა“ ბევრს არას ჰნიშნავსო და არაფრის საბუთიაო? ნუთუ „ვეფხისტყაოსანს“ სხვა არავითარი ღირსება არა აქვს რა, გარდა იმისა, რომ ქართველებს მოსწონს? ეს ხომ სხვის მოწონებით მოწონებული გამოდის და თვითონ „Новое Обозрение“-ღა რატომ არას გვეუბნება, არის რამე თავისთავად საქებ-სადიდებელი

„ვეფხისტყაოსანში“, არის რამე თავისთავად სასახელო რუსთაველისა, თუ მართლა იმისთანა უშვერია, რომ მის მომწონს ეგ მოწონება სირცხვილად უფრო ჩაეთვლება, ვიდრე ქებად? აქ საქმე იმაზეა მიმდგარი, რომ „ნარ-დონი“ სწორედ ამისთანა უშვერობას სწამებს „ვეფხისტყაოსანსა“, „Новое Обозрение“-ს ამაზე უნდა ეთქვა თავისი „ჰო“ თუ „არა“ და არ ამოჰფარებოდა სხვის კალთასა, სხვის მოწონებას.

ამასაც თავი დავანებოთ. თავი დავანებოთ, რომ ჩვენს „წყაზარს გაზეთს“ მისებურმა ვაჟკაცობამ მთელს ამ ისტორიაში უმტყუნა და დანასავით ყელში მობჯენილ ჰოსა და არაზე თავს გაუფრთხილდა და არა სთქვა რა. ჩვენ გვიკვირს, რატომ ესე არა ჰფრთხილობს, როცა „ნარ-დონზე“ კი არა, ქართველთა ინტელიგენციასა და საზოგადოებაზე ჰლაპარაკობს და სწამებს იმისთანა სისულელეს, ვითომც ერთიც და მეორეც იმიტომ უწყრებოდეს „ნარ-დონსა“, რომ რუსთაველს შესწამა სპარსელ პოეტებისაგან აიღო „ვეფხისტყაოსანის“ ამბავიო. მარტო ამ რუსულ გაზეთის მკითხველს სასაცილოდაც არ ეყოფა ასეთი ტვინთხელობა, ასეთი სულელობა ქართველებისა საერთოდ და მის ინტელიგენციისა საკუთრივ. მართლა კი ამისთვის აუპილპილდა, ამისთვის გაუწბილდა ავტორს „Письма о Грузии“-სას ქართველობა და ქართველთა ინტელიგენცია? განა სხვა უფრო ჭკვათმისაღები, უფრო პატივსადები მიზეზი არ მისცა ერთსაცა და მეორესაც „Новое Обозрение“-საგან ეგრე სათუთად შეწყნარებულმა „ნარ-დონმა”. აქ განა საქმე არ არის იმაში, რომ „Письма о Грузии“-სა თავიდამ ბოლომდე ერთი გაპტყელებული და უშვერი ტყუილია, მარტო ძაგებისთვის შეთითხნილი, ჭირვეულობის და ყოვლად უაზრობისა და უვიცობისაგან და თავგასულ მამლაყინწაობისაგან ურცხვად გატრაბახებული?

ტყუილი ხომ, თუნდ საქებარად მოგონილი, მაინც საზიზღარია და საწბილო. აი, თუ მართლა გული ემღვრევა ქართველთა ინტელიგენციას „Письма о Грузии"-ს გამო, სად უნდა მოიძებნოს ამისი მიზეზი, და არა ქართველთა ინტელიგენციის ჭკუადახშულობასა და გონებამიხდილობაში.

რად გასწირა „Новое Обозрение"-მ ასე უწყალოდ ქართველობა და ქართველთა ინტელიგენცია? რად მოექცა ასე უსამართლოდ, ასე უსაბუთოდ ერთსაცა და მეორესაც? რომელმა ქართველმა და რომელმა მონაწილემ ინტელიგენციისამ წამოროშა იმისთანა სულელობა, რასაც „Новое Обозрение" სწამებს? სად და როდის წამოროშა, არ შეიძლება გვიჩვენონ? იქნება გვითხრან, ჩვენის ყურით გაგვიგია ბულვარის აკადემიკოსებისაგანო და განა საკადრისია სალიტერატურო ორგანოსათვის ბულვარის სულელობა აიღოს და თავზე მოახვიოს მთელს ინტელიგენციას, მთელს ქართველთა საზოგადოებას და ამისათვის სამარცხვინო ბოძზე გააკრას ერთიცა და მეორეც! თითონ „Новое Обозрение" ჰგრძნობს, რომ აქ ინტელიგენცია და ქართველთა საზოგადოებაც სამარცხვინო ბოძზეა მისგან გაკრული და ამიტომ თუ ამბობს გულითადის მწუხარებით: „Не больно ли видеть это?"...

ვსთქვათ, რომ „больно" და, თქვე დალოცვილებო, რაზედ გაიჭირეთ საქმე? ხომ თქვენვე სჭრით და თქვენვე ჰკერავთ, ვისი ბრალია!

[1889 წ.]

<მმართველობის შეცვლა ბრაზილიაში>

ტფილისი, 12 ნოემბერი.

დეპეშებმა ერთი თითქმის მოულოდნელი ამბავი მოგვიტანა, იმისთანა ამბავი, რომელსაც, მართალია, პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს არც ევროპასთან, არც ევროპის პოლიტიკასთან და ჩვენ ხომ არასგზით არ მოგვეკარება; თუმცა ესეა, მაგრამ ზოგიერთს შორეულს მნიშვნელობას მოკლებული არ არის იმისთვის, ვინც ჩვეულია ცოტად თუ ბევრად დიდ საქმისაგან რაიმე გასაკვეთი გაიკვეთოს. ჩვენ ვამბობთ ბრაზილიაში მომხდარი ამბავისას. იქ მოჰხდა სისხლდაულვრელი რევოლუცია, ჯერხანად მაინც წყნარი და მშვიდობიანი. მოხუცი იმპერატორი დონ-პედრო მეორე გადააყენეს და ბრაზილია, აქამომდე იმპერიად ყოფილი, დღეს რესპუბლიკად გადააქციეს.

ყველამ შეიტყო დეპეშების წყალობით ეს ამბავი, მაგრამ იქნება ყველამ არ იცოდეს, რა არის ეს ბრაზილია, სად არის და რა ისტორია მიუძღვის. ჩვენ დღევანდელის წერილით მოვიწადინეთ მოკლედ მოვუთხრათ ჩვენს მკითხველებს ამ ქვეყნის ვითარება და, ვგონებთ, მეტი არ იყოს თუ სხვაფრივ არა, საცოდნელად მაინც.

ბრაზილია არის ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში და ამ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებ შორის ყველაზედ დიდი ადგილი უჭირავს, როგორც სივრცით, ისეც მკვიდრთა

რიცხვით. ერთის მხრით საზღვრადა აქვს ატლანტიკის ზღვა, რომელიც თითქმის მთელს მის დასავლეთს ნაპირებს გარს არტყია. ჩრდილოეთით უდევს გვინეია და ნაწილები, კუთვნილი ინგლისისა, ნიდერლანდიისა და საფრანგეთისა, აღმოსავლეთით — კოლუმბია, პერუ, ბოლივია, პარაგვაი, ნაწილი არგენტინის შტატებისა და სამხრეთით ურუგვაი. ბრაზილიასა ჰყავს მკვიდრნი თოთხმეტ მილლიონამდე. თესლშთამომავლობით ზოგნი ევროპიელნი არიან, ადრითვე მოსულნი ევროპიდამ, ზოგნი იქაურნი ძირეულნი მკვიდრნი ზანგები, ზოგნი ზანგნი აფრიკისანი. 1872 წელს მკვიდრთა შორის თეთრნი იყვნენ ასში ოცდათვრამეტი სული, ზანგები — ასში ოცი სული. მას აქეთ 1886 წლამდე თეთრთა რიცხვმა იმატა და გაჰხდა ასში სამოცდაშვიდზე მეტი და ზანგებმა იკლეს, ასში ათზე და ცოტა მეტზე ჩამოჰხდნენ. ამ მატებას თეთრებისას იმას აბრალებენ, რომ ბრაზილიაში მრავალი იხიზნება ევროპიდამ, ნამეტნავად იტალიიდამ. 1886 წელს ბრაზილიას შეჰხიზნია სულ 25. 791 სული, 1887 წელს — 54. 390 და 1888 წელს — 131. 268.

ბრაზილია აღმოაჩინეს 1499 წ., აღმოაჩინა ერთმა თანამგზავრმა სახელოვანის კოლუმბისამ. მას აქეთ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ეს ბრაზილია ხან ისპანიელთ ეჭირათ, ხან პორტუგალიელთა, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე იმოდენად შემძლებელნი არ იყვნენ, რომ სურვილი თავისუფლად ცხოვრებისა, სამუდამოდ თუ არა, დიდის ხნობით მაინც ამოეკვეთნათ ბრაზილიაში. ამ სურვილმა თავისი გაიტანა და 1822 წელს ბრაზილია განთავისუფლდა სხვისა ხელიდამ და თავისი სვე-ბედი თვითვე ჩაიბარა, ცალკე დამოუკიდებელ იმპერიად გამოაცხადა თავი და იმპერატორად დასვა მემკვიდრე პორტუგალიის მეფისა დონ-პედრო I. ამ დონ-პედროს მმართველობამ ბევრი სამდურავი გამოიწვია, თუმცა 1824 წელს კონსტიტუციაც

ჰქონდა ბრაზილიას მინიჭებული. ამ სამდურავმა ფეხი გაიდგა მკვიდრთა შორის და სურვილი ბრაზილიისა მიიხარა რესპუბლიკისაკენ. ამ რესპუბლიკის მომხრეთა დასს ფარუპილიასებს ეძახიან. დონ-პედრო I-მა შეიტყო რა ეს, მოიწადინა — როგორმე გაღვიძებული სურვილი რესპუბლიკის დაარსებისა მოესპო და შეეცადა თავისის ხელმწიფების უფლებანი უფრო გაეძლიერებინა და ამისათვის მოიწოდა მინისტრებად თავისის აზრის მომხრენი. ამან უფრო გაამწვავა საქმე, რომელიც 1831 წელს იქამდე მივიდა, რომ დონ-პედრო I-მა მოიხადა გვირგვინი და გადასცა თავის შვილს, რომელიც მაშინ სულ ხუთის წლის იყო და რომელიც ამ გზით გაიმპერატორდა დონ-პედრო II დ'ლკანტარაოს სახელით.

1840 წელს დონ-პედრო II, შვილი პირველისა, სრულწლოვანად გამოცხადებულ იქმნა. მას აქეთ იმპერატორად ბრაზილიისა ეს დონ-პედრო II იყო ამ ბოლოს დრომდე. დონ-პედრო II-ეს მეტად საყვარელისა და ტკბილი კაცის სახელი აქვს დავარდნილი. თითონ ბრაზილიაშიაც ძალიან კაი კაცის სახელი ჰქონდა და უყვარდათ კიდეც. იქნება ამ სიყვარულსაც ცოტად თუ ბევრად უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ დონ-პედრო ტახტიდამ გადმოაბრძანეს და ამასთანავე ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ არც თითონ დონ-პედროს და არც მის სახლობას არავითარი უპატიურება არა მიაყენონ რა, არასგზით არ ავნონ რა.

დონ-პედრო სწორედ ღირსიც იყო პატივისცემისა და სიყვარულისა. მის ხელში ძლიერ წინ წაიწია ბრაზილიამ. მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თავისუფლება ერისა, რამდენადაც შესაძლოა, სრული იყო. ერს თავის კანონმდებელად და გამგებელად თავის მიერვე ამორჩეულნი წარმომადგენელნი ჰყვანდა. ერთი შესანიშნავი მუხლი ბრაზილიის კონსტიტუციისა ის იყო, რომ იმპერატორს შეეძლო

არ დაემტკიცებინა წარმომადგენელთა განაჩენი, და თუ იგივ განაჩენი, ხელმეორედ წარმომადგენელთაგან გადასინჯული, ხელახლად წარედგინებოდა, იმპერატორს უფლება არა ჰქონდა უარეყო და უნდა უსათუოდ დაემტკიცებინა. თავისუფლება ჟურნალ-გაზეთობისა და ერთობ მწერლობისა სრული იყო და ამის გამო ჟურნალ-გაზეთობა და მწერლობა გაძლიერდა და განკარგდა. მარტო ერთს სატახტო ქალაქს რიო-დე-ჟანეიროში 80 ჟურნალ-გაზეთი გამოდის, მთელს ბრაზილიაში 529 ჟურნალ-გაზეთია, მაშინ როდესაც ამ თორმეტის წლის წინად სულ 271 იყო.

დონ-პედრო II დიდი მოყვარული იყო და დიდი მზრუნველი ერის განათლებისა. 1857 წელს სულ 2.595 სკოლა იყო და 70.000 შეგირდი და 1886 წელს-კი სკოლა 6.605-მდე ავიდა და შეგირდთა რიცხვი 214.670-მდე. რარიგი მოწადინე იყო სკოლების გამრავლებისა დონ-პედრო II, ეს შემდეგ ამბავისაგანაც სჩანს, როგორც გაზეთები იუწყებიან: როცა პარაგვაისთან ომს შემდეგ ბრაზილიის ერმა მოიწადინა ძეგლი დაედგა იმპერატორისათვის, დონ-პედრო II-მ ისურვა, რომ ძეგლისათვის მოგროვილ ფულით პირველდაწყებითი სკოლები დაემართათ.

არც გზები და სხვა სასარგებლო საქმენი დარჩნენ წარუმატებლად. რაც 1870 წელს რკინისგზები იყო — 1887 წლამდე ერთიათად მოემატა. წინათ თითქმის არაფრის გამსყიდავი ბრაზილია იმოდენად გაძლიერდა დონ-პედროს ხელში, რომ ამ ბოლოს ხანებში ყოველწლივ 700 მილიონის საქონელსა ჰყიდის გარეთ. რამოდენად აიწია მკვიდრთა სარჩო-საბადებელმა, რამოდენად იმატა მათმა ქონებამ — ეს, სხვათა შორის, შემდეგიდამაცა სჩანს. 1860 წელს პირველად დაარსებულ იქმნენ სასოფლო ბანკები. ათის წლის შემდეგ დაარსების დღიდან ამ ბანკებში მისაბარებლად და შესანახავად შეტანილ იქმნა მკვიდრთაგან თხუთმეტ მილიონამდე. გავიდა კიდევ

ათი წელიწადი და ამ ფულმა აიწია ორმოცდახუთ მილიონამდე.

ყველაზედ უდიდესი საქმე დონ-პედროსი მონაობის მოსპობა იყო ბრაზილიაში. 1888 წელს, როცა დონ-პედრო ევროპაში იყო, მისმა ასულმა იზაბელამ, რომელიც მის მოადგილედ დარჩა, სრულად ამოჭკვეთა მონაობა. 1871 წელს თითონ დონ-პედრომ დასდვა საფუძველი ამ განთავისუფლებისა. მაშინ გამოცხადებულ იქმნა კანონი, რომ თავისუფალ არიან ყველა ბაშვები, მონათაგან შთამომავალნი.

ეხლა ამბობენ, რომ პლანტატორები, სახელდობრ, მონების პატრონები, შეიქმენ მიზეზი დონ-პედროს გადაყენებისაო. რაკი ხელიდამ გამოეცალათ მუქთა მუშა და რაკი ეხლა სხვისის ოფლითა და ამაგით ცხოვრება აღარ შეუძლიანთ, რა თქმა უნდა კაი გულით არ დაუწყებდნენ ყურებას იმპერატორს, რომელმაც იგინი გამოიმეტა და შესწირა ჭეშმარიტს კაცთმოყვარებას და ადამიანურ ღირსების აღდგენას. ეს გულნატკენი პლანტატორები მიჰმხრობიან თურმე რესპუბლიკის მსურველთა, რომელთაც ფარუპილიასები ჰქვიანთ, და სამს ნოემბერს ბრაზილიის სატახტო ქალაქს რიო-დე-ჟანეიროში რევოლუცია მოუხდენიათ, უსისხლო, წყნარი და მშვიდობიანი, დონ-პედრო II დაუთხოვნიათ იმპერატორობისაგან და რესპუბლიკა დაუწესებიათ, ჯერხანად მაინც.

მაინც მონარქიები როგორღაც ვერა ჰხეირობენ ამერიკაში და, თუ არა ვცდებით, ეს ბრაზილია ერთადერთი მონარქია იყო მთელს ამერიკაში.

[1889 წ.]

<ავსტრიის საქმეები ბალკანეთში>

ტფილისი, 15 ნოემბერი.

გერმანიის იმპერატორის ყოფნამ საბერძნეთსა და ნამეტნავად სტამბოლში თავისი ბოლო გამოიჩინა. ამაოდ არ ჩაიარა ეგრეთწოდებულ „აღმოსავლეთის საქმისთვის“ არც ამ ყოფნამ და არც ამ ყოფნისაგან გამოწვეულმა ნახვამ ვილჰელმის მიერ იტალიისა და ავსტრიის ხელმწიფებისამ. ყველაფერი გვანიშვნებს, რომ ცოტასხნობით მიყრუებული საქმე ბალკანეთისა კვლავ იღვიძებს და ძნელად გამოსაცნობია, იღვიძებს ხელახლად დასაძინებლად, თუ საიმისოდ, რომ აივსო ფიალა მოთმინებისა და რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს. ერთიცა და მეორეც საფიქრებელია და ადვილად მოსალოდნელი. ეგ იმაზეა დამოკიდებული, — ვის უფრო გაიმეტებს გერმანია: ავსტრიასა, რუსეთს, თუ ორივეს ხელში მელასავით მოუკვდება? დეე, ამაებზე იფიქრონ დიპლომატებმა და პოლიტიკოსებმა და ჩვენ კი აღვნიშნოთ ის, თუ რა მოჰყვა გერმანიის იმპერატორის მოგზაურობას და ბალკანეთის საქმეს დღეს რა ფერი დაედვა.

ყველაფერი, რაც ამ უკანასკნელ დღეებში მოხდა, გვარწმუნებს, რომ იმპერატორ ვილჰელმის მოგზაურობამ უფრო ავსტრიას ხელი შეუწყო, ვიდრე სხვას ვისმე. ავსტრია დღეს ბოლგარიაში ისეა, როგორც თავის საკუთარს სახლში: თითქმის რაც

უნდა, იმას მოქმედებს ხელშეუშლელად. თავისის აბრუს გასაძლირებლად დიდად მოწადინებული იყო და დღესაც არის, რომ პრინცი კობურგელი ევროპამ მიიჩნიოს კანონიერ მფლობელად ბოლგარეთისა და ამისათვის ავსტრიამ არა ერთხელ და ორჯერ ფეხიც გადასდგა, ხან ოსმალეთს გადაუგდო სიტყვა, აბა შენ დაიწყე და მე მხარს მოგცემო, ხან გერმანიას შეევედრა, — ერთი ამაში ხელი მომიმართეო, ხოლო ეხლა კი ეტყობა, რომ გერმანიამ ურჩია, დაანებე მაგ საქმეს თავი, დეე კობურგელი თავისთავად იყოს, როგორც დღეს არის და ნუ იქნება კანონიერ მთავრად ცნობილი, ვის რა დააკლდებაო.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ ავსტრია ამისთანა რჩევას არ უარობს და პრინც კობურგელის კანონიერად გამთავრებაზედ ჯერხანად ხელს იღებს. ეს ისეთი საგანია, რომ, შესაძლოა, ქარტეხილიც ამტყდარიყო ევროპაში, თუ ავსტრია არ დაჰყოლოდა გერმანიის რჩევას და გაჭირვეულებულიყო. ამბობენ, ხელმწიფე იმპერატორმა, ბერლინში ყოფნის დროს, გადაჭრით მოსთხოვა გერმანიას, რომ პრინცი კობურგელი კანონიერ მთავრად არასგზით არ იყოს ცნობილიო და ამ მხრით ავსტრია შეკავებულ იქმნასო. ეხლა, როგორც ვხედავთ, ეს სურვილი ხელმწიფე იმპერატორისა შესრულებულ იქმნა გერმანიისაგან.

ყველა ამისაგან რა მოიგო ავსტრიამა, რომელიც გერმანიას მარტო ამ მოგებისათვისღა შეჰხარის? მოგება ავსტრიისა ჯერ იმაშია, რომ გერმანიის რჩევის მიღებით ბევრი არა დაჰკარგა რა. ავსტრიისათვის საჭირო ის არის, რომ ბოლგარიაში მთავრობდეს კობურგელი თავის ნებაზედ. ჩვენს მკითხველებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ მინამ იმპერატორი ვილჰელმი მოივლიდა ოსმალეთს, შემოივლიდა იტალიასა და ინსპრუკში ინახულებდა ავსტრიის იმპერატორს, ხმა დავარდნილიყო, ვითომც კობურგელის ყოფნა ბოლგარიაში ბეწვზედღა ჰკიდია

და მისი გამოძევება იქიდამ დღედღეზედ მოსალოდნელია. ამ ხმამ, ბერლინიდამ დაწყებულმა და თ. ბისმარკის გაზეთებისაგან გაფუებულმა, ძალიან დააფიქრა ავსტრია მით უფრო, რომ ამ ხმამ სწორედ მაშინ აიდგა ფეხი, როცა ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ნახვა გერმანიის იმპერატორისა ბერლინში. ამ ხმით შეფუცხუნებულმა ავსტრიამ თითქმის მაშინვე აფრინა თავისი მინისტრი კალნოკი თ. ბისმარკთან გამოსაკითხავად. რა ილაპარაკეს და რა დააწყეს ამათ, დაბეჯითებით არავინ იცის. ეს კი ყველასათვის ცხადი იყო, რომ კალნოკი გულდამშვიდებული დაბრუნდა შინ.

ამის შემდეგ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს რა მოიგო ავსტრიამ? გერმანიამ, ან, უკეთ ვსთქვათ, თ. ბისმარკმა ოსტატურად გააგონა ავსტრიას, რომ შენი კობურგელი შესაძლოა კუდამოძუებული გამობძანებულ იქმნას ბოლგარიიდამაო. კობურგელის გამობძანება ბოლგარიიდამ იმოდენადვე საწყენია ავსტრიისათვის, რამოდენადაც რუსეთისათვის მისი კანონიერ მთავრად დამტკიცება. მაშასადამე, გერმანიის პოლიტიკისათვის, ერთის მხრით, საჭირო იყო კობურგელი ბოლგარიიდამ არ გამოძეებულიყო და, მეორეს მხრით, მისი იქ ყოფნა კანონიერად არ მიჩნეულიყო არავისაგან. ოსტატურმა პოლიტიკამ თ. ბისმარკისამ ერთიც მოახერხა და მეორეც. ავსტრია ეხლა დიდად მოხარულია, რომ კობურგელის ბოლგარიიდამ გამოძეების ამბავი ამით გათავდა და მისი მოგებაც ეს არის ჯერხანად. ამ სახით, თ. ბისმარკმა ავსტრიას დაათმობინა ის, რაც უიმისოდაც თავისთავად დათმობილი იყო და მის სამაგიეროდ იგი ხელთ მისცა, რაც ადვილად წასასვლელია ხელიდამ.

სხვაფრივაცა სჩანს, რომ ავსტრიის საქმეები ბალკანეთში ურიგოდ არ მიდის. ბოლგარიაში ხმა და გავლენა ავსტრიისა ხომ ყოველ ეჭვს გარეშეა. სერბიაშიაც, თუმცა გარედამ კი, სცდილობენ, რომ ცოტად თუ ბევრად ამ ბოლოს ხანებში შერყეული

აბრუ ავსტრიისა აღადგინონ. ყოფილი მეფე სერბიისა მილანი ტყუილუბრალოდ არ მიიჭრა ბერლგრადში ამ მოკლე ხანში და ვინ არ იცის, რა გულმხურვალე მომხრეა ავსტრიისა მილანი. ერთი რუმინიაღა იყო, საცა სამინისტრო ცოტად თუ ბევრად ეურჩებოდა სახელოვანს „სამთა კავშირს“ და, მაშასადამე, ალმაცერად უყურებდა ავსტრიის პოლიტიკასაც. გარნა მივიდა თუ არა იმპერატორი ვილჰელმი ინსპრუკში, ჰნახა და მოილაპარაკა თუ არ ავსტრიის იმპერატორთან, თითქმის მაშინვე ავსტრიის ურჩი სამინისტრო რუმინიისა პირქვე დაემხო და მოწვეულ იქმნენ მინისტრებად სხვა იმისთანა კაცები, რომელნიც უფრო ავსტრიისაკენ არიან, ვიდრე ვისმე სხვისაკენ და რომელნიც გერმანიის რჩევასა და სიტყვას ძირს არ დაუშვებენ. რა თქმა უნდა, რომ დღეს, ყოვლად შესაძლებელი, გერმანიაა აქ გარეული. ვინ იტყვის, რომ აქ გერმანია არაფერს შუაშია? ვინ იტყვის, რომ ყოველივე ეს ავსტრიის გულის მოსაგებად არის მომზდარი?

[1889 წ.]

<საფრანგეთის ახალი პარლამენტი და იმპერატორ ვილჰელმ II სტამბოლში ვიზიტის ნაყოფი>

ტფილისი, 20 ნოემბერი

გაზეთებს თითქო საფანელი შემოაკლდათ: ბევრს აღარას ჰლაპარაკობენ ახალს პოლიტიკის თაობაზედ. კაცს ასე ეგონება, ევროპამ თავისი წყურვილი მოიკლა და სადარდელი და სანაღვლელი აღარა აქვს რაო. თუ კიდევ ამბობენ რასმე საყურადღებოს, — ერთი საფრანგეთის ახალი პარლამენტია და მეორე იმპერატორ ვილჰელმის ყოფნა სტამბოლში და მისი შედეგი. სხვა ყოველი ძველისძველი ამბავია, ძველისძველი ნადუღარი, რომელსაც დღეს ქაფქირი დიპლომატებისა ჰხდის და ენაჭარტალობა გაზეთებისა კი ჰღებავს თავისის საღებავით, რომ ძველი ახლად აჩვენოს.

საფრანგეთის პარლამენტის შესახებ მარტო ის ითქმის, რომ შინაურის ჩხუბითა და დავიდარაბით დაღალული საფრანგეთი დღეს დიდს ცდაშია სხვადასხვა დასთა ერთმანეთში წეწვა-გლეჯა მოსპოს და, ყველანი თუ არა, დიდი ნაწილი პარლამენტისა მაინც ერთად შესჯგუფოს, ერთად შეჰკრას და მარტო საფრანგეთის სიყვარულით და მის კეთილდღეობის ფიქრით ამოქმედოს. ეს სახელოვანი ცდა ახლადამორჩეულთ წარმომადგენელთა დიდს

სიკეთეს უქადის საფრანგეთსა და დიდი სახელი მამულიშვილობისა დარჩებათ მათ, ვინც ამ ახლადდაწყებულ საქმეს დააგვირგვინებს ერთმანეთში მორიგებითა, იმიტომ რომ, თუ აქამომდე საფრანგეთი ევროპისაგან როგორღაც ჩრდილში იყო მიყენებული შინაობაშივე განხეთქილების გამო, ამას იქით იგი, შინ გამაგრებული ერთსულობითა და ერთგულობით, გარედაც პატივსა და სახელს მოიპოვებს და კუთვნილს ადგილს დაიჭერს.

რაც შეეხება იმას თუ, — რა ნაყოფი მოუტანა ევროპას გერმანიის იმპერატორის ყოფნამ სტამბოლში, გაზეთები ბევრს სხვადასხვა ამბავს ჰლაპარაკობენ. არ ვიცით რამდენად დასაჯერია და „Московские Ведомости“-ების კორრესპონდენტი კი ბერლინიდამ იწერება, რომ იმპერატორი ვილჰელმი კმაყოფილი არ დაბრუნდა შინაო. ფადიშაჰი და მისი მინისტრები ბანზე სიტყვას აუგდებდნენ ხოლმე მაშინვე, როცა პოლიტიკის გამო სიტყვას ჩამოუგდებდნენ ან იმპერატორი ვილჰელმი სულთანს, ან თანხლებული იმპერატორისა თ. ბისმარკის შვილი ჰერბერტი სულთანის მინისტრებს. სულთანი იმას გაუკვირვებია, რომ ჯერ მინამ იმპერატორი ვილ-ჰელმი ეწვევოდა, ბერლინიდამ სცდილობდნენ სულ-თანს პრინცი კობურგელი ეცნო და გამოეცხადებინა ბოლგარეთის კანონიერ მთავრად. ეხლა კი, როცა ვილჰელმი სტამბოლში მივიდა, ჰერბერტ ბისმარკს სიტყვა ჩამოუგდია ოსმალოს მინისტრებისათვის, რომ არამცა და არამც კობურგელი კანონიერ მთავრად არ გამოაცხადოს. ოსმალეთის პოლიტიკის გამგებელთ ვერ გაუგიათ ეს რა კომედიაა: ჯერ იხვეწებოდნენ კობურგელი გამოაცხადეთ კანონიერ მთავრადაო და ეხლა იხვეწებიან, ნუ იქთ მაგასაო. ერთის სიტყვით, სჩანს, რომ გერმანიის იმპერატორს ალჩუ არ დასჯ-დომია სტამბოლში. ნამეტნავად სწყენია პასუხი სულ-თანისა, როცა ვილჰელმს თავისის მხრით უქია ოსმალოს ჯარი და ოსმალეთზედ უთქვამს, რომ

მაგარი და ჯანმრთელი სახელმწიფოა, რომელსაც „ბრწყინვალე მერმისი მიელის, თუ იგი მშვიდობიანობის მომხრე იქნება და შეუერთდება იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ყოველთვის გულითადი მეგობრები ჰყოფილან ოსმალეთისა და საგნად აქვსთ ეხლანდელი ყოფამდგომარეობა ევროპისა ხელშეუხებ-ლად დაანარჩუნონო“. სულთანს პასუხად მწარედ უთქვამს, რომ: „ოსმალეთი, თქვენო დიდებულებავ, მსურველია მშვიდობიანობისა, ხოლო მას ევროპაში მეგობრები არა ჰყავსო, რადგანაც იმ სახელმწიფოთა, რომელნიც ოსმალეთის მეგობრებად ჰხადიან თავის თავს, უფრო მეტი ვნება მოუტანეს ოსმალეთსა, ვიდ-რე ოსმალეთის მტრებმაო“.

არ ვიცით, რამდენად მართალია ეს „Московские Вед.“-ის კორრესპონდენტის ნაუწყი ამბავი. და თუ მართალია, აშკარაა, გერმანიის იმპერატორს და მის თანხლებულს ჰერბერტ ბისმარკს სანატრელი სვე არ გაუტანიათ და ოსმალეთი ვერ მოუმხრიათ. ხომ ესეა, მაგრამ არც განგებ თვალების აბმა ვარგა. ბევრი სხვა ნიშნებია, ბევრი სხვა საბუთი მისი, რომ სულთანი და მისი მინისტრები სულ სხვა გუნებაზედ არიან ვილჰელმის ნახვისა და ლაპარაკის შენდეგ. ამას თურმე ყველანი ჰხედვენ და ყველანი ჰგრძნობენ სტამბოლში. სხვა არა იყოს რა, ამბობენ, რომ სტამბოლში დღეს ბურთი და მოედანი გერმანელებს დარჩათო. ყველგან თურმე დიდს პატივში არიან და აუარებელს აფიცრობას გერმანიისას, რომელიც დღეს ოსმალეთის ჯარშია მაღალ თუ დაბალ ხარისხით, ისე ულოლოებს და ესაყვარლება თურმე ფადიშაჰი და მისი კარისკაცნი, რომ ყველასათვის თვალსაჩინოა და ცხადი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ იქნებოდა ასე, რომ ხსენებულ გაზეთის კორრესპონდენტი ყველაფერში მართალი იყოს, რასაც იწერება. ვინ იცის? ზოგი იმისთანა კაცია ქვეყანაზედ, რომ ტკბილი ტყუილი ურჩევნია მწარე მართალსა და

რადგანაც „Московские Ведомости“-ების კორრეს-პონდენტიც კაცია, არაფერი კაცებური არ უნდა ეუცხოებოდეს.

[1889 წ.]

<უნაღვლოდ ყოფნა, როცა გარს ამდენი სანაღვლელია>

ტფილისი, 23 ნოემბერი

შესაძლოა განა, კაცი თავის თავზედ სულ არაფერსა ჰნაღვლობდეს, არაფერსა ჰზრუნავდეს, ღვთის ანაბრობაზედ მიეგდოს ყველაფერი, რაც კი მისთვისვე თავში საცემია და საჭირბოროტო, და მაინც იოლად მიდიოდეს ამ წუთისოფლის ბრუნვასა და ტრიალში? სხვა ქვეყანაში სადმე კაცმა რომ ეს იკითხოს, არა გვგონია ამაზედ პასუხად „ჰო“ მიიღოს. პირიქით, გაოცებულნი შემოაჭყიტებენ თვალს ამის გამომკითხავსა იმის ნიშნად, ხომ არ გაგიჟებულა ეს ვიღაც ოხერიაო. ეს რა საკითხია? განა ამას კითხვა უნდაღაო? სხვა ქვეყანაში ეს ისე გააოცებს კაცს როგორც ისა, რომ კაცმა იკითხოს დღისით დღეა და ღამით ღამე თუ არაო. ეს სხვა ქვეყანაში და ჩვენში კი სულ სხვაა. აქ, ჩვენში ყველაფერი საკითხავია. ასე უცნაურს ბედზეა გაჩენილი ქართველი, ყველაფერი საკითხავი გახდომია. ისიც კი, რომ მე ისა ვარ, რაც გამაჩინა ღმერთმა თუ არა?

აშკარაა, რაც ამ წერილის თავში ვიკითხეთ, ის ჩვენში უქმი საკითხი არ არის და ყოვლად შესაწყნარებელია მით უფრო, რომ ჩვენ, ქართველები ამ შემთხვევაში თითით საჩვენებელი მაგალითნი

ვართ. კაცი რომ ფხიზელის თვალით დაგვაკვირდეს, შეუძლებელია არ შეჰნიშნოს, რომ ქვეყანაზედ ერთადერთი მაგალითი ქართველები არიან, რომელნიც „ვითა ყვავილნი მინდვრისანი და ფრინველნი ზეცისანი“ არცა ჰხვნენ, არცა სთესვენ, ესე იგი, არაფერს ჰფიქრობენ, არაფერს ჰნაღვლობენ და იოლად კი მიდიან.

ასე უნაღვლოდ ყოფნა, როცა გარს ამდენი სანაღვლელია, ასე გულმიგდებით და დამბლად ხეტიალი, როცა ფეხმაგრად და მედგრად სვლაა საჭირო, ესე უსაგნოდ გდება, როცა გარს ჰდუღს და გადმოდის ათასი საჭირბოროტო, ათასი ავ-კარგი ქვეყნისა, სწორედ ღვთის რაღაც რისხვაა, ღვთის რაღაც წყრომაა, ჩვენს თავზედ მოვლენილი. ყოველივე ეს აინუნშიაც არ მოგვდის, და იმით ვნუგეშობთ, რომ მაინც ხომ ვცხოვრობთ, ვცოცხლობთ, სული ჯერ ხომ არ ამოგვხდომია და მადლობა ღმერთსაო. ვაი ამისთანა სიცოცხლეს! ვაი ამისთანა ცხოვრებას! ეს სიცოცხლე კი არ არის, სიცოცხლის გაბათილებაა, წაწყმედაა, სულით და ხორცით დაკუწმაწებაა, ადამიანობის გათახსირებაა, ცოცხალ-მკვდრობაა, მოშლაა და დარღვევა ყოველისფრისა, რითაც კი კაცი ჰკაცობს, ადამიანი ადამიანობს და ერი ერობს.

მადლობა ღმერთსაო! ნუთუ მართლა მადლობა ღმერთსა, რომ ასეთი „ამაო ამაოებათა“ და „უქმობა უქმობათა“ შეექმენით ჩვენს გარეშემო. მაღლა ავიხედავთ და ნათელი ჩვენთვის ბნელია, ძირს დავიხედავთ და ბნელი უფრო ბნელია. აღარც სიცოცხლისთვისა გვაქვს გული, აღარც ტირილისათვის ცრემლი. ხელი და ფეხი მოქმედებისა თითქო გაგვიშეშდაო, ჭკუა-გონებას თითქო შეაწყდა მართულები მოძრაობისა, ყველა შეიბოჭა, შეიკრა, შეჰდგა და ყველაზედ უარესი უბედურება ის არის, რომ ამისთანა ყოფაში ჩაცვივნულნი მაინც ვიძახით:

მადლობა ღმერთსა, რომ ჯერ კიდევ სული მაინც გვიდგაო, სული არ ამოგვხდომია და ვცხოვრობთო.

სხვა არა იყო რა, აბა ერთი ამავ ნომერში დაბეჭდილი კორრესპონდენცია წაიკითხეთ ახალსოფლიდამ და გვითხარით: გვიდგაღა სული? სული ამომხდარი არა გვაქვს? ვარგივართღა რაშიმე? გული გვიძგერს რისთვისმეღა? განა მართალი არ უთქვამს მაზრის უფროსს თ. ჯანდიერს ქართველებისათვის: „ასე დაცემული და დაბრიყვებული როგორა ხართ? რა ღვთის წყრომაა თქვენი, რომ თქვენს კარებზედ გძარცვავენ, გკლავენ და თქვენ დედაკაცებივითა ხართო?“

ესეც თქვენი „იოლად წასვლა“? ესეც თქვენი „სული ჯერ არ ამოგვხდომიაო“!...

[1889 წ.]

<სამართალი და ზღვევა>

ტფილისი, 25 ნოემბერი.

24-ს ნოემბერს ტფილისის სასამართლომ თავისი მსჯავრი დასდო ყოფილს მოწაფეს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისას ვასილ ივანეს ძეს კაკაბაძეს, ჩამოართვა ყოველივე ღირსება და უნდა გაიგზავნოს კატორგაში ოთხის წლით.

რა თქმა უნდა, რომ ყოველივე დანაშაული კაცისა წინაშე კაცთა და საზოგადოებისა ასე თუ ისე დასჯილ უნდა იქმნას, ესე იგი ყოველივე ბოროტად მოქმედი კაცი უნდა დაყენებულ იქმნას ისე, რომ ვერ შესძლოს ბოროტის ქმნა, თუ მოურჯულებელია, და თუ მოსარჯულებელია — ისე უნდა გარემოცულ იქმნას, რომ მორჯულდეს, გასწორდეს, გაკეთდეს და ისევ პატიოსან კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას. ჩვენი გულითადი აზრი ის არის, რომ სასჯელი ზღვევა არ იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს. ერთიცა და მეორეც, ჩვენის ფიქრით, აუპატიურებს იმ უწმინდესსა და უმაღლეს დანიშნულებას განკითხვისას, რომელსაც ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით და ურომლისოდაც კაცთა საზოგადოებას, კაცთა კრებულს ერთს წუთსაც გაძლება არ შეუძლიან. მართლიერება, სამართალი, მთელის ერის გაწნმენდილი სინდისია, მთელის ერის განწმენდილი

ნამუსია და როგორ უნდა იკადროს ამ საყოველთაო სინდისმა, ამ საყოველთაო ნამუსმა, ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ“ მოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვართაცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება.

ერთი უდიდესი მოვალეობა ადამიანისა მსაჯულობაა. მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელის ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ განწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზედ დაყენებული. ეს მთელის ერის ნამუსი, მთელის ერის სინდისი მაშინ უფრო იტანჯება, მაშინ უფრო იმღვრევა, როცა შემცოდველს უყურებენ როგორც მსხვერპლს ზღვევისას, სამაგიეროს გადახდისას, ვიდრე მაშინ, როცა ცალკე კაცი რაიმე დანაშაულს, რაიმე ცოდვას ჩაიდენს და ამით ასე თუ ისე შეაშფოთებს საზოგადოებას. ეგ სინდისი, ეგ ნამუსი, სიყვარულით, გულისტკივილით გამკითხველია ცოდვილისა და არა რისხვითა და წყრომით მქნეველია გალესილის ხმლისა. იგი სწუხს ცოდვილის დანახვაზედ და არა ჰხარობს კი, რომ აი მომეცა შემთხვევა ბოროტს ბოროტი მივუწყოვო და ცოდვილი წამებას მივცეო. ამით არის ეგ საყოველთაო სინდისი ტკბილი, ამით არის საყვარელი, ამით არის მომხიბლველი და სატრფიალო.

[1889 წ.]

<პასუხი კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებას პეტერბურგიდან>

ტფილისი, 4 დეკემბერი

აი რა მოუწერია აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტს პეტერბურგის უნივერსიტეტისას ახალ მოდის ანბანების შესახებ კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებისათვის:

„თქვენ გწერთ, რომ ამ ბოლოს დროს სხვადასხვა ახალი ანბანი უნდა შემოიღონ კავკასიაში შოგრენ-უსლარის ანბანის მაგიერ, თუმცა ეს უკანასკნელი ანბანი დიდი ხანია დამკვიდრდა, და, რაკი ასეა, რომელ ანბანის ხმარება უფრო სამჯობინარო იქნება განსვენებულ უსლარის თხზულებათა ბეჭდვის დროსაო.

„ამ საგნის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის აზრით, საჭიროა თხზულებანი და გამოკვლევანი უსლარისა იბეჭდებოდეს იმ ანბანით, რომელიც თითონ იმან შეადგინა და იხმარა თავის ნაწერებში. ის მისი ანბანი არასგზით არ უნდა შეიცვალოს. სლარს, უეჭველია, ნება აქვს ამისი, ჯერ იმიტომ, რომ ავტორია იმ ნაწერებისა და მერე იმიტომ, რომ მცოდნეა კავკასიის ენებისა. საჭიროა აგრეთვე ეს ანბანი იყოს ნახმარები ყველა სახელმძღვანელო და ხელსაწყო წიგნში, რომელიც იბეჭდება ეხლა, ან დაიბეჭდება შემდეგ უსლარის მიერ გამოკვლეულს ენაზედ იმათთვის, ვინც ლაპარაკობს იმ ენით. ეს

იმიტომ არის საჭირო, რომ ბარონ უსლარის ანბანი აგერ 25 წელიწადია იხმარება მთიულებში. ამ ანბანის შემწეობით შეითვისა წერა-კითხვა მთელმა თაობამ. ახალის ანბანის შემოღება დააშორებს ერთმანეთს დღევანდელსა და შემდეგს თაობას. ფაკულტეტი იმ აზრისაა, რომ არ უნდა იცვლებოდეს ის ანბანი, რომელიც ერისა და სკოლისათვის არის შედგენილი, თუ მეტადრე ამგვარის ცვლილებისათვის არავითარი საჭიროება არ არის: ჩვეულებასა, მიჩვევას, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს წერა-კითხვის გავრცელების საქმეში. კავკასიის მთიელების შესახებ ხომ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას, რადგან მთიელთა ახალგაზრდობას თვალი და გული დღესაც არაბულ წერა-კითხვისაკენ აქვს. ამგვარს ყოფაში ანბანების ცვლა მოსწავლეს წაართმევს ხალისს წერა-კითხვის სწავლისას.

„უსლარის ანბანში საფუძვლად რუსული ანბანია მიღებული, ასოები მარტივია, საკმაოდ მოხდენილი და ლამაზი, საწერლად ადვილია და მოხერხებული. ყოველ ამას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ მოსაზრებას, რომ სტამბისთვის ძნელია უსლარის ანბანით ბეჭდვა წიგნებისაო. მთიელნი დასტამბულს წიგნებს ნაკლებად დაისაჭიროებენ, ხოლო წერასა და ხელნაწერის კითხვას მუდამდღე საჭიროებენ.

„ამას გარდა სტამბამ უნდა მოიხდინოს და შეიშვნიოს საჭიროება მეცნიერებისა, სკოლისა და საერო განათლებისა და არა თხოულობდეს, მე ეგრე არ მეხერხება საქმეო. მაგრამ უსლარის ანბანი სტამბის მხრითაც სრულიად არ არის უხერხული: კავკასიაში უსლარის ანბანით მრავალი წიგნი დაიბეჭდა და გავრცელდა კიდეც მთიელთა შორის.

„ამავე საბუთით შეუცვლელად უნდა დარჩეს შოგრენის ანბანიც, შედგენილი ოსურის ენისათვის; ამ ენასა და კავკასიის დანარჩენ ენათა შორის არავითარი ერთობა და მსგავსება არ არსებობს და ამას გარდა ამ ანბანით არის დაწერილი და

დაბეჭდილი ოსების საკმაოდ მდიდარი მწერლობა, რომელიც ამ უკანასკნელს 50 წელიწადში გაჩნდა.

„დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ გამოკვლევა კავკასიის სხვა ენებისა და აგრეთვე დაბეჭდვა წერილებისა უკვე გამოკვლეულ ენათა შესახებ უნდა მიენდოს და ისიც დიდის სიფრთხილით, მხოლოდ ისეთს კაცს, რომელსაც კარგი საფილოლოგო და სალინგვისტო განათლება შეუძენია თეორიით და თავის ნაწერებით დაუმტკიცებია, რომ ზედმიწევნით იცის ენები კავკასიისა. რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში მოიტანს ნაყოფსა და სარგებლობას გამოკვლევა კავკასიის მთიელთა ენებისა და ბეჭდვა წიგნებისა ამ ენებზე მეცნიერებისათვისაცა და საერთო განათლებისათვისაც, ამას ამტკიცებს ღვაწლი ორის სახელოვანის ლინგვისტისა – შოგრენისა და უსლარისა“.

ასეთია ის პასუხი, რომელიც მოუვიდა კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებას აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტისაგან. ამ პასუხიდგან ცხადად სჩანს, რომ ფაკულტეტი იწუნებს, უარჰყოფს ყველა ახალს მოდის ანბანს და უფრო სასარგებლოდ სთვლის ხმარებას უსლარისა და შოგრენის ანბანისას. რაც შეეხება ახალ ანბანს მეგრელებისათვის, ფაკულტეტს იგი ანბანი ხსენებითაც კი არ უხსენებია....

[1889 წ.]

<„სამთა კავშირის“ მოსალოდნელი დასასრული>

ტფილისი, 12 დეკემბერი

ჯერ კიდევ თითქმის პირველ ხანებში, როცა ხმა დავარდა, რომ იტალიაც მიიკედლა გერმანიამაო და ავსტრიასთან ერთად ეგრეთწოდებული „სამთა კავშირი“ შეადგინაო, ჯერ მაშინვე და მას შემდეგაც ვამბობდით ჩვენ, რომ ეს კავშირი თავს ვერ დაიჭერს და მისი გარღვევა და დაქსაქსვა სადღეხვალიო საქმეაო.

ჩვენ ამ „სამთა კავშირს“ ისე ვუყურებდით და ვუყურებთ დღესაც, როგორც ერთს რაღაც ერთმანეთზედ მიკონკებულს საბელს, რომელსაც მარტო შემთხვევა ინახავს და რომელსაც ერთი მცირეოდენი დაჭიმვა ეყოფა, რომ ნაწილ-ნაწილ დასწყდეს და კვანძ-კვანძ დაიშალოს. არც ავსრტია და არც იტალია გერმანიას გულით არ მიჰკედლებია და თუ ჯერხანად ერთმანეთს მხარს აძლევენ, — ეს მარტო იმით აიხსნება, რომ ძალა აღმართსა ჰხნავსო. გერმანია დღეს ძლიერია, ღონიერია და საფრანგეთზე გამარჯვების შემდეგ ისეთის შარავანდედით მოსილია, რომ ძნელია კაცმა კალთაში ხელი არ ჩაჰკიდოს, საითაც შენ, მეც იქითაო. ესეა ეს ქვეყანა: ძალოვანი და ღონიერი საშიშარია ყველასათვის და შიში ხომ, რუსთაველისა არ იყოს, „შეიქმს სიყვარულსა“. აი

სწორედ ეს შიშით შექმნილი სიყვარულია იგი წებო, რომლითაც თავს იჭერს ჯერხანად ხსენებული „სამთა კავშირი“.

ავსტრიას, როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხ-ველებს, ხელი დააბანინა გერმანიამ ევროპის დასავლეთში და პირი უბრუნა აღმოსავლეთისაკენ იმ იმედით, რომ იქ დაკარგული, აქ მოიპოვოს და შეივსოს. მეტი გზა არ იყო; დამარცხებული პრუსიისაგან, ავსტრია უნდა დაჰმორჩილებიყო თავის სვე-ბედსა და პირი აღმოსავლეთისაკენ ექმნა. დაჰმორჩილდა კიდეც, მაგრამ დიდის ტკივილითა და ეს ტკივილი გულში ხვანჯად აქვს დღესაც. ხოლო საქმე ის არის, რომ გერმანიის გავლენის გარეთ დარჩნენ იმისთანა დიდნი სახელმწიფონი, რომელთაც თუ გაჭირდა და დრომ მოითხოვა, შეუძლიანთ ავსტრია ისევ დასავ-ლეთისაკენ მიახედონ და უთხრან: მოდი, ჩვენ დაგვი-ჯერე და ისევ დასავლეთისაკენ გაიწოდე ხელიო, ავსტრიისათვის, ჩვენის ფიქრით, ეს უფრო სანატრელია, იმიტომ რომ, რაც გინდ იყოს — ჰაბს-ბურგის გვარეულობა, რომელიც პრუსიის გან-ლიერებამდე ჰბატონობდა გერმანიაში და რომელიც მას შემდეგ თითქმის ეყმო თავის მორჩილს პრუსიას, ისევ თავის მამა-პაპეულს სახელსა და დიდებას ინატ-რებს, ვიდრე ახალს რასმეს ბალკანეთის კუნძულზედ. ეხლანდელს მდგომარეობას ევროპის პოლიტიკისას რომ ვხედავთ, ადვილად საფიქრებელია ავსტრიას ამით აუშალონ საღერღელი და აქედამ მისი გამოსვ-ლა „სამთა კავშირისაგან“ სულ ადვილი საქმეა, თუ ნამეტნავად ვინმე ძლიერმა რაიმე საფუძვლიანი თავდებობა აჩვენა. განა არა, ავსტრიაში, თითო-ოროლად და კანტი-კუნტად ამგვარი ხმებიც ისმის წვრილ-ფეხობისაგან კი არა, არამედ იმისთანა კაცთაგანაც, რომელთა სიტყვაც ეგრე ადვილად ძირს დასაშვები არ არის.

იტალიის ყოფნა ხომ „სამთა კავშირში“ არასგზით მოსათავსებელი არ არის. აქამდინაც უკვირთ ყველას,

რა ანგარიშია, რომ იტალია გერმანიას და ავსტრიას მიუდგაო, ამბობენ, რომ თუ ესგვარი პოლიტიკა დღეს იტალიაში ასე თუ ისე მოქმედობსო, ეს საკუთრივ იტალიის მეფეს ჰუმბერტს უნდა მიეწეროსო, რადგანაც ამას არ უყვარს თურმე საფრანგეთი. იტალიის ერი კი ძალიან სწუნობს ამ პოლიტიკას და ძალიანაც ემდურის ეხლანდელს სამინისტროს კრისპისას, რომ ასე წინდაუხედავად იქცევა. აქამომდე მთავარმინის-ტრი იტალიისა კრისპი როგორღაც ყურს იყრუებდა და ხმას ერისას ბევრს არას დასდევდა, მაგრამ ეხლა კი, როგორც ეტყობა, საქმე გასჭირებია და ერის გულის მოსაფხანად საჭიროდ დაუნახავს ტკბილი სიტყვა ეთქვა საფრანგეთისათვის. მართლა-დაც ამას წინად პარლამენტში საფრანგეთის გამო ისეთი საამური სიტყვა წარმოსთქვა, რომ გერმანიის გაზეთებმა ყურები აცქვიტეს და აილურსნენ. ზოგი გაზეთი გერმანიისა იქამდე მივიდა, რომ გმობა და ღალატიც კი შესწამა იტალიას: განა არ ვიცოდითო, რომ იტალია მუხთალი მეგობარია და სანდო არ არის გერმანიისათვისაო.

ესეა თუ ისე, იტალიაში კარგა საგრძნობელი წინააღმდეგობაა კრისპის პოლიტიკისა. თითქმის ყვე-ლა გაზეთები, რომელნიც კი დამოუკიდებელნი არიან, პირდაპირ გაიძახიან, რომ დიდი შეცდომა და ცოდვაა ჩვენის ქვეყნის წინაშეო, რომ საფრანგეთს გადავუდგეთ და გერმანიას კალთა დავუჭიროთო. ზოგნი იქამდინაც მიდიან, რომ სირცხვილად ჰხადიან იტალიისათვის გერმანიის აგრე ბატონად გახდომას და მის ნებაზედ ყურმოჭრილ ყმასავით ტარებას. არამც თუ გაზეთები, არამც თუ თვით იტალიის საზოგადოება თითქმის ყოველ კრებაზედ, თვით იტალიის სახელმწიფო საქმეთა კაცნიც კი სჩივიან და ესაყვედურებიან ეხლანდელს სამინისტროს, რომ გერმანიას ასე ჩააკიდებინეს ხელი იტალიისათვის და ასე ჩაათრევინეს.

ეხლა გამოსულა ბროშიურა გრაფის გრეპპისა ამ გერმანიის და იტალიის კავშირის თაობაზედ. ეს ბროშიურა, სხვათაშორის, იმით არის შესანიშნავი და საყურადღებო, რომ გრაფი გრეპპი რუსეთშია ნამყოფი იტალიის ელჩად და, მაშასადამე, მის აზრსა და სიტყვას ამ მხრით, ფასი უნდა დაედვას იტალიაში. იგი ამბობს, რომ დიდი შეცდომაა ჩვენგან გერმანიასთან ერთად ყოფნაო. 1870 წელს რომ ომი იყო გერმანიისა და საფრანგეთს შორისაო, ეს სახელმ-წიფო სახელმწიფოს კი არ ეომებოდაო, არამედ თეს-ლი თესლსაო, ტევტონები ლათინებსაო. ამიტომაც გერმანიის გამარჯვება საფრანგეთზე უნდა მიღებულ იქმნას ტევტონების გამარჯვებად ლათინებზედაო. ჩვენც, იტალიელნი, ლათინები ვართ თესლით და შთამომავლობით, საფრანგეთიცაო და ამიტომაც დამარცხება თუ გამარჯვება საფრანგეთისა ჩვენი დამარცხება თუ გამარჯვება უნდა იყოსო. ეხლა იტალია რომ მხარს აძლევს გერმანიას, ეს ძმის ღალატს მოასწავებსო და თუ გერმანია ომს აუტეხს საფრანგეთსა, მაშინ ხომ იტალიის მომხრეობა სხვა არა იქმნება რა, გარდა იმისა, რომ ჩვენ ძმის სისხლი უნდა ვღვაროთო გერმანიის სასარგებლოდაო. გრაფი გრეპპი ეუბნება თავის ქვეყანას, გერმანიასთან საერთო არა იქონიოს რა და „სამთა კავშირს“ დაეთხოვოსო. იგი ურჩევს რუსეთთან დაახლოვებას, იმიტომ რომ რუსეთს იტალიასთან გასაყოფი და საძიძგილაო არა აქვს რაო და თუ გამორჩომაა რამ, აქ უფრო ბევრს გამორჩება იტალიაო, ვიდრე გერმანიასა და ავსტრიასა, რომელიც ადრიატიკის ზღვაზედ მოპირისპირეა იტალიისაო.

ამ ამბავებმა ძალიან შეაწუხა თურმე გერმანია და ამბობენ, რომ გაფიცხებულ ჰერბერტს ბისმარკს ცხარე ლაპარაკი ჰქონია ამის გამო იტალიის ელჩთან. ელჩს გაუნელებია ცოტად თუ ბევრად აფიცხება ჰერბერტისა და მისი ამ ამბებისაგან ნატკენი გული დაუშოშმანებია, ყოველივე ეს დროთა

ნიშნებია და, ვგონებთ, თვალსაჩინო დასაწყისია „სამთა კავშირის“ მოსალოდნელ დასასრულისა.

[1889 წ.]

<აზია წინათ და ეხლა>

ტფილისი, 16 დეკემბერი

აზია, რომელიც ერთს დროს მამამთავარი იყო ცივილიზაციისა და რომელისაც დღესაც ევროპის მეცნიერნი ცივილიზაციის აკვანად ჰხადიან, დიდი ხანია ჩრდილშია მიმდგარი, და ეხლა თუ ვინმე ახსენებს, — ან იმისთვის, რომ როგორ და რა გზით გამოვწოვო მისი ხელუხლები სიმდიდრეო, ან იმისთვის, რომ ხელთ იგდოს მისი რომელიმე მხარე და ყურმოჭრილ ყმად იყმოს იმ მხარის მემკვიდრენი, ისევ — რასაკვირველია — გამოსაწოებლად და მოსაწველად. მეცნიერებით, ხელოვნებით, ხელოსნობით შეჭურვილმა ძლევამოსილმა ევროპამ პირში ჩალა გამოავლო ამ მოხუცს ქვეყანას, რომელიც ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა. და ეხლა იმ ქვეყნის შვილობა, სად პირველ ფეხი აიდგა ცივილიზაციამ და საიდამაც მისი შუქი მთელს ცასაქვეშეთს პირველ მოეფინა, სამარცხვინოდ მიაჩნიათ უფრო, ვიდრე სასახელოდ. ეხლა აზიელობა უფრო საბიაბრუო სახელია, ვიდრე თავმოსაწონებელი.

ესეც უნდა მომხდარიყო. ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავის თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას — ავია თუ კარგი — ჰკმარობს,

ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს — რაც დღეს არის და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელდასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო.

ისტორია და წარმატება — მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელიღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევამოსილი წინმსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს.

რამ დაჰმართა ეს ამბავი აზიას? რამ დაუხუთა მუხლი მსვლელობისა და ერთს დროს წინმავალი ქვეყანა, ეხლა ასე უკან რამ დააყენა? იმან თუ — რომ თავისი საკუთარი ძარღვები დააწყდა, თავისი საკუთარი საგზალი წინმსვლელობისათვის შემოაკლდა, თუ სხვა რამ მიზეზმა მოსჭრა სულიერი

და ხორციელი მუხლი, — ამის გამოძიებას ჩვენ არ შევუდგებით. ეს კი აშკარაა, რომ მისი წარმატება შესდგა, შეჩერდა და აზია დღევანდელს დღეს ანგარიშში მოსატანი არ არის, როცა ქვეყნის წინმსვლელობაზე ლაპარაკობთ. ამასთან აზიის უბედურება ის იყო, რომ ეს შედგომა, შეჩერება, თითქო ვერ იგრძნო, ვერ იცნო, — პირიქით, რაცა ჰქონდა, სასულიერო თუ სახორციელო, იმას დასჯერდა და თავმოწონებული შეჰხაროდა, თითქო იმაზე უკეთესი სხვა აღარა ეგულება-რაო ქვეყნიერობაზედ. ამით კმაყოფილმა თავი ცალკე შეიკეტა და გარედამ აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებელი სიო. ამ ყოფაში ჩავარდა ჩინეთი, მისი მიმყოლი იაპონია, რომელთაც არავინ აღარ მიიკარეს და ამისათვის მაგარი ზღუდე შემოავლეს თავის არემარეს. თითქმის ამ ტყუილს თავმოწონებასა და კმაყოფილებას მიეცა სპარსეთიცა, საცა სასულიერო წოდებამ მოსლემინებისამ შეჰკრა და შეჰბოჭა გონება და გული მთელის ერისა და თვალები აუბა იმდენად, რომ თავისზედ უკეთესს სხვას არავის ჰხადიდა.

დღეს, ესე ნებიერად და ტყუილ თავმოწონებით ყოფნა შეირყა თითქმის მთელს აზიაში. აზიამ თვალდათვალ დაინახა უპირატესობა ევროპისა, იგრძნო, რომ ევროპა გაცილებით წინ წასულია, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრის სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძალოვანი და ღონიერია, და აქამომდე დაკეტილი კარი თავისის ქვეყნებისა ცოტად თუ ბევრად გაუღო ევროპას, რომ იქაურმა მზემ თავისი შუქი ცოტად თუ ბევრად აქაც მოაწვდინოს. ასე იქცევა დღეს ჩინეთიცა, იგი ჩინეთი, რომელიც ყველა სხვა ქვეყნებზე უფრო ძლიერ ეურჩებოდა ევროპიდამ შუქის შემოსევას და მოფენას და სადაც დღესაც ეს ახალი მიმართულება შიშითა და კრძალვით ფეხს იკიდებს ცოტ-ცოტად და ფრთხილად, რადგანაც იქაური ერის უფროს-ერთობა

მაინც ურჩობს და ჰთაკილობს სხვისაგან ჭკუის სწავლებას, სხვის ცივილიზაციას, სხვის ავკარგიანობას.

იაპონია ამ მხრით უფრო გაბედულად ირჯება. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპის განათლებისა და ჭლამის დაუცხრომელად — ყოველისფერი, ნამეტნავად მმართველობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპის წესსა და რიგს შეუფეროს. დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული, ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა ჰყავს. შინაც დიდად მოცადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. მწერლობა, ცოტად თუ ბევრად, ფრთაასხმულია და გავრცელებული, და ვინ იცის, — იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპის ცივილიზაციის ზედმოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაცა. ამბობენ, იაპონელი ამისათვის არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსაო.

არც სპარსეთი დარჩა უიმისოდ, რომ ევროპის ცივილიზაციისთვის კარი არ გაეღო. ეხლანდელის შაჰის მეფობის დროს ბევრს ძველს ჩვეულებას, რომელიც სულსა და ხორცს სპარსეთისას ასე თუ ისე ჰხუთავდა, კბილი მოეჭრა. შაჰმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აახილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანაში ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი სცდილობს ბევრი რამ ძველი განსდევნოს, ბევრი რამ ახალი შემოიღოს. ამისათვის იგი თურმე არც იმის წინაშე უკუდგებაო, რომ თავისი ნება-უფლება შეიხუთოს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება. ამ ახალს მოძრაობაზე სპარსეთისაზედ უფრო ვრცლად საჭიროა საუბარი და ამიტომაც შემდეგისათვის გადავსდეთ.

[1889 წ.]

<დღევანდელი სპარსეთი>

ტფილისი, 19 დეკემბერი.

სპარსეთსაო, — ამბობს ერთი კორესპონდენტი რუსეთის გაზეთისა, — ჩვენში ისე უყურებენ, ვითომც იმოდენად ულონო და უძლური იყოს, რომ საკმაოა კაცმა კი მოინდომოს და 24 საათში მიწასთან გაასწორებსო. ჩვენა გვგონია, რომ სპარსეთი ყოვლის უარის უთქმელად ჩვენს ნებაზედ ივლის, თუ რომ ზოგიერთი ბოროტი მანქანები და ინგლისის ფულები იქ ჩვენ ხელს არ გვიშლიდეს და საქმეს არ გაგვიფუჭებდესო. კორესპონდენტის აზრით, ყოველივე ეს შეცდომაა ჩვენის მხრითაო. იმიტომ, რომ სპარსეთიც, სხვათაებრ, დღეს იღვიძებს და სცდილობს, თავის თავი იმდენად გამოაკეთოს, რომ საკუთარს ფეხზედ დაჰდგეს და საკუთარის ავკარგიანობით გაძლიერდესო.

კორესპონდენტისავე სიტყვით, დღევანდელი სპარსეთი ის სპარსეთი არ არის, რაც აქამომდე იყო. დღეს სპარსეთში იქაური სასულიერო წოდება, რომელიც აქამომდე მარტო გუნდრუკს უკმევდა ყველაფერს სპარსულს და უკადრისად იხსენიებდა სხვას ყოველს, რაც სპარსული არ იყო, ცოტად თითონაც გამოფხიზლდა და დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ იქ ბევრი იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა

აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მოსჩხრიკოს, – რა არის იქიდამ კარგი მისაღები და შემოსატანი და რა არის უარსაყოფელი და განსადევნი. ეს, რასაკვირველია, თითო-ოროლა კაცს სასულიერო წოდებისას მიეწერება და არა ბევრს მათგანს, მაგრამ ამ თითო-ოროლას არსებობა სპარსეთში „დროთა ნიშნად“ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იარა სპარსეთისა ამ სასულიერო წოდების გაუტეხლობა და კერპობა იყო დღეს-აქამომდე. ამ წოდებას იქამდე შეეხუთნა იქაურობა, იქამდე გაებაწრა, რომ თვითონ შაჰიც, რომელიც ჩვენ ყოვლადშემძლებელი გვგონია სპარსეთში, ეკრძალებოდა, უფრთხოდა თურმე ამ სასულიერო წოდებას. ასე რომ, მინამ გაჰბედავდა რასმე, ჯერ ამ წოდებისათვის უნდა ანგარიში გაეწია, და მისი ნებართვა თუ არა, მისი უარი მაინც არა ჰქონოდა. ეხლა, რაკი, თითონ ამ წოდებაში უგრძვნიათ, რომ უწინდელი ყოფა სპარსეთისა თავს არ დაიჭერსო, აშკარაა კედელი გაუტეხელობისა და კერპობისა უკვე გარღვეულა და ახალის შემოსევისათვის გზა ცოტად თუ ბევრად გახსნილია სპარსეთში.

კორესპონდენტი ამბობს, რომ სპარსელებ შორის ეხლა ბევრს იმისთანას ჰნახავთ, რომელნიც ყოფილან ევროპაში არამცთუ მარტო სავაჭროდ და საქონლის მოსატანად, არამედ გასანათლებლად და სასწავლებლადაო. ბევრია თურმე იმისთანა ახალგაზრდა კაცი, რომ ევროპაში მაღალ სასწავლებელში სადმე ესწავლობს, სწავლა შეესრულებინოს, და დღეს სპარსეთში ჰმოქმედებდეს მის გამოსაღვიძებლად და გამოსაკეთებლად. ამათი მამულიშვილობა, ამათი სიყვარული თავისის ქვეყნისა უფრო წინდახედულია, უფრო ცნობიერებით და გაგებით მოსილია, ვიდრე ძველის აღთქმის კაცებისაო. ესენი აღარ იქადიან, რომ სპარსეთი მარგალიტია სავსებისა და სისრულისა; ტყუილად

თავს არ იწონებენ, რომ ამათზე უკეთესი, ბედნიერი და შემძლებელი ერი და ქვეყანა სხვა არსად იყოს დედამიწის ზურგზედა, პირიქით, ბევრს ნაკლსა ჰხედვენ და ქვეყნის სიყვარულით აღფრთოვანებულნი იძახიან: თანდათან და ნელნელა სპარსეთი დაეწევა ევროპას, როგორც რუსეთი დაეწიაო. ზოგნი, თავის ქვეყნისავე სიყვარულით გაფიცხებულნი, იქამდინაც კი მიდიან, რომ ამტკიცებენ, დაგვაცალეთ ერთი, ზოგიერთი ხარიხები, რომელიც სვლას გვიშლიან და გვაბრკოლებენ, თავიდამ მოვიშოროთ, და მაშინ ჰნახავთო, რომ სპარსეთიც საპატიო ადგილს დაიჭერს სხვათა განათლებულთა ერთა შორისო.

დღეს საზღვარგარეთ იბეჭდება თურმე ბროშიურები სპარსულად და ამ ბროშიურებში სულ იმას ჰქადაგობენ თუ, — როგორ და რა გზით უნდა გამოკეთდეს დღევანდელი უკმარი ყოფაცხოვრება სპარსეთისა. ზოგი ამბობს, რომ საერო სწავლა-განათლება უნდა გაძლიერდესო, ზოგი იძახის კანონებს გადასინჯვა უნდა, ამ სფეროში საჭიროა შესაფერი რეფორმებიო, და ზოგი სცდილობს სახსარი რამ იპოვოს სამშობლო ქვეყნის მრეწველობის გასაძლირებლად და ეკონომიურ შეძლების ასაყვავებლად. სიტყვით, საქმით თუ წერით ევროპაში განათლებულნი ყმაწვილნი კაცნი სპარსეთისანი იღვწიან შინა და გარეთ, რომ გამოაფხიზლონ აწ მთვლემარე სამშობლო ქვეყანა და ფეხზედ წამოაყენონ საკეთილდღეო მოქმედებისათვის. ამათმა ღვაწლმა ამაოდ არ ჩაიარა, როგორც გვარწმუნებს ხსენებული კორესპონდენტი. საზოგადოებაში ფეხი შესდგა ამათმა მოძღვრებამ და იმდენად იმოქმედა, რომ ძველის წესის გაუტეხელნი და შეუპოვარნი კაცნიც კი ცოტად თუ ბევრად მოარჯულა და მოინადირაო. ამაების ზედმოქმედების გამო, თითონ სახელმწიფო საქმეთა ძველნი კაცნი, კერპად ურჩნი და მოძულენი ყოველ იმისა, რაც კი სპარსული არ არის, დღეს თავის შვილებს

ფრანგულს მაინც ასწავლიანო, რომ ამ ენის ცოდნით განათლებულებთან მარაქაში გაერიონო. კორესპონდენტს თეირანში ერთი მოლა უნახავს, რომელიც შიშისა და კრძალვისაგან მალულად სწავლობს თურმე ერთის ევროპიელისაგან ფრანგულს ენას და ერთმა ფრანგმა მასწავლებელმა დამარწმუნაო, რომ ამჟამად ფრანგულს ვასწავლი პატარა ქალს ერთის დიდის კაცისას, რომელსაც დიდის ხარისხის ადგილი უჭირავს სახელმწიფოშიო.

არამცთუ შინაგანად კეთდება თურმე სპარსეთის ყოფაცხოვრება, გარეგანს ცხოვრებასაც დაეტყო, — ამბობს კორესპონდენტი, — ახალის მოძრაობის ელფერიო. წინათ ძალიან სასტიკად სდევნიდნენ ერთის ჩვეულების დარღვევას, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ქუჩაში ვისმე შაჰის ცოლები შეხვდებოდა, მაშინვე უნდა გაქცეულიყო და ან სახლსა, ან სხვის ეზოში, ან ქუჩის ყურეში სადმე უნდა მიმალულიყო, რომ არამც და არამც თვალი არ მიეკარებინა. ეხლა ეს ჩვეულება გააუქმესო. შაჰის ცოლები ეხლა თავისუფალად სეირნობენ ეტლებით ქალაქში და თუმცა ისევ ჩადრებსა ჰხმარობენო, მაგრამ აღარც ის კრძალვაა, აღარც ის შიში, რომლის გამოც ყოველი მათი შემხვედრელი უნდა გაქცეულიყო და სადმე მიმალულიყო. ეხლა შაჰი რომ ევროპიდამ დაბრუნდა და ამისათვის დიდის ყოფითა და ამბით მისაგებებელი პროცესია გაჰმართეს, სხვებთა შორის პროცესიაში შაჰის ცოლებიც იყვნენო.

ყოველს ამას ისიც დაურთევით, რომ თითონ ეხლანდელი ხელმწიფე სპარსეთისა მომხრეა ცოტად თუ ბევრად ამ ახალის მოძრაობისა და იქნება თვით ამ მოძრაობის მიზეზიც თითონ იგივე იყოს, და მაშინ ცხადად დასაჯერია, რომ სპარსეთი თავის ახალი ბედის განთიადის ხანაშია.

რაც შეეხება სპარსეთის ეკონომიურ ვითარებას, ამ მხრით იგი ვერ იტყვის ჯერ, რომ ჩემით

ვმოქმედობ და ჩემით გზა გამაქვსო. უწესოება, თვითნებობა მოხელეობისა, დაუდგრომელობა კანონებისა, ძლიერის წინ უენობა და უსარჩლობა უღონოსი, რა თქმა უნდა, ძლიერ აბრკოლებს ამ მრით წარმატებას. კორესპონდენტი ამბობს, რომ რაკი იქაურნი მკვიდრნი დარწმუნებულნი არ არიან, რომ ჩემი ქონება ჩემია და არა ჩემზე ძლიერისა და გავლენიანისაო, შიშით არამცთუ ამოქმედებენ ამ ქონებას, ჰმალვენ კიდეც და არ აჩენენო. მე ერთი მდიდარი სოვდაგარი ვიციო, ამბობს კორესპონდენტი, რომელსაც დიდი შეძლება აქვს, მაგრამ დამალული აქვსო და თითონაც თითქმის ძონძებით დაიარება, რომ არა შემამჩნიონ რა და არ წამართონო. ამ ყოფაში ძნელია, ძნელი კი არა, შეუძლებელია რაიმე ეკონომიური წარმატება. ეს უცვნიათ და უგრძვნიათ სპარსეთში და დღეს ამაზედ თვალახილულ შაჰს მოუწადინებია ამ მხრით როგორმე გამოაკეთოს საქმე.

თეირანიდან ატყობინებენ გაზეთს „Neue Freie Presse“-ს, რომ სპარსეთში დადგა ხანა დიდის რეფორმებისაო. უკანასკნელად შაჰის ევროპაში ყოფნამ მოიტანა ეს ქვეყნის სასარგებლო ნაყოფი თურმე. ინგლისის გაზეთს „Times“-ს კიდევ სწერენ სტამბოლიდამ, ნასრ-ედდინ შაჰს უბრძანებია თავის მინისტრებისათვის — შეადგინონ კომისია სამინისტროებში მოსამსახურე კაცთაგან და შეისწავლონ კანონები საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა და ოსმალეთისა, რომ იქიდამ ამოიღონ ყოველივე ის, რაც გამოადგება სპარსეთს საკეთილოდ. თუ ამისათვის საჭირო იქნება, რომ ზოგიერთი ჩემი ნება-უფლება დავთმოო, უბრძანებია შაჰს, მე უკან არ დავდგებიო და დავთმობო, ოღონდ ამით ჩემს ქვეყანას სიკეთე და ბედნიერება მიენიჭოსო.

ჩვენა გვგონია, რომ ამ დიდს განზრახვას ნასრ-ედინ შაჰისას არარა დაუშლის განხორციელდეს. ჩვენ,

რაც შეგვეძლო გაზეთის მოკლე წერილით, ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს, რომ თვით სპარსეთის საზოგადოებას საკმაო ღონე აქვს, მხარი მისცეს განზრახულს რეფორმებს. ნასრედინ-შაჰი ბევრს მეშველს იპოვის თავის ქვეყნის განათლებულ ახალგაზრდობაში, რომ ეს თავისი დიდი და სახელგასათქმელი განზრახვა საქმედ გადააქციოს. რამდენად მომწიფებულია ეს საქმე, იქიდამაც სჩანს, რომ ამას არ უარობენ თვით სასულიერო წოდების კაცნი, რომელნიც ამისთანაებში ყველაზე ურჩნი, კერპნი და მოურჯულებელნი არიან სპარსეთში. მაგალითებრ, კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ ერთს ძალიან სახელგანთქმულს მოლას თეირანში ჰკითხესო: განა შესაწყნარია შარიატი გაუქმდეს და ურჯულოთა კანონები შემოვიდესო. მოლას უპასუხნია, რომ მე მაგისი წინააღმდეგი არა ვარო, თუ თითონ შაჰი ფეშქაშების აღებას აღარ იკადრებს, ფეშქაშების აღების ნებას არ მისცემს თავის მოხელეებს, ჯამაგირებს შეუხუთავად და თავის დროზე დაურიგებს მოხელეებს და მხედრობას, და გააუქმებს ერის გამათახსირებელს იჯარით ძლევას თანამდებობისაო.

აი სადამდე გაღვიძებულია დღეს სპარსეთი მისაღებად ყოველის ახალის კეთილისა, რომ თვით მოლებიც კი ჰღაღადებენ ამასა. მართალია, იქნება ეს კორესპონდენტისაგან ნაჩვენები მაგალითი ერთი იყოს, ან ორი, მაგრამ რაკი ამას ამბობს რეფორმების თაობაზედ სპარსელი სასულიერო კაცი, სჩანს თვით ხალხსა და ქვეყანაში ეს წყურვილი განახლებისა და რეფორმებისა კარგა ფეხმოკიდებულია.

[1889 წ.]

წიგნი გადალმიდგან

წაიკითხე, ჩემო თადეოზ, მე-265 „ივერიის“ ნუმერში ისკანდერის მოგონილი ქურდობისა და ავაზაკობის წამალი. ეს წამალი სწორედ უებრო უნდა იყოს გურიისათვის. თუ ჯერ არ წაგიკითხავს, უთუოდ წაიკითხე და შემატყობინე თქვენი აზრი. ახლა ვიდრე წაიკითხავდე, მე მინდა ჩემის მხრით მოვსაზრო ეს ისკანდერის დარმანი. ის ამბობს, რომ ჩვენში ქურდობა, ცეცხლის წაკიდება, ტაციობა და ცარცვა ისე გახშირდაო, რომ ადამიანს არ ეცხოვრებაო. ვერც ეგზეკუციამ და ვერც ღამისა და დღის გუშაგობამ, ვერც ხევისთავების ამორჩევამ და ვერც არაფერმა ამისთანეებმა ვერ შესწყვიტეს ეს საშინელი უბედურება და ერთი სახსარი დარჩენილაო. ეს სახსარი თუ გვიშველისო, თორემ სხვა ვეღარაფერი მოგვეგონებაო. რაში მდგომარეობს ეს სახსარი? ისკანდერის აზრით, ყოველს სოფელში სათითაოდ და ყველა სოფლებში საზოგადოდ უნდა დაწესდეს ურთიერთშორის თავდებობა, როგორც რუსები იტყვიან, „კრუგავაია პარუკა”. ამ შემთხვევაში არ უნდა გაირჩეოდეს მცხოვრებლებში არც თავადი, არც აზნაური, არც გლეხი და არც სამღვდელო. ყველანი პასუხისგების ქვეშ უნდა იყვნენ, თუ დაეკარგა და ზარალი მიეცა ვისმე სოფელში ან მთელს სათემოში. ესრედ გამართული წესდებულება, ისკანდერის აზრით, უთუოდ მოსპობს

იმ ავაზაკობას, რომელიც ამჟამად გავრცელებულია გურიაში.

ჩემო თადეოზ, მე ვცხოვრობ ისეთს ხალხში, სადაც ისკანდერის წამალი კარგა ხანია ნასინჯია. ამისათვის შემიძლიან ზოგიერთი შედეგი ამისთანა დაწესებისა წარმოგიდგინოთ. ჯერ ერთი, ეს ვიფიქროთ, თუ ისკანდერის წამალი გამოსადეგია, რატომ კანონით არ არის დაწესებული, ან რატომ ფრანგებმა და გერმანელებმა არ მოიგონეს? ყოველი წესი და კანონი მაშინ არის კარგი, როდესაც დამყარებულია სამართალსა და ჭეშმარიტებაზე. კანონით ყველა სარგებლობს თავისებურად, თუ ცოტა რამ კანონს მოევლება, თუ შეიძლება, რომ კანონი თავს გადაიცილოს, ამას ყველა ეცდება და თავის სასარგებლოდ ჰხმარობს. გავარკვიოთ ეს მაგალითით.

იმ ქვეყანაში, სადაც მე ვცხოვრობ, ქურდობაში განთქმულნი არიან ღლიღვები, მაგრამ მგელს მგლობა ეთქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო, იტყვიან ქართველები. ღლიღვებს გარდა, არც სხვა გარეშე მცხოვრებნი აკლებენ ხელს ქურდობას. საქმე იქამდის გასჭირდა, რომ ერთმა ადგილობრივმა საქმის გამგემ მოიფიქრა ისკანდერული წამლობა ქურდობის მოსასპობლად. მოსთხოვა ღლიღვებს, რომ კისრად აეღოთ ყოველ მოპარულ საქონლის ფასის გადახდა, თუ რომ მოპარულის საქონლის კვალს მიიტანდნენ რომელსამე ღლიღვის სოფელში. ქურდი კაცი ყოველთვის მხდალია, რას იქმოდნენ, დასწერეს განაჩენები და კისრად იღეს ყოველის დაკარგულის გადახდა, თუ რომ დამტკიცებით მიიტანდნენ კვალს სოფელში. რასაკვირველია, გამგეს ეგონა, რომ რა წამსაც მთელს სოფელს გადაახდევინებდნენ მოპარულის ფასს, უეჭველად ხალხი დაუყოვნებლივ მოჰკიდებდა ხელს სოფელში მცხოვრებელს ქურდბაცაცებსა, ან ძალას დაატანდა, რომ ქურდობაზე ხელი აეღოთ და ან მთავრობას მისცემდა ხელში მოქურდალს ხალხსა და ამნაირად მოსპობდა

ქურდობასა და ამ ქვეყნის დამღუპავს გარყვნილებას. მას აქეთ აგერ თხუთმეტი წელიწადია და ქურდობა უფრო და უფრო გაძლიერდა, არამც თუ იკლო, და არც ერთი ქურდი მთავრობისათვის ხელში არ მიუციათ. რატომაო? იკითხავს ისკანდერი. გიჟები ხომ არ არიან, რომ სხვის ნაქურდალში პატიოსნები ფულს აძლევენო?

არ არის სოფელი, რომელსაც წელიწადში არ შეხვდეს სამას თუმანითგან ხუთას თუმნამდის გადასახადი. იხდიან ამოდენა ხარჯსა და ქურდებს ხმასაც არავინა სცემს, ქურდს არც კი კითხულობენ. კვალი მიიტანეს, ვსთქვათ სოფელში. იქაური მოხელეები ჯერ უარზე დგანან და ამტკიცებენ, რომ კვალი სრულიად არსადა სჩანსო, მაგრამ კვალის მიმტანი მოითხოვს მაჰმადის ყურანსა და დაიფიცებს, რომ კვალი ამ სოფელში მიიტანა. მაშინ შეადგენენ ოქმს, დააფასებენ დაკარგულს საქონელსა და სოფელმა უნდა გადაიხადოს. მაშინვე ლიტრა ჩარექზე გაჰყოფენ გადასახადს ფულსა და მოაგროვებენ და ჩააბარებენ გამგეს. იმ ქურდს, რომელსაც ხუთ თუმნიამი ცხენი მოუპარავს, რადგანაც ღარიბია, შეხვდება მისაცემი ათი შაური, ან მანეთი. აბა რა ენაღვლება იმას, რამდენიც უნდა გადაიხადოს სოფელმა.

ამისთანა დაწესების შემოღებისაგან ბევრი უვარგისი საქმე გამოდის და ქურდობა თითქმის კანონიერდება, რადგანაც ქურდს არავინ ეძებს. საქონლის დამკარგავი ეძებს იმ სოფლის საზოგადოებას, რომელმაც უნდა გადაიხადოს დანაკარგის ფასი. აქედგან გამოდის ისა, რომ როგორც დამკარგავი საქონლისა, აგრეთვე ქურდი გამოიწვევს ყოვლად უდანაშაულო საზოგადოების უბედურებას. ერთს სოფელში, სადაც 600 და 700 კომლი დგას, 20 ან 40 ქურდი ლაწირაკი ბიჭი რომ იყოს, სულ ამოაგდებენ და გაანადგურებენ მთელს საზოგადოებასა. მეზობელი ვერ გასცემს ქურდსა,

რადგანაც ქურდს, ან იმის ნათესავს, ანარადა ტოლ-ამხანაგს შეუძლიან გამცემს მისცეს ცეცხლი და გადასწვას. აი, ამ შიშის გამო ყველანი ჩუმად არიან და იხდიან გაჭირებით ნაქურდალის ფასს. როდესაც ამნაირად შემძლებელი სოფლის კაცი მუდამ ფულის გადახდით გაღარიბდება, ან დიდს ზარალში ჩავარდება, მაშინ თუ მოინდომებს დანახარჯის დაბრუნებას, უნდა წავიდეს და თითონაც მოიპაროს რამე და გაჰყიდოს.

აი, ჩემო თადეოზ, ბევრმა არ იცის, საითგან რა წარმოდგება. განა ქურდი ყოველთვის თავისს სახლში და თავისს სოფელში მიიყვანს მოპარულს ცხენსა, ან სხვა საქონელს. მოიპარავს ცხენსა და წავა სულ სხვა სოფლის გზაზე, ღამე მიატანს სოფლის პირში, მერე შებრუნდება, წყალდაწყალ ივლის, რამდენიმე ხანიც შეიძლება, და ცხენს მიიყვანს და დააბამს სადმე ტყეში. ისე დაჰკარგავს კვალსა, რომ ხელდახელ ვერ გაიკვლევენ პატრონები და რასაკვირველია, მიადგებიან იმ სოფელს, სადაც ქურდმა კვალი განგებ მიიტანა. იმასაც, მეტი რა ღონე აქვს, უნდა გადაიხადოს ნაქურდლის ფასი.

არ არის ძალიან დიდი ხანი, ჩემო თადეოზ, რაც ეს ამბავი მოხდა. ერთს კაცს ძროხა დაუბერდა და უნდოდა, რომ როგორმე მისი ფასი აეღო და მეორე ძროხა ეყიდნა. ადგა, თავისი ძროხა ჩუმად დაჰკლა, დააჭრა ფეხები და ღამე წვიმიან დღის შემდგომ ერთის ღლიღვის სოფლისაკენ გზაზე გააკეთა კვალი ძროხის ფეხებით. მეორე დღეს გამოაცხადა და კვალი მიიტანა ღლიღვის სოფლამდის, მაგრამ, მეზობელს, პატრონს კაცს, გაეგო ეს ამბავი და ის წაადგა და გაამტყუნა ძროხის დამკვლელი. როდესაც არა სჯეროდათ, იმან უჩვენა სადაცა ჰქონდა შენახული ძროხის ტყავი. ამნაირად, მეზობელი რომ არა ყოფილიყო კეთილი და გულადი ადამიანი, საწყალს ღლიღვებს უნდა გადაეხადნათ ძროხის ფასი. ერთს ღლიღვს რაღაც ჯავრი სჭირდა ერთის ღლიღვების

სოფლისა. წამოვიდა და საიდუმლოდ შიგ შუაგულს სოფელში მოჰკლა მგზავრად მიმავალი ვაჭარი, თითონ დაიმალა და ძალიან დიდი ჯარიმა გადახდა მთელს სოფელს. ერთმა წუნტალმა ბიჭმა ერთს დიდის ცხენის პატრონს გადუწვა თივა, მთელის ზამთრის საგძალი. რამდენსამე სოფელს გადახდა ამ თივის ფასი-სამასი თუმანი, რადგანაც ერთიერთმანეთის თავდებნი იყვნენ. საზოგადოებას რა დანაშაული აქვს, რომ თივის პატრონზე გაჯავრებულიყოს ვინმე და თივა დაუწვას. ამგვარი დაწყობილება ხუმრობა არ არის. ამნაირმა წესმა იქამდის მიიყვანა საქმე, რომ ხალხმა არ იცოდა, რა ექმნა. თვით გამგებლებმაცა ნახეს, რომ ამისთანა წესიდგან ძალიან ცუდი საქმე წარმოსდგებოდა და სრულიად გაირყვნა ხალხი. თუმცა ამ წესისათვის თავი არ დაუნებებიათ, მაგრამ მიჰყვეს ხელი ქურდების ძებნასა და იმათს გაწკეპლას. რასაკვირველია, წაიკითხავდი, ჩემო თადეოზ, „ევერიაში“ ამ წკეპლის ხმარების ამბავს. თქვენც მიხვდებით, რომ წკეპლითაც საქმე ვერ გასწორდება, რადგან ერთხელ და ორჯელ გაწკეპლილი კაცი სრულებით ჰკარგავს სინდისსაცა და თავმოყვარეობასაც, უფრო და უფრო უმატებს ქურდობას. მაგრამ აქ ერთის ნაბიჯით მაინც საქმე წინ წადგა სიმართლისაკენ, ამიტომ რომ ამ შემთხვევაში ქურდს ეძებენ და ქურდსა საჯვენ და არა საზოგადოებას, რომელიც აქ არაფერს შუას არის.

ვის არ მოაგონდება იმპერატრიცა ეკატერინე II ნაბრძანები, რომ სჯობს ათი ავაზაკი დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე ერთი დაისაჯოს უსამართლოდაო. ყოველს ამგვარს საქმეში მოსამართლე უნდა ეძებდეს დამნაშავეს და თუ დაისაჯა რითიმე ქურდის მაგიერად პატიოსანი ადამიანი, მაშინ ქურდების რიცხვი მრავლდება. ამას დასამტკიცებელი საბუთი არ უნდა. სადაც ხალხი იქამდის გაირყვნა, რომ

მეზობელი მეზობელს არ ინდობს და ნათესავი ნათესავს, სადაც აღარ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც სიტყვა დაეჯერებოდეს და გარეშე აღარავინ არის კეთილის გავლენის მქონებელი, იქ, ჩემო თადეოზ, ვგონებ გუშაგნი და ხევისთავები, როგორც თითონაც გარყვნილები, კეთილ საქმეს ვერ დააწყობენ. აქ მოხდა კიდევ ერთი ამბავი, რომელიც შეიძლება მაგალითად მოვიყვანო ამ შემთხვევაში.

ერთს დიდს სოფელში ყოველ ღამე გამოდიოდა ღამის გუშაგი თოფ-იარაღითა და სადაც შესაფერი ადგილი იყო, სოფლის ნაპირში სამ-სამი, თუ ოთხ-ოთხი გუშაგი უნდა ჩასაფრებულიყო, ასისთავის ჩვენებით. ერთს ღამეს ასისთავმა შუაგულს სოფელში მეიდანზე გამოსული გუშაგები წაიყვანა და ყველას უჩვენა თავ-თავისი ადგილი და დაუბრუნდა უკან. თურმე ამ ასისთავს, ან, გურულად ვსთქვათ, ხევისთავს ცუდი აზრი ჰქონდა გუნებაში და ერთი ძალიან კარგი საქურდალი ადგილი განგებ უგუშაგოდ დააგდო. იმისდა საუბედუროდ, სამს თუ ოთხს გუშაგს ბიჭს დაეგვიანა და თოფ-იარაღით შელესილნი მივიდნენ იმ საქურდალს ალაგას. ხან დაუსტვინეს, ხან დაუძახეს და იქ გუშაგი არ აღმოჩნდა. იფიქრეს, რომ ეს უთუოდ ხევისთავს დავიწყებიაო, ადგნენ და ჩაუსაფრდნენ იმ ადგილას. რამდენისამე საათის შემდეგ შიგ შუაგულ სოფლიდგან მოერეკება ვიღაცა მოპარულს საქონელს. გუშაგებმა მოამზადეს თოფები და, როგორც დაუპირისპირდათ ქურდი, ესროლეს ერთად ყველამ. თუმცა ბნელოდა, მაგრამ ქურდი კი მაინც დასცეს ძირს. მივიდნენ და ელდა კი ეცათ. ნახეს, რომ ხევისთავი გდია რამდენისამე ტყვიით გახვრეტილი. მოდი და ენდე ამ გარყვნილს, გაფუჭებულს, ხალხში ამორჩეულს გუშაგებსა და ხევისთავებს. რომ მოგიყვე, ჩემო თადეოზ, ვგონებ სამი დღეც ვერ დავასრულო ამისთანა ამბები. ვერ წარმოიდგენ, რა ზნეობის გაფუჭება შეუძლიან იმისთანა წესს, რომელსაც

გვიჩვენებს ისკანდერი. ერთიორად და ერთისამად უფრო გავრცელდება ქურდობა და ავაზაკობა. ღლიღვეთში ჯერ პატრონებიც აღარ უგდებენ ყურსა თავისს საქონელს. დეე, მოიპარონ, ერთიორად გადავახდევინებ სოფელსაო. მეტადრე ვისაც უხეირო საქონელი ჰყავს, ან ცხენი, განგებ კარში აგდებს, იქნება წაიყვანოს ვინმემო. ასე ირყვნებიან პატრონებიცა და ქურდებიც.

ამისთანა შემთხვევაში ბევრჯელ მომაგონდება ხოლმე, ჩემო თადეოზ, ჩვენი იოსებ შაჰნაზაროვი, თათრები რომ თარლან-ყუშს ეძახდნენ /მიმინოა მგონი/. იმის ზასედატლობაში, ყაზახის უჩასტკაში, სრულიად მოსპობილი იყო ქურდობა. მართალია, წკეპლას ძალიანა ხმარობდა, და კიდეც იმისათვის მომაგონდება, რომ 200 წკეპლა რო დაეკრა ქურდისათვის, 100 წკეპლას მოახვედრებდა მოპარულის საქონლის პატრონს, თუ რომ სასტიკის გამოძიებით აღმოჩნდებოდა, რომ თავისს საქონელს რიგიანად არ უგდებდა ყურსაო. მოუარე შენს საქონელსაო და ნუ ჩააგდებ ქურდს ცოდვაშიო, იძახდა თარლან-ყუში.

რასაკვირველია, ისკანდერი მე არ მომთხოვს გურულების განკურნვასა და წამლის ჩვენებას, რადგანაც მე იქაურის გარემოების ამბავი არა ვიცი რა და წამლის საპოვნელად მკურნალმა უნდა ჯერ შეისწავლოს ავადმყოფობის მიზეზი და მერე მონახოს შესაფერი წამალი, ესე იგი, ზედმიწევნით იცოდეს ეკონომიური მდგომარეობა გურიის ხალხისა, რადგანაც ასეთს საზოგადო გარყვნილებასა და ზნეობის დაკარგვას თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს. მე მხოლოდ აქ მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა იმ ღონისძიების გამო, რომელზედაც ხელი მიგვიშვირა უპატივცემულესმა ავტორმა.

მე ასე ვფიქრობ, ჩემო თადეოზ, რომ ამისთანა საერთო გაფუჭება მთელის მაზრის ხალხისა ერთს დღეში არ მოხდებოდა და ორს დღეში, აგრეთვე

მსწრაფლი და სასტიკი ღონისძიების მიღებაც ვერ გაჰკურნავს ამ სენს. მაშასადამე, ღრმად დაფიქრება და ღრმად დაბარვა უნდა იმ ნიადაგს, რომელზედაც ამოდენა ღვარძლი ამოსულა.

ეს სტრიქონები რომ გავათავე, მოგვივიდა „ივერიის“ მე-266 ნომერი, რომელშიაც გამგე თ. ლევან ჯანდიერი, რომელიც ზედმიწევნით იცნობს ჩაფრებსა და ხევისთავებს, გვიხსნის, რანიც არიან ეს გარყვნილი და გაფუჭებული მოსამსახურე კაცნი. ქურდობისა და ავაზაკობის გამრავლება სულ იმათი ბრალია, რადგანაც თავის მოვალეობას არ ასრულებენ წმიდად, თორემ როგორ გაუმაგრდებოდნენ ქეციანი ქურდბაცაცებიო. მაშასადამე, ამათი დანაშაული რად უნდა დაედოს კისერზე შეუცოდველს ხალხსა ისკანდერის პროექტით.

ისკანდერს შეუძლიან სთქვას, ვინ არიან ამ ავაზაკობის საძირკვლის გამომჩხრეკნიო! ამაზე მოვახსენებ, რომ წყალტუბელის მახვილი წერილი გააღვიძებს ზარმაც და მცონარე მაღალ სწავლულ ვაჟბატონებსა და აი ესენი მოუჩხრეკენ საძირკველს გურიაში მოდებულს ინფლუენციასა და წამალსაც ისინი დასდებენ. ამგვარი საქმე იურისტებმა უნდა გამოიკვლიონ, ნასწავლი ვაჟბატონები კი გულში ჰფიქრობენ: განა იმისათვის გვისწავლია, რომ ამისთანა წვრილმან საქმეებს გამოვუდგეთ. ჩვენა ვართ მაღალის ღირსების ბატონები, ჩვენ უნდა გემრიელად ვჭამოთ, უფრო გემრიელადა ვსვათ შამპანსკი და არა კახური ღვინო, რომელიც კუჭის კატარს გვიმატებს, თორმეტს საათამდის გვეძინოს, მერე პირდაუბანელებმა ლოგინში ჩაი დავლიოთ, ორიოდე საათი კანცელარიაში დავყოთ და საღამო ქაღალდის თამაშობაში გავატაროთ. აი რისთვისა ვსწავლობდითო, ჰფიქრობენ, ჩემო თადეოზ, ეს ჩვენი მაღალფარდიანი ვაჟბატონები. მართალსაცა ბრძანებენ, რადგანაც ასე გაუტარებიათ თავისი სიცოცხლე, ვიდრე სწავლას შეასრულებდნენ. მაშასადამე, არამც

თუ წყალტუბელის წერილი, შჩედრინის მათრახებიც ვერ გაატანს იმათს სქელ ტყავში და ვერ ააფანცქალებს დამყაყებულსა და ობმოკიდებულს გულს. თუ კაცს ღვთის ნიჭი და იმისი მოცემული სიმხურვალე არ უძევს ტვინსა და გულში, აბა რას უზამს ლაპარაკი. ისა ჰგავს მოსიარულე მკვდარს და იმისათვის სააქაო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ რასაც შეხედოს, უგემურად გაიღიმოს და შეაქციოს ზურგი. იქნება ასე გულმოკლულნი და მოშვებულნი იყვნენ ჩვენი მაღალგანათლებულნი ლათინურის ენისაგან, ეს არ ვიცი, ჩემო თადეოზ, იქნება ლათინურს ჩაუკრავს ტვინში და ძარღვები მოსდუნებიათ, თორემ რა განსხვავება არის სწავლულსა და უსწავლელს შუა, როდესაც არც პირველი და არც მეორე ამ ქვეყანაში არაფერს არ აკეთებს. წყალტუბელსა ჰგონია, იმათ ვიღასაც რიდი აქვთო. დეე, რუსულს ენას გამოადგნენ, იმათში ისახელონ თავი მაგრამ არც რომ იქ არიან! განა არ შეიძლებოდა იმათი ნაწარმოები გადმოგვეთარგმნა და ისე მოგვეკრიბა ჭკუა. ეჰ, ჩემო თადეოზ, თუ კაცს ღვთის ნაპერწკალი აქვს გულში, არ შეიძლება, რომ იქ დაიმალოს და გარეთ არ გამობრწყინდეს საქვეყნოდ. ალბათ, შიგნითაც არა არის რა და გარეთ რა გამოჰყოფს თავსა: ცალიერ ჭურჭლიდგან რას ჩამოასხამ.

[1889 წ.]

<სწავლების წესი რუსეთის გიმნაზიებში>

ტფილისი, 23 დეკემბერი

ჩვენს გაზეთს არაერთხელ ჩამოუგდია საუბარი მასზედ, რომ საერთო ევროპასა და საკუთრივ რუსეთში ლაპარაკი აქვთ მოზარდ ყმაწვილების დაქანცვის გამო მეტისმეტ სწავლებისაგან სკოლებში. რუსეთში ამ საგანზედ დღეს აქამომდე მარტო ჟურნალ-გაზეთობა იღებდა ხმას და თვითონ სწავლა-განათლების სამინისტროც ყურს იყრუებდა. ძოგიერთი საბუთია ვსთქვათ, რომ თვით სამინისტროც ცოტად თუ ბევრად ჩაუფიქრდა ამ საგანს, რომელსაც ასეთი დიდი მნიშნელობა აქვს მერმისისათვის, რადგანაც მერმისის ავკარგიანობა დამოკიდებულია მასზედ თუ დღევანდელი დღე რა მოღვაწეებს, რა კაცებს გაუზდის.

დღეს აქამომდე, როგორცა ვსთქვით, მოზარდ ყმაწვილების დაქანცვის თაობაზედ ლაპარაკი იყო მარტო ჟურნალ-გაზეთობაში და თვითონ საზოგადოება კი ამ საგანზედ ხმაამოუღებელი დარჩა, ხოლო ჟურნალ-გაზეთობის ღვაწლმა, როგორცა სჩანს, ამაოდ არ ჩაიარა. რუსეთის გაზეთი „Русские ведомости“, რომელიც ჩვენ სხვა გაზეთებზედ უფრო უკეთესი, ჭკუადამჯდარი და გონებადაკვირვებული

გვგონია, გვაცნობებს, რომ თვითონ რუსეთის საზოგადოებამაც თვალი აახილა ხსენებულ საგანზედ და საჭიროდ დაინახა კანონიერის გზით ამ დაქანცვას მოზარდ ყმაწვილებისას ეხლანდელ სკოლებში წამალი რამ დასდოს.

ქალაქს ორიოლში ამ ხანებში საგუბერნიო კრება ყოფილა თავადაზნაურებისა. ამ კრებაზე ბ-ნს ს.ს. ბახტეევს წაუკითხავთ თავისი მოხსენაბა შესახებ იმისა, რომ ჩვენს გიმნაზიებში ჩვენი შვილები იქანცებიან მეტისმეტ ჯაფისაგან, რადგანაც ვერ ასდიან და ღონეს ზედ ალევენ ყრმათათვის აუტანელს მეტისმეტს სწავლასა. ბ-ნს ბახტეევს უთხოვნია კრებისათვის ამ საგანს გულდადებით და ჭკუადასმით ჩაუფიქრდნენ, რადგანაც იგი შეეხება სვე-ბედსა მთელის მომავლის თაობისას. აუწერია რა აწ არსებული წესი სწავლებისა გიმნაზიებში და მისი უვარგისობა, სხვათაშორის, უთქვამს, „იმ დღიდამ 1872წ., რა დღიდამაც გერმანიიდამ მთლად გადმო-ღებულ იქმნა ჩვენს გიმნაზიებში აწ არსებული წესი სწავლებისა, ჩვენი სკოლა გვაძლევს გულჩაცვინულ, ჭლექს კაცებს, ძარღვმოშლილებს, ხერხემალგამრუდებულებს და გონებით ბრწყინვალეს კი არა, არამედ ჭკუითა და გონებით სუსტსა და უღონოსა“.

ბ-ნს ბახტეევს უჩვენებია ამისი დასაბუთებული მიზეზიც. მიზეზად განსაკუთრებით ის დაუსახავს, რომ ბავშვები იქანცებიან გასაკვეთების სწავლებითა და ამ სწავლებით არაქათი უწყდებათ, რადგანაც გასაკვეთები აუარებელია და ბავშვის ღონისა და აგებულებისათვის შეუწონელი და აუტანელიო. ბ-ნს ბახტეევს უჩვენებია რა ყოველივე ეს, სარჩიელი მიუცია კრებისათვის ვსთხოვოთო მის იმპერატორო-ბის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს შესუბუქება სწავლებისა გიმნაზიებში. „მოვახსენოთ ეს ჩვენი გულისტკივილიო, დაუმატებია ბოლოს ბ-ნს ბახტეევს: საკმაოა მარტო მივმართოთ მართლმოყვარე

მონარქსაო და იგი უარს არ გვიბძანებს ჩვენს უუქვეშევრდომესს თხოვნაზეო“.

როცა ბ-ნმა ბახტეევმა დაასრულა თურმე თავისი სიტყვა, კრების დარბაზში გაიხმაურა „ბრავო“-მ და ზედ მოჰყვა ერთიანი გრიალი ტაშისა. კრებას ერთობილად დაუდგენია: „სარჩიელი ს. ს. ბახტეევისა მიღებულ იქმნას და მას, ბახტეევსვე, მიენდოს შეადგინოს პროექტი უუქვეშევრდომესის ადრესისა“.

„Русские ведомости“-ებს ამ საგანზედ მშვენიერი მეთაური ჰქონდა. ამ მეთაურში ამ გაზეთმა, სხვათაშორის, ინატრა, რომ სხვა გუბერნიებიც ესევე მოიქცნენ. დღევანდელ დღეს მოსულმა დეპეშამ კოსტრომიდამ გვაუწყა, რომ ეგევე საგანი იქაურ საგუბერნიო კრებას თავადაზნაურობისას განუკითხავს და დაუდგენია იშუამავლოს მთავრობის წინაშე, რათა შემოკლებულ იქმნას გიმნაზიებში სწავლება ძველის ენებისა. ამ ოთხისა თუ ხუთის წლის წინად იგივე ითხოვა ჩვენებურმა საგუბერნიო კრებამ თავადაზნაურობისამ — როგორც ვხედავთ, დღეს რუსეთშიაც ყურადღება მიუქცევიათ და დაძრულა სურვილი, რომ ამ მხრით ეწამლოს რამ დღევანდელის სკოლის ავკარგიანობას. საგანი მეტად დიდის მნიშვნელობისაა, იმიტომ რომ სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამც თუ სვე-ბედი მარტო მომავალის თაობისა, არამედ სვე-ბედი თვითონ ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალის თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქმნება.

ჩვენ ამ საგანზედ ვრცელი საუბარი გვქონია* და ეხლა მარტო ამ მოკლე შენიშვნასა ვკმარობთ საყოველთაო საცნობლად და გამოსაყენებლად.

[1889 წ.]

---

* იხ. „ივერია“, 1888 წ. №№ 92, 93, და 94.

<ვაზის სნეულებანი>

ტფილისი, 28 დეკემბერი.

ეს ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ვენახებს ნაცარი ეწვია. საცა კი ეს ჭირი მოედებოდა ვაზს, ყველგან თითქმის კაცს ხელს აღებინებდა მოსავალზედ. მართალია, ამ ჭირმა ერთად და ერთ ზომით მოდება არ იცოდა. იყო იმისთანა წელიწადები, როცა ხან ერთი მხარე ჩვენის ქვეყნისა გადურჩებოდა ხოლმე, ხან მეორე და ხანაც ერთსა და იმავე მხარეში ზოგან ძლიერი იყო, ზოგან ნაკლები. ერთს ჩვენის ქვეყნის ნაწილს, სახელდობრ, სამეგრელოს, ისეთი ამბავი დააწია, რომ ვენახების პატრონებმა თითქმის ხელი აიღეს ვენახობაზედ და ვაზით ნაშენი ადგილები გაამინდვრეს. რა თქმა უნდა, ამ ოცდაათის წლის განმავლობაში არავინ არ ააყოლა თვალი ამ დაუნდობელ ჭირს ვაზისას, არავინ არ გამოიძია არც მისი მიზეზი, არც ვითარება.

ნუთუ, მაგალითებრ, თვალყურსადევნებელი არ იყო თუნდ ის ამბავი, რომ, ვსთქვათ, ერთს წელიწადს კახეთი ჰფუჭდებოდა ნაცრისაგან, მეორე წელიწადს ქართლი, ხან ერთსა და მეორეშიაც ჰსუსტდებოდა ნაცარი და ძლიერდებოდა იმერეთში? ან თუნდ ის ამბავი, რომ ერთსა და იმავე ადგილას ზოგი ვენახი სულ გადარჩებოდა ხოლმე და ზოგი კი იჩაგრებოდა და ჰფუჭდებოდა? ყოფილა იმისთანა

მაგალითებიც, რომ ერთსა და იმავე ვენახში ერთს წელიწადს ერთი რომელიმე ჭრა წახდებოდა ხოლმე ნაცრისაგან და მეორე კი საღი იყო, ან კიდევ წინათ გადარჩენილი მეორე წელიწადს ჰფუჭდებოდა. ყოფილა იმისთანა მაგალითებიც, რომ ერთსა და იმავე ვენახში ერთს წელიწადს ერთი რომელიმე ჭრა წახდებოდა ხოლმე ნაცრისაგან და მეორე კი საღი იყო, ან კიდევ წინათ გადარჩენილი მეორე წელიწადს ჰფუჭდებოდა.

უეჭველია, გულმოდგინე თვალი და საღი გონება, რომელსაც ნაცრის მოვლენა ღვთის წყრომისაგან მოვლინებული არა ჰგონია და მიაჩნია მარტო ბუნებურ მიზეზთაგან გაჩენილად, აქ ამისთანა მაგალითებში ბევრს რასმე შეჰნიშნავდა, ბევრს იმისთანას რასმე თვალს მოასწრობდა, ბევრს იმისთანას დაინახავდა, რომელთა კრებულიც შეადგენს მიზეზს აგრე ჭრელ-ჭრელად, შიგადაშიგ და დროგამოშვებით ხან გახშირებას და გაძლიერებას ნაცრისას ერთს რომელსამე მხარეში, ხან დაკლებას და დასუსტებას. ამ შემთხვევაში მართალის მიზეზის პოვნა თითქმის ხიდის პოვნაა თავის დასახსნელი და გადასარჩენი. ეხლა ისე გამოდის, რომ ეს ნაცარი მთელი ოცდაათი წელიწადი ხელიდამ ცხოვრების სახსარსა და ღონეს გვაცლის და ამ ოცდაათ წელიწადს შემდეგ ამ სენის ვითარება იმოდენადვე ვიცით თითქმის, რაც ოცდაათის წლის წინათ ვიცოდით, გამოდის, რომ ამდენმა ხანმა, რომლის განმავლობაში უთვალავი სიმდიდრე და ღონე წაგვერთვა, სულ უქმად და ამაოდ ჩაიარა ჩვენთვის ასე, რომ ერთის იოტის ოდენა ჭკუაც არ გვასწავლა, როგორ მოვუაროთ ჩვენს თავსა და რა წამალი დავსდოთ. საკვირველია! ამოდენა ხალხში ერთი იმისთანა კაცი როგორ არ გამოგვიჩნდა, რომ თავისთავად დაჰკვირვებოდა ამ სენსა და აქაურ ბუნების მიხედვით მისი ვითარება თვითონაც ცოტად თუ ბევრად გაეგო და სხვებისათვისაც გაეგებინებინა!..

ჩვენში არამც თუ გამოჩნდა ვინმე თავისთავად გამომძიებელი, იმისთანაც თითქმის არავინ გამოვიდა, თითო-ოროლას გარდა, რომ სხვისი დანახული ამ შემთხვევაში, სხვის ნაცადი და ნაჭირნახულევი ეცნო, შეეთვისებინა, და ცნობილი და შეთვისებული გამოეყენა თავის სარგოდ და სხვების სამაგალითოდ.

ეს რა არის კიდევ! თავისით თვალის ადევნება, თავისით გამოძიება, ან სხვის გამონაძიების შეთვისება, ცოტად თუ ბევრად გამჭრიახობას ჰთხოულობს, ცოტად თუ ბევრად რთულს გარჯასა და შრომას და ამიტომაც ამ შემთხვევაში სხვისათვის მიუტევებელი უქმად ყოფნა ჩვენს მიძინებულს გონებას და დამბლადაცემულს ხალისს ასე თუ ისე შეეწყნარება, თუმცა ცოდვის დავთარში კი მაინც ცოდვად დაეწერება სხვილის ასოებით.

ვაი ის არის, რომ ურთულ და ადვილად მოსავლელ საქმეშიაც იგივ უღონობა, უთაურობა, უქმად ყოფნა გამოვიჩინეთ. იფიქრეთ: აბა კალია რა არის, იმასაც კი ჭიდილი ვერ შევუბედეთ. ჩვენ ვამბობთ ვენახების კალიის გამო. ამ ოცდაათის წლის განმავლობაში ეს ბატონი კალია არა ერთხელ სწვევია ჩვენს ვენახებსა და გადუკორტნია ვაზის კვირტი. კახეთმა კარგად იცის, ეს პატარა სულიერი რამოდენა წაახდენს, რამოდენა ზარალს იძლევა. ერთმა კაცმაც ხელი არ გაანძრია, თითი არ შეატოკა, რომ ეს პატარა მწერი თავიდამ მოიშოროს. ამაზე ადვილი რა არის? თვალი ადევნე სადა სდებს კვერცხს, ამოიღე და დასწვი. ამით თუ სულ არ გაიჟლიტა, ბევრისბევრად გაწყდება მაინც. რასაკვირველია, ამას ერთისა და ორის კაცის ღონე არ გასწვდება, ამას ერთიანი გარჯა უნდა, მთელის სოფლობის ღონე და ჯაფა. საყოველთაო ჭირია და საყოველთაოდ ჰთხოულობს გამკლავებასა და შეჭიდებას. თქვენგან არ გვიკვირს: სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად

თავის მოყრა და ერთად უღლის წევა! კალიამაც კი გვაჯობა, კალიამაც! ასე იცის წყეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანლობამ, ასე იცის იმ საყოველთაო გრძნობის არ ქონვამ, რომელიც საკრებულო არსებას უნდა ჰქონდეს აზარმაცსავით, რომ ამ წუთისოფლის საპალნე ადვილად ასწიოს და ჰზიდოს.

ყოველ ამ ჭირს, რომელიც თითონ თითქმის ხელში გვეძლევა, — აჰა, მიცანით, გაისარჯენით და თავიდამ მომიშორეთო, რომ ვერა გავუგეთ რა და ამიტომაც ვერა დავაკელით რა, ბევრს სხვა ახლად აჩენილს უარესს ჭირს ვაზისას რაღას დავაკლებთ. ვაზს ამ ბოლოს ხანებში იმდენი სხვა ახალი ჭირი ზედ დაატყდა, რომ კაცს უნებლიედ ჰგონია, ხომ არ მოვიდა აღსასრულის დღე ვაზისაო. ამისთანა დღე ბევრს მცენარეს, ბევრს პირუტყვს დასდგომია და მთელი გვარეულობა სულ მთლად განადგურებულა და ამოწყვეტილა, რადგანაც ბუნებური გარემოება ქვეყნიერებისა ისე შეიცვალა, რომ ამოწყვეტილთა არსებობა შეუძლებელიღა გახდა. მართალია, კაცობრიობა სცდილობს, ყოველ ამ ახალ ჭირს ბუნება შეუტყოს და იმის კვალობაზედ უწამლოს დასნეულებულს ვაზს, მაგრამ აქაც ჩვენ ყურს არ ვიბერტყავთ და ვიძახით: როგორც მოვიდა თავისთავად, ისეც თავისთავად წავაო. ნაცრისა და კალიის გარდა, ობი, მილდიუ, ჟანგი, ფილოქსერა და სხვა ბევრი ჭია-ღუა მიესია ვაზს და ჰლამის ბოლო მოულოს. წარმოუდგენელია, რამსიდიდე უბედურება დაგვატყდება თავს, თუ მართლა ჩვენს ქვეყანაში ამოწყდება ვაზი. მართალია ჯერ ამაზედ, ღვთის მადლით, შორსა ვართ, მაგრამ ჩვენის უთაურობის ამბავი რომ ვიცით, ამ სიშორესაც შევიმოკლებთ. რომ არას დავდევთ და ყველაფერი ღვთის ანაბრობაზედ მიგვიგდია, მაშ რა კეთილი დაგვეყრება?

კიდევ კარგია ზოგიერთი მეცნიერი და სახელგანთქმული სწავლული იმედს იძლევა. მაგალითებრ, არის ერთი მეცნიერი და სწავლული კაცი სახელად მასკარტი. ამ მასკარტს ეხლახან უცნობებია პარიჟის აკადემიისათვის მეტად საყურადღებო ამბავი. მასკარტის სიტყვით, სწავლულს რენუს რამდენისამე წლის განმავლობაში თვალი უდევნებია პარიჟის სითბო-სიცივეებისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ტემპერატურის მეტნაკლებობისათვის და შეუნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში ორთა-შუა ტემპერატურას პარიჟისას დაუკლია, ესე იგი უფრო აციებულა და ორმოც წელიწადის განმავლობაში ძალიან ცივი ზამთრები ხუთ-ხუთ და ექვს-ექვს წლობით ერთმანეთს ზედ მოჰყოლია. ამ სითბოს დაკლებას და სიცივის მომატებას დიდი ზედმოქმედება ჰქონია პირუტყვსა და მცენარეობაზე. ამ გარემოებას აბრალებენ თვით ვაზის ჭირთა მოვლენასაც და გახშირებას, რადგანაც ბევრმა სენმა ვაზისამ თავი იჩინა 1879 წლიდამ და თანდათან ძლიერდება და ჰმატულობს მას აქეთ. ხოლო მასკარტი იმ ნუგეშს იძლევა, რომ მომავალ წლიდამ მთელის ათის წლის განმავლობაში ისევ თბილი წელიწადები მოჰყვება ზედიზედა განუწყვეტლივ, ასე რომ სითბოს მეტნაკლებობაში ბევრი თაბაუთი არ იქნებაო.

თუ მართლა ვაზის ჭირი აცივების ბრალია და თუ მასკარტის სიტყვა გამართლდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ვაზიც გამომჯობინდება და უწინდელს მოსავლის ძლევას თუ არ დაიწყებს, ეხლანდელს ზარალს ხომ მაინც ცოტად თუ ბევრად აგვაცილებს. ესეც კარგი ნუგეშია, რაკი ჩვენს ბედსა და უთაურობას ისე განუგია, რომ ჩვენ თვითონ თითიც არ უნდა გავანძრიოთ და ყველაფერი ცის ანაბარად უნდა დავანარჩუნოთ. ესეც კია: იქნება ყოველივე ეს გამართლდეს საფრანგეთისათვის და ჩვენთვის კი არა, რადგანაც ბუნება ჩვენის ქვეყნისა სხვაა და

საფრანგეთისა სხვა. იქ შეიძლება ერთი მიზეზი იყოს და აქ მეორე. ჩვენებურ მიზეზის გამოძიებისათვის ხომ თავს არავინ შეიტკიებს, მაშ ვუცადოთ, ჩვენი ბრმა ბედი რას მოგვიტანს საკულავოდ.

[1889 წ.]

<საახალწლო მილოცვები>

ტფილისი, 29 დეკემბერი.

ევროპაში, როგორც მოეხსენება მკითხველს, ახლი წელიწადი თორმეტის დღის წინად მოდის, ვიდრე ჩვენში. ჩვეულებად მიღებულია დიპლომატთაგან, რომ ამ დღეს მისალოცავად მივლენ ხოლმე გვირგვინოსნებთან და სახელმწიფოს უფროს გამგებელთან, ვსთქვათ, რესპუბლიკის პრეზიდენტთან, საცა რესპუბლიკაა. ამასვე სჩადიან სახელმწიფოს საქმის უფროსნი კაცნი, მინისტრები და სხვა ხარისხოვანები. ამასთანავე ჩვეულებადვეა მიღებული მიმლოცველთა შესაფერი სიტყვა მოახსენონ მილოცვილსა, რომელმაც თავისის მხრით პასუხი უნდა უთხრას. ძნელად გადურჩებიან ხოლმე, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკას არ შეეხოს ან ერთი, ან მეორე მხარე, ამიტომაც ევროპიელნი დიდის ნდომით ყურს ადევნებენ, აცა, სად ვინ რას იტყვისო და რა ფერს დასდებს დღევანდელის დღის მდგომარეობასაო.

იტალიის მეფეს ჰუმბერტს ამ მილოცვის ჟამს უთქვამს, რომ მე დიდად მოხარული ვარ, რომ დღევანდელი მდგომარეობა პოლიტიკისა საბუთს მაძლევს ნუგეშის თვალით შევხედო ახალის წელის მოსვლასაო. ამ ახალის წელის ნიშნები უფრო საიმედონი არიან მშვიდობიანობისათვისა, ვიდრე წინა წლები იყვნენო. ამ სახით მეფე ჰუმბერტის სიტყვა

იმედს იძლევა, რომ 1890 წელიწადი კარგს ვარსკვლავზე დაიბადა და ამიტომაც შიში არეულობისა და ომისა ჯერხანად მაინც უსაფუძვლოა.

უფრო გულმხურვალე მილოცვა და სიტყვა-პასუხი გამოცხადდა, როცა საფრანგეთის პრეზიდენტმა კარნომ მიიღო მისალოცავად დიპლომატები, ესე იგი, ელჩები, სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენელნი. ჩვეულებად მიღებულია, რომ ამ შემთხვევაში პაპის წარმომადგენელს, რომელსაც ნუნციობით იხსენიებენ და არა ელჩობით, სხვა დიპლომატები მიანდობენ ხოლმე ყველას მაგიერ მისალოცველი სიტყვა წარმოსთქვას. პაპის ნუნციმ, წარადგინა რა დიპლომატები პრეზიდენტის წინაშე, სთქვა:

ჩვენ ვისწრაფით ჩვენის ხელმწიფეების და გამგებელთა სახელით გამოგიცხადოთ ღრმა გრძნობა პატივისცემისა თქვენდა მომართ. ჩვენის მხრითაც ვისურვებთ ბედნიერებას თქვენთვის და კეთილდღეობას საფრანგეთის ერისათვის. ჩვენ გულით ვნატრულობთ, რომ ღვთის განგებამ უწინდელებრ დაიფაროს და დაიცვას თქვენი პატიოსანი და კეთილშობილი მამული, რათა საფრანგეთის ერმა, თვის დაუსრულებელ გენიოსობით, ჩაუმატოს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას ახალი ფურცელნი ამ ახლად დაწყებულს წელიწადშიაც.

პრეზიდენტმა კარნომ უპასუხა: მადლობელი ვარ თქვენი თქვენის გრძნობის გამოთქმისათვის იმისთანა სიტყვით, რომელიც ღრმად ჩასარჩენია გულში. მადლობელი ვარ, რომ გსურთ დიდება საფრანგეთის ერისა, კეთილდღეობა რესპუბლიკისა და მისის პრეზიდენტისა. მე მით უფრო ვარ ბედნიერი, რომ შემდეგ წარსულის წლისა, რომელმაც დაგნავახვა ერთად თავმოყრილად ამოდენა სასწაულნი, მე მესმის დღეს ხმა პატივისცემისა საფრანგეთის

მშვიდობისმოყვარე გენიოსობის მიმართ. ამ დაწყებულ წელს ჩვენ განვაგრძობთ შეერთებულის ღონით დიდს საქმეს მშვიდობიანობისას და პროგრესისას და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეს ჩვენ შევასრულებთ თქვენის განათლებულის შემწეობით და ნებითა იმ სახელმწიფოთა და ერთა, რომელთაც ჰყავთ თქვენისთანა ღირსეულნი წარმომადგენელნი.

იმპერატორს ვილჰელმს თითქმის არა უთქვამს რა იმისთანა შესანიშნავი, როცა საახალწლოდ მისალოცავად წარუდგნენ. ხოლო ყურადღება მიიქცია მისმა დეპეშამ, თ. ბისმარკთან მისალოცავად გაგზავნილმა. ამ დეპეშაში იმპერატორი ვილჰელმი, სხვათაშორის, სახელად და საქებარად უთვლის თავის ერთგულს კანცლერს, რომ შენის მეოხებით დაცულ იქმნა ევროპაში მშვიდობიანობაო. სჩანს, ამ ფხიზელსა და ყოველთვის მოძრავს იმპერატორსაც სურვილი აქვს, რომ ევროპას არა შეემთხვას რა, რასაც ეგრე ერიდებიან ყველანი, თუ გულით არა, სიტყვით მაინც.

ჯერ გაზეთებმა მარტო ამ სამის სახელმწიფოს გულისნადები გვაცნობეს. უნდა, ჯერხანად მაინც დავიჯეროთ, რომ რაცა სთქვეს იმპერატორმა ვილჰელმა, მეფემ ჰუმბერტმა და პრეზიდენტმა კარნომ, გულით ნათქვამია. მაგრამ საკვირველი კია: თუ არსაიდამ შიში არ არის, რა საბუთი და მიზეზია ასე ხშირად ხსენება მშვიდობიანობისა, ასე ხშირად გადაფიცვა შიშისა. ეს ამბავი იმით თუ აიხსნება, რომ ფაფისაგან შეშინებული დოს უბერავდაო.

[1889 წ.]

<ევროპის პოლიტიკა ახალი წლისთ-ვის>

ტფილისი, 4 იანვარი

ახალმა წელიწადმა ერთი საყურადღებო ამბავი მოგვიტანა შესახებ ევროპის პოლიტიკისა და ამ ამბავმა მთელის ჟურნალ-გაზეთობის თვალი მიიზიდა. დიდი ხანია, რაც საფრანგეთისა და გერმანიის გაზეთები ერთმანეთს ცოტა არ იყოს მკვახედ ელაპარაკებოდნენ.ეს საკვირველიც არ იყო, რადგანაც მიღებულია, ვითომ ჟურნალ-გაზეთობა და ერთობ ლიტერატურა რომელისამე ერისა თვითონ ერის გულისნადების გამომეტყველიაო. თუ ეს მართალია, საფრანგეთის ერსა და გერმანიისას, ერთმანეთზედ ალურსულს ელზას-ლორენის გამო, ტკბილი სიტყვა ერთმანეთისათვის სათქმელად ცოტა არ იყოს უნდა დაჰზარებოდათ, დღესაქამომდე სწორედ ესეც იყო. არც ერთი მხარე შემთხვევას არა ჰკარგავდა მეორისათვის ეკბინა და ცოტა რამ მაინც საწყენოდ ეთქვა. ერთის სიტყვით, ამათი სიტყვა-პასუხი ჰგვანდა სიტყვა-პასუხს ერთმანეთზედ მომდურავისას და ერთმანეთისაგან გულნატკენისას. დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ, თუ გაზეთების სიტყვა დავიჯერეთ.

ეხლა გერმანიის ზოგიერთი გაზეთები და საფრანგეთისა ერთმანეთს ტკბილსა და სასიამოვნო სიტყვას ეუბნებიან. გერმანიის გაზეთებიო, ამბობს

ერთი რუსული გაზეთი: ამ უკანასკნელ ხანებში სიყვარულითა და ქებით იხსენიებენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს კარნოს, იმის დღევანდელს სამინისტროს, და აცხადებენ, რომ საფრანგეთში დღედადღე ჰმატულობს და ძლიერდება მშვოდობისმოყვარეობა და სურვილიო. გერმანიის გაზეთი „National Zeitung”-ი ამბობს, რომ იმპერატორი ვილჰელმი დიდს პატივისცემას ჰგრძნობს პრეზიდენტის კარნოს მიმართაო და იგი გაზეთი თითქო სწუხს, რომ იმპერატორმა და კარნომ ერთმანეთი არ ინახულეს და ერთმანეთს დარბაზობა არ გაუწიესო. ხსენებული გაზეთი ირწმუნება, რომ პრეზიდენტი კარნო გერმანიაში დიდის სიხარულით და სიყვარულით მიღებულ იქმნებაო. სწუხს იგი გაზეთი, რომ როცა იმპერატორი წარსულს წელს ელზას-ლორენში იყო, ესე იგი, საფრანგეთის მიჯნის ახლო, პარიჟში არ გაახსენდათ, რომ მეზობელ ერის მფლობელს მიაგებონ მთავრობის წარმომადგენელიო. საფრანგეთის გაზეთს ეს ნათქვამი გერმანიის გაზეთისა გადაუბეჭდია საყოველთაო საცნობლად. მერე ხომ ხმაც დავარდა, რომ ამ ახალ წელს კარნო და ვილჰელმი ერთმანეთს ინახულებენ ბრიუსელში, როცა ბელგიის მეფეს ლეოპოლდს რაღაც დღესასწაულის გამო ეწვევიანო ერთიცა და მეორეც.

ესეთი მოტკბილება გერმანიის გაზეთებისა დროთა ნიშანია. სჩანს, თავ. ბისმარკს აღმოსავლეთისაკენ ალჩუ არ უჯდება, თორემ დასავლეთისაკენ ასე ტკბილის თვალით არ მიიხედავდა და არც თავის მორჩილს გაზეთებს მიახედებდა. მაგრამ აქაც, ამ აღმოსავლეთისაკენ, თ. ბისმარკი თავისას არ იშლის. აქაც რაღასაც ჰცოდვილობს იმისთანას, რომ რუსეთსაც გული მოუგოს და ასიამოვნოს. ჩვენს მკითხველებს ცოტად თუ ბევრად უწყებული აქვთ, რომ ავსტრი-ვენგრიამ ამ ბოლოს დროს ძალიან განზე გაიდგა ფეხი ბოლგარიაში. ეს, რასაკვირველია, თ. ბისმარკის დაუკითხავად და ნებადაურთველად არ

მოხდებოდა. ასეთი გაძლიერება ავსტრიისა ბოლგარიაში არ მოსწონდა, არც მოიწონებს რუსეთი და რადგანაც რუსეთმა კარგად იცოდა, რომ უბისმარკოდ მაგას ავსტრია საკუთარის თაოსნობით ვერ გაბედავდა, ამიტომაც იგი ბისმარკსა და გერმანიის პოლიტიკას უფრო ემდურება, ვიდრე ავსტრიასა, რომელიც ბოლოს იქამდე მივიდა, რომ თითქმის აღიარა კანონიერობა ფერდინანდ კობურგელისა და ეხლანდელ მართველობისა ბოლგარიაში.

რა თქმა უნდა, ეს ავსტრიამ პირდაპირ არ გამოსთქვა, ხოლო იმისთანა საქმეები ჩაიდინა, რომელიც ამ აღიარებას მოასწავებს. მაგალითებრ, ხელი მოუმართა ბოლგარიას სესხად ფული აეღო და გირაოდ მიეცა რკინისგზები, იმისთანებიც კი, რომელიც აღმოსავლეთ რუმელიაშია, ესე იგი, იმ ადგილებში, რომელიც, თუმცა ბოლგარელთაგან არის დასახლებული, მაგრამ ჯერ კიდევ ოსმალოს მფლობელობაშია, თუ საქმით არა, სახელით მაინც. ეხლა ამბობენ, რომ გერმანიამ თავისი ძლიერება იხმარაო და ოსმალეთს ჩააგონა, ხმა ამოიღე, შენს უფლებას უპატრონე და აუწყე ბოლგარეთს, რომ უკანონობას სჩადიან და ბერლინის ხელშეკრულობას არღვევენო. სულთანს ვითომც ამ აზრის ცირკულიარი მოემზადებინოს ბოლგარიაში გასაგზავნად და სხვათა დიდთა სახელმწიფოთა საუწყებლად. ამ სახით ოსმალეთმა, რომელიც აქამომდე ერიდებოდა ბოლგარიის საქმეში ჩარევას, ხმა ამოიღო და გაჰბედა ჩარევა. ამბობენ, შაქირ ფაშასაც კი ჰგზავნისო ფადიშაჰი, რომ ამ უკანონო ქცევას ბოლგარიისას ბოლო მოუღოს როგორმეო. ეს კიდევ არაფერი: გაზეთები გვაუწყებენ, რომ ინგლისი და იტალიაც მხარს აძლევენ ამაში ოსმალეთსაო და, რასაკვირველია, რუსეთი უფრო მხარს მისცემს. ამ სახით გამოდის, რომ ავსტრი-ვენგრია ბოლგარეთის საქმეში სულ მარტოდმარტო დარჩა გარიყული.

ეს რა ახალი ქსელია გაბმული, ეს რა ახალი მახეა დაგებული და ვისთვის, — ძნელად გამოსაცნობია? ნუთუ მართლა თ. ბისმარკი იმეტებს ავსტრი-ვენგრიას? ყოვლად დაუჯერებელია. ნუთუ მართლა საფრანგეთთან შერიგება მოუწადინებია გერმანიას? ეს ხომ ძნელი საფიქრებელია ელზას-ლორენის დაუბრუნებლად, ან იმ დონეზედ დაუყენებლად, რომ ელზას-ლორენი ხელუხლებ და დამოუკიდებელ ქვეყნად დარჩეს საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ან ერთი, ან მეორე, ჩვენის ფიქრით, ადრე თუ გვიან მოსახდენია, მაგრამ არც ეგრე ჩქარა, როგორც დღევანდელი დღე გვანიშნებს. რასაკვირველია, თუ გერმანიას ძალიან გაუჭირდა აღმოსავლეთიდამ, მეტი რა გზაა, ელზას-ლორენი ამ თუ იმ სახით უნდა დასთმოს საფრანგეთის გულის მოსაგებად. უამისოდ ორმხრივ ლახტის ქნევა, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს გერმანიას, ისე ძვირად, რომ საფიქრებელია, ამოდენა ღვაწლითა და სისხლით მოპოვებული დიდება ერთს მშვენიერს დღეს მტვრად ექცეს და აიგავოს. საქმე იმაშია, რომ ამ გაჭირებამდე ჯერ დიდი მანძილია და ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის.

რუსეთისათვის სასიამოვნო ამბავია, რომ ავსტრი-ვენგრია როგორღაც მარტოკა ჰრჩება ბალკანეთის საქმეში. ძნელად დასაჯერებელი კია, რომ თ. ბისმარკმა ამ შემთხვევაში ავსტრი-ვენგრია გასწიროს. ვინ იცის? იქნება აქაც გერმანია ოსტატობს. იქნება მის შორეულ სურვილს ეს ასეთი ქცევა გერმანიისა ხიდად გამოადგეს, გზად და ხერხად. საკვირველი ეს არის, რომ ავსტრი-ვენგრიას ვითომ ემდურიან, რადა მოქმედობ იმისთანა საქმეს, რომელიც მოასწავებს კანონიერად ცნობას ფერდინანდ კობურგელისას და მის ეხლანდელ მთავრობისასაო და ამასთანავე ინგლისს კი ხელს უმართავენ და მოუმართეს კიდეც სავაჭრო ხელშეკრულობით შეჰკროდა ბოლგარიას და იმის უკანონო მთავრობას. თუ ფერდინანდ

კობურგელი და სტამბულოვის სამინისტრო, ესე იგი, ერთობ ეხლანდელი მთავრობა ბოლგარიის უკანონოა, მაშ ინგლისი სავაჭრო ხელშეკრულობით რაღად ეკვრის? თუ ეკვრის, სჩანს, ინგლისი ისე უყურებს ფერდინანდ კობურგელს და სტამბულოვის სამინისტროს, როგორც კანონიერ გამგებელთ ერისას. თუ ეს დანაშაული არ არის ინგლისის მხრით, ავსტრიის მხრით დანაშაული რად უნდა იყოს მერე სწორედ მაგისთანავე ქცევა? ან იქნება ინგლისის ფეხის გადგმა ბოლგარიაში თ. ბისმარკისათვის უფრო საიმედო და ხელსაყრელი იყოს. ეს ყველაზედ უფრო ჭკუაზედ ახლოა.

ასეა, თუ ისე, ყოველივე ეს გვანიშნებს, რომ ევროპის პოლიტიკას სხვამ რაღაც ახალმა ქარმა დაჰკრა და, ცოტა არ იყოს, ფერი უცვალა.

[1890 წ.]



<გერმანიის ინტერესი ბულგარეთისადმი>

ტფილისი, 8 იანვარი

ბოლგარიამ ხელახლად ააყაყანა ევროპის დიპლომატია. რა თქმა უნდა, ბოლგარია თავისით ვერ გაჰბედავდა მიზეზი რამ მიეცა ევროპისათვის დიპლომატიურ მითქმა-მოთქმისა და მიწერ-მოწერისათვის. აშკარაა, აქ სხვა ვინმეა ჩარეული და ეს სხვა იმდენად ძლიერი და გავლენიანი უნდა იყოს, რომ იმის იმედით ბოლგარიას საქმე ცოტად თუ ბევრად ქვეყნის სალაპარაკოდ გაეხადნა. რა მოახდინა ბოლგარიამ იმისთანა, რომ საქმე ასე თუ ისე აშალა და სახელმწიფონი ერთმანეთს დაატაკა, თუ არ ხმლითა, სადიპლომატო კალმების მისმა-მოსმითა მაინცა?

ბოლგარიამ ფული ისესხა და გირაოდ მისცა რკინისგზები. ამაებში ბოლგარია ვითომ შეკრული იყო ბერლინის ტრაქტატითა და ზოგიერთ სახელმწიფოთა დაუკითხავად ეს არ უნდა ექმნა. ეს ამისთანა სახელმწიფონი რუსეთი და ოსმალეთია. ბოლგარიას განთავისუფლების გამო რუსეთის ვალი დაედო კარგა ბლომად და ამიტომაც რუსეთი გულგრილად ვერ დაუწყებდა ყურებას ბოლგარიის მიერ ახალის ვალის აღებას, როცა ჯერ ძველიც მოუშორებელი რჩებოდა. ოსმალეთი კიდევ თუ საქმით

არა, სახელით მაინც, ბერლინის ხელშეკრულობის ძალით მაინც ითვლება ბოლგარიის პატრონად. პატრონის დაუკითხავად ვალის აღება და გირაოდ რაიმე ქონების მიცემა ხომ უკანონობაა და სამართლიანობის დარღვევა. ამ მხრით ბოლგარიის მიერ ფულის სესხობა ასე თუ ისე ოსმალეთისათვისაც საწყენი უნდა ყოფილიყო. აი მიზეზი ევროპის აყაყანებისა ბოლგარიისაგან, რომელმაც ყოველ ამის მიუხედავად ვალი აიღო და ამაში არავის დაეკითხა.

ამ ფულის შოვნაში და სესხად აღებაში დიდი შემწეობა აღმოუჩინა ბოლგარიას ავსტრი-ვენგრიამ. არც გერმანია ჩამორჩენია ამაში ავსტრიას, გერმანიამაც ამაში მიიღო მონაწილეობა ბოლგარიის სასარგებლოდ მით, რომ გერმანიის მთავრობამ ურჩია გერმანიის ფულიან ხალხს, რომ კარგს იზამთ, თუ ბოლგარიის სასესხებლად თქვენც თქვენს ფულს გაიმეტებთო. ამავე დროს თ. ბისმარკი ვითომდა სამდურავის თვალით უყურებდა ბოლგარიას ვალის აღების საქმეში, ვითომდა აქ მე არაფერს შუაში ვარო. ამ სახით გამოვიდა, რომ თ. ბისმარკი თავის ჩვეულებისამებრ აქაც ისარს ისვრის და მშვილდს კი ჰმალავს.

ეს ყოველივე მარტო გარეგანი სახეა ბოლგარიის საქმისა. შიგნით კი სულ სხვაა. გული ამ საქმისა სულ სხვას გვეუბნება და აქ ფული და ვალის აღება მარტო ხელზედ დასახვევი საგანია, რომელიც საბუთს აძლევს ერთსა თუ მეორე სახელმწიფოს ხმა ამოიღოს. ასე თუ ისე ჯიბის ინტერესი აქ ისე არ ალაპარაკებს დიპლომატიას, როგორც შინაგანი ვითარება საქმისა. საქმე ის არის, რომ ბოლგარიას დიდი ხანია სწყურიან გამოაცხადოს თავისი თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამაში ზოგიერთი სახელმწიფონი ხელს უწყობენ და არც უიმისობაა, რომ არ აქეზებდნენ კიდეც. აწინდელი პოლიტიკური მდგომარეობა ნებას არ იძლევა, რომ ბოლგარიამ ეს

პირდაპირ გამოაცხადოს. ამის გამოცხადებას ერიდებიან იმის შიშით, რომ ვაი თუ ამისთანა მოქმედებამ ომი ასტეხოსო და ომისათვის ჯერ არავინ მზად არ არის, ან მზად არის ვინმე და დრო სახეირო არ არის. რის პირდაპირ გამოცხადებაც არ შეიძლება, ის მიხვევ-მოხვევით შესაძლოა. ამისი ხერხი დიპლომატებმა ბევრი იციან. ერთი ამისთანა ხერხიც ეგ ბოლგარიის მიერ ვალის აღებაა სხვების დაუკითხავად.

რაკი ბოლგარიამ თავისით, სხვის დაუკითხავად ვალი აიღო, რაკი ბოლგარიას ენდვნენ და ფული ასესხეს, რაკი ამაში შეეწივნენ ავსტრია და გერმანია, სჩანს, ხმაამოუღებლივ ბოლგარიის დამოუკიდებლობა ცოტად თუ ბევრად აღიარებული, ცოტად თუ ბევრად კანონიერად ცნობილია, თუ ყველასაგან არა, ავსტრიისა და გერმანიისაგან მაინცა. აი შინაგანი მიზეზი იმ საქმისა, რომელიც თუმცა გარეგანის სახით თითქმის ჩალადაც არა ჰღირს, მაგრამ დღეს ააყაყანა კი ქვეყანა. გარდა ამისა, ამ ბოლგარიის სესხის გამო რომ გერმანიამ თავისი მკვიდრნი მიიწვია ბოლგარიის სასარგებლოდ, ესეც უმნიშვნელო საქმე არ არის თავისთავადაც. თ. ბისმარკმა კარგად იცის, რას მოქმედობს ამითი და სადა სცემს ის ამბავი, რომ გერმანელთა ფული დაბანდებული იქნება ბოლგარიაში. ეს გარემოება საბუთს მისცემს თ. ბისმარკს პირდაპირ ჩაერიოს ხოლმე ბოლგარიის საქმეში, რადგანაც ხელზედ იმას დაიხვევს, რომ გერმანიის მკვიდრთა ფული იქ არის დაბანდებული და გერმანიის მთავრობა მოვალეა თავის მკვიდრთა ინტერესებს უპატრონოს და საცა საჭიროა, შემწეობა და სარჩლი გაუწიოსო. აქამომდე თ. ბისმარკი იძახოდა, რომ გერმანიას ბოლგარიაში იმოდენა ინტერესიც არ აქვს, რომ იმისათვის ერთი „სალდათი“ მაინც გასწიროსო. სჩანს, ეხლა ამ თქმულის გასწორება მოუწადინებია, რომ საჭიროდ დაუნახავს გერმანიის მკვიდრთა ფული დააბანდოს

ბოლგარიაში და ამით საბუთი მიეცეს სთქვას, რომ გერმანიას დიდი ინტერესი აქვს ბოლგარიაში, რადგანაც ბევრს გერმანელს გაბმული აქვს ფული ბოლგარიის სესხშიო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, საფიქრებელია იმ სახელმწიფოთათვის, რომელნიც დღესაქამომდე ბოლგარიის თავისით მოქმედებას არ ჰყაბულობენ და რომელთაც სრულებით არა ჰსურთ, რომ იქ იმისთანა ძლიერი მეტოქე იყოლიონ, სხვათა შორის, როგორც გერმანიაა.

[1890 წ.]

<სასწავლო პროგრამების შეცვლის აუ-ცილებლობა რუსეთში>

ტფილისი, 10 იანვარი

ამ ბოლოს ხანებში ძალიან გახშირდა რუსეთში ლაპარაკი პროგრამების შეცვლის გამო გიმნაზიებში. ეს ლაპარაკი გამოიწვია სიმძიმემ და სიძნელემ მოსწავლეთათვის ეხლანდელ პროგრამისამ, რომელიც ხორცითა და სულით ჰღლის და ჰქანცავს მოზარდს თაობასა. ამ ბოლოს დროს ამ შეცვლის თაობაზე რამდენიმე წერილი იყო დაბეჭდილი „Новое время“-ში და ეს წერილები ბევრში ძალიან მოსაწონნი არიან. ეტყობა მათს ავტორს, რომ საკმაოდ კარგად ჩაჰკვირვებია საქმეს, საკმაოდ დაუსაბუთებია თავისი აზრი და საგანი ბევრში საკმაოდ ნათლად გამოურკვევია. ჩვენ ამ წერილების გამოძიებაში არ შევალთ და ვისაც გული სტკივა იმ საქმისათვის, რომელიც ამ წერილებს საგნადა აქვთ, ვურჩევთ თვით წაიკითხოს იგი წერილები.

ჩვენს ყურადღებას მივაქცევთ მარტო ბოლონდელს წერილს /„Новое время“ №4/, საცა ჩვენის ფიქრით, თუ ახალი მხარე არა, დავიწყებული მხარე მაინც ამ საგნისა თვალწინ დაუყენებია ავტორსა. ყველამ იცის, რომ წუნი ეხლანდელის პროგრამისა ის არის, რომ მეტისმეტი სწავლებაა ძველ ენებისა ლათინურისა და ბერძნულისა. ავტორი ამბობს, რომ რუსეთის

საჭიროების თვალით რომ შევხედოთ ამ ლათინურისა და ბერძნულის სწავლებას ჩვენს გიმნაზიებში, ცხადად დავინახავთ იმ ჩვენს დიდს შეცდომას, რომელიც ძალიანა ჰვნებს ჩვენს მოზარდს და მოსწავლე თაობასა და რომელსაც, ამისდა მიუხედავად, დღევანდელ გიმნაზიებში სახელი და ესტიბარი სიკეთისა აქვსო.

საქმე ის არის, ავტორის აზრით, რომ გაძლიერებული და გადაჭარბებული სწავლება ლათინურისა და ბერძნულისა შემოღებულია ჩვენში მიბაძვითაო. აქაოდა გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის გიმნაზიებში ასეთი პატივი აქვთ ამ ენებს, ჩვენც ავიღეთ და საქმის გაუსინჯავად და გამოუწვლელად ჩვენს გიმნაზიებსაც კისერზედ მოვახვიეთ ეს ენები და საბუთად ეს დავიხვიეთ ხელზე, რომ ასეა განათლებულს ქვეყნებშიო. ის კი დაგვავიწყდაო, რომ გერმანულს, ფრანგულსა და ინგლისურს ენებს დიდი კავშირი და მახლობლობა აქვთ ბერძნულ და ნამეტნავად ლათინურ ენასთან. ერთიც, მეორეც და მესამეც განვითარებულნი არიან ამ ძველ ენების ზედმოქმედების ქვეშაო. დღესაც ბევრს მათგანს აუარებელი წიგნები აქვს დაწერილი ლათინურ ენითა და სამღვთო წერილი და წირვა-ლოცვაც ამ ენის შემწეობითა აქვთ ბევრს მათგანსაო. ცხადია, იმათთვის მაგ ენების ცოდნა აუცილებელი საჭიროებაა, როგორც რუსეთისათვის სლავიანური ენა. ჩვენთვის კი, რუსებისათვისაო, ამ მხრით ლათინური და ბერძნული არაფერს ხელჩასაკიდებელს ღირსებას არ წარმოადგენსო. ამ ენების არსებობა ჩვენს გიმნაზიებში სამეცნიერო სახსრად თუა გამოსადეგი, სამერმისოდ მოსწავლეთათვის. თუ ესეა, მაშასადამე, სწავლა და ცოდნა მაგ ენებისა თვით მოსწავლეთა ნებაყოფლობასა და სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებულიო, რადგანაც ყველა მოსწავლეს არა აქვს აზრად და არც ყველასა აქვს შეძლება უმაღლესს სწავლასა და მეცნიერებას ხელი

გაუწვდინოსო. ბევრი მოსწავლე გიმნაზიის კურსსა სჯერდება, ან იმისთანა სასწავლებლებში გადადის, საცა რაიმე განსაკუთრებულსა და ცხოვრებაში პირდაპირ გამოსაყენებელს ხელობას თუ საქმეს ასწავლიანო.

თუ ასე მეტია საყოველთავო სწავლება ძველ ენებისა რუსეთის მოსწავლეთათვის, რაღა უნდა ვსთქვათ ჩვენებურ ყმაწვილების გამო?

ავტორი ზემოხსენებულ წერილისა ჰკვირობს თითქმის იმ გარემოებას, რომ ამ ენებისათვის ჰქანცვენ ყმაწვილებს სემინარიებშიაც. ვსთქვათ, გიმნაზიებში არის გადაჭარბებული სწავლება ამ ენებისა, სემინარიებში რაღა ხელსაყრელია, რაღა საჭიროაო. სემინარიამ უნდა გვიმზადოს მღვდლები, მწურთვნელი და დამრიგებლნი მამანი ჩვენის სოფლელის ერისაო და განა მთელ მის ხანგრძლივ ცხოვრებაში მიეცემა შემთხვევა ან ერთი სიტყვა ლათინურისა და ბერძნულისა გამოიყენოს და ახსენოსო. იმის მაგიერ, რომ ჩვენებურს სამღვდელო ყმაწვილებს ასწავლონ სოფლის მეურნეობა, ცოტაოდენი მკურნალობა და სხვა იმისთან რამ, რაც პირდაპირ გამოსაყენებელი**ა** ცხოვრების საჭიროებისათვის, აუღიათ და აზეპირებენ ბერძნულსა და ლათინურს გრამმატიკასაო. უფრო სასარგებლო საგანის სწავლება გამოდევნილია სემინარიიდამ და ეს ყოვლად გამოუსადეგი მღვდელისათვის ძველი ენები კი ტყუილუბრალოდ ბარგად აქვთ აკიდებული სემინარიელების ჭკუასა და გონებასაო. რასა ჰგავს ესაო? მართლადა რასა ჰგავს ესა, ვიკითხავთ ჩვენც და დავდუმდებით.

[1890 წ.]

<ევროპის ხარბი ხელი საყოველთაო საქმეებში>

ტფილისი, 13 იანვარი

ყოველი სახელმწიფო ევროპისა საყოველთაო საქმეში ხარბს ხელს ურევს. აცა, იქნება მომხედოს ღმერთმა და ფათერაკად რაიმე გამოსარჩენი მეც მარგუნოსო. თავი და ბოლო ამისთანა მდგომარეობისა ის იდუმალი სიხარბეა, რომელიც საქმეთა ასარევად ხელს ამოქმედებს. რასაკვირველია, ეს მარტო დიდს სახელმწიფოებზე ითქმის. საწყალი პატარა სახელმწიფონი კი მარტო იმის შიშსა და ფიქრში არიან, ერთმა რომელმამე სვავმა პირი არ დააღოს და არ გადაგვყლაპოსო, მერე ისე, რომ ყლაპი ჰქმნას და ყლუპი კი ჩვენ დაგვაწეროს ვალადაო. ამასთანავე არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელსაც სურვილი გამორჩენისა და მადა სხვის საჭმისა გულთ არ ედოს და მაინც არ იძახოდეს, თავდადებული ვარ მშვიდობიანობისათვისაო და თუ აქეთ-იქით ვაფათურებ ხელებს, მარტო იმისათვის, რომ ევროპა ომის განსაცდელს მოვაშოროვო.

ერთადერთი სახსარი ამ კეთილის სურვილის აღსასრულებლად ეხლანდელს საპოლიტიკო საქმეთა კაცებს ისა აქვს ყოველ სახელმწიფოში, რომ რაც შეიძლება ბლომა ჯარი იყოლიონ და ხელთ მისცენ კაი თოფი და გალესილი ხმალი. ამასაც არა

სჯერდებიან. ეს კიდევ ომს არ აგვაცილებსო, ამბობენ. ჩვენი საკუთარი ძლიერება არაფერია, თუ სხვანი ან სულ ერთად, ან უფროს-ერთი ერთად შეიკვრიან და ჩვენ მოგვესევიანო. ამიტომაც თითოეული სახელმწიფო ჰცდილობს რაც შეიძლება ბევრი მომხრე იშოვოს დაპირებითა თუ მოტყუებით. ეს ათი თუ მეტი წელიწადია, რაც ევროპის საპოლიტიკო მანქანა და სადიპლომატო ხერხები სულ ამ მომხრეობაზე ჰტრიალებს და არ იქნა ვერც ერთმა მხარემ სურვილი ვერ მოიკლა, სურვილი ვერ დაიკმაყოფილა. სჩანს, ერთმანეთში გასვლა-გამოსვლას, ერთმანეთში ტკბილის სირყვების გაგორ-გამოგორებას მაგდენი საიმედო რამ არა მიუციარა არავისთვის. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ამ ათის წლის განმავლობაში სახელმწიფოები არა ერთხელ გავიდ-გამოვიდნენ ერთმანეთში, არა ერთხელ დამეგობრდნენ, არა ერთხელ მოუტკბილდნენ, არა ერთხელ აუპილპილდნენ და გაიყარნენ, მაგრამ მაინც არც ერთს მხარეს არ მიეცა გულდასაჯერი საბუთი, რომ ამ მტერ-მოყვრობაში მართალი რამ მიეგნო.

დღესაც ამ ყოფაშია ევროპის პოლიტიკა. დღესაც ყველანი მომხრეების ძებნაში აღამებენ დღეს და ათენებენ ღამეს. აშკარა კია, რომ სადღეხვალიოდ რაღაც დიდი რამ მზადდება. აშკარაა, ადრე თუ გვიან, რაღაც საშინელი რამ დაიქუხებს, დაიჭექებს და მთელი ევროპა ერთმანეთს ეცემა. ამას ყველა ჰგრძნობს, ყველა მოელოდინება. ამიტომაც იმათ, ვინც ასე ხშირად მშვიდობიანობის მცველობას საქვეყნოდ ჰღაღადებენ და ამ მშვიდობიანობისათვის თავდადებას სჩემობენ, თვალწინ ის საშინელი განკითხვის დღე უდგათ და ჰცდილობენ იმ დღისათვის შინაც გამაგრდნენ და გარადამაც მომხრეებით ზურგი გაიმაგრონ.

მართალია, თ. ბისმარკი ჰქადულობს ეგრეთწოდებულ „სამთა კავშირით“, რომელიც მითამ მცველად უდგა ევროპის მშვიდობიანობას, მაგრამ ამ

„სამთა კავშირს“ გული ფუღურო და ჭიანი აქვს. თუმცა ამით იგი გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარეს, მაგრამ მაინც რაც ძალი და ღონე აქვს აკონკებს ამ კავშირსა, რომ თავი დაიჭიროს იმ დრომდე, ვიდრე უფრო უკეთესად მოაწყობდეს საქმეს გერმანიისას, რომელმაც საფრანგეთზედ გამარჯვებით იმისთანა მდგომარეობაში ჩაიგდო თავი, რომ შეუძლებელია უომრად გადურჩეს ან ერთს, ან მეორეს დიდს სახელმწიფოს, მის მეზობლად და მომიჯნავედ მყოფს. თ. ბისმარკს რომ იმედი ჰქონდეს „სამთა კავშირისა“, რომელსაც შეადგენენ გერმანია, ავსტრი-ვენგრია, იტალია და იქნება ზოგიერთა წვრილნი სამეფონიცა, ბევრს თავს აღარ აიტკიებდა სხვაგან მომხრეების ძებნისათვის, არც ისე მოტკბილებით აალაპარაკებდა თავის მორჩილ გაზეთებს და არც ისე დაიდაბლებდა თავის ზარიანსა და რიხიანს ხმას, როგორც ამ ბოლოს ხანებში ვხედავთ. ტყუილად კი არ ეძახიან თ. ბისმარკს რკინის კაცს. როცა გარემოება ხელს აძლევს, მართლა რომ რკინის კაცია, გაუტეხელი, მაგარი და პირდაპირ გამრღვევი საქმისა. ხოლო რუსთველისა არ იყოს, ზოგჯერ „სილბო აქვს ნაქსოვისა და ზოგჯერ სიმტკიცე ნაჭედისა“. ერთიცა და მეორეც გარემოებაზე აქვს დამოკიდებული. ეხლა, როგორცა სჩანს, სწორედ სილბოს ხანაშია ეგ მტკიცედ ნაჭედი კაცი.

ეს იქიდამა სჩანს, რომ თ. ბისმარკმა ამ ბოლოს დროს თავისის გაზეთების ხელით დატკბობისა და თითქმის შერიგების კამათელი გაუგორა საფრანგეთს საპოლიტიკო ნარდის ფიცარზე, ვნახოთ, გამომიგორებს ისიც კამათელს თუ არაო. გერმანიის გაზეთები, რომელნიც დღეს აქამომდე ტუჩებდაბრეცით და ცხვირ მაღლა აწევით თუ იხსენიებდნენ საფრანგეთს, ვითარცა შიგნიდამ თუ გარედამ პირქვე დამხობილს, გაბზარულსა და გათახსირებულს ქვეყანას, ეხლა სულ სხვას გაიძახიან. ეხლა, იმათის

სიტყვით, საფრანგეთის რესპუბლიკა მტკიცედ და შეურყევლად დამყარებულია მაგარ საძირკველზედ, მისი ეხლანდელი სამინისტრო საქებური რამ არის და პრეზიდენტი კარნო ხომ დიდად პატივცემულია გერმანიის იმპერატორის თვალში. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კარნომ რომ გაჰბედოს და გერმანიაში მივიდესო იმპერატორ ვილჰელმის სანახავად, დიდის პატივით მიღებულ იქმნება როგორც იმპერატორისაგან, ისე გერმანიის ერისაგანაო.

ამგვარმა ტკბილმა საუბარმა გერმანიის გაზეთებისამ ყურები აცქვეტინა მთელს ქვეყანას. ეს რა ამბავია? რის ნიშანია? რის მომასწავებელიაო? გაზეთებმა ესეც არ იკმარეს. ხმა დააგდეს, რომ ამ წელს, ვგონებთ შემოდგომაზედ, ბელგიის მეფე ლეოპოლდი თავის იუბილეის გადიხდისო და რადგანაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კარნო და იმპერატორი ვილჰელმი მიწვეულნი არიან ბრიუსელში, ბელგიის სატახტო ქალაქს, ერთიცა და მეორეც იქ შეხვდებიან ერთმანეთის სანახავად და სალაპარაკოდაო.

საფრანგეთის გაზეთებმა გადმობეჭდეს ეს ამბები, მაგრამ ისეთის სიხარულით არ წასწვდნენ გერმანიისაგან გამოგორებულს კამათელს, როგორც ბევრი მოელოდდა. პირიქით, ძალიან შორს დაიჭირეს კარნოს წასვლა ბრიუსელში, თუ გერმანიის იმპერატორი იქ იქნებაო. არასგზით არ უნდა იქმნასო, ამბობენ საფრანგეთის გაზეთები, იმპერატორ ვილჰელმის ნახვა ჩვენის პრეზიდენტისაგანაო. მართალია ეს ბრიუსელში ნახვის სურვილი კარნოსი და ვილჰელმისა თუ არა, დაბეჯითებით არავინ იცის რა. ხოლო ეს ამბავი იმითია შესანიშნავი, რომ ამის გამო აინიშნა ვინ ვის დაეძებს ეხლანდელს ჰოარაობაში და ვისთვის ვინ არის საჭირო.

ამ ბოლოს ხანებში ზოგიერთმა გაზეთმა ისიც გამოაცხადა, ვითომ იმპერატორი ვილჰელმი თითონ

აპირებს საფრანგეთში წასვლასა ორის თუ სამის კვირითაო. მართალია, საბაბად ის მოჰყავთ, ვითომც ვილჰელმს ექიმებმა ურჩიეს საფრანგეთის სამკურნალო წყლები გარგებსო, მაგრამ აქაც შესაძლოა კაცმა სხვა რამ იგულისხმოს. ვინ იცის? იქნება ესეც იმისთვის არის მოგონილი, ვნახოთ ერთი საფრანგეთი ამაზედ რას იტყვისო.

არ ვიცით, ეს ამბები მართალია, თუ განგებ მოგონილია საფრანგეთის გულის გასაღებად, რომ შეიტყონ შიგ რა არის. ჩვენ მარტო იმას აღვნიშნავთ, რომ ჟურნალ-გაზეთობაში კანტი-კუნტად ისმის, ვითომც საფრანგეთის საგარეო პოლიტიკამ ფერი იცვალა და სხვა მიმართულება მიიღოო. მოვიცდით და ვნახავთ, რამეთუ არა არს რა დაფარულ, რომელ არ გამოცხადდეს.

[1890 წ.]

<საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ჟურნალ-გაზეთების თვალით>

ტფილისი, 16 იანვარი

ჩვენ ამას წინათ ვაუწყეთ ჩვენს მკითხველს, რომ ხმა დავარდა ვითომც საფრანგეთმა მხარი იცვალა და სხვაგვარ იბრუნა პირი საგარეო საქმეებშიო. ეს ამბავი ასეთი დიდმნიშვნელობიანია ევროპის პოლიტიკისა და საქმეთა მსვლელობისათვის, რომ არ შეიძლება კაცმა სრული ყურადღება არ ათხოვოს ყოველს იმ წვლილს, რომელიც ამ ამბავს ასე თუ ისე შორსა თუ ახლოს გაუვლის, შორიდამ და ახლოდამ შეეხება. მართალია, ჯერ ეს ამბავი ჭორად დადის, ჯერ ამ ამბავში ტყუილი და მართალი არავის გამოურკვევია, მაგრამ რადგანაც ბევრ რამის მომასწავებელია, მაინცადამაინც ჟურნალ-გაზეთობის თვალი და ყური აიდევნა.

ეს ამბავი ჯერ კანტი-კუნტად აქა-იქ ისმოდა და ეხლა კი ხმა უფრო და უფრო გაძლიერდა, უფრო და უფრო გახშირდა. ამბობენ, ვითომც საფრანგეთი ჰცდილობსო დაუახლოვდეს ინგლისს, იტალიას და გერმანიასაც კიო. იმასაც უმატებენ, ვითომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სპიულერს და რუსეთის ელჩს საფრანგეთში ცოტა არ იყოს ერთმანეთთან უსიამოვნო ლაპარაკი ჰქონიათო. ამ ხმებს დიდის გულმოდგინებით ავრცელებენ თურმე

გერმანიის გაზეთები და საფრანგეთისანი კი დიდს უარზედ დგანან და ყოველს ამას ჭორადა სთვლიან. იგი გაზეთები კი საფრანგეთისა, რომელნიც ეხლანდელ წესწყობილებას თავიანთ ქვეყნისას ეწინააღმდეგებიან და ეურჩებიან, რაც ძალი და ღონე აქვთ ამტკიცებენ, რომ ყოველივე ეს მართალია, ხოლო მთავრობას არ უნდა გამომჟღავნდესო, რადგანაც საფრანგეთის ერი არ შეიწყნარებს იმისთანა პოლიტიკას, რომელიც საფრანგეთსა და რუსეთს ერთმანეთს დააშორებსო.

ბოლოს ამ ჯურის გაზეთებმა ხელზედ დაიხვიეს წერილი „Journal de jeneve"-სა, რომელიც ამტკიცებს, ვითომც ეხლანდელი სამინისტრო საფრანგეთისა წინანდებურად მეგობრულად აღარ ექცევა რუსეთსაო. ხსენებულ ჯურის გაზეთები ამით ნიშნს უგებენ საგარეო საქმეთა მინისტრს სპიულერს, მთელს ეხლანდელს სამინისტროს. ამის გამო მკვახე სიტყვებს უთვლიან და ერთობ მთელს მთავრობას ჰკიცხავენ, რომ ხალხში აბრუ და სახელი გაუტეხონ.

ზოგიერთი გაზეთები სულ სხვას იძახიან. იგინი ამბობენ, რომ ეს საფრანგეთის რუსეთისაგან გადგომა განგებ მოგონილია გერმანიისაგანაო. გერმანიამ კარგად იცის, რომ ამ ხმებზე საფრანგეთის ერი მაშინვე ერთს დემონსტრაციას მოახდენს რუსეთის სასიამოვნოდ და რუსეთის დასაჯერებლად, რომ საფრანგეთს რუსეთზე გული არ უცვლიაო. ეს დემონსტრაცია თ. ბისმარკს საბუთს მისცემს უთხრას გერმანიას: აი, ხომ ხედავთ, რა მტკიცედ არიან შეკრულნი რუსეთი და საფრანგეთიო, და თუ ეხლა, როცა ახალი არჩევანებია გერმანიის დეპუტატებისა, ჩვენს მომხრე კაცებს არ ამოირჩევთ, ცუდი საქმე დაგემართებათო. სხვა გაზეთები ამასვე სულ სხვარიგად ჰხსნიან. გერმანელებიო, ამბობენ იგინი, ეხლა ვეღარ დააბრალებენ საფრანგეთს, რომ ომი უნდაო და რადგანაც დღეს გერმანიაში არჩევანებია, გერმანიის გაზეთებს ჰსურთო დააჯერონ

ამომრჩევლები, რომ თ. ბისმარკის პოლიტიკამ ასე გააკმენდინა ხმა საფრანგეთსა, რომ დამოუკიდებელ პოლიტიკაზე ხელი ააღებინა და ლამის ჩვენ შემოგვეხვეწნენო. თუ ეს დაიჯერა გერმანიის ერმა, რა თქმა უნდა, მადლობის გადასახდელად იმისთანა კაცებს აირჩევს რეიხსტაგისათვის, რომელნიც მომხრენი იქნებიან თ. ბისმარკის აგრე აშკარად გამარჯვებულ პოლიტიკისაო.

ამ სახით, ერთის მხრით გაზეთები საფრანგეთსა სწამებენ, რომ სხვაფერ ჰსურსო ეხლა თავის საგარეო საქმეების მოწყობაო, მეორეს მხრით — ამას ძალიან უარობენ და ყოველს ამისთანა ამბავს გერმანიისაგან მოგონილს ჭორადა სთვლიან. ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ საცა ცეცხლი არ არის, იქ არც ბოლი ავარდება. ჭორი ჭორია, მაგრამ თუ აქ ცოტა რამ ხელმოსაკიდებელი არ იყოს რა, ეს ხმები აგრეც არა გახშირდებოდა. ამის გამო ჩვენა გვგონია, რომ დღეს იქნება, თუ ხვალე, საფრანგეთის პარლამენტი ამის პასუხს მოჰკითხავს თავის მინისტრებს და ამ გზით ამ საგანს ჯეროვანი შუქი მოეფინება.

[1890 წ.]

<ევროპის დიდი და პატარა ონავრები>

ტფილისი, 20 იანვარი.

დასავლეთს ევროპას, დიდ ატლანტიკის ოკეანეს პირად, ისპანიის გვერდით, არის ერთი პატარა სახელმწიფო — პორტუგალია. ეს დღეს პატარა და უღონო სახელმწიფო ერთს დროს დიდ ამბავში ყოფილა. მისი გაბედულნი და გულსრულნი მკვიდრნი ერთს დროს განთქმულნი იყვნენ ზღვებზე სავაჭრო სიარულითა და დიდძალი სიმდიდრე და ქონება შეჰქონდათ თავის ქვეყანაში. ამ ბედნიერ ხანაში პორტუგალიამ ბევრი ადგილი დაიჭირა თავის გათამამებულ მკვიდრთა გულმოდგინებით და მხნეობითა და ბევრი ახალშენი (კოლონია) იაჩინა შორეულ ქვეყნებში, საცა კი მიაწვდინა თავისი ხომალდი, თავისი გემი. ერთი დრო არავის შერჩენიაო, ნათქვამია. ბევრმა ისტორიულმა მიზეზმა უკან დააყენა ეს ერთს დროს ცოტად თუ ბევრად გაღონიერებული ქვეყანა და ჩვენს დროს იქმადე დააქვეითა, რომ როცა ევროპის საქმეთა აშლილობა ასე თუ ისე ააწიოკებს ევროპას, პორტუგალიის ხსენებაც კი არსად არის ხოლმე: არც მისი მოყვრობაა ვისთვისმე სახარბიელო და არც მისი მტრობა საფიქრებელი. ერთი მუჭა ქვეყანაა და ერთი მუჭა ხალხი და რა სათვალავსა და ანგარიშში

მოსატანია ევროპისათვის, საცა მარტო დიდს მუშტსა და გრძელს მკლავსა აქვს ხმა და პატივი.

ამ პატარა ქვეყანას თავისი საკუთარი მეფე ჰყავს და თავისი სკუთარი კონსტიტუცია აქვს და იყო დღეს-აქამომდე თავისთავად, ცოტად თუ ბევრად კმაყოფილი და ყოვლად უნაღვლელი გარედამ, თავის საკმაოდ შეღავათიან კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ. ჰპატრონობდა ავად თუ კარგად იმ ქვეყნებს, რომელიც ერთს დროს დაეჭირა და რომელთაგანაც ბევრი აღარა შეარჩინეს რა დიდმა სვავებმა. ერთი ამისთანა ძველადვე დაჭერილი ადგილი ჰქონდა პორტუგალიას აფრიკაშიაც. ეჭირა ეს ქვეყანა, თუმცა ბევრს არას ჰრჩებოდა და უქმად ეგდო ასე, რომ თითქმის თავმინებებული იყო პორტუგალიისაგან. როცა კი გერმანიამ და ინგლისმა ამ ბოლოს ხანებში თავიანთი ხარბი თვალი აფრიკას მიჰმართეს, დაიჭირეს ადგილები და დაიწყეს აქეთ-იქით გაწევა, პატარა პორტუგალიაც შეფუცხუნდა, — იმ ჩემ მიერ უპატრონოდ დაგდებულ მამულს ხელი არავინ ჩაავლოსო და შეუდგა იმ მამულის შერჩენის თადარიგსა.

თურმე ნუ იტყვით, იქაურ მკვიდრთა როგორღაც შესჩენიან ინგლისელები, მოუნადირნიათ იმათი გული ბევრგვარის ოსტატობით, დაჰპირებიან მფარველობას და მფარველობის ნიშნად თავისი ბაირაღებიც დაურიგებიათ. ერთი მაიორი პორტუგალიის მხედრობისა რომ მისულა იქ ეხლახან პორტუგალიის სახელით, ინგლისელთაგან გულმოცემულ მკვიდრთა შორს დაუჭერიათ პორტუგალიის ბატონობა. საქმე საომრად გამხდარა. პორტუგალიის მაიორს დაუმარცხებია მკვიდრნი და ინგლისელთაგან ბოძებული ბაირაღები ორიოდე დაუყრევინებია. იწყინა ეს ამბავი ინგლისმა. როგორ თუ შენ გააუპატიურე ჩემი ბაირაღებიო: როგორ თუ გაჰბედე და ჩემ კალთის ქვეშ მყოფი ქვეყანა გამილახეო, შეუთვალა პორტუგალიას ინგლისმა. აბა ეს ღონიერი და

ძლიერი ინგლისი ერთის მხრით და ეს უღონო პორტუგალია – მეორეს მხრით!.. მოდი და ნუ მოიბუზები. რადა ჰნებულობ ეგრე ცხარედ ლაპარაკსაო, უპასუხა პორტუგალიამ კრძალვით: სამართალი ხომ აქ არის, ამოვარჩიოთ შუაკაცები და ვისაც აკუთვნებენ იმ ქვეყანას, აკუთვნონო.

ნეტა ღონიერი და ძლიერი ინგლისი რად იკადრებდა სამართალს, როცა მოპირისპირედ უღონო და პატარა პორტუგალია უდგა. საცა ერთის მხრით პირდაღებული ვეშაპია და მეორეს მხრით – მობუზული კრავი, იქ, ეხლანდელს დროში, სამართალს დაეკითხებაღა ვინმე?.. განათლებულმა ინგლისმა ეს იუარა და შეუთვალა, ხელი აიღე, თორემ მიწასთან გაგასწორებო. ,,ძალა შესწევს ქადილსა'' და საწყალმა პორტუგალიამ ხმა გაიკმინდა.

ერი პორტუგალიისა აიმღვრა, აირია, გულზე მოვიდა, რომ ინგლისმა თავისი ძლიერი მუშტი მოუღერა უღონოსა და სუსტს პორტუგალიასა და არდასათმობი დაათმობინა. პორტუგალიის ერმა ძალიან კარგად იცის, რომ ძალა აღმართსა ჰხნავს, რომ ინგლისთან გამკლავება ქვეყნის დაღუპვა და გათახსირება იქნება. ომი ვერ გაუბედა ხმალდახმალ, მაგრამ გულმოდგინე მამულიშვილობამ სხვარიგ ომისათვის გამოაღებინა ხელი პორტუგალიის ერსა. ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ინგლისს პორტუგალიაში დიდი ვაჭრობა აქვს. აი, სწორედ აქ იყარეს ჯავრი ინგლისელებისა. თუ ხმალით ვერას დავაკლებთ, ჯიბეს ხომ ცოტად თუ ბევრად მოვაჭრითო, – სთქვეს და აიღეს და ყოველივე აღებმიცემობა ამოჰკვეთეს ინგლისთან. დააკეტვინეს რაც მაღაზიები და სავაჭროები ჰქონდათ ინგლისელებს დიდს ქალაქებში, მარტო ოთხს თუ ხუთს სოვდაგარს ლონდონში შეკვეთილი ჰქონიათ ათის მილიონის საქონელი და დეპეშით შეუთვლიათ – შეკვეთილზე ხელი აგვიღიაო. ამისთანავე დეპეშას ჰგზავნიან ლონდონში სხვა სოვდაგრებიცა. ვისაც კი სადმე

ინგლისელი ჰყოლია საქმეზე, დაუთხოვნია; ვისაც შვილები ჰყოლია ლონდონში გასაზრდელად მიბარებული, ყველას უკანვე წამოუყვანია. ერთის სიტყვით, რასაც და ვისაც კი ინგლისისა რამ აცხია, ყველას შემოსწყრომიან, ყველას მოჰრიდებიან.

გარდა ამისა, რომ კვლავაც უღონობის გამო არ დაიჩაგრონ ვისგანმე, მამულიშვილობით აფრთოვანებულს ერს მოუწადინებია სამერმისოდ მაინც ღონე მოიცენ და ამისათვის ნებაყოფლობით გაუწერიათ ერთმანეთში ფული, რომ მხედრობა გაიძლიერონ და მოაწყონ ყოველ შემთხვევისათვის. ერთს ძალიან მდიდარს მამულიშვილს შეუწირავს ამისათვის სრული შემოსავალი მთელის ერთის წლისა და ამბობენ, აუარებელი შესაწევარი მოდის დიდისა და პატარისაგანაო.

ძლიერი ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი. პორტუგალიამ, სწორედ ამისთანა დიდგულოვნობა და დიდსულოვნობა გამოიჩინა და ამით მთელის ქვეყნის თანაგრძნობა და პატივი მოიპოვა. პატარაა ეს პორტუგალია, მაგრამ ამ მხრით კი კარგი ყოფილა!..

თვით ის დავიდარაბა კი, რომელმაც ეს ამბავი გამოიწვია პორტუგალიაში, მაგდენი არაფერია არც პორტუგალიის და არც ინგლისის სასახელოდ. ერთი კაცმა ჰკითხოს ერთსაცა და მეორესაც, ნეტა ვის ტაბლაზე ჰჩხუბობენ? იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებიან, თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს და ან ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას. იქაურებს თავისი ქვეყანა თავისთვის უნდათ, და რაო ჩემოო? რა თქმა უნდა, ერთმაცა და

მეორემაც რომ თავი დაანებონ, იქაურნი ორისავ ხელით ღმერთს მადლობას შესწირვენ, კარგად თუ ავად ამ წუთისოფელს თითონ გაუძღვებიან, არც ერთისაგან, არც მეორისაგან ძალად ცხონებას არ ინდომებენ, მაგრამ რას იზმენ საწყლები? ორთა შუა მომწყვდეულან და უილაჯობით ვაის გაურბიან, იმის არ მცოდნენი, რომ ვუის შეეყრებიან. ერთისა და მეორისაგან იმ გზითვე იჩაგრებიან, რა გზითაც დღეს იჩაგრება პორტუგალია ინგლისისაგან.

სამართალიო, იძახის პორტუგალია. ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც. საიდამაც მოსულხართ, იქავ წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი? იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე.

[1890 წ.]

<საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის>

ტფილისი, 23 იანვარი.

ბატონყმობა გაუქმდა რუსეთში თუ არა, ყმურს მოწყობილობას სოფლისას და მიწათმოქმედებისას ბოლო მოეღო, დიდს გაჭირებაში ჩაცვივდნენ როგორც მიწათმფლობელი თავადაზნაურობა, ისეც მიწათმომქმედი გლეხობა. განთავისუფლებული გლეხობა ერთს ჭირს გადაურჩა და მეორეს შეეყარა, თუ არ იმისთანავე შეუბრალებელს, არც ბევრად ნაკლებს. გლეხკაცობას ზედ მუწუკად დააჯდა ეგრეთწოდებული „სოფლის წურბელა", რომელიც ჩაიგდებდა თუ არა გაჭირებულს გლეხს, სწოვდა იმის ნაამაგევსა და ნაჭირნახულევსა ასე, რომ ზოგჯერ ცარიელზედაც დასვამდა ხოლმე.

ეს წურბელა თანდათან ჰმატულობდა და დღესაც კლებაში არ არის. სიხარბემ ამ სოფლის წურბელებისამ იქამდე მიაღწია, რომ სულით განთავისუფლებული უფულო გლეხი, ხორცით ამ წურბელების ყმად გახდა და რასაც თავის ოფლითა და ამაგით ჰშოულობდა, სულ ამ სვავის გასაძღომად ხელიდამ ეცლებოდა. საცა ეს იყო, ხომ ეს გარემოება ასწორებდა გლეხს მიწასთან და საცა ეს არ იყო, იქ გაჭირება გლეხკაცისა აიძულებდა გლეხს, რომ

თავისი ნაამაგევი და ჭირნახულევი ჩალის ფასად გადაეყარა, ოღონდ კი ეშოვნა საკმაო ფული სახელმწიფო და საზოგადოებურ გადასახადის მოსაშორებლად, ან თავის შინაობაში ნაკლებობის შესავსებლად. ამ ორ გზით იღუპებოდა გლეხკაცობა და არსად იყო წამალი ხსნისა. განათლებულმა ნაწილმა რუსეთისამ მიაქცია ყურადღება ამ ამბავს და ბევრი საუბარი გაიმართა, ბევრი აზრი წარმოითქვა, ბევრი სხვადასხვა პროექტი დაიწერა, მასზედ თუ ამ სატკივარს რა წამალი დაედოს.

სხვათაშორის, გაძლიერდა ის აზრი, რომ გლეხკაცობას შინვე უნდა გავუმართოთ კრედიტი, ადვილად მისაწვდენი და შეღავათიანი. შორს სიარული აღარ მოუნდათ, აიღეს და გერმანიიდამ გადმოიღეს ერთნაირი საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც დაერქვა „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა“. ამ საკრედიტო ამხანაგობას პირველში ასეთი სახელი ჰქონდა, ასე იმედოვნებდნენ, — თუ გვიშველის, ეს გვიშველისო, — რომ 1878 წლამდე ერთიერთმანეთზე არსდებოდა ეს ამხანაგობა.

ჩვენშიაც ფეხი აიდგა ამ ამხანაგობის დაარსების სურვილმა და პირველ ხანებში ხშირად გვესმოდა, აი აქ შესდგა ამხანაგობა, აი იქაო. თუ საზოგადოება არა, ჩვენი ინტელიგენტცია ხომ სიხარულით ფეხზედ არ იდგა, როცა ხმა გავარდებოდა, რომ აი ამა და ამ სოფელმა ამხანაგობა შეადგინაო. ამაზედ ბევრსა ჰლაპარაკობდნენ, ბევრსა სწერდნენ, გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა დაარსებულ ამხანაგობათა წლის ანგარიშები და ასე თუ ისე ეს ამხანაგობანი თავისთავზე ხმას გვაღებინებდა და გვასაუბრებდა. ეხლა მისწყდა ყოველივე ხმა, ეს მაშინდელი სასიხარულო ამბავი დღეს არც კი ვისმე ახსოვს, არავის აინუნშიაც არ მოსდის, აღარავინ ჰკითხულობს, — როგორ მიდის იმათი საქმე, რა წამალი დასდეს სოფლის სატკივარს, ჰგრძნობენ გლეხნი რასმე სიკეთეს ამ ამხანაგობათაგან, თუ არა.

ცამეტ-თოთხმეტი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩვენში ეს ამხანაგობანი შემოღებულ იქმნენ და ეს ხანი საკმაო მაგალითებს მოგვცემდა, გვეცნო ყოველივე ავი და კარგი, თუკი ვინმე თვალყურს ადევნებდა ამ საქმეს და მის ვითარებას საყოველთაო საცნობლად გახდიდა. სხვას ვინა სჩივის, თითონ ამხანაგობანიც ჩაჩუმებულნი არიან, ხმას არ იღებენ და, რომ არ ვიცოდეთ იმათი არსებობა, ვიტყოდით, აღარ არსებობენო. წლის ანგარიშებიც კი აღარ იბეჭდება არსად. სულ მისწყდა იმათი ხმა და გაჰქრა იმათი ამბავი.

რას უნდა მივაწეროთ ეს სამწუხარო დუმილი იმ საქმის თაობაზედ, რომელიც, რაც უნდა იყოს, თავის დროზედ ასე საიმედო და სასიხარულო იყო ყველასათვის, ვისაც ჩვენის სოფლისა და გლეხკაცობისათვის გული შესტკიოდა. ნუთუ იმას, რომ ჩვენ ყველაფერზედ მალე აპრიალება ვიცით ცეცხლმოკიდებულ ჩალასავით და ისევ მალე ჩაქრობა ჩალასავითვე! ან იქნება იმას, რომ გლეხკაცობამ, რაკი დაინახა, რომ ამ ამხანაგობისაგან ბევრი არა გამოდნა რა, გული აიყარა და იმასთან ერთად გული ავიყარეთ ჩვენც? მიზეზის პოვნა ძნელია, როდესაც ჩვენ ამ საგანზედ არავითარი ცნობა არა გვაქვს. ხოლო ეს კი ვიცით, რომ ამ საქმეს რუსეთშიაც გაუგრილდნენ.

პეტერბურგის განყოფილებამ იმ კომიტეტისამ, რომელიც განაგებს ამ ამხანაგობათა საქმეებს, ეხლახან გამოაცხადა თავისი ანგარიში და სხვათა შორის აღიარა, რომ 1878 წლამდე ამ ამხანაგობათა რიცხვი ჰმატულობდა და მას აქეთ დიდს კლებაში შევიდაო, ასე რომ ამ ბოლოს ხანებში თითქმის აღარც კი ისმის, კიდევ არსდება ამხანაგობა თუ არაო. ამასთანავე იგი ანგარიში ამბობს, რომ ამ საქმის კარგად მსვლელობას გზა შეუკრა იმ გარემოებამ, რომ გლეხკაცობაში არ აღმოჩნდნენ იმისთანანი, რომ საქმე გაეგოთ და ცოდნით

გასძღოლოდნენო. 1878 წლიდამ ბევრი ამხანაგობა სრულად მოისპოო და თითქმის ნახევარი ამ მოსპობილთაგანი უკაცობის მიზეზით გაუქმდაო.

ასეა თუ ისე, ამ ამხანაგობამაც, როგორც სჩანს, ვერ იხსნა სოფელი გაჭირებისაგან და გლეხკაცობა რუსეთში ამ მხრით ისევ უნუგეშოა. ეს თვით უმაღლესს მთავრობისაგან უკვე შენიშნულია. ამ უკანასკნელ წლებში სოფლის ნაწარმოების ფასმა ძალიან ძირს დაიწია რუსეთში, იმოდენად ძირს, რომ თვით მთავრობამაც ყურადღება მიაქცია. ხომ არც ჩვენ გადავრჩით ამ უფასურობას. შინაგან საქმეთა სამინისტროში შედგენილია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიძიოს და გამოარკვიოს მიზეზი სოფლის ნაწარმოებთა ფასის დაფოლებისა. რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამ კომისიას უკვე გაუთავებია თავისი საქმე და შეუმზადებია პროექტი მოკლევადიან ახალ კრედიტისა გლეხკაცთათვის. ეს პროექტი ამ მოკლე ხანში წარდგენილ იქმნება სახელმწიფო საბჭოს წინაშე გასარჩევადო. აქედამა სჩანს კომისიას დაუნახავს, რომ სოფლის ნაწარმოების ფასის ნაკლებობას მიზეზადა აქვს უქონლობა გლეხკაცთათვის შესაფერ კრედიტისა.

რა აგებულება ექმნება ამ ახალს საგლეხკაცო კრედიტს, გაზეთები არას ამბობენ. ხმა კი დადისო, ვითომ იგი კრედიტი გირავნობაზე იქნება დაფუძნებული, იმ პირობით, რომ ვისაც სესხად ფულის აღება მოუნდება, ის იმის გირაოდ პურს უნდა ჩამოვიდესო და ის პური შენახულ იქმნება განსაკუთრებით ამისთვის გამართულ ამბარში, ვიდრე გლეხკაცი კარგს მუშტარს აიჩენსო. ამ გზით გლეხკაცი თავის საყოველდღეო საჭიროებისათვის, მაგალითებრ, თუნდ სახელმწიფო და საერთო გადასახადის მოსაშორებლად, ყოველთვის ხელს გაიმართავს და იძულებულ აღარ იქნება გაჭირების გამო იეფად ჰყიდოს თავისი ჭირნახულიო. ეს

კრედიტი იქმნება სახელმწიფო და, მაშასადამე, უფრო იეფი და შეღავათიანი, ვიდრე კერძო. სასურველია, რომ ამ მხრით ჩვენს გლეხკაცობასაც მოეშველნენ და ამით დაიხსნან ესენიც მჭამელთა და მწოველთაგან.

ტფილისი, 25 იანვარი,

ჩვენ ამას წინათ საუბარი ჩამოვაგდეთ ეგრეთ-წოდებულ „გამსესხებელ-შემნახველ საზოგადოებათა“ შესახებ ჩვენში. იმ ცნობათაგან, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, სჩანს, რომ მას აქეთ, რაც ამგვარის კრედიტის შემოღება დავიწყეთ, ამიერ და იმიერ საქართველოში სულ ოცდათექვსმეტი წესდება ყოფილა დამტკიცებული მთავრობისაგან ამხანაგობათა შესადგენად. აქედამ ჩვიდმეტი წესდება არის ამიერ საქართველოსი და ცხრამეტი იმიერისა. ამათგან სამი ამხანაგობა არც კი დაარსებულა, თუმცა წესდება დამტკიცებული ჰქონია: დანარჩენი ოცდაცამეტი გამართულა და დაუწყია მოქმედება. ამათშიაც გაუქმებულა ცამეტი და თავისი დუქან-ბაზარი აულაგებია. დარჩენილა სულ ოცი. ამ ოცშიაც არის რომელიმე ამხანაგობა, გაუქმებული თუ არა — არა ვიცით-რა. ეს კი ნამდვილია, რომ თუ სადმე ეგ ამხანაგობანი კვლავ არსებობენ, იმათი არსებობა არსებობად არ ჩაითვლება: ძლივძლივობით თურმე აჩანჩალებენ თავის საქმეებს და თითქმის სულის ამოხდომაზე მიმდგარან.

ასეთი დასასრული იმ დასაწყისისა, რომელმაც დიდი და პატარა, ჩვენში მისძრა-მოსძრა, რომლისაგანაც ყველანი ბევრს რასმე მოველოდებით და რომელიც დიდს იმედებს იძლეოდა, მეტად სამწუხაროა, მეტად ჩასაფიქრებელი. მარტო ნუგეშად ისღა თუა დღეს ჩვენთვის, რომ ეგეც გამოვცადეთ, ეგეც ვნახეთ და ჩვენის სოფლის საქმე ამ მხრით მაინც არ გასწორდა. გზის დანახვა მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება, თუმცა ცოტა გვიანი საქმეა,

მაგრამ ამასაც მნიშვნელობა აქვს, თუ ერთხელ ნახულს კაცი ასე თუ ისე გამოიყენებს შემდეგისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თუ ნაცადს ისე მოვექცევით, როგორც ჭკუის მასწავლებელს მაგალითს. თუ არა და, დროც ტყუილად დაკარგულია და ამაგიც.

ეს ცამეტ-თოთხმეტი წელიწადია, რაც ჩვენში გაიმართა ეს ამხანაგობანი. ვიმეორებთ, ეს საკმაოდ გრძელი ხანია, რომ კაცმა ამ გრძელ ხანში ნახული, გამონაცადი, დღეს ჭკუად მოიხმაროს და გაარკვიოს, რა ჭია ჩაუჯდა გულში პირველს ხანშივე ამხანაგობას, რა სოლი აკლდა, ან რა გაუტყდა იმ თვალს, რომელიც ატრიალებს ამგვარ ამხანაგობათა საქმეს? რაშია მისი ნაკლი, რაშია მისი შეუფერებლობა, რატომ ასეთი ბოლო მოჰყვა მაშინ, როდესაც ასეთის იმედებით და ქადილით გვესტუმრა პირველ ხანებში? სასურველია და ფრიად სასარგებლოც იქნება ვიცოდეთ, რა მიზეზი იყო, რომ ამგვარმა ამხანაგობამ ჩვენში ვერც ფეხი მოიკიდა რიგიანად და ვერც თავი შეიმაგრა.

მართალია, თავდაპირველ მიზეზად იმას ჰხადიან, რომ ვითომც გლეხკაცობას მომზადებული კაცები არა ჰყვანდა, რომ ეს საქმე გაეგოთ და მისი ბუნებურ ვითარების გამო წარემართნათ. უეჭველია, ამ მიზეზს უსათუოდ ცოტად თუ ბევრად ადგილი აქვს აქ, მაგრამ აქ მარტო უკაცობას დავაბრალოთ მომხდარი ამბავი, ჩვენის ფიქრით, უსაბუთო იქნება და თუ არა უსაბუთო, წინასწარი მაინც.

ბევრი საქმეა იმისთანა, რომ თვითონ თავის გულშივე ატარებს იმ სენს, რომელიც თავის დროზე ბოლოს მოუღებს ხოლმე. ამისთანა საქმე, რაც უნდა კარგი მცოდნე და ხერხიანი კაცებიც შეხვდეს, თავს არ დაიჭერს და დღეს იქნება თუ ხვალე თავის აგებულებაში ჩამდგარს ჭირს უნდა თან გადაჰყვეს. აი ამ მხრით ეს ამხანაგობანი გამოძიებულნი არ არიან. ძნელია კაცმა გამოიძიოს იგინი მარტო იმ წესდების

ავკარგიანობის მიხედვით, რომელიც სახელმძღვანელოდ აქვთ დადებული ამგვარ საკრედიტო დაწესებულებათ. ესგვარი გამოძიება უფრო თეორიული იქნება მაშინ, როდესაც ჩვენს ამხანაგობათ მთელის ცამეტ-თოთხმეტი წლის ისტორია აქვთ: მთელის ცამეტ-თოთხმეტი წლის განმავლობაში ბევრი რამ გამოუვლიათ, ბევრი რამ გადაჰხედიათ, მერე არა ერთს რომელსამე ადგილას, არამედ ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველს კუთხეში, ქართლსა, კახეთსა და იმერეთში. მაგალითები ამ ამხანაგობათა ავკარგიანობისა ამ გრძელ ხანში ყველგან ბევრი მოგროვდებოდა და ეს მაგალითები რომ ხელთა ჰქონდეს კაცს, შესაძლო იქმნებოდა, ცოტად თუ ბევრად უტყუარი აზრი გამოერკვია მასზედ თუ, — რა იყო ჩვენი სოფლისა და გლეხკაცობისათვის სარგო და ხელმოსაჭიდებული ამ ამხანაგობაში და რა არა. აქედამ კაცს შეეძლო გამოეცნო, რაგვარი საკრედიტო დაწესებულება უფრო ხელშემწყობი იქნებოდა, უფრო სახეირო და სასურველი ჩვენებურ სოფლისათვის.

დიდს მადლს დასდებდა ჩვენს სოფელს და ჩვენს გლეხკაცობას, თუ იმ ადგილის კაცი ვინმე, საცა ეს ამხანაგობანი მოქმედებდნენ, ამ მხრით ჩაუკვირდება ამ საქმეს და ბლომა საბუთებს შეჰკრებს იმის ავისას და კარგისას. აქ ერთს უდიდესს საბუთს შეადგენს თვით გლეხკაცობის აზრი. მეტად საყურადღებო იქნება ცოდნა იმისი, თუ რა თვალით უყურებენ გლეხნი ხსენებულ ამხანაგობათა, რა მიზეზით აიყარეს გული, რას მოელოდნენ და რაში გაუმტყუნდათ მოლოდინი.

ვწერთ ამას იმ იმედით, რომ ჩვენის სოფლისა და გლეხკაცის გულშემატკივარი კაცი ყურს ათხოვებს ამ წერილით წინწამოყენებულს საგანს, ადგილასვე გამოარკვევს საბუთებს და მიზეზს ამხანაგობათა ავკარგიანობისას და ამ გზით შესაძლოდ გახდის კაცმა უფრო შესაფერებელი, უფრო კეთილად

გამოსაყენი სხვა სახის საკრედიტო დაწესებულება ურჩიოს ჩვენებურ გლეხკაცობას, რაკი ,,გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა“ ასე თვალდათვალ დაგვანახვეს თავისი უღონობა და უხეირობა.

[1890 წ.]

<ახალგაზრდა იმპერატორ ვილჰელმის დაინტერესება მუშა ხალხის ბედით>

ტფილისი, 27 იანვარი

საკვირველი კაცი ბძანდება ეხლანდელი ახალგაზდა იმპერატორი გერმანიისა. თუმცა ამის გაიმპერატორებას გერმანიაში ისეთის სიყვარულითა და სიხარულით არ მიეგებნენ ევროპიელნი, როგორც მის განსვენებულ მამის საიმპერატორო ტახტზე ასვლას, მაგრამ რაც ხანი გადის, მით უფრო ძლიერ იზიდავს ეს დაუღალავი და დაუძინებლად მშრომელი გვირგვინოსანი ქვეყნიერობის ყურადღებას. დღესაც არ იციან გარკვევით რა გამოვა ამ ძლიერ სახელმწიფოს მფლობელის ხელიდგან. ეს კი იციან, რომ დიდად მოძრავი კაცია, საკმაოდ განათლებული, გამბედავი, უშიშარი და დაუღალავი მშრომელი. ესეც იციან, რომ ვერავინ ვერ აიყოლიებს, ვერავინ მოინადირებს, ვერავინ ვერ ჩაიგდებს ხელში. იგი თითონ თავის თავს და თავის ნებას უფრო ეკითხება, ვიდრე სხვას, უფრო თვითმსჯელია და თვითმომქმედი, თუმცა ამასთან ერთად სხვის რჩევისა და სხვის აზრის კეთილად და გულდადებით მომსმენია და ხშირად შემწყნარებელიცა და შემთვისებელიც.

ამისთანა ხასიათის კაცი, იმ სიმაღლეზე დაყენებული, როგორც საიმპერატორო ტახტია იმ

სახელმწიფოსი, რომელსაც მთელი ქვეყანა დიდის რიდითა, თავაზით და ცოტა არ იყოს – შიშითაც უყურებს, ან დიდის საქმეების მომქმედი უნდა გამოვიდეს, ან სულ არაფერი. ამისთანა კაცს არარაობიდამ დაწყებული დიდ საქმეებამდე არავითარი კიბე არა აქვს, რომ რომელსამე საფეხურზე დასდგეს და გაჩერდეს. ამისთანა კაცი ან სულ „ჰოა“, ან სულ „არა“, ან სულ ძირს დარჩება, ან სულ მაღლა ავა. რა თქმა უნდა, როგორც ევროპაში საერთოდ, ისეც გერმანიაში ცალკე ეხლანდელი იმპერატორი ვილჰელმი ზოგს დიდბუნებოვან კაცობის იმედს აძლევს და ზოგს კი ჰგონია, რომ მის ხელიდამ ფართიფურთობის მეტი არა გამოვა რაო. ჩვენის ფიქრით, ერთსაც საბუთი აქვს და მეორესაც თავთავისი აზრის თქმისა. ყოველი მოქმედება ვილჰელმისა, რაც კი ვიცით, ზედ ფართიფურთობის ნიშანსაც ატარებს და დიდბუნებოვანობისასაც. ყოველს მის მოქმედებას ორივე ფერი ადევს და რომელი გაიტანს თავს და შერჩება ბოლომდის, ამას დრო გამოაჩენს.

ავიღოთ თუნდა იგი ამბავი, რომელიც ამ დღეებში მოგვიტანა დეპეშამ და რომელსაც ჩვენ მეტისმეტ დიდ ამბადა ვთვლით. იმპერატორს ვილჰელმს ბძანება გაუცია, რომ გერმანიის ელჩებმა საფრანგეთსა, ინგლისსა, ბელგიასა და შვეიცარიაში იქაურ მართებლობას ჰკითხონ თანახმანი იქნებიან თუ არა საერთოდ მოვილაპარაკოთო იმის თაობაზე, რომ რაიმე წამალი დაედოს ამ უკანასკნელ ხანებში წამომდგარს საჭიროებას მუშა ხალხისასაო. თუ ეს აზრი მათ მიერ მიღებულ იქმნა, მაშინვე იმპერიის კანცლერს ებძანება მოიწვიოს კონფერენციაში ყველა მართებლობა, რომელთაც ჰსურთ ერთნაირი მონაწილეობა მიიღოს მუშა ხალხის საქმეშიო.

ეს ბძანება თურმე მარტო იმპერატორ ვილჰელმისაგან არის ხელმოწერილი და რადგანაც მინისტრისაგან ხელმოუწერელია, ამიტომ იმ ბძანებას

ისე უყურებენ, როგორც იმპერატორის საკუთარ ნებისა და სურვილის შედეგსაო. მეორე დღეს მოსული დეპეშა გვაუწყებს, რომ თ. ბისმარკს არ მოსწონებია ეს ბძანება. ამისთანა საქმეშიო, როგორიც მუშა ხალხის საქმეა, ეგრე ხელგაშლით მოქმედება არ ვარგაო. აქ ფრთხილი და თავშემაგრებული მოქმედებაა საჭიროო. ესეა თუ ისე, ეს ბძანება გერმანიის მპყრობელისა დიდის სიხარულით მიუღია ყველას, თუმცა კი არ იმრდოვნებენ, რომ ადვილად შესასრულებელი იყოს.

ამგვარად მუშა ხალხის საქმის განხილვა, ახალი ამბავი არ არის თურმე. პირველობა ამგვარად განხილვის სურვილისა შვეიცარიას ეკუთვნისო, გვაუწყებს დეპეშა, რომელსაც ამ შემთხვევაში „Journal de St. Petersbourg“-ის აზრი მოჰყავს. რა თქმა უნდა, დიდის აზრის თავში მოსვლაც დიდი საქმეა, მაგრამ უღონო შვეიცარიას, რომელსაც არც დიდი ხმა აქვს ევროპაში და არც გავლენა, უქმად ჩაუარა ამ დიდებულმა აზრმა. ეხლა ამ აზრს ხელი ჩაჰკიდა იმისთანა შემძლებელმა და ძლიერმა ხელმწიფემ, რომლის სურვილს ძალიც შესწევს და ღონეც და რომლის ხმა და გავლენა ევროპაში დიდია და უცილობელი. ხელი ჩაჰკიდა მარტომ და იმასაც კი არ მოერიდა, რომ მისი სახელგანთქმული დიდგავლენიანი კანცლერი თითქმის ამის უარზეა. როგორც გნებავთ იფიქრეთ და ამაზე კი უარს ვერ ვიტყვით, რომ ამის მომქმედს კაცს ცოტა რამ დიდბუნებოვანობისა არა ეცხოს რა.

არ ვიცით, რა გამოვა განზრახულ კონფერენციისაგან, ხოლო მუშა ხალხის საქმე რომ თითქმის საკაცობრიო, საყოველთაო საქმეთ იცნა გერმანიის იმპერატორმა, მარტო ეს ამბავი მეტისმეტად დიდი რამ არის თავისთავადაც, იმისდა მიუხედავად, გამოვა რამე საკეთილო კონფერენციისაგან თუ არა. აქედამა სჩანს, რომ მუშა ხალხის საქმემ თავისი კუთვნილი ადგილი

დაიჭირა, თითოეულ სახელმწიფოს ცალკე პატარა საქმისაგან აიწია დიდ საკაცობრიო საქმემდე და თვის კუთვნილ სიმაღლეზე დაჰდგა. ქვეყნის საქმეა და საქვეყნო წამალს, საქვეყნო სახსარს ჰთხოულობს ჭირისაგან დასახსნელად. აქედამ სჩანს, რომ ერთაშორისი ურთიერთობა, ერთაშორისი ერთმანეთისათვის გულისტკივილი ამით ერთს ბიჯს კიდევ წინ წაჰდგამს თავის ჯეროვანის ადგილის დასაჭერად, რომ ცალკე ერთა წყლულები საკაცობრიო წყლულებად მიიჩნიოს და მთელის კაცობრიობის ღონითვე შველა და წამალი აღმოუჩინოს. ეს გერმანიის იმპერატორისაგან განზრახული, ჩვენის ფიქრით, ისეთი ამბავია, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეს ქებად და დიდებად ჩაეთვლება ისტორიისაგან სხვათა დიდებულ საქმეთა შორის, და ამ საქმის დამწყები, მეთაური და მომქმედი გერმანიის ახალგაზდა იმპერატორია. გინდ ფართიფურთობაში ჩამოართვით და გინდ დიდბუნებოვან კაცად იცანით, უტყუარს განაჩენს კი დრო და ჟამი დასდებს.

კიდევ ვიტყვით, — იქნება ამ განზრახულს საქმისაგან მუშა ხალხისათვის არაფერი კეთილი არ გამოვიდეს. პირიქით, იქნება კიდეც უფრო უარესი დღე დააყენონ. ხოლო რაკი ერთხელ ეს საქმე ამ გზაზედ დაყენებულ იქმნა, აქედამ ფეხს ძნელადღა მოიცვლის. ეს ერთი იმისთანა მაგალითია, რომ არა გვგონია მუშა ხალხის ბედმა ამის გარედ სხვა გზაღა იძიოს გაჭირებისაგან დახსნისათვის. ესეც კი საფიქრებელია: იქნება ის ამბავი იმიტომ ასტეხეს გერმანიაში, რომ მუშა ხალხის გული მოიგოს იქაურმა მთავრობამ. თებერვლის დასაწყისში საპარლამენტოდ დეპუტატების არჩევანებია დანიშნული გერმანიაში, და, რა თქმა უნდა, გერმანიის მთავრობისათვის მეტად სასურველია მისი მომხრენი ამორჩეულ იქმნან მით უფრო, რომ ეგრედწოდებულნი „სოციალ-დემოკრატები“ ბევრგან

ქადულობენ არჩევანებში გამარჯვებას მუშა ხალხის იმედით. ვინ იცის? იქნება მუშა ხალხის მოსანადირებლად გამოცემულ იქმნა ის მათთვის სასიამოვნო ბძანება იმპერატორისა, რომლის გამოც ჩვენ ვლაპარაკობთ, და ამ გზით გერმანიის მთავრობას ჰსურს მოიმხროს მუშა ხალხი ამ არჩევანებში და „სოციალ-დემოკრატები" ცარიელზედ გაიყვანოს. არც ეს არის საკვირველი. რა არ არის შესაძლებელი ყოვლად შემძლებ პოლიტიკოსებისათვის. თუნდ რომ ესეც იყოს, მაინც მაგალითი მაგალითად დარჩება და თავის საზნეოსა და საზოგადოებურს მნიშვნელობას არ დაჰკარგავს.

[1890 წ.]

<გერმანიის საშინაო პოლიტიკა>

ტფილისი, 30 იანვარი

ჩვენ ამას წინათ გერმანიის იმპერატორის უკანასკნელს ბძანებას მუშა ხალხის შესახებ მივაქციეთ ყურადღება მკითხველისა და სასურველია გამოვარკვიოთ — რა წყურვილის პატრონი უნდა იყოს იმპერატორი ვილჰელმი ამ საქმეში, ესე იგი, მუშა ხალხის მომხრეობისათვის უფრო უწევს გული, თუ სხვა რამე სწადიან. ამისათვის გარკვევით გამოთქმული აზრი ამ ახალგაზდა გვირგვინოსანისა არსად მოიპოვება. ხოლო არის ზოგიერთი ნიშნები და მაგალითები, რომელთ შემწეობით შესაძლოა ამ საკითხს მიახლოვებით მაინც პასუხი გასცეს კაცმა და ჩვენც სწორედ ამ ნიშნებსა და მაგალითებს ავნუსხავთ იმპერატორ ვილჰელმის გულის წადილის გამოსაცნობლად ცოტად თუ ბევრად.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ საშინაო პოლიტიკა გერმანიისა სულ სხვა გზაზედ ჰლამობს დადგომასაო და აქ, ცოტა არ იყოს, გერმანიის იმპერატორს და თ. ბისმარკს უთანხმოება უნდა ჩამოვარდნოდათ ერთმანეთში. დღეს აქამომდე თ. ბისმარკი საშინაო პოლიტიკაში არ იშვნევდა, არ იწყნარებდა არავის ჩამორევას. მუშა ხალხის ბედი მარტო ეპყრა ხელში და მარტო იგი განაგებდა იმის ავსა და კარგს. ამისათვის, როცა 1880 წელს სამსახურიდამ გადადგა

ვაჭრობის საქმეთა მინისტრი ჰოფმანი, რომელიც უფრო მომხრე იყო ფრიდეტერობისა და უარობდა თ. ბისმარკის პროტექციონობას, თ. ბისმარკმა თვით დაიჭირა ვაჭრობის საქმეთა მინისტრობა და პროტექციონული პოლიტიკა გააძლიერა გერმანიაში: ასწია ბაჟი პურისა და ყოველგვარ საქონლისა, რომელიც გარედამ შეჰქონდათ გერმანიაში და რომელიც უპირველესს საჭიროებას ცხოვრებისას შეადგენს. ამას მოჰყვა გაძვირება ყოველ ამისთანა საქონლისა და ეს სიძვირე ყველაზე უწინარეს ჭირად გაუხდა ღარიბსა და მუშა ხალხს. გაჩნდა ამ ღარიბსა და მუშა ხალხში დიდი ჩივილი და დრტვინვა, რადგანაც ღარიბთა შემძლებელობა სყიდვისა და მუშა ხალხის დღიური ფასი იგივე დარჩა და მათთვის საჭირო სასყიდელმა კი ფასი იმატა.

ამისთანა მდგომარეობამ საქმისამ ხელი შეუწყო ერთგვარს დასს, რომელსაც ,,სოციალ-დემოკრატთა" დასი ჰქვიან და რომელიც იღვწის, რომ მუშა ხალხს შემწეობა აღმოუჩინონ და დაჩაგვრისაგან დაიხსნან. ამ ,,სოციალ-დემოკრატებმა" მუშა ხალხისა და ღარიბთა ჩივილს ხელი ჩაავლეს და საცა შემთხვევა ჰქონდათ, არც სიტყვას, არც რჩევასა და არც გარჯას არა ჰზარობდნენ, რომ თავიანთ მოძღვრებისაკენ გადმოებირათ უკვე მომდურავი ხალხი. ამაში, ცოტად თუ ბევრად, გაიმარჯვეს. თ. ბისმარკმა ჰნახა, რომ ,,სოციალ-დემოკრატებს" მომხრეობა ემატებოდა ხალხში და რეიხსტაგში სარჩიელი შეიტანა, რომლის ძალითაც უნდა შეხუთულიყო ,,სოციალ-დემოკრატების" მოძღვრების გავრცელება სიტყვითა, წერითა თუ მოქმედებით. ასე თუ ისე ,,სოციალ-დემოკრატების" შეხუთვაზე ყოვლად შემძლებელმა ბისმარკმა დაიყოლია პარლამენტი გერმანიისა დიდ და გაცხარებულ ბაასს შემდეგ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს განაჩენი პარლამენტისა სამუდამო კანონად არ შეიქმნას, არამედ ვადა დაედოს. წელსაც თ.

ბისმარკმა ხელახლად შეატანინა პარლამენტში სარჩიელი ისევ ,,სოციალ-დემოკრატების“ წინააღმდეგ და განსხვავება უწინდელს სარჩიელისაგან ის იყო, რომ ამ ხანად სამინისტრო, სხვათა შორის, ითხოვდა ნება მისცემოდა ადმინისტრაციას გაეძია ქვეყნიდამ ის ,,სოციალ-დემოკრატი“, რომელსაც მავნებელ კაცად მიიჩნევდა, გამოუკითხავად და გამოუძიებლად. პარლამენტმა ამაზე დიდი უარი უთხრა სამინისტროს და ამას მოჰყვა თვით პარლამენტის დათხოვნაცა და ახალის არჩევანების დანიშვნა.

ამ სახით თ, ბისმარკი მუშა ხალხის საქმეს თავზე წამოაჯდა ჯერ იმით, რომ ვაჭრობის საქმე თვით იგდო ხელში, როგორც ვაჭრობის საქმეთა მინისტრმა, მერე იმით, რომ თავის მორჩილ პარლამენტს ჩამოართვა ნება შეჰხუთოს ,,სოციალ-დემოკრატების“ მოქმედება. ეს ასე იყო წრევანდელ წლამდე. წელს კი სულ სხვა ამბავი მოხდა. ჯერ ისა, რომ ვაჭრობის საქმეთა მინისტრობაზე ხელი ააღებინეს კანცლერს და დღეს იმპერატორის ბძანებით სხვა კაცი დაინიშნა ამ ადგილზე. ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ ვაჭრობის საქმეთა სამინისტრო გერმანიაში განაგებს, სხვათა შორის, მუშა ხალხის ავსა და კარგს. ამ ახალ მინისტრის დანიშვნამ, იქ, საცა მინისტრობდა ყოვლად შემძლებელი ბისმარკი, ყველა გააკვირვა, ყველა გააოცა გერმანიაში. ხან აქეთ ატრიალებენ ამ ამბავს, ხან იქით და ვერ გამოუცვნიათ, რის მომასწავებელია ეს არავისაგან მოლოდინებული ამბავი. ზოგი იძახის, რომ თ. ბისმარკს ბევრი საქმე ახვევია, მოჰხუცდა, ვეღარ ასდის და ერთი ტვირთი ჩამოიხსნაო. ამიტომაც საფიქრებელიაო, რომ ცალკე მინისტრის დანიშვნა არაფერს ცვლილებას არ მოახდენს გერმანიის საშინაო პოლიტიკაშიო. ზოგი იძახის, რომ იმპერატორს აღარ მოსწონს იგი გზა, რომელზედაც აქამომდე იდგა საშინაო პოლიტიკა ბისმარკისა, ნამეტნავად მუშახალხის შესახებ, და სხვა ახალ

გზის არჩევას ჰლამისო და ამიტომაც თ. ბისმარკს ჩამოერთვა ვაჭრობის საქმეთა მინისტრობაო.

ეს უკანასკნელი უფრო დასაჯერია. გაზეთები გარკვევით იუწყებიან, რომ როცა ბისმარკმა ბოლონდელი სარჩიელი პარლამენტში შეატანინა თავის სამინისტროს „სოციალ-დემოკრატების“ წინააღმდეგ, იმპერატორს ვილჰელმსა სთხოვა, პარლამენტის მიმართ სათქმელ სიტყვაში ჩაურთეთ ორიოდე სიტყვა „სოციალ-დემოკრატების“ წინააღმდეგ, რადგანაც თქვენს სიტყვას ეგრე ადვილად ურჩობას არ გაუწევენო და ჩვენი სარჩიელი, თქვენის სიტყვის ზნეობურ ზედმოქმედებით, მიღებულ იქმნება პარლამენტისაგანაო. ეს იუარა თურმე იმპერატორმა ვილჰელმმა და ერთის სიტყვითაც არ შეეხო სოციალ-დემოკრატებს. ესეც უმნიშვნელო არ არის. რომ პარლამენტმა უარი სთქვა თუ არა ხსენებულ სარჩიელის გამო, იმავე დროს თ. ბისმარკს ჩამოერთვა ვაჭრობის საქმეთა მინისტრობა და სულ სხვა ცალკე კაცს ჩაჰბარდა.

ნუთუ ყოველ აქედამ არა სჩანს, საით მიუწევს გული იმპერატორს ვილჰელმს მუშა ხალხის საქმეში, რომელიც ასე თამამად და გაბედულად აიღო და მთელის ევროპის საქმედ გახადა. არ ვიცით, დრო და ჟამი რას იტყვის, და თუ ამდღევანდელ ნიშნებსა და მაგალითებს დავაკვირდით და მათს მნიშვნელობას დავჯერდით, ჯერ იმის მეტი არა ითქმის რა, რომ ეს ახალგაზდა იმპერატორი გერმანიისა რაღასაც ახალს რასმე აპირობს მუშა ხალხის საოხად და საშველად. გარდა ამისა არც ის არის უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ იმპერატორმა არ იკადრა და არ ჩაერია „სოციალ-დემოკრატების“ წინააღმდეგს საქმეში და ამით თითქო სთქვა, რომ ამ დასსაც ისე უნდა უყუროს კაცმა, როგორც სხვა დასს, ქვეყნის ტკივილის ასე თუ ისე გამომთქმელს და, მაშასადამე, ანგარიშსგასაწეველსა და ანგარიშში მისაღებს. ჩვენის

ფიქრით, ეს დიდი საქმეა და კაცმა რა უნდა აღნიშნოს ხოლმე ქვეყანაზე, თუ არ დიდი საქმე, შედეგით ნაყოფიერი, ნამეტნავად მაშინ, როცა დეპეშები მარტო იმას გვაუწყებენ ხოლმე, რომ ჩიგორინმა და გუნსბერგმა ერთმანეთს ამდენი ჯანდრაკი მოუგეს და პაშინომ კიდევ ყინულზე წრიაფით სიარულში ყველას აჯობაო.

[1890 წ.]



<ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი ლონ-დონში>

ტფილისი, 1 თებერვალი

დღე ყოველ გვესმის, თუ ვკითხულობთ იმისთანა ამბებს ადამიანის მოქმედებისას, რომელიც სულაც არ ემოწმება, რომ ადამიანი მართლა „ღვთის სახისა და მსგავსების“ სულიერი იყოს. იქ ჰხედავ ბიძა უსუსურს ბაშვსა ჰკლავს ერთ მტკაველ მიწის გულისათვის, აქ ჰხედავთ შვილი მამას ადრე და მალე საფლავს უთხრის, ცოლი ქმარს სჩაგრავს, ქმარი ცოლსა, ერთი იპარავს, მეორე სძარცვავს, მესამე კანონიერად იკლებს მეზობელს, მეოთხე ატყუებს, ზოგი ცილს ჰხმარობს მეგობრის თავის მოსაჭრელად, ზოგი ჭორს — ჩირქის მოსაცხობლად. და სხვა ამისთანა თუ ცალკე, თითოეულ კაციდამ გადახვალთ მთელს იმისთანა ადამიანთა კრებულზე, როგორც, მაგალითებრ, სახელმწიფოა, აქაც იმავე ვაივაგლახსა ჰხედავთ, იმავე შურს, იმავე ერთმანეთის მტრობას, იმავე წეწვასა თუ გლეჯას. იმას აღარ ვიტყვით, იმავე მზადებას, იმავე ჭაპანწყვეტას, რომ ერთმანეთის სისხლი ანთხიონ, ერთმანეთი გააღატაკონ, ერთმანეთი პირქვე დაამხონ. ცალკეობასა თუ საკრებულოში ყოველ ამ უბედურებისა და ბოროტის მომქმედი იგია, რომელიც საცა გინდა და არ გინდა, ჰქადულობს, რომ ღმერთმა შემქნა „სახითა

მის მიერითაო“. რას იზამთ? სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, „შუა უზისთ დიდი ზღვარი“.

ეს წუთისოფელი წუთიერ საყოფნელადაც არ ეღირებოდა, რომ ზოგჯერ ამ ბნელ შავეთში თითო-ოროლა შუქი სიკეთისა ხანდისხან მაინც არ გაგვიღებდეს სასოწარკვეთილებისაგან დახურულს გულს სასიხარულოდ. ეს ცხოვრება სწორედ ტანჯვა-წამება იქმნებოდა, რომ კაცმა, ამ ნაწილმა ღვთაებისამ, დიდსულოვნობის, მაღალზნეობის მაგალითებიც არ გვაჩვენოს, რათა ბოროტის ნახვითა და გაგონებით დაღალულმა და ქანცმილეულმა გულმა შეისვენოს იმ მაგალითების თბილსა და ტკბილს შუქ ქვეშ ისე, როგორც ისვენებს ხოლმე მზის სხივ ქვეშ მაშვრალი კაცი, სიცივით გაყინული და დამზრალი.

ერთი ამისთანა გასათბობი და დასატკბობი მაგალითი ამოვიკითხეთ გაზეთებიდამ, რომელნიც ამისთანა მაგალითების იშვიათობის გამო იძულებულ არიან თავი აბეზრონ მკითხველებს მარტო ადამიანის ავკაცობითა და ბოროტით, რადგანაც ერთიცა და მეორეც მეტისმეტად ხშირია ჩვენს ცოდვილს ქვეყანაში.

ნეტა უგრძვნია ვისმე — რა დიდი უბედურება უნდა იყოს ადამიანისათვის, როცა იგი დაბადებით ყრუა და ამის გამო მუნჯიც. ამას დიდი ლაპარაკი არ უნდა, საკმაოა ეს საშინელი ყოფა წარმოიდგინოს კაცმა, რომ მადლობით პირჯვარი გადაიწეროს, ღმერთმა მიხსნა და მე ეგ ჭირი არა მჭირსო. მაღალზნეობამ ადამიანისამ ეს არ იკმარა. მაგით რაო, რომ მე არა მჭირსო? საქმე ის არის, ვისაც ეგ უბედურება დაბადებითვე შემთხვევია, იმას ეგ ჭირი ცოტად თუ ბევრად მოვაცილო, მოვაშოროო. ამ მაღალზნეობამ, კაცთმოყვარებით მოვლინებულმა, ამ მხრით სწორედ სასწაული მოახდინა. იპოვა გზა და ყრუ-მუნჯს წერა-კითხვა ასწავლა და მით აზრის აღებ-მიცემობა გაუადვილა და კაცობრიობის აზრთა დენის თანამოზიარი გაჰხადა უსმენი და უენო. ამაზედ

არ გაჩერდა კაცთმოყვარეობისა და მაღალზნეობის გულმოდგინება გულშემატკივარ ადამიანისა. იგი შეეჭიდა იმ დაუჯერებელს საქმეს, რომ ბუნებითად ყრუს წერა-კითხვას გარდა ლაპარაკიც ასწავლოს. რომ აქაც გაიმარჯვა კაცთმოყვარეობამ და მისგან გაძალიანებულმა მხნეობამ, ამისი ცხადი მაგალითი შემდეგი ამბავია.

ლონდონში არის გამართული სასწავლებელი ყრუ-მუნჯთათვის. ამ დაბადებითვე გაუბედურებულ და დაჩაგრულ ბაშვებს იქ უვლიან, ჰპატრონობენ, ასწავლიან და ჰცდილობენ ქვეყანას გამოკლებულნი საბრალო ბაშვები ქვეყანაში ქვეყნის მონაწილედ გაჰხადონ, თუმცა ბედს ბაშვის ყური სმენისათვის დაუხშია და აქედამ ენასაც შეძლება დაჰკარგვია ლაპარაკისა, მაგრამ ამ სასწავლებლის გამგებელთა მხნეობას და გულმოდგინებას იქამდე მიუღწევია, რომ ლაპარაკიც უსწავლებიათ ყრუ-მუნჯთათვის. რომ ეს დაუჯერებელი ამბავი დაიჯერონ და თვალით ჰნახონ დოქტორს ელიოტს, ამ სასწავლებლის უფროსს და ოსტატს, გადაუკეთებია ერთი ტრაგედია შექსპირისა საყმაწვილოდ და ყრუ-მუნჯ ბაშვებისათვის მიუცია წარმოსადგენად. როცა მოუმზადებიათ ბაშვებს, საჯაროდ გაუმართავს წარმოდგენა. ამ წარმოდგენას დასწრებია დიდძალი ხალხი ლონდონის არჩეულის საზოგადოებისა და, სხვათა შორის, ყოფილა თვით ლორდ-მერიც თავის მეუღლით. დაბადებით ყრუ-მუნჯს ბაშვებს კარგად წარმოუდგენიათ თავ-თავისი სათამაშო, სალაპარაკოს კარგად გარკვევით ამბობდნენო და ამ თვალით ნახულმა მაგალითმა ცხადად დაამტკიცაო, რომ იმ სასწავლებელში მიღებულ წესით შესაძლოა ყრუ-მუნჯს ლაპარაკიც ასწავლონო.

ეს ხომ ასეა, ხოლო წარმოდგენა დასრულდა თუ არა, ერთი ამ პატარა მოთამაშეთაგანი გამოვიდა თურმე სცენაზე და მაყურებელთ შემდეგი უთხრა: „ჩვენი ნუგეში ის არის, რომ თქვენ ჩვენი ლაპარაკი

გაიგეთ და იმედი გვაქვს მოგვიტევებთ, რომ საკმაოდ კარგად ვერ ავასრულეთ ჩვენი სათამაშო, რადგანაც უფალმა ღმერთმა არ მოგვმადლა ჩვენ ბედნიერება ყურთა სმენისა, რომ გაგვეგონა ის, რასაც თქვენ ლაპარაკობთ". ამ სიტყვების მოსმენა და თვალში ცრემლის მორევა ერთი იყო მსმენელთათვის, იმდენად ამოუჯდათ თურმე გული თითქმის ყველას. რაღა თქმა უნდაო, ამბობს ამისი გადმომცემი გაზეთი, რომ ამ პატარა მოთამაშეებს იქ დამსწრე საზოგადოებამ ყოველგვარი სიყვარული და გულმტკივნეულობა გამოუჩინა და ყოველი ღონისძიება იხმარა იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადოება კმაყოფილი დარჩა იმათის თამაშობისა და მადლობელია მათ მიერ მიღებულ სიამოვნებისათვის.

ეს იშვიათი ამბავი ცხადი მაგალითია იმისი თუ, რამდენად შემძლებელია კაცის სიყვარულიანი გული, დაუღალავი მხნეობა, დაფიქრებული, წინდახედული მოქმედება, ზედმიწევნილ ცოდნით და გაუნელებელ გულმხურვალებით საქმის მოკიდება და კაცთმოყვარეობით გაძლიერებული ხალისი. ამისთანა მაგალითი სწორედ წალკოტია, აბიბინებული მტილია, აღყვავებული მდელოა იმ ურწყულ ქვიშიანში, რომელსაც ჩვენ საყოველდღეო ცხოვრებას ვეძახით და რომელიც დღე ყოველ ჰკვნესს და ვაებს შურისა და მტრობისაგან, ერთმანეთის წეწვისა და გლეჯისაგან.

[1890 წ.]

<ეკლესიების შემოსავალ-გასავლის საქმე>

ტფილისი, 3 თებერვალი

დიდი ხანია ისმოდა საზოგადოებასა საერთოდ და საეკკლესიო სამრევლოებში ცალკე ჩივილი, რომ ეკკლესიების შემოსავალ-გასავალი, მარტო ეგრეთწოდებულ „მნათეების“ /староста/ ხელშია და ამის გამო თუ არ ხშირად, ზოგჯერ მაინც ამ შემოსავალ-გასავალის ანგარიშში ბევრი ბოროტმოქმედობა აღმოჩენილა. ეს მით უფრო საყურადღებო საქმეა, რომ ეგ შემოსავალ-გასავალი ეკკლესიებისა როგორც მთელს იმპერიაში, ისეც ცალკე საქართველოს საეგზარხოსოში კარგა დიდს ფულს უნდა შეადგენდეს. ამ ჩივილმა, როგორც ეტყობა, უმაღლეს მთავრობამდისაც მიაღწია და უწმინდაესმა სინოდმა იცნა სიმართლე ჩივილისა და მასთან ისიცა, რომ მნათეების ხელში დარჩენა ამ შემოსავალ-გასავლისა არაფერს კეთილს არ მოასწავებს შემდეგისათვისაც. ამიტომაც ჯერ კიდევ 1880 წელს შედგენილ იქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნული იყო ეხლანდელი ეგზარხოსი საქართველოსი, ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი, რომელიც მაშინ განაგებდა ყაზანის ეპარქიას.

ამ კომისიას მინდობილი ჰქონდა ეკკლესიების შემოსავალ-გასავლის საქმე უკეთესს საფუძველზედ დაეყენებინა და იმისთანა წესი და რიგი დაედგინა, რომ ქონებას ეკკლესიებისას ზედმიწევნილი ზედამხედველობა და თვალახილებული კონტროლი ჰქონოდა. დღეს რუსეთის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამ კომისიის პროექტი, უკვე დიდი ხანი შემუშავებული და დასრულებული, ამ ახლო ხანში დანიშნულია განსახილველად სინოდში. აღიარებულია თურმე, რომ დღეს აქამომდე ეკკლესიების შემოსავალ-გასავლის საქმე იმიტომ ვერ მიდიოდა კარგად, რომ ამ საქმეს განაგებდა მარტო ერთი მნათე ეკკლესიისა და ამაში იგი არც არავის ეკითხებოდა და არც არავის ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარებოდა. ამის გამო ბოროტად მოხმარება ეკკლესიის შემოსავალ-გასავლისა ხშირი იყო, ნამეტნავად ქალაქების ეკკლესიებში.

კომისიას უპოვნია რა სამართლიანად ეს მიზეზი, დაუდგენია, რომ ყოველ ეკკლესიასთან დაარსებულ იქმნას სამრევლო საბჭო, ანუ გამგეობა და ამ გამგეობას ჩაებაროს შემოსავალ-გასავლის საქმე ეკკლესიისა და ერთობ მისი ქონება. წევრნი ამ საბჭოსი თუ გამგეობისა ამორჩეულ უნდა იყვნენ მრევლის მიერ წინადვე დანიშნულ ვადით და თავმჯდომარედ უნდა იქმნეს წინამძღვარი ეკკლესიისა. ხოლო ეკკლესიის მნათენი მარტო აღმასრულებელნი იქმნებიან ყოველ იმისი, რაც გამგეობისაგან იქმნება განჩენილი და დადგენილი. ყოველივე სახარჯო ეკკლესიის შეკეთებისა და განკარგებისა ამ საბჭოსაგან წინადვე დამტკიცებულ უნდა იქმნას და როგორც ხარჯსა, ისეც თითონ შეკეთებას, თუ განკარგებას თვალი უნდა ადევნოს იმ ცალკე წევრმა საბჭოსამ, რომელსაც ამისათვის ამოირჩევს და დანიშნავს საბჭო.

თუ ეს პროექტი კომისიისა უწმინდაესის სინოდისაგან დამტკიცდა, უეჭველია, საეკკლესიო

ქონებას რიგიანი პატრონი და მომვლელი აუჩნდება და საქმეც უკეთესად დაეწყობა, პირველ მით, რომ იგი მარტო ერთის კაცის ხელში არ იქმნება ანგარიშჩამოურთმევლად, როგორც აქამდის იყო, და მეორე მით, რომ საბჭო, როგორც რამდენისამე კაცის კრებული, ამორჩეული თვით მრევლისაგან, რაც გინდა იყოს, მაინც უკეთ განაგებს საეკკლესიო შემოსავალ-გასავლის საქმეს, თუნდ იმ ანდაზის ძალით, რომ ერთი ჭკუა კარგია და ორი უკეთესიო. სასურველია, რომ უწმინდაესმა სინოდმა დაამტკიცოს ხსენებული პროექტი და ამით წესიერს გზაზედ დააყენოს ეკკლესიების შემოსავალ-გასავლის და ერთობ ქონების საქმე.

[1890 წ.]

<მოსალოდნელი საყოველთაო აღფერა რუსეთის იმპერიაში>

ტფილისი, 6 თებერვალი

ერთი უდიდესი საჭიროება სახელმწიფოსი ის არის, რომ ზედმიწევნით და შეუცდომლად იცოდეს თავის მკვიდრთა რიცხვი. უამისოდ სახელმწიფოს არ ძალუძს არც საფინანსო ღონისძიება რამ, არც საეკონომიო ჭეშმარიტს საფუძვლზედ დაამყაროს. გარდა ამისა, ყოველივე სხვა მოქმედებაც სახელმწიფოსი, რა სფერაც გინდ აიღოთ, ასე თუ ისე დამოკიდებულია მკვიდრთა რიცხვის მეტნაკლებობაზე. ნამეტნავად ეს ამისთანა ცოდნა აუცილებელ საჭიროებად გაჰხადა მას შემდეგ, რაკი ქვეყნის საყოველთაო გარემოებამ წინ წამოაყენა საყოველთაო სამხედრო ბეგარა, რომლის სამართლიანად განაწილება და თანასწორებით განფენა მკვიდრთა შორის ერთს უპირველესს მოვალეობას შეადგენს ყოველის კეთილად განწყობილ სახელმწიფოსას.

დიდი ხანია რუსეთში სამდურავი ისმოდა, რომ ეს მკვიდრთა აღრიცხვის საქმე ვერ არის თავის შესაფერს რიგსა და წესზედ დაყენებული და თითონ მკვიდრთა რიცხვიც არ არის ბეჯითად და გუნებიერად გამორკეული. ამის გამო ბევრი უნებური ცდომა, უნებური უმართლობა თავს იჩენდა და ეს მით

უფრო საგრძნობელი იყო, რომ თითქმის ყოველი საქმე სახელმწიფოსი ასე თუ ისე მკვიდრთა მეტ-ნაკლებობას უნდა შეეფეროს და შეეწონოს. ეს სამდურავი უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაკი შემოღებულ იქმნა საყოველთაო სამხედრო ბეგარა, იმიტომ რომ ჭეშმარიტი გამორკვევა მკვიდრთა რიცხვის მეტ-ნაკლებობისა აქ თავი და თავი საგანია. უამისოდ აქ კაცი ერთს ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს ისე, რომ არ შესცდეს და უნებური უმართლობა არ ჩაიდინოს.

რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ნაკლი ამ დიდის საქმისა, როგორც მკვიდრთა აღრიცხვაა, უმაღლეს მთავრობისაგან უკვე შენიშნულია და მთავრობა შესდგომია კიდეც მის აცილებას. საფინანსო და შინა საქმეთა მინისტრები ერთმანეთში მორიგებულან მასზე, რომ არა უგვიანეს ამა წლისა, ანუ 1891 წ. დასაწყისისა, მოჰხდეს საყოველთაო აღწერა მკვიდრთა მთელს იმპერიაში. ეხლა თურმე უკვე შემზადებულია ყოველივე, რაც კი საჭიროა, რომ ეგ აღწერა შესრულდეს ახალის წესითა და რიგით. საფუძვლად არის მიღებული აღირიცხონ მკვიდრნი დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, განურჩევლად რჯულისა, წოდებისა და ხარისხისა, და მას შემდეგ დადგენილ იქმნას მართალს საფუძვლზე მუდამი რეგისტრაცია მკვიდრთა რიცხვისა. ეხლანდელი საოჯახო სიები, სამხედრო ბეგარისათვის შედგენილი, შეიმოწმება, შესწორდება და, საცა საჭიროება მოითხოვს, შეივსება. ამის სახარჯოდ გადადებულია ორმილიონნახევარი მანეთი. პროექტი ამ ახალის წესდებისა ამ ახლო ხანში შეტანილ იქმნება სახელმწიფო საბჭოში გასარჩევად.

[1890 წ.]



<ახალი კანონპროექტი „უკანონოდ“ ზო-ბილთათვის>

ტფილისი, 8 თებერვალი

ყველას, დიდია თუ პატარა, გაგონილი აქვს, რომ ერთის დანაშაული, თუ შეცდომა, მეორისათვის გადასახდელი არ არის, და ამ შემთხვევაში შედეგი ცდომისა, თუ ცოდვისა არასგზით არ უნდა მოეხვიოს კისერზე უცდომელსა და უცოდველსა, რაც გინდ მახლობელი იყოს ცდომილისა და ცოდვილისა. ვიმეორებთ, ეს ძირეული კანონი მჯავრდადების სამართლიანობისა დიდმა და პატარამ იცის დღეს, მაგრამ ძნელად იპოვით იმისთანა ქვეყქნას, საცა ეს ძირეული კანონი არ ირღვევოდეს და ცოდვა, თუ ცდომა ერთისა მთელის თავის შედეგით საზღავად არ გახდენოდეს მეორეს. ამის აშკარა მაგალითებს თითქმის ყოველ დღე ვხედავთ. აი ერთი ამისთანა მაგალითი, საცა ეგ უსამართლობა მეტისმეტად აშკარაა, მეტისმეტად საგრძნობია და თვალით დასანახი.

წარმოიდგინეთ შვილები ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმრისა, რა ყოფაში სცვივიან და რა საშინელს გადასახადს ჰხდილობენ მარტო იმის გამო, რომ დაბადებულან სულითა და გულით შეუღლებულთაგან მაშინ, როცა მათი დედ-მამა ჯერ ჯვარდაუწერელნი არიან. არამც თუ კანონი სჯის ქორწინების გარეთ

გაჩენილებს მით, რომ დედ-მამის სახელსა და გვარს არ აღირსებს ხოლმე და დედ-მამის ქონებაზედაც ხელს აღებინებს, არამედ თვით საზოგადოებაცა, რომელიც აგრე უბედურად გაჩენილს სტუქსავს საცა კი მოასწრობს და სამარცხვინო დაღით ჰმოსავს, სამარცხვინო სახელით იხსენიებს და ერიდება, თითქო რაღაც რამ უწმინდურია და ჩირქიანიო. სიცოცხლე ამისთანა საცოდავისა გაჩენის დღიდამ სიკვდილის დღემდე მოწამლულია, ჩირქმოცხებული და წარმოადგენს ერთს განუწყვეტელს წამებას, ტანჯვას სულიერად და ხორციელად. სული რადა? იმისათვის რომ მისი დედ-მამა შესცდნენ და თავის დროზე ჯვარი არ დაიწერეს, თუნდ ერთმანეთის სიყვარულით აღსავსენიც იყვნენ და ყოველი პატიოსნებით მოსილნი.

ჩვენ იმას არ გამოვუდგებით, ამისთანა საქციელი დედ-მამისა მართლა ცოდვაა თუ არა და თუნდ რომ ცოდვაც იყოს, ჩვენ მარტო ის გვაკვირებს, შვილებისა რა გადასახადია. მართალია, ამ ცოდვას თუ ცდომას შვილების ციმბირში გადაკარგვა არ მოსდევს, ანუ სხვარიგი დასჯა, სასისხლო სამართალში განჩენილი, მაგრამ ყველა სასჯელზე უარესია იგი ზნეობური წამება და წვალება, რომელიც აუცილებლად თანასდევს საფლავის კარამდის ჯვარდაუწერელ დედ-მამის შვილებს.

კიდევ ვიკითხავთ: რისთვის? შვილები აქ რა შუაში არიან? აშკარაა, აქ ერთის მხრით სცდება კანონი, რომელიც თუ არ სდევნის ეგრეთწოდებულ „უკანონოდ შობილს“, სჩაგრავს ხომ, რადგანაც დედ-მამის სახელსაც კი ართმევს და არაფერს წილს არ უდებს დედ-მამის მემკვიდრეობაში; სცდება თვითონ საზოგადოებაც, რომელსაც ერთხელ და ერთხელ გაზეპირებული ანაბანა ცრუდ მიჩნეულის ზნეობისა აკერია ენაზე და ამის ძალით სრულიად უცოდველს, სრულიად უბრალოს კაცს სამარცხვინო ბეჭედს სცემს შუბლზე, თითქო მართლა მისი ბრალი იყოს,

რომ ქვეყანაზედ ,,უკანონოდ" გაჩნდა და ნებადაურთველად დაიბადა.

დიდი ხანია დადიოდა ხმა რუსეთში, რომ ამისთანა უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს და აი ეხლა გაზეთები გვაცნობებენ, რომ მთავრობა შესდგომია შესცვალოს ამ შემთხვევისათვის არსებული კანონი და დედ-მამის გზა და სახსარი მისცეს თავისი ღვიძლი შვილი შვილად გაიხადოს. ხმა დადის, ვითომც იუსტიციის მინისტრს უკვე ხელი მიუყვია ამ საქმისათვის და შეუდგენია პროექტი ახალის კანონისა, რომლის ძალითაც ,,უკანონოდ" შობილნი კანონიერ შვილებად შესაძლოა ჩარიცხულ იქმნენ. ჯერ დაწვრილებით ეს ახალი კანონი არავინ იცის, ხოლო ზოგადი აზრი ცვლილებისა კი შემდეგი არისო, ამბობენ გაზეთები.

შვილები, დაბადებულნი ქორწინების წინათ იმ დედ-მამისაგან, რომელნიც მერე დაიწერენ ჯვარს, კანონიერ შვილებად იცნობებიან მაშინვე, რაკი მისი მშობლები გვირგვინს იკურთხებენ. ამისათვის საჭიროა მარტო ის, რომ ჯვარის წერის დროს გამოაცხადონ მშობლებმა, რომ ჩვენი შვილია და გვსურს ყოველივე უფლება კანონიერ შვილობისა მივანიჭოთო. ეს ამ წესით უნდა შესრულდეს" ,,დაბადების მოწმობაში" (метрическое свидетельство) დედ-მამამ უნდა ჩასწერონ დაბადება შვილისა და ის, რომ იგი მათგან შობილია და ხელი მოაწერონ. ეს ხელისმოწერა უნდა შეამოწმონ იმათ, ვინც დამსწრენი და მოწამენი არიან ქორწინებისა და ქორწინების აღმსრულებელმაც მღვდელმა, და ამის შემდეგ ესრედ შედგენილი ხელწერილი ,,დაბადების წიგნში" (метрическая книга) გადაიწერება. მოწმობაში, რომელიც ბოლოს მიეცემათ ამ ,,დაბადების წიგნიდამ", არ უნდა მოხსენებულ იქმნას, რომ ბაშვი ,,უკანონოდ" გაჩენილია.

თუ ვისაც ჰსურს ქორწინების შემდეგ კანონიერ შვილად ჩაარიცხვინოს "უკანონოდ" ქორწინებამდე

გაჩენილი შვილი, იმისათვის ეს წესია განჩენილი თურმე. თხოვნა უნდა შეიტანოს ამისათვის ოლქის სასამართლოში იქ, საცა ქმარი სცხოვრობს, და ამასთან წარდგენილ უნდა იქმნას შვილის დაბადებისა და ჯვარისწერის მოწმობა. სასამართლო, რაკი დარწმუნდება, რომ დედ-მამა მართლა ჯვარდაწერილნი არიან და შვილი სწორედ იმისაგანა ჰყავს ქმარს, ვისზედაც მერე ჯვარი დაუწერია, დაადგენს განაჩენს მასზედ, რომ შვილი კანონიერ შვილად ცნობილი იყოს, მთხოვნელს ამისი მოწმობა მიეცემა და ამ მოწმობის ძალით კანონიერობა შვილისა დაინიშნება „დაბადების წიგნში“.

ჩვენც ვიტყვით ყოველ ამის მაუწყებელ გაზეთთან ერთად, რომ ეს ახალი კანონი სწორედ ღირსია ყოველგვარის თანაგრძნობისა, ნამეტნავად იმ მხრით, რომ გზა „უკანონო“ შვილის კანონიერად გახდომისა დახლართული არ არის, მარტივია, დაუბრკოლებელი და ადვილად გასავლელი. ესეც დიდი საქმეა.

[1890 წ.]

<სოფლად ხარჯის მოკრების და მისი შენახვის ნაკლი>

ტფილისი, 20 თებერვალი

ერთი დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის მოწყობილობისა ის არის, რომ არავითარი განსაზღვრული წესი და რიგი არ არსებობს შესახებ ხარჯის მოკრებისა და ჯეროვან ადგილას მიტანისა. გლეხკაცობა იხდის, მაგალითებრ, „ფოსტის ფულს“, შეაქვს განაჩენებით დადებული პური პურის მაღაზიებში, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე ზოგიერთი ნაწილი „ფოსტის ფულისა“ შეტანილი არ არის და ეგრეთწოდებულ „ნედოიმკად“ მიწერილი აქვთ და მაღაზიებშიაც პური არ არის, როცა გაჭირებული გლეხი მაღაზიას მიადგება ხოლმე. მხოლოდ ამისთანა შემთხვევაში ასტყდება ხოლმე სოფლობაში ერთი ჩოჩქოლი, ერთი ყაყანი, ჩივილი და ყვირილი. „კაცო, აკი მთლად მოვაგროვეთ „ფოსტის ფული“ და ეს „ნედოიმკა“ საიდამღა გამოტყვრაო“? იძახიან საწყლები, „აკი პური მაღაზიაში თავისი ხვედრი ყველას შეგვაქვსო და სად დაიღუპა ამოდენა პურიო“?

გამოიწვევენ მოედანზედ საპასუხოდ ფოსტის ფულის ამკრებს, ნაცვალს, მამასახლისს, პურის მაღაზიის გამგეს, რომელსაც გლეხნი „ამბარდანს“ ეძახიან. ამ მოხელეთა პასუხი ყველგან ერთი და იგივეა: ჩვენ რა ვიცით? იტყვიან ხოლმე „ფოსტის

ფულის“ საქმეთა მოხელენი: „რაც ჩავიბარეთ, ჩვენც ის ჩავაბარეთ ხაზინას და, აი დალახვრა ღმერთმა, აკი „ნედოიმკა“ არ შემოუწერიათო“. ამბარდანსაც მზადა აქვს პასუხი: „ჯარო და ჯამათო, პური რომ შემოდის, გადის კიდეც. უფრო ბევრი ჰფუჭდება, ზოგს თაგვი სჭამს, ზოგს რა ახდენს და ზოგს რა“.

რა თქმა უნდა, აქ მართალი და ტყუილი ადვილად გამოსარკვევია, რომ ან ერთს მხარეს, ან მეორეს ხელში საბუთი ჰქონდეს, რაიმე წესით და რიგით სავალდებულოდ დადგენილი. ჭირი ის არის, რომ საწყალი გლეხკაცობა ამ შემთხვევაში უწესოების გამო იძულებულია მარტო ნდობას დაემყაროს და ხშირად ეს ბრმა ნდობაა მიზეზი, რომ გლეხებს ხელმეორედ გადახდება ხოლმე ერთხელ გადახდილი ფოსტის ფული. ეგევე ნდობა მოქმედობს მაღაზიის პურის შემოსავალ-გასავალშიაც.

იყო ერთი დრო და რამდენსამე წელიწადს ზედიზედ გლეხკაცობას გაუწყვეტლივ შეჰქონდა მხვედრი პური სოფლის მაღაზიაში გაჭირებაში მოსახმარად და ხელის გასამართავად. თითო-ოროლა გლეხთა საზოგადოება დღე-საც ეზიდება მხვედრს პურს სოფლის მაღაზიაში, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა, ბევრს მაღაზიას ვერ იპოვით იმისთანას, რომ პური შეჭმული და გაფლანგული არ იყოს. ძნელად დაუჯერებელია, რაოდენი სიმდიდრე უნდა დაღუპულ იყოს დღევანდლამდე ამ სახით.

ეს თვრამეტ-ცხრამეტი წელიწადია, რაც განსვენებულ არლოვსკის გუბერნატორობის დროს ტფილისის გუბერნიის გლეხთა საზოგადოებათა სასოფლო განაჩენი დაადგინეს, რომ ყოველწლივ სულზედ ერთი ფუთი და ნახევარი შეიტანონ თავ-თავის მაღაზიაში. ანგარიშში ჩასათვლელია მარტო სული მამაკაცისა, რადგანაც ასე იყო დადგენილი გლეხთა განაჩენებში. პირველ ხანებში სოფელი, საპოლი-ციო მოხელეობა ძალიან ბეჯითად თვალს ადევნებდა და ყოველ კანონიერ ღონისძიებას

ჰხმარობდა, რომ გლეხთა განაჩენით დადებული პური ყველას შეეტანა უნაკლოდ. ე-რე, რასაკვირველია, ამ საქმეს ცოტად თუ ბევრად გაუგ-რილდნენ და რაკი მთავრობა ბევრს აღარას დასდევდა, ბევრმა სოფლის საზოგადოებამაც ყური მოიყრუა და შესწყვიტა პურის მიტანა მაღაზიაში. ზოგი სოფლის საზოგადოება კი დღევანდლამდე ასრულებს თავის განაჩენს.

ადვილად წარმოსადგენია, რა დიდძალი სიმდიდრე, ხორბლად თუ ფულად, ექნებოდა ტფილისის გუბერნიას, რომ გლეხობას დღეს ადგილას ჰქონდეს ყოველივე ის, რაც ამ თვრამეტ-ცხრამეტს წელიწადში მოგროვებულა, ან მოგროვდებოდა, რომ როგორც მოგროვებას, ისეც მოგრო-ვილის შენახვასა და პატრონობას ბეჯითი ზედამხედველობა ჰქონებოდა, ბეჯითი ანგარიშის ჩამომრთმევი ჰყოლებოდა. ტფილისის გუბერნიაში სულ ოთხას ორმოცდაშვიდი ათასზე მეტი მამაკაცი ითვლება. ამ თვრამეტ-ცხრამეტ წელიწადში რომ ამის ნახევარს მაინც თითო ფუთი და ნახევარი შეეტანა მაღაზიაში, წელიწადში სამას ოცდახუთმეტი ათას ფუთამდე პური შესდგებოდა და თვრამეტ წელიწადში — თვრამეტჯერ ამაზე მეტი, ანუ 6 300 000 ფუთი პური. ერთმანეთზე რომ ფუთი ათ შაურად ვიანგარიშოთ, დღეს ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობას სამს მილიონზე მეტი ფული ექმნებოდა, ხუმრობაა!...

დღეს თითო-ოროლა გლეხთა საზოგადოებას თუ აქვს ცოტაოდენი პური და ფული, მოგროვილის პურის გაყიდ-ვით შემდგარი, თორემ სხვა საზოგადოებანი ცარიელზე სხედან, რადგანაც მაღაზიებში აღარც პური აქვთ და არც ანგარიშიღა იციან ვინ რამდენი შეიტანა, ვინ რამდენი გაიტანა და ნარჩენი სად და როგორ დაიკარგა. მარტო ორი საზოგადოება ვიცით, ერთი ახალქალაქისა და მეორე სიღნაღის მაზრისა, საცა თურმე პურიცა აქვთ მოგროვილი და გაყიდულის პურის ნაღდი ფულიც.

ფულად ახალქალა-ქისას აქვს თურმე ორი ათას სამასი თუმანი და სიღ-ნაღისას ორი ათასი თუმანი. წარმოიდგინეთ, რა დიდძალი სიმდიდრეა გაჩანაგებული, თუ მთელის გუბერნიის გლეხკაცობის ავლადიდება ამაზე მეტი არ აღმოჩნდა და თუ ამასთან გლეხკაცობა იხდიდა ყოველწლივ იმის ნახე-ვარს მაინც, რაც თვითვე განაჩენით ჰქონდა განწესებული.

ჩვენ სარწმუნო კაცთაგან შევიტყეთ, რომ ბ-ნ გუბერ-ნატორის თ. შარვაშიძის თაოსნობით ამ პურის მაღაზიების საქმეს დღეს ბეჯითი ყურადღება აქვს მიქცეული მთავ-რობისაგან. მიწერილი აქვთ მაზრის უფროსებს, რაოდენა-დაც შესაძლებელია, ცნობაში მოიყვანონ სად რამდენი პური უნდა ყოფილიყო მოგროვილი, სად არის ეხლა ეგ პური და ვის ხელში გაუვლია. უეჭველია, ამ გზით, თუ სულ არა, ბევრი წილი პური აღმოჩნდება და მასთან ერთად აღმოჩნ-დება ისიც, ვისაც უნდა მისი ანგარიში მოეთხოვოს. გამოვა რამე აქედამ, თუ არ გამოვა, ამას დრო და მეცადინეობა მთავრობისა გამოაჩენს. ხოლო სასიხარულო ეს არის, რომ ბ-ნს გუბერნატორს განუზრახავს ეს პურის საქმე სამერ-მისოდ ისე მოაწყოს, რომ გლეხკაცობას არა ეკარგებოდეს რა და როგორც თვით მოგროვებასა და მოკრებას პურისას, ისეც მის შემოსავალ-გასავალს, მის შენახვასა და პატ-რონობას ზედმიწევნილი და ფრთხილი ზედამხედველობა აუჩინოს. ამბობენ, სხვათა შორის, დიდებული იქნება, რომ გლეხთაგან მოგროვილ პურისაგან გაყიდოს იმდენი, რაც ერთის წლის განმავლობაში საკმაო იქნება გასწვდეს გლეხთა საჭიროებას და ამაზე მეტი ფულად იქცევა და თვითვეულ ცალკე გლეხთა საზოგადოების საკუთარ თავნად /კაპიტალად/ ჩაითვლება საზოგადო საჭიროებისათვის მოსახმარად, გლეხთა მიერვე წარდგენილობითა.

დიდი ჩაფიქრება არ უნდა, რომ კაცმა დაინახოს რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ რიგად დაწყობილს

და გარიგებულს საქმეს ჩვენის სოფლის პურის მაღაზიებისას. კაცი ეხლა ვერ წარმოიდგენს იმ მრავალგვარს სიკეთესა და სარგებლობას, რასაც ესე განგებული საქმე მოასწავებს ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობისათვის, თუ ეს საქმე კარგად დაეწყო და ყოველი ლიტრა პური, გლეხკაცობისაგან მაღაზიაში შეტანილი თავის ადგილას დარჩა გაუფლანგავად და თუ ამასთან მოჭარბებული პური ფულად იქცა და გლეხთა მიერვე აღნიშნულ საზოგადო საჭიროებას მოხმარდა. ამას მრავალგვარი სიკეთე მოსდევს ზნეობური თუ ეკონომიური და ჩვენ მარტო ისღა დაგვრჩენია ვინატროთ, რომ წესდება, ამის შესახები, სრულ იქმნას და გარდა ამისა შეფერებულ და შეწონილ იყოს ჩვენებურ გლეხთა ავკარგიანობასთან და სოფლის გარემოცულობასა და გარემოებასთან.

[1890 წ.]

<მუშა ხალხის საქმე გერმანიაში>

ტფილისი, 22 თებერვალი

მუშა ხალხის საქმემ, რომელიც გერმანიის იმპერატორმა ისე გაბედულად ითავა და რომელმაც გერმანიის არჩევანებზე დიდი ძალი და შემძლებელობა გამოიჩინა, მთელის ევროპის ყურადღება მიიზიდა. ნამეტნავად დიდად შესამჩნევია, რომ აწინდელს არჩევანებზე სოციალ-დემოკრატებმა მეტისმეტად გაიმარჯვეს და ამასთან გაიმარჯვა ეგრეთწოდებულ „თავისუფალ მზრახვთა“ დასმაც. ეს ორი დასი ეხლანდელ წყობილებას გერმანიისას არ იშვნევს, არ იფერებს და მაშასადამე მოურიგებელად წინააღმდეგია ეხლანდელის იქაურ მთავრობისაცა, რომელიც ამ წყობილებას ცოტად თუ ბევრად ხელს აფარებს და უფრთხილდება. დღეს ამ ორს გაძლიერებულსა და მოირიგებელს დასს გერმანიის პარლამენტში ეყოლება ასსამდე დეპუტატი, რომელთ შორის ორმოცამდე მარტო სოციალ-დემოკრატია. ეს ასეთი რიცხვია, რომ ბევრს დიპლომატსა და პოლიტიკოსს დიდს საგონებელში ჩააგდებს იმის შესახებ, რომ გერმანიას შინ დიდი სადავიდარაბო საქმე აღმოუჩნდება და ვინ იცის რა გამოვა და რას მოუვლენს გერმანიას, თუ არ გაუფრთხილდნენ და რიგიანად არ მოექცნენ. ბირჟამ, რომელსაც საპოლიტიკო ბარომეტრობას სწამებენ, უკვე გამოამჟღავნა თავისი შიში და

საფასურ ქაღალდების ფასი უკვე ძირს დასწია კიდეც.

თავისუფლად მზრახავთა და ნამეტნავად სოციალ-დემოკრატთა გაძლიერება გერმანიის რეიხსტაგში მოასწავებს მუშა ხალხის საქმეთა წამოდუღებას და ეს ასეთი ფხიანი და ეკლიანი საქმეა, ასეთი რთულად გამჯდარი სახელმწიფოს ძვალსა და რბილში, ასე დამოკიდებულია თვით ყოველფერზე და ყოველიფერი იმაზე, რომ ბევრრიგად მოვლა და პატრონობა უნდა, ბევრრიგად ანგარიშის გაწევა და გაძღოლა.

მართალია, გერმანიის იმპერატორი მიუხვდა დროთა მეტყველებას და ამ მუშა ხალხის საქმეს თავისი ძლიერი ხელი ჩასჭიდა და აქამომდე ცალკე, საშინაო საქმედ ცნობილი, მთელის ევროპის საქმედ გაჰხადა, მაგრამ ჯერ არვინ იცის ეს თაოსნობა ახალგაზდა იმპერატორისა შედეგად რას იქონიებს. არც ჩვენ გამოვუდგებით ამის გამოცნობას. ჩვენ მხოლოდ გვსურს ვითარება ამ საქმისა მოკლედ გამოვარკვიოთ, ხოლო იმოდენად კი, რომ ხელთ გვქონდეს ამ საქმის ბუნებური მეტნაკლებობა წინ გასაძღოლად.

ყველაზე უწინარეს სათქმელი ეს არის, რომ მუშა ხალხთა საქმე ორ დიდ ნაწილისაგან შესდგება. ერთი ნაწილი მთლად ექვემდებარება თითოეულს სახელმწიფოს ცალკე, თითოეულის ცალკე მეცადინეობით გასაძღოლია და გასამართავი და მეორე ნაწილი იმისთანა თვისებისაა, რომ ყველა სახელმწიფოსათვის ერთნაირად საფიქრებელია და უერთმანეთოდ მისი გაძღოლა და გამართვა, ჩვენის ფიქრით, ყოვლად შეუძლებელია. აი სწორედ ამ მხრით გაგებულმა საქმემ მიაღწია დღეს იქამდე, რომ გერმანიის იმპერატორმა საევროპო საქმედ იცნა დღეს აქამომდე საშინაო საქმედ ცნობილი.

უმთავრესი ძარღვი მუშა ხალხის საქმისა იგია, რომ სამუშაო დღე შემოკლებულ იყოს და ფასი მუშისა გადიდდეს. სხვა კიდევ ბევრი წყურვილია და

სურვილი, მაგალითებრ, სახელმწიფომ თუ საზოგადოებამ უთავდებოს მუშას, ან სახსარი გაუჩინოს, თუ ვინიცობაა მუშა კაცი ან ქვეშაგებად ჩავარდა, ან ისე დაუძლურდა, ან ისე დაჰშავდა, რომ მუშაობა აღარ შეუძლიან და მებრვე სხვა. აქედამ ცხადია, რომ თავდებობა შემწეობისა, თუ მუშას რაიმე უბედურება ეწვია, ყოველს სახელმწიფოს ცალკე შეუძლიან აღმოუჩინოს მუშას. აქ ურთიერთობა სახელმწიფოებისა არაფერს შუაშია. სულ სხვაა, როცა სიტყვა ჩამოვარდება სამუშაო დღის დაკლებასა და მუშის ფასის მომატებაზე. ეს ორი უდიდესი და უსაჭიროესი საგანი ერთგან ისე ვერ გამოირკვევა, ვერ გაიმართება, რომ მეორეგან საგრძნობელი არ იყოს.

ვსთქვათ, მაგალითებრ საფრანგეთში საჭიროდ დაინახეს, რომ სამუშაო დღე რვა საათზე ჩამოახდინონ, ესე იგი, რვა საათზე მეტი დღეში მუშა არ ამუშავონ და ამასთან ფასი მუშისა, ვსთქვათ, მეტი გააჩინეს. საფრანგეთს ძალიანაც რომ ჰსურდეს ასე მოაწყოს საქმე, ვერ შესძლებს ამის ქმნას, თუ მეზობელი სახელმწიფონიც ამასვე არ იქმონენ იმიტომ, რომ ამ გზით საქონელი, რომელიც მუშის ხელით კეთდება, ძვირად დაუჯდება საფრანგეთს იმ მიზეზით, რომ იქ მუშა ცოტა ხანს იმუშავებს და დიდ ფასს მოითხოვს, მაშინ როდესაც სხვაგან ბევრს ხანს მუშაობს და ნაკლებ ფასს სჯერდება. ძვირად დამჯდარი საქონელი საფრანგეთისა ვეღარ გაუწევს ცილობას საქვეყნო ბაზრის მოედანზე, თუ სხვა სახელმწიფონი საფრანგეთზე მეტს ხანს ამუშავებენ მუშას და ნაკლებ ფასს მისცემენ სამუშაოში.

თქმა არ უნდა, რომ აქ ბევრი სხვა ეკონომიური გარემოებაც თითოეულის სახელმწიფოსი არის სახეში მისაღები, რადგანაც ეგ გარემოებანი ასე თუ ისე მოქმედობენ სამუშაო ხანისა და ფასის მეტ-ნაკლებობაზე, მაგრამ ვერავინ ვერ იტყვის, რომ ამ მხრით ეს საქმე უფრო ბევრად დამოკიდებული არ

იყოს სახელმწიფოების ურთიერთობაზედაც. უერთმანეთოდ ამ მხრით საქმის გასწორება და წარმართვა ყოვლად შეუძლებელია და აი რის გამოა საყურადღებო გერმანიის იმპერატორის მეცადინეობა, რომ ეგ საქმე საყოველთაოდ გაირჩეს და საყოველთაო ღონისძიებით გარიგდეს.

თუ გერმანიის იმპერატორის სურვილმა თავი დაიჭირა და ევროპამ მუშა ხალხის საქმე საყოველთაო საზრუნველად გაჰხადა, უეჭველია ამას ერთი დიდი საქმე კიდევ თან მოჰყვება. დიდად ძნელია დაკვირვებულმა კაცმა ეს საქმე დღევანდელ ყოფაცხოვრებას სახელმწიფოებისას არ შეუწონოს. შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინიოს განკარგება მდაბიო ხალხის მდგომარეობისა, შეუძლებელია კაცმა კეთილდღეობა და მაძღრობა მუშა ხალხისა გამოისახოს, როცა ევროპა თავიდამ ფეხებამდე შეიარაღებულია, როცა იგი იძულებულია დიდძალი მხედრობა ინახოს და ჰკვებოს. ამ შეიარაღებასა და ჯარების გაბრწყინვალებასა და გაძლიერებას დიდძალი ხარჯი მოსდევს. ეს ხარჯი, რომელსაც ხალხი იხდის დღეს, აბევრკეცებს სამწუხარო ყოფას ხარჯის მხდელ ხალხისას საერთოდ და მუშისას ცალკე. შეუძლებელია სახელმწიფომ დიდი და ბრწყინვალე მხედრობა იყოლიოს უიმისოდ, რომ ხალხს მუხლი ცხორებისა არ მოსჭრას ხარჯის სიდიდის მძიმე უღელქვეშ. არ შეიძლება ერთის მხრით ეგ დიდძალი მხედრობა იყოს და მეორეს მხრით არ იყოს სიღარიბე და სიღატაკე.

სიღარიბემ, სიღატაკემ, უილაჯობამ გამოიწვია მუშა ხალხის საქმე, რადგანაც ამისი თავიდათავი მიზეზი იმაშია, რომ მდაბიო ხალხი საერთოდ და მუშა ცალკე, მხედრობის გამო განჩენილს ხარჯს ვეღარ გასწვდენია და ამ ხარჯისაგან დღიურ საზრდოებისათვის ბევრი ვეღარა რა გადაურჩენია, აშკარაა კეთილგონიერება და დამჯდარი ჭკუა ევროპისა გერმანიის იმპერატორის მიერ განზრახულ

კონფერენციაზე პირველ ყოვლისა წამოაყენებს მხედრობის შემცირებისა და თოფ-იარაღის აყრის საქმეს ევროპაში. ჯერ ეხლაც ბელგიის პარლამენტში, როცა ამ კონფერენციიის გამო ლაპარაკი ჩამოუგდიათ, ერთს სენატორს ეს თოფ-იარაღის აყრა აუცილებელ საჭიროებად დაუნახავს და ამის გამო სიტყვაც წარმოუთქვამს.

არ ვიცით, რამოდენად იამება იმპერატორს ვილჰელმს, თუ მის მიერ წამომდგარმა მუშა ხალხის საქმემ ჯარების დათხოვნასა და თოფ-იარაღის დაყრას ფეხი ადგმევინა კონფერენციაზედ. ეს, ჩვენი ფიქრით, უეჭველად მოხდება და ამიტომაც საფიქრებელია, ვაი თუ ამის გამო ვილჰელმი გაუგრილდეს მუშა ხალხის საქმეს, რომელსაც ასე მხურვალედ ხელი მოჰკიდა. არავინ არ იმედოვნებს, რომ გერმანიის იმპერატორმა იყაბულოს ჯარების დათხოვნა და იარაღის აყრა, რადგანაც ყველამ იცის, რომ სული და გული იმპერატორისა ჯერ ხანად მაინც, მხედრობის ძლიერებასა და ბრწყინვალებას ეტრფის.

თუ ეს მხედრობის შემცირება და იარაღის აყრა არ მოხდა, ძნელად საფიქრებელია, რომ მუშა ხალხს ბევრი რამ ეშველოს, თუნდაც სამუშაო დრო შეუმცირონ და ფასი მოუმატონ. ამ დიდძალს მხედრობას და მის გაბრწყინვალებით ყოფნას დიდძალივე ხარჯი უნდა და ეს ხარჯი, — რაც გინდ იყოს, — მეტს წილს შეძლებისას მდაბიო ხალხისას წაიღებს და ამ ხარჯის სიმძიმისაგან მაინც იმოდენა შეღავათით ვერ ამოისუნთქავს, რამოდენადაც სასურველია და რამოდენასაც სამართალი და კაცთმოყვარეობა ითხოვს.

[1890 წ.]

<კალიასთან ბრძოლის აუცილებლობა>

ტფილისი, 24 თებერვალი

შარშანდელმა წელიწადმა თითქმის სრულად მოიდნო პურისა და ღვინის მოსავალი ჩვენში. დაჟინებულმა წვიმებმა, გაზაფხულიდამ დაწყებული ყანების გაჭრამდე, მთელი ანეულები ააბალახა, აოდა და თუ სადმე თავთავი შეარჩინა იქაც იმოდენა გორველა მოურია, რომ მარცვალი და გორველა ერთმანეთს თითქმის უნახევრებდა. რასაკვირველია, ამ წვიმებმა ცოტად თუ ბევრად არგო გაზაფხულის ნათესობას, — სიმინდსა და ფეტვს, — და ამათ რომ თავი არ დაეჭირათ, თქვენი მტერი იქნებოდა, რაც საქმე ჩვენ დაგვემართებოდა: შიმშილს არასგზით არ ასცილდებოდა ჩვენებური გლეხკაცობა, რომელსაც არც იმოდენა მოსავალი მოუვიდა სიმინდისა და ფეტვისა, რომ წლის თავამდე გაჰყვეს.

შარშანდელმა წელიწადმა რაც თავისით ჩაგვცხო, ხომ ჩაგვცხო, მაგრამ ეს არ გვაკმარა და ამ ახალს წელიწადსაც ზოგი ისეთი რამ უანდერძა და დაავალა, რომ არც ამ წლისაგან უნდა მოველოდდეთ ბევრს კარგს. ღვინის მოსავლისა ჯერ არ ვიცით რამოდენად შემოგვიტევს ეს მრვალგვარი სენი ვაზისა და რამოდენად დაგვაკლებს, პურისა და ქერის მოსავალს კი ზედ დასტრიალებს მუქარა განადგურებისა. შარშან კალიამ ბევრს ადგილას დასდვა კვერცხი და თუ

თავის დროზე არა ეშველა რა ამ მხრით ჩვენს ქვეყანას, წლევანდელი მოსავალიც ხელიდამ წაგვივა და ხალხი ულუკმაპუროდ დაგვრჩება.

მთავრობა, როგორც ნამდვილად ვიცით, უკვე უწყებულია, რომ ეს შიში მოგველის და დღეს მიწერ-მოწერაა გამართული მასზედ თუ რა ღონისძიება და ხარჯია საჭირო, რომ ეხლავ, მინამ კალია არ გამოჩენილა, შეუდგნენ, კალიის კვერცხი მონახონ, მოჰკრიბონ და დასწვან. ჯერ კვერცხობაშივე გაჟლეტა კალიისა შესაძლებელია მარტო მარტსა და აპრილში, თორემ რაკი სითბოები დადგება, მაშინ კალია ჩეკას დაიწყებს და ჯაფა, გარჯა და ხარჯი ერთიორად, ერთისამად მეტი მოუნდება. აქ დაგვიანება მეტისმეტად გაძნელებაა საქმისა და ამიტომ სასურველია, რაც შეიძლება მალე შეუდგნენ.

რა დიდძალს კალიას უნდა მოველოდდეთ, ეს იქიდამა სჩანს, რომ მარტო ტფილისის გუბერნიაში სამი ათას ხუთას დღიურზე სხვადასხვა ადგილას შენიშნულია კალიას აუარებელი კვერცხი, ხოლო ამაში ათასი დღიური იმისთანაა, რომ იქაც ვარაუდობენ კალიის კვერცხსა და ნამდვილად კი არ იციან. აბა იფიქრეთ, ამოდენა სივრცეზედ დადებული კვერცხი რა უთვალავს კალიას გააჩენს და რამოდენა უბედურებას მოუვლენს ჯერ მარტო ტფილისის გუბერნიას. არის აგრეთვე შენიშნული კალია განჯის გუბერნიაშიაც, იმ ადგილას, რომელსაც ჯეირანჩელს ეძახიან და რომელიც ახლოა სიღნაღის მაზრაზე.

ტფილისის გუბერნიაში კალიამ შარშან დასდვა კვერცხი ბორჩალოში თ. ორბელიანებისა და დემურჩალელების მამულში და უჭირავს ათასის დღის მიწა. აქ შარშანვე დაიბუდა კალიამ და მთავრობის განკარგულებით მიწურ მიჯნებით დაინიშნა იგი ადგილები, საცა კალიამ კვერცხი დასდვა. სიღნაღის მხარეს კალიის კვერცხი შენიშნულია შირაქის მინდორსა და ელდარზე,

რომელიც ეკუთვნის ხაზინას, თ. ანდრონიკაშვილებს, და ელდარის გლეხობას. აქ. 1 300 დღიური მინდორი უჭირავს კალიის კვერცხსა და ეს კალიის მიერ დაჭერილი ადგილები აქაც ნიშნებით არის დამიჯნული. ტფილისის მაზრაში ათას ორასი დღიურია კალიისაგან დაპყრობილი. ეს მამული არის ყარაიასზე და ეკუთვნის ხაზინას და კერძო პირთა კამპანიას.

ყოველი ეს ცნობა მოკრებული აქვს აქაურს მთავრობას, რომელსაც გამოურკვევია კიდეც ხარჯი, რაც ფულად ამ კალიის კვერცხის მოგროვებასა და დაწვას მოუნდება. სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მთავარმართებლისათვის უთხოვნია, რომ რაც შეიძლება მალე ჯეროვანი ღონისძიება მოიხმარეთო კალიის კვერცხობაშივე გაწყვეტისათვისაო. მთავარმართებელს ეს ბძანება გადაუცია აღსასრულებელად ტფილისის გუბერნატორისათვის, რომელსაც ამასთან აუწყებს, რომ თხოვნა თქვენი შვიდასის თუმნის ფულისა, კალიის კვერცხობაშივე გასაწყვეტად თქვენ მიერ გაანგარიშებულისა, წარვუდგინე შინა საქმეთა მინისტრსაო. ეს ყოველივე კარგია, მაგრამ ვშიშობთ, რომ მიწერ-მოწერაში ბევრი დრო არ დაიკარგოს. აქ კი მეტად საჭიროა სისწრაფე მოქმედებისა, რადგანაც ვიდრე კალია არ გამოსულა, ბევრად ადვილია მისი გაჟლეტა კვერცხობაშივე და მერე კი, ვინ იცის, რამოდენად გაძნელდება.

რასაკვირველია, წარსული მაგალითები შესახებ კალიის გაწყვეტისა უკვე ცნობილია და ეს მაგალითები დაეხმარებიან ეხლაც, რომ შესაფერი ღონისძიებანი მიიღონ მთავრობამა და ხალხმა. უბედურება, როგორც ეტყობა, დიდი მოელის ჩვენს პურის მოსავალსა და ეს უბედურება მით უფრო ძნელად ასატანი გაუხდება აქაურ მკვიდრსა, რომ შარშანდელმა წელიწადმა არამც თუ შეანახვინა რამე ამ შავის დღისათვის, არამედ ამ წლის საკვებავიც არ

შეარჩინა. ამის გამო ბეგრად გამოყვანა ხალხისაც კალიის საბრძოლველად წელს გაჭირდება, რადგანაც ბეგრად გამოსულს ხალხს შინაც პური არა აქვს, რომ თან გამოიყოლოს საჭმელად. ამისათვის საჭიროა ეხლავ იმის ზრუნვას შეუდგნენ, რომ საბეგროდ გამოწვეულს ხალხს მარტო ტფილისის მაზრას მოუნდება თურმე 32000 კაცი – ან ხაზინამ, ან სხვა გზით რითმე პური მიაწოდონ, თორემ ხალხი ტყუილად გამოაკლდება თავის ოჯახის საქმესაც და კალიის გაწყვეტისათვის ბევრს ვეღარას მოიცლის. ეს აზრი გამოუთქვამს კალიის გაწყვეტის თაობაზე შეყრილს კომიტეტსაც და, ჩვენის ფიქრით, იმოდენად საბუთიანია, რომ არ შეიძლება კაცმა სახეში არ მიიღოს და აუსრულებელად დარჩეს.

[1890 წ.]

<მკურნალის მოქალაქეობრივი მოვალეობა>

ტფილისი, 27 თებერვალი

აქაურ გაზეთების მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ბოლოს ხანებში ჩვენებურ მკურნალთა საზოგადოების კრებაზე ერთი ალიაქოთი ასტყდა და ამის მიზეზად შეიქმნა მკურნალი ბ-ნი ხუდადოვი. ბ-ნს ხუდადოვს კარგა ხანია ერთი მეტად საყურადღებო და მნიშვნელიანი სარჩიელი შეეტანა ხსენებულ საზოგადოების კრებაზედ გასარჩევად, სარჩიელი შეეხებოდა იმ უნუგეშოდ ყოფნას, რომ ზოგჯერ სნეულნი გადამდების სენითა ქალაქში, საცა მკურნალნი თითქმის ბუზსავით ირევიან, მკურნალს ვერა ჰშოულობენ, რადგანაც ზოგ-ზოგი მკურნალი ერიდება ამგვარ სენიანს სახლში შესვლას: იგიც ადამიანია და თუ სახლობაცა ჰყავს და წვრილშვილიანია, მკურნალს უფრო ძლიერ ემძიმება ამ შემთხვევაში თავის მოვალეობის აღსრულებაო. ამიტომაც ბ-ნი ხუდადოვი ურჩევდა მორიგით დანიშუნლიყოს მდღევარი მკურნალი, რომელსაც არ შეეძლოს არასგზით უარის თქმაო, როცა სადმე სამკურნალოდ მიიწვევენო.

თუ მართლა ჩვენში არიან იმისთანა „ზოგ-ზოგი“ მკურნალი, რომ მაშინ უარობენ მკურნალობას, როცა ხალხსა და საზოგადოებას უფრო უჭირს, რა

თქმა უნდა, ბ-ნი ხუდადოვის სარჩიელს მიზეზი და საბუთი აქვს და გარდა ამისა ფრიად მოსაწონიც არის. ამ გზით ხალხსა და საზოგადოებას მაინც ეცოდინება გაჭირებაში ვის მიჰმართოს, რომ უარის ფიქრი არ ჰქონდეს და ტყუილუბრალოდ აქეთ-იქით სირბილში დრო არ დაჰკარგოს. ხოლო ჩვენ თვით იმ სამწუხარო ალიაქოთსა, რომელიც ხსენებულს კრებაზე მოხდა და თვით ბ-ნ ხუდადოვის სარჩიელსაც არ გამოვუდგებით. ჩვენ მარტო ეს გვინდა ვიკითხოთ: აქვს რაიმე ნება მკურნალს უარი სთქვას, როცა სნეულთან იწვევენ, თუნდა გადამდები სენიც იყოს?

მართალია, მკურნალიც ადამიანია და, როგორც ყოველს ადამიანს, უნდა უყვარდეს ცოლიცა და შვილიც და ამ ცოლ-შვილის სიყვარულისაგან იმას, როგორც სხვას, ვერავინ გამოსწირავს. ხოლო აქედამ განა ის გამოდის, რომ ცოლ-შვილის დასნეულების შიშით სხვას სნეულსაც ნუ მიეკარებიო მაშინ, როდესაც მკურნალობა სნეულისა გიკისრნიაო? მაშ როდის უნდა მიეშველოთ სნეულს, თუ არ მაშინ, როცა უფრო უჭირს როგორც მას თვითონ და ისეც მის სახლობასა და გაჭირებაში მეტიღა გინდათ, როცა სახლობაში მიესევა ვისმე გადამდები სნეულება? თუ ცოლ-შვილის სიყვარულით მკურნალი თავს იხსნის თავის მოვალეობისაგან, ჯარისკაცსაც ნება ექმნება ომში არ წავიდეს, საყვარელი ცოლ-შვილი, რომელსაც მე ვკვებავ და მე ვპატრონობ, მშიერ-მწყურვალი, უპატრონოდ ამომიწყდება თუ ომში მომკლესო. ნუთუ ჯარისკაცისათვის ომში სიკვდილი უფრო ადვილად საფიქრებელი არ არის, ვიდრე მკურნალისათვის გადამდების სენის შინ შეტანა. აქ უარის თქმა ჯარისკაცისაგან იქნება ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელი იყოს და შესანდობარი კი არასოდეს.

თუ ესეა ჯარისკაცისათვის, სხვა რად უნდა იყოს მკურნალისათვის, რომელსაც კისრად აუღია

მკურნალობა სნეულისა? მაშ მღვდელსა და დიაკვანსაც ნება ექმნებათ ქრისტიანული წესი არ აუსრულონ გადამდების სენით ავადმყოფსა, არ აზიარონ, როცა სნეული ამას მოითხოვს, არ დაასაფლაონ, როცა სენი თან გაიტანს? აქაც ხომ იგივე სიყვარული ცოლ-შვილისა უნდა ჰლაპარაკობდეს და, სწორედ მოგახსენოთ, მღვდელსა და დიაკვანს ამ შემთხვევაში უფრო უნდა ეშინოდეს და ეფიქრებოდეს გადამდების სენისაგან, ვიდრე მკურნალს. სხვა არა იყოს რა, მკურნალმა ის მაინც იცის, ან თავის თავს ან ცოლ-შვილს როგორ მოუაროს, თუ გადამდები სენი ეწვია, და მღვდელმა და დიაკვანმა რა ჰქმნან, თუ ეს უბედურება ან თვით შეემთხვათ, ან სახლობაში შეიყოლიეს?

კარგი რამ არის ცოლ-შვილის სიყვარული და საქებურიცა, მაგრამ ნაკისრი მოვალეობაც დიდი რამ არის. ვინ ამბობს, მეომარიც, მღვდელიც, მკურნალიც მძიმე და განსაცდელიან მოვალეობაში არიან, იმისთანა მოვალეობაში, რომ ზოგჯერ თავის გაწირვას ჰთხოულობს, მაგრამ ვინც ან ერთს, ან მეორეს, ან მესამეს ჰკისრულობს, უკან არ უნდა დაიხიოს არასგზით და არას მიზეზით. მღვდლობა და მკურნალობა ხომ ნებაყოფლობის საქმეა: ვისაც ან ერთი, ან მეორე არა ჰსურს, ძალად კისერზედ არავინ მოახვევს. თუ ესეა, განა შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ან სამღვდლოდ, ან სამკურნალოდ მოწადინებულმა კაცმა წინადვე არ იცოდნენ, — რა მოვალეობას ჰკისრულობენ, როცა მღვდლად და მკურნალად მიდიან? განა წინადვე არ იციან, რომ ერთს მოუხდება ქრისტიანულის წესის ასრულება, როცა სახლში სადმე გადამდები სენია, და მეორეს — მკურნალობა? რაკი ეს მოსალოდნელი და წინადვე მოსაზრებული განსაცდელი მოვა, მაშინ რაღა დროს უკან დახევაა?

მკურნალობა მღვდლობასავით ერთი იმისთანა თანამდებობა არის, რომელიც ზოგჯერ მოქალაქურს

ვაჟკაცობას ჰთხოულობს, და ეს ვაჟკაცობა დავიწყებაა თავის თავისა, ცოლშვილისა მაშინ, როცა ტანჯული ადამიანობა ხელს უწვდის თავის ნუგეშად, საოხად და საშველად. ესეთი თავგაწირვა თითქმის დაპირებული იმედია საზოგადოების წინაშე, იმიტომ რომ, აქ ეს ვაჟკაცობა არსებაა, არსებითი ძარღვია თითონ მოვალეობისა, თანამდებობისა და ამიტომაც ამ შემთხვევაში უარის თქმა თვით მოვალეობის უარყოფაა, თანამდებობაზე ხელის აღებაა, პირობის დარღვევაა, იმედის გაცრუებაა.

ჩვენის ფიქრით, მკურნალს თუ სხვა სნეულთაგან მოცლილია, არავითარი ნება არა აქვს უარი უთხრას, როცა იწვევენ სამკურნალოდ, და თუ უარს იტყვის, იგი ტყუილად სჩემობს მკურნალობას, იგი იმ საგულისხმო პირობას არღვევს, რომელიც მკურნალის სახელით თვითვე მიცემული აქვს საზოგადოებისათვის და რომლის აღსრულებას საზოგადოება მისგან გამოელის გაჭირების დროს. მეც მეშინიან, ან მე არ გავხდე ავად, ან ცოლ-შვილი არ გამიხდესო, ვერაფერი გასაგონია მკურნალისაგან. რა მკურნალია იგი, ვინც სენის შიშისაგან წინასწარვე გულს იხეთქს თუნდ ცოლ-შვილის სიყვარულითაც.

[1890 წ.]

ტრაგედია მცხეთაში

ტფილისი, 3 მარტი

ყველას შეტყობილი ექმნება ის სამწუხარო ამბავი, რაც 24 თებერვალს მცხეთაში მოხდა. ესე ამბავი, სხვათა შორის, „ივერიის“ № 46-ც არის დაწვრილებით აღწერილი. სამი ქალაქიდამ მოდენილი ურემი იმის მაგიერ, რომ მცხეთის ხიდზე მოუაროს და შინ მშვიდობით მივიდეს, წასულა და პირდაპირ არაგვზე გასვლა დაუპირებია. ადიდებულს წყალს სამივე ურემი წაუღია, ერთი მეურმე დაურჩვია და ორი დიდის თავგანწირვით და თავგამოდებით გადაურჩენიათ მცხეთელებს. ეს ამისთანა ამბავი არა ერთხელ და ორჯელ მომხდარა არაგვზე და თითქმის წელიწადი არ გავა, რომ არაგვმა ამგვარად კაცი არ შეიწიროს.

რას უნდა მიეწეროს ამისთანა გულსაკლავი უბედურება? რა მიზეზია, რომ ხალხი გზას უქცევს მცხეთის მშვენიერსა და უშიშარს ხიდსა და თავს იმეტებს ადიდებულს გიჟს არაგვს მიეცეს და ამით თვისი სიცოცხლე საშინელს განსაცდელში ჩააგდოს? აქ ორი მიზეზია საფიქრებელი: ან ისა, რომ არაგვზე პირდაპირ გასვლით ხალხი გზას იმოკლებს, ან ისა, რომ მცხეთის ხიდზე მოვლას ხარჯი და დავიდარაბა რამ მოსდევს.

ჩვენ არა გვგონია, რომ გზის შემოკლება აქ მოსატანი იყოს, იმიტომ რომ არაგვგაღმელებისათვის არაგვზე პირდაპირ გასვლა და მცხეთის ხიდზე მოვლა დიდს თაბაუთს არ შეადგენს: განსხვავება მანძილისა სულ ორისა და სამის ვერსისა არ არის. ორისა და სამის ვერსის შემოკლება გზისა იმოდენა სახარბიელო არ არის მეურმისათვის, რომ იმან აიძულოს განსაცდელს და ადიდებულის წყალის ფათერაკს მისცეს თავი და ის მამა-პაპური ანდერძი დაავიწყებინოს, რომ „შორს მოუარე და შინ კი მშვიდობით მიდიო“. აქ სხვა მიზეზი უნდა იყოს და აი სწორედ ამ მიზეზს გამოძიება და პოვნა უნდა.

საქმე იმაშია, რომ მცხეთის ხიდზე მოვლა არ შეიძლება უიმისოდ, რომ ორს საბაჟოს ასცდეს გზატკეცილისას. ერთი საბაჟო იქავ არის, საცა მუხათგვერდის რკინისგზის ხიდია, და მეორე — ზედ მცხეთის ხიდის ყურში. ამ საბაჟოებზე მეურმეებს ახდევინებენ გზატკეცილის ბაჟსა. ხოლო, ვისაც ემძიმება, ან ეზარება ამ ბაჟის გადახდა, იგი რკინისგზის ხიდზე გადადის, რადგანაც ეს ადგილი საბაჟოს წრეში არ არის, გადის მტკვარ გაღმა, და თუ მეურმე არაგვგაღმელია მცხეთიდამ დაწყებული ჟინვანამდე, რომელთ შორის ოცდაათს ვერსზე მეტია, პირდაპირ არაგვის წყალში უნდა გავიდეს, რადგანაც ამ ოცდაათს ვერსის მანძილზედ არსად სხვა ხიდი არ არის, გარდა ჟინვანისა.

ეს გარემოება პირდაპირ გვანიშნებს სად უნდა მოიძებნოს მიზეზი, რომ ხალხი მცხეთის ხიდს ერიდება და თავს დასარჩობად იმეტებს, ოღონდ კი ამ ხიდზე მოვლა არ მოუნდეს. ჩვენა გვგონია, რომ ბაჟი გზატკეცილისა პირდაპირი მიზეზია ამისი იმ მხრით, რომ ან თვით ბაჟია მეტისმეტად სამძიმო, ან ბაჟის გადახდისათვის დადგენილი წესი მეტისმეტად დახლართულია და გლეხს ბევრი დრო ეკარგება, მინამ ბაჟს გადაახდევინებენ.

ესეც კი საცოდნელია, რომ, ვსთქვათ, საპალნიანი ურემი მოდიოდეს ქალაქ მცხეთიდამ, რომელიც მცხეთის საბაჟოდამ სულ ერთის ვერსის მანძილზეა, ბაჯი უნდა გადაიხადოს მთელ იმ მანძილისა, რაც ფასანაურიდამ ქალაქამდეა, თუ მამასახლისის მოწმობა არ ექმნება მასზედ, რომ მცხეთიდამ მოდის. ამ მანძილის ბაჟსავე იხდის ქალაქიდამ უკან დაბრუნებული, თუნდ ურემზე ორიოდე ქვამარილი ედოს და იქავ მცხეთის საბაჟოზე ახლო სოფლელი იყოს. მართალია, აქ მოწმობა მამასახლისისა მეტ-ნაკლებობას ბაჟისას მანძილის კვალობაზე ასწორებს, მაგრამ ვინც იცის რა არის მამასახლისისაგან მოწმობის აღება, ვისაც უწვნევია უკან დევნა მამასახლისისა, რომელმაც თვითონ წერა არ იცის და რომელიც საჭირო დროს ვინ იცის სად არის და სად არა, იგი მიხვდება რა საძნელო და სამძიმო უნდა იყოს გლეხკაცისათვის ასეთი წესი.

მაინცდამაინც იგი უბედურება, რომელიც 24 თებერვალს მცხეთაში მოხდა და რომელიც თითქმის ყოველ წელიწადს აუცდენელია, იმოდენად გულშესატკივარია, იმოდენად გულდამწვავია, რომ ღირსია ღრმად ჩაუკვირდეს კაცი და მიზეზი გამოიძიოს. სანატრელია მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ მიზეზის გამორკვევას და შესაფერი წამალი დასდოს. თუ სხვა არა ეშველებარა, ეს მაინც განწესდეს, რომ წყალდიდობაში აკრძალულ იქმნას არაგვში პირდაპირ გასვლა და ამისათვის ყარაულები დაინიშნოს, როგორც, მაგალითებრ, რუსეთში იციან, როცა წყლებზე ყინული მოდნება და ამის გამო ყინულზე გასვლა-გამოსვლა საშიშარი შეიქმნება ხოლმე, ამას ერთის ბრძანების მეტი არ უნდა უმაღლეს მთავრობისაგან და ადგილის პოლიცია ადვილად მოახერხებს.

[1890 წ.]

<ხმაური საკრედიტო საზოგადოებაში>

ტფილისი, 7 მარტი

ალიანქოთი, რომელიც ამ ბოლოს ხანებში ასტყდა ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში, დღეს აქამომდე არ დალაგებულა, არ დაწყნარებულა და, როგორც ეტყობა, არც მოსალოდნელია მალე დაწყნარდეს. დღესაქამომდე ვერავის გაუგია ეს ქარტეხილი და აყალმაყალი რის გამოა ატეხილი, რა მიზეზისაგან არის გამოწვეული, თუმცა მოპირისპირეებმა კიდეც მოუქნიეს ერთმანეთს ხმალი აქაურ გაზეთებში და დღე ისე არ გადის, რომ ერთმა მეორეს მუქარაც არ შეუთვალოს — მე ამას გიზამ და მე ამასაო.

ჩვენ გვეგონა, რაკი ეს აყალმაყალი საგაზეთოდ გაჰხდა, ანუ, უკედ ვსთქვათ, გაჰხადეს ერთმა და მეორე მხარემ, და ამ გზით საზოგადოების ცნობისმოყვარეობა გამოიწვიეს, ესეც უნდა ეფიქრათ, რომ საზოგადოება ამ შემთხვევაში ცარიელს მასლაათს და მოსწრებულ სიტყვების სროლას არ იკმარებს, არ დასჯერდება, ბიაბრუდ გახდომა, აბუჩად აგდება იქნებოდა საზოგადოებისა, რომ ამისთანა მწვავ საქმეში იგი ჰკვებონ სიტყვების სროლის სეირითა. მართალია, „Новое обозрение“-მ ორსავ მეომარს — ერთის მხრით თ. ბებუთვოს და მეორეს მხრით თ. ამატუნს, მეტად უქო მარჯვედ ხმარება კალმისა, მაგრამ აქედამ სრულად ის არ გამოდის,

რომ ამისთანა საქმეში, რომელზედაც ასე განუშორებლად დამოკიდებულია სახელი და აბრუ მთელის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა, მისის არსებობის ჰო და არა, საზოგადოება დასჯერდეს მარტო კალმის მარჯვედ ხმარების თამაშასა.

მოპირისპირენი ისე იქცევიან თითქო მართლა სახეში მარტო ეგ თამაშა ჰქონდეთ და სხვა არა რა. ჩვენ ამას იმ საბუთით ვამბობთ, რომ აი რამდენი ხანია, რაც ეს სამწუხარო ამბავი საკრედიტო საზოგადოებისა სალაპარაკოდ გაუხდა ყველას, მოპირისპირენიც ერთმანეთს რამდენჯერმე გამოელაპარაკნენ რისხვითა და მუქარით გაზეთებში, მაგრამ დღესაც იმოდენად ვიცით ამ ამბის ჯეროვანი ვითარება, რამოდენადაც დასაწყისშივე ვიცოდით.

საზოგადოებას აქ მარტო საქმის ვითარების შეტყობა სწყურიან და არა ის, ვინ უფრო კარგად მასლაათობს, ვის უფრო კარგად უჭრის კალამი, ვინ უფრო ლამაზ-ლამაზ ლათაიებს ეუბნება მეორეს.

ქარტეხილი იქიდამ ასტყდა, რომ საკრედიტო საზოგადოების გამგეობამ საჭიროდ დაინახა გაუქმება იმ რწმუნების წერილისა, რომლის ძალითაც თ. ბებუთოვს, თავმჯდომარეს ზედამხედველ კომიტეტისას, მინდობილი ჰქონდა საზოგადოების საქმეთა წარმოება ყველგან, საცა კი საჭიროება მოითხოვდა. ამ მოულოდნელს ამბავს მოჰყვა მეორე უფრო მოულოდნელი ამბავი: ზედამხედველმა კომიტეტმა დაითხოვა თ. ბებუთოვი ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეობისაგან და მერე სრულად წევრობისაგანაც.

ყოველ ამ საოცარ ამბების შემდეგ საკრედიტო საზოგადოების სახელით გამომჟღავნდა, რომ ეს ასეთი წყრომა ეწვია თ. ბებუთოვს იმიტომ, რომ მას საიდუმლოდ მიუწერია საკრედიტო საზოგადოებასთან მოსაქმე ბანკის გამგეობის წევრისათვის რუსეთში იმისთანა დეპეშა, რომელიც ვითომც სახელს და აბრუს უტეხს საკრედიტო საზოგადოებას და მისდამი

ნდობას ცოტად თუ ბევრად აქარწყლებს, ამ დეპეშის ამბავი, ეტყობა, საიდუმლოდვე დარჩებოდა, თუ რომ ამის პასუხად მოსული დეპეშა შემთხვევით არ მიეტანათ თ. კ. ბებუთოვისათვის, რომელიც წევრია საზოგადოების გამგეობისა და რომელსაც გაუხსნია დეპეშა, რადგანაც ზედ წერებულა „ბებუთოვსაო“ სახელის უხსენებლად.

თ. კონ. ბებუთოვი არ უარობს დეპეშის გაგზავნას, ხოლო თავს იმითი ჰმართლულობს, რომ მე სიტყვა მქონდა მიცემული — თუ რამ უკეთურება შევნიშნე საკრედიტო საზოგადოების საქმეთა მსვლელობას, მაშივე ვაცნობოო და ეს დეპეშა ჩემი კერძო დეპეშაა და ამიტომაც შემეძლო სხვის დაუკითხავად გამეგზავნაო.

ამ სახით, ნასკვი აწ ატეხილ ალიანთქოთისა ეს დეპეშაა. ეხლა ვიკითხოთ: პირველ ყოვლისა ან ერთი, ან მეორე რას უნდა ჰცდილიყო მას შემდეგ, რაკი ეს საქმე საქვეყნოდ გაჰხადეს და მით სამართლიანი ცნობისმოყვარეობა მთელის ქალაქისა გამოიწვიეს? ეს დეპეშა სიტყვასიტყვით, არარაის გამოკლებლად უნდა გამოექვეყნებინათ, უნდა დაებეჭდათ. მაშინ საზოგადოებას, რომელიც ამ შემთხვევაში სულაც არ არის სეირის ქეიფსა და გუნებაზედ, ხელთ სასწორი ექმნებოდა იმისდა გასარჩევად — ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. თითონ დეპეშა გამოაჩენდა მართლა იგი კერძო კაცის საქციელს მოასწავებს, როგორც თ. ბებუთოვი ამბობს, ან მართლა, როგორც ზედამხედველი კომიტეტი ამბობს, სახელსა და აბრუს უტეხს საკრედიტო საზოგადოებას, თუ არა.

რადგანაც თ. ბებუთოვი ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე იყო და ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარისაგან — დიდი და მიუტევებელი შეცოდებაა საიდუმლოდ მიწერა იმისთანა დეპეშისა, რომელიც ასე თუ ისე მავნებელია მისდამვე რწმუნებულ საკრედიტო საზოგადოებისათვის, ყველაზე უწინარეს მოვალეობა იყო თ. ბებუთოვისა

ეგ დეპეშა გამოექვეყნებინა მით უფრო, რომ ასლი ამ დეპეშისა ხელთ ექნებოდა. თ. ბებუთოვმა, არ ვიცით რა მიზეზით, ეგ არა ჰქმნა და ყოველ ამ ამბის გამგონს, ჯერ ამ ხანად მაინც, სხვა არა დარჩენია რა გარდა იმისა, იფიქროს, რომ ყოველივე ის მართალია, რაც შესწამა თ. ბებუთოვს ზედამხედველმა კომიტეტმა საკრედიტო საზოგადოებისამ.

თუ ესეა, გინდ აქეთ აბრუნეთ ეს საქმე, გინდ იქით, თ. ბებუთოვს არავითარი შესაწყნარებელი საბუთი არ მიუძღვის გასამართლებლად. ეს შეცდომა მით უფრო ძრიელდება, მით უფრო მძიმდება, რომ თვით თ. ბებუთოვი თავის წერილში არწმუნებს ქვეყანას, რომ ყველა უკეთურებას ეხლანდელ საკრედიტო საზოგადოების გამგეობისას მზეზე გამოვფენ და ნუ გეშინიანთ კი, იმ უკეთურებაში საზიანო არა არის რა არც მსესხებელთა, არც ობლიგაციონერებისაო და მაშასადამე არც თვით საკრედიტო საზოგადოებისათვის. ამ სამის ინტერესებს უნდა იცავდეს და სხვა მოვალეობა, ჩვენის ფიქრით, არა აწწევს რა, თუ საქმე ისე მიდის, რომ არც მსესხებელნი ჰზიანობენ, რომელთაც თავისი მამულები ურთიერთის თავდებობით ხელთ მისცეს საკრედიტო საზოგადოებას, არც ობლიგაციის პატრონები, რომელთაც თავისი ფული ანდეს და არც საკრედიტო საზოგადოება. სამართალი ითხოვს უფრო ღმერთს მადლობა შესწირონ საქმის რიგიანად მსვლელობის და წინამძღვრობისათვის, ვიდრე ალიანქოთი ასტეხონ — ვაი ქვეყანა იღუპებაო.

აქ არც თავი გაეგება მსმენელსა, არც ბოლო. კაცს ამის შემდეგ ენაზე მოადგება ეს საკითხი: რა უკეთურებაა იმისთანა, რომ არავისი ზიანი არ მოსდევს და იმისდა მიუხედავად თავმჯდომარე ზედამხედველ კომიტეტისა იძულებულ გაჰხადა საიდუმლოდ დეპეშა მიეწერა რუსეთის ბანკისათვის, რომელიც აწარმოებდა საკრედიტო საზოგადოების

ობლიგაციების საქმეს? თუ არავის და, სხვათა შორის, ობლიგაციონერებს ზიანს არ უქადის ეხლანდელი მდგომარეობა საკტედიტო საზოგადოებისა, მაშ რაღა უნდა დაერქვას იმ დეპეშას, რომელიც საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის აზრით, ამ საზოგადოებას სახელს უხდენს, აბრუს უტეხს, ნდობას უფუჭებს?

ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით თუ მართლა თ. ბებუთოვის სიტყვით, ეხლანდელი მდგომარეობა საკრედიტო საზოგადოებისა ისეთია, რომ არავის უქადის ზიანს, მაშ როგორღა მისწერდა იგი დეპეშით სხვას რასმე, თუ არ ამას, და თუ ეს მისწერა, სახელს კი არ გაუტეხდა ამით საზოგადოებას, პირიქით გაუკეთებდა კიდეც. თუ ასეა, მაშინ მედგარი საქციელი ზედამხედველ კომიტეტისა, თ. ბებუთოვის დათხოვნის გამო, მიუტევებელი დანაშაულია, ჩვენის ფიქრით, რადგანაც განგებ უმიზეზოდ ატეხილ ალიანქოთის ფერი ედება.

ჩვენ ყოველ ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ან საზოგადოების გამგეობა გავამართლოთ, ან თ. ბებუთოვი გავამტყუნოთ. ჯერ, როგორც ეტყობათ მოპირისპირეებს, დიდხანს გვალოდინებენ, ვიდრე საქმე იმ ნათელს ქვეშ დადგება, რომ მართალ ჰო და არასათვის საბუთი რამ იყოს თავლწინ, ჩვენ ყოველ იმით, რაც ზემოდ არის თქმული, ის გვსურდა გვეთქვა, რომ ცარიელ სიტყვების და ცარიელ მასლაათის მაგიერ, რომელიც მოპირისპირეებმა „Новое обозрение“-ში გამართეს, ყველაზე უწინარეს დეპეშა თ. ბებუთოვისა უკლებლივ უნდა გამოეცხადებინათ. და ვიდრე ეგ დეპეშა მკითხველს საზოგადოებას თვალწინ არ ექმნება, ვერც ის ითქმის დაბეჯითებით — რაშია დამნაშავე თ. ბებუთოვი და ვერც ის — საბუთი ჰქონდა ზედამხედველ კომიტეტს აგრე მკვახედ მოჰქცეოდა თ. ბებუთოვს და ამით ალიანქოთი აეტეხნა, თუ არა. არც ერთს მხარეს, ჩვენის ფიქრით, არ მიეტევება, რომ საქმე საქვეყნოდ

გაჰხადეს და არც ერთი დღეს აქამომდე საჭიროდ არა ჰხედავს გაბჭობისა და განკითხვისათვის საზოგადოებას ხელთ რაიმე საბუთი მისცეს.

დიდხანს დგომა იმისთანა მძიმე შეცოდების ქვეშ, რომელსაც ერთის მხრით თ. ბებუთოვს აბრალებს საკრედიტო საზოგადოება და რომელიც, მეორეს მხრით, თვით საკრედიტო საზოგადოებას ჰბრალდება თ. ბებუთოვის აგრე აჩქარებით დათხოვნის გამო, არც ერთისათვის სახეირო არ არის, მით უფრო, რომ ერთის ბრალი თუ მეორისა, განსაცდელში აგდებს საზოგადო საქმეს. არც ერთმა საზოგადო მოღვაწემ არ უნდა განსაცდელამდე მიაღწიოს საქმე, რომელიც მისდამი მინდობილია, და თუ მიაღწია, ან უნდა გამოიხსნას განსაცდელისაგან, ან თვით უნდა თან გადაჰყვეს. ამისთანა საქმეში საბუთები უნდა ჰლაპარაკობდნენ და არა ცარიელი სიტყვები, თუნდ მარჯვე კალმით გამოქარგულები.

ეს საქმე საზოგადოების ყურადღების ღირსად საცნობია იმ მხრით კი არა — თ. ბებუთოვი აჯობებს თ. ამატუმს, თუ თ. ამატუმი თ. ბებუთოვს. საზოგადოებას აქ გული შესტკივა მარტო იმ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც წარმოადგენს „ქალაქის საკრედიტო საზოგადოება“ და რომელსაც ამისთანა ამბები, როგორიც დღევანდელი ალიანქოთია, განსაცდელში აგდებს. ჩვენ გვიკვირს, რომ დღეს აქამომდე არც ერთს მხარეს თითქმის თითიც არ გაუნძრევია, რომ ჯერ საზოგადო საქმე, მათდამი მინდობილი, განსაცდელის წრის გარედ დააყენონ და მერე ერთმანეთს ლახტი უქნიონ რამდენიც უნდათ. „Мы уничтожим! Я исчерпаю!“ ეს გერმანიის იმპერატორს მოუხდება, რადგანაც ცოტა არ იყოს „ძალა შესწევს ქადილსა“ და აქ კი ამაების ძახილით კაცი ფონს ვერ გავა, იმიტომ რომ ეგ ძახილი აქ უღონობის ქადილს წაქეზებულ ფალავნისას უფრო ჰგავს, ვიდრე სხვას რასმე.

[1890 წ.]

<ხუთსარგებლიანი გირავნობის ფურცლის შემოღების აუცილებლობა>

ტფილისი, 9 მარტი

ჩვენს გუშინდელს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ ჩვენის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველს კომიტეტს, გამგეობის წარდგენილობით საჭიროდ დაუნახავს ხუთსარგებლიანი გირავნობის ფურცლის შემოღება აწ არსებულის კრედიტის გასაიეფებლად. არ იქნება, ჩვენის ფიქრით, მეტი, რომ ჩვენის შეძლებისამებრ, გამოვარკვიოთ რას მოასწავებს ეს ამბავი.

ვისაც საქმე აქვს, ან ჰქონია ჩვენს ბანკთან, იმან კარგად იცის, რომ ბანკში შემოსატანი ფული აღებულის ვალის გადასახდელად სამის ნაწილისაგან შესდგება: ერთი სარგებელი, რომელიც უკლებლივ ეძლევა გირავნობის ფურცლის მსყიდველს, თუ პატრონს, მეორე — თავნის ნაწილი, რომელიც აგრედვე უკლებლივ ეძლევა იმავ გირავნობის ფურცლის პატრონს და მესამე — იგი ნაწილი, რომელიც თვითონ ბანკს ეძლევა თავისის ხარჯის გასაძღოლად და მოგებისათვის.

დღეს აქამომდე გირავნობის ფურცელი ექვსსარგებლიანი იყო და ვიდრე გირავნობის ფურცელს ეს სარგებელი შერჩება, შეუძლებელია ბანკმა ეგეევე ექვსი სარგებელი არ აიღოს. ეს ექვსი

სარგებელი გირავნობის ფურცლისა საჭირო იყო, რომ ფული მოიზიდოს, რადგანაც ყოველი საადგილმამულო ბანკი მარტო გირავნობის ფურცლით აწარმოებს აღებ-მიცემობას საადგილმამულო კრედიტისას და, მაშასადამე, ამ გირავნობის ფურცლით ჰშოულობს ნაღდს ფულსა მსესხებლისათვის. ჩვენი ბანკი, როგორც სხვასთან შედარებით ახალი და ძალიან დაშორებული რუსეთის ბირჟაზედ, ვერ უშოვიდა პირველ ხანებში კარგს მუშტარს თავის გირავნობის ფურცელს, თუ სარგებლის სიდიდით არ დაეხარბებინა ფულის პატრონი. იმას აღარ ვიტყვით, რომ სულ სამი-ოთხი წელიწადია, რაც სხვა ამისთანა ბანკებმა დაიწყეს ხმარება ხუთსარგებლიანი გირავნობის ფურცლისა და მინამ აქამდე მოვიდოდნენ, ჩვენზე მეტი დრო გაატარეს.

ხოლო კარგის მუშტრის აჩენა გირავნობის ფურცლისათვის, მარტო სარგებლის სიდიდეზე არ არის დამოკიდებული. ამასთან ერთად, ბანკმა ნდობაც უნდა მოიპოვოს ფულის პატრონისა, რომ ფულის პატრონს არაფრის შიში არა ჰქონდეს ჯერ იმ ფულის დაკარგვისა, რომელიც მან გაიმეტა გირავნობის ფურცლის სასყიდლად, და მერე იმ სარგებლის მიუღებლობისა, რომელსაც ჰპირდება მას გირავნობის ფურცელი. იმისთანა სარგებლიან ქაღალდისათვის, როგორიც გირავნობის ფურცელია, ნდობა თითქმის უფრო საჭიროა, ვიდრე დახარბება დიდის სარგებლითა, იმიტომ რომ გირავნობის ფურცელი ბუნებითად სხვა მხრით არის სახარბიელო. გირავნობის ფურცელი იმისთანა სარგებლიანი ქაღალდია, რომელსაც ძირში უდევს უძრავი ქონება,

ნახევარ, თუ ამაზე ცოტა მეტ ფასად* გირაოდ მიღებული, და რომელსაც, გარდა ამისა, ბევრჯერ აქვს ზოგან ურთიერთი თავდებობა გირაოდ მიღებული მამულებისა ერთიანად და ზოგან ნაღდი ფული ბანკისა იმ ზომით, რა ზომითაც თვით მთავრობაა გულშეჯერებული. ამიტომაც გირავნობის ფურცელი ყველა სხვა სარგებლიან ქაღალდებზე სანდო ქაღალდია, რასაკვირველია, სახელმწიფო ბანკის ქაღალდებ გარდა.

სხვა სარგებლიან ქაღალდს ჰთავდებობს თვითონ საქმე, რომლის საწარმოებლად გამოცემულია და რომელიღაც გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებაზე უფრო ფუქსავატია, უფრო მიუნდობელი. ჯერ იმიტომ, რომ ბუნებითად ხელში დაუჭერია და მერე იმიტომ, რომ განსაცდელიანია და საფათერაკო. თუ საქმე წახდა, შესაძლოა ისე წახდეს, რომ წანახდენის საზღაურად მისი ნაფლეთებიც ველარსად იპოვებოდეს. უძრავ ქონების ეგრედ წახდენა კი მეტისმეტად ძნელად მოსაფიქრებელია და რაც გინდ დაემართოს ბანკს, უძრავი ქონება ხომ სხვა არა იყოს რა ძირს დარჩება, რომ ზარალს პასუხი გასცეს და ფულის პატრონს მისი უზღოს ცოტად თუ ბევრად.

ამიტომაც გირავნობის ფურცელს იმისთანა ფულის პატრონი უნდა ეტანებოდეს, რომელსაც ოღონდ კი ფული მკვიდრად და უშიშრად დააბინავოს და დიდის სარგებლის სიხარბე ბევრი არა აქვს რა. ამისთანა უხარბელ მუშტრის აჩენას უნდა ჰცდილობდეს ყოველი საადგილმამულო ბანკი თავის გირავნობის ფურცლის გასანაღდებლად. რაკი აიჩენს,

---

* ჩვენი ბანკი ნახევარს იძლევა იმისას, რაც მისი აზრით, მამული ჰღირს, რუსეთის ბანკები იძლევიან 3/5 ნაწილს მამულის ღირებულობისას, სახელმწიფო საადგილმამულო ბანკს ნება აქვს ამაზე მეტიც აძლიოს, ხოლო იშვიათ შემთხვევაში, რომელიც გადაჭრით ნაჩვენებია წესდებაში.

მაშინ და მხოლოდ მაშინ შესაძლოა სარგებელი მოაკლოს თავის გირავნობის ფურცელს, ესე იგი, დიდის სარგებლის სიხარბე უკან დააყენოს და ნდობაზე ააშენოს იმედი გირავნობის ფურცლის რიგიანად განაღდებისა. ამისთანა მუშტარი ერთისა და ორის დღის მოქმედებით არ მოიპოვება. ამისთანა მუშტარი, რადგანაც ხარბი არ არის, ფრთხილია და, გარდა იმისა რა თავდებობასაც წარმოადგენს გირავნობის ფურცელი, უნდა რომ დრომ გამოაჩინოს რიგიანობა თვით ბანკისა, მისი სიმაგრე და სიმტკიცე.

ყოველ ამისათვის საჭიროა, რომ ბანკმა ჯერ თვითონ მკვიდრად მოიკიდოს ფეხი, წელში კარგად გაიმართოს და საკმაოდ მოღონიერდეს. უამისოდ იგი თავის გირავნობის ფურცლებს მათდა ბუნებისამებრ მსვლელობას ვერ მისცემს და იძულებულია მარტო სარგებლის სიდიდით მოიზიდოს მსყიდველი გირავნობის ფურცლისა და ამ გზით ნაკლებობა ნდობისა სარგებლის ნამეტანობით შეავსოს. ვიდრე საქმე ესეა, ბანკი ფიქრადაც ვერ გაიტარებს სარგებლის დაკლებას გირავნობის ფურცლისას, რადგანაც, ვიდრე საკმაო ნდობა არ არის, იგი ვერ იშოვის იმისთანა მუშტარს გირავნობის ფურცლისას, რომელიც არ ეხარბება დიდს სარგებელს და სწყურიან ყიდვა სარგებლიან ქაღალდისა უფრო ფულის უშიშრად დაბინავებისათვის, და არა იმისათვის, რომ დღევანდელი ნასყიდი ხვალ ბირჟაზედ გაიტანოს გასასყიდად და მინამ ხელთ ექმნება, ყოველ დღე შიშსა და ეჭვს ქვეშ იყოს ან ფულის, ან თუნდ სარგებლის დაკარგვის გამო.

ამ სიდიდე ნდობის მოპოებას დრო უნდოდა მით უფრო ბევრი, რომ ჩვენი ბანკი, როგორც ახალი რამ ჩვენს ქვეყანაში, იძულებული იყო რუსეთში ეძებნა გასავალი გირავნობის ფურცლებისა, რადგანაც იქ ამისთანა ბანკები დიდი ხანია მოქმედობდნენ და მაშასადამე, იქაური ბირჟა და ფულის პატრონები ცნობილი იყვნენ, რა არის საადგილმამულო ბანკი და

მისი გირავნობის ფურცელი. ეს ხუთმეტი წელიწადი, რაც ჩვენი ბანკი არსებობს, სულ ამ ნდობის მოპოებას მოუნდა და, როგორცა სჩანს, ამ ხანმა ჩვენის ბანკის მოქმედებისამ ამაოდ არ ჩაიარა. დღეს ნდობა მოპოებულია, ჩვენი გირავნობის ფურცელი არამც თუ ხალისიანად იყიდება ნამეტნავად პეტერბურგსა და მოსკოვში, არამედ ჩვენშიც და კაი ფასადაც იყიდება. ამ ბოლოს ხანებში იმისთანა დღეებიც იყო, რომ ასმანეთიან გირავნობის ფურცელში იძლევოდნენ 99 მანეთსა პეტერბურგის ბირჟაზე.

აშკარაა, რაკი ნდობამ იმატა, სარგებელმა უნდა იკლოს, რადგანაც ნამეტანობა სარგებლისა მარტო ნდობის ნაკლებობისაგან არის ხოლმე გამოწვეული. აშკარაა, ჩვენს გირავნობის ფურცელს ის დრო მოუმწიფდა, როცა სიხარბე დიდის სარგებლისა უკან უნდა დასდგეს და ნდობის სიდიდემ უნდა ილაპარაკოს. ნდობა დღეს იმოდენად გადიდდა, რომ საკმაოა მოიზიდოს ფულის პატრონი, უხარბელი სარგებლისა და მწყურვალი მხოლოდ ფულის უშიშრად დაბინავებისა თუნდ ცოტა სარგებლითაც. დრო გამოაჩენს, რასაკვირველია, რამოდენად მართლა და ზედმიწევნით გამოცნობილია ამ ნდობის სიდიდე დღეს, ხოლო აქ სანუგეშო ეს არის, რომ ხუთსარგებლიანი გირავნობის ფურცლის ქონა არავითარს ზარალს არ მიაყენებს ჩვენს ბანკსა: არ გავა კარგად, არ განაღდდება რიგიანად, გამგეობა ბანკისა არც იქონიებს ამისთანა ფურცელს და ამით გათავდება საქმე.

საჭიროა მხოლოდ ნება ჰქონდეს ჩვენს ბანკს ამისთანა ფურცლების გამოცემისა, იმიტომ რომ თუ ამისთანა ფურცელი კარგად განაღდდა, ბანკს შეეძლება 1% – 2%-მდე გააიეფოს აწ არსებული კრედიტი და ეს დიდი შეღავათია ყველასათვის, ვისაც კი ბანკისაგან სესხის აღება ეჭირვება.

თვით ბანკისათვისაც დიდად სასარგებლო იქნება გაიეფება კრედიტისა ჯერ იმიტომ, რომ იეფი სესხი ბევრს მსესხებელს მოიზიდავს და ვინ არ იცის, რომ ათისაგან, მაგალითებრ, თითო მანეთის მოგება უფრო ბევრს შეადგენს, ვიდრე ორისა და სამისაგან ორ-ორის და სამ-სამის მანეთისა. მერე იმიტომ, რომ იეფად აღებული ვალი ადვილად მოსაშორებელია მოვალესათვის და იგი მოვალე, რომელსაც ეადვილება ვალის გადახდა, პირველი ბურჯია ბანკის სიმაგრისა, რადგანაც უპირველესი წყარო ბანკის შემლებისა შემძლებლობაა მოვალისა.

ადვილად ჭკვაში მოსასვლელია, რომ ხუთსარგებლიანი გირავნობის ფურცელი იმოდენა ფასად გავა, რამოდენადაც ექვსიანი და აქ ერთის სარგებლის დაკლება თავს გამოიჩენს გირავნობის ფურცლის ფასის დაკლებაში. ხოლო თუ სახეში მივიღებთ იმ თაბაუთს, რაც დღეს არის ხუთსარგებლიან და ექვსსარგებლიან სხვა ბანკების გირავნობის ფურცლებ შორის, ეგ დაკლება მაინც არ დააძვირებს კრედიტსა: დღეს სამისა და ოთხის მანეთით ნაკლებ იყიდება ასი მანეთი ხუთსარგებლიან გირავნობის ფურცლისა. თუ ჩვენმა ხუთსარგებლიანმა ფურცელმა ერთიორად ამაზე მეტი იკლო, ეხლანდელ ფურცლის კვალობაზე, მაინც გაიეფება კრედიტისა ეჭვგარე იქნება, იმიტომ რომ აგრე დაკლებული ფურცელი ათთუმნიანი ცხრა თუმნად მაინც გავა და ცხრა თუმანში ხუთი მანეთის გადახდა უდრის 5,55%-სა, მაშინ როდესაც ეხლანდელის ექვსის სარგებლის კვალობაზედ განაღდებული გირავნობის ფურცელზედ, მოდის 618,97%-ი. გაიეფება სარგებლისა პირველს შემთხვევაში, თუმცა დიდი არ არის, მაგრამ იმოდენად საგრძნობელია, რომ ღირს ანგრიშში ჩასაგდებად. ხუთსარგებლიანმა ასის მანეთის ფურცელმა 82 მანეთამდე უნდა ძირს დაიწიოს, რომ ეხლანდელს სიდიდეს სარგებლისას თითქმის გაუსწორდეს, თუ ფასს დღევანდელ

ათთუმნიან გირავნობის ფურცლისას 97 მანეთად ვიგულისხმებთ. არასგზით მოსალოდნელი არ არის დღეს, რომ ათი თუმანი ჩვენის ხუთსარგებლიან ფურცელისა 82 მანეთზე მეტად არ განაღდდეს და რაც ამაზე მეტად განაღდდება, იმის კვალობაზე სარგებელიც ნაკლებად დაუჯდება ბანკისაგან მსესხებელსა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში სესხი ნაღდად „ნაკლები დადგება იმაზედ, რაც დღეს“ არის, ხოლო თვითვეულ ნაღდს ასს მანეთზე სარგებელიც ნაკლები მოვა დღევანდელზე.

ყოველ ამის გამო უნდა ვისურვოთ, რომ წლევანდელმა კრებამ ბანკისამ შეიწყნაროს წარდგენილობა შესახებ იმისა, რომ ჩვენს ბანკს ნება მიენიჭოს ხუთსარგებლიან გირავნობის ფურცლის გამოცემისაც.

[1890 წ.]

<ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების შესახებ>

ტფილისი, 10 მარტი

ჩვენის სათავადაზნაურო ბანკის აწ მომქმედს წესდებაში მოხსენებულია, რომ ბანკში მოსამსახურე მოხელეებს უნდა ეძლიოთ 20% წმინდა მოგებიდამ იმ პირობით, რომ აქედამ ნახევარი გამგეობის წევრთ მიეცეთ და ნახევარი დანარჩენ მოხელეებს ერთმანეთში გასანაწილებლად. ამგვარს გასამრჯელოს მოხელეებისას ჩვენში დივიდენტი დაერქვა და ჩვენც სიმოკლისათვის ამავე სიტყვას ვიხმარებთ, საცა საჭიროება მოითხოვს.

შარშან ბანკის საზოგადო კრებაზე ჩამოვარდა საუბარი მასზე, რომ სასურველიაო ეს დივიდენტი ან მოისპოს და მის სამაგიეროდ თუნდ ჯამაგირები მოემატოთ, ან დარჩეს, ხოლო იმ სიდიდით კი აღარ, როგორც დღეს არისო. რადგანაც ეს საგანი არ იყო გამოცხადებული შარშანდელ კრებისათვის განსახილველად დანიშნულ საგანთა შორის და ამის გამო წესდების ძალით, კრება ვერც ჰოს იტყოდა, ვერც არას, საუბარი საამწლოდ გადიდო იმ პირობით, რომ წრევანდელ კრებისაგან განსახილველ საგანთა შორის მოქცეულ იქმნას უსათუოდ. ამასთანავე კრებამ დაავალა ზედამხედველ კომიტეტს გამგეობასთან ერთად, დივიდენტის დარჩენისა, თუ მოსპობის

თაობაზე თავისი აზრი წარმოუდგინოს წრევანდელ კრებას განსახილველად და გადასაწყვეტად, ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულმა კრებულმა უკვე აღასრულა ეს მინდობილობა და ამ საგანზე გამორკვეულს აზრს წარუდგენს წრევანდელს კრებას. ეს აზრი უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა ჩვენის გაზეთიდამ, საცა იგი მოყვანილი იყო მოკლედ, მაგრამ იმდენად კი, რომ მისი არსებითი მხარე იცნობება.

ჩვენ თუ დღეს ჩვენის საუბრის საგნად ეს დივიდენტი გავხადეთ, მარტო იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ მის მმომხრეების აზრიცა და მის მოწინააღმდეგებისაც. თუ ჩვენ შევძელით საკმაო სავსებით გამოვიჩინოთ: აქვთ რაიმე საბუთი ან იმათ, ვისაც დივიდენტის დარჩენა ჰსურს, ან იმათ, ვისაც მისი მოსპობა უნდა, მაშინ კაცს ხელთ ექმნება საწყაო დივიდენტის ავკარგიანობისა. არიან ჩვენში იმისთანებიც, რომელთაც ჰგონიათ, რომ დივიდენტი, აწ არსებული ჩვენს ბანკში მოხელეთათვის, ერთი რაღაც უკანონო, ურიგო, უკადრისი რამ არის და წამდაუწუმ მოხელეებს ამას აყვედრიან, ამას ამუნათებენ. ბევრი ლაპარაკი არ უნდა იმას, რომ ეს ამისთანა „გონიაობა“ მკვახე ნაყოფია მწიფე არცოდნისა და უვიცობისა. ჩვენ ამათ თავს დავანებებთ, რადგანაც არც დრო გვაქვს და არც ადგილი ცერცვი კედელს ვაყაროთ.

დივიდენტი, მის მომხრეების აზრით, ნაწილია იმავე ჯამაგირისა, იმავე გასამრჯელოსი, რომელსაც ყველანი დიდის სიამოვნებით ხელსა ჰკიდებენ, დიდის გულმოდგინებით ებღაუჭებიან და მაინცდამაინც არ უკადრისობენ, რადგანაც ჯამაგირი და გასამრჯელო სამართლიანი და პატივსადები სამაგიეროა შრომისა, ჯაფისა და არა მოწყალება. დივიდენტი — სამატია ჯამაგირისა თუ სრული უჯამაგირო გასამრჯელოა — იმ აზრზეაო დაფუძნებული, რომ გამრჯელს საქმის მოგებაში წილი ედოს იმ სახით, რომ გასამრჯელომ

იმატოს მოგების მატების კვალობაზე. მთელი განათლებული ქვეყანა დღეს იმის თავის ტეხაშია, რომ ამ დედააზრზე დააყენოს ურთიერთობა მშრომელისა და საქმის პატრონისა და თუ ეს დედააზრი ასე ნაყოფიერია, ასე სანატრელი და მოსაწონი, როცა დაბალ ხარისხის მუშებზეა ლაპარაკი, სხვა ხარისხის მშრომელთათვის რატომ აღარ უნდა იყოსო?

თუ იტყვიან ამასა, რომ საცა დივიდენტია, იქ ჯამაგირი აღარ უნდა იყოს და საცა ჯამაგირი — იქ დივიდენტიო, ამ თქმას არავითარი საბუთი არ მიუძღვისო. თუ გასამრჯელო მარტო დივიდენტზეა მიჩემებული, მაშინ აი რა გამოდისო:

როცა მოგებაა, შენც შენი ხვედრი ირგუნე, როცა ზარალია ცარიელზე გადი. არავითარს მშრომელს, რომელსაც ბედმა შრომით რჩენა არგუნა, ამ პირობის აღება არ შეუძლიანო. უფროსერთი მშრომელთაგანი შრომისაგან გამოელის თავის საცხოვრებელს, თავის საკვებავს. მხოლოდ ამიტომ ჰკისრულობს სხვის სამსახურს, რომელიც ცოტად თუ ბევრად აბანდებს კაცს, ცოტად თუ ბევრად უხუთავს თავისუფლებას და რომელიც — რაც გინდათ სთქვით — მაინც სამძიმოა და უამური ბუნებითადო. ამ დაბანდებას, ამ შეხუთვას იმოდენად ვერა გრძნობს გაუნათლებელი, რამოდენადაც საგრძნობელია განათლებულისათვის და თუ არ გაჭირებული, ვინ გაიბამს თავსაო. მართალია, ყოველ ამას ცოტად თუ ბევრად ინელებს გონებაგახსნილი ადამიანი, როცა რაიმე საზოგადო საქმეს ემსახურება, მაგრამ არც არაფერი უსამართლობა და უკადრისობაა, რომ მშრომელმა საზოგადო საქმეს თავისი გასამრჯელო მოსთხოვოს უნაკლულოდაო. მოწყალებით რჩენა როგორც ცალკე კაცისათვის საძრახისია, ისეც მთელის კრებულისათვის, ისეც მთელის საზოგადოებისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ერთსაცა და მეორესაც გასაძღოლი ღონე და შეძლება აქვთო.

ან რად უნდა იყოს ქვეყანაზე მუქთად შრომა, ან მუქთად კეთება საქმისაო? ყოველს ამას იშვნევდა ადამიანობა, როცა ერთმანეთის ტყვეობა იყო, როცა ყურმოჭრილი ყმობა იყო. ძალდატანებით მუქთად შრომა ერთი უსაძაგლესი ძალმომრეობაა ყველაგვარ ძალმომრეობათა შორის და, ღვთის მადლით, ერთი უდიდესი მაგალითი მისი უკვე აიგავა დედამიწის ზურგიდამ ბატონყმობის სახითაო. მართალია, ნებაყოფლობით კისრება მუქთად შრომისა უმაგალითო არ არის ქვეყნიერებაზე, მაგრამ ეს არა კაცს არ მოეთხოვება. ზოგჯერ ისეც მოხდება ხოლმე, რომ, მაგალითებრ, საზოგადო საქმისათვის სიცოცხლესაც არა ჰზოგავენ, მაგრამ საქმე ჯერ ამ გაჭირებამდე უნდა მივიდეს და მერე თავგამწირველი გმირად იყოს გაჩენილი; სამართლიანი ურთიერთობა კი ადამიანთ შორის ყოველთვის და ყოველგან მარტო საშუალო კაცზეა გაანგარიშებული და დაბჯენილი და არა გმირის გამოჩენის იმედზეო.

აშკარაა, კაცი მშრომელს მარტო დივიდენტით ვერ მოინადირებს საშრომოდ, რაც გინდ დიდი წილი დაჰპირდეს, იმიტომ, რომ დივიდენტი სათუო საქმეა. ამისი ცალკე მაგალითი თითო-ოროლა იქნება გვაჩვენონ სადმე, მაგრამ კანონად კი ეს ვერ დაიდებაო საზოგადოდ. სხვა არა იყო რა უფროსერთს მშრომელს საყოველდღეოდ ლუკმაპური უნდა და ეს იმისთანა საჭიროებაა, რომ დივიდენტის გამორკვევამდე, რომელსაც უფრო ბევრს შემთხვევაში მთელი წელიწადი ლოდინი სჭირია, თავისას არ დაიშლისო. რომ ეს ასე არ მოხდეს, დივიდენტთან ერთად გადაწყვეტილი ჯამაგირიც ინიშნება, ხოლო ამ შემთხვევაში იმოდენად ნაკლები, რომ შეიჯერიოს მშრომელი დივიდენტის გამორკვევამდე. აქ ნაკლებობა ჯამაგირისა იმდენია, რამდენადაც დიდია იმედი დივიდენტისა. ამ სახით, დივიდენტის არსებობა ჯამაგირს თავის უკანასკნელ სიცოტავეზე, ან უკედ

ვსთქვათ, თავის მინიმუმზე აყენებს და დივიდენტი მხოლოდ ამ გაცოტავებულის ჯამაგირის სამატიაო.

რა გამოდის აქედამ ან მშრომელისათვის, ან საქმის პატრონისათვის? მშრომელისათვის ისა, რომ თუ საქმეს გულმოდგინედ მოექცა და მოგება გამოაღებინა, იმ ნაკლებად შეჯერებულს ჯამაგირს დივიდენტით ცოტად თუ ბევრად შეივსებს და იქნება ამაზე ბევრიც წაიმატოს. ეს მშრომელის სამართლიანი ხეირიაო. თუ არა და, უნდა იკამროს ნაკლებად შეჯერებული ჯამაგირი; ეს მისი ზარალია, საქმის პატრონიც თუ არ მოგებაში, წაგებაში არ არის მაინცდამაინც, თუ ზარალია, იგი ნაკლებად შეჯერებულს ჯამაგირს იხდის, ესე იგი შეცოტავებულს და ეს მისი ხეირია. და თუ მოგებაა, მეტიდამ მეტს იხდის და მაინც ბევრი ნაწილი მოგება ჰრჩებაო. ეს ასეა, როცა დივიდენტი საქმეშია მიღებული ჯამაგირის სამატად. ახლა ვნახოთო, როცა მარტო ერთხელ მოჭრილი ჯამაგირია უდივიდენტოდ.

ამ შემთხვევაში, თქმა არ უნდა, მშრომელი იმ ჯამაგირს არ დასჯერდება, რასაც დივიდენტის იმედით სჯერდებაო. იგი მეტს მოითხოვს და იმოდენად მეტს, რომ შესაძლებელ ნამეტანობამდე გასჭრას. ესე იგი, თავის მაქსიმუმამდე აიყვანოს. რა გამოდის აქედამ? ისა, რომ მშრომელს არა იმედი აღარა აქვს გასამრჯელოს მომატებისა, რაც გინდ დიდი და ბევრი მოგება გამოიღოს საქმემ და საქმის პატრონმა კიდევ დიდის ზომით უნდა იხადოს ჯამაგირი მაშინაც კი, როცა ზარალია.

ავხსნათ ყოველივე ეს მაგალითებით: ვთქვათ წლის მოჯამაგირე რვა თუმნად ჰდგება წელიწადში. ეს ვთქვათ ის მაქსიმუმია, რომელზედაც შეიჯერებს საქმის პატრონსა. ვსთქვათ, საქმის პატრონმა უთხრა, მოდი ხუთს თუმანს მოგცემ იმ პირობით კი, რომ რაც შენგან მოხნულ-მოთესილისაგან მოგება დარჩება, იქიდამ ათის თავი შენი იყოს — და მოჯამაგირეც

დაეთანხმა. ვსთქვათ, ეს შეძლეული ხუთი თუმანი იგი მინიმუმია, რომელზედაც საქმის პატრონს იმედი აქვს მშრომელი შეიჯერიოს დივიდენტის იმედითა. ვსთქვათ, გასტყვრა მოსავალი და მოგება ორმოცდაათ თუმნად გამოირკვა. მშრომელს ერგება დივიდენტად ხუთი თუმანი, რომელიც, გადაჭრილ ჯამაგირთან ერთად, ათს თუმანს გასამრჯელოს შეადგენს, ესე იგი, ჯამაგირის მაქსიმუმს გადააჭარბებს ორის თუმნით. ხომ ხეირია? ამ მშრომელის ხეირით რა აკლდება საქმის პატრონს, როცა მოგებიდამ ორმოცდახუთი თუმანი თითონ ჰრჩება? თითქმის არაფერი, რადგანაც ნამეტანობისაგან მისცა მეტი. ხოლო თუ მოსავალმა უმტყუნა და მოგება არა მისცა რა, მშრომელი ჰზარალობს მაქსიმუმიდამ და საქმის პატრონი სამს თუმანს ჰხეირობს მაინცადამაინც, ერთხელ გადაჭრილ რვა თუმანად კი რომ მორიგებოდა მშრომელს, ზარალის დროს მეტს იზარალებდა სამის თუმნით.

რადგანაც დივიდენტი, ვითარცა სამატი ჯამაგირისა, ზარალის დროს გადასახდელი არ არის, ცოტად თუ ბევრად მხარს აძლევს შერყევის დროს საქმესაო, ამბობენ მომხრეები და ამის მიხედვით, იგი საქმეა ჭკვიანურად დაჭერილი, რომელიც გაანგარიშებულია, რომ ზარალის დროს, რაც შეიძლება ნაკლები იზარალოს, თორემ მოგების დროს — რაც გინდ ცოტა იყოს — საქმეს არაფრის შიში არა აქვსო.

ამ სახით, მომხრეების აზრით, დივიდენტი სამართლიანს დედააზრზეა დამყარებული და სახეიროა ყოველი უწინარეს თითონ საქმისათვის, რომელსაც მშრომელი უფრო ხალისიანად ეკიდება, რადგანაც მატებას გასამრჯელოსას მის წარმატებისაგან გამოელის მშრომელისათვისაც, რომელიც უნუგეშოდ არა ჰრჩება, როცა მისი ნაამაგევი მოგებას იძლევა; და საქმის პატრონისათვისაც, რომელსაც

ზარალთან ერთად გასამრჯელოს ხარჯი მაინც მეტობით არ ეხდევინება.

თუ მაინცდამაინც დივიდენტს რაიმე საბუთიანი სალაპარაკო აქვს, ეგ მისი მეტნაკლებობაა. შესაძლოა იგი ბევრი იყოს, ან ცოტა და ამისი განკითხვა ყოველ შემთხვევაში არამც თუ შესაწყნარებელია, სასურველიც არისო.

მოწინააღმდეგეთა აზრი შემდეგისათვის გადავდოთ.

ტფილისი 13 მარტი

მოწინააღმდეგენი იმ დივიდენტისა*, რომელიც არსებობს ჩვენს ბანკში მოხელეთათვის, ამბობენ, რომ ეს დივიდენტი შეუწყნარებელია ჯერ იმიტომ, რომ, შესაძლოა, გასამრჯელო, მატებული მოგებისადა კვალად, მეტისმეტ სიჭარბემდე მივიდეს, რადგანაც ბანკის მოგებას საზღვარი არა აქვსო. ეს მოგება დღეს თუ შვიდი ათასი თუმანია, ადვილად შესაძლოა ოცი ათას და მეტ თუმნამდესაც ავიდეს; მაშინ აქედამ შევსება ჯამაგირისა გასამრჯელო კი არ იქნება მოხელეებისა, მათი ოქროსა და ვერცხლში ჩასმა იქნებაო და მით უფრო შემაწუხებელია, რომ რაც აქ ჭარბია მოხელეთა შრომის მიხედვით, იგი მთლად აკლდება საზოგადო საჭიროებათათვის გადასადებ ფულსა და იმ ქონებას ბანკისას, წესდების ძალით, მოგებიდგან უნდა იზრდებოდესო.

გარდა ამისა, სახეში მისაღებია, რაც ამგვარ მოჭარბებულ სამატს ჯამაგირისას უსამართლობა მოსდევს იმიტომ, რომ შესაძლოა ეს სამატი იმას არ შეხვდეს, ვისაც უფრო ხანგრძლივი და დიდი შრომა გაუწევია საქმის იმ გზაზედ დაყენებისათვის, რომ

---

* იხ. „ივერია“ №45-46; 48-49; 51-52; 54.

დიდს მოგებას იძლეოდეს. მაგალითებრ, ვსთქვათ, რომელსამე წელიწადში რომელიმე მოხელე ან თავის სურვილით, ან ხელახლად ამოურჩევლობის გამო დაეთხოვა ბანკს და მის მაგიერად სხვა დაინიშნა, ან ამორჩეულ იქმნა. ვსთქვათ, ეს ამბავი მოხდა სწორედ იმ წელიწადს, რომლის შემდეგ წმინდა მოგებამ ოცი ათას თუმნამდე მიაღწია, ამ შემთხვევაში ხომ დივიდენტი ახალს მოხელეს უნდა ერგოს, ესე იგი, იმას, ვისაც ყველაზე ნაკლები შრომა და გულმოდგინეობა გაუწევია ამ დიდ მოგებისათვის, მაშინ როდესაც ის კი პირში ჩალაგამოვლებული ჰრჩება, რომლის წინანდელ ღვაწლს ბანკი ამისთანა დიდ მოგების გზაზე დაუყენებია.

რა გამოდის აქედამ? ისა, რომ მინამ ბანკს წელში გამართვა უნდოდა, მანამ მოგებას ბევრს არას იძლეოდა, მშრომელი ეწეოდა მძიმე უღელს სამსახურისას მიუხედავად გასამრჯელოს სიცოტავისა და როცა დიდის მოგების გზაზე დაიყვანა, მაშინ ცარიელზე უნდა დაჰჯდეს, რადგანაც ამა თუ იმ შემთხვევით სხვას უთმობს ადგილს. ეგ ხომ სხვის მოხნულ-მოთესილის მომკა იქმნება, ეგ ხომ სხვის ნაამაგარზე ხელის მოთბობას მოასწავებს. განა ეს სამართალიაო?

ვსთქვათ, რომ აქ იჩაგრება ჭეშმარიტი ღვაწლის დამდები. ერთი ეს ვიკითხოთ, ეს ამბავი განა მარტო ამით არის უსამართლო? არა, იმ მხრითაც უსამართლოა, რომ დივედენტის სახით ჯილდო ეძლევა იმას, ვისაც ბანკის მოგებისათვის თითიც არ გაუნძრევია, რადგანაც ახლადშემოსულია მზამზა-რეულზეო.

მეორე საბუთი დივიდენტის წინააღმდეგ ის არისო, რომ მოხელეებს აქეზებს განგებ გააბევრონ მოგებაო. ესე იგი, მაშინაც როცა მოგება ეგრე ბევრი არ არის ნამდვილად. მართალია, ეს განგებ გაბევრება მოგებისა მეტისმეტად ძნელი მოსახერხებელია ბანკის საქმეში, რომლის ანგარიში ყოველთვის საჯაროდ

განიკითხება ხოლმე და საჯაროდაც ცხადდება გაზეთებში, მაგრამ რადგანაც შესაძლებელია, თუნდ ათასში ერთს შემთხვევაში, მაინც საბუთად მოსატანია, როცა დივიდენტის ავკარგიანობაზე ვლაპარაკობთო

მომხრეები დივიდენტისა ამბობენო, რომ დივიდენტი პირიქით აქეზებს და ახალისებს მშრომელსა უფრო დიდის მხნეობითა და გულმოდგინეობით მოეკიდოს საქმესა, რადგანაც მატებას თავის გასამრჯელოსას საქმის წარმატებისაგან მოელისო. იქნება ეს მართლა ასე იყოს სხვაგან სადმე და არა იმისთანა საზოგადო საქმეში, როგორიც ჩვენი ბანკია, რომლის უკანასკნელი საგანი ის არის, რომ საზოგადო გაჭირებას მოახმაროს თავისი ნაამაგევიო. ეს ზნეობური მხარე ჩვენის ბანკისა იმოდენად მჭრელია და პატივსადები, რომ განდიდება მხნეობისა და გულმოდგინეობისა აქ უნდა ჰპოულობდეს თავის სათავესა და არა გასამრჯელოს მომატების იმედშიო.

პირველ საბუთზე მომხრენი დივიდენტისა ამბობენ, რომ ჩვენ არ ვუარობთ განვიკითხოთ მეტნაკლებობა გასამრჯელოსი, დივიდენტისაგან წარმომავალი და ამ საგანზე ასე თუ ისე შესაძლოა მოვრიგდეთო. ჩვენ ვესარჩლებით და არა ვთმობთ იმ დედააზრს, რომელზედაც დამყარებულია სამართლიანი არსებობა დივიდენტისა, როგორც ჯამაგირის სამატისაო. იგი უსამართლობა, რომელიც ვითომ მოსდევდეს დივიდენტსა, იქნება მართლაც უსამართლობა იყოს, რადგანაც შემდეგი ვითომ იმას მკის, რაც წინანდელს დაუთესია, მაგრამ ეს საბუთად მოსატანი არ არის. ესეთი ბუნებური ნაკლი დაყოლილი აქვს ყოველ საქმესა, რომლის დღეგრძელობა კაცთ სიცოცხლეზე უფრო ხანგრძლივია. არ არის არც ერთი ამისთანა საქმე ქვეყანაზე, რომ წინა თაობის ნათესს მომდევარი თაობა არა მკიდეს, ამას რომ შევუშინდეთ, მაშინ თვით ბანკის არსებობაც უარსაყოფელია, რადგანაც აწინდელ თაობის შრომა და ღვაწლი, აწინდელ

თაობის ნაამაგევი უფრო მეტის სავსებით ერგება სამკვიდროდ მომდევარს თაობას და ამ სახით ბანკი დღეს აწინდელის თაობის ხელით იმასა სთესს, რაც მომდევარმა თაობამ უნდა მომკას.

ეგრე მჭიდრო ფარგლებში რომ მოვამწყვდიოთ და შევხუთოთ ყოველი მოქმედება ადამიანისა — ჩემი ნაამაგევი ჩემს შემდეგთ რად ერგოსო, — ხომ შესწყდა ქვეყანაზე ყოველივე მოძრაობა, ყოველივე საქმე და თვით კაცობრიობაც ხომ გასწყდაო. კაცთა ენით იმას უსამართლობა არ დაერქმის, ურომლისოდაც ხსნა არ არის, ურომლისოდაც ფეხის გადადგმა, სულის მობრუნება, სიცოცხლე შეუძლებელიაო. მაშასადამე, ამგვარ დედააზრისაგან წარმომდგარი უსამართლობა არამც თუ მისაღებია საბუთად რისამე, არამედ გასადევნია კაცთა ცხოვრებიდამაო.

თუნდ ეგეც არ იყოს, ამ საბუთით რომ უარვყოთ სიკეთე დივიდენტისა, იგი მაღალზნეობა სადღაა, რომელიც ჰღალადებს თავდადებად მერმისისათვის და რომელიც, დივიდენტის მოწინააღმდეგეთა აზრით, უნდა ასულმდგარებდეს ბანკის მოხელეებს გასამრჯელოს მიუხედავად? რის სახელითღა იღვაწოს მოღვაწემ საზოგადო საქმისათვის, რომელიც საზოგადოა უფრო იმით, რომ ეკუთვნის არამც თუ მერმისს, მერმისის მერმისსაც და რომელიც ვითარცა ნათესი აწინდელისა, მერმისმა უნდა მოიმკოს ნამეტანობით და მოჭარბებით, თუ ესეთი მკა წინა თაობის ნათესისა უსამართლობაა; იგი არამც თუ მოუმატებს ხალისს და მხნეობას მოღვაწეს, პირიქით, იმოდენად მალე ჩამოაყრევინებს ყურებს, რამოდენადაც მოღვაწე დიდის ზნეობისააო. ეს ერთიო, ამბობენ მომხრენი დივიდენტისა, მეორე ისა, რომ საცა გასამრჯელოზეა ლაპარაკი, იქ არავის ნება არა აქვს ზნეობა კაცისა შეჰხუთოს მით, რომ შენი წამქეზებელი შენი ზნეობა უნდა იყოს და არა გასამრჯელოო.

იქნება ეგრეც იყოს, ხოლო სხვას რა ნება აქვს სთქვას, აქაოდა დიდის ზნეობის კაცია და რაც გინდ ცოტა გასამრჯელო დავუნიშნო, ჯანს გაიგდებინებს მინდობილ საქმისათვისაო. განა ზნეობა იმისთანა რამ არის, რომ გინდა თუ არა, კაცი ჯვართ ეცვას? განა ზნეობას კი წილი არ უნდა ედვას გასამრჯელოშიო? განა იმას კი თავისი ფასი არა აქვსო? განა იგი მუქთია ამ ქვეყანაზეო? ჩვენის ფიქრითაო, ამბობენ მომხრენი, რამოდენადაც დიდზნეობიანია კაცი მშრომელი, იმოდენადაც ძვირად უნდა გვიღირდესო. ამასაც თავი დავანებოთ და დავიჯეროთ, ვითომც ზნეობიანს კაცს ერთადერთი გულისტკივილი საზოგადო საქმისა უძლიერებს მხნეობას და გულმოდგინეობას. იმედი გასამრჯელოს მომატებისა ხომ სულ უიმისო არ არის, რომ ესეც თავის მხრით არა ჰშველოდეს ამ გაძლიერებას. მაშ როცა ერთიცა და მეორეც ერთად შეკეცილია და ერთად მოქმედობს, უფრო სანატრელი არ უნდა იყოს საქმის წარმატებისათვისაო? რაც შეეხება იმას, რომ დივიდენტი ვითომ აქეზებდეს მოხელეებს, განგებ გააბევრონ მოგება, ეს ყოვლად შეუწყნარებელი აზრიაო, ჯერ იმიტომ, რომ ესეთი გაბევრება ყოვლად შეუძლებელია დაუსჯელად და მერე, თუ ამისი მთქმელნი ერთს შემთხვევაში ბანკის მოხელეების ზნეობას ხელსა სჭიდებენ, ვითარცა ღონეს მათის მხნეობის და გულმოდგინეობის გასაძლირებლად, რატომ ამ შემთხვევაში კი იმავე ზნეობას ყურს აღარ ათხოვებენო? ორში ერთია საგულისხმო: ან ბანკის მოხელენი ზნეობიანი იქნებიან, ან არა. ჭეშმარიტის აზრის გამოსანასკვავად ან ერთზე უნდა დავდგეთ, ან მეორეზეო. თუ ბანკის მოხელენი იმოდენად ზნემაღალნი იქნებიან, რომ ამ ზნემაღლობაში იპოვნიან ღონეს თავის მხნეობისას და გულმოდგინეობისას, რაღა საფიქრელია, ისე დამდამბლდნენ, რომ ტყუილი მოგება გამოაცხონ ნამეტანობის სურვილითა და სიხარბით, ხოლო თუ

იმისთანანი იქნებიან, რომელნიც ზნეობას ბევრს არას დაგიდევენ, ამისი ერთადერთი წამალი ის არის, რომ ამისთანანი არ ამოვარჩიოთ და ახლოც არ მივაკაროთ ბანკსაო. თუ ეს არა, რაც გინდა ღობეები და ზღუდები შემოავლოთ, თავზე ხელაღებული კაცი, თუ მოინდომა, ბევრს სხვა ზიანს მოგვივლენს უამისოდაცაო.

შორს რად მივდივართ, თუ მაგ შიშს მოგების განგებ გაბევრებისას რაიმე საბუთი აქვს და თვით ეგ გაბევრება ცოტად თუ ბევრად შესაძლებელია, დივიდენტი მოხელეებისა რად არსებობს თითქმის ყოველ ბანკში, საითაც კი მიიხედავთ; განა ამისთანა ბანკის პატრონები ჩვენზე ნაკლებ ფრთხილნი და წინდახედულნი არიანო? აშკარაა, აქ მაგ შიშს ადგილი არა აქვსო.

მართალიაო, დივიდენტი ცოტასა თუ ბევრს აკლებს ბანკის ქონებას და საზოგადო საჭიროებისათვის გადასადებ ფულს, მაგრამ განა მარტო მოჭრილ ჯამაგირზე რომ გადავიდეთ, ეს კლება მოისპობა? ეხლა, დივიდენტის იმედით, თუ მოხელეებს დღევანდელის ჯამაგირით ვშოულობთ, განა იმედია, რომ უდივიდენტოდ ამ ჯამაგირით ვიშოვით? ვიშოვით, რასაკვირველია, რადგანაც მუშტარი ბევრია თუნდ ამაზე ნაკლებ ჯამაგირისა, ხოლო განა სასურველია ამისთანა მოხელე? აშკარაა, ძალაუნებურად ამ შემთხვევაში ჯამაგირები ბანკის მიერ შესაძლებელ მაქსიმუმამდე უნდა ავიყვანოთ, რომ საქმეთა ხელშემწყობი და შესაფერი მოხელენი მივუჩინოთ ბანკსა. არავინ იცის, იქნება დღევანდელი ჯამაგირები გავაორკეცოთ და მაინც სასურველ მოხელეების შოვნა გაგვიძნელდეს. რა მოჰყვება ამას? ისა, რომ დღევანდელი ჯამაგირი ბანკს ერთიორად გადახდება მაშინაც, როცა არამც თუ ზარალია, არამედ იმოდენა მოგება არ არის, რამოდენადაც საჭიროა წარბშეუხრელად ამოდენის გადახდა. განა ამისთანა წელიწადები არ შეხვედრია ჩვენს ბანკს?

განა იმისთანა წელიწადი არ დასდგომია, როცა მოგება არა ყოფილა რა და ბანკს მით უფრო გაადვილებია ეს თავგარდასავალი, რომ იძულებული არ ყოფილა ჯამაგირები ერთხელ და ერთხელ მოჭრილ ნამეტანობით, ან ერთიორად გადაეხადნაო?

ღმერთმა ჰქმნას და ჩვენმა ბანკმა ოც-ოცი ათასი მანეთი მოგება გვაძლიოსო. ნუთუ ამ შემთხვევაში უნდა დავიშუროთ, ოციდამ თუნდა ოთხი მშრომელთა და მოამაგეთა ვარგუნოთო.

აი, რაც შეგვეძლო ვრცლად გამოვარკვიეთ ჰო და არაც დივიდენტის საქმისა. რაც ამის თაობაზე აზრები ჰტრიალებს ჩვენს მიხვედრილს საზოგადოებაში, ვგონებთ, სულ ეს არის და თუ რამ აკლია, სასურველია შეივსოს შეუცდომელის განაჩენის დასადგენად.

[1890 წ.]

<ჩვენი ქალაქების სამწუხარო მდგომარეობა>

ტფილისი, 15 მარტი

ქ. ტფილისში, ახალციხესა, გორსა და დაბა კოჯორში შემოღებულია საქალაქო დებულება 1870 წლისა. თელავში, სიღნაღში, დუშეთს და ახალ-ქალაქში კი შემოსავალ-გასავლისა და მეურნეობას განაგებს პოლოცია მკვიდრთაგან ამორჩეულ დეპუტატების დახმარებით.

1888 წელს ქ. ტფილისს ჰქონდა ნამდვილი შემოსავალი 705852 მ. 66 კ. ამაში ჩვეულებრივი იყო 506975 მ. 92 კ. და არა ჩვეულებრივი 198876 მ. 74 კ., დაუხარჯავს კი ქალაქს იმავე წელს 692691 მ. 84 კ.

ქ. ახალციხეს შემოსვლია 1888 წელს 32075 მ. 95 კ. წინა წელზედ უფრო მეტი 15367მ. 4 კაპეიკით. შემოსავლის მომატება იმას მიეწერება, რომ ქალაქს მიეცა დახმარება სათემო თანხიდამ 14600 მ., რომელიც ერგებოდა ახალციხეს, რადგან იგი იხდიდა თავის საკუთარის ფულიდგან იქ მყოფ ჯარებისთვის ბინის დასაქირავებელ ხარჯს. მეორე მიზეზი ქალაქის შემოსავლის მომატებისა ის არის, რომ ძველი ნედო-იმკა და დასაფასებელი გადასახადი უფრო რიგიანად აუკრებიათ. იმავე წელს ახალციხეს დაუხარჯავს 31130 მ. გასავალი ქალაქს მომატებია უფრო იმისთ-

ვის, რომ საფუძვლიანი შეკეთება დასჭირებია ხიდს მდინარე ფიცხოვზედ. ქალაქსა აქვს ვალი 69472 მ.

ქ. გორს ნამდვილად შემოსვლია 19304 მ.. თუმცა კი მოელოდნენ, რომ შემოსავალი აიწევს 25806 მ. სულ დახარჯულა იმავე წელს 18994 მ.

ზემოთ მოყვანილ ხარჯთაღრიცხვაში ჩათვლილია ის ფულიც, რომელიც გორს აუღია მკვიდრთაგან ძველი ხარჯი, ანუ „ნედოიმკა“. ეხლანდელი ნოდოიმკა უდრის 38741 მანეთს. მოსალოდნელ ხარჯის რაოდენობა უდრის 62919 მანეთს.

ქ. სიღნაღს საანგარიშო წელს შემოსვლია სულ 6530 მ. ამას გარდა ქალაქს ჰქონია წინანდელ წლების გადარჩენილი ფული 2087 მ., დახარჯულა კი სულ 8251 მანეთი. ქალაქის „ნედოიმკის“ რაოდენობა უდრის 27698 მ. დარჩენილა თავისუფალი თანხა წინა წლებისაგან სულ 366 მ.

იმავე წელს ქ. დუშეთს შემოსვლია 3597 მან., დაუხარჯავს 2900 მან.

ქ. ახალქალაქს შემოსვლია 4330 მ. დახარჯულა კი 5711 მ., „ნედოიმკად“ დარჩენილა 1304 მ., თავისუფალი თანხა ახალქალაქისა უდრის 485 მ.

ქ. თელავს შემოსვლია 5257 მ., გადარჩენია წინანდელ წლების ხარჯს 4832 მ., საანგარიშო წელს თელავს დაუხარჯავს 6984 მ., თავისუფალი თანხა უდრის 3097 მ.

ზემომოყვანილ ხარჯთაღრიცხვიდგან მკითხველი დაინახავს, რა უნუგეშო მდგომარეობაშია ჩვენი /ტფილისს გარდა/ ტფილისის გუბერნიის ქალაქების შემოსავალ-გასავალი. რასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ ყველა ჩვენს ქალაქებს ქუჩები უსუფთაოდ და ბინძურად ჰქონდეს, ფარნები არსად მოეძებნებოდეს, საქველმოქმედო საქმეს ვერ მისდევდეს და თითო რიგიანს სასწავლებელსაც კი ვერ ინახავდეს. როდესაც ქალაქს ორი-სამი ათასი მანეთი შემოსდის წელიწადში, ამ ფულით რა ხეირიანი და რა თვალსაჩინო საქმე უნდა დაიწყოს? ისიც, რაც ჩვენს ქალაქებს შე-

მოსდის, სავალდებულო ხარჯს უნდება, პოლიციის ბოქაულების ჯამაგირს, საპატიმროსათვის სახლის დაქირავებას და სხვას, რაიცა კანონით ვალად ადევს ყოველ ქალაქს. უმთავრესი მიზეზი ჩვენის ქალაქების ამგვარ უნუგეშო საფინანსო მდგომარეობისა ის არის, რომ ნასახიც არ მოიძებნება არც მრეწველობისა და არც ვაჭრობა- აღებ-მიცემობისა. ჩვენს გაზეთში იყო რამდენჯერმე მოხსენებული, რომ ტფილისის საგუ-ბერნიო მმართველობამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ჩვენის ქალაქების სამწუხარო მდგომარეობას და რამ-დენჯერმე კიდეც იშუამდგომლა უმაღლეს მთავრო-ბასთან, რომ ქალაქები განთავისუფლებულნი იყვნენ პოლიციის შესანახ ხარჯისაგან და ეპატიოთ უშვე-ლებელი „ნედოიმკა“, რადგან არავითარი სახსარი არ არის, რომ ეგ „ნედოიმკები“ უნაკლულოდ აიკრიფოს მკვიდრთა სიღარიბის გამო. შეწყნარებულ იქმნება ამგვარი შუამდგომლობა თუ არა, არ ვიცით.

[1890 წ.]

<ბისმარკის გადადგომა>

ტფილისი, 17 მარტი

თ. ბისმარკი, ეს სახელოვანი, ეს გენიოსი კაცი, რომლის ღვაწლმაც გერმანია ამ დღევანდელ შემძლებელობამდე და დიდებამდე მიიყვანა, დაეთხოვა სამსახურს და, როგორც მისი მტრები ოხუნჯობენ, წავიდა თავის მამულში, რომ კომბოსტო სთესოსო. ამ მოულოდნელმა ამბავმა აალაპარაკა მთელი ქვეყანა. არ არის არც ერთი გაზეთი, თუ ჟურნალი, რომ ამის გამო ასე თუ ისე არა ჰლაპარაკობდეს. ვერავის კი დღეს აქამომდე ვერ გამოუცვნია რა მიზეზია ამ თითქმის ყოვლად შემძლებელის კაცის სამსახურიდამ გასვლისა. ვარაუდობით ლაპარაკისათვის, რა თქმა უნდა, ბევრი საბუთია, ხოლო გადაწყვეტითა და გულდაჯერებით ვერავის უთქვამს, რამ აიძულა ესეთი კაცი, რომელიც მთელი ოცდახუთი წელიწადი ხელიდგან არ უშვებდა სადავეს გერმანიის სვე-ბედისას, რომელმაც ამდენი შრომა და ღვაწლი შესწირა თავის ქვეყანას და რომელიც ამ ქვეყანაში ჰბატონობდა ხელშეუშლელად და თითქმის დაუბრკოლებლად, — რამ აიძულა ესეთი კაცი, რომ ყველაფერს თავი მიანება და განზე გაუდგა? ან თვით გერმანიამ, რომელიც დღეს თითქმის მარტო თ. ბისმარკის ღვაწლით, მთელის ევროპის მბძანებლად შეიქმნა, როგორ შეიწყ-

ნარა სამსახურიდგან გადადგომა თავის სახელოვან დიდებულ კაცისა?

იმ მრავალნაირ მითქმა-მოთქმათა შორის, რომელიც გამოიწვია ამ მეტისმეტად საყურადღებო ამბავმა, ყველაზე უფრო ზედმიწევნილი ერთის გერმანულის გაზეთის სიტყვა მიგვაჩნია. იგი გაზეთი ამბობს, რომ თ. ბისმარკის გასვლა სამსოფლიო ამბავია. ეგ ის უბრალო ამბავი არ არის, რომ ერთი მინისტრი გადადგა და მეორე დაინიშნა იმის სანაცვლოდ. ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ თ. ბისმარკის სისტემამ თავისი დრო მოიჭამა, ამ სისტემის აღსასრულის დღე მოვიდა. „ჭაბუკებრ მხნემ და ღონიერმა ახალმა დრომ“ წამოიწია წინ და ამის ძლიერს ზედმოქმედებას ვეღარ გაუძლო ძველმა სისტემამაო. ამ ახალის დროს ზედმოქმედებამ ფეხი გაიდგა გერმანიის ერში და უმაღლეს სფერამდისაც მიაღწიაო. აქ ხაფანგებმა და ცილობამ კი არ დაამარცხა კაცი, რომელსაც მთელი ოცდახუთი წელიწადი ხელთ ეპყრა პრუსიისა და გერმანიის სვე-ბედი, არამედ იმან, რომ თითონ თ. ბისმარკი მიხვდა, რომ მისი დრო-ჟამი წავიდა და ვეღარ შეუძლიან ახალის დროს საჭიროებას თვალი გაუსწოროს და წამალი დასდოსო. ეს მიხვედრა ერთის წამისა და დღის საქმე არ არის და არც შედეგია რომელისამე ცალკე შემთხვევისა და მიზე-ზისაო. ეს ამბავი დიდის ხნისაა და ნელ-ნელა იზრ-დებოდა და მწიფდებოდაო, — სისტემა პირქვე ემხობა მხოლოდ მაშინ, როცა გამოჩნდება, რომ საძირკველი არ უვარგაო. ამით აიხსნება ის საოცარი გულგრი-ლობა, ის საოცარი მშვიდობიანობა, რომელიც ამ დიდ ამბის შემდეგ გერმანიაში ჰსუფევსო.

მეორე გერმანული გაზეთი თითქმის ამასვე ამბობს. ამ გაზეთის სიტყვით, იმპერატორს ვილჰელმს სწყინდა და აკვირვებდა, რომ თ. ბისმარკს ჰსურდა მისთვის მოეხვია კისერზე მთელი ის ტრადიციები, მთელი ის სამართველი ხერხები, მთელი ის მტრობა, რომელთა შორის დაჰბერდა ეს ხანგრძელი მრჩეველი

მისის პაპისაო. მარტო ეს შინაგანი მიზეზი საკმაოა, რომ იმპერატორს და თ. ბისმარკს ერთად შრომა შეძლებლად გახდომოდათო. კანცლერი შეუძლებლად ჰხდიდა მოქმედებას უიმისოდ, თუ სოციალისტების წინააღმდეგი კანონი სამუდამო კანონად არ ქცეულიყო. იმპერატორი კი ჰფიქრობდა, რომ სოციალისტებ შორის ზოგნი უმეცრებით შეცდომილნი არიან და ამათ შეწყნარება უნდა და არა სასჯელი და დევნაო. კანცლერი ჰფიქრობდა, რომ შეუძლებელია მართვა ქვეყნისა თუ გაზეთები ხელში არ დავიჭირეთ და ეგრეთწოდებული „ფული ველფებისა“ ამას არ მოვახმარეთო. ვილჰელმმა უკადრისობად მიიჩნია ასეთი ღონისძიება საზოგადო აზრზე მოქმედებისათვის და საჭიროდ სცნა ეს ფული თავის პირვანდელ დანიშნულებაზე მიქცეულ იქმნას. თ. ბისმარკი მომხრე იყო, რომ საქმის პატრონი და მუშა მამაშვილობის წესზე დარჩენილიყვნენ, იმპერატორმა კი აღიარა, რომ აქ დიდპატარაობას ადგილი არა აქვს და ორივენი თანასწორნი უნდა იყვნენ სახელმწიფო-შიო. მუშათა საქმის წარმატება თ. ბისმარკს სიზმრად მიაჩნდა, იმპერატორმა კი თვით იკისრა ამ საქმის გასწორება, არამც თუ მარტო საგერმანიოდ, არამედ საევროპოდაც. თ. ბისმარკი იმ სისტემის კაცია, რომ საპარლამენტო არჩევანებზე მთავრობამ რაც შეიძლება მეტი ზედმოქმედება უნდა იქონიოსო, იმპერატორი კი ამბობს, რომ მე ნამდვილი სურვილი მინდა შევიტყო ერისა და ამიტომაც არჩევანები სრულად თავისუფალი უნდა იქმნას ყოველის ზედმოქმედებისაგან და არავითარ ღონისძიებას არ შევიწყნარებ ამ თავისუფლების შესახუთავადო. ამ სახით თითქმის არც ერთის საგნის გამო, რომელიც დღეს ასე თუ ისე შეეხება კეთილდღეობას სახელმწიფოსას, იმპერატო-რი და თ. ბისმარკი ერთმანეთს ვერ მოურიგდებოდნენ და ამიტომაც უნდა განშორებულიყვნენო.

ყოველივე ეს ძალიან ჭკუაზე ახლოა. ძალიან ადვილად საფიქრებელია, რომ თ. ბისმარკის სამსა-

ხურიდამ გასვლის მიზეზი ეს იყოს. და თუ ყოველივე ეს იყო, ნუთუ ამოცანად არ უნდა გვეჩვენოს იმპერატორ ვილჰელმის ქცევა ამ შემთხვევაში. ვილჰელმ II, საცა კი შემთხვევაა, ყველგან დიდის ქებით, დიდის პატივითა და თითქმის სასოებითაც იხსენიებს თავის პაპას და ამბობს, რომ იმის მიერ ნაჩვენები გზა ჩემთვის კანონიაო. ძალიან კარგი, ხოლო მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მისი პაპა თ. ბისმარკის სამსახურიდამ დათხოვნაზე ყოველთვის იტყოდა ხოლმე: „არასოდეს“ და შვილიშვილმა ეს „არასოდეს“ ესე მალე რად დაივიწყა? ეს ერთი, მეორე ისა, რომ თუ ზემოხსენებულ გაზეთების სიტყვას სახეში მივიღებთ, აშკარად დავინახავთ, რომ იმპერატორი ვილჰელმი უფრო თავის მამის ფრიდ-რიხის გზას დასდგომია, ვიდრე პაპისას, და რატომ არსად არ იხსენიებს მამას, რომელიც თ. ბისმარკს სწორედ მის სისტემის გამო იწუნებდა და უპირობდა კიდეც დათხოვნას სწორედ ამის გამო. არც ხომ ფრიდრიხს უნდოდა ის უკადრისი ღონისძიება ეხმა-რა, რომ გაზეთები მოესყიდა, არჩევანებზე მთავრობას რაიმე ზედმოქმედება ჰქონოდა და სხვა ამისთანა და სამართლიანობა ითხოვდა, თუ ვინმე სახსენებელია ამ შემთხვევაში, ვილჰელმს თავისი მამა ეხსენებია და არა პაპა, რომელიც თ. ბისმარკს ნებას აძლევდა რაც გინდა ჰქმენიო. განა სისტემა ბისმარკისა ეხლან-დელის იმპერატორის პაპის სის-ტემა არ იყო? განა ახალი სისტემა, რომლის გამოც ეხლანდელს იმპერა-ტორს მოუნდა დათხოვნა თ. ბის-მარკისა, უფრო მამის სისტემას არა ჰგავს, ვიდრე პაპისას? მაშ მამას რად აყენებს ჩრდილში და მარტო პაპას რად იხსე-ნებს ქებითა და სასოებით?

ესეთი ქცევა ვილჰელმისა ნუთუ ღირსი არ არის, რომ კაცი ჩაუფიქრდეს. ეს მისი პოლიტიკაა, ხერხია, რომ უფრო ადვილად შეასრულოს თავისი განზრახული, თუ სხვა რამე.

[1890 წ.]

<უთანხმოება იმპერატორ ვილჰელმ II და ბისმარკს შორის>

ტფილისი, 22 მარტი

დღეს აქამომდე მთელის ქვეყნის სალაპარაკო ისევ თ. ბისმარკის და ეხლა ჰერცოგ ლაუენბურგის სამსახურისაგან დათხოვნაა. არც უსაბუთოა, რომ დღეს ამდენს ჰლაპარაკობენ და იმედია კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ იმ დრომდე მაინც, ვიდრე საცა წვრილია, იქ არ გაწყდება. სამართლიანად იძახიან ზოგიერთი გაზეთები, რომ საფრანგეთის იმპერიის დამხობის შემდეგ ამისთანა დიდი ამბავი დღეს აქამომდე არ მომხდარაო. მოდით და ნუ ილაპარაკებთ, მოდით და მოიკალით წყურვილი და ნუ ჩაჰხედავთ გულში ამ დიდს ამბავს, რომელიც ხვალინდელს დღეს ზოგისათვის საშიშადა ჰხდის, ზოგისათვის საამებლად. ჯერ კი არავითარი საბუთი არავის ხელთ არა აქვს, რომ ან შიშით მოილოდინოს ხვალინდელი დღე და ან ტკბილის იმედითა. საქმე ის არის, რომ 31 წლის იმპერატორმა ვილჰელმა თავიდამ მოიშორა „რკინის კანცლერი“ თავის პაპისა და თვით მოისურვა დაიჭიროს სადავე გერმანიის შინაურ და საგარეო საქმეთა სამართავად.

ამ გარემოებაშია მიზეზი შიშისაც და უკეთესობის იმედისაც. იმპერატორი ვილჰელმი ჯერ გამოუცნობელი კაცია და ეხლა ჰცდილობენ გაუგონ

რა ჰსურს და რა არა. ამ სურვილის გამოსაცნობ-
ლად, რაკი სხვა გზა არ არის, ყველას ყურადღება
მიუქცევია მასზე, თუ რა მიზეზით აღარ ინდომა
იმპერატორმა გვერდთ ჰყოლოდა იმისთანა გამოც-
დილი, სახელოვანი და სახელგანთქმული კაცი,
როგორიც ბისმარკია, — ეგ გერმანიის შემაერთებელი,
გამადიდებელი და გამაძლიერებელი მამულისშვილი.
რა თქმა უნდა, ზედმიწევნილად გამოცნობილი მიზეზი
ცოტად თუ ბევრად ანიშნებს კაცს, თუ არ მას, რაცა
ჰსურს იმპერატორს ვილჰელმს, იმას მაინც რაც არა
ჰსურს და ესეც საკმაო საქმეა, როცა აშლილია
წყურვილი რისამე ცნობისა და გაგებისა: ამ
შემთხვევაში ერთს მხარეს საქმისას მაინც მიაყენებს
კაცი ცოტა რამ შუქს, სხვა არა იყოს რა.

ჩვენც რომ ამ კვალს ავყვეთ და ზოგიერთი ხმები,
რასაც დღეს გაზეთები ავრცელებენ, ავწონ-დავწონოთ,
შევიტყობთ, რომ ბისმარკის სამსახურიდამ გასვლა
სულ არა ჰგავს ტკბილად გაყრას ორის მეგობრისას,
როგორც გარედამა სჩანს. მართალია, ამბობენ
ბისმარკს ვითომ ეთქვას, მე ძალიან მოხუცი ვარ
იმპერატორის ახალგაზრდობისათვის და იმპერატორი
მეტად ახალგაზდაა ჩემის მოხუცებულობისათვისაო,
მაგრამ მიზეზი განშორებისა აქ არ არის. ბისმარკი
თვითნება კაცია, უნდა რომ ყველაფერი მის ხელთ
იყოს და ყველაფერი მარტო მას ეკითხებოდეს.
ხელმწიფემ იხელმწიფოს და მე კი უნდა განვაგო
სახელმწიფო საქმეებიო, — აი მისი მოძღვრება,
მოკლედ და მოჭრით გამოთქმული. ხანგრძლივად
მწყალობელმა ბედმა შეაჩვია იგი ამ თვითნებობას.
საკვირველიც არ არის: საცა კოჭი ააგდო, ყველგან
ალჩუ დაუჯდა, მერე ისე, რომ მის საქმეთა დიდების
წინაშე მტრებმაც პატივით თავი მოიხარეს. მისმა
გაუტეხელმა მხნეობამ, მისმა ხასიათის სიმაგრემ,
მისმა გაბედულმა უშიშრობამ რაკი ასეთის
გამარჯვებით ბისმარკს ბურთი მოედნიდამ გაატანინა,
ყველამ თითქო კისრად იდო მისი თვითნებობა და

დაჰდუმდა. დაჰდუმდა გერმანიის ერი, რომლის პარლამენტი, ესე იგი, წარმომადგენლობა ერისა ამ ბოლოს ხანებამდე თითქმის ყურმოჭრილ ყმასავით თვალებში შეჰყურებდა ბისმარკს და საითაც ამას უნდოდა, იქით იქმოდა თავსა. დაჰდუმდა თვით იმპერატორი ვილჰელმი I, პაპა ეხლანდელისა, ვითარცა დავალებული ბისმარკისაგან, რომელმაც დაქსაქსული გერმანია ერთად შეუკრიბა და იმპერატორის გვირგვინი დაადგა თავს, სახელისა და დიდების შარავანდედით მოსილი.

ეს თვითნება სახელმწიფო საქმეთა კაცი ვილჰელმ I-ს დროს თითქმის არავის ეკითხებოდა არც საშინაო, არც საგარეო საქმეში. ყოფილა ზოგიერთი შემთხვევაში, როცა თვითნებობა ბისმარკისა იმოდენად წრეს გადასულა, რომ განსვენებულ იმპერატორსაც კი გული სტკენია, მაგრამ ერთი მუქარა ბისმარკისა, სამსახურიდამ გავალო, საკმაო ყოფილა, რომ ეხლანდელის იმპერატორის პაპას თავის გულისტკენა თავისთვის შეენახა, ან დაევიწყა. უბისამრკოდ დაგდება გერმანიისა ისე ჰშინებია ვილჰელმს I-ს, რომ არამც თუ თავის იმპერატორობის დროს, სამერმისოდაც, როგორც გაზეთები ამბობენ, ფიცი ჩამოურთმევია, ჩემს შვილიშვილსაც არ მოჰშორდეო და გერმანიის საქმეებს თავი არ დაანებოო. ამ ყოფაში ჩავარდნილი ბუნებითადაც თვითნება კაცი, რა თქმა უნდა, უფრო გააძლიერებდა ამ თვისებასა, უფრო გაიმტკიცებდა.

ამისთანა კაცს ბედმა ეხლა შეახვედრა ახალგაზდა იმპერატორი, რომელიც მოქმედებისა და საქმიანობისათვის თვითაც ჰდუღს და გადმოდის. ადრე თუ გვიან თვითნებობა სახელოვანის მოხუცისა უნდა შესჯახებოდა თვითნებობას ახალგაზდა იმპერატორისას, რომელსაც თვითონაც სწყურიან სახელის შოვნა, თვითონაც უნდა ქვეყანას დაანახვოს თავისი თავი, და რომელიც, როგორც სჩანს, სულაც არ არის იმისთვის დაბადებული, რომ პაიკად იყოს

სხვის ხელში. ეტყობა, თვითნებობა ბისმარკისა კარგა ხანია გულში ხაზად ჰქონია იმპერატორს ვილჰელმს და მარტო მარჯვე რამ მიზეზი სდომებია ხელთ იგდოს, რომ ეგ ხაზი წაჰშალოს. სწორედ ამისთანა მიზეზად შემდეგს გვაუწყებენ გაზეთები.

ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ბოლონდელი არჩევანები რეიხსტაგის დეპუტატებისა გერმანიაში გათავდა მით, რომ მთავრობას გერმანიისას უმეტესობა აღარ ეყოლება პარლამენტში. ბისმარკს არაერთხელ შეჰხვედრია ამისთანა ამბავი, მაგრამ მისი ოსტატობა, მისი მოხერხება, მისი გაძვრენ-გამოძვრენა სხვადასხვა დასთა შორის ისე მოიყვანდა ხოლმე საქმეს, რომ პარლამენტში უმეტესობას შეიდგენდა. ამ ხანადაც ესე მოუნდომებია ბისმარკს. ვინდჰორსტი დღეს იმისთანა დასის წარმომადგენელია, რომ თუ ეს დასი მოემხრო მთავრობას, უმეტესობა მთავრობისათვის უსათუოდ შესდგებოდა. ბისმარკმა მოიწვია თურმე ვინდჰორსტი, რომ გაუგორ-გამოუგორდეს და როგორმე მოინადიროს და გადმოიბიროს. ვინდჰორსტი ვერ მოჰრიგებია და საქმე ამით გათავებულა. ხოლო შეუტყვია ეს ამბავი თუ არა იმპერატორს ვილჰელმს, მაშინვე მიჭრილა ბისმარკთან, რომელიც უკვე დასაძინებლად წოლილა ქვეშაგებში. მარდად ჩაუცვამს ტანისამოსი და გამოსულა იმ ოთახში, საცა ბძანებულა იმპერატორი. იმპერატორს პასუხი მოუკითხნია, უჩემოდ, ჩემდა დაუკითხავად რად მოიწვიე ვინდჰორსტი სალაპარაკოდაო. ბისმარკს უპასუხნია, ეგ ჩემი კერძო საქმეაო. მე ნება მაქვს თავის დროზე ვიცოდე ხოლმე, რა მოლაპარაკება აქვს ჩემს კანცლერს იმისთანა გავლენიან კაცთან, როგორც ვინდჰორსტიაო, უთქვამს იმპერატორს. ბისმარკს ამაზე უპასუხნია, რომ მე არ შემიძლიან ჩემი მოლაპარაკება დეპუტატებთან ვისიმე ზედამხედველობის ქვეშ ვამყოფოო და დაუმატებია, რომ თუ აქამომდე მე კიდევ სამსახურში ვარ, მარტო იმიტომ, რომ მე სიტყვა მივეც იმპერატორს ვილჰელმ

I-ს ერთგულად, სულითა და გულით ვემსახურო მის შვილისშვილსაო და ადვილად დავანებებ თავს საქმეებს, თუ ჩემი სამსახურში ყოფნა ვერ გეხერხებათო.

ამ სიტყვების შემდეგ შეუძლებელიღა იყო ბისმარკის დარჩენა სამსახურში. რომ ისე ადვილი არ იყო ბისმარკისათვის სამსახურიდამ გასვლა, ეს იქიდამა სჩანს, რომ როცა დათხოვნის არზა გაუგზავნია იმპერატორისათვის, იმედი ჰქონებია, არ გამიმეტებს და უკანვე დამიბრუნებს არზასაო. ხოლო როცა ამის მაგიერ იმპერატორისაგან დათხოვნის ქაღალდი მისვლია, ისე შეწუხებულა, რომ ცრემლი მოჰრევია თვალში.

თუ ეს გაზეთების მიერ ნაუწყები ამბავი მართალია, აშკარაა ბისმარკის და იმპერატორის შუა ჭიას კარგა ხანია გაურბენია და იმპერატორი ბისმარკის თვითნებობისაგან აბეზარს მოსულა, თორემ ზემოდ ნაამბობი შემთხვევა არც ისეთი დიდი რამ არის, რომ იმპერატორი გაცხარებული მიჭრილიყო ბისმარკთან და ან ბისმარკს ასეთი მკვახე სიტყვები ეხმარა. სჩანს, თოფის წამალი ადრევე მოგროვილა მათ შორის, რომ ამ მცირე ნაპერწკალისაგან ერთიცა და მეორეც ასე აფეთქებულან.

კიდევ ვიტყვით, თუ ყოველივე ეს მართალია, მაშინ ბისმარკის სამსახურიდამ დათხოვნა მარტო ადგილის გადანაცვლებაა თვითნებობისა. დღეს აქამომდე თვითნებობა ბისმარკისა იყო, ამას იქით მის მაგიერ ჩასდგება თვითნებობა იმპერატორისა და რომელი უფრო კარგად დაუჯდება გერმანიასა და აქედამ ევროპას, ამას დრო გამოაჩენს.

[1890 წ.]

<ვენახების წამლობის შესახებ>

ტფილისი, 23 მარტი

მოვიდა გაზაფხული და საცაა გამოიტანს კვირტსა და ყვავილს ვაზი. პირველ ხანებში სიუხვე და სიმრავლე კვირტისა და ყვავილისა, რა თქმა უნდა, გაახარებს ვენახის პატრონის გულსა, ხოლო სასურველია ამ სიხარულმა ის უბედურება არ გადაგვავიწყოს, რომ ჩვენი მტერი ვენახებისა — ნაცარი და ნამეტნავად მილდიუ — ჯერ კიდევ მოსავლინებელია. ან ერთი და ან მეორე, ან ორივე ერთად მიესევა აწ სასიხარულოდ გამოსულს ვაზსა და გაზაფხულის ლხინს შემოდგომის გლოვად გაგვიხდის, იმიტომ რომ ერთიცა და მეორეც შემძლებელია სრულად ხელი დაგვაბანინოს მოსავალზე, რომლის კარგი ნიშნები ყოველს გაზაფხულს მოაქვს ხოლმე ჩვენთვის.

ღმერთმა გვიხსნას ამისთანა გათახსირებისაგან მოსავლისა, მაგრამ წინათ ფიქრი, როგორ დავხვდეთ მტერს, როგორ გაუძღვეთ, როგორ ავიცილოთ თავიდამ, მეტისმეტად საჭიროა ეხლავე. ნაცარიცა და მილდიუც დაბინავებული მტერია ჩვენში და იმის მოვლენა დიაღ მოსალოდნელია. ეგ წყეულები მერე იმისთანანი არიან, რომ თუ ვაზი წინადთვე არ მოამზადე გაუმაგრდეს, მერე, როცა ან ერთი, ან მეორე გამოჩნდება და მიესევა, ყოველივე ღონე

თითქმის უქმია და ყოველივე ჭიდილი უიმედო. აი რა მხრით არის სასურველი, რომ ყველა ვენახის პატრონმა წინათვე სამზადისი იქონიოს და წინათვე შეუდგეს ვაზს უწამლოს მტრის დასახვედრად და გასაბრუნებლად. წელს გაზაფხული – ცოტა არ იყოს – ადრე მოვიდა და შესაძლოა სითბომ ააჩქაროს ვაზიცა და მისის მტრების მოსევაც. ამიტომაც, რაც ადრე შეუდგებიან ვენახების წამლობას, მით უფრო დიდი იმედია გამარჯვებისა და უმოსავლობის თავიდამ აცილების.

შარშან, მაგალითებრ, კახეთში, ალაზნის მარცხენა მხარეს, ნაცარი შემჩნეული იყო ვაზზე აპრილის დასასრულს და მაისის დასაწყისს. მაისის ბოლოს და ივნისის პირველ რიცხვებში მილდიუმაც იჩინა თავი. თუ მივიღებთ სახეში, რომ შარშან გაზაფხული უფრო ცივი იყო და წვიმებიანი, ასე, რომ უფრო გვიანსა ჰგავდა, ვიდრე ადრეულს, ყოველ ამის გამო ვაზის დაყვავილებაც დაგვიანდა და ნაცრისა და მილდიუს გამოჩენაც. წელს გაზაფხული სულ სხვა იმედს იძლევა და შესაძლოა ყოველივე ეს ადრე წამოგვადგეს თავს. ამიტომაც ადრევე სჯობია თადარიგს შეუდგეთ.

არსებითი ძარღვი თადარიგისა ვაისა და ვუის ძახილში არ არის. საქმე ის არის, რომ სახარჯო ფული იზრუნოს კაცმა, ვისაც ჰსურს თავის ვენახსა და ვენახისათვის გარჯას გამორჩეს რასმე. შარშან ამისათვის მთავრობა აქაურ სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობით, რამდენიმე ფული გადასდო. უეჭველია წელსაც გადასდებენ, მაგრამ ყოველივე ეს წვეთია ზღვაში. წელს ჩვენი ბანკიც აპირებს ერთი ხუთასიოდე თუმნით მიეშველოს ჩვენს ვენახების პატრონებს, მაგრამ არც ეს კმარა, სხვა არა იყოს რა, ამბობენ, რომ მარტო კახეთში რამდენიმე ათასი დესეტინა ვენახიაო, ახლა ქართლი აიღეთ, ახლა სომხითი და სხვა ადგილები და სად უნდა გასწვდეს ეს მცირეოდენი ფული. აქ საჭიროა თვითონ

ვენახების პატრონთაც გაიკრან ჯიბეს ხელიო. მართალია, ბევრს არაფერს იპოვნიან ამ ჯიბეებში, მაგრამ ეს ასეთი საქმეა, რომ სხაგან უნდა დაიკლონ, აქ არა დაზოგონ რა და ერთი საყოველთაო სახსარი რამ იღონონ და ამ ურთიერთობით გაძლიერდნენ ერთმანეთის საშველად.

[1890 წ.]

<შიანური აშლილობა გერმანიაში>

ტფილისი, 24 მარტი

თანდათან ირკვევა, რომ თ. ბისმარკი ძალიან გულგამწყრალია სამსახურიდგან დათხოვნის გამო. წინაპირველად ყველას ეგონა, რომ მოხუცი კანცლერი განშორდა თავის ახალგაზდა ხელმწიფეს სიტკბოთი და სიყვარულით ან ვინ იფიქრებდა სხვას რასმე, რაკი იცოდნენ, რომ იმპერატორი ღრმად პატივისმცემელია თ. ბისმარკისა და ეს პატივისცემა იქამდე იყო მიღწეული, რომ ვილჰელმი თავის მამის წყენასაც არ მოერიდა და მაშინ, როცა განსვენებულმა ფრიდრიხმა ავის თვალით დაუწყო ყურება ბისმარკს, ეხლანდელმა იმპერატორმა და მაშინდელმა მემკვიდრემ საქვეყნოდ უთხრა ბისმარკს, შენ პირველი კაცი ხარ გერმანიაში და ყველა ერთგული გერმანიისა შენის დროშის ქვეშ უნდა იდგეს და საცა წახვიდე, თან გამოგყვესო.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ესეთი ქება და დიდება შეასხა იმპერატორმა ვილჰელმმა ამ მართლა და გამოჩენილ კაცსა და ეხლა უცებ თითონვე ფეხი გამოჰკრა და ძირს დასცა. ყველანი იძახიან, რომ ეს დიდი გამბედაობაა იმპერატორის მხრითაო. მართალიც არის. თ. ბისმარკი, — რაც გინდა სთქვით, — გერმანიის ერისათვის მეტისმეტ დიდების შარავანდედით არის მოსილი. არიან

იმისთანანი, რომელნიც მის სახელს თითქმის ლოცულობენ და რომელთაც ჰგონიათ, რომ უბისმარკოდ გერმანია უიალქნო ხომალდია ამ წუთისოფლის ზღვაშიაო.

რასაკვირველია, რომ გერმანიელთ ესე ეგონოთ, თითქმის მთელი ევროპაც ასე უყურებს დღევანდელს უბისმარკო გერმანიას. მართალია, დიდი ჭკუა და გამოცდილება მოაკლდა გერმანიას, რაკი საქმის გამგებელად ბისმარკი აღარა ჰყავს. ამას გერმანიაში ბევრნი სწუხან და ამ წუხილმა ეხლა დაიწყო თავის გამოჩენა. გერმანიის გაზეთები ეხლა თითქმის ორად გაიყვნენ: ერთნი ბისმარკის სამსახურიდამ გასვლას ჰგლოვობენ და მეორეებს უხარიანთ. იგი გაზეთები, რომელნიც დღეს აქამომდე ბისმარკის წყალობით ჰრჩებოდნენ და სულ თვალებში შეჰყურებდნენ, აცა რას გვანიშნებს, რომ ისე მოვიქცეთ და ისე ვილაპარაკოთო, დღეს მარტო ბისმარკის ქებაში არიან და იმის ჩივილში, რომ ამისთანა კაცი იმპერატორმა ასე ადვილად გამოიმეტა. ეს გაზეთები ათასნაირ ხმასა ჰყრიან იმისთანას, რომ კაცს შეუძლიან იფიქროს ვითომც იმპერატორი შესცდა და ტყუილუბრალოდ დაითხოვა კაცი, რომელსაც, არამც თუ მარტო გერმანია, მთელი ევროპაც კი მადლით უნდა იხსენიებდეს, რადგანაც როგორც გერმანია, ისეც მთელი ევროპა მისის წყალობით უომრად გადურჩნენ ამოდენა მიზეზებს წეწვა-გლეჯისას და ჩხუბისასაო. ეხლა კი ვინ იცის რა მოჰხდება და ხვალინდელი დღე რას მოუტანს ან გერმანიას, ან ევროპასაო. ამ გაზეთების სიტყვით, კიდევ ვითომ იმედია, რომ უბისმარკოდ იმპერატორი ვერას გააწყობს და ისევ მოიწვევსო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ რაღაც ჭორი, ვითომც თითონ ბისმარკს ეთქვას: მე ხელახლად მომნახვენო.

ეგ სარჩლის გაწევა კიდევ ასე თუ ისე შესაწყნარებელია. ამისთანა კაცს, როგორიც ბისმარკია, არ შეიძლება მოსარჩლე და მომხრე არა

ჰყავდეს გერმანიაში და კარგა ბლომადაცა ჰყავს. ხოლო საქმე იმაშია, რომ მარტო სარჩლსა და მომხრეობას არა სჯერდებიან. უნდათ, თვით იმპერატორსაც აბრუ გაუტეხონ გერმანიაში და ისევ სახელი ბისმარკისა მაღლა ატარონ. ყველამ იცის, რომ რესკრიპტმა მუშა ხალხის შესახებ — ცოტა არ იყოს — სიყვარული მოუპოვა იმპერატორს ვილჰელმს და ბისმარკის გაზეთები სწორედ აქა სცდილობენ სახელი გაუტეხონ იმპერატორს. ამისთვის აი ამ ბოლოს ხანებში რა ხმა გაავრცელეს. ყველამ იცის, რომ იმპერატორმა დაითხოვა ბისმარკი თუ არა, უბოძა ჰერცოგობა და ამასთან შეუთვალა: გნებავს ფული და გნებავს მამული მიიღეთ კიდევ ჯილდოდ მრავალგვარ ღვაწლისათვისაო. ეხლა ბისმარკის მომხრე გაზეთებმა ხმა დაჰყარეს, რომ ბისმარკმა არ ინდომა ჰერცოგობაო და ფულსა თუ მამულზედაც უარი სთქვაო ამ სიტყვით: ფულითა თუ მამულით საჩუქარს მე ვერ მივიღებო მაშინ, როცა მუშა ხალხი ასეთს დიდს გაჭირებაში არისო.

არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი, ხოლო ადვილად გამოსაცნობია რა განზრახვით არის მოგონილი. ეს მართალი თუ მოგონილი სიტყვები ბისმარკისა, მდაბიურად რომ ითარგმნოს, აი რა გამოდის: შენ თუ მართლა გული გტკივა მუშა ხალხისათვის, იმათ რად აკლებ, იმათ, ვინც გაჭირებულია, და მე რად მაძლევო, მე, რომელსაც ჩემიც საკმაო მაქვსო: აშკარაა, ამისთანა პასუხი სადა სცემს. აშკარაა, ამისთანა ხმებით გული უნდათ გადუბრუნონ მუშა ხალხსა მით, რომ თითქო ეუბნებიან: ნურა გჯერათ რა, აი სიტყვით რას გიქადიან და საქმით რაებს სჩადიანო. ბისმარკი კი სხვა კაცია, იმას საქმით უყვარხართ და არა ცარიელის სიტყვითაო. არ ვიცით, რამდენად გასჭრის ამისთანა ოსტატობა და მანქანება ბისმარკის მომხრეებისა, ხოლო ეს ამბავი იმის მომასწავებელია, რომ გერმანიას შინ განხეთქილება მოელის, რაკი

აქამდე მივიდა საქმე. როგორც დასაწყისისაგან სჩანს, ეს განხეთქილება უიმისოდ არ ჩაივლის, რომ თანდათან უფრო და უფრო არ გაფიცხდეს, არ გამწვავდეს. თუ ეს გამართლდა, მაშინ გერმანია საგარეოდ იმოდენად ვეღარ მოიცლის და ისე თამამად და გაბედულად აქეთ-იქით ყურებას ვეღარ დაიწყებს, როგორც აქამომდე. ამას მოჰყვება ის, რომ შინ აწეწილს გერმანიას მოკავშირენიც გაუგრილდებიან, იმიტომ რომ პოლიტიკაში შინისაგან მოუცლელი მომხრე ბარგია, ტვირთია და არა შვება. საფრანგეთს მეტად უხარიან, რომ გერმანიის შინაური საქმე ასე აიშალა. დღეს აქამომდე გერმანია სიხარულით იფშვნეტდა ხელებს, რომ ამისთანა ცუდს მდგომარეობაში იყო საფრანგეთი, და ეხლა სიხარულის ჯერი საფრანგეთს ერგო. ბევრს იმედი აქვს, რომ ეს შინაური აშლილობა უსათუოდ მოხდება გერმანიაში და იქნება იქამდე მივიდეს, რომ გერმანია უკან ჩამოაყენოს და ევროპაში გაბატონებისათვის სხვა რომელმამე დიდმა სახელმწიფომ წამოიწიოსო. ეს კი ვიცით, რომ ამ დიდთა სახელმწიფოთა შორის ავსტრია და იტალია ამისათვის უღონონი არიან.

[1890 წ.]

<ბანკის საადგილმამულო კრედიტის გამო>

ტფილისი, 27 მარტი.

დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებაში ჰტრიალებს ხმა, რომ ჩვენი საადგილმამულო კრედიტი მეტად ძვირად უჯდება მემამულესაო. ეს სიძვირე გამოჰყავთ იქიდამ, რომ სოფლის მამული იხდის ყოველს ას მანეთიანს გირავნობის ფურცელზედ რვა მანეთს თავნსა და სარგებელში ყოველწლივ და რადგანაც ამ უკანასკნელ წლებამდე ასმანეთიანი გირავნობის ფურცელი ას მანეთზედ კარგა ნაკლებ, — ხუთისა და ექვსის პროცენტით, — იყიდებოდა, ეს წლიური შესატანი ბანკში ნაღდის ფულის კვალობაზედ რვა პროცენტზედ მეტი მოდიოდა. ნამეტნავად ძვირად დაუჯდათ ნაღდი ფული იმათ, ვინც ბანკიდამ სესხი გაიტანა იმ პირველ ხანების დროს, როცა ასმანეთიანი გირავნობის ფურცელი გადიოდა რვა თუმნად და სამ მანეთად, ან ამაზე ცოტა მეტნაკლებად.

ეს სამდურავი ცოტად თუ ბევრად სამართლიანია, მაგრამ ესეც უნდა მივიღოთ სახეში, რომ პირველ ხანში ჩვენს ბანკს, როგორც ახალს და ჯერ ფეხგაუმართავს და ფულის ბაზარშიაც უცნობს, არავითარი ღონე არა ჰქონდა ამ მხრით ეშველნა რამ და ხსენებულ სიძვირისათვის რამ ეწამლნა. ყველამ

იცის, რომ წლიური შესატანი ბანკში სამის ნაწილისაგან შესდგება: ერთი, — სამატი სარგებელი /% роста/ მეორე, — თავნის სახდელი /%погашения/ და მესამე — ბანკის ხარჯისა და მოგების გასაძღოლი. ვერც ერთ ამ სამის ნაწილისას ბანკი ვერ დააკლებდა უიმისოდ, რომ ან თვითონ შიშს ქვეშ არა ყოფილიყო — ფეხს ვერ მოვიმაგრებო, ან იმის შიში არა ჰქონოდა, კარგს მუშტარს ვერ ავუჩენ ფულის ბაზარში ჩემს გირავნობის ფურცელს, რომლითაც მე ფულსა ვშოულობ მსესხებლისათვისაო.

რომ ჩვენს ბანკს ეს შიში აღარა ჰქონოდა, ჯერ თითონ უნდა მოემაგრებინა ფეხი, წელში გამართულიყო, თავისი შემოსავალი იქამდე მიეყვანა, რომ ხარჯისა და საეგებიო ზარალის გაძღოლა შესძლებოდა. ეს ერთი, და მეორე ფულის ბაზარში ნდობა უნდა მოეპოვებინა, რომ ფულის პატრონს შიში აღარა ჰქონოდა, ჯერ ახალია და არ ვიცით, საქმე როგორ მოუხერხდებაო. ყოველ ამას თითქმის მთელი თხუთმეტი წელი მოუნდა, ესე იგი, იმოდენა დრო, რომელიც ცალკე კაცისათვის კარგა ბლომა ხანია და იმისთანა სამერმისო საქმისათვის კი, როგორიც ბანკის საქმეა, მაგდენი არაფერია.

დღეს ჩვენი ბანკი სწორედ იმ მდგომარეობაშია, რომ შეუძლიან სთქვას: აწ არსებული შემოსავალი ჩემი იმდენია, რომ ჩემის უღონობის ფიქრი აღარა მაქვს და ფულის ბაზარშიაც შემოვიჩვიე კაი მუშტარი ჩემის გირავნობის ფურცლისათვისაო. რაკი ესეა, მომწიფდა დროცა, რომ ბანკი შეუდგეს კრედიტის გაიეფების თადარიგს პირდაპირის გზით, ესე იგი, აწ არსებულს სამატს სარგებელსაც მოაკლოს შესაძლებელი ნამეტანობა და ბანკის სახარჯოსა და სამოგებო სარგებელსაც.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ჩვენის გაზეთისაგან, რომ სამატ სარგებლის დაკლების შესახებ ჩვენის ბანკის გამგეობას შეაქვს წრევანდელ კრებაში სარჩიელი, რომ ნება მიეცეს ჩვენს ბანკს

ხუთპროცენტიანი გირავნობის ფურცელი იქონიოს. ამ საგანზე ვრცლად იყო ნათქვამი ჩვენს გაზეთში. ამასთან ერთად გამგეობას ბანკისას განუზრახავს შეიტანოს სარჩიელი, რომ სახარჯო და სამოგებო სარგებელიც 1/2-დამ ჩამოახდინოს 1/4%-ზე იმ სოფლის მემამულეთათვის, რომელნიც წევრნი დამფუძნებელნი ბანკისა არიან და სხვებისათვის, ქალაქისა თუ სოფლის მამულების პატრონთათვის, 1 %-ზე იმ პირობით, რომ პირველთათვის ეს ნაკლები სარგებელი შემოღებულ იქმნას 1-ლ იანვრიდამ 1891 წლ. და მეორეთათვის 1892 წ.

[1890 წ.]

<ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა>

ტფილისი, 31 მარტი.

ამ მოკლე ხანში ევროპაში ბევრი რამ მოსალოდნელი და ბევრი რამაც მოულოდნელი მოხდა. საითაც მიიხედავთ, ყველგან სამინისტრონი პანტასავით ჰცვივიან და ძველთა მაგიერ ახალნი ადიან ტახტზედ.

ამ მინისტრების გასვლა-გამოსვლამ პირველად თავი ამოჰყო ავსტრი-ვენგრიაში, საცა დაეთხოვა მინისტრობას მთავარ-მინისტრი ვენგრიისა ტისსა, დიდი მომხრე და დიდი გულმოდგინე იმ სახელოვანის „სამთა კავშირისა“, რომელიც შეჰკრა და შეჰბოჭა რაღაც უცნაურის თილისმითა თ. ბისმარკმა, რათა ხალისი დაუკარგოს ყველას, ვისაც ევროპაში საომრად ხელები ექავება და ვინც გაჰბედავს და კუსავით ფეხს გამოჰყოფს, მეც ნახირ-ნახირაო. აქვე ავსტრი-ვენგრიაში სიკვდილმა სააქაოს გამოასალმა იმისთანა კაცი, როგორიც ანდრაში იყო, რომელსაც არა ერთხელ მოიწვევდა ხოლმე იმპერატორი ფრანც-იოსები რჩევის საკითხლად და რომელსაც „სამთა კავშირთა“ გარე ავსტრი-ვენგრიის ცხოვრება შეუძლებელი ეგონა.

საფრანგეთს გადაავლებთ თვალს და ჰნახავთ, რომ არც იქ დაიჭირა თავი მთავარ-მინისტრმა ტირარმა, რომელიც ისე ძლევამოსილად გამოვიდა

ბულანჟესაგან ატეხილ ალიანქოთიდამ და ამის გამო მადლობას უნდა მოჰლოდებოდა და არა იქამდე გაჭირებას, რომ სამსახურს და მინისტრობას უნდა გამოსალმებიყო და სხვისთვის დაეთმო გამარჯვებით მოსილი ადგილი. ყველაფერი ეს მოსალოდნელი იყო ცოტად თუ ბევრად მით უფრო, რომ ტისსას დიდი ხანია მოზღვლეული ჰქონდა ფეხქვეშ მიწა და ძლივ-ძლივღა იდგა ფეხზე და საფრანგეთი ხომ ჩვეულია და ჩვეული მინისტრების აყვან-ჩამოყვანასა. იქ უფრო საკვირველია, რომ ამდენი ხანი გაუძლო ტირარის სამინისტრომ და არა ის, რომ გამოიცვალა და მის სამაგიეროდ სხვა დასდგა.

ყველაზედ საოცარი და მოულოდნელი ის არის, რაც გერმანიაში მოხდა. თ. ბისმარკი დათხოვნილ იქმნა, იგი ბისმარკი, რომელიც ჰბატონობდა ევროპაში და რომლის წარბის შეკვრას და გახსნას მოსდევდა შიში და თრთოლა ერთისა და სიხარული და გათამამება მეორისა. დღეს ამ კაცს ხელი დააბანინეს არამც თუ ევროპის საქმეებზედ, არამედ გერმანიისაზედაც და გაისტუმრეს ფრიდრიხსრუეში, რომ ეხლა გუთანს მოჰკიდოს ხელი, ჰხნას, ჰთესოს და კომბოსტო ჰზარდოს. რა თქმა უნდა, ყველა ხსენებულ ცვლილებაზედ ეს ცვლილება, გერმანიაში მომხდარი, მეტად დიდი რამ არის და ბევრის რამის მომასწავებელიცაა. რა მოჰყვება ამ უბისმარკობას, ჯერ არავინც იცის ზედმიწევნით და „სამთა კავშირი“ კი რომ შეინძრა და დაიფრაკა, ამას კი ბევრნი ჰგრძნობენ და ბევრნი ჰხედვენ. იტალიაში მთავარ-მინისტრს კრისპისაც ცოტა არ იყოს მუხლი მოეჭრა, რაკი თ. ბისმარკი ეგ მამამთავარი და დედაბოძი „სამთა კავშირისა“ გადიქცა. ვინ არ იცის, რომ ამ „სამთა კავშირით“ ედგა სული კრისპის და თუ მის დარღვევასა და დაშლაზე მიიმართა საქმე, ან სხვაგან უნდა ეძიოს დასაყრდომი დედაბოძი, ან ამ „სამთა კავშირის“ დარღვევის შიშსა ეხლავ გაუფრთხილდეს და გაეცალოს. ტყუილად კი არ ამბობენ კანტი-

კუნტად გაზეთები, რომ კრისპი საფრანგეთს, ცოტა არ იყოს, თვალს უშვრებაო და ვინ იცის, იქნება იტალიამ აქ იპოვოს ის დედაბოძი, რომელიც მას გამოეცალა გერმანიაში, თუ კარგად გაისარჯა და სხვამ კიდევ არ წაიტყუა ტყუილის იმედებითა. ამასაც კი იძახიან, ვითომ ძნელია, რომ კრისპიმ უბისმარკოდ თავი დაიჭიროსღა და მთავარ-მინისტრობა შეირჩინოსო. ჩვენც ამ აზრისანი ვართ, იმიტომ რომ, რაკი ბისმარკი აღარ არის ევროპის პოლიტიკის მმართველი და გამგე, ვეღარც ისინი გაუძღვებიან თავიანთ საქმეებს, რომელნიც ბისმარკის კალთას ებღაუჭებოდნენ — გადი და გაგვიყვანეო.

არც ინგლისია უიმისო, რომ ფიქრი არა ჰქონდეს აწინდელ სამინისტროს პირქვე დამხობისა. თუმცა მართალია, პარნელის საქმემ ძალიან შეულახა სახელი და აბრუ გაუტეხა სამინისტროს სალუსბერისას და გლადსტონის მოძღვრების გაძლიერებამ ირლანდიის შესახებ ბევრი მომხრეები ჩამოაცალა, მაგრამ მიზეზი სალუსბერის შერყევისა უფრო ეხლანდელ საგარეო პოლიტიკის მდგომარეობაში უნდა მოვძებნოთ. სალუსბერი, თუმცა ერიდებოდა რაიმე ხელშეკრულობის შეკვრას გერმანიასთან, მაგრამ გულით და სულით თ. ბისმარკის პოლიტიკის მომხრე იყო და ძალიან მოწადინებული, რომ ბისმარკის მიერ შექმნილი და არსებული „სამთა კავშირი“ ჰსურიდეს ზოგიერთის შესაკავებლად ევროპაში. ეხლა ბისმარკი აღარ არის და დიდი ფიქრია იმისი, რომ გერმანია დაუახლოვდება იმას, ვის შეოკებასაც ჰნატრობდა ინგლისი, რომლის ეხლანდელმა მთავარ-მინისტრმა ამ „სამთა კავშირის“ იმედით შემოიწყრომა საფრანგეთი და აღვირი მიუშვა გერმანიას აფრიკაში გაიწივ-გამოიწიოს თავისუფლად ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ. თუ მართლა უბისმარკო გერმანია უწინდელ მეგობრებს დაივიწყებს და სხვას მოუტკბილდება, აშკარაა, ინგლისმაც სხვაგან უნდა

მონახოს ფონი და ეს სხვა საფრანგეთია. საფრანგეთთან კეთილად მოწყობა გლადსტონისა და მის დასისათვის უფრო ადვილად მოსახერხებელია, რადგანაც გლადსტონი და მისი დასი არა სწყალობდა გერმანიას და უფრო საფრანგეთისაკენ ყოფილა და არის კიდეც.

მაინცდამაინც დღეს ვხედავთ, რომ საფრანგეთი ისე ჩრდილში დაყენებული აღარ არის, როგორც აქამომდე იყო. მისი ვარსკვლავი თითქო ხელახლად ამოდის და პოლიტიკის მოედანზედ თავის ადგილის დაჭერას ჰლამის. ჟიულ სიმონის ტკბილად მიღება გერმანიის იმპერატორისაგან და განსაკუთრებული პატივი, რომელიც მას გარს შემოარტყა გერმანიის იმპერატორის სახლობამ თუ დიდებულთა და დიდკაცთა, უმნიშვნელო ამბავი არ არის. ზოგი ამ ამბის გამგონი და მნახველი იქამდენაც მიდის, ვითომც ყოველივე ეს მოასწავებს შერიგების სურვილს გერმანიის მხრით. გასაკვირველი აქ არ არის რა. ეხლანდელი იმპერატორი გერმანიისა მეტისმეტი გამბედავი და მოულოდნელის საქმის ჩამდენია. ამ ორისა და სამის თთვის წინად განა ფიქრად მოუვიდოდა ვისმე ის ამბავი, რომ არც აცივა, არც აცხელა, აჰკიდა ბარგი თ. ბისმარკს და ფრიდრიხსრუეში გაისტუმრა დედაბუდიანად.

სიზმრადაც არავის მოელანდებოდა ეს ამისთანა საოცარი ამბავი ამ ორისა და სამის თთვის წინად. ამისთანა კაცს განა გაუჭირდება საფრანგეთს ასე თუ ისე მოურიგდეს, თუკი ერთხელ ამისი აზრი ჭკუასა და გონებაში ჩაუჯდა, როგორც აზრი აუცილებელის საჭიროებისა. კაცმა თუ გერმანიას თ. ბისმარკი დაათმობინა, თ. ბისმარკი, რომლის ღვაწლმა შეჰქმნა და განადიდა გერმანია, ელზას-ლოტარინგიას კი ვეღარ დაათმობინებს, თუ გაჭირდა ან სხვით რითიმე გული შეიჯერა. ევროპაში ბევრი რამ არის სახარბიელო გერმანიისათვის და ელზას-ლოტარინგიაზე შეცივნული ხელი შესაძლოა სხვაგან

მოითბოს სადმე, თუ გერმანიას გვერდით მოუდგა საფრანგეთი. ჯერ არავინ იცის რა გამოვა რისაგან, ხოლო ყოველივე ეს რომ შესაძლებელია, ამას ვერავინ ვერ იუარებს.

ასეა თუ ისე, ეს ზოგან მინისტრების ცვლა და ზოგან რყევა და ტოკვა მათი და დღეხვალიობით ყოფნა, ყველას თვალწინ უდგა. აშკარაა, ყოველივე ეს იმის მომასწავებელია, რომ ევროპას დღეს გული გულის ადგილას არა აქვს და დღევანდელის დღის მომდურავი ჰლამის სხვა დღე გაითენოს და ამ სხვა დღეს სხვა კაცები შეურჩიოს. რა გამოვა ყოველ ამისაგან, სიკეთე თუ ბოროტი, ავი თუ კარგი, ამაზე ნამდვილად და ზედმიწევნით ჯერ არა ითქმის რა, ხოლო ევროპა რომ მწყურვალია სულ სხვარიგად მილაგ-მოლაგდნენ სახელმწიფონი ერთმანეთში, არა გვგონია, ამაზე ეჭვი იქონიოს ვინმემ. თუ დღევანდელი განწყობილება სახელმწიფოთა შორის კმასაყოფელია, რად მოიშორა ევროპამ თავიდამ ის კაცნი, რომელთაც ეს განწყობილება შეჰქმნეს და დღეს აქამომდე შეინახეს. მართალია, ამ მინისტრების ცვლასთან ერთად გვეფიცებიან, რომ ნუ გეშინიანთ, კაცნი იცვლებიან და არა საქმენიო, მაგრამ აქ ფიცი თუნდ ვიწამოთ, ბოლო მაინც უნდა გვაკვირვებდეს. არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ დღეს მდინარეობა პოლიტიკისა ცოტად თუ ბევრად ამღვრეულია და არეული ევროპაში. არავინ არ იცის როგორ და საიდამ დაწმნდება და ამ არცოდნას მოსდევს იგი შიში განსაცდელისა, რომელიც ძილს და მოსვენებას უფრთხობს მშვიდობისმოყვარე კაცსა.

[1890 წ.]

<ევროპა პოლიტიკური ცვლილებების მოლოდინში>

ტფილისი, 7 აპრილი

დღეს აქამომდე არ გათავებულა და დიდხანს კიდევ სალაპარაკო იქნება ის ამბავი, რომ ბისმარკი დაეთხოვა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, დაითხოვეს და გადააყენეს. დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ ეგრეთწოდებულ „სამთა კავშირს“ — იტალიისას, ავსტრიისას და გერმანიისას — საძუე შემოაწყდა და მათ შუა რაღაც ადგილას ხიდი ჩასტყდა. მოკავშირენი, რასაკვირველია, გულს არ იტეხენ და იფიცებიან, რომ ჩვენ შორის ისევ ის სიყვარულია, ისევ ის მეგობრობა, როგორც ბისმარკის დროსაო, მაგრამ გულში კი იძახიან, ეს რა ცუდი საქმე გვეწია და უბისმარკოდ როგორ გავძლოთო. მართალიც არის, ბისმარკი სული და გული იყო ამ კავშირისა და გარდა ამისა ციხე-ბურჯიცა. ეხლა საქმენი ხელთ იგდო ახალგაზდა იმპერატორმა, რომელიც ყველასათვის ჯერ კიდევ ამოცანაა. ეს გამოუცნობელი კაცი, რომელიც იძახის, რომ ბისმარკი ისტორიაა და მე ახალი დრო ვარო, არც თითონ ისვენებს და არც სხვას ასვენებს. ყველანი ჰფრთხიან, ყველანი ჰშიშობენ და ვერავის ვერ გამოუცვნია, ხვალინდელი დღე რას გამოატყვრენს.

ამ ფრთხოლასა და შიშში ყველა თავის თავისათვის ჰფიქრობს ცალკე და აქედ-იქით იყურება, აბა ან ვინ მოვიმხრო, ან ვის მივემხრო, რომ ხვალის განსაცდელმა არსად მომიწყვდიოს უამხანაგოდ და უმწეოდო. თითონ თავმოწონებული, გათამამებული გერმანიაც კი თითქო ამ შიშს აუტანია. ბევრი ნიშნებია, რომ ეხლანდელი პოლიტიკა გერმანიისა მოწადინებულია საფრანგეთს მოუტკბილდეს და ამასთანავე რუსეთის გულიც, ბისმარკისაგან ცოტად თუ ბევრად ნატკენი, ისევ მოინადიროს. იტალია და ავსტრია ამას ჰხედვენ და ესენიც თავის მხრით არაფერს არა ჰზოგვენ, რომ გერმანიისაგან თავმინებებული მარტონი არ დარჩნენ ევროპაში. იტალია ცხადად იჩენს სურვილს, რომ საფრანგეთი დაიმეგობროს. მთავარ-მინისტრი კრისპი, რომელიც ბისმარკის იმედით დღეს აქამომდე ქედმაღლობით ექცეოდა საფრანგეთს და არაფრად აგდებდა, დღეს ლამის ფეხქვეშ გაუგორდეს. პრეზიდენტი საფრანგეთისა კარნო სამხრეთ საფრანგეთს წავიდა სანახავად და დასათვალიერებლად და იტალიის მთავარ-მინისტრმა კრისპიმ ნიშნად პატივისცემისა და მეგობრობისა მთელი ესკადრა გაჰგზავნა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მიეგებოს და დაჰხვდეს. ამბობენ, ეს ასეთი პატივისცემაა იტალიისაგან საფრანგეთისა, რომ ამის შემდეგ ამ ორის სახელმწიფოს ერთმანეთთან დამეგობრება ძალიან ადვილი საქმეაო. რა იტალია? ისპანიაც კი აჰყოლია თითქო იტალიის მაგალითსა და ამასაც ესკადრა გაუგზავნია, რომ პრეზიდენტს კარნოს ისპანიის პატივისცემა გამოუცხადოს.

თითონ კარნოს მოგზაურობა საფრანგეთის სამხრეთის ადგილებში ან უნდა იყოს უმნიშვნელო მაშინ, როდესაც, გაზეთების სიტყვით, ინგლისის მთავარ-მინისტრი სალუსბერი ნიცცაში იმყოფება და, მაშასადამე, შესაძლებელია ფარულად ეს ორი სახელმწიფო საქმეთა კაცნი ერთმანეთს ეჩვენნენ და

გამოეხმაურონ. რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის დანახულია საჭიროება ერთმანეთთან დაახლოებისა, ეს, სხვათა შორისაც, იქიდამა სჩანს, რომ ხელახლად გაიმართა ამ ორთა სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება ეგვიპტის გამო. ყველამ იცის, რომ თუ ცოტად ერთმანეთზე შემომწყრალნი არიან ინგლისი და საფრანგეთი, ამისი მიზეზი ის არის, რომ ეგვიპტეზე ინგლისმა ხელი დააბანინა საფრანგეთსა და ბისმარკის წყალობითა და წაქეზებით თითონ მარტოკა გაჰბატონდა. ეხლა ბისმარკი აღარ არის და აი ინგლისიც, ხვალინდელის დღის უიმედო, იძულებულ გახდომილა საფრანგეთი აქ როგორმე შეირიგოს და ამ მხრით ერთი ცოტად თუ ბევრად ძლიერი მიზეზი ერთმანეთთან დაშორებისა მოსპოს.

თითონ გერმანიის იმპერატორიც, ცოტა არ იყოს, სცდილობს საფრანგეთს გაუნელოს მტრობა და ასე თუ ისე მისი გამწარებული გული მოატკბილოს. საფრანგეთის სახელოვანი კაცი ჟიულ სიმონი, რომელიც თავის ქვეყნის წარმომადგენლად გაგზავნილ იყო მუშათა საქმის კონფერენციაზედ ბერლინში, ისე აღტაცებული და კმაყოფილი წავიდა გერმანიის იმპერატორისაგან, რომ მეტი არ იქნება. ბევრს მოეცათ გული საფრანგეთში მას შემდეგ, რაც ჟიულ სიმონმა ამცნო თვისი ნახული და გაგონილი გერმანიაში. არ გასულა მასუკან ბევრი ხანი, რომ გერმანიის მთავრობისაგან გაუქმებულ იქმნა ელზას-ლოტარინგიაში „ბასპორტობა“, შემოღებული ბისმარკისაგან მარტო იმისათვის, რომ საფრანგეთის კაცს თავისუფალი მსვლელობა არა ჰქონოდა ამ ახალად დაჭერილ გერმანიისაგან ქვეყნებში და მით ეს ქვეყნები დაეშორებინა საფრანგეთისათვის, რომელსაც თვით ეს ელზას-ლოტარინგია დღეს აქამომდე თავის სამშობლო ქვეყნად ჰხადის და სიყვარულით ეტანება.

ამ სახით ვხედავთ, რომ უბისმარკობა საფრანგეთისათვის სახეირო გამოდგა. საფრანგეთი წინ წამოდგა და თითქმის ყველასათვის სანატრელი გახდა იმ მხრით, რომ ყველანი იმის ამაების ცდაში არიან. როგორ გამოიყენებს საფრანგეთი ამ ბისმარკის ბედნიერ გარემოებას, ამას დრო გამოაჩენს. ჩვენ კი დღეს მარტო ამას ვიტყვით, რომ ამ დღევანდელ ყოფას საფრანგეთისას ბევრი რამ ცვლილება უნდა მოჰყვეს ევროპის პოლიტიკაში და ვინ იცის, იქნება გუშინდელი მეგობრები დღეს მტრებად გადიქცნენ და მტრები კიდევ მეგობრებად.

[1890 წ.]

<კანონმდებლობა კერძო ვექილობის წინააღმდეგ>

ტფილისი, 10 აპრილი

განსამართლების ახალმა წესდებამ, რომელიც განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე II თავის სასახელოდ მიანიჭა რუსეთს, სხვათაშორის, ორი ძირეული ცვლილება შემოიტანა. ერთი ისა, რომ გაჩხრეკა საქმეებისა საჯარო, საქვეყნო გაჰხადა, და მეორე ისა, რომ დაავალა სასამართლოს თვისი სასწორი სიმართლისა დაამყაროს მარტო იმ საბუთზე, რომელსაც მოდავენი, თუ მოჩივანნი აღმოაჩენენ. პირველ შემთხვევაში სიტყვიერად ახსნას საქმისას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა ჭეშმარიტების აღმოჩენისათვის სასამართლოს წინაშე, ვიდრე ქაღალდით ლაპარაკსა, როგორც მანამდე იყო. მეორე შემთხვევაში მთელი მოვალეობა განსამართლებისათვის საბუთების მოგროვებისა დაეკისრა თვით მოდავეებსა და მოჩივრებს.

ამ სახით მოდავე თუ მოჩივანი სიტყვა-პასუხობაშიაც უნდა მარჯვე იყოს, ესე იგი, გავარჯიშებული, დაჩვეული და გარდა ამისა ზედმიწევნით მცოდნელი კანონებისა საქმით და თეორიით. რა თქმა უნდა, ერთისა და მეორისათვის დიდი წინათმოძზადებაა საჭირო და ჭკუაში მოუსვლელია, რომ კაცმა, რომელსაც, იქნება, მთელს

თავის სიცოცხლეში ორი შემთხვევაც არ მიეცეს სასამართლოს წინაშე ან მოდავედ, ან მოპასუხედ წარდგომისა, გასწიოს ეს დიდი ჯაფა მომზადებისა, რომელიც არა ერთსა და ორს წელიწადს მოითხოვს, თუ ჰსურს მართლა რიგიანად მომზადდეს. იმას აღარ ვიტყვით, რომ ათასში ერთს ამისათვის არც დრო აქვს, არც შეძლება და არც მოცალეობა. ამისთანა მომზადებას, შესაძლოა, შესწიროს თავისი დრო და მოვალეობა მარტო იმ კაცმა, რომელსაც თავისი ნიჭისა და უნარის მიხედვით, სახსრად თუ საგნად თავისის ცხოვრებისა მარტო ამგვარი მოსაქმეობა აურჩევია.

უეჭველია, ეს ახალი წესდება განსამართლებისა გამოიწვევდა მოსაქმედ ამგვარს კაცებს და კანონმდებელსაც წინ დანახული ჰქონდა, რომ ეს ასე მოხდება. ხოლო რომ მომზადებულთან ერთად მოუმზადებლებმაც ხელი არ წაატანოს ამგვარს მოსაქმეობასა და ხალხი არ ატყუოს, განსამართლების წესდებაშივე განჩენილია ეგრეთწოდებული „კრებული /ინსტიტუტი/ ნაფიცთა ვექილთა“.

ამ კრებულის გამო დადგენილია კანონები იმის თაობაზედ – თუ ვისა აქვს ნება შეირიცხოს თავი ნაფიცთა ვექილებში და რა ცოდნა და გამოცდილება უნდა მიუძღოდეს წინ, ვიდრე ნაფიც ვექილობას ძიიღებდეს. ყოველთ უწინარეს ეს მოეთხოვება კანონის ძალით ნაფიც ვექილობის მსურველს, რომ ცოდნა უმაღლესის სასწავლებელისა ჰქონდეს და ამასთან რამდენისამე ხნის გამოცდილებაც საქმეთა წარმოებაში. რა თქმა უნდა, კანონმდებელს წინადვე დანახული ჰქონდა, რომ პირველ ხანებში აგრე მომზადებული კაცები ბევრნი არ იქნებოდნენ და ამის გამო საჭიროდ იცნეს ვექილობის ნება მისცემოდათ იმისთანებსაც, რომელთაც უმაღლესი სწავლა არ მიუღიათ და არც დიდის ხნის გამოცდილება მიუძღვით. ხოლო კანონმდებელი აქაც ჰფთხილობს,

რომ სრულად უცოდინარი კაცი არ გაერიოს ამ საქმეში, და ოლქის სასამართლოებს დაავალა ცოდნაში გამოსცადონ ამისთანა კაცები და თუ ღირსად დაინახონ, ნება მისცენ ვექილობისა. ამგვარს კაცებს კერძო ვექილებს ეძახიან.

ყოველისფერში ეტყობა, რომ კანონმდებლობა ამ კერძო ვეიქილობას ვერ უყურებს კარგის თვალით. დღეს აქამომდე სულ იმის ცდაშია, რომ არამც თუ გამრავლდეს და გაძლიერდეს ამგვარი ვექილობა, არამედ შემცირდეს და, თუ შესაძლოა, მოისპოს კიდეც. ამიტომაც წესდების შემოღების დღიდამ დღეს აქამომდე ამგვარ ვექილების უფლება სულ კლებაშია და არა მატებაში.

თითქმის მეოთხედმა საუკუნემ გაიარა, რაც ეს ახალი წესდება განსამართლებისა შემოღებულ იქმნა, კანონმდებელი ჰხედავს, რომ ამ ხანის განმავლობაში ნაფიც ვექილობის ღირსნი ისე გაბევრდნენ, რომ ტევა აღარ არის თითქმის და ამ მხრით კერძო ვექილობას ის საბუთი არსებობისა ცოტად თუ ბევრად დაეკარგა, რომელმაც პირველ ხანებში კანონმდებელი იძულებული გახადა შეეწყნარა ამგვარი ვექილობა. აშკარაა, დღეს მთავრობა იმ გზაზედა სდგას, რომ კერძო ვექილობას ბოლო მოეღოს, რადგანაც ნაფიც ვექილთა რიცხვმა საკმაოდ იმატა და ხალხისათვის ნაფიცი ვექილი უფრო ბევრს თავდებობას ცოდნისას, სიმართლისას და კეთილსინდისიანობისას წარმოადგენს, ვიდრე კერძო ვექილი, თუმცა ამ უკანასკნელთ შორისაც არიან ღირსი კაცები.

რომ მართლა მთავრობა დღეს ამ გზაზედა სდგას, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს ის ამბავი, რომელსაც ამ კერძო ვექილთა შესახებ გვაუწყებს „Спб. Ведомости“. ეს გაზეთი ამბობს, რომ კანონებს შესახებ კერძო ვექილთა, ხელახლად უპირებენ გადასინჯვასაო და დადგენილ იქმნებაო, კერძო ვექილთ ნება ჰქონდეთ ვექილობისა მარტო მომრიგებელ-მოსამართლეთა წინაშე, და ოლქის

სასამართლოში და პალატაში კი აეკრძალებათო. ამასთანავე ხმა არისო, რომ ვექილობის მოწმობისათვის გადასახადი ეხლანდელზე უფრო მეტი დაიდებაო.

[1890 წ.]

ქუთაისის ბანკის საქმე

I

ტფილისი, 3 აგვისტო

ქუთაისის ბანკის წლევანდელ კრების გამო მითქმა-მოთქმა დღედადღე ჰმატულობს და ძლიერდება. მას აქეთ, რაც იქაურმა ზედამხედველმა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა ხელმეორედ მოწვევა კრებისა, ეს მითქმა-მოთქმა უფრო გახშირდა და უფრო ცეცხლს უკიდებს უამისოდაც გაფიცხებულს და გამწვავებულს საქმესა. ამ მითქმა-მოთქმისაგან სჩანს, რომ წლევანდელი კრება იმ ჭკვადამჯდარ და გულწრფელ კაცთა კრებული კი არ ყოფილა, რომელნიც შეყრილან საზოგადო საქმის კეთილად მოსაწყობად და გასამართავად, არამედ მოედნად გამხდარა, საცა ორი კაცი ერთმანეთს შესჭიდებია გამგეობაში თავმჯდომარეობისათვის და თვითვეულს თავისი მომხრენი მოურეკნია, რომ ვნახოთ ბურთს მოედნიდამ მე გავიტან, თუ შენაო.

მართლა, რომ ამ მითქმა-მოთქმის განსაკუთრებული საგანი გამგეობის თავმჯდომარის ამორჩევაა, თითქო წლევანდელს კრებას საკუთრივ და ბანკის კრებას საზოგადოდ სხვა სანაღვლელი და საფიქრებელი არც ჰქონებია და არცა აქვს. ყველა საგანი დავიწყებულია და ასენოვანი მითქმა-მოთქმა მარტო ამ არჩევანზეა შეჩერებული და ამაზე ჰლესავს თავის ბასრს კბილსა. რა არის მართალი ამ მითქმა-

მოთქმაში და რა არის ტყუილი, ამას კაცი ძნელად გამოარკვევს, რადგანაც უეჭველი და უტყუარი საბუთი ამისთანა შემთხვევაში ძნელია კაცმა ხელთ იგდოს, მხოლოდ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ თუ ასში მაინც გამართლდა ის ხმები, რაც ისმის შესახებ იმისა თუ, — რა გზით, რა ღონისძიებით, რა უკადრისის საქციელით მორეკილ იყვნენ „კენჭოსნები“ ერთისაც, მეორის მხრითაც, მარტო ისღა უნდა კვნესით ვიძახოთ: ვაი, რა დროს შევესწარით და რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ!

თუ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს აღვირაშვებული უკადრისობა თანდათან უფრო მეტად თავს გავიდა, თუ ნაძირალთა გრძნობათა შემწეობით, ქადებით, ფულით, სხვადასხვა დაპირებით, მოტყუებით, ზუთხებით და სადილ-ვახშმებით სვის გატანა მოვინდომეთ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, თუ ამისთანა ავზნეობას შევეჩვივენით და ჩვენში ფეხი მოვაკიდებინეთ, რიღას იმედით მოვილოდინოთ ხვალე? რა ნუგეშითღა გავუსწოროთ თვალი ჩვენს მერმისსა? რა პირითღა დავენახოთ ქვეყანას? რა სახელიღა გადავცეთ ჩვენთა მემკვიდრეთა თუ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ასე ვიარეთ, სად მივალთ და რა კლდე-ღრეში გადავიჩეხებით?

ამას უნდა ჩაუფიქრდნენ ყოველნი, ვინც საზოგადო მოღვაწის სახელსა ნდომობს და საზოგადო საქმეთა სარბიელზე გამოდის საჭიდაოდ. რა თქმა უნდა, ამ სარბიელზე ჭიდილი ბუნებური მოვლენაა კაცთა საქმეთა მსვლელობაში და არვის არ ეკიჟინება. ხოლო ჭიდილიც არის და ჭიდილიც. ამ ჭიდილში ყოველივე ღონისძიება ნამუსის და პატიოსნების სასწორზე უნდა აწონილ იყოს, უამისოდ ჭიდილი, — საზოგადო სარბიელია, თუ საცალკეო, — რყვნაა და არა წვრთნა ადამიანურ გრძნობისა, ღირსებისა და კაცურკაცობისა. ყოველივე მოთავე დასისა, ყოველივე ცალკე წევრი და მომხრე მისი, და ყოველივე ეგრეთწოდებული „კენჭოსანი“ ამ

სასწორით ხელში უნდა შედიოდეს კრებაში და ამ სასწორით მოქმედობდეს, არჩევანია, თუ სხვა საქმე რამ გასარჩევი და გადასაწყვეტი. ვინც ასე არ იქცევა, იგი ჰღალატობს თავის კაცურ-კაცობას, იგი ჰღალატობს კრებას, საზოგადოებას, ქვეყანას, იგი მჩვარია და არა ადამიანი, თავის თავის პატრონი, თავის საკუთარის ღირსების მქონებელი, მომვლელი და დამცველი.

ჩვენ გვემძიმება, მაგრამ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ, რომ მითქმა-მოთქმა ორსავე მხარეს ერთნაირად აბრალებს უკადრისის ღონისძიების ხმარებას არჩევანის დროს და თუ განსხვავებაა რაშიმე, მარტო ამ ღონისძიების მეტნაკლებობაშია და არა უკადრისობის მორიდებაში. ეს ამისთანა სათაკილო და სამარცხვინო ამბები სახელს უტეხს მთელს კრებას, მთელს საზოგადოებას, თვითეულს ცალკე წევრს კრებისას, ჩირქსა სცხებს ჩვენს ადამიანობას, ჩვენს კაცურკაცობას. არამცთუ დაჯერება ამ ამბებისა, გაგონებაც კი გულს უწყლავს ყოველ კაცს, ვისაც კი გაუგია, რა არის გრძნობა ადამიანის ღირსებისა, თავის სიმაღლიდამ ძირს დაშვებული, დაცემული.

აკი ვსთქვით, თუ ჩვენდა სამწუხაროდ, ასში ერთი მაინც მართალი გამოდგა იქიდამ, რასაც ჰლაპარაკობენ დღეს, უეჭველია დიდს საგონებელს და სანაღვლელს უნდა მივეცნეთ და ხვალინდელ უარესობის შიშმა უნდა შეგვაძრწუნოს. ნაძირალთა გრძნობათა აშლა და ფეხის გადმოდგმა საზოგადო საქმის სარბიელზე პირქვე დასცემს ყველა კეთილსა და თავის ლამით და შლამით წალეკავს ყოველსფერს, რასაც კი მიეკარება. თუ სამუდამოდ ჩვენი წახდენა, ჩვენი მიწასთან გასწორება არ გვინდა, ამ მხრით უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს, ამ ნაძირალთა გრძნობას გზა უნდა გადავუღობოთ, ვიდრე დროა, თორემ მერე გვიანღა იქნება: ჩვენი საზოგადოებური ღირსება ამ ნაძირალთა გრძნობის ლექ ქვეშ

დაიმარხება და მერე მშვიდობით ჩვენო იმედო, ჩვენო სასოებავ ხვალისავ!

ჩვენ შორსა ვართ, რასაკვირველია, იმაზე, რომ ამისთანა სათაკილო და სამარცხვინო საქციელი ან ერთს მხარეს, ან მეორეს თავზე მოვახვიოთ. ჩვენ, როგორც უკვე ვსთქვით, ამისათვის უტყუარი და უეჭველი საბუთი ხელთ არა გვაქვს, ცალიერის სიტყვისა და მითქმა-მოთქმის მეტი, და ცალიერი სიტყვა და მითქმა-მოთქმა ვერაფერი თამასუქია ამისთანა შემთხვევაში. ხოლო ამ მითქმა-მოთქმას ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც მაგალითს იმისას, თუ რა სიფრთხილით, რა წინდახედულობით, რა სიწმინდით და სიფაქიზით უნდა გამოდიოდეს კაცი საზოგადო საქმეთა სარბიელზე სამოქმედოდ, რომ თვით პირგახეულმა ჭორმა და ნამუსზედ ხელაღებულმა მტრობამ ვერა იპოვოს რა ხელის მოსაჭიდებელი. აქ მცირეოდენი ეჭვიც საკმარისია, რომ ჭორმა და მითქმა-მოთქმამ თავისი საზარელი და დაუნდობელი ქსელი გააბას, რაც გინდ კაცი მართალი იყოს, და ამით პირქვე დაამხოს არამცთუ ღირსება ადამიანისა, თვითონ იგი საქმეცა, რომლის სამსახურად კაცი მოედანს გამოსულა. ესეც კია: უცეცხლოდ ბოლი არ ავარდებაო, როგორც რუსები იტყვიან, და — ვინ იცის — იქნება არც აქ გაუშლია მითქმა-მოთქმას ფრთა უმიზეზოდ. აი ეს არის სამწუხარო და სავალალო.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის ბანკის წევრნი თვით ჩაუფიქრდებიან ყოველს იმას, რაც ამ მითქმა-მოთქმამ მოჰფინა ჩვენში და ჭორსა და მართალს გამოარკვევენ, რადგანაც იგინი თვით საქმეში დგანან, ყოველს ჭორს თუ მართალს სათავეშივე ჰხედვენ და ამის გამო იმათს თვალს არა უნდა გამოჰპარებოდა რა. იმედი გვაქვს, რომ, თუ რამ ამ მითქმა-მოთქმისა გამართლდა, იგინი სამართლიანის რისხვითა და წყრომით მსჯავრს დასდებენ იმას, ვისაც უკადრისობა უკადრნია, სათაკილო არ უთაკილნია და სამარცხვინო

არ შერცხვენია. ჩვენა გვჯერა, რომ ქუთაისის ბანკის წევრნი ამ ამღვრეულს საქმეს დასწმენდენ და ქვეყნის წინაშე გამოვლნენ იმ საქებურ სახელით, რომელსაც ჰნატრობს ჩვენთვის ყოველი ჩვენი კეთილისმყოფელი და რომლის მაგალითიც არა ერთხელ უჩვენებიათ ჩვენთვის ჩვენს იმიერ მოძმეებსა, როცა ქვეყნისათვის ზრუნვას და გულისტკივილს თავისუფლად მისცემიან მათდამი უხვად მინიჭებულ მხურვალებითა და თავგამოდებითა.

ჩვენ კი ამ მითქმა-მოთქმას ადგილს არ მივცემთ საქმის განსჯასა და განკითხვაში. აქამდინაც ხმას იმიტომ არ ვიღებდით, რომ მარტო მაგ ცალიერ მითქმა-მოთქმის ანაბარად ვიყავით და მწერლობას არ შეჰფერის საქმე განსაჯოს და განიკითხოს მარტო მით, რასაც ამბობს და ჰლაპარაკობს ას თუ ათასენოვანი მითქმა-მოთქმა. ხოლო ეხლა, როცა ხელთ ვიგდეთ უტყუარი საბუთები საქმის გამოსარკვევად, ხმის ამოუღებლობა ცოდვად ჩავთვალეთ და აქ მარტო გულახდილობა და პირდაპირი, კუდგამოუბმელი საუბარიღაა საჭირო. ჩვენ ეხლა ამ საუბარს შევუდგებით. ჩვენი საგანი ის იქნება, რაც მოხდა და რამაც აწეწა საქმე, როგორც არჩევანების დროს, ისეც მას მერმეთა. ყოველ ამის საბუთები თვითონ წლევანდელ კრებისა, ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობის ქაღალდებშია მოქცეული. ჩვენ მარტო ამ საბუთებს წავიმძღვარებთ და ვეცდებით თვითეულის მოქმედება მისდა კუთვნილ ნათელქვეშ დავაყენოთ.

II

ტფილისი, 4 აგვისტო,

ჩვენ მინამ ვიტყოდეთ რასმე ჩვენსას მასზე — წესიერად მოხდა თუ არა გამგეობის თავმჯდომარის

არჩევანი ქუთაისის კრებისაგან, საჭიროა ვიცოდეთ ყოველივე გარემოება ამ არჩევანისა დასაწყისიდგან დასასრულამდე. უამისოდ ყოველივე სიტყვა ცალიერი თქმა იქმნება, რადგანაც ხელთ არ გვექნება საბუთი განსჯისა და განკითხვისა. აი როგორ მომხდარა ეს არჩევანი თითონ კრების სიგელის სიტყვით.

არჩევანი გამგეობის თავმჯდომარისა მომხდარა 18-ს მაისს. წინა დღეს, როცა კრებას საიმდღეისო საქმეები გაუთავებია, თავმჯდომარეს კრებისას გამოუცხადებია, რომ ხვალ 12 საათზე დაიწყება კრება, რწმუნების წერილებს გადავსინჯავთ და შევამოწმებთ, მას მერმე შევუდგებით არჩევანსაო. კრება, რა თქმა უნდა, დაშლილა იმ იმედით, რომ ხვალ 12-ს საათზე ადრე არ გაიმართება კრებაო. 18-ს მაისს ადრე მოგროვილან კენჭოსნები და ახირებით მოუთხოვნიათ: ეხლავ გაიმართოს კრება, 12-ს საათს ნუღარ მოვუცდითო. თავმჯდომარე ამ ახირებულს თხოვნას დაჰმორჩილებია და 11 საათსა და 15 წუთს კრება გაუმართავს. კრების დაწყების უმალვე 15-ს კაცს გამოუცხადებია, რომ რწმუნების წერილები გვაქვს და მიიღეთო. თავმჯდომარეს მოუხსენებია კრებისათვის, რომ ყველა რწმუნების წერილი ვერ შევამოწმეთო, რადგანაც აუარებელი წერილია და მათი გადასინჯვა და შემოწმება რამდენსამე დღეს მოინდომებსო. კრების ახირებულ თხოვნის გამოო, ამბობს კრების სიგელი, წერილების შემოწმებაც თავდანებებულ იქმნა, მორიგ საქმეთა განხილვაცა და პირდაპირ შესდგომიან თავმჯდომარის არჩევანს. თვით კენჭის ჩამოტარების დროს, კრების ახირებულ ბრძანებითვე, ახალი რწმუნების წერილები მიუღიათ იმათგანაც კი, ვინც წევრთა სიებშიაც არა ყოფილა ჯერ ჩაწერილი. ამ სახით და წინათ წარდგენილ რწმუნების წერილების ძალით კრებაზე 1455 ხმა შემდგარა. ორს ჩამოუტარებია კენჭი, ერთს უწინდელს თავმჯდომარეს თ. დადიანს და მეორეს ბ-ნ ჩიკვაიძეს, რომელსაც ხმის უმეტესობა ჰრგებია და

ამის გამო, წესისამებრ, თავმჯდომარეს ბ-ნი ჩიკვაიძე გამოუცხადებია ამორჩეულად.

ჩვენ ყოველ ამაში, ერთის მხრით, კრების ახირება გვაკვირვებს და მეორეს მხრით, თავმჯდომარის აუხირებლობა. აშკარაა, არც კრებას სცოდნია თავისი უფლება და მოვალეობა, არც თავმჯდომარეს. ან სცოდნიათ და არც ერთს საჭიროდ არ დაუნახავს მოქცეულიყო თვისდა უფლებისა და მოვალეობისამებრ.

კრება, მართალია, უმაღლესი ორგანოა ბანკის თვითმართველობისა, მაგრამ ნურავის ნუ ჰგონია, რომ იგი ყოვლადშემძლებელი იყოს და რაც ინებოს, იგი ჰქმნას. აქ ყოველს ნაწილს თვითმართველობისას კანონისაგან შემოფარგლული აქვს, რა უფლების პატრონიც არის და მარტო ამ ფარგალს შიგნით იგი ხელშეუხებელი მბრძანებელია და გამგებელი. 82 მუხლი ბანკის წესდებისა ცხადად გვაჩვენებს, რაზე მიუწვდება ხელი კრებას, რის გაჩხრეკა და განკითხვა აქვს მინდობილი. ამის გარეთ ყოველივე მოქმედება კრებისა თვითნებობაა, ძალმომრეობაა, ყოველ რიგიან კაცისაგან შეუწყნარებელი, შეუფერებელი და წუნდასადები. 82 მუხლი წესდებისა ვალად სდებს არმოსულს წევრს, თუ ჰსურს, თვისი მაგიერობა, თვისი ხმა მიანდოს მარტო ან იმას, ვინც თითონ ხმის მქონებელია, ან მახლობელს ნათესავს. ამასთან რწმუნების წერილი უნდა შემოწმებულ იქმნას ორის მოწმისაგან და წარდგენილ სამის დღის წინად მაინც, ვიდრე კრება დაიწყებს მოქმედებას. ეს ვალდება 82 მუხლისა ფუჭი სიტყვა იქნებოდა, თუ რომ კანონმდებელს აზრად არა ჰქონებოდეს რწმუნების წერილების წინადვე გასინჯვა და შემოწმება, რადგანაც უამისოდ ვერ გამოირკვევა, შეფერებულია თუ არა რწმუნების წერილი მასთან, რასაც ვალად სდებს კანონი. მინამ ეს მუხლი კანონისა არსებობს, კრებას უფლება არა აქვს გაუსინჯავ და შეუმოწმებელ რწმუნების წერილის ძალით ვისმე

აკუთვნოს ხმა თუ კენჭი, და თუ აკუთვნა, ეგ თვითნებობის, გაუწურთვნელ საზოგადოებურ გრძნობის ახირება იქნება და არა იგი თავდაჭერილი და სამართლიანი გამგეობა საქმისა, რომელიც ჰბადავს და აჩენს მოსაქმის მიმართ ნდობასა და პატივისცემას.

ნუ დავივიწყებთ, რომ კრება უმაღლესი ორგანოა ბანკის თვითმმართველობისა და მით უფრო საფრთხე და საშიშია მისი თვითნებობა და უსამართლოდ ქცევა, იმიტომ რომ, თუ უმაღლესი ორგანო ბანკისა შესაძლებელ ჰხდის ძალმომხრეობით საქმის ასე თუ ისე ბრუნვას, თუ იგი არაფრად ჰხადის კანონს, რომელიც შექმნილია მარტო იმისათვის, რომ ქვეყნის წინაშე უთავდებოს წესიერება და რიგიანობა ბანკის საქმეთა სვლასა, მაშინ ვიღას უნდა მიენდოს ადამიანი? ჩვენ ვშიშობთ, რომ ამისთანა ქცევამ კრებისამ ბანკი არ მოიდნოს და თან არ გადიყოლიოს. მაშინღა გასცენ პასუხი ქვეყანას იმათ, ვინც თავგასულ ჟინისა და ახირების წყალობით კანონი ქვეშ ამოიდო და ეს ერთადერთი საზოგადო საქმე, რომელიც ჩვენ გვეგულებოდა ჩვენდა საწვრთნელად, სარყვნელად გაგვიხდა.

ჩვენ გვიკვირს, იმ ათას კაცში, რომელიც ამ წლევანდელ კრებას დაესწრო, ერთი როგორ მაინც არ გამოჩნდა იმისთანა, რომ კრებისათვის თვალი აეხილებინა და ეთქვა: „ამას რას ვჩადით? როგორ ვკადრულობთ, რომ არც კი გვინდა გავიგოთ, ჩვენთან ერთად ჩვენი მოწილე, ჩვენი მოამაგე, ჩვენი მოძმე მოსულა აქ ჩვენს საერთო საქმეზე ჰოსა და არას სათქმელად, თუ სასაცილოდ ავუგდივართ ვისმე, რაღაც ფარატინა დაუჭერია ხელში და უნდა ჩვენი ღირსება გადათელოს და თავისი საკუთარი ჟინი და თავგასულობა ჩვენდა საერთო სურვილად გადააქციოს. თუნდ ეგეც არ იყოს, თუნდ არავისაც არ ეკადროს ჩვენი მოტყუება, მაინც გაუსინჯველად რწმუნების წერილების მიღება თვითნებობა იქნება

და რას იტყვიან ჩვენზე: აი, ერთადერთი საზოგადო საქმე აბარიათ, ერთადერთი საქმე აუჩენიათ და აღარც წესს დაგიდევენ, აღარც რიგს, აუღიათ და რაც ჟინსა და ახირებას მოუწადინებია, იმას სჩადიან. არა, ნუ ვიქმთ მაგას, ნუ გავიტეხთ სახელს, ჭორსა და მითქმა-მოთქმას მიზეზს ნუ მივცემთ, რომ თავისი ჭუჭყიანი კბილი ჩაგვკიდოს და შეგვწამოს რამ. ამას ითხოვს ჩვენი საკუთარი ღირსება, მართებულობა, ჩვენი საზოგადოებური პატიოსნება, საზოგადოებური მაღალზნეობა და მოვალეობა".

მეორეს მხრით გვაკვირვებს ქცევა თვით კრების თავმჯდომარისა. კანონითა და ყველგან მიღებულ ჩვეულებით, თავმჯდომარეა სრული გამგებელი კრებისა, ხელშეუვალი მიმცემი რიგისა და წესისა. არავის ნება არა აქვს ურჩობა რამ გაუწიოს თავმჯდომარეს, რაკი თავის თანამდებობას ასრულებს. ყოველი წევრი კრებისა ცალკე და თითონ კრებაც საერთოდ ხმაამოუღებლივ უნდა ემორჩილებოდეს თავმჯდომარის დანადგენს: თუ ვინმე აუხირდა, ნება აქვს განაძეოს და კრებიდამ გარეთაც გააყვანინოს, ნება აქვს თითონ კრებაც გააუქმოს, თუ სხვა გზა არ არის რიგისა და წესის ჩამოსაგდებად. ამ სახით თავმჯდომარე სრული და ხელშეუვალი მმართველია და გამგებელი კრებისა.

ვსთქვათ, კრებამ მართლა ახირებით ითხოვა, რომ 12-ს საათზედ კი არ დაიწყოს თვისი მოქმედება, როგორც წინა დღეს გამოეცხადებინა თვით თავმჯდომარეს, არამედ თითქმის ერთის საათის წინათ; ვსთქვათ, ერთი კაციც არ გამოჩნდა იმოდენა ხალხში, რომ წამომდგარიყო, თავის თავის ღირსებაც დაეფარა, კრებისაც და თავმჯდომარისაცა და ეთქვა: ეს რა ამბავია? რა უწესობა და ურიგობაა, რომ 12 საათზედ მოწვეულია საკრებულოდ საზოგადოება და 11-ს საათზე კი თვით კრებასა ვმართავთ. გვაოცებს, როგორ დაუთმო თავმჯდომარემ კრებისამ თვისი უეჭველი უფლება და დაემორჩილა ახირებას

ზოგიერთისას, თუნდ მთელის ერთიანის კრებისას! იმათ რა პასუხს აძლევდა, რომელთაც, თავმჯდომარის გამოცხადებისამებრ, გულში ედვათ მოსვლა 12-ს საათზე კრებაში მონაწილეობის მისაღებად და ამ დრომდე შინ არხეინად ისხდნენ იმ იმედით, რომ მანამდე არა მოხდება რაო.

იქნება სთქვან, ერთი საათი გინდ წინ იყოს, გინდ უკან, რა თაბაუთიაო. სცდება, ვინც ამით ჩააფუჩეჩებს ამ არსებითს შებღალვასა და შეხუთვას კრების წევრთა უფლებისას. ერთი საათიც საკმაო ხანია, რომ ერთის უჯერო განზრახვის მოწადინეებმა ერთად თავი მოიყარონ, თავმჯდომარეს ხელდახელ კრება გაამართვინონ და საქმე გადაწყვიტონ სხვების დაუკითხავად, მოპირისპირეების დაუსწრებლად. აი, სხვა რომ არა ვსთქვათ რა, მარტო ამის შიშით გამოუცხადებლივ დანიშნულ დროს შეცვლა არასგზით შესაწყნარებელი არ უნდა იყოს.

ეს ერთი. მეორე, როგორც იპატია თავმჯდომარემ დარღვევა იმ ცხადის კანონისა, რომ რწმუნების წერილები სამის დღით წინათ მაინც, ვიდრე კრება დაიწყება, წარმოდგენილ უნდა იქმნას გამგეობაში და ამის მიუხედავად თავმჯდომარემ თვით კენჭის ჩამოტარების დროს წარდგენილი წერილები მიიღო იმათგანაც კი, ვინც წევრთა სიებში ჩაწერილნიც არა ყოფილან. კრებამ ინება და თავმჯდომარე რას იქმოდაო, იტყვიან. როგორ თუ კრებამ ინება? კრებას რომ ენება და მოეთხოვა, ბანკის კასა გააღე და ფული ჩვენ დაგვირიგეო, ნუთუ ამ თხოვნას, თუნდა დიდის ახირებითაც გამოთქმულს, დაემორჩილებოდა თავმჯდომარე, აქაო და ნებაა კრებისაო. კანონი თვით კრებაზე უმაღლესია და იქ, საცა კანონია, თავმჯდომარემ ხმაც არ უნდა ამოაღებინოს კრებას. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა.

ან ოთხას-ხუთასი, თუ ამაზე მეტი, რწმუნების წერილი როგორ ამოქმედა თავმჯდომარემ გაუსინჯავად და შეუმოწმებლად? მართალია,

სიგელშია მოხსენებული, რომ ეს მოხდაო „по настоятельному требованию собрания“, მაგრამ განა თავმჯდომარე ამ „настоятельное требование“-ს კრებისას ვერ მიაგებებდა „настоятельное требование“-ს კანონისას და ვერ იტყოდა, რომ მე ნებას არ მივცემ კრებას ყოველივე ფარატინა აქ ვექილობის საბუთად ამოქმედოს, ვიდრე ჯეროვანის გზით არ გამოირკვევა, რომ იგი მართლა რწმუნების წერილია, ბანკის წევრისაგან გამოღებული და ბანკის წევრსა ან მის მახლობელს ნათესავსა აქვს მიღებული?

ან თვით კრებამ როგორ შეიშვნია, როგორ შეიფერა, — ამაზე უფრო მეტს ვიტყვით, — როგორ იკადრა, რომ რიგიანობა, წესიერობა გადათელა, გაუსინჯველ, შეუმოწმებელ რწმუნების წერილების ძალით საზოგადო საქმეში ვისმე ხმა აკუთვნა და მითი მოქმედება მთელის კრებისა საერთოდ და თითოეულის წევრისა ცალკე საეჭვოდ გახადა, ჭორსა და მითქმა-მოთქმას პირში მისცა ბრალიანისა და უბრალოს თან გასატანად.

ჩვენ ყოველს ამას არ დავიჯერებდით, თუ ამისი საბუთი, დაწერილი და თვით კრების თავმჯდომარისაგან ხელმოწერილი, წინ არ გვედვას, კიდევ ვიტყვით, იმ ათას კაციან კრებულში ერთმა მაინც როგორ ვერ იგრძნო მთელი უკეთურობა, მთელი წინდაუხედაობა, მთელი უკადრისობა ამისთანა საქციელისა, რომელიც უფრო მუშტის გაძალიანებასა და ძლევამოსილობასა ჰგავს, ვიდრე ჭკვადამჯდარ გონიერების განსჯასა და განკითხვას? როგორ ერთი ვინმე არ აიმღვრა სულითა და გულით და სამართლიანის რისხვა-ჭექით არ აუხილა კრებას თვალი ამისთანა საქციელზედ? ჩვენდა სამწუხაროდ, კრების სახელით შემდგარს სიგელში კვალიც არ არის იმისი, რომ ამისთანა ამბავი შეენიშნოს ვისმე და ხმა ამოეღოს. ხუმრობაა, საზოგადო საქმის

გადაწყვეტილებაში ოთხას-ხუთასი* ხმა ერიოს და არ იცოდნენ კი, ეს ამოდენა ხმა ვისია, საიდამ არის და როგორ არის დაჩემებული!

რა გამოვიდა ეხლა ყოველ იმისაგან, რომ ამ უწესობამ ხმაამოუღებლივ ჩაიარა და არც კრება და არც მისი თავმჯდომარე თავთავის დანიშნულებას არ მიჰყვნენ. ისა, რომ როცა არჩევანი გათავდა, მხოლოდ მას მერმედ დაინახეს თვისი ნახტომი. ამარცხებულები მხოლოდ ეხლა სწამებენ გამარჯვებულებს, თქვენ გაიმარჯვეთ იმისთანა რწმუნების წერილების შემწეობით, რომელნიც, თუ გასინჯულ ყოფილიყვნენ, გაბათილდებოდნენ, როგორც უწესურად შედგენილნიო. რატომ ესეთივე ცოდვა დამარცხებულებს არ უნდა მოეკითხოთ? ეგ დალოცვილები, მაშინ სად იყვნენ, როცა სხვებთან ერთად იძახოდნენ კრებაზედ: არ უნდა გასინჯვა წერილებს, გაუსინჯავად მივიღოთო! და თუ ამას არ იძახოდნენ, ხმაამოუღებლივ რად ჩაატარეს ეს ამისთანა ამბავი? თუ მართლა რწმუნების წერილებში ზოგიერთი, ან სულ ერთად გასაბათილებელი იყო და ამასში დამარცხებულნი უცოდველნი იყვნენ, მათი საკუთარი ანგარიში მაინც ხმას ამოაღებინებდა, რომ სხვა არა ყოფილიყო რა. სჩანს, ყველა ამ წერილების იმედზედ ყოფილა, ვნახოთ კენჭი რას იტყვისო და მერე ჩვენ ვიცითო. ნუთუ ურემი რომ გადაუბრუნდათ, მარტო მაშინ დაინახეს გზა და საფლობი!..

ბრალი ეხლა თანასწორად ყველას ედება და ყველამ უნდა იტვირთოს ის მძიმე პასუხისგება, თუ

---

* თუმცა ზედამხედველი კომიტეტი ამბობს, რომ რწმუნების წერილები ათასამდე იყოო, მაგრამ სიგელი კრებისა იმოწმება, რომ კრებამ დაიწყო მოქმედება „при наличности 1020 членов имеющих 1455 голосов.“ თუ ამ უკანასკნელს დავუჯერებთ, სჩანს, რომ რწმუნების წერილები სულ 435 ყოფილა და, რა თქმა უნდა, ამოდენავე ხმა იქნებოდა ვექილობით.

ვინიცობაა ამისთანა უწესოებამ ბანკის საქმე პირქვე დაამხო. ეს პირქვე დამხობა ადვილად მოსალოდნელია, თუ რომ უკეთესმა ნაწილმა ბანკის საზოგადოებისამ მთელი თვისი მხნეობა არ იხმარა, მთელი გულწრფელი და უანგარო სიყვარული საქმისა არ მოიშველია, და ეს უკადრისი, უვარგისი „მეობა“ არ განდევნა ბანკის საქმეებისაგან და მარგებელი და პატიოსანი „ჩვენობა“, ეხლა ამ წინდაუხედავ „მეობისაგან“ მიწასთან გასწორებული, ფეხზე არ წამოაყენა მთელის მისის სახელითა და დიდებით. ყველამ უნდა დააჩუმოს თავზე ხელაღებული „მე“, საცა სასახელო და სადიდებელი „ჩვენ“ უნდა ჰღაღადებდეს. უამისოდ ეს ერთადერთი საზოგადო საქმე, რომელიც ქვეყნის სიყვარულმა შეჰქმნა ჩვენში და იმედი გვქონდა, ქვეყნის სიყვარულივე ძუძუს მოაწოვებს და გაზრდისო, ჩვენისავე ხელით სამარეს გაითხრის და ჩვენს სახელს შეაზარებს ჩვენთა შვილთა და მომდევართ.

ჩვენ აქ უწესოება კრებისა ვახსენეთ არა იმისათვის, რომ მის განაჩენების შეწყნარება არა გვწადდეს. ვიდრე ეგ განაჩენები არსებობენ და ჯეროვანის გზით არ გაბათილდებიან, — თუ საამისონი არიან, — იმ დრომდე ჩვენ ნება არა გვაქვს იგინი არ შევიწყნაროთ, არ ვიყაბულოთ. ხოლო ჩვენ გვსურს, რომ ამისთანა უმწეობას შემდეგში მაინც ადგილი აღარა ჰქონდეს და მით მოქმედება კრებისა ყოველ ეჭვს გარეშე იყოს. უამისოდ ბანკის საქმეთა სვლა შეუძლებელია. ეხლა კი მეტი გზა არ არის, კრების განაჩენებზედ უნდა დავდგეთ და იმის დანადგენს საერთოდ, და არჩევანების შესახებ ცალკე, უნდა დავემორჩილნეთ.

მით უფრო, რომ ეხლა საქმე ამ განაჩენების გაუქმებაზედ არ არის მიმდგარი და არც ეს გარემოება აწუხებს ყოველს ჩვენს გულშემატკივარს. საგანი ეხლანდელის გამწვავებისა და განსაცდელისა სულ სხვაა. ეს საგანი იგი განხეთქილებაა, რომელიც

ჩამოვარდა ზედამხედველ კომიტეტსა და გამგეობის ახალ თავმჯდომარის შორის მას მერმედ, როცა კრებამ თავისი გაათავა და დაიშალა. აქ არის იგი ტკივილი, იგი იარა, იგი მუწუკი, რომელიც ზედ ააჩნდა მთელს ტანს ბანკისას და ჰლამის ბანკი თან გადაიტანოს, თუ თავის დროზე სიფრთხილით და გონებადადებით არ გამოირწყო და თუ ბანკის კეთილის მოსურნეთ არ გამოიჩინეს იგი მხნეობა და მედგრობა, რომელიც ერთადერთი სახსარია ამისთანა განსაცდელისაგან მშვიდობით გადარჩენისათვის.

III

ტფილისი, 7 აგვისტო

ადვილად ასაკინძი და გამოსარკვევი არ არის იგი საოცარი, დაუჯერებელი ამბები, რაც არჩევანის შემდეგ ქუთაისის ბანკში მოხდა და რამაც ისეთნაირად არია და აჭიჭყნა საქმე, რომ ბანკს თითქმის ორმოს უთხრის გადასახეჩად და ისინი კი, ვისის წყალობით ამ განსაცდელში ჩავარდა ბანკი, მარტო იმის ცილობაში არიან, ღრამატიკა მე უფრო უკეთ ვიცი, თუ თქვენაო. ამ ამბებში ბევრი რამ სასაცილოა, რომ ასე სამწუხარო არ იყოს, რადგანაც აქ საზოგადო საქმეა ჩარეული, ბევრი რამ მეტია, ბევრი რამ მარტო ენის ქავილისაგან არის ცუდუბრალოდ მიდებ-მოდებული, რომ ყური ვათხოვოთ, გეგონებათ განგებ დანაძლევებულან, საქმე ისეთს კვამლსა და მჭვარტლში გაჰხვიონ, რომ მისი არც თავი სჩანდეს, არც ბოლო. არსებითი დედაგული საქმისა ბნელ კუთხეში მიაგდეს, ადამიანის საღს თვალს მიუმალეს და ეხლა „მე თუ შენაობის“ საქანელაზე ჰქანაობენ და „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ს ხმაზე ბუქნას უვლიან. საზოგადოება უყურებს და ჰკვირობს, — ეს რა ამბავი ეწვია, ეს რა ხათაბალაში გაება ბანკის საქმე, ადამიანის გონება თავის კოჭაკებს

მოსწყდა და თავდაყირა დაეკიდა, თუ სხვა რამ ღვთის წყრომაა ჩვენზე მოვლენილიო.

თითონ დედაგული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ღერო საქმისა, მეტად სადაა და ურთულო, მეტად ადვილად დასანახია მთელის მისის სიგრძე-სიგანით, თუ ჩამოვაცლით ყოველ იმას, რაც მეტია და რაც უფრო მიდებ-მოდებას და გაძვრენ-გამოძვრენის ფანდებსა ჰგავს, ვიდრე საქმის თვალსაჩენად დაყენებას.

19-ს მაისს ქუთაისის ბანკის კრებამ გაათავა თავისი საქმეები და დაიშალა. თანახმად არჩევნისა, ძველი თავმჯდომარე გამგეობისა გადადგა და ახალმა დაიჭირა თავისი თანამდებობა. ორი ახლად ამორჩეული წევრი ზედამხედველ კომიტეტისაც თავთავის ადგილას დასხდნენ. ყოველ ამის მნახველს კაცს ეგონება, რომ საქმე ჰლამის თავის ჯეროვანს გზაზედ დადგომასა და სვლასაო. 29 მაისამდე ეგრეც იყო, ხოლო ამ დღეს ზედამხედველ კომიტეტს მიერთვა არზა, ექვსის კაცისაგან ხელმოწერილი. ჩვენ ამ არზის საგანს მოკლედ მოვიხსენიებთ, მით უფრო, რომ აქ ამ არზას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და თუ საჭიროდ დავინახეთ მისი ხსენება, მარტო იმისათვის, რომ ტყუილუბრალოდ ხელზე დაიხვიეს და ჰსურთ საბუთად გამოიყენონ.

ამ არზაში სწერია, გთხოვთ შემდეგი გარემოებანი შეამოწმოთ და შემოწმების ასლი (კოპიო) მოგვეცითო: 1) რომ დღეს აქამომდე არც ერთი განაჩენი კრებისა არ არის დაწერილი და სიგელში მოქცეული, 2) რომ არც ერთი რწმუნების წერილი არ იყო წარდგენილი გამგეობაში სამი დღის წინად კრების დაწყებამდე, როგორც წესდება ჰთხოულობსო, 3) რომ თავმჯდომარემ კრებისამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რწმუნების წერილები გარჩეულნი და შემოწმებულნი არ არიანო და მაინც ეს წერილები ამოქმედაო, 4) რომ დანიშნულ საათზე ადრე თავმჯდომარემ მოახდინა კრებაო. ბოლოს მოარზენი ითხოვენ, რომ თუ ყოველივე ეს მართალი აღმოჩნდა,

ზედამხედველი კომიტეტი მოვალეა ყოფილი საზოგადო კრება კანონიერად არ იცნოს და ყოველი მისი განაჩენი გააუქმოს და ახალი კრება მოიწვიოსო.

30-ს მაისს, ესე იგი ამ არზის მეორე დღეს, ზედამხედველ კომიტეტს დაუდგენია, ხსენებულ არზაში მოხსენებული გარემოებანი გამოირკვეს და „вопрос оставить открытым до следующего собрания комитета“. 31-ს მაისს იმა მოარზეთა შეუტანიათ კომიტეტში სხვა ახალი არზა და უთქვამთ, რომ ჩვენი წინანდელი საჩივარი შეეხება მარტო იმ განაჩენებს კრებისას და არჩევანს, რომელნიც კენჭის ყრით გადასწყდაო.

2-ს თიბათვეს შეყრილა ზედამხედველი კომიტეტი, ხელახლად მოუსმენია თვის თავმჯდომარისაგან მოხსენება იმ არზების თაობაზე, რომელიც ექვსმა კაცმა წარუდგინა 29 და 31 მაისს, და დაუდგენია: გადისინჯოს ყველა, რაც რწმუნების წერილები იყო წარდგენილი წლევანდელ კრებაში — для обнаружения правильности полномочий, მიენდოს ეს საქმე კომიტეტის წევრს ან ნ. ლორთქიფანიძეს, ეთხოვოს დაუხანებლივ შეუდგეს ამ შრომას და, რაც აღმოჩნდება, მოახსენოს კომიტეტსა. მთელს კრებას კომიტეტისას, ექვსის წევრისაგან შემდგარს, ხელი უწერია ამ განაჩენზე უარის უთქმელად და მაშასადამე, უეჭველი ყოველის წევრის აზრი და სურვილი ესა ყოფილა.

ბ-ნი ლორთქიფანიძე შესდგომია თვისდა მინდობილ საქმეს და 5 ივნისს გადაუცია კიდეც გამგეობისათვის კომიტეტის განაჩენი 2 ივნისისა, მაგრამ, როგორცა სჩანს, გამგეობას არ დაუნებებია რწმუნების წერილები. საქმის სისრულისათვის საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ 6 ივნისს შეუტანია ქაღალდი გამგეობაში 125 კაცს, რომელნიც ამბობენ, რომ ჩვენ შევიტყეთ, ვითომც კომიტეტს მიუღია თავის თავზე უფლება განიკითხოს მოქმედება

უკანასკნელის კრებისა, რომელიც უმაღლესი ორგანოა და არ ექვემდებარება მისგანვე დაყენებულ ზედამხედველ კომიტეტის ზედამხედველობას, ამიტომ ვიწვევთ გამგეობას წესდება არავის დაარღვევინოს და უფლება საზოგადო კრებისა ხელშეუხებელ ჰყოს; ეს ჩვენი განცხადება ეუწყოს კომიტეტსა და თუ იგი მაინც თავის მინდობილობის საზღვარს გადავა, ყოველივე მოხსენდეს საზოგადო კრებასაო.

7 ივნისს ახალს თავმჯდომარეს ბ-ნ ჩიკვაიძეს მოუხსენებია გამგეობისათვის ბ-ნ ლორთქიფანიძის მინდობილობაცა და ზემოხსენებული განცხადებაც 125 კაცისა და გამგეობას დაუდგენია, რომ რადგანაც ეს ორი ქაღალდი ისე მჭიდროდ დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, რომ საგანი პირველისა არ უნდა იქმნას გადაწყვეტილი, ვიდრე გამგეობას არ ეცოდინება, რას იტყვის კომიტეტი მეორე ქაღალდის გამო, ამიტომ აღსრულება იმისი, რაც ბ-ნ ლორთქიფანიძემ ითხოვა, დარჩეს სამერმისოდ (оставить открытым) და ასლი ამ განაჩენისა გადაეცეს კომიტეტს ხსენებულ ქაღალდებთან ერთად.

11 ივნისს თავმჯდომარეს კომიტეტისას მოუხსენებია, რომ გამგეობამ არ შეასრულა განაჩენი კომიტეტისა და არ დაანება ბ-ნ ლორთქიფანიძეს რწმუნების წერილებიო. ამის გამო კომიტეტმა დაადგინა — ხელახლად მოეთხოვოს გამგეობას სამის დღის განმავლობაში შეასრულოს განაჩენი კომიტეტისა 2 ივნისისა და იმის შესახებ კი, რომ ამ აუსრულებლობის უადგილო მიზეზი უჩვენებია გამგეობას თავის 7 ივნისის განაჩენში, ცალკე ვიქონიოთ სჯაო. ამ ხანად ხუთის წევრისაგან სამს ერთხმობით მოუწერია ხელი ამ განაჩენისათვის და ორს კი განაჩენზე დაუწერია, რომ ამას წინათ კომიტეტმა მოისურვა რა გადახილვა რწმუნების წერილებისა, სახეში უმთავრესად ისა ჰქონდაო, რომ შეიტყოს საქმის ვითარება და შემდეგისათვის რაიმე წესი გამოარკვიოს იმ ბოროტმოქმედების თავიდამ

ასაცილებლად, რომელიც აწ არსებულ წესსრწმუ-ნების წერილობით ვექილობას მოსდევსო. ის კი, — შეუდგება თუ არა კომიტეტი აღმოჩენილ საბუთების ძალით წლევანდელ კრების განაჩენების გაუქმებას, განუსჯელი და გადაუწყვეტელი დარჩაო. ამიტომ და იმის გამოც, რომ საქმემ ასეთი მიმართულება მიიღო, ამბობს ამის დამწერი წევრი ბ-ნი ლოლუა, აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნიაო: 1) ეხლავ გადაწყდეს, კომიტეტი სცნობს თავის თავს იმ უფლების მქონებლად, რომ განიკითხოს და გააუქმოს საზოგადო კრების განაჩენები და 2) შეუდგეს და განიხილოს რწმუნების წერილები და მთელი წარმოება საქმეთა ბანკის დაარსების დღიდამ აქამომდე. ამას ხელს აწერს წევრი კომიტეტის ბ-ნი ლოლუა და წევრივე ბ-ნი ჯორჯიკია, რომელიც ამბობს, თანახმა ვარ ბ-ნ ლოლუას აზრისაო.

21 ივნისს ზედამხედველ კომიტეტმა მოისმინა რა მოხსენება თავის თავმჯდომარისა მასზე, რომ დღესაქამომდე გამგეობა ბანკისა არ ასრულებს კომიტეტის განაჩენებს 2 და 11 ივნისისას, დაადგინა: წესდების (§78, მუხლი 15) ძალით აღძრას საქმე შესახებ გამგეობის წევრთა და მის თავმჯდომარის პასუხისგებისა, ამ უკანასკნელთ მოეთხოვოს პასუხი, და ამისათვის ორი დღე ვადა მიეცეთ ამ დროიდამ, როცა ამის განაჩენს მიიღებენ*.

გამგეობამ 25 ივნისს თავისი პასუხი წარუდგინა კომიტეტს და ამ პასუხის შედეგი ის იყო, რომ კომიტეტმა 2 ივლისს განაჩინა, გადაყენებულ იქმნას გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ჩიკვაიძე თანამდებო-

---

* ამ 21 ივნისსვე კომიტეტში შეიტანეს ახალი არზა, 50 კაცისაგან ხელმოწერილი, ხოლო ამ არზას არ ვიხსენიებთ, რადგანაც საქმის გამოსარკვევად არაფრად საჭიროა, თუმცა სათვალავში კი ჩასაგდებია იმის მაგალითად, თუ რა ცუდუბრალოდ იხარჯება მელანი და ქაღალდი.

ბისაგან, ეს განაჩენი წარედგინოს განსასჯელად საგანგებო საზოგადო კრებას, რომლის მოსაწვევად დაინიშნოს 2 სექტემბერი და დანარჩენ წევრთა პასუხისგების საქმე გაუქმდეს. ამ განაჩენზე ორს წევრს ხელი მოუწერია და არა ჩაურთავს რა, სამს დანარჩენთ წევრთა შორის ერთს ჩაუწერია, მე ჩემს ცალკე აზრზე ვდგევარ შესახებ გამგეობის თავმჯდომარის პასუხისგებისა და სასჯელისაო, ორს კი მოკლედ დაუწერიათ: ჩვენ ცალკე აზრისანი ვართო.

16 ივლისს წევრმა კომიტეტისამ ბ-ნ ლოლუამ კომიტეტში განცხადება შეიტანა და სხვათა შორის ამბობს, რომ კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე ოთხი სხვადასხვა აზრი შესდგა შესახებ გამგეობის თავმჯდომარის ბ-ნ ჩიკვაიძის პასუხისგებისა და, მაშასადამე, ამის შესახები განაჩენი ხმის უმეტესობით არ არის დადგენილიო, ამის გამო, მე ჩემის მხრით საჭიროდ ვრაცხ იგი განაჩენი ხელახლად გასინჯულ იქმნასო.

ჩვენ ჯერ-ხანად ამაზე შევწყვეტთ ჩვენს საუბარს. მართალია, ყოველივე ეს, რაც აქ მოვიყვანეთ, წასაკითხად და მოსასმენად მოსაწყენია, მაგრამ მეტისმეტად საყურადღებო მაგალითი კია იმისი, თუ რა გზით შესაძლოა მარტივი, ადვილად დასანახი და გასათავებელი საქმე კაცმა ასჭიჭყნოს და ცუდუბრალოდ გააჭიანუროს.

IV

ტფილისი, 9 აგვისტო.

ჩვენ წინა მეთაურ წერილიდამ ვნახეთ, რა ცუდუბრალო წრიპინი ასტყდა კალმებისა ქუთაისის ბანკის უკანასკნელ საქმისა გამო იმათ შორის, ვინც მახლობელნი გამგებელნი არიან ბანკისა და ვინც, მაშასადამე, საზოგადოებისაგან მინდობილ საქმეს

უნდა აკეთებდნენ და არა კალმებს აწრიპინებდნენ საჩხირკედელაოდ. ყოველივე ეს რომ ცხრილში გავატაროთ, დავანიავოთ, ჩალა-ჩულა ნიავს გავატანოთ და დასარჩენი დავინარჩუნოთ, რა ურთული, რა სადა და მარტივი საგანი დაგვიდგება თვალწინ განსაკითხად, ოღონდ კი სურვილი ყოფილიყო საქმე ისე დაენახათ, როგორც არის და არა ცდილიყვნენ ბანზე სიტყვის აგდებას, საქმე მთელის მისის სიგრძე-სიგანით ადამიანის ხელის გულზე დაეტევა და ხელის გულსავით ცხადი და აშკარაა.

ზედამხედველმა კომიტეტმა მოითხოვა რწმუნების წერილები, რომელნიც წლევანდელ კრებაში წარდგენილ იყვნენ და რომელნიც როგორღაც ხელთ ჩავარდნია ახალს თავმჯდომარეს გამგეობისას და ბ-ნი თავმჯდომარე არამცთუ ამ წერილებს, წევრთა სიებსაც კი აღარ ანებებს ჯერ თითქმის მთელის გამგეობის სახელითა და მერე თავის საკუთარით. აი ავი და კარგი ამ საქმისა, აი დედაგული მისი რაშია. ერთი გვიბძანეთ, აქ რა დიდი ლარი და ხაზი უნდოდა, რა გაბმა-გამობმა, რა ღობე-ყორეს მოდება, რა ბანზე სიტყვის აგდება და გაძვრენ-გამოძვრენა. აქ ერთის მხრით კანონიერი ქცევაა, მეორეს მხრით ყოვლად უკანონო და არასგზით არ შესაწყნარებელი ურჩობა.

აქ თუ საკითხავია რამ, მარტო ისა, რომ აქვს თუ არა ზედამხედველს კომიტეტს ნება და უფლება რაიმე სიგელი ბანკისა საერთოდ და რწმუნების წერილები საკუთრივ მოითხოვოს ერთის მხრით და მეორეს მხრით ჯერ გამგეობას ერთად და მერე მის თავმჯდომარეს ცალკე, კანონი და საბუთი რამ მიუძღოდა, რომ გაჯიუტდა და მოთხოვნილი არ დაანება? გამგეობა ერთად და მისი თავმჯდომარე ცალკე მოვალენი არიან ყოველივე კანონიერი განაჩენი ზედამხედველ კომიტეტისა ხმაამოუღებლივ აასრულონ, თუ არა ჰსურთ პასუხისგებაში მიეცნენ.

ამას აშკარად ამბობს §75 წესდებისა, რომ ზედამხედველს კომიტეტს არამცთუ აქვს უფლება, მოვალეობა ადევს წესიერად სვლას ბანკისას დღედაღამ თვალყურს ადევნებდეს, მის სარგებლობას ჰზრუნავდეს, წესდების ასრულებას სცდილობდეს, და თუ ავი რამ შეამჩნია, ჯეროვანი ღონისძიება იხმაროს ამ ავის ასაცილებლად, ეს აშკარადა სჩანს §78-ს მეთექვსმეტე მუხლიდამ.

მაშ როგორ და რა გზით შეასრულებს კომიტეტი ამ დიდს მოვალეობას, თუ ბანკის ქაღალდების გასინჯვის ნება არა ჰქონდეს? ზედამხედველმა კომიტეტმა დაინახა, — აქ სულ ერთია სხვამ დაანახვა, თუ თითონ თავისით დაინახა, რომ წლევანდელ კრებაში უწესოება იყო: რომ ჯეროვანი რწმუნების წერილები არ იყვნენ წარმოდგენილნი, და მოიწადინა ამ რწმუნების წერილების გადახილვა, ვსთქვათ, თუნდ იმ აზრით, რომ აღმოაჩინოს ავკარგიანობა ვექილობისა, ნუთუ ვინმე იტყვის, რომ ამისი უფლება არა აქვს კომიტეტს, ესე იგი იმ კრებულს, რომელსაც კანონი ვალად სდებს თვალყური ადევნოს წესდების აღსრულებას, და თუ ბოროტმოქმედებაა რამ, მიიღოს შესაფერი ღონისძიება ამ ბოროტმოქმედების განსაძევად. ნუთუ შესაძლებელია აქ ორი სხვადასხვანაირი აზრი კაცმა იქონიოს, თუ განგებ კაცი გონების თვალს არ დაიხშობს! ნუთუ შესაძლებელია, რომელსამე წევრმა ზედამხედველ კომიტეტისამ ამ უეჭველის უფლების შებღალვა არ ითაკილოს, ყური მოიყრუოს, თვალი დაიხუჭოს ამისთანა საქციელზე, რომელიც, ერთის მხრით, სრულად აუქმებს ზედამხედველობას კომიტეტისას და, მეორეს მხრით, აბატონებს თვითნებობას, ურჩობას, უჯათობას გამგეობისას, თუ მის თავმჯდომარისას.

იმის მაგიერ, რომ ჯეროვანის გულისწყრომით თავი გამოიდოს ამ შებღალულ უფლების აღსადგენად, ამ თავდაუჭერელ თვითნებობის განსადევნად,

კომიტეტის რომელმამე წევრმა განა რაღაც ფარატინები უნდა სწეროს სიტყვის ბანზე ასაგდებად? მაშ რა არის, თუ სიტყვის ბანზე აგდება არა, ბ-ნთ ლოლუას და ჯორჯიკიას ცალკე აზრი, 11 ივნისის განაჩენზე* ზედმიწერილი? აქ საკითხი ის იყო, გამგეობა თუ თავმჯდომარე მისი ეურჩება ჩვენს კანონიერს განაჩენსა და რა უნდა ვქნათო, ეს ორი წევრი კი მოჰყოლია და იძახის: ჯერ გადავსწყვიტოთ, ნება გვაქვს, თუ არა საზოგადო კრების განაჩენები განვიკითხოთ და გავაუქმოთ და თუ მაინცდამაინც არ იშლით წლევანდელ რწმუნების წერილების გადახილვას, მაშ საჭიროა წინანდელი წერილებიც და მთელი საქმეები ბანკისა დასაწყისიდამ დღევანდლამდე სულ ერთიანად გადავსინჯოთო. ძალიან კარგი, რატომ არა, მაგრამ ერთი მეორეს რას უშლის? ახლა გამგეობას, თუ მის თავმჯდომარეს, რომ ეს ამოდენა საქმეები კვლავაც არ დაენებებინა, ნეტა მაშინ რაღას იტყოდნენ ეს ორი ცალკე აზრის წევრნი? ეს ამბავი ამნაირ გამგეობისაგან, ამისთანა თავმჯდომარისაგან, ხომ ადვილად მოსალოდნელია, ადვილად საგულვებელი, იმიტომ რომ მაგალითი თვალწინ ჰქონდათ.

ნუ დაივიწყებთ ამასაც, რომ 2 ივნისის განაჩენისაგან სჩანს, რომ ამ ორ წევრსაც სხვებთან ერთად საჭიროდ დაუნახავთ წლევანდელ რწმუნების წერილების გადახილვა და სხვებთან ერთად მოუთხოვნიათ ეს წერილები და როცა გამგეობას ურჩობა გაუწევია და ეს წერილები არ დაუნებებია, მხოლოდ მაშინღა შარსავით მოუდვიათ, რაღა მარტო წლევანდელ წერილებს გადაჰკიდებიხართ, თუ ეგრეა, მთელი საქმეები ბანკისა გადავსინჯოთ თავიდამ

---

* იხ. „ივერია“ № 199, გვერდი მე-2, სვეტი 1-ლი.

ბოლომდე და მასთან ერთად წინანდელი რწმუნების წერილებიცაო. ეს აქ რა მოსატანი და ჩასართავია, თუ კაცს გული გულის ადგილასა აქვს და თუ გონება სხვაგან არ უქრის. ნუთუ უფიქრიათ, — კომიტეტი ამ შრომის სიდიდეს შეუშინდება და წლევანდელ წერილებსაც ამის შიშით თავს დაანებებსო? სხვა რა აზრი უნდა ჰქონდეს ასეთს შებრუნებას სიტყვისას, ასეთს სამატსა და ჩასართავს იქ, საცა ლაპარაკია, გამგეობა ვერ გვანებებს წერილებსა და რა ვქნათო. უკაცრაოდ კი ვართ და ყოველ ამაში ყველაფერია, გარდა გულწრფელობისა და საქმის სიყვარულისა.

ან რა საჭირო იყო, რომ 125 კაცი მოცლილა და გამგეობისათვის უთხოვნია, არიქა, საზოგადო კრების უფლებას ემუქრებიან, ამ უფლების ჩამორთმევას ჰლამიან და აბა, თუ კაცები ხართ, თავი გამოიდეთ და საზოგადო კრების ციხე-ქალაქი გაიმაგრეთო. მერე ვინ ემუქრებოდა, ვინ ჰლამობდა, რომ ტყუილუბრალოდ გარჯილა, ერთი და ორი კაცი კი არა, მთელი ას ოცდახუთი? ნუთუ ზედამხედველი კომიტეტი, ესე იგი ის, მათ მიერვე რჩეულთა კრებული, რომელსაც, როგორც თვითონ იმათვე, ისეც მთელმა საზოგადოებამ მიანდო, თვალყური გეჭიროს, რომ წესი და რიგი, საზოგადო სარგებლობა არავინ საერთოდ და გამგეობამ საკუთრივ არ მოიდნოს და ქვეშ არ ამოიდოსო? როგორ? ვის მეთვალყურედაც დანიშნულია კომიტეტი, იმასვე ეხვეწებიან, კომიტეტისაგან დაგვიხსენიო? მერე ვინა? წევრნივე იმ კრებისანი, რომელმაც ზედამხედველი კომიტეტი ამოირჩია და დაავალა გამგეობის ავკარგიანობა ეხლა შენთვის ჩაგვიბარებია, შენ იცი და შენმა გონიერებამ, როგორ უპატრონებ, როგორ მოუვლი, ცუდსა და ავს წინ როგორ გადეღობები და კარგს როგორ შეეწევი და წინ გაუძღვებიო.

ან სად არის აქ მუქარა რისიმე? კომიტეტს ერთი სიტყვაც არ წასცდენია მასზე, თუ გაუქმება

საზოგადო კრების განაჩენებისა ჰსურს. ამის მოწმად თვით კომიტეტის დანადგენები არიან.

ჩვენ გავიგეთო, ამბობს ის 125 კაცი, და ბ-ნთ ლოლუას და ჯორჯიკიას ცალკე აზრიც გაუბედავად გვანიშნებს, რომ ამაზე კერძოდ ლაპარაკი ჰქონიათო კომიტეტის წევრთა. იქნება ასეც იყოს, მაგრამ „გავიგეობით“ საქმის აშლა, რელაციების წერა და კერძოდ ნათქვამი აზრი ერთისა თუ მეორის წევრისა მთელის კრებულის განაჩენი ხომ არ არის, და თუ არის, ეს განაჩენი გამოაქვეყნონ. არა, აქ ან ეს 125 კაცი და მათთან ერთად ბ-ნები ლოლუა და ჯორჯიკია თვალხუჭუნობას ჰთამაშობენ, ან არა და გულთამხილაობას ჰჩემობენ და გულთმისნობას აჰყოლიან.

იქნება აქ მიზეზად ხელზე იხვევენ ექვსის კაცის არზას, საცა ამათ თავის თავისათვის მეტი ნება მიუციათ და ზედამხედველ კომიტეტს ჭკუას ასწავლიან როგორ მოიქცეს და თუ ვინიცობაა მოარზეთა მიერ შენიშნული უწესოებანი გამართლდნენ, ჰთხოულობენ, რომ საზოგადო კრების განაჩენები, ჯერ სულ ერთიანად და მერე მარტო არჩევანები, გააუქმეთო. ამ ექვსის კაცის თქმა განა უსათუოდ იმას მოასწავებს, რომ კომიტეტი არც აიღებდა, არც დაიღებდა და ამ ნათქვამს აჰყვებოდა? იტყვიან, მაშ თავის განაჩენში რად მოიხსენია კომიტეტმა იგი არზა ექვსის კაცისაო, თუ აყოლა არ უნდოდაო?

ნუ დაივიწყებთ, რომ ამ არზაში ორი საგანია და ამ ორში ერთისათვის უსათუოდ ყური უნდა ეთხოებინა კომიტეტს, თუ თავის მოვალეობის ღალატი არ უნდოდა. ამ არზაში ნაჩვენებია რამდენიმე უწესოება საზოგადო კრებისა და, სხვათა შორის, რწმუნების წერილების უვარგისობაცა. კომიტეტმაც სრულის მისდამი მინიჭებულ უფლების ძალით და თანახმად თვისის მოვალეობისა, დაადგინა, რომ ყოველ ამას გამოძიება და შემოწმება უნდა და

რადგანაც სხვათა შორის რწმუნების წერილებზეა ეჭვი შემოტანილი, საჭიროდ დაინახა იგინიც მოეთხოვნა. არავინ იცის, ამ გამოძიების შემდეგ რა გზას დაადგებოდა კომიტეტი. ეს კი აშკარაა, რომ მცირეოდენ დაკვირვების შემდეგ თვითონ კომიტეტი არ გაჰბედავდა გაუქმებას კრების განაჩენებისას, იმიტომ რომ ეს მისი საქმე არ არის და თუ უამისოდ ბანკის საქმეთა სვლას შეუძლებლად დაინახავდა, უსათუოდ ჯეროვან გზასაც იპოვიდა და ჯეროვან ადგილსაც. განა მეტისმეტი გულთამხილაობა უნდა, რომ თუ საიმისო მძიმე არა ამოჩნდებოდა რა ამ გამოძიებისა და შემოწმებისაგან, კომიტეტი მხოლოდ შეუდგებოდა იმისთანა წესი და რიგი რამ ერჩია, როცა დრო იქნებოდა კრებისათვის, რომ სამერმისოდ მაინც გამოძიებით დანახულს უწესოებას ადგილი აღარ ჰქონოდა.

ესეა თუ ისე, ჯერ მინამ კომიტეტს საბუთი არ მოუცია კრების განაჩენების გაუქმების სურვილი შევწამოთ, მინამ ეს შეცდომა არ მოუხდენია და მარტო უწესოების გამორკვევას შესდგომია, — იმ დრომდე საქმეს წინ ვერავინ გადუხტება და ბრალს ხსენებულ სურვილისას ვერავინ დასდებს კომიტეტს. ეხლა კი ექვსის კაცის ნათქვამს ამ გაუქმების შესახებ თავზედ ახვევენ, თითქო ეს ნათქვამი ჯადონაქმნარი იყოს, რომ ვერც მარჯვნივ აიხვეოდეს გზა და ვერც მარცხნივ. ამ ექვს კაცს ბევრიც სხვა რომ ეთქვა უწესო და ურიგო, კომიტეტისა რა გადასახადია? განა კომიტეტი აიღებდა და ყველაფერზე, რაც ენაზე მოუვა ექვსს თუ ასს კაცს, იტყოდა: „ბალი აღაო“? ვისა აქვს ნება ეს იფიქროს და არა ის, რის თავმდებიც ადამიანის საღი ჭკუაა და გონიერება!.. ამ სახით, თუ იგი არზა საბაბად გაუხდა კომიტეტს უწესოების გამორკვევისათვის, აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ კრების განაჩენების გაუქმებისათვისაც ამ ექვსის კაცისაგან კომეტეტი ჭკუას ისესხებდა და მათ დარიგებისამებრ მოიქცეოდა.

რა თქმა უნდა, ამ მხრით იგი არზა გაისინჯებოდა და კუთვნილი პასუხი მიეცემოდა, ისიც მაშინ, თუ ამას საჭიროდ დაინახავდა კომიტეტი.

ახლა ნახეთ, რა კუდი გამოაბა გამგეობამ იმას, რომ კომეტეტის განაჩენს ეურჩა და რწმუნების წერილები არ დაანება. 7-ს ივნისის განაჩენს გამგეობისას ამის თაობაზე რომ გულში ჩაჰხედოთ, გაოცდებით, თუ სადამდე შესძლებია ადამიანს საქმე არიოს და ასჭიჭყნოს. გამგეობას ეუბნებიან, რწმუნების წერილები მოგვეციო, და ის კი აშაზე დამდგარა და იძახის, უკაცრაოდ, ვერ მოგართვითო. თუ გნებავთ, ჯერ შეგვატყობინეთ რას ჰფიქრობთ და რას იტყვით 125 კაცის არზის გამო და მერე ავიღებთ, დავიღებთ, დაგანებოთ წერილები, თუ არაო. თუ ამ უცნაურ პასუხის საბუთს იკითხავთ, გამგეობა არანაკლებ უცნაურად გარწმუნებთ, რომ რწმუნების წერილების ჩვენ მიერ არდანებებას და ამ 125 კაცის არზას, რომელიც ჰთხოვს გამგეობას – ნუ გააუქმებინებთ კომიტეტს კრების განაჩენებსა და კრების უფლებას ნუ შეარყევინებთო, ისეთი მჭიდრო დამოკიდებულება აქვს ერთმანეთთან, რომ ერთის უმეოროდ განკითხვა და განსჯა შეუძლებელიაო. აი მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, ეს არის.

რა შუაშია აქ 125 კაცის არზა, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძვის და რა აქვს საერთო ამ არზასა რწმუნების წერილების არდანებებას?

ან აღარ იკითხავთ, – არსებითად რას ჰნიშნავს თხოვნა ამ 125 კაცისა? განა იმას არა, რომ კომიტეტმა კი არ იქონიოს გამგეობაზე ზედამხედველობა, არამედ გამგეობამ კომიტეტზე? აი, თუ გნებავთ, გაუქმება საზოგადო კრების განაჩენისა ეს არის! ნუთუ ეს ამისთანა თხოვნა 125 კაცისა მართლაც არ აუქმებს განაჩენებს კრებისას, რომელსაც ზედამხედველობა გამგეობაზე დაუწესებია და მიუნიჭებია კომიტეტისათვის და არა გამგეობისათვის კომიტეტზე. ნუთუ ეს კი კრების

განაჩენის გაუქმებას არ ერჩის და ის კი ერჩის, რომ კომიტეტმა რწმუნების წერილები მოითხოვა, ერთი ვნახოთ რა წერილებიაო.

თქვენ გეუბნებიან, რწმუნების წერილები მოგვეცითო და თქვენ კი იძახით, ჯერ შეგვატყობინეთ, 125 კაცის არზას რა პასუხს აძლევთო და მერე ჩვენ ვიცითო. ხომ ორში ერთი პასუხია მოსალოდნელი, თუ რომ კომიტეტი თავზე ხელს აიღებდა და ამ უცნაურ შემთხვევაში პასუხის მიცემას არ ითაკილებდა, ან იტყოდა: ბარაქალა, რომ ეს 125 კაცი ასე ირჯება და ჰფრთხილობს კრების პატივისათვის, როცა ამ კრებას არავინ ცუდს არას უქადის; ან: ვწუხართ, ტყუილუბრალოდ გარჯილან და გული გაუხეთქნიათ გამგეობისათვის, იმიტომ რომ ჯერ ეგ ამბავი კომიტეტს, როგორც კრებულს, გუნებაშიაც არ გაუტარებია, და ჩვენი რა ბრალია, რომ ვისაც რა აგონდება, ის ეზმანებაო.

ხუმრობაგაშვებით და ეს 125 კაცი რომ ძალიან თავგამოდებულნი იყვნენ და გამგეობას ეხვეწებოდნენ, გვიშველეთო. არიქა, ხელიდგან ნუ გაუშვებთ, ნუ დაანებებთ რწმუნების წერილებსაო, თორემ კომიტეტს თქვენზე ნაკლები ჭკუა აქვს, თქვენზე ნაკლებ გული შესტკივა საზოგადოებისათვის და ერთს ხათაბალას და ვაი-ვაგლახს ასტეხსო, — განა აქედამ ის გამოდის, რომ მართლა გამგეობაა ზედამხედავი კომიტეტისა და არა კომიტეტი გამგეობისა, განა აქედამ ის გამოდის, რომ კომიტეტს არ უნდა მოეთხოვნა რწმუნების წერილები და გამგეობა უნდა გასძალიანებოდა!.. როგორც გნებავთ აპრტყელეთ, ასორსლეთ, აგუნდავეთ ეს არზა 125 კაცისა და მაინც აქედამ ერთის ბეწვის ოდენას საბუთს ვერ გამოიტანთ იმისას, რომ წერილების არდანებებას გამგეობისაგან და ამ არზას ერთმანეთისა რამ ეცხოთ, ერთმანეთისა რამ ეკეროთ. და თუ მაინცდამაინც გამგეობა ამ არზას დაჰბღაუჭებია, გადი და გამიტანეო, ან ხელზე დაუხვევია, ეგ უილაჯობის

ილაჯია, ეგ ის არის მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, როგორც ზემოთა ვსთქვით.

ამ 7-ს ივნისის განაჩენი გამგეობისა მარტო იმითია შესანიშნავი, რომ აქ გამგეობამ არდანებება რწმუნების წერილებისა, როგორც ჰხედავთ, თავის საერთო საქმედ მიიჩნია. ეს დასახსომია, იმიტომ რომ მერე ვნახავთ, როგორ გადასთქვა გამგეობამ ეს სიტყვა და ხელი დაიბანა, ჩვენ აქ არაფერს შუაში ვართო, მარტო თავმჯდომარეა რაც არისო, თქვენ იცით და მაგანაო. კარგია, ვინც ისე დაწყნარებულია ამ დაუწყნარებელ შემთხვევაში, რომ არც ბარაქალა უნდა ამ ალიაქოთისა და არც ოლოლო.

V

ტფილისი, 9 აგვისტო.

წინათაც მოგახსენეთ და ეხლაც ვიტყვით, რომ საქმე, რომლის გამო დღეს ატეხილია აყალმაყალი ქუთაისის ბანკის წევრთა შორის და თვით საზოგადოებაშიაც, მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ზედამხედველმა კომიტეტმა რწმუნების წერილები მოითხოვა და გამგეობა თუ მისი თავმჯდომარე გაჭირვეულდნენ და არ ანებებენ. ჩვენ არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ ამისთანა უჯერო თვალაუხილველ საქციელს გამგეობისას, თუ თავმჯდომარისას? არ ვიცით, რა საბუთი მოვუპოვოთ, რა გზით ავხსნათ, რა ცოტაოდნად მაინც შესაწყნარებელი და ადამიანის გონიერებისაგან მისაღებელი აზრი აღმოვუჩინოთ ამ ჭირვეულობას, ამ უჯათობას, რომელსაც ასე წინდაუხედავად, ასე თავზე ხელაღებით, ასე კადნიერად თავი წამოუყვია იქ, საცა არც ერთს და არც მეორეს არც მიზეზი აქვს, არც ადგილი, არც გზა, არც შორი მანძილი.

ვნახოთ ეხლა, თვითონ გამგეობა და მისი თავმჯდომარე რას ამბობენ და ამ გამოუცნობელ

ამოცანას როგორ გვიხსნიან. ამის თაობაზე გამგეობამ ქუთაისის ბანკისამ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა თავის 23 ივნისის განაჩენში. ყოველი ვითარება ამ საქმისა გამგეობას მოუსმენია თავის თავმჯდომარისაგან. ჯერ, რასაკვირველია, მოხსენებულია, როდის, როგორ და რა გზით მოქმედებდა კომიტეტი და რა განაჩენები დაუდგენია. აქ დავიწყებული არ არის არც ექვსის კაცის ორი არზა, არც 125 კაცისა, არც თ. ან. ლორთქიფანიძის „предложение“, ყოველივე ეს უკლებლივ მოყვანილია განაჩენში. ჩვენ ამაებს აღარ გავიმეორებთ, რადგანაც წინანდელ მეთაურში საკმაოდ ვრცლად მოვიხსენიეთ და ყოველი იგი ჩვენთვის არ "ახალია, ძველია". ხოლო ახალი ამ განაჩენის პირველ ნაწილში ერთი რამ არის, საქმის ვითარების ახსნისათვის გამოსადეგი. თავმჯდომარეს გამგეობისას მოხსენების დროს წარუდგენია გამგეობისათვის სიგელი იმისა, თუ რა უჩვენებიათ ბანკში მოსამსახურეთ: კასირს თ. ი. ა. მიქელაძეს, ბ-ნ ე. ო. ქაჯაიას, თანაშემწეს საქმეთა მწარმოებლისას, და მ. ვ. ქელბაქიანს, უფროსს მწერალსა. ამ სიგელიდამ სჩანსო, ამბობს განაჩენი გამგეობისა, რომ მეორეს დღეს, შემდეგ კრების დაშლისა, ქელბაქიანმა რწმუნების წერილები და სხვა ქაღალდები ბანკის "სტოროჟს" სვანიძეს მისცა, წაიღე ბანკშიო. ამის მეორე დღეს ქელბაქიანს აუღია და ყოველივე ეს შკაფში ჩაუწყვია. 1 ივნისამდე ეს ქაღალდები აქა ყოფილა შენახული და ამ დღეს კი ბ-ნ ჩიკვაიძეს შეუნიშნავს, ვაი თუ აქ შკაფში დაუშავდეთ რამეო. აუღიათ იმას და ქაჯაიას, შეუხვევიათ რწმუნების წერილები გაზეთის ქაღალდში, შეუკრავთ ძაფით, დაუკრავთ ბეჭედი და „просто“ მისცესო კასირს მიქელაძეს, რომელსაც ქაჯაიამ 2 ივნისს გამოართვა რიგზე მოსაყვანად, მაგრამ იმ სახითვე ისევ უკან დაუბრუნაო. სამ ივნისს კი დაბეჭდილი ბოხჩა რწმუნების წერილებისა მიიღო ბ-ნ ჩიკვაიძემა, რომელმაც ითავა და თანდასწრებით

კასირისა, საქმეთა მწარმოებლისა და ქელბაქიანისა სხვა ბეჭედიც დაჰკრა და ჰსთხოვა თანდამსწრეთ, ბეჭდები დასინჯეთ, რომ მერე, როცა გახსნიან ამ ბოხჩას, მოწმად იყვნენ, რომ ბეჭდები მთელები არიანო. ამის შემდგომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ აიღო და ეს რწმუნების წერილები თავის სტოლში ჩასდოო. ის არის და ეს დღე, ბ-ნს ჩიკვაიძეს სტოლში აქვს თურმე და არავის არ ანებებს.

გამგეობას იმის მაგიერ, რომ ეფიქრნა, რა ნება გვაქვს ან ჩვენ ერთად, ან თავმჯდომარეს ჩვენსას ცალკე, რომ ამ ქაღალდებს კომიტეტს არ ვანებებთო, 23 ივნისს დაუდგენია:

1) ზედამხედველ კომიტეტს ნება არა აქვს მიიღოს განსაკითხად და გასარჩევად თხოვნა შესახებ საზოგადო კრების განაჩენებისა და არჩევანის გაუქმებისაო*.

ვსთქვათ ესეა, ხოლო ამ გარემოებას რწმუნების წერილების არ დანებებასთან რა ხელი აქვს, რა აქვს საერთო? ან ვინა ჰკითხავს გამგეობას ბარი ათ შაურად არის, თუ მეტნაკლებად?

2) ზედამხედველ კომიტეტს არ უნდა ეწარმოებინა ექვსის კაცის არზაო.

ვსთქვათ ესეც ესეა, ხოლო რწმუნების წერილებს რომ არ ანებებენ, ამის პასუხი აქ სად არის?

3) ზედამხედველი კომიტეტი მოვალე იყოვო პასუხი მოეცა იმ განაჩენის თაობაზე, რომელიც გამგეობამ 7 ივნისს დაადგინა შესახებ 125 კაცის არზისაო.

ვსთქვათ ესეც ასეა, ხოლო განა აქედამ ის გამოდის — მაგრა მოუჭირეთ ხელი რწმუნების

---

* ჩვენ აქ ეგრეთწოდებული „მოტივები“ გამგეობისა არ მოგვყავს, იმიტომ რომ მეტი ბარგია. საქმე — ეს ამისთანა დასკვნებია, რომელთაც დასტალუღად მარტო ეს ეთქმის: „არამკითხე მოამბეო“.

წერილებსა და არამც და არამც არ დაანებოთ კომიტეტსაო. თორემ ეს ხომ ტყუილი გამოკიდებაა. კომიტეტმა ამაზე პასუხიც მისცა და გაათავა კიდეც: მაგაების მოკითხვა თქვენი საქმე არ არისო.

4) ერთხელ რაკი თავმჯდომარემ ბ-ნმა ჩიკვაიძემ 16 ივნისს აცნობა კომიტეტსა, ჯერ ქაღალდები კომიტეტისა 2 და 11 ივნისისა არ მომიხსენებია გამგეობისათვისაო და ეს მართლადაც ასე იყოო, კომიტეტს პასუხის საგებლად არ უნდა გაეხადნა წევრნი გამგეობისაო.

აქ მოსახსენებელი გამგეობისათვის არა იყო რა, რადგანაც, როგორც მერე ვნახავთ გამგეობის განაჩენებიდამვე, მარტო თავმჯდომარე გასძალიანებია კომიტეტს, მარტო მაგას გაუწევია ურჩობა და არ დაუნებებია, მაშასადამე, მარტო მაგასვე უნდა გაეცა პასუხი კომიტეტებისათვის. თუ აქ მოსახსენებელი რამ იყო ვისთვისმე, ისევ თავმჯდომარეს თავის თავისათვის უნდა მოეხსენებია. თუ ამაზე მერე გამგეობა დაემდურებოდა, განა ვერ იტყოდა, თქვენ აქ რა შუაში ხართ, მე ვარ რაცა ვარო. არა გვგონია დანარჩენი წევრნი აჰხირებოდნენ, არა ჩვენც შენთან თავი დაგვიდვია და რად ჰნებულობთ, რომ ამ სახელოვანს საქმეში ჩვენ წილს არ გვიდებო. მაინცდამაინც თუ მოხსენება საჭირო იყო, რაღა დაგვიანება უნდოდა ამ ორიოდე სიტყვის თქმას: კომიტეტი რწმუნების წერილებს ითხოვს, ეს წერილები მე მაქვს და არ ვანებებ, თქვენ ამაზე რას იტყვითო? რა თქმა უნდა, ამის პასუხი ეს იქნებოდა: შე არ ანებებ და შენვე მიეც პასუხიო.

5)საზოგადო კრების სიგელებისაგან სჩანსო, ამბობს განაჩენი გამგეობისა, რომ რწმუნების წერილები კომიტეტის განკარგულებაშია და, მაშასადამე, კომიტეტს უნდა სცოდნოდა, ვის მიაბარა ეს წერილები და როდის. სიგელი ბ-ნ ჩიკვაიძის მიერ წარმოდგენილი ცხადად იმოწმებაო, რომ ეგ წერილები გამგეობის, როგორც კრებულის, ხელში

არ არის და თუ თავმჯდომარეს აქვს ეხლა, ეგ იმას არ ჰნიშნავს, რომ გამგეობას ჰქონდესო. კომიტეტმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ გამგეობას რწმუნების წერილები თავის დღეში არ მიუღია და ყოველთვის, როგორც უწინ, ისეც ეხლა, ამ წერილების საქმეს საზოგადო კრება კომიტეტთან ერთად განაგებდაო. ამ სახით, გამგეობა ამ წერილების არდანებების თუ დანებების საქმეში არაფერს შუაშია და პასუხისგებაში რად იძლევიან დირექტორები მაინცაო.

ყველაზე ახირებული და უცნაური თავის გამართლება ეს მეხუთე მუხლია. ჯერ ესა ვსთქვათ, რომ ორ დანარჩენს წევრს გამგეობისას თითქო იმ დრომდე არა სცოდნიათ, რომ რწმუნების წერილები მათ არა აქვთ, ვიდრე ამის საბუთად ბ-ნს ჩიკვაიძეს სიგელი არ წარუდგენია. თითქო თვითონ ქაღალდების ხელთ არქონება საკმაო საბუთი არ არის. თუ ეს ამბავი მანამდინაც სცოდნიათ, 7 ივნისის განაჩენშივე იგივე გამგეობა იტყოდა ამას და კომიტეტს აღებ-მიცემობას არ დაუწყებდა, ჯერ თქვენ სთქვით თქვენი აზრი 125 კაცის არზის თაობაზე და მერე ჩვენ ვიტყვით ჩვენსასაო. თუ ამ წერილების არდანებების საქმე მაშინ გამგეობას თავის საქმედ არ მიაჩნდა, პირდაპირ იტყოდა, საქმე როგორ არის და ცუდუბრალოდ არ დაიხვევდა ხელზე 125 კაცის არზასა. რა საჭირო იყო? ორის სტრიქონით გაათავებდა სათქმელს: ჩვენ კი არა, თავმჯდომარე არ განებებთ და თქვენ იცით და ამანაო. და თუ მაშინ საერთო საქმედ მიიჩნია, ეხლა რაღამ შეუცვალა გუნება?

მართალია, დღეს ბ-ნ ჩიკვაიძე, გამგეობის მოწმობით, გვეუბნება, რომ მე ვარ და სხვა არავინ, რომ არ განებებთ რწმუნების წერილებსაო, ხოლო არ ვიცით კი, რა ხელსაყრელია აქ ამისთანა უადგილო ვაჟკაცობა, რომელიც გაკადნიერებულს ჭირვეულობას და გაჭირვეულებულს კადნიერებას უფრო ჰგავს,

ვიდრე სხვა რასმე სიკეთეს. პირიქით, უმჯობესი იყო თავის შეცდომა ეცნა, წერილები დაენებებინა და გასცლოდა ამ საქმეს, იმიტომ რომ „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“.

იქნება ეს ამბავი სხვის ვისიმე თვალში ახალ თავმჯდომარის ბარაქალობას ჰნიშნავდეს და ჩვენ კი ვიტყვით, რომ აქ ან მეტისმეტი წინდაუხედავობაა, სახტომის გაუზომლობაა, სრული უვიცობაა მისი, თუ სად იწყება უფლება და მოვალეობა თავმჯდომარისა და სადა თავდება, ან განგებ მოწადინებული სურვილია, კაცმა მტვერ-ბუქი ააყენოს, აყალმაყალი ასტეხოს, სხვა ვერა წარმოგვიდგენია რა.

ამბობენ, აქ თავმჯდომარემ თავი გაიწირა მრავალთათვისაო, იმიტომ რომ რწმუნების წერილები ბევრს ბოროტს აღმოაჩენს, თუ ზედამხედველმა კომიტეტმა გადასინჯაო. მაგრამ ერთი ეს ვიკითხოთ: თუ მრავალთათვის ასე სწუხს და თავს იტკიებს ერთი კაცი, ზედამხედველი კომიტეტი, ეს მთელი კრებული რატომ აღარ შესწუხდებოდა, რატომ აღარ ჩაუფიქრდებოდა და რად გამოიმეტებდა მრავალსა. რაო? ნუთუ ამისათვის ჭკვამ გაუჭრა და გულმა ტოკვა დაუწყო მარტო თავმჯდომარესა და ყველა სხვისათვის კი ყოველივე ეს მიუწვდომელი და გაუგებარია? ეხლა უფრო უარესი დღე არ დააყენა თავმჯდომარემ იმ მრავალსაც, თავის თავსაც და მისდამი მინდობილ ბანკსაცა, როცა საქმე ლამის სასამართლოდ გაჰხდეს. ამით თუ ამართლებს ვინმე თავმჯდომარის საოცარს საქციელს, ტყუილად ირჯება: იგი თავის თავსაც ატყუებს და სხვასაც.

თუ მართლა ბანკის თავმჯდომარეს ეს მრავალთა ბედი აწუხებდა, რწმუნების წერილების არდანებებაზე კი არ უნდა გაჯიუტებულიყო, არამედ იგი წერილები თვითვე უნდა მიეტანა კომიტეტისათვის და კომიტეტთან ერთად ეზრუნა, რომ, თუ ვინიცობაა ბოროტი რამ აღმოჩენილიყო, ამ ბოროტს შინვე, კარზე გამოუტანებლად, წამალი რამ დასდებოდა, თუ

საამხანიოდ არა, სამერმისოდ მაინც. აი, თუ მართლა მის საქციელს გულისტკივილი საქმისა ედვა სარჩულად, თუ მართლა თავმჯდომარეს აწუხებდა შედეგი, რწმუნების წერილების ავ-კარგიანობისაგან წარმომდგარი, რა გზას უნდა დასდგომოდა და არა ურჩობისა და უჯათობისათვის ჩაეკიდნა ხელი, რომელიც, თუ ეხლავ არა ეშველა რა, უეჭველად ყველაფერს საქვეყნოდ გახდის და, სხვათა შორის, იმას, რის შიშიც თავმჯდომარეს მითამ გულში ჰქონებია, ზოგიერთის სიტყვით. აქ წამების გვირგვინის დაჩემება, ჯერ ერთი, რომ უადგილოა, და მეორე — ბაშვის ქაღალდის ქუდით მორთვას და გაბუებით დოინჯის შემოყრას უფრო ჰგავს, ვიდრე სასახელო შარავანდედს წვალებულ-წამებულისას.

ესეც იქით იყოს. თვითონ ბ-ნი თავმჯდომარე და მასთან ერთად მთელი გამგეობა ამ თავის განაჩენის მეხუთე მუხლით იმოწმება, რომ რწმუნების წერილები თვითონ კომიტეტის განკარგულებაში ყოფილა წინადაც და ეხლაც. თუ ესეც არის, მაშ რა დაერქვას იმას, რომ კომიტეტს ეს განკარგულება გაუუქმეს და აღარ ანებებენ მას, რაც მისი კუთვნილია და მის განკარგულებაში უნდა იყოს? აქ ტაციობაა და სხვა არაფერი. რომ ამის ჩამდენს ის მაინც ეთქვა, ჩემია და არ განებებთ, კიდევ ჰო, თორემ იძახის — თქვენია და არ განებებო. როგორ? სხვის კუთვნილი ქაღალდები ხელში დაუბღუჯნიათ და მაშინაც არ ანებებენ, როცა პატრონი თავისას ითხოვს, და აქ კიდევ გაბმა-გამობმა უნდა სიტყვას? განა კითხვაღა უნდა, ვინ არის აქ ბრალი და უბრალო?

ყოველივე ეს მოვისაზრეთო, ამბობს დასასრულ განაჩენი გამგეობისა, და დავადგინეთო*: „2) ეუწყოს ზედამხედველ კომიტეტს, რომ გამგეობას, როგორც კრებულს, არცა ჰქონია და არცა აქვს რწმუნების წერილები და 3) გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ექვსისა და 125 კაცის არზების გამო იმ სახით, რომ ექვსის კაცის ორს არზას (29 და 31 მაისისას) უარი ეთქვს, რადგანაც ჯეროვანის გზით არ არის წარდგენილიო და 125 კაცის არზა კი ყოველფერში კანონიერად საცნობელია“.

ვსთქვათ მართლა მოისაზრეს ყოველივე ის გარემოება, რაც განაჩენის ხუთს მუხლშია ჩამოთვლილი, ხოლო ვიკითხოთ — ეს ხუთი მუხლი რას მოასწავებს? სხვას არაფერს იმის გარდა, რომ კომიტეტს არ უნდა ექმნა ესა და ესაო. ვინ ვის ეუბნება ამას? ვინ ვის ასწავლის ჭკუასა? ვინ ვის აძლევს ამ უცნაურს დარიგებას? გამგეობა კომიტეტს, ზედამხედაობის ქვეშ მყოფი თავის ზედამხედველს, დასარიგებელი დამრიგებელს და ამ მხრით — თუ მართალი გნებავთ — უმცროსი უფროსს, ხელქვეითი ხელისუფალს, ბრძანებული მბრძანებელს. გაგონილა ასე თავდაყირა დაკიდება საქმისა! თუნდ ეგეც არ იყოს, აქაოდა კომიტეტს ესა და ეს არ უნდა ექმნაო, განა აქედამ ის გამოდის, რომ ბ-ნ ჩიკვაიძეს ის უნდა ექმნა, რაცა ჰქმნა?

ყოველ ამის მნახველმა, ყოველ ამის მსმენელმა კომიტეტმა სხვა რა უნდა ჰქმნას, რომ არ ურჩიოს ახლად მოწვეულ კრებას, გადააყენოს თანამდებობისაგან ახალი თავმჯდომარე, რომელმაც ასეთი თვითნებობა, კანონის მიუხედველობა, ასეთი გაუგებრობა საქმისა გამოიჩინა შესვლის პირველ

---

* პირველი მუხლი განაჩენისა არ შეეხება საქმეს, რომელსაც ვარჩევთ.

დღესვე. კომიტეტმა თავისი ჰქმნა და ეს თვითნებობა ვერ მოარჯულა; ხელმეორედ სთხოვა გამგეობას, ეს ჩემი რწმუნების წერილები მომეცითო, ამისათვის ვადაც მისცა, ეგებ დაინახონ, რომ უკანონობას სჩადიან და დაიშალონო, მაგრამ იმედი გაუმტყუნდათ, რწმუნების წერილები მაინც არ დაანებეს და არა. სხვა რა ჰქნას ამ შემთხვევაში კომიტეტმა, ერთი გვიბძანეთ? პოლიცია მოიწვიოს, სასამართლოს მიჰმართოს, თუ ამ თვითნებობას დაუჩუმდეს და თავისი ზედამხედველობა გააუქმოს, ფუჭ სიტყვად გაჰხადოს! აქ ორში ერთი გზაა: ან კომიტეტი უნდა დაჰნებდეს ჭირვეულობას თავმჯდომარისას, ან ეს ჭირვეულობა უნდა დაინებიოს, პირველი თავზე ხელის აღებაა კომიტეტისათვის და მეორე შეუძლებელია, რაკი თავმჯდომარე ასე უჯიათობს.

აქ ტყუილად ნურავინ ნუ იგონებს, რომ ამ შემთხვევაში კომიტეტი ვითომც არჩევანების და კრების განაჩენების გაუქმებას ეტანებოდეს. საქმე ცხადია: კომიტეტი ჰხედავს ბანკის საქმეში ურჩობას, თვითნებობას თავმჯდომარისას და მარტო ამ ურჩობისა და თვითნებობის გამო ურჩევს ახლად მოსაწვევს კრებას თანამდებობისაგან გადააყენეთო, — და არა იმიტომ, რომ იგი კანონიერად ამორჩეული არ არისო.

საქმე ესეა, ხოლო ახალი ხათაბალა ის არის, რომ ამ საგანზე განაჩენი კომიტეტისა 3 ივლისისა ხმათა უმრავლესობით არ დადგენილა და დღეს ყაყანი ამაზეა. ჩვენ ეს ყაყანი კი არ გვაკვირვებს, ჩვენ ის გვაოცებს, ან ერთმა რომელმამე წევრმა კომიტეტისამ როგორ იუარა ეს გადაყენება თავმჯდომარისა და თუ იუარა, გულში რომ ჩაიხედა, თავის თავს რა პასუხი მისცა. ნუთუ აქ ყოვლად შეუწყნარებელი ურჩობა და თვითნებობა ვერა ჰპოვეს თავმჯდომარისა და თუ ჰპოვეს, ვერ დაინახეს, რომ საზოგადო საქმეში საერთოდ და ბანკისაში საკუთრივ ამისთანა ამბები

ყოვლად შეუძლებელია, ყოვლად შეუნდობელი და დედაბუდიანად განსაძევია.

სხვა არა არის რა, მარტო ბ-ნ ჩიკვაიძის ეგრეთწოდებული „კონფიდენციალური“ წერილი, 16 ივნისის თარიღით აღნიშნული და „Новое Обозрение“-ში დაბეჭდილი, საკმაოა კაცმა წაიკითხოს, რომ თავზე ხელი წაივლოს უარესის მოლოდინითა და შეჰკივლოს: ეს რა ღვთის წყრომა გვეწვია და ვის ხელში ჩაგვიგდია ბანკიო. ამისთანა კადნიერი, ამისთანა უმართებულო, ამისთანა სათაკილო სიტყვა-პასუხი და — უკაცრაოდ არ ვიყოთ — ამისთანა უწმაწური წერილი ძნელად დასაჯერია, რომ გამგეობის თავმჯდომარის ხელიდამ იყოს გამოსული, ესე იგი იმ კაცის ხელიდამ, რომელიც საზოგადოებას საზოგადო საქმის მოთავედ დაუყენებია.

არ გვესმის, რისთვის არის დაწერილი ეს ამოდენა წერილი და ვისთვის? ამ წერილიდამ უფრო ისა სჩანს, რომ მის დამწერს კრილოვის ზღაპრები კარგად სცოდნია და ბანკისა კი მაგრედ რიგად არა. აბა რა მოსატანი იყო ბანკის საქმეში: ჩემის ამორჩევით საზოგადოებამ დაამტკიცაო, რომ დღეს ცუდმედიდობას გვარიშვილობისას და დიდკაცობისას ადგილი დააცლევინა და დაულოცა მითამდა ადამიანის ღირსებასაო. დეე, ამით გაბრიყვდეს, ვინც გასაბრიყვებელია და ჩვენ კი ვწუხვართ, რომ ახლად ამორჩეულს თავმჯდომარეს დიდპატარაობის საღერღელის ამშლელი მიზეზი ასე უადგილო ადგილას საბუთად მოუხმარებია.

მითამ რაო? საზოგადოებამ რაკი პატარა აზნაური ჩიკვაიძე აირჩია და დიდი თავადი დადიანი გადააყენა, განა ამით ისა თქვა, რომ ღირსეული კაცი მარტო აზნაურებ შორის მოიპოვება და სხვაგან არსად არაო. და თუ ესა სთქვა, ნუთუ აქ სასიხარულო და სახარბიელო არის რამე გონებაგახსნილ კაცისათვის? საწვრილფეხო ლიბერალობა თუ მოსტყუვდება ამით,

თორემ ეს ამისთანა „მითქვამს და მიყივლიაო“ შორს მანძილს ვერ გაირბენს. ან ნეტავი მართლა მაინც იყოს ის, რასაც ამის გამო ბ-ნი ჩიკვაიძე ამბობს თავის „კონფიდენციალურ“ წერილში. თუ მართლა ქუთაისის საზოგადოება აქამომდე მარტო დიდ გვარეულობის ცუდმედიდობას ბანს აძლევდა და ღირსეულს კაცებს არ ეძებდა ყველაგნ, საცა კი ხელი უწვდიდა, მაშ ბ-ნ დადიანამდე განუწყვეტლივ რად ირჩევდა გამგეობის თავმჯდომარედ აზნაურშვილებს? განა ბ-ნი ჩიკვაიძე ამისი პირველი მაგალითია და უკანასკნელი? სჩანს ქუთაისის ბანკის საზოგადოება, თავისდა სასახელოდ, უწინაც არ დაგვიდევდა გვარიშვილობის დიდ-პატარაობას, მაღალ-დაბლობას და საცა ეგულებოდა ღირსეული კაცი, იქიდამ ირჩევდა. მაშ რად უნებებია ბ-ნ ჩიკვაიძეს, რომ ამისთანა უხეირო და უკბილო საბუთისათვისაც ხელი ჩაუვლია და ქვეყანას აუწყებს, რომ ჩემის არჩევანით დემოკრატიამ გაიმარჯვაო! სწორედ მოგახსენოთ, ასლი საომარი მოედანი კია ბანკი არისტოკრატიის და დემოკრატიის ერთმანეთთან დასაჯახებლად, თუ არ დაგიშლიათ!.. აი სწორედ ამისთანა საბუთების წამოყენება, აი ამისთანა სიმების ადგილიდამ დაძვრა ნაძირალთა გრძნობათა აშლას მოასწავებს.

არ ვიცით ამით ვის აებმის თვალი გარდა ქუთაისისა და ტფილისის ბულვარის წვრილფეხობისა და ჩვენ კი ამ ეგრეთწოდებულ „კონფიდენციალურ“ წერილს მეტს აღარას გამოვუჩხრეკთ, იმიტომ რომ ყველა იგი სათქმელადაც სათაკილოა და სასმენლადაც. მტერი რას უზამს კაცს იმას, რაც

ქვეყნის თვალში ამ წერილმა დაჰმართა მის დამწერსა*.

VI

ტფილისი, 11 აგვისტო.

სწორედ მოგახსენოთ, არც ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის ბანკისა გადაურჩება სამართლიანს სამდურავს. მეტისმეტი გულდაუდებლობა, დაუდევრობა ეტყობა მის განაჩენებს იმ საქმის თაობაზე, რომლის გამოც ეხლა ასეთი აყალმაყალია ატეხილი და რომელიც იმოდენად სამძიმო და სანაღვლელია, რომ კაცს არ ეპატიება ხელდახელ შეხანხვლა განაჩენებისა. მართალია, ეგრეთწოდებული „რეზოლუციები“ არ ჰთხოულობენ დასაბუთებას, მაგრამ თვით აზრი რეზოლუციისა ცხადი და თვალსაჩინო უნდა იყოს იმოდენად, რომ არაფერი კუდგამოსაბმელი არა დარჩეს რა. სამწუხაროდ ჩვენდა, კომიტეტის განაჩენებში ამას ვერა ვხედავთ. პირიქით, ვხედავთ, რომ არც იმისთვის უნაღვლიათ აზრი ცხადი იყოს, არც იმისთვის, რომ საჭირო სისრულით გამოეთქვათ.

აბა რა არის, თქვენი ჭირიმე, ეს რეზოლუცია კომიტეტისა (მაისი 30) შესახებ წინადხსენებულ ექვსის კაცის არზისა:

---

* ან რას ჰნიშნავს ის უკანასკნელი წერილი ბ-ნ ჩიკვაიძისა, რომელიც ეხლახან დაიბეჭდა აქაურ რუსულ გაზეთებში. კაცს ეუბნებიან, შენი საქციელი ბანკს ძირის მოთხრას უქადისო და ის კი იძახის: თქვენ კიდევ რუსული წერა არ იცითო და ის დალოცვილი „Новое возрение“-ც, იმის მაგიერ, რომ სასაცილოდ აიგდოს ეს ამისთანა პასუხი, აუღია და რაც ძალი და ღონე აქვს ამტკიცებს, არა, რუსული წერა ძალიან კარგად იციანო. თითქო აქ ამის მეტი საადრდელი არა იყოს რა.

„По прошению поданному (აქ დასახელებულია ექვსი კაცი) , постановил: приступить к установлению фактов, изложенных в прошении, и вопрос оставить открытым до следующего заседания“... და სხვანი.

მოდით და გაიგეთ, რომელი вопрос-ია открытый? რომელი вопрос-ია აქ საგულვებელი? ნუთუ ამ вопрос-ის დასახელება აქ საჭირო არ იყო? ასეთს სიტყვანაკლებს განაჩენს კაცი რომ ჰკითხულობს, ჰგონია, ამის დამწერს გულში რაღაცა სდებია სათქმელად და ან მოცლა არა ჰქონია სიტყვა დაესრულებინა, ან დაჰზარებია ორიოდე სიტყვის ჩამატებაო. აი ამისთანა სიტყვამოკლეობამ იცის მითქმა-მოთქმის ატეხა და ვინ იცის, იქნება ამანაც მისცა გამგეობას მიზეზი შეეწამა, რომ ეს вопрос-ი უსათუოდ არჩევანის გაუქმებას მოასწავებსო.

ან რა არის განაჩენი 11 ივნისისა?

„Постановил: предложить правлению исполнить в течение трех дней постановление наб. к-та 2-го сего июня, а о неисполнении правлением постановления комитета 2-го июня (изложенного*) в протоколе 7-го июня, под предлогом вопросов неуместных, иметь суждение особо“.

აბა რა არის ეს ფრჩხილებში მოყვანილი ფრაზა? განა აქედამ აზრი რამ გაიგება? აშკარაა, აქ კომიტეტს საჭირო მუყაითობა არ გაუწევია და დაუდევნელად უწერია განაჩენი. იქნება ასლი განაჩენისა, რომელიც ჩვენა გვაქვს, შეცდომით არის გადა-

---

* Изложенного,изложенных, თუ изложенном? ჩვენ ქაღალდში ვერ გავარჩიეთ, რადგანაც გადამწერს, როგორც ეტყობა, ამ სიტყვის ბოლოში შეშლია ასოები, ხოლო ამას აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ, როგორც გნებავთ აბრუნეთ ეს სიტყვა, მაინც ფრაზა, ფრჩხილებში ჩასმული, თავიდამ ბოლომდე გამოუცნობელი და გაუგებელია.

წერილი. თუ ესეა, ბოდიშს ვიხდით კომიტეტის წინაშე, და თუ სწორედ არის გადაწერილი, ნურას დაგვემდურებიან ამ გულდაუდებლობის ჩვენებისათვის.

ან რა არის განაჩენი კომიტეტისა, 3-ს ივლისის დადგენილი:

,,Наблюдательный комитет, в составе (აქ ხუთი წევრია დასახელებული), выслушав, объяснение правления 25-го июня сего года за №735, по большинству голосов постановил, удалить от должности председателя правления Мих. Дв. Зем. Банка К. Н. Чикваидзе и постановление это представить на обсуждение чрезвычайного собрания, которое созвать на 2-ое Сентября сего 1890 г

ხელს აწერენ:

1) Председатель Кн. С. Церетели.
2) При особом мнении по вопросу о личной ответственности и о наказании по отношению к председателю правления Л. Асатиани.
3) Сп. Джорджикия (при особом мнении).
4) Л. Лолуа (при особом мнении).
5) А. Лорткипанидзе.

გამოდის, რომ ხუთში მარტო ორს დაუდგენია ეს განაჩენი, სამს და დანარჩენს კი თავისი საკუთარი ცალ-ცალკე აზრი ჰქონიათ. ბ-ნ ლოლუას თუ საბუთი არა, მიზეზი ხომ ჰქონდა ეთქვა თავის განცხადებაში, რომელიც 16 ივლისს შეუტანია კომიტეტში, რომ აქ ხმის უმეტესობა არ არისო, რადგანაც ხუთ წევრს შორის, ოთხი სხვადასხვა აზრი აღმოჩნდაო.

რად უნდა მომხდარიყო ჯერ იმის თქმა, რომ ხმის უმეტესობით დადგენილ იქმნა ეს განაჩენიო და მერე კი გამოსულიყო, რომ აქ ხმის უმეტესობა არ არის? აშკარაა, აქაც იგივე ხელდახელობაა, იგივ დაუდევნელობა და საამწუხაროა, რომ ასეა.

ზედამხედველი კომიტეტი, ან, უკეთ ვსთქვათ, მისი თავმჯდომარე პატარა ხანს რომ ჩაჰფიქრებოდა ამ საქმეს, დაინახავდა, რომ აქ განსაკითხი ოთხი საგანია, თუმცა ერთმანეთზე დამოკიდებული, მაგრამ შესაძლოა თვითეულმა ცალკე სხვადასხვა აზრი აუ-

ჩინოს გამკითხველს. აქ, ჩვენის ფიქრით, პირველი საკითხი იყო: გამგეობის თავმჯდომარის საქციელი ურჩობა და თვითნებობაა, თუ არა? მეორე — ურჩობა და თვითნებობაა, გავჩუმდეთ, თუ პასუხის საგებელი გავხადოთ? მესამე — თუ პასუხის საგებლად გავხდით, რა საკანონო დავსდვათ: ვურჩიოთ კრებას გადააყენონ თანამდებობისაგან, თუ სხვა რამ სასჯელი დავასახელოთ და მეოთხე — თუ გადაყენება ვურჩიოთ, მორიგ კრებას მოვუცადოთ, თუ საგანგებო მოვიწვიოთ და თუ მოვიწვიოთ, როდის?

იქნება გვითხრან, ახლა სასამართლოს წესები შემოგვაღებინეო! მითამ რატომ არა, როცა უმისობა შეუძლებელია? განა სასამართლოს წესი კი ისე ალალბედად არის დადგენილი და არა საქმეთა ვითარებისაგან წარმომდგარი? ჩვენის ფიქრით, ამ შემთხვევაში თვით ბუნება და ვითარება საქმისა ამას ითხოვდა. აკი ბოლოს ისე გამოვიდა, რომ წევრთ გასჭირებიათ, გასძნელებიათ ერთის გადაწყვეტილის ჰოს თქმა ოთხს საგანზედ ერთად. ეს აშკარადა სჩანს ბ-ნ ასათიანის ზედ წარწერისაგან: იგი ყველაფერზე თანახმაა, გარდა სასჯელისა. ადვილად საფიქრებელია, რომ დანარჩენ ცალკე მოაზრეთაც ესევე დაჰმართოდათ შესახებ სხვა რომელისამე საგნისა. თუ ესეა, ადვილად დასაჯერია იგი ხმის უმეტესობა, რომელსაც გვაუწყებს კომიტეტი თავის განაჩენით. მაგალითებრ, ხუთში ორი წევრი ყველაფერზე თანახმანი არიან, ესე იგი, მთელი ოთხი საგანი უარის უთქმელად მიულიათ. ბ-ნს ასათიანს უთქვამს, მე მარტო სასჯელის თანახმა არა ვარო. მაშ აშკარაა, სამი დანარჩენი საგანი უყაბულნია. დანარჩენ ორ ცალკე მოაზრეთა შორის ერთს უთქვამს, მაგალითად თუნდ ბ-ნ ლოლუას — მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ხოლო საგანგებო კრებას ნუ მოვიწვევთ და მორიგს მოუცადოთო და მეორეს, ვსთქვათ ბ-ნს ჯორჯიკიას, — დავუჩუმდეთ, ისა სჯობიაო. რა გამოდის აქედამ? ისა, რომ თუ ესეა, მართლა ხმის

უმეტესობით გადაწყვეტილა საქმე. აი როგორ: საცილობელი საგნები, აქ, ჩვენს მაგალითში, ხომ სასჯელია და საგანგებო კრება და რადგანაც ბ-ნი ასათიანი მიჰმხრობია ორს ყველაფერში, გარდა სასჯელისა და ბ-ნი ლოლუა ყველაფერშივე გარდა, ვსთქვათ, საგანგებო კრებისა, მაშ სასჯელიც სამის ხმის უმეტესობით არის მიღებული ბ-ნ ლოლუას მიმხრობით და საგანგებო კრების მოწვევაც ბ-ნ ასათიანის ხმით.

ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ საქმე სწორედ ამ გზით გადაწყვეტილა. ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რომ თუ თავმჯდომარეს კომიტეტისას ოთხი საგანი ცალ-ცალკე დაეყენებინა გამოსაკითხად, შესაძლოა ხმათა მეტნაკლებობა ამ გზით უფრო ნათლად გამორკვეულიყო და ისე არ გამოსულიყო, როგორც ეხლა, რომ ფიცი კომიტეტისა ხმის უმეტესობის თაობაზე გვწამს და ბოლო კი გვაკვირვებს. იქნება საქმე სწორედ ეგრეც იყო განკითხული, ხოლო განაჩენი ისე ხელდახელ ალალბედობაზე დაწერილი, თითქო საიმისო არა იყოს რა, რომ ამაზე მეტად შეწუხებულიყო დამწერი, გზა განკითხვისა სხვისთვისაც დაენახვებინა და საქმე საჰო-არაოდ არ გაეხადნა.

თუნდ ეგეც არ იყოს, რას ჰნიშნავს постановил удалить? აქაც განაჩენის ხელდახელობა ეტყობა, იმიტომ რომ უფრო ჯეროვანი და უმიზეზოა კომიტეტს ეთქვა: „предложить чрезвычайному собранию удалить“ და სხვანი. თორემ ეხლა კი გამოდის, ვითომ თვით კამიტეტს მოუწადინებია თავის ძალით удалить, მაშინ, როდესაც წესდების § 78, მუხლი 15, ამბობს: „Ведению Наб. К-та подлежит: постанавление заключения об удалении от должности членов правления“... და სხვანი. მართალია, მეორე ნაწილი განაჩენისა ცხადად ამბობს, რომ საქმე შესახებ თავმჯდომარის გადაყენებისა უნდა გადაეცეს განსასჯელად

ახლად მოსაწვევს კრებასაო და ამით ცხადდება აზრი პირველ ნაწილისაც, მაგრამ მაინცდამაინც სასურველია განაჩენები ისე იწერებოდეს, რომ საჭოროდ და კლანჭმოსადებად არა დასტოვოს რა.

ჩვენ ყოველ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ აქაოდა კომიტეტი ცხადად არა სწერს თავის განაჩენებს და ამიტომაც გამგეობა, ან მისი თავმჯდომარე, უნდა თვითნებობდეს და ურჩობდეს. აქ არც ერთს და არც მეორეს თავის გასამართლებელი არა აქვს რა. მით უფრო, რომ რასაც კომიტეტი ამათა სთხოვდა, ამის შესახებ განაჩენი მეტისმეტად ცხადია და კუდგამოუბმელი. თუ ესე არ ყოფილიყო, აბა საცა მიზეზ-მიზეზ და დოს მარილი აკლიაო, იქ კი ამას ხელზე არ დაიხვევდნენ და არ იტყოდნენ: ვერა გავიგეთ რა კომიტეტისა, რა აგვესრულებინაო.

ამით ვათავებთ ამ ჩვენს წერილებს, რომელიც მეტად გძელი მოგვივიდა და იქნება მოსაწყენიც. თუ ესეა, შეგვინდონ და იმას აპატიონ, რომ ეს საქმე ჩვენდა საერთო საქმედ მივიჩნიეთ და ჩვენც ისე გვაწუხებს, როგორც თვითეულს წევრს ქუთაისის საზოგადოებისას, იმიტომ რომ ამიერი და იმიერი არავის გაუყვია და იქაური ტკივილი ჩვენი ტკივილიც არის, რადგანაც ერთსულნი და ერთხორცნი ვართ ერთმანეთის საბედნიეროდ.

[1890 წ.]

წერილი მეგობართან

ჩემო თადეოზ!

დავუბრუნდეთ ძველს ამბავს. აგერ წელიწადზე მეტია, რაც ქალაქში გამოყვანილს ავჭალის წყალზე ვიჩივლე შენთან, მაგრამ ჩემს საჩივარს, რას ვამბობ, ჩემსას კი არა, მთელის ქალაქის საჩივარსაც არავინ უგდო ყური. ან კი როგორა სვამთ მაგ უგემურსა და უმარილო წყალს? აცლი და ექიმებზე მიაგდებენ წყლის ღირსების დაფასებასა... რად მინდა ექიმი, როდესაც ყველასა აქვს პირში გემო და შეუძლიან თვითონ დააფასოს წყლის ღირსება და ყველანი კი ჩივიან. ღმერთო შეგცოდე და იქნება ექიმებისათვის ამისთანა ცუდი და მავნებელი წყალი სარფაც იყოს, ჩვენ რა ვიცით. თუ არა, რა მოსწონთ ამისთანა ფშნის წყალში. მე ასე მგონია, ამ შემთხვევაში ექიმს სრულიადაც არაფერი არ უნდა დაეჯერებოდეს, რადგანაც რაც ბევრი ავადმყოფი იქნება, ის უფრო სასარგებლოა მისთვის. ერთის სიტყვით, მე ის უნდა მოგახსენოთ ჩემის ჩლუნგის ენით, რომ 200 ათას სულს არას უჯერებენ და ხუთ ექიმის ნათქვამზე კი ამყარებენ საქმეს. მაინც უხერხულად გამოდის საქმე. მოხელეები ამას ჰფიქრობენ: ამდენი ფული ჩავლუპეთ ამ წყლის გამოყვანაში და როგორ შეიძლება იმისი დაწუნებაო. რას იტყვიანო. მე ასე ვფიქრობ, რომ მომდურავი არავინ იქნება, რომ ეს შეცდომა

გაასწორონ, თუგინდ იმ დიდს ხარჯს კიდევ მოემატოს მეორე ხარჯი და სათავე წყლის მილებისა არაგვში გაუკეთონ, ან სადმე ზემო ავჭალას ზემოდ, თუგინდ მტკვარი გამოიყვანონ. მგონია მადლობაც უთხრან ამ ხარჯისათვის. მერე ასე უღვთოობა შეიძლება, რომა ძალათ მასვან ისეთი წყალი, რომელიცა მწყენს და უგემურობის გამო ვერ დამილევია. ხათაბალა გინახავთ და ამისთანა? გაგიგონიათ, რომ მტკვრიდგან წყალს იპარავდნენ?

მივდივართ ბათუმისაკენ. ცხელა ისეთნაირად, რომ თავს რეტი გვესხმის. მრავალი ხალხი დგას ტფილისის სადგურის დერეფანში. ყველას უჭირავს მსუბუქი ბარგი და არის მომზადებული, რომ ვინიცობაა ჩამოჰკრან ზარი, შურდულივით გაექანოს და ვაგონში იშოვოს ადგილი. კარგად იცის ყველამ, ყველანი გამოცდილნი არიან, რომ თუ ვაგონს გარეთ დარჩა ერთს წუთას, ადგილს ვერ იშოვნის, ან ისე გაუჭირებენ საქმეს, რომ თავბედი იწყევლოს და მამაპაპური ჩარდახიანი ურემი მოიგონოს. ასეა დერეფანში გაჭედილი ხალხი, ერთმანეთს ელაპარაკებიან, მაგრამ თვალყური კი ზარისა და ვაგონებისაკენ აქვთ. ვიდრე პირველს ზარს არ ჩამოჰკრვენ, ვაგონში შესვლა არავის შეუძლიან. ამ გაჭირვებაში და ჭირის ოფლის სხმაში რომ ვართ, ჩამოჰკრეს პირველი ზარი. ეს ამოდენა ხალხი, ქალი და კაცი, გაექანა ვაგონებისაკენ; გაიჭედნენ კარებში და ვერც ერთი ვერ შესულა, რადგანაც ერთიერთმანეთს უშლიან. ერთი წივილი და კივილი დგას ქალებისა, კვნესა და ოხვრა კაცებისა, ქოლგების რახა-რუხი, კალთების გლეჯა, ბავშვების დაწიოკება და სხვანი. სწორეთ მეორედ მოსვლა იყო. ვიფიქრე, რაზე იჭირვებენ საქმეს, ეს ვაგონები

გაჩერებულია, დგანან, არსაით მიეშურება და ეს ხალხი რაზე იკლავს თავსა-მეთქი?

როდესაც მეღირსა ვაგონში შესვლა, ვნახე, რომ ხალხი, ავეჯი, კალათები, ხურჯინები და ტომრები სულ ერთიერთმანეთზე ეყარა. შემეძლო კი გამობრუნება? ტყუილადა ვცდილობდი დაბრუნებას, რაც ვაგონებში ისხდნენ, ერთი იმოდენა ხალხი კარებიდგან გვაწვებოდა და შემოსვლასა სცდილობდა.

ვაგონი სელიოდკის ბოჭკად გადაიქცა; ჰაერი არსად იყო, სული შეგვიგუბდა; ხელთ საზიდავი ბარგი ფეხქვეშ ეყარა, ზოგი ზემოდგან სცვიოდა და იყო ერთი ჯოჯოხეთი; ზოგი ფეხზე იდგა, ზოგი იჯდა და კალთაში უჯდებოდნენ. როგორც იყო გამოვბრუნდი, დავსინჯე სხვა ვაგონები და იქ უარესი იყო. ავედი მეორე კლასის ვაგონში, ვიფიქრე, იქნება იქ ვიშოვნო-მეთქი ადგილი, მაგრამ იქ უარესი დამხვდა: ხალხით გატენილი მეორე კლასის ვაგონი, თბილი დაბამბული მებელი და საზარელი სიცხე. თითო ფანჯარაში ოროლს გაეყო თავი და ძლივსა სუნთქავდნენ; დანარჩენნი კი ისხდნენ, როგორც რუსულს აბანოში.

ღმერთმა გვიშველა და დაიძრა ჩვენი გემი. ღმერთმა ნუ ჰქნას ბებრის ბუქნა. გაჭირდა საქმე, შესასუნთქავ ჰაერს ფულითაც ვერ იშოვნიდი. ჩვენმა რკინის გზის მმართველებმა არ იციან, რომ რაც ჩრდილოეთის ქვეყნებში კარგი და გამოსადეგია, სამხრეთისაკენ ბევრჯელ მავნებელია. ჩრდილოეთის ცივს ქვეყანაში რაც ბევრი ხალხი ზის ვაგონში, მით უფრო თბილა და სასიამოვნოა. ჩვენში ღმერთმა აშოროს ყოველს ადამიანს ის ამბავი, რაც მე ვნახე და რაც გაჭირება გამოვცადე. გორამდის კი გავძელი და იქიდგან მესამე კლასის ვაგონში ვამჯობინე. იქ უფრო გრილოდა, თუმცა სხვადასხვა სურნელება აჭირებდა საქმეს.

რატომ ერთს ან ორს ვაგონს არ მოაბამთ მეტსაო, იძახდა ხალხი, მაგრამ კონდუქტორები

ბოხის ხმით და ცხვირაკრულები უპასუხებდნენ: კანონში არა სწერია და, ამას გარდა, სადგურებზედ ბევრი ხალხი გამოვა ვაგონებიდგან და ხალვათად იქნებითო, მაგრამ ეს არ გამართლდა, რაც დავშორდით ტფილისს, მით უფრო მოემატა მგზავრი და შეგვიგუბეს სული. რიონის სადგურს რომ მივატანეთ, ამ გაჭირებას კიდევ სხვაც დაემატა. არ ვიცი, საითგან გაჩნდნენ ვაგონებში ურიები ძალიან ბლომად და გააჩინეს ვაჭრობა. ამათ უფრო შეგვიგუბეს სული. ასე გასინჯეთ, "მაროჟნის" გამყიდველიც გაჩნდა. ერთის სიტყვით, იარმუკა გაიმართა ვაგონებში. ნეტავი ერთს ადგილას მაინც დამსხდარიყვნენ, დადიოდნენ ვაგონიდგან ვაგონში და გვიხახუნებდნენ ცხვირზე თავისს ფართალ-ფურთალსა, მყრალ ჩოხის კალთებს.

ამათი სენი შეჰყრიათ იმერლებსა, გურულებსა და მეგრელებსაც. არც ერთს კაცს არ შეეძლო ერთს ადგილას ჯდომა. დადიოდნენ ვაგონებში და გიყურებდნენ პირში, ალბად სიცხისაგან ჰქონდათ ტვინი შეხურებული და ეს აფოთინებდათ, მაგრამ არც ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რადგანაც მომეტებული ნაწილი ნაბდებითა და ყაბალახებით იყვნენ მობუდნულები. ერთის სიტყვით, ძალიან ცუდად არიან დაჩვეულები, ვაგონები ბულვარი ჰგონიათ.

ვიფიქრე, რომ რაც ქუთაისის არემარეს დავცდებოდით, შაღავათი მოგვეცემოდა, მაგრამ ძალიან შევცდი. იქ ურიებს დაჰქონდათ ვაგონებში მრავალი ფართალ-ფურთალი, და რაც ჩავივაკეთ და ბათუმისაკენ ვქენით პირი, საიდგანღაც გაჩნდნენ სხვანაირი, სოფლელი ურიები და სომხები. მესამე კლასის ვაგონებში ბინდისას შემოაპარეს მრავალი ბატი, ინდოური, ქათამი და, ასე გასინჯე, გოჭებიც და ღორებიც კი. ისეთი სუნი დააყენეს, რომ ღმერთმა ჩემი მტერი დაიხსნას ამისთანა სასჯელისაგან. გაჩნდა ჩხუბი, კონდუქტორები ერეკებიან და მექათმეები არ

მიდიან, მაგრამ როგორც შევატყე, ეს სულ თვალთმაქციობით იყო, განგებ ერეკებოდნენ და განგებ ჩხუბობდნენ, თორემ ნება რომ არა ჰქონოდათ, როგორ გაბედავდნენ, რომ ვაგონი საღორედ და საქათმედ გადაექციათ. ერთის სიტყვით, მრავლისაგან უმრავლესი უპატიურობა, ურიგობა და უგლიმობა არის, ჩემო თადეოზ, თქვენის მხრის რკინის გზაზე. ამას თავი დავანებოთ და მეორე მხარეს მივაპყრათ ყური. გადიხედავ იმერეთისაკენ, ბეჟათუბნიდგან დაწყებული ყვირილამდის უსუსური ბავშვებიც კი მიჩენილნი არიან, რომ მგზავრი მოატყუონ. პატარა ბიჭებს გამოაქვთ ბოყვებითა და კალათებით მარწყვი, ჟოლა, ოლანა და სხვ. ბოყვი ბალახით არის გატენილი და ზემოდგან ერთის თითის დადებაზე აყრია მარწყვი. მგზავრი ყიდულობს და ათ მარცვალს შესჭამს თუ არა, ჰხედავს, რომ ბალახის მეტი არა არის რა იმ ბოყვში, მაგრამ რას უზამ, ორთქლმფშვინავი მიგაქროლებს ფრინველივითა. ამ მოტყუებაში არიან წვრილი ბიჭბუჭები და ყოველ საძაგლობასა სწავლობენ. მართალია, თქვენის ქალაქის ვაჭრობაც მოტყუებაზეა დამყარებული, მაგრამ ვინ არის ამისი მადლიერი?

ბათუმისაკენ რომ ასეთი შესაწუხარია მგზავრობა ზაფხულში, მაშ ბაქოსაკენ რა უნდა იყოს, სადაც საშინელი ფიცხი ადგილები არის? მგონი ადამიანი მოიხარშოს.

მე ის მაკვირვებს, ჩემო თადეოზ, რომ რამდენი უსაქმური ხალხი ჰზის ხოლმე ყაბაღის ბაღში და აგრეთვე იარმუკის გარშემო დუქნების ბალკონებზე და ამ პაპანაქება სიცხეში მთელი დღე ჩაისა სმენ, გეგონება ამ უსაქმო ხალხს ხელმწიფისაგან პენსია აქვთ გაჩენილიო. ამთთვის არც საქმე გაუჩენია ღმერთსა და არც დარდი. ნეტავი მაცოდინა, რითი

სცხოვრობენ, ვინ არის ამათი შემნახავი? ღამის რაინდებს რომ ეძახიან, ესენი ხომ არ არიან.

გახსოვს უწინდელი პოლიცმეისტრები? ისინი მოჰკითხამდნენ ხოლმე, რა ხელობის ხალხი ხართო და სიზარმაცისათვის საითგანაც მოსულიყვნენ, იქით ისტუმრებდნენ. მაგრამ მაშინ სულ სხვა დრო იყო, მაშინ ცოტა ხალხი იყო და ამისთანა პაჟარა ხალხი ცხადადა სჩანდა. ეხლა კი ისე ირევა ხალხი, რომ მგონია პოლიცმეისტერსაც ვერ იცნობენ, არამცთუ პაჟარაები გამოარჩიონ. ახალი მოდა აი კიდევ რა ვნახე: მენახშირეები ქაღალდსა თამაშობენ, თუ არა გჯერა, ვარანცოვის ხიდს რომ გახვიდე, კუკიაში შებრუნდი ელისაბედის ქუჩაზე და მხარმარცხნივ ჰნახავ ნახშირის დუქანსა და თავით ფეხებამდის გამურული მენახშირეები ქაღალდს აწკაპუნებენ შენი მოწონებული. აი, სადამდის მივიდა ჩვენი, განათლება უნდა მეთქვა, არა, დაბნელება.

ქაღალდში რომ მენახშირემ წააგოს წვითა და დაგვით ნაშოვარი ფული, განა იმისი გამბეგვავი არა სცხონდება? აი აქედგან და მთელის დღის უსაქმურობისაგან წარმოსდგება ყოველი ავაზაკობა. ერთი, ვეჭობ, ამათაგანი კუკიის ეზოში შემოვიდა და სტოლზე გადასაფარებელი სუფრა დააფასა რვა მანეთად; ერთმა ქალმა ხუთი მანათი შეაძლია, დალალი განგებ მიტრიალ-მოტრიალდა, ვითომ იწყინა კიდეც, მაგრამ ბოლოს ხუთ მანათად მისცა. ერთი გამოცდილი კაცი შეესწრო იქა და უთხრა: რად მიეცი ხუთი მანათი, როდესაც მაგ სუფრას ოთხ მანათადაც კარგად მოგცემდაო. დალალი კიდევ შეფხუკუნდა, ხელიდგან გამოსტაცა სუფრა, კარებამდის მივიდა და მერე დაბრუნდა ისევ და ოთხ მანეთად მისცა. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მანათი და ათი შაური აეღო მეტი. ახლა ტფილისის მოქალაქეები იტყვიან, რომ ეს ვაჭრობა არისო.

მეორე შემთხვევა იმავე ეზოში. კინტუამ გაჰყიდა ასი კვერცხი და, როდესაც წავიდა და ხელახლად

გადათვალეს, აღმოჩნდა, რომ ოცი კვერცხი აკლდა. ხუთის დღის შემდეგ იმავე ეზოში საპოლიციოდ გახდა საქმე, რადგანაც ასის კვერცხის მაგიერად კინტომაც ოცდახუთ კვერცხ ნაკლები მიაჩეჩა. აი რა იცის ბალკონებზე ჩაის სმამა და შეუწყვეტელმა ქეიფმა. აქედგან სჩანს, რომ ვაჭრობის საძირკველი მოტყუება ყოფილა. რაცა ღირს მანათად, თუმნად უნდა დააფასონ; უცოდინარი კაცი ნახევარს მაინც მისცემს და ამნაირად შეიქმნება სოვდაგრად. განათლებული კაცი იტყვის: აი, ბარბაროსობის დრო მოსწონსო, რაც უნდა ითქვას, კარგია, როდესაც ცრუ და მატყუარა კაცს შიშით მაინც თავის დონეზე დააყენებ.

ამჟამად იმითი აშინებენ ვაჭრებს, რომ გაფუჭებულს ხილს წყალში გადაუყრიან ხოლმე, მაგრამ ვიდრე გაფუჭებულს ხილს წააწყდებიან, რამდენს შეჰყრის ზოგიერთი ბაყალი ციებ-ცხელებას. ყვითელის ჭერამით რო კაცი გაძღეს და ზედ ავჭალის წყალი დაასხას, მაშ რა მოუვა?!

ნეტავი შენა, თადეოზ, რომ არაფერს არ უგდებ ყურსა და არა გაწუხებს რა. რატილი რომ მღერის,

მიდუნებულმა ბუნებამ
თავი წაართვა ტკბილ ძილსო,

შენ არ შეგეხება. რამდენსა გწერ და ერთის წიგნის პასუხიც არ მომსვლია. უზიხარ წითელ ნუნუასა და წრუპავ უწინდებურად დარბაისლურად. ეხლა, თუ შეგიმჩნევია, სმის შნოც აღარა აქვს ჩვენ ქართველ ხალხს. არ ვიცი, გოგრა დაუსუსტდათ, თუ ღვინოს მიეცა ისეთი ძალა, რომ სმაში გიჟდებიან და ხანჯლებს ატრიალებენ. ამისი კი რა მოგახსენო, მაგრამ სადილი არ გათავდება ისე, მეჯლისი არ დაბოლოვდება, რომ გასულელებულმა რეგვენმა,

ფაშვები არავის გამოაყრევინოს და ლხინი არ წაამწაროს. ესეც ახალი მოდა არის, თორემ რა ღვთის რისხვაა. მშვენიერის ღვინისათვის თავი დაუნებებიათ და დუქანში, ვაი სირცხვილო, ვაი სიკვდილო! — სალდათებივით არაყსა სმენ. რაღა თავადიშვილობა ეთქმის ტურტლიანს დუქანში მსმელს! ოჰ, ღმერთო, რა დროებას მოვესწარით! ვაჭრობას თაკილობენ, მუშაობას არა კადრულობენ და დუქანში სმა და დათრობა კი მათს საკვეხურად მიაჩნიათ, ამისთანა გმირობასა და ვაჟკაცობაში ქართლში სურამია გათქმული. აი, თუ აქაც უწყლოდ არ მიირთმევენ ყმაწვილები, სწორეთ მოგახსენოთ, ჩემო თადეოზ, და ეს დიდი ჭკუის დაბნელებაა ჩვენის ხალხისა. ჭიანჭველას რომ ღმერთი გაუწყრება, ფრთებს გამოასხამსო. იმისი მაგიერად, რომ ღვინო და პური თავის ოჯახში შეირგონ, თავის ოჯახში ილხინონ, მიდიან დუქანში და... აბა, ჩამოასხი, ბიჭო! მედუქნეებსაც ეს უნდათ. ჭყაპ ღვინოს გაასაღებენ და შნოსაც მისცემენ თავადაზნაურთა პატივისცემით. მაგრამ რა წამალი აქვს ამისთანა რეგვენობასა და დუქნებში წოწიალს? ჩვენდა საუბედუროდ ისეთი დრო დადგა, ისეთი ჭკუის დაბნელება ჩამოვარდა, რომ უმცროს-უფროსობა აღარ არის; არც არავისი მორიდება აქვთ, არც არავისი რცხვენიანთ. უწინდელ დროში კეთილსინდისიანი თავადაზნაური დუქანს ახლოც არ მიეკარებოდა და სირცხვილად მიგვაჩნდა, დუქნის შემდეგ პატიოსანს ოჯახში აღარ მიგვესვლებოდა. ეხლა კი საკვეხურადაც არა ჰყოფნით. მერე, ვისაც მედუქნის ნდობა აქვს, დიდი ბუზი ჰგონია თავისი თავი...

მაგრამ რა არ იცვლება, ჩემო თადეოზ, ჩვენს თვალწინ. ზნე, ხასიათი, ჩვეულება ისე სისწრაფით

იცვლება, როგორც სისწრაფით დადის რკინის გზის მავალი. ადამიანს შერცხვება და მოერიდება დაცინვას, როდესაც გარეშემო ხალხი იცნობს, ნათესავი ჰყავს ან მოყვარე. ჰო, შეიძლება ამათი კიდევ მოერიდოს ადამიანს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ხალხი არეულია, არამც თუ ერთმანეთს ვერ იცნობენ, ერთი ერთმანეთისაც აღარა ესმით რა, რისი უნდა შერცხვეთ, და ვისი მორიდება უნდა ჰქონდეთ. შეხედავ, პატიოსანს მოხუცს კაცს ტანისამოსი თავისი აცვია და თავზე ჩალის შლიაპა ორგან თუ სამგან ჩამტვრეული აქვს; მეორეს ჰხედავ, აგრეთვე დარბაისელს დროულს კაცს, გრძელი ნაშურის ახაზეიდგან რუსული სამხედრო ღილებგახსნილი სერთუკი წითელის საყელოთი და თავზე ფაფანაკი, შეიძლება ამაზე უგლახესი რამე ქვეყანაზე? თუ არ დაიჯერებთ ამას, გაისეირნეთ ბათომისაკენა. ამისთანა მშვენიერად მორთულს დარბაისელს მოსდევს ლამაზი ყმაწვილი ქალი და კინკრიხოზე აძევს პატარა ევროპიული შლიაპა, ცოტა არ იყოს დაჭმუჭვნილი, და იძახის ხანდახან რაღაც „მაიამ-თვაიამ“, ვითომდა რუსული ზედმიწევნით იცის. ამათ ვაგონში უსხედან შორიახლო ორი ვაჭარი ქართული კაბებით და რუსულის ქუდებით და ერთი ეუბნება მეორეს: „ვა! ბათომში ვიყავი, პადოშვები კუპიტი ვქენი და ის ოხერი, სულ დამპალ-გნილოთ გამოდგა“. მეორე ეუბნება: “ვაზვრატიტი რატომ არ უყავი, მირავოი სუდში ჟალობას მივცემდი და ისპოლნიტელნის ლისტით კარს მივადგებოდი”. — „პაპა, კაკოი პარუსკი ანი გავარით“, ჰკითხავს გვერდშეჭყლეტილი შლიაპიანი ქალი ფაფანაკიან იმერელს...

როგორც ტანისამოსი, ისე ლაპარაკი და ხალხიც არეულ-დარეულია, ჩემო თადეოზ, ნეტავი შენ, რომ ესენი არაფერი გესმის.

[1890წ.]

<ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო>

I

ტფილისი, 1 ნოემბერი.

გაგონილა იმისთანა ამბები, რაც ქუთაისის ბანკის კრებაზე ისმის სიტყვით, თუ ბეჭდვითა? მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცველად იძულებულ გამხდარან გარედამ ყაზახები და პოლიციელები დაეყენებინათ და შიგნით ისეთი ალიაქოთი და არეულობა მოუხდენიათ, რომ კრებისა და საკუთარის თავის ღირსების პატივისმცემელთ საჭიროდ დაუნახავთ გარს შემორტყმოდნენ ბ-ნს თავმჯდომარეს კრებისას, გუბერნიის მარშალს თ. წერეთელს, რომ მის ხელშეუხებელ და საპატიო ღირსებას არავითარი უკადრისობა არ ეკადრებინათ. სახელი და მადლობა მათ, ვინც ასეთი გულმტკივნეულობა და მართებულობა გამოიჩინეს შესახებ გუბერნიის მარშალისა და სირცხვილი და ძაგება მათ, ვინც ბ-ნს თავმჯდომარეს კრებისას საამისოდ გაუხადეს საქმე. ამ უკანასკნელთა ქცევას რა სახელი დაერქვას, არ ვიცით. კაცი უყურებს ყოველს ამას და ჰკვირობს, — ეს სადა ვართ? რა საზოგადოებაა ის კრება, საცა შესაძლოა ამისთანა ამბების მოხდენა?

შეყრილან საქმეთა გასარჩევად, მართალის გამოსარკვევად და არარა წესს და რიგს კი არ დაგიდე-

ვენ. არც პატივისცემა თვითონ კრებისა, არც თავმჯდომარისა, არც თვითეულ ცალკე წევრისა, არც კანონისა, არც მართებულობისა და რიგიანობისა, არც თავის თავისა, ყველაფერი დავიწყებულია, ყველაფერი უარყოფილია და მარტო ჭვარტლმოკიდებული გული თვითნებობისა, ძალმომრეობისა ჰღაღადებს და ამღვრეულს საქმეს უფრო ამღვრევს, ჰრყვნის და აწბილებს. აუშვია აღვირი პირგახეულობას და არავის ნებას არ აძლევს სთქვას რამე, თვითონ კი ჰყვირის და ჰღრიალებს, „არ გვინდა, არ შეიძლება, ეხლავ კენჭი“, თითქო საგიჟეთიდამ ეს-ეს არის ეხლა გამოვარდნილა მარტო იმისათვის, რომ იყვიროს და იღრიალოს უთავბოლოდ. ვის სასარგებლოდაც ეს თავზე ხელაღებულობა დღეს ქუთაისის ბანკის კრებაში ასე კადნიერად და მოურიდებელად იბრძვის, იმას კარგი წამალი სცოდნია, რომ ზოგიერთთა მჭვარტლიან გულში ასეთი ცეცხლი აუნთია ყოველ სამარცხვინო გრძნობის ასაფეთქად და საფარფაშოდ. ნუთუ ამ გზით გამარჯვება გამარჯვებაა და არა სამარცხვინო ბოძზე გაკვრაა გამარჯვებულისა!

რას ჰფიქრობს ქუთაისის ბანკის საზოგადოება? რატომ არ იძიებს, რატომ არ იკითხავს, ვინ არის მიზეზი ამისთანა სათაკილო ამბებისა? განხეთქილება და დასთა ბრძოლა ამისებრ საქმეებში ყოველთვის არის და ყოფილა, ხოლო საქმის იქამდე მიყვანა, რომ საჭიროდ დანახულია გარს ყარაულები და პოლიციელები სიფრთხილისათვის შემორტყმოდეს, არასოდეს არ ყოფილა, და დღეს რად მოჰხდა ეს და ვინ არის მიზეზი ამისთანა წინდახედულ გაფრთხილების მოვლენისა? განა მარტო ამ მიზეზის გამოწვევა საკმაო საბუთი არ არის, რომ მისი მომავლინებელი სამარცხვინო ბოძზე გააკრას კაცმა და სამართლიანის გულისწყრომით უთხრას: “შორს ჩვენგან! შენ არა ხარ ხორცი ხორცისა ჩვენისა და ძვალი ძავლისა ჩვენისა. შენ ჰღალატობ საზოგადო საქმეს, შენ ჰგმობ და აუპატიურებ ჩვენს ღირსებას,

ჩვენს პატიოსნებას, გვარცხვენ შინაც და გარეთაც და ერთადერთს საზოგადო საქმეს ძირს უთხრი, პირქვე ამხობ და ჩვენვე გვწურთნი ცდუნებით და მოტყუებით ჩვენისავე ხელით ყელი გამოვიჭრათ. შორს, შორს ჩვენგან!"

ვინც ამ გაჭირებულს დღეს ამას იზამს, ვინც ამას არ ეტყვის დამნაშავეს და მით მამულიშვილურ ვაჟკაცობას არ გამოიჩენს, მან გასცეს პასუხი ქვეყანას, მომავალს, თავის თავს, თავის სახლობას და თავის ცოლ-შვილსა.

II

ტფილისი, 2 ნოემბერი.

დღე ისე არ გადის, რომ ახალი სამწუხარო და სავალალო ამბავი არ მოგვიტანოს ქუთაისიდამ. არ ვიცით, ეს რა დაჰმართნვიათ ქუთათელებს? რა ღვთის წყრომა სწვევიათ? რამდენსამე თავგასულს კაცს აუღიათ გონიერებასა და მართებულობაზე ხელი და ლამის მთელი საზოგადოება ერთმანეთს დაავჯახონ, ერთმანეთი გააქელვინონ, საქმეც დაჰღუპონ და თავიანთი თავიც ქვეყნის სამარცხვინოდ გაჰხადონ. შესაძლოა ყველგან ამისთანა ორიოდე თავგასულის არსებობა, მაგრამ საკვირველი ეს არის, სხვები როგორ აჰყოლიან, სხვები როგორ ამოსდგომიან მხარში, სხვები როგორ ჰთამაშობენ შუშპარს ამ თავგასულობის სტვირ-საკრავზე? ნუთუ აქ ყველაფერი ცხადი არ არის? ნუთუ ეს თავგასულები პირდაპირ არ სჩანან, და თუ სჩანან, როგორ არა ჰხედავენ ამათ ისინი, ვისაც თვალი აქვს ხედვად და ვინც ასე ბრმად მისცემიან ოინბაზობას თავგასულებისას, რომელთაც, როგორც ეტყობათ, ყველა სიკეთე საზოგადოებური, ყველა რიგი და წესი კაცადკაცური, ყველა მართებულობა უსირცხვილოდ გაუწირავთ, რომ ფიცი, თუ აღთქმა არ გაუტეხონ

თავის მბრძანებლებს და მით იმათს შეუწყნარებელს სამარცხვინო ჟინს ყურმოჭრილ ყმასავით ემსახურონ. ნუთუ არავის ეთაკილება ასეთი სათაკილო ყმობა, ასე ხელის აღება საკუთარის თავის ღირსებაზე, ასე თავის ხელითვე გაქელვა და წაწყმედა კაცურკაცობისა!

„არ შეიძლება, არ გვინდა ეხლავ კენჭი“, — აყვირებენ თავგასულები თავის მომხრეებს უთავბოლოდ, წინდაუხედავად. ისინიც ჰყვირიან და არავის აცლიან ლაპარაკსა, თითქო ეშინიანთ, რიგიანი და ჭკუადამჯდარი სიტყვა არავინა სთქვას და წინათვე განზრახული გეგმა მოქმედებისა, ფიცით შეკრული და შებოჭილი, არ ჩაგვიშალოს, არ ჩაგვიფუშოსო. ყველაზე მეტად საკვირველი ის არის, რომ მყვირალანი არ ჩაჰფიქრებიან და არ უკითხავთ თავის თავისათვის, ეს რომ ვყვირით სხვის ჩაძახილსა, რანი ვართ ამ შემთხვევაში? ვის სათამაშოდ და სამასხარაოდ გაგვიხდია თავი? ქვევრები ვართ, რომელთა რასაც ჩასძახებენ, ის უნდა ამოიძახონ, თუ ადამიანები, რომელთათვისაც ღმერთს გონება და ჭკუა მოუცია, რომ ათჯერ ჰზომოს და ერთხელ გამოსჭრას, ნამეტნავად იქ, საცა საზოგადო საქმეა, ყველასათვის ერთნაირად საზრუნავი და გულშესატკივარი.

ან რა არის ეხლანდელ საგანგებო კრებაში იმისთანა, რომ ასეთი გაწბილებული და ცეცხლმოკიდებული განხეთქილებაა ჩამოვარდნილი კრების წევრთა შორის? წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: საქმე მეტად უხვანჯო, მარტივი და სადაა. ზედამხედველ კომიტეტი ამბობს, რომ ბანკში არა მოხელის თვითნებობა არ უნდა იყოს შეწყნარებული და თვითნება კაცი, თუ მაინცდამაინც თავისას არ დაიშლის, უნდა განდევნილ იქმნას ბანკის მოხელეობიდამ. ნუთუ აქ შესაძლოა კაცმა ორი სხვადასხვა აზრი იქონიოს უამისოდ, რომ ჭკუა-გონებაზე განგებ ხელი არ აიღოს და სინიდისი არ

გააჩუმოს? ნუთუ თვითნებობაზე საცნობელი არ არის ის ამბავი, რომ თავმჯდომარემ გამგეობისამ არ დაანება კომიტეტს ვექილობის წერილები, რომელნიც თვითვე იცნა კუთვნილებად კომიტეტისა და მაინც გაჯიუტდა და არ დასთმო, თუმცა არა ერთხელ შეუთვალა კომიტეტმა, ნუ ჰნებულობ უარსაო. ნუთუ მომხრენი გამგეობის თავმჯდომარისა ეხლაც არა ჰხედვენ, რა ვაი-ვაგლახი მოსდევს ამ თვითნებობას?

დღევანდელი საგანგებო კრება, დღევანდელი წეწვა-გლეჯა, დღევანდელი საშინელი განსაცდელი, რომელსაც არ ვიცით, როგორ გადაურჩება ქუთაისის ბანკი, ეს ყარაულები და პოლიციელები ბანკის კრების სხდომაზედ, ეს ქვეყნის ყბად აღება, ეს ერთმანეთზე გადამტერება და თითქმის მუშტით წევა ერთმანეთზევე, სულ ამ წყეულ-შეჩვენებულ თვითნებობის შედეგია. თუ დღეს ასეა, როცა წინდახედულობა კომიტეტისა სათავეშივე, დასაწყისშივე ყელში მისწვდა მაგ თვითნებობას დედაბუდიანად განსაძევად, რაღას უნდა მოველოდეთ მაშინ, როცა იგი სამუდამოდ ფეხს მოიკიდებს ბანკში თვითნებობის მომხრეთა მოწყალებით. ღმერთმა გვიხსნას ამისთანა დღისაგან, და ჩვენ კიდევ გვჯერა, რომ მაღალი ზნეობა ქუთაისის ბანკის წევრთა თავს გამოიჩენს ეხლანდელ კრებაში და თავის სასახელოდ საქმის ამრევსა და გამრყვნელს თავის უტყუარს მსჯავრს დასდებს.

სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ამას დაუკვირდით და ვინც განგებ თვალს არ იბრმავებს და ყურთა სმენას არ იხშობს, გვითხარით, რა პასუხია გამგეობის თავმჯდომარის პასუხი თ. დ. მიქელაძის კითხვაზე? როცა კრების თავმჯდომარეს გამოუცხადებია, რომ ვექილობის წერილები ჯერ სულ არ არის შემოწმებული და კრება უნდა კვირისათვის გადიდოსო, რასაკვირველია, ურიგობისა და თვითნებობის მომხრეთა ყვირილი შეუქმნიათ: „არ გვინდა, შეუმოწმებლად იყოს, არ შეიძლება, ეხლავ

კენჭიო“. მაშინ თ. დ. მიქელაძეს უკითხავს გამგეობის თავმჯდომარისათვის, — თქვენი აზრი გვიბრძანეთ, შესაძლოა შეუმოწმებლად ვექილობის წერილებისა კენჭისყრაო, თუ არა? გამგეობის თავმჯდომარეს არ უღირსებია პირდაპირ თ. მიქელაძისათვის პასუხი და კრებისათვის კი მოუხსენებია ოქროს ფიცარზე ოქროთი დასაწერი სიტყვები: კანონით არ შეიძლება და მე კი, როგორც კალისტრატე ჩიკვაიძეს, მგონია, რომ შესაძლებელიაო*. როგორ? თუ კანონით შეუძლებელია, იმას, თუნდ როგოც კალისტრატე ჩიკვაიძეს, რად უნდა ეგონოს შესაძლებლად? რაო? განა ბ-ნი ჩიკვაიძე კანონზე უმაღლესად დააყენა ვინმემ? მისი „მგონიაობა“ აქ რა მოსატანია? საცა კანონია, იქ მგონიაობა, თუნდ ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძისა, შინ უნდა იჯდეს ხმაამოუღებლად. კიდეც ეგ არის, ბატონო, რომ კანონი ერთს ამბობს და თქვენ კი სხვა გგონიათ. ამის მეტს არას გიჩივის ზედამხედველი კომიტეტი და ამ შემთხვევაში ენამან თქვენმან გამხილათ თქვენ და ვისაც ყურნი აქვთ სმენად, ისმინონ.

ან რა პასუხია ასეთი ორპირი პასუხი? ვინც ეს გაიგონა კრებაში, გულში ნეტა არ იოცა — ეს ვისთან გვქონია საქმეო! კანონი ერთს ამბობს და მე კი სხვა მგონიაო, ამას ამბობს თავმჯდომარე ბანკის გამგეობისა საქვეყნოდ, ბანკის საზოგადო კრებაში, ბანკის საქმის თაობაზე! აქ რაღა სხვა ლარი და ხაზი უნდა სამართლიანი მსაჯავრის დასადგენად, როცა კაცი თვითონვე ამბობს; კანონი ერთს ამბობს და მე კი სხვა მგონიაო. აქ საქმე, რომლის გამოც დღეს ასეთი ალიაქოთია ატეხილი ქუთაისში, თავისთავად

---

* ძნელად დასაჯერია ამისთანა კუდიანი პასუხი, თუმცა სარწმუნო კორესპონდეტისაგან არის მოწვდილი. მაინცდამაინც ამის პასუხისგება თვით კორესპონდენტისათვის გვიკისრებია.

ჰლაპარაკობს, თავისთავად ჰღაღადებს გამგეობის თავმჯდომარის ბაგითა. მარტო ბრმანი და ყრუნი თუ იტყვიან, არა ვხედავთ, არ გვესმისო.

[1890წ]

ტექსტისათვის

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის XI ტომში მოთავსებულია 1889-1890 წ. წ. გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები საქართველოზე, მის ისტორიასა და კულტურაზე, მსოფლიო პოლიტიკაზე, სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე და გამოკვეთილად ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობაზე.

სტატიების უმრავლესობა იბეჭდებოდა მეთაურ წერილებად უსათაუროდ და ხელმოუწერლად. წერილების ნაწილი ცნობილი იყო, როგორც ილიას ნაღვაწი და წლების განმავლობაში ისტამბებოდა კიდეც წინა გამოცემებში, მაგრამ ბევრი მათგანი კვლავ მოითხოვდა მუშაობის გაგრძელებას მათი ავტორობის დასადგენად. ამ მიმართულებით არა ერთი მკვლევარი მუშაობდა და თვალსაჩინო შედეგსაც მიაღწიეს. მკვლევარებმა პ. ინგოროყვამ, თ მაჭავარიანმა, პლ. კეშელავამ, ალ. კალანდაძემ, შ. გოზალიშვილმა, ნ. შალუტაშვილმა, ნ. ტაბიძემ, ლ. ჭრელაშვილმა და სხვ. მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ჩვენი წარმოდგენა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაზე. ეს მუშაობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა მწერლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემის მომზადება. ახალი საარქივო მასალების გამოვლენამ, ხელნაწერი კრებულებისა და ავტორისდროინდელი გამოცემების შესწავლამ, შესაძლებელი გახადა საბოლოოდ დადგენილიყო ი. ჭავჭავაძის იმ

წერილების ატრიბუციის საკითხი, რომლებიც ხელმოუწერლად ან ფსევდონიმებით ქვეყნდებოდა გაზ. „ივერიასა“ და „დროებაში“.

ამ საკითხების გარკვევასა და დაზუსტებაში დიდი წვლილი მიუძღვის ლევან ჭრელაშვილს, რომელმაც ზემოაღნიშნულ პრობლემას რამდენიმე წერილი მიუძღვნა*.

ახლად მიკვლეულ მასალებზე დაყრდნობით, მკვლევარმა შეადგინა გაზ. „ივერიასა“ და „დროებაში“ ი. ჭავჭავაძის მიერ ხელმოუწერლად დაბეჭდილი წერილების ბიბლიოგრაფია, რის შედეგადაც ილიას პუბლიცისტური წერილების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა, მან რამდენიმე ტომი შეადგინა. ლ. ჭრელაშვილმა ახლად მოპოვებული საბუთებით დაამტკიცა, რომ მწერალი უშუალოდ მონაწილეობდა თავისი წერილების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან გადმოწერაში, რაც საფუძვლად უნდა დადებოდა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაშრომების გამოცემას.

ჩვენს ტომში ბევრი რამ შესწორდა უკანასკნელი წლების გამოცემებთან შედარებით. პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის გამოცემებში ზოგან სიტყვა იყო გამოტოვებული, ზოგან მთელი წინადადება შეცვლილი ან გამოტოვებული. წინამდებარე ტომში ყველაფერი აღდგა ისე, როგორც ავტორისეულ ტექსტშია.

ძირითად წყაროდ აღებულია გაზ. „ივერიის“ ტექსტი. იგი შეჯერებულია ყველა ნაბეჭდ წყაროსთან, გათვალისწინებულია ავტორის ბოლო ნება და აღდგენილია მწერლის მართლწერა. ჩასწორდა მხოლოდ პუნქტუაცია და კომპოზიტთა

---

* იხ. „ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ატრიბუციისა და გამოცემის ისტორიის საკითხები“ (ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტ-ის სერია, 1981, №2-3).

დაწერილობა, დანარჩენი სიტყვათა ფორმები უცვლელად არის დატოვებული, გარდა ერთისა: „აქეთ“-ს ვწერთ ნაცვლად ავტორისეული ფორმისა „აქედ“ (ეს გაკეთდა სარედაქციო კოლეგიის დადგენილებით).

იმის გამო რომ მოწინავე წერილების უმრავლესობა უსათაურია, სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ისინი დასათაურდა შინაარსის მიხედვით (პ. ინგოროყვას მიერ მიცემულ სათაურებს უცვლელად ვტოვებთ). ეს სათაურები მოთავსდა ისრისებრ ფრჩხილებში.

წერილები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხელმოუწერელია და უთარიღო. ამიტომ პასპორტში თარიღისა თუ ხელმოწერის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაშია მითითება, როცა იგი ავტორისეულია. ავტორისეული თარიღი ტექსტში რჩება, ჩვენს მიერ მიცემული კი, რომელიც ეყრდნობა პირველ პუბლიკაციას და ზოგჯერ კვლევა-ძიებითაა დაზუსტებული, მოთავსებულია ოთხკუთხოვან ფრჩხილებში წერილის ბოლოს.

სამეცნიერო აპარატში, პასპორტისა და შენიშვნების შემდეგ, წერილებს, რომელთა ტექსტის გაგება ამას მოითხოვს, ერთვის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კომენტარები, ტექსტის გვერდისა და სტრიქონის მითითებით.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი კრებულები პასპორტში არნიშნულია U-ლიტერით. გაზ. „ივერიაში“ 1889წ. დაბეჭდილი რიგი წერილების ატრიბუციასა და დათარიღებაზე ლ. ჭრელაშვილი მუშაობდა:

<საგლეხო ბანკის საკითხისათვის>-1889წ. იანვარი,
ამბავი ყბადასაღები და წყალწასაღები-1889წ. იანვარი,
ფელეტონი „სახელდახელო, სახელდახელო დეპეშა“ (ყბადასაღები და წყალწასაღები)-1889წ. მაისი,

„აი ისტორია“-1889წ. აპრ.-ივლისი,
„წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე“-1889წ. აპრ.
„წიგნი გადაღმიდგან“-1889წ. დეკემბერი.

1889წ. იანვარ-ოქტომბერში დაწერილი წერილების ტექსტი მოამზადა მაია ნინიძემ, ხოლო 1889წ. ოქტომბრიდან 1890წ. ნოემბერში გამოქვეყნებული წერილების ტექსტი – ლამარა შავგულიძემ.

საძიებლები მოამზადეს ლ. შავგულიძემ და მ. ნინიძემ.

ტომში სულ 91 წერილია, აქედან პირველად გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდვის შემდეგ, 57 წერილი ქვეყნდება.

შენიშვნები

და კომენტარები

<საგლეხო ბანკის საკითხისათვის> (გვ.9)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, კ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ილია ჭავჭავაძის ფონდი, S-5168-ბ, გვ. 624. 631.

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 10 იანვარი, №6,7,8.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ. იგი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა. შენიშვნაში ვკითხულობთ: "შვიდი წერილი 1889 წლისა (სახელდობრ წერილები 4, 9, 13, 15, 33, 40) აღნიშნულია ინიციალებით გაზ. "ივერიის" სარედაქციო კომპლექტში 1889 წლისა № 265 (ბ)... ეს შვიდი წერილი არაა შეტანილი ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობის მიერ წარსულ საუკუნეში გამოსაცემად დამზადებულ კრებულში, რადგან ამ კრებულებში საერთოდ არაა შეტანილი ილია ნაწერები 1888 წლის შემდგომი დროისა" (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, 1956წ. ტ. VII, გვ. 511-512.).

პ. ინგოროყვას მიერ დასახელებული შვიდი წერილიდან №40 არის "საგლეხო ბანკის საკითხისათვის" (ტფილისი, 9 იანვარი). მკვლევრის ცნობა დაზუსტებას მოითხოვს: მითითებული კრებული, როგორც ახლა გავარკვიეთ შეადგინა არა ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობამ, არამედ 1885 წელს ილიასთან ხელშეკრულებით ვარლამ ჭილაძემ პელაგია წულუკიძეს ამოაწერინა ეს წერილები. ხელნაწერი კრებული S-5168-ბ გვიჩვენებს, რომ სწორი არ არის თითქოს "ამ კრებულებში საერთოდ არაა შეტანილი ილია ნაწერები 1888 წლის შედგომი დროისა". დასახელებულ კრებულში შეტანილია გაზ. "ივერიის" სხვა წლების "მოწინავეებთან ერთად 1889 წლის ნაწერებიც. საგანგებოდ ამოწერილია 1889 წელს "ივერიის" სხვადასხვა ნომრებში დაბეჭდილი "სფირიდონ ჩიტორელიძის" ხელმოწერით სამი წერილი და შემდეგ დაუწყიათ "მოწინავეების" ამოწერა. კრებულის

შემდგენლებს ამოწერილი აქვთ "ტფილისი, 9 იანვარი" და აქ შეჩერებულან."

ამრიგად, ეს ნაწარმოები ი. ჭავჭავაძის თხზულებათა წინამდებარე გამოცემაში შეგვაქვს ორი ცნობის საფუძველზე: ა) მას ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების "ივერიის" კომპლექტში ქვეშ მიწერილი აქვს ილიას ინიციალი "ი". ბ) ვარლამ ჭილაძის მიერ იგი შეტანილია ავტორთან ხელშეკრულებით შედგენილ მწერლის თხზულებათა ხელნაწერ კრებულში.

"ჩვენ, რაც შეგვიძლია, ვაუწყეთ ჩვენს მკითხველს უმთავრესნი საფუძვლნი სახელმწიფო-სათავადაზნაურო ბანკისა, რომელიც დღეს არა, ხვალე ეღირსება ჩვენს ქვეყანას" – ავტორს მხედველობაში აქვს "გაზ. "ივერიაში" 1888 წელს გამოქვეყნებული წერილები (№271, №273, №274), რომლებიც გაზეთის ხელმოუწერელი "მოწინავეებია". პირველი წერილის დასაწყისში ნათქვამია: "სახელმწიფო-სათავადაზნაურო და საგლეხო ბანკები დღეს არა, ხვალ დაარსებულ იქმნება ჩვენში. ამიტომაც მეტი არ იქნება ვაცოდინოთ ჩვენს მკითხველს უმთავრესნი საფუძვლნი ამ ბანკებისა იმ მხრით, თუ რით განსხვავდებიან ჩვენის სათავადაზნაურო ბანკებისაგან, რა უპირატესობა მიუძღვით და რა შეღავათს იძლევიან. დავიწყოთ ჯერ სახელმწიფო-სათავადაზნაურო ბანკებიდამ" ("ივერია", 1888წ., №271).

ამ წერილთან დაკავშირებით მტკიცდება: ა) "ტფილისი, 9 იანვარი" და წინა წლის დასახელებულ ნომრებში დაბეჭდილი "მოწინავეები" ერთ ავტორს ეკუთვნის; წინა წერილში გვეუბნება: "დავიწყოთ ჯერ სახელმწიფო-სათავადაზნაურო ბანკებიდამ" და შემდეგ გვპირდება "საგლეხო ბანკის შესახებ" დაწერას, რაც ამ წერილშია მოცემული. ბ) "ტფილისი, 9 იანვრის" ქვეშ ილიას თავისი ინიციალი მიუწერია. ცხადია ეს იმაზე მიუთითებს, რომ წინა წერილებიც ილია ჭავჭავაძისაა. ყოველივე ეს დამატებით ადასტურებს ჩვენს მიერ გაკეთებულ დასკვნას, რომ "ივერიის" ყველა ხელმოუწერელი "მოწინავე" ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის.

<მილიტარობა ევროპაში> (გვ.21)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 17 იანვარი, №11.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ. ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ცალზე, ბოლოში ფანქრით მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". ამ ცნობის საფუძველზე იგი ი. ჭავჭავაძის თხზულებებში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, 1957წ., ტომი IX, გვ. 320).

ამბავი ყბადასაღები და წყალწასაღები (გვ.24)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 19 იანვარი, №3.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: ივერიელი

პამფლეტი "ამბავი ყბადასაღები და წყალწასაღები", "ივერიელის" ფევდონიმით რომ ილიას ეკუთვნის, წერს პ. ინგოროყვა, – ეს დაამოწმა "ივერიის" თანამშრომელმა არტემ ახნაზარმა; ჩვენს შეკითვაზე პატივცემულმა არტემ ახნაზარმა გადმოგვცა, რომ იგი აწარმოებდა გაზ. "ივერიაში" ფელეტონების განყოფილებას და კერძოდ ეს პამფლეტი ილიამ მის "ივერიაში" ყოფნის დროს დასწერა და კორექტურაც მასთან გაასწორა". ((იხ. ი. ჭავჭავაძე, სრული კრებული, 1928, ტ. IX, გვ. 398.).

პ. ინგოროყვას მიერ მოწოდებული არტემ ახნაზაროვის ცნობა დოკუმენტურადაც დასტურდება. გაზ. "ივერიაში" "ამბავი ყბადასაღები და წყალწასაღების" გამოქვეყნების შემდეგ, გაზ. "თეატრმა"(1889წ., №8) მოათავსა მეტყველი კარიკატურა. ილიას ჩვეულებრივ უწოდებდნენ ქართული მწერლობის ლომს; კერძოდ, "ამბავით..." იგი მართლაც ლომივით დაატყდა თავს კარიკატურაზე გამოსახულ "ვანოს" და "კეზელს",

რომლებიც ორთავიანი ქვეწარმავლის სახით არიან დახატულნი. ამდენად, გაზ. "თეატრის" კარიკატურა ადასტურებს ნ. ახნაზარის ცნობა, რომ "ივერიელი" ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმია და, ცხადია, "ამბავი ყბადასაღები და წყალწასაღები" მის კალამს ეკუთვნის. თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლოგრაფიაშიც" არის შესული ეს წერილი (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ., №2).

"ქვეყანაზე არსებობს "Тифлисский листок"-ი... დედაბოძი ამ წრიპინა გაზეთისა ვიღაც ტირაცუა ვანუაა – ეს გაზეთ "Тифлисский листок"-ის რედაქტორი ივანე ხეჩატუროვის ფსევდონიმია. იგი წერილში გახსნილია თვით ივანეს ცნობის საფუძვლზე: "ამ 12 იანვარს листок-ში, – წერს ი. ჭავჭავაძე, – ტირაცუა ვანუა აღარა სჩანს. თურმე ნუ იტყვით, ის, ვისაც ჩვენ ტირაცუა ვანუას ვეძახდით, ივანე ხეჩატუროვი მრძანებულა".(გვ. 23).

"ტირაცუა ვანუამ 31 დეკემბრის ნომერში რაღაც დაბღაჯნა, ვითარცა ვითომდა журналистма обличителъ-მა"– ი. ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს აღნიშნული რიცხვის გაზეთში დაბეჭდილი "Маленъкая хроника" , სადაც სასაცილოდ არის აგდებული წინამძღვრიანთკარის სასარგებლოდ ქართული დასის მიერ ქველმოქმედების მიზნით გამართული წარმოდგენა.

"ვერ დაინახავს უტვინო თავისას, ვერცა სხვისასაო"– ამოღებულია "ქილილა და დამანადან" (იხ. ილია ჭავჭავაძის "საანდაზო ლექსები", ი. გრიშაშვილის გამოცემა, 1936წ., გვ.67)* ""Новое Обозрение"-ს სანათლისღებო ნომერშია ზოილის ხსენებული სტატია"–

---

* ი. გრიშაშვილს პეტრე უმიკაშვილის ცნობის მიხედვით, დამტკიცებული აქვს, რომ "საანდაზო ლექსები" ილიას ნაშრომია. ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ ამ ნაშრომის ნაწილის ავტოგრაფი მოიპოვება კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდში. (ლ. ჭ.).

ილიას მხედველობაში აქვს გაზ. “Новое Обозрение”-ში დ. კეზელის მიერ დაბეჭდილი წერილი “Зигзаги”(№1740).

“ბებერსა, სასძლოდ მორთულსა, უფრთხილდი, მოერიდეო”– ამოღებულია “ქილილა და დამანადან” (იხ. ილიას “საანდაზო ლექსები”, დასახელებული გამოცემა, გვ.42).

“რაგინდ რომ ქერქი შეიძროს, გველი ეგრეთვე გველია”– ამოღებულია “ქილილა და დამანადან” (იხ. “საანდაზო ლექსების”, დასახელებული გამოცემა, გვ.118).

“დიდი სიბრძეა კაცისა, ცნობა თავისის თავისა”– არჩილ მეფის ბრძნული გამოთქმა, რომელიც სხვა მწერალთა ბრძნულ გამოთქვებთან ერთად ილია ჭავჭავაძემ შეიტანა მის მიერ წლების განმავლობაში შედგენილ “დამაკვირდი”-ში. იგი იბეჭდებოდა გაზ. “ივერიაში” სხვადასხვა დროს. ჩვენს დროში ერთ წიგნად გამოსცა ალ. სიგუამ (იხ. “დამაკვირდი”, 1965წ.).

<ბულანჟე ამოირჩია პარიჟმა> (გვ.40)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 19 იანვარი, №14, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ცალზე ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი “ი”. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კებულში პირველად იბეჭდება.

<რა არის სიდიდრე ერისა?> (გვ.44)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 22 იანვარი, №16, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ცალზე ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი "ი". თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება. აღნიშნული წერილი "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" შეტანილი აქვთ თ. სახოკიას და თ. მაჭავარიანს (იხ. თ. სახოკიას "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია", ჟურნ. "მაცნე", 1981წ., №2. "ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია" ტ.III, ნაკ. გვ.).

<"სამთა კავშირს" ფესვები აწყდება> (გვ.48)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 23 იანვარი, №17, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენს მიერ. ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ცალზე მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი "ი".

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<ავსტრი-ვენგრიის ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება> (გვ.52)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 26 იანვარი, №20, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<პრესა და პირადობა> (გვ.56)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 28 იანვარი, №21, გვ.1.

სათაური ეკუთვნის პ. ინგოროყვას ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულში ათ ტომად (1957წ.). წერილი VIII ტ-ია.

<მამულების გამიჯვნა> (გვ.62)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 29 იანვარი, №22, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება> (გვ.66)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 4 თებერვალი, №26, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.
წ.კ.გ.ს ცალზე ფანქრით მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად მოათავსა პავლე ინგოროყვამ, უფრო ადრე კი "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" იგი თ. სახოკიამ შეიტანა*.

---

* იხ. ლ. ჭრელაშვილი "ი. ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის უცნობი აღწერილობა და მწერლის ნაწერების ატრიბუცია", ჟურნ. "მაცნე", 1987წ, №3.

<მცენარეთა შენაცვლების საკითხი მეფენახეობაში> (გვ.72)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 10 თებერვალი, №31, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ. წ.კ.გ.ს ცალზე ფანქრით მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". მწერლის თხზულებათა კრებულში იგი პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა (ტ. VII, 1956წ.), უფრო ადრე კი თ. სახოკიამ "ი. ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

"ბ-ნ სვიმონ ვეზიროვის წერილი შესახებ ვაზის ავადმყოფობისა, რომელიც ამ დღეებში დაბეჭდილი იყო "ივერიაში". მეტად შესანიშნავი წერილია"– იგულისხმება "ივერიის" №28, №29 დაბეჭდილი წერილები.

<საადგილმამაულო გადასახადის გაწერის კომიტეტის დადგენილება ტფილისის გუბერნიაში> (გვ.76)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 11 თებერვალი, №32, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ. თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

დესეტინა – ძველებური მიწის საზომი ერთეული რუსეთში, უდრის 1.09 ჰექტარს; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

<ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ>
(გვ.79)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 12 თებერვალი, №33, გვ.1.

სათაური ეკუთვნის პ. ინგოროყვას. წ.კ.გ.ს ცალზე ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". თხზულებათა გამოცემაში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა (ტ. IX, 1958წ.), უფრო ადრე – თ. სახოკიამ "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

"საფრანგეთში თავი იჩინა ბულანჟობამ"– ბულანჟეს (იხ. გვ...) მსგავსი მოქმედება, რაც გამოიხატებოდა პოლიტიკური ორპირობით. საფრანგეთში იგი აშკარად გამოდიოდა ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად, ფარულად კი დაკავშირებული იყო მონარქისტებთან.

<პროცესი მკურნალთა შორის>(გვ.83)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 15 თებერვალი, №37, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ცალზე ფანქრით მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო>
(გვ.87)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 21 თებერვალი, №38, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

წერილი შეტანილია ილიას ნაწარმოებთა კრებულში, რომელიც მწერალთან ხელშეკრულებით, XIX ს. 80-იან წლებში ვ. ჭილაძის მიერ არის შედგენილი (S-5168). მას დასმული აქვს ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". აგრეთვე ეს ინიციალი უზის წ.კ.გ.ს. ცალს.

ეს "მოწინავე" "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" 1917-1921წ.წ. შეიტანა თ სახოკიამ, ხოლო მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში 1955წ. ტ. IV – პავლე ინგოროყვამ.

<"სამთა კავშირის" ბატონობის დასუსტება ევროპაში> (გვ.90)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 22 თებერვალი, №39, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

"...სამინისტროს დღეგრძელობას არავინ უქადის... დიდი საქმე იქნებაო...თუ... თავი დაიჭირა... საქვეყნოდ გამოფენის გათავებამდეო"– იგულისხმება VIII მსოფლიო გამოფენა, რომელიც ჩატარდა პარიზში, 1889წ. სექტ-ში.

<გლეხკაცთა უნუგეშო ყოფა-ცხოვრება> (გვ.95)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 23 თებერვალი, №40, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ცალზე მოწინავე სტატიის ბოლოში ფანქრით მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". იგი გამოავლინა თ მაჭავარიანმა და ილიას სახელზე შეიტანა "ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის" ტომში. უფრო ადრე წერილი "ილია

ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" შეტანილ ჰქონდა თ. სახოკიას (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

"მოცადს საქონელზედ". მოცადი – მოზარდი ან ზრდადასრულებული არასამუშაო საქონელია.

<ტფილისში ჯანმრთელობისა და სანიტარული საქმის ვითარება> (გვ.100)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 22თებერვალი, №41, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო> (გვ.103)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 25 თებერვალი, №42, გვ.1

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ბოლოში ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1958წ. ტ.IX); უფრო ადრე "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" შეტანილი ჰქონდა თ. სახოკიას (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

<ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი> (გვ.108)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 26 თებერვალი, №43, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ბოლოში ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა (1958წ. ტ.IX); უფრო ადრე იგი თ. სახოკიას შეტანილი ჰქონდა "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

<ყაზახის აშინოვის ამბავი> (გვ.111)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 27 თებერვალი, №45, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ბოლოში ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<ქალთა სასწავლებელი> (გვ.114)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 7 მარტი, №49, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ბოლოში ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა (1955წ. ტ.IV), სახელწოდებით "ქალთა სასწავლებელი", ხოლო იმავე გამოცემის IX ტომში – სახელწოდებით "დედათა საქმის გამო". უფრო ადრე თ. სახოკიამ ეს ნაწარმოები შეიტანა "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია-ში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

<ბულანჟეს ხმაური საფრანგეთში> (გვ.118)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 8 მარტი, №50, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ი. ჭავჭავაძის ინიციალია მიწერილი – "ი".

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

"თუ გუშინდელი დეპეშა მართალია... ბულანჟეს ის უთქვამს, რასაც დეპეშა გვაუწყებს"– იგულისხმება გაზეთ "ივერიის" 1889წ. №49-ში გამოქვეყნებული დეპეშა პარიზიდან, რომელიც იუწყებოდა ქ. ტურში გამართულ ბანკეტზე და ბულანჟეს მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე: "ჩემს დასს ჰსურს მხოლოდ რესპუბლიკა, მხოლოდ ისეთი რესპუბლიკა კი, რომელსაც ძლიერი მთავრობა ჰყავდეს, მთავრობა მზრუნველი საერო კეთილდღეობისა და შემწყნარებელი თითოეულის სარწმუნოებისა".

"ალჩუ დაუჯდა", სათამაშო კოჭის მომგებიანად დაჯდომა. საქმის კარგად წასვლა.

<კრება საადგილმამულო გადასახადის გაწერის თაობაზე> (გვ.121)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 7 მარტი, №51. გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

ამ თემაზე იხ. აქვე წერილი "საადგილმამულო გადასახადის გაწერის კომიტეტის დადგენილება ტფილისის გუბერნიაში". გვ.

<ბათომის მიწათმფლობელობის საქმე>
(გვ.125)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 12 მარტი, №55, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".
თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<საკუთრების საქმე ბათომში>(გვ.128)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 13 მარტი, №56, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე სტატიის ბოლოს მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".
თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.
"ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს... აზრი წარუდგენია"– მაშინ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი იყო გენერალ-მაიორი ალექსანდრე ეგნატეს ძე გროსმანი.
"მთავარმართებელი"– იგულისხმება დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1820-1890წ.წ.) 1882-1890 წ.წ. კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.

<მორწყვის საქმე წინათ და ეხლა> (გვ.135)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 21 მარტი, №61, გვ.1.

სათაური ეკუთვნის პ. ინგოროყვას.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1956წ. ტ.VII), უფრო ადრე "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" შეიტანა თ. სახოკიამ (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

აი ისტორია (გვ.139)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, კ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ილია ჭავჭავაძის ფონდი, №(S-5170).

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 2 აპრ, №71; 15-16; 22; 29-30 აპრ. №778; 89-90; 23 მაისი №106; 7-9 ივნისი №116-118; 23 ივნისი №130; 29 ივლისი № 159.

"აი ისტორია" გაზ "ივერიაში" ხელმოუწერლად გამოქვეყნდა წერილების სერიის სახით, სულ თორმეტი წერილი დაიბეჭდა. იგი ი. ჭავჭავაძის სახელით პირველად გამოქვეყნდა 1909 წელს; ჩანს, ამ გამოცემის დედანია არსებული ხელნაწერი ასლიც, რადგან ატყვია სტამბაში ყოფნის კვალი. "აი ისტორია" რომ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები იყო, იცოდნენ მწერლის თანამედროვეებმა, რომელთაც ავტორის გარდაცვალებისთანავე ცალკე წიგნად გამოსცეს იგი. ილიას თხზულებათა სრულ კრებულში "აი ისტორია" პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1955წ., ტ.IV). ეს ნაწარმოები, რასაკვირველია, შეტანილია ყველა სხვა ბიბლიოგრაფიაში, მათ შორის თ. სახოკიას "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ნუსხაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

პ. ინგოროყვა შენიშნავს, რომ "Писма о Грузии", რომელმაც გამოიწვია ილიას ეს წერილები, დაიბეჭდა პეტერბურგის ჟურნალში "Северный Вестник" 1889 წლის თებერვლისა და მარტის ნომრებში №2,№3. "Пис-

ма о Грузии" ხელმოწერილია ინიციალებით "Н.Д." ეს იყო ივანე ჯაბადარი. იგი მონაწილე იყო რუსეთის ხალხოსნური (ნაროდნიკული) მოძრაობისა; 70-იან წლებში ივ. ჯაბადარი შედიოდა რუსეთის ხალხოსანთა ორგანიზაციაში, სადაც მასთან ერთად მუშაობდნენ სხვა ქართველი რევოლუციონერები: გიორგი ზდანოვიჩი, ალექსანდრე ციციშვილი და სხვ. ამ ორგანიზაციას მთავრობამ 1875 წ. მიაგნო და მეთაურები, მათ შორის ი. ჯაბადარიც, დააპატიმრეს. 1877 წ. ისინი გაასამართლეს (ე.წ. 50-ის პროცესი). ი. ჯაბადარი სხვებთან ერთად ათი წლით გადაასახლეს ციმბირში. "Писма о Грузии" მან გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა. "აი ისტორიის" პირველი ხუთი წერილის შემდეგ კი "Новое Обозрение"-ს №1847,1850-ში დაიბეჭდა ჯაბადარის ახალი სტატია "Открытое послание Иверийцам", რომლის პასუხი "გზა და გზა და სხვათა შორის" ილიამ მაშინვე გამოაქვეყნა "ივერიის" №105-ში. ჩვენს ტომში იგი "აი ისტორიის" ციკლის შემდეგ იბეჭდება. "Новое Обозрение"-ს გამოძახილი ჩანს "აი ისტორიის" მე-7 წერილშიც. ვფიქრობთ მეორე წერილი მეშვიდე ნომრით, რომელიც ჩვენთან დამატებით წერილებში იბეჭდება, ავტორს ადრევე ჰქონდა დაწერილი და ჯაბადარის ახალი პუბლიკაციის გამო შეცვალა. მე-7 წერილში, რომელიც ძირითად ციკლშია "Новое Обозрение"-ს პუბლიკაცია ნახსენებია, დამატებით მე-7 წერილიში კი – არა.

დამატება წერილებისა "აი ისტორია"
წერილი მეშვიდე (გვ.274)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი, კ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ილიას ფონდი №(S-5029).

სათაურით "დამატება წერილებისა "აი ისტორია" პ. ინგოროყვამ პირველად შეიტანა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში ორი წერილი: წერილი მეშვიდე

და წერილი მეთოთხმეტე (1955წ. IVტ.), "წერილი მეშვიდე", როგორც ჩანს, ავტორს აღარ გამოუქვეყნებია. "აი ისტორიაში" არის იგივე სათაურით გამოქვეყნებული წერილი. ცხადია, რომ ილია უფრო საჭიროდ გამოქვეყნებული წერილის დაბეჭდვა მიუჩნევია. ამ წერილის დაბეჭდვა კი შემდეგისთვის გადაუდია.

"უმსგავსო და შორი-შორსა" იხ. "ვეფხისტყაოსანი" მე-15 სტრ. საგულისხმოა ტაეპის გაგრძელება:

"განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: "ჩემი სჯობსო" უცილობლობს ვითა ჯორი."

"ამ ამბებს შორის ჰთაბაუთობს ასი ... წელიწადიცა"

"თაბაუთი" ნიშნავს "ანგარიშს" ქიზიყურ დიალექტში და ალბათ ამ კონტექსტში იგულისხმება "იანგარიშება".

"ჩაილულის წყალს ასმევს" ნიშნავს აქრობს, ივიწყებს.

"ენა დაშვრების, ყურნიცა მსმენლისა დავალდებიან." რუსთაველთან არის ოდნავ განსხვავებულად: "ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან". სტრ. 21

"იქამდე "დარდაკია", რომ ... ვერ გაუგია".

დარდაკი ქიზიყურ დიალექტზე "თავცარიელს", "ყეყეჩს" ნიშნავს.

"აშას კვრა" – უარის თქმა.

"გაზანდრის ადლით". შესაძლოა მოდიოდეს კახური დიალექტის "გაზამბარება"-დან, რაც გაზვიადებას ნიშნავს.

"კარგი რამ სჭირდეს, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია", "ვეფხისტყაოსნის" 1166-ე სტრ.

ანთროპოფაგია – კაციჭამიობა.

"ზოგჯერ სიწყნარე გმობილ სჯობს სიჩქარესა ქებულსა". არის "ვეფხისტყაოსნიდან" 1334 სტრ.

"თუ კაცი თითონ არ არის, რას არგებს მრავალ-штрих-ობა." რუსთველის ფრაზის პაროდირებული ვარიანტია.

"... როცა ჩვენში არშაკიდეები მეფობდნენ" იგულისხმება ლეონტი მროველის "ცხოვრება ქართველთ მეფეთაში" დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც ქართლში ძვ. წ. II-I სს. მეფობდნენ სომეხი არშაკუნიანების ჩამომავალი მეფეები. ქართველ მეცნიერთა მტკიცებით ეს არ დასტურდება, რადგანაც სომხეთში არშაკუნიანები უფრო გვიან – ახ.წ. 62-428 წლებში

მეფობდნენ (რედ) იხ. გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფო ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, "ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები" 1958, ტ.4. ნაკვ. 1; საქ. ისტ. ნარკვევის, ტ. I, 1970 წ. გვ. 63-69. ლ. ჯანაშია, არშაკი, ლ. ჯანაშია არშაკიანები, ქ. ს. ე. ტ. 1 გვ. 613.
რადგან წერილების სერია "აი ისტორია" 1889წ. გამოქვეყნდა გაზ. "ივერიაში", ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ დროს დაიწერა ეს ორი წერილიც – "წერილი მეშვიდე" და "წერილი მეთოთხმეტე" ამიტომ მათაც 1889 წლით ვათარიღებთ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ავტოგრაფი, კ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდი №(S-5029).

"წერილი მეთოთხმეტე" ილია ჭავჭავაძეს არ გამოუქვეყნებია. შესაძლებელია იმიტომ, რომ, როგორც ვარაუდობს პ. ინგოროყვა, ავტორს საკითხები ჯერ სათანადოდ დამუშავებულად არ მიაჩნდა. წერილი ილიას თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა ინგოროყვამ (1955წ., ტ.IV).

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲒᲘᲜᲓᲐ-ᲠᲐᲖᲔ

(გვ.285)

(წერილი პირველი)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 25 აპრილი, №85

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, კ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდი, №(S-1568-ბ).

თ ა რ ი ღ ი: 4 აპრილი (წერილი პირველი, “ივერია”, 1889, №85).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: სფირიდონ ჩიტორელიძე, ძაუჯი-ყაუ.

“წერილი პირველი”დათარიღებულია “4 აპრილით”, “წერილი მეორე”-ს კი თარიღი არ უწერია. ეს წერილები გამოქვეყნდა გვიან, აპრილის 25-დან, მაგრამ ყველა გაკრიტიკებულ ფაქტს ადგილი ჰქონდა 4 აპრილამდე... თვით ი. გოგებაშვილის წერილი “საღამო წერა-კითხვის საზოგადოებისა”, ბოლო ფაქტი, დაიბეჭდა 5 აპრილს ანუ იგი 4 აპრილს რედაქციაში უკვე ხელთ ჰქონდა სფირიდონ ჩიტორელიძეს – ი. ჭავჭავაძეს. ამდენად შესაძლებლად მოგვაჩნია პირველი წერილის თარიღი მეორე წერილსაც მივაკუთნოთ. მეორე წერილი შევიდა ოცტომეულის V ტომში, რომელიც მხოლოდ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს ეხება.

“სფირიდონ ჩიტორელიძის” ხელმოწერით პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებულია ჟურნ. “საქართველოს მოამბეში” (1863წ.) და გაზ. “ივერიაში” (1886, 1889, 1890წ.წ.). არსებობს ერთმანეთის გამომრიცხველი მემუარული და დოკუმენტური ცნობები, რომელთა მიხედვით აღნიშნული წერილების ავტორად გამოცხადებულია ილია ჭავჭავაძე ან მიხ. ყიფიანი. ამ საფუძველზე ჩვენს მეცნიერებაში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი თვალსაზრისი: ერთნი ჟურნ. “საქართველოს მოამბეში” დაბეჭდილ წერილს “სფირიდონისა და თადეოზის ბაასს” მიაკუთვნებენ ი. ჭავჭავაძეს (ალ. კალანდაძე და სხვ.), მეორენი კი მიხ. ყიფიანს (დ. გამეზარდაშვილი და სხვ.). თავდაპირველად მიჩნეული იყო, რომ გაზ. “ივერიაში” დაბეჭდილი წერილები მიხ. ყიფიანს ეკუთნოდა. ბოლო დროს ეს აზრი ეჭვს ქვეშ დააყენა ალ. კალანდაძემ.

აღნიშნული პრობლემის გამო 1981 წელს გამოვაქვეყნეთ შრომა: “ჟურნ. “საქართველოს მოამბეში” და გაზ. “ივერიაში” “სფირიდონ ჩიტორელიძის” ფსევდონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების ატრიბუცია” (იხ. “ქართული ჟურნალისტიკა”, გვ.32-96, 1981წ.). აქ

განვითარებული გვაქვს თვალსაზრისი, რომ "სფირიდონ ჩიტორელიძე" ყველა შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმია; ნაშრომში განხილული გვაქვს არსებული შეხედულებანი და შესწავლილია წერილებთან დაკავშირებული ყველა საკითხი. აქ ავღნიშნავთ მხოლოდ იმას, რაც შეიძლება ითქვას "წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე" ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემაში შეტანის გამო.

"წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე" ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემაში შევიტანეთ დოკუმენტური საბუთების საფუძველზე:

1. ეს ნაწარმოები ი. ჭავჭავაძემ მიხ. ყიფიანის სიცოცხლეშივე შეატანინა თავის ნაწერების ხელნაწერ კრებულში. როგორც ბოლო დროს გამოვარკვიეთ, ილიამ გამომცემელ ვარლამ ჭილაძეს 1885 წელს დაუდო ხელშეკრულება თავისი ნაწერების სრული კრებულის გამოცემაზე. შემდგარი კრებულები მწერალს წლობით ჰქონდა სახლში, შემდეგ კი გადასცა "ქართველთა შორის წიგნის გამავრცელებელ ამხანაგობას", რომელთანაც, აგრეთვე დაიდო სათანადო ხელშეკრულება (იხ. ლ. ჭრელაშვილი "ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის ისტორიისა და ატრიბუციის საკითხები", ჟურნ. "მაცნე", 1981წ, №1).

2. "წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე" თ. სახოკიას შეტანილი აქვს "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. თ სახოკია "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფია", ჟურნ. "მაცნე", 1981წ, №2, ლ. ჭრელაშვილის პუბლიკაცია).

3. ნაწარმოებში არის რეალიები, რომელთა ანალიზი გამორიცხავს მიხ. ყიფიანის ავტორობას. მაგ: "ერთი ყური დაუგდეთ იაკობ სვიმონის ძეს (№51 "ივერიის" 1889), მუზიკალურს კრიტიკოსსა, – წერს ჩიტორელიძე, – როგორ იწმაწნება; ისეთს აღტაცებაში მოუყვანია დარდაკოვის სიმღერას, რომ ცხელებამორეულივით ჰბოდავს".

ი. სვიმონიძის (ი. გოგებაშვილის) წერილი "ტარტაკოვის კონცერტი", როგორც სფირიდონ ჩიტორელიძესაც მითითებული აქვს, დაიბეჭდა "ივერიის" 51-ე ნომერში 1889 წელს. წერილს დართული აქვს

რედაქციის შენიშვნა: "ეს წერილი ორშაბათსვე მოგვივიდა, მაგრამ დაბეჭდვა ვერ მოვასწარით". ი. გოგებაშვილი წერილს იწყებს ასე: "გუშინ საღამოზედ არტისტმა ტარტაკოვმა გამართა კონცერტი არტისტულის საზოგადოების დარბაზში". ი. სვიმონიძის წერილი გამოქვეყნდა ხუთშაბათს, მარტის ცხრაში. ორშაბათს იყო 6 მარტი. მაშასადამე კონცერტი ამაზე წინ ყოფილა, რადგან წერილის ავტორი აღნიშნავს "გუშინ საღამოზედ" შედგა იგიო. მართლაც, გაზეთის 49-ე ნომრის "ახალ ამბებში" მოთავსებულია ცნობა, რომ "კვირას, 5 მარტს საარტისტო საზოგადოებაში დარბაზში იყო გამოთხოვების კონცერტი ტარტაკოვისა". ამ დროს მიხ. ყიფიანი თბილისში არ იმყოფებოდა; წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში დაცულია მის მიერ დაწერილი მიმართვა, რომელიც ყიფიანს კავკავიდან ანუ ძაუჯი-ყაუ-დან გამოუგზავნია 6 მარტს, მიმართვას აქვს ბეჭედი, რომელსაც აწერია "კავკავი". ცხადია, დასწრების გარეშე მიხ. ყიფიანი კავკავიდან ი. გოგებაშვილს ვერ გამოლანძღავდა. ზემოთ მითითებულ შრომაში განხილულია სხვა რეალიებიც.

ამრიგად, საარქივო დოკუმენტები, მემუარული ცნობა და თვით ტექსტის ანალიზი გამორიცხავს მიხ. ყიფიანის ავტორობას და მიგვითითებს, რომ გაზ. "ივერიაში" ჩიტორელიძის ფსევდონიმი ი. ჭავჭავაძის მიერ იყო გამოყენებული ისე, რომ "ძაუჯი-ყაუსა" და სხვა მცდარი რეალიების შექმნით საიმედოდ ჰქონოდა დაფარული ავტორის ვინაობა. ამ გზით ახერხებდა ი. ჭავჭავაძე საქალაქო მმართველობისა თუ სხვა მცდარი აზრების მწვავე კრიტიკას.

აღნიშნული წერილების ატრიბუცია მოცემული გვაქვს ზემოთ დასახელებულ შრომაში. ამჯერად საგულისხმოა კიდევ ერთი დამატებითი საბუთი. როგორც ბოლო დროს დავადგინეთ, XIX საუკუნეშივე ენის სპეციალისტებისათვის (სილ. ხუნდაძე, პრ. ქუთათელაძე) ცნობილი იყო, რომ სიტყვა "ბავშვს" ილია წერდა, როგორც "ბაშვს" და ამიტომ მას აღიარებდნენ ერთ-ერთ ლიტერატურულ ფორმად (ლ. სანაძისა და ც. ყიფშიძის გამოკვლევით ილიას ავტოგრაფებში მხოლოდ აღნიშნული ფორმა გვხვდება. იხ. ლ. სანაძე, ც. ყიფშიძე, ჟურნ.

“მაცნე”, 1987წ, №1). აღსანიშნავია, რომ მითითებულ პირველ წერილებში “ბავშვი” სამჯერ გვხვდება და მათ შორის ერთხელ “ბაშვი”-ს ილიასეული სპეციფიკური ფორმით. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ “ივერიის” ყველა წერილი, რომელიც გამოქვეყნებულია “სფირიდონ ჩიტორელიძის” ხელმოწერით, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებია.

“ბევრიც რომ იწიწინოს ჩიმიშკიანმა, რაც უნდა ბევრი ცილი დაგვწამოს, არც ერევანში, არც შემახაში არც ვინმე სომხურს თეატრს ვერ გაჰმართავდა და არც დაებადებოდა სუნდუკიანცი” — ჩიმიშკიანი იყო სომეხი მსახიობი და პუბლიცისტი, რომელმაც ქართულ სცენაზე გაბრიელ სუნდუკიანის “პეპოს” დადგმას ჟურნ. “მურჯში” წერილი უძღვნა. მას ი. ჭავჭავაძე სპეციალური წერილით გამოეხმაურა — (გაბრიელ სუნდუკიანცის “პეპო” და სომხის ლიტერატორები “ივერია”, 1889წ. №27.) ამ წერილში ილია ამტკიცებს, რომ ჩიმიშკიანი ცილს სწამებს ქართველებს და თავის “წიწინით” არ უფრთხილდება მოძმე ხალხთა მეგობრულ ურთიერთობას. ჩვენ ეს ფაქტიც ილიას ავტორობის დამადასტურებლად მიგვაჩნია.

“დასამხარად აქვთ”— მარჯვედ, მოსახერხებლად. ადვილად მისადგომად.

“აყალო მიწა”— იგივეა, რაც თიხა.

“ღენდერა მედუქნეებს”— ქართულად “ღენდერა” ღიპიანია.

“ქათიბი”— მუხლებამდის ზევიდან ჩასაცმელი, ქალის საზაფხულო პალტოსავით.

“ბაბილონის გოდოლის აშენების დროსაც”— იგულისხმება ბიბლიური ნოეს ძის — ქამის შთამომავლების მიერ ცამდე აღმართული გოდოლის შენების დროს მომხდარი ენების აღრევა (იხ. “დაბადება” 11).

გზადაგზა და სხვათაშორის (გვ.295)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 23 მაისი, №105.

“გზადაგზა და სხვათაშორის” ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზ. “ივერიაში”. იგი წარმოადგენს ილიას პასუხს ი. ჯაბადარის წერილზე “Открытое послание Иверийцам”, რომელიც დაიბეჭდა “Новое Обозрение”-ში №1847; 1850. “გზადაგზა და სხვათაშორის” რომ ილიას ეკუთვნის პოლემიკა თავად გვიჩვენებს: ი. ჯაბადარი აკრიტიკებს ი. ჭავჭავაძეს, “გზადაგზა და სხვათაშორის” ავტორი კი თავს იცავს ი. ჯაბადარის კრიტიკისაგან. ი. ჭავჭავაძის თხზულება კრებულში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1955წ. ტ.IV). მეცნიერის აზრს ადასტურებს თ. სახოკია, რომელსაც ეს ნაწარმოები შეტანილი აქვს “ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ, №2).

And: atur et altera pars – ლათ. უნდა მოვუსმინოთ მეორე მხარესაც კამათში.

“საართურმო მოედანი”– ართურმა საბავშვო თამაშობაა მოყოლებით წაკუწულ ამხანაგებზე რიგ-რიგობით ხტებიან.

“თაბაუთი”– ქიზიყ. ანგარიში.

სახელდახელო
სახელდახელო დეპეშა
(ყბადასაღები და წყალწასაღები) (გვ.307)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., №109, 28 მაისი.

ეს ხელმოუწერელი ფელეტონი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1955წ. ტ.IV) მის აზრს თ. სახოკიაც ადასტურებს, რომელსაც იგი შეტანილი აქვს “ი. ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში” (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2.).

“დაბახანა”– ტყავის გადასამუშავებელი ქარხანა.

<ევროპაში ყველას ხელი ხმლის ვადაზე უჭირავს> (გვ.313)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., №218, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

"... ქარაფშუტა ბულანჟე... იმალება თავის ქვეყნის გარედ..."– არმიის თვითნებური მიტოვებისათვის და ზოგიერთი საიდუმლოს გამჟღავნებისათვის, გენერალ ბულანჟეს პატიმრობა მიუსაჯეს. ბულანჟემ გადაწყვიტა ბრიუსელში გაქცევა. იქ იგი გარდაიცვალა 1891 წ.

"ხვანჯი"– ხრიკი, ეშმაკობა.

<ნავთის საქმის მომავალი კავკასიაში> (გვ.318)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 15 ოქტომ. №219.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". მწერლის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1956წ., ტ.VII).

<სახელმწიფო ბანკის გამართვა თავადაზნაურობისათვის> (გვ.323)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 17 ოქტომბერი, №220, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
თედო სახოკიას ეს წერილი შეტანილი აქვს “ი. ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში” (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2.).
თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<უყურადღებობა ვარჯიშის მიმართ ეხლანდელ სკოლებში> (გვ.327)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 18 ოქტომბერი, № 221, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ბოლოში ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”.
თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<ფილოქსერა> (გვ.331)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 20 ოქტ., №222, გვ.1.

სათაური ეკუთვნის პ. ინგოროყვას.
ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”. წერილი ი ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემაში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1956წ. ტ.VII). მის აზრს ადასტურებს, აგრეთვე თ. სახოკიას “ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია” (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2.).

<სახელმწიფო ბანკის შეღავათიანი კრედიტი თავადაზნაურთათვის> (გვ.334)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 22 ოქტ., №222, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<ევროპა გაყოფილია ორ ბანაკად> (გვ.337)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 24 ოქტომბ., №225, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

"სახელოვან მოხუცს – ასე ეძახიან გლადსტონს, ერთხელ კიდევ ვნახავთ ინგლისის მთავარ-მინისტრის ტახტზედაო" – მართლაც, 1892-1894 წ.წ. გლადსტონი კვლავ პრემიერ-მინისტრად აირჩიეს.

<ისევ განათლების საკითხებზე> (გვ.340)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 27 ოქტ. №228-229.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1955წ. ტ.IV). ეს

ნაწარმოები "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" შეტანილი აქვს აგრეთვე თ. სახოკიას (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

<რუსეთის იმპერატორის ვიზიტი გერმანიაში> (გვ.349)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 29 ოქტომბერი, №230, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ლ. ჭრელაშვილის დადგენით, თ. სახოკიას ეს წერილი შეტანილი აქვს "ი. ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"...ორმა იმპერატორმა ერთმანეთი ინახულეს"– იგულისხმება რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III და გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II შეხვედრა.

"... ავსტრია და იტალია, რომელნიც გერმანიასთან ერთად შეადგენენ ეგრეთწოდებულს კავშირს მშვიდობიანობის დაცვისას"– 1882 წელს შეიქმნა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი სახელწოდებით "სამთა კავშირი".

<არეულობა იტალიასა და საფრანგეთს შორის> (გვ.353)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 31 ოქტ., №231, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში ფანქრით მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"მეორე იმპერია"– იგულისხმება 1852წ. ლუი ნაპოლეონ ბონაპარტის იმპერატორად გამოცხადება. ე.წ. მეორე იმპერიამ იარსება 1852წ-დან 1870წ-მდე, ლუი

ნაპოლეონი ცდილობდა შეექმნა ზეკლასობრივი მმართველობის ილუზია. მან მოსპო რესპუბლიკის ყველა დემოკრატიული მონაპოვარი, ამვე დროს განიცადა მთელი რიგი საგარეო-პოლიტიკური დამარცხება.

<ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ> (გვ.356)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 1 ნოემბერი, №232, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"...წასვლა სტამბოლში სულთანის სანახავად"– იგულისმება თურქეთის სულთანი აბდულჰამიდ II (იხ. კომ. გვ.)

"ყველაფერზედ ბალი-აღას ეუბნევიან..."– "ბალი-აღა" სპარსულ-თურქულია და ნიშნავს – "დიახ, ბატონო!", ანუ ვინც ყველას ეთანხმება, ყველას მორჩილებას უცხადებს, ყველას წინაშე ქედს იხრის.

<ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲙᲠᲔᲢᲐᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ> (გვ.359)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 2 ნოემბერი, №233, გვ.1.

სათაური მიცემულია პავლე ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".

იგი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1958წ. ტ.IX).

ეს წერილი თ. სახოკიას შეტანილი აქვს აგრეთვე "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

“ეს კუნძული დიდი ხანია მტკივნეულობს ოსმალეთისაგან...”– კრეტა – ძველი ეგეოსის კულტურის ერთ-ერთი ცენტრია. 67წ. ჩვ აღ-მდე რომმა დაიპყრო. 395-823, 961-1204 წ.წ. იგი ბიზანტიის შემადგენლობაშია, 823-961 ეკუთვნოდა არაბებს. 1204წ. დაიპყრეს ჯვაროსნებმა და ვენეციას მიჰყიდეს. 1715 წლიდან მოექცა ოსმალეთის იმპერიის ბატონობის ქვეშ. 1821-29 წ.წ. კრეტას მოსახლეობა მონაწილეობდა ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციაში, ანტითურქულ აჯანყებებში 1866-69; 1896-97 წ.წ. 1898წ. “დიდ სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ” კრეტამ მიიღო ადმინისტრაციული ავტონომიის სტატუსი. 1913 წლიდან იგი საბერძნეთის შემადგენლობაშია.

“არ ააწეწინოს... აღმოსავლეთის საქმე, რომელშიაც ყველას, როგორც თაფლში, თავის ხელი ურევია”– იგულისხმება “აღმოსავლეთის საქმე” ანუ “აღმოსავლეთის საკითხი”, რომელიც აღნიშნავს XVIII-XX ს დასაწყისში საერთაშორისო წინააღმდეგობებს, დაკავშირებულს ოსმალეთის იმპერიის მოახლოებულ დაშლასთან და ევროპული დიდი სახელმწიფოების: ავსტრია-უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის, მოგვიანებით აშშ-ის ბრძოლასთან ოსმალეთის სამფლობელოების (უპირატესად ევროპაში) დასანაწილებლად. XIX-XX ს.ს. მიჯნაზე დასრულდა მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის მსოფლიო დანაწილება. მოპოვებული იქნა კოლონიური ნედლეულის ახალი წყაროები და წარმოიშვა მსოფლიო კონფლიქტების ახალი კერები (შორეულ აღმოსავლეთში, ლათ. ამერიკაში, ჩრდ. და ცენტრალურ აფრიკაში და მსოფლიოს სხვა კუთხეებში).

<გაურკვევლობა დღევანდელ პოლიტიკაში>
(გვ.362)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 3 ნოემბერი, №234, გვ. 1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”.

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<“Новое Обозрение”-ს **წერილის გამო**> (გვ.365)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 5, 7-8 ნოემბერი, №236-238.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”.

პავლე ინგოროყვა წერს, რომ ილიას პოლემიკას “Писма о Грузии”-ს ავტორთან ფართო გამოხმაურება ჰქონდა იმ დროინდელ ქართულსა და რუსულ პრესაში.

კერძოდ, წერილი, რომელსაც ეხება ილია, დაბეჭდილი იყო გაზ. “Новое Обозрение”-ში 1889წ., № 2022-ში სახელწოდებით “Бизантийские споры” მოწინავის სახით და ხელმოუწერლად: ნიკო ნიკოლაძე ამ დროს “Новое Обозрение”-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. როგორც ირკვევა, წერილი, რომელსაც ეკამათება ილია, დაწერილია ნიკო ნიკოლაძის მიერ. ამას ადასტურებს თვით ნიკოლაძე გაზ. “Новое Обозрение”-ს 1889წ. №2032-ში.

ილიას თხზულებათა კრებულში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა (1955წ. ტ.IV).

“... ავტორი “Писма о Грузии”-სა...”– იგულისხმება ივანე ჯაბადარი, რომლის ხსენებული წერილი ხელმოწერილია ინიციალით “Н.Д.”.

“ბატონმა შავროვმა რაღა მეტი დააშავა...”– იგულისხმება ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ნ.ა. შავროვი, რომელმაც ერთ-ერთ რუსულ გაზეთში დაბეჭდა წერილი, სადაც ამბობს, რომ თუ ომი ატყდა, ამიერკავკასიის მკვიდრთაგან ერთ დაძახებაზე ორასი ათასი ცხენოსანი ჯარი გამოვაო. შეიძლება ამათგან არც

ერთი არ გადარჩეს, მაგრამ ამით ჩვენ არაფერი არ დაგვაკლდებაო.

მას საკადრისი პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძემ წერილში "ორნი არიან, ტოლნი არიან, ანუ აგანგალა-განგალა, შავროვი და სანდალა". "აბა, ბ-ნს შავროვს იმათს გაზრდაში რა დაჰხარჯვია, რომ იმათს გაჟლეტაში დააკლდეს რამე"– წერს ილია (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1991წ., ტ.V, გვ. 428-445).

მმართველობის შეცვლა ბრაზილიაში (გვ.384)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 13 ნოემბ., №243, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". ნაწარმოები პირველად ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში შეიტანა პ. ინგოროყვამ (1958წ. ტ.IX). იგი აგრეთვე შეტანილია თ. სახოკიას "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

"ბრაზილია აღმოაჩინეს 1499წ. აღმოაჩინა ერთმა თანამგზავრმა სახელოვანის კოლუმბისა"– ამ განმარტებაში გარკვეული უზუსტობაა: 1500 წელს ბრაზილიის ნაპირებს მიადგა პორტუგალიელი ზღვაოსანი პედრუ კაბრალი და ამ ქვეყნის მიწები პორტუგალიის სამფლობელოდ გამოაცხადა. თითქმის სამი საუკუნე ბრაზილია იყო დაპყრობილი. მხოლოდ 1882 წელს, დიდი ძალისხმევის შედეგად, მან თავი დამოუკიდებელ იმპერიად გამოაცხადა.

<ავსტრიის საქმეები ბალკანეთში> (გვ.389)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 16 ნოემბ.,№244, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".
თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<საფრანგეთის ახალი პარლამენტი და იმპერატორ ვილჰელმ II სტამბოლში ვიზიტის ნაყოფი> (გვ.393)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 21 ნოემბერი, №248, ჰბ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".
თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.
"...არაფერი კაცებური არ უნდა ეუცხებოდეს"– "ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის"– გამოთქმა რომაელი მწერლის ტერენციუსის (დაახ. ძვ.წ. 185-159 წ.წ.) კომედიიდან "თვითმგვემი". ეს კომედია ბერძენი მწერლის, მენანდრეს (დაახ. ძვ.წ. 343-291 წ.წ.) ნაწარმოების გადაკეთებული ვერსიაა.

<უნაღვლოდ ყოფნა, როცა გარშემო ამდენი სანაღვლელია> (გვ.397)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., ნოემბერი, №250, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი".
თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.
"...ამაო ამაოებათა..შევქმენით...გარეშემო"– გამოთქმა აღებულია ეკლესიასტედან (ეკ.1:2).

“...ამავ ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია წაიკითხეთ ახალსოფლიდამ...”–გაზეთ “ივერიის”1889წ. №250-ში დაიბეჭდა გ, გ-ლი-ს (გაბრიელ გულისაშვილი) კორესპონდენცია სათაურით: “ორი ერთად”(ახალსოფლიდამ მოწერილი ამბავი). წერილში მოთხრობილია ორი ბიჭის (10 წლისა და 17 წლის) მკვლელობის შესახებ, რომელიც ჩაუდენიათ მუღანლოელ თათრებს, რათა წაერთმიათ ბავშვებისთვის საძოვარში წამოყვანილი ხარები.

<სამართალი და დაზღვევა> (გვ.400)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 26 ნოემბერი, № 252, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”. მწერლის თხზულებათა გამოცემაში იგი პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა. მეცნიერის დასკვნას ადასტურებს თ. სახოკიას მიერ შედგენილი “ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია” (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2.).

“...კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ...”– ცნობილი სახარებისეული ფრაზა: “თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ”– მათე 5:38.

<პასუხი კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებას პეტერბურგიდან> (გვ.402)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 5 დეკ., №259, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”.

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

“აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი...”– პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის გ.ნ. მუსინ-პუშკინის მეცადინეობით, 1854წ. პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი.

<”სამთა კავშირის” მოსალოდნელი დასასრული> (გვ.405)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 13 დეკემბერი, №265, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”.

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<აზია წინათ და ეხლა> (გვ.410)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 17 დეკემბერი, № 269, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”. მწერლის თხზულებათა კრებულში პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა (1958წ. ტ. IX). იგი შეტანილია აგრეთვე თ. სახოკია მიერ შედგენილ “ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში” (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2.).

“იაპონია... მისი ახალი ხელმწიფე მომხრეა ევროპის განათლებისა...”– იგულისხმება ის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, რომელიც გატარდა იაპონიაში XIX-ის შუახანებიდან. რის შედეგადაც ლიკვიდირებულ იქნა ფეოდალური სისტემა და შეიქმნა ცენტრალიზებული ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო რესტავრირებული განათლებული მმართველობით (“ძეიძი ისინი”), იაპონიის

იმპერატორის მუცუჰიტოს (1852-1912) მეთაურობით. მისი გამგებლობა მოიცავს 1867-1912 წ.წ.

<ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ> (გვ.414)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 20 დეკემბ., №273.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1958წ. ტ. IX). იგი აგრეთვე შეტანილია თ. სახოკია მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲐᲓᲐᲦᲛᲘᲓᲒᲐᲜ (გვ.420)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 22 დეკემბ., №273.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ასლი, კ კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი №(S-1568-ბ).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: სფირიდონ ჩიტორელიძე, ძაუჯი-ყაუ.

"წიგნი გადაღმიდგან" ვ. ჭილაძემ შეიტანა ხელნაწერ კრებულში, რომელიც შეადგინა მან ილია ჭავჭავაძესთან 1885წ. დადებული ხელშეკრულების საფუძვლზე. ეს ნაწარმოები ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემაში პირველად 1927 წელს გამოაქვეყნა პ. ინგოროყვამ, შემდეგი გამოცემიდან კი ამოიღო, რადგან 1827 წელსვე

უარჰყო თავისი პირველი შეხედულება. "წიგნი გადაღმიდგან" კვლავ შევიტანეთ მწერლის თხზულებათა გამოცემაში – ჩვენი შრომის საფუძვლზე, რომლის შესახებ ნათქვამი გვქონდა "წერილები სხვადასხვა რაგინდა-რაზე"-სთან დაკავშირებით (იხ. აქვე, გვ.238).

ჩვენს ნაშრომში: "ჟურნალ საქართველოს მოამბეში" და გაზ. "ივერიაში" "სფირიდონ ჩიტორელიძის" ხელმოწერით დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილების ატრიბუციის საკითხი (XIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ.,1979, გვ.9-10, "ჟურნალისტიკის საკითხები", III, თბ., 1981წ.) გარკვეული გვაქვს, რომ ილია ჭავჭავაძემ მცდარი რელიეების შექმნით დაფარა თავისი ავტორობა. ეს მეთოდი მას მრავალჯერ აქვს გამოყენებული. მრავალ ფაქტთა მოხმობით ცხადდება, რომ "წიგნი გადაღმიდგან" მართებულად არის შეტანილი ილია ჭავჭავაძის ხელნაწერ კრებულში და წინამდებარე ტომშიც დოკუმენტური მასალების საფუძველზე თავსდება.

<სწავლების წესი რუსეთის გიმნაზიებში> (გვ.429)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 24 დეკ., №275, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". იგი თ. სახოკიას შეტანილი აქვს "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ვაზის სნეულებანი> (გვ.432)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1889წ., 29 დეკემბ., №277, გვ.1.

სათაური მიცემულია პ.ინგოროყვას მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ი. ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”. იგი აგრეთვე თ. სახოკიას შეტანილი აქვს “ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში” (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2.). მწერლის თხზულებათა კრებულში პირველად შეიტანა პ. ინგოროყვამ (1956წ., ტ.VII).

<საახალწლო მილოცვები> (გვ.438)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1889წ., 30 დეკემბ., №278, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”. იგი შეტანილია აგრეთვე თ. სახოკიას მიერ შედგენილ “ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია”-ში (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2.).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ევროპის პოლიტიკა ახალი წლისთვის> (გვ.441)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1890წ., 5 იანვარი, №3, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – “ი”. იგი აგრეთვე შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ “ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია”-ში (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2.).

“...საფრანგეთის ერსა და გერმანიისას, ერთმანეთზედ ალურსულს ელზას-ლორენის გამო...”– იგულიხმება საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871წ.წ. ომში საფრანგეთის დამარცხება, რის შედეგად გერმანიამ შეიერთა ელზასის ორი დეპარტამენტი და ლორენის აგრეთვე ორი დეპარტამენტის მნიშვნელოვანი ნაწილი. ანექსირებულ

ტერიტორიას დაერქვა "საიმპერიო მიწა", რომელიც ექვემდებარებოდა უშუალოდ რაიხსკანცლერს. ელზას-ლორენის ადმინისტრაციულმა პოლიტიკურმა ერთეულმა მხოლოდ 1871-1918წ.წ. და შემდეგ 1940-1944წ.წ-მდე იარსება. ახლა იგი კვლავ საფრანგეთის შემადგენლობაშია.

"...უკანონობას სჩადიან და ბერლინის ხელშეკრულობას არღვევენო"– იგულისხმება კონგრესი, რომელიც გაიმართა 1878 წლის 13 ივნისიდან 13 ივლისამდე ბერლინში და ცნობილია ბერლინის კონგრესის სახელწოდებით. აქ გადაწყდა ბულგარეთის გაყოფა ორ ნაწილად: ბულგარეთის დამოუკიდებელ სათავადოდ, რომელიც ყოველწლიურად გადაუხდიდა განსაზღვრულ ხარკს თურქეთს და პროვინციად – აღმოსავლეთი რუმელია, რომელიც სულთნის ქვეშევრდომი იქნებოდა და მის მიერვე და დიდ სახელმწიფოთა თანხმობით, იქ დაინიშნებოდა გუბერნატორი.

<გერმანიის ინტერესი ბულგარეთისადმი> (გვ.446)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 9 იანვარი, №5, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". იგი შეტანილია აგრეთვე თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია"-ში (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<სასწავლო პროგრამების შეცვლის აუცილებლობა რუსეთში> (გვ.450)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 11 იანვარი, №7, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". იგი აგრეთვე შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფია"-ში (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ევროპის ხარბი ხელი საყოველთაო საქმეებში> (გვ.453)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 14 იანვარი, №10, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". იგი აგრეთვე შეიტანა თ. სახოკიამ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფია"-ში (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"...რუსთაველისა არ იყოს... სილბო აქვს ნაქსოვისა და ზოგჯერ სიმტკიცე ნაჭედისა"– აღებულია "ვეფხისტყაოსნის" 1149-ე სტროფიდან – "სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა".

"...არა არს რა დაფარული, რომელ არ გამოცხადდეს"– მარკოზი, 4:22

<საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ჟურნალ-გაზეთების თვალით> (გვ.458)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 17 იანვარი, №12, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

ქ.შ.წ.კ.გ.ს. ცალზე, ბოლოში მიწერილია ილია ჭავჭავაძის ინიციალი – "ი". იგი აგრეთვე შეიტანა თ. სახოკიამ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფია"-ში (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ევროპის დიდი და პატარა ონავრები>
(გვ.461)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 21 იანვარი, №16, გვ.1.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ეს მოწინავე პ. ინგოროყვას იმ წერილების რიგში აქვს დასახელებული, რომელთა შესახებ წერს: "ამ წერილების ილიასადმი კუთვნილება დაგვიდასტურეს ილიას ძველმა თანამშრომლებმა და, კერძოდ, არტემ ახნაზაროვმა, რომელიც ამ წლებში უახლოესი თანამშრომელი იყო "ივერიისა".

პირველად თხზულებათა კრებულში 1929წ. X ტ. შეიტანა პ. ინგოროყვამ. აღნიშნული წერილი, რომ ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის ამას თ. სახოკიას "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფია"-ც ადასტურებს. (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2.).)

<საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი კრედიტის საკითხი გლეხობისათვის>
(გვ.466)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 11 იანვარი, №7, გვ.1-2.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.

ამ წერილის ილია ჭავჭავაძისადმი კუთვნილებას პ. ინგოროყვას დაუდასტურეს "ივერიის" ძველმა თანამშრომლებმა, კერძოდ, არტემ ახნაზარმა, გიორგი ლასხიშვილმა, თედო სახოკიამ, ილია ზურაბაშვილმა (იხ. ი. ჭავჭავაძის თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ VII). "ივერიის" ეს ხელმოუწერელი "მოწინავე" შეტანილია თ.

სახოკიას "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

"... შედგენილია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოიძიოს... მიზეზი სოფლის ნაწარმოებთა ფასის დაფოლებისა"– იგულისხმება რუსეთის იმპერიაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასების დაფოლება, ანუ დაწევა.

<ახალგაზრდა იმპერატორ ვილჰელმის დაინტერესება მუშა ხალხის ბედით> (გვ.474)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 28 იანვარი, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"ეგრეთწოდებულნი "სოციალ-დემოკრატები" ბევრგან ქადულობენ არჩევანებში გამარჯვებას მუშა ხალხის იმედით"– იგულისხმება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც შეიქმნა 1869წ. გაიზენახში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია საერთაშორისო პროლეტარიატის ყველაზე ავტორიტეტული პარტია გახდა. 1889წ. იგი აქტიურად მონაწილეობდა მუშათა პარტიების საერთაშორისო გაერთიანებაში.

<გერმანიის საშინაო პოლიტიკა> (გვ.479)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 31 იანვარი, №24.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"...ვაჭრობის საქმეთა მინისტრი ჰოფმანი, რომელიც... მომხრე იყო ფრიდეტერობისა ..."– ფრიტრედერობა (და არა "ფრიდეტერობა", როგორც ტექსტშია), ნიშნავს თავისუფალი ვაჭრობის (ინგლ. free trave "თავისუფალი ვაჭრობა") მომხრეობას და სახელმწიფოს ჩაურევლობას კერძო მესაკუთრულ საქმიანობაში.

"თ ბისმარკმა ჰნახა, რომ "სოციალ-დემოკრატებს" მომხრეობა ემატებოდა ხალხში... და რაიხსტაგში სარჩელი შეიტანა..."– 1864 წლიდან გერმანიაში ძალზე გამწვავდა სოციალური საკითხი. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ომი გამოუცხადა მთელ არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას. ამ გარემოებამ შეაშინა ბისმარკი. მან სოციალისტების წინააღმდეგ პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომლის ძალით იკრძალებოდა ამ პარტიის შეკრებები, გაზეთები და ყოველგვარი გამოცემანი. პროექტმა მარცხი განიცადა. ამ დროს ესროლეს გერმანიის იმპერატორს და მღელვარებამ მოიცვა მთელი ქვეყანა. ამით ისარგებლა ბისმარკმა და დანიშნა ახალი არჩევნები. ახალ რაიხსტაგში ბისმარკმა დიდი ბრძოლით მოახერხა გაეთრია ე.წ. "განსაკუთრებული კანონი". სოციალ-დემოკრატიული პარტია გამოცხადდა კანონგარეშე. სოციალ-დემოკრატები კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ და მოიკრიბეს ძალები: მათ დაუმტკიცეს "რკინის კანცლერს", რომ იგი უძლური იყო სოციალურ იდეებთან ბრძოლაში.

კანონს, რომელიც ბისმარკმა გაიტანა რაიხსტაგში 1878წ., უნდა ეარსება $2^1/_2$ წელიწადი. ყოველგვარი ვადის გასვლის შემდეგ, ბისმარკი გამოცხადდა რაიხსტაგში სახალხო წარმომადგენლობის წინაშე და თითქოს "საზოგადოებრივი უსაფრთხოების" მიზნით მოითხოვა ამ კანონის ახალი ვადით გაგრძელება.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ რაიხსტაგის არჩევნებში გამარჯვებას მხოლოდ 1890 წლის 20 თებერვალს მიაღწია.

<ᲧᲠᲣ-ᲛᲣᲜᲯᲗᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ>
(გვ.484)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 2 თებერვალი, №26, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"ღვთის სახისა და მსგავსების"– პერიფრაზია ძველი აღთქმის სიტყვების: "თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად"(დაბ.,1:26).

"...ღმერთმა შემქმნა "სახითა მის მიერითაო"– "ვეფხისტყაოსნის" პროლოგის პირველი სტროფის ბოლო სტრიქონი.

"...შუა უზისთ დიდი ზღვარი"– ნაწყვეტი "ვეფხისტყაოსნის" პროლოგიდან:

"მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი"

<ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚ-ᲒᲐᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ>
(გვ.488)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 4 თებერვ. №27, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<მოსალოდნელი საყოველთაო აღფერა რუსეთის იმპერიაში> (გვ.491)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 7 თებერვალი, №29, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).
თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ახალი კანონპროექტი "უკანონოდ" შობილთათვის> (გვ.493)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 9 თებერვალი, №31, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).
თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<სოფლად ხარჯის მოკრების და მისი შენახვის ნაკლი> (გვ.497)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 21 თებერვალი, №39, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"... აღმოჩნდება...ნაწილი "ფოსტის ფულისა" შეტანილი არ არის და... "ნედოიმკად" მიწერილი აქვთ..."– რუსეთის იმპერიაში გავრცელებული ე.წ. ტერმინი "ნედოიმკა" ("недоимка") ანუ დროზე გადაუხდელი გადასახადის ნარჩენი.

<მუშა ხალხის საქმე გერმანიაში> (გვ.502)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 23 თებერვალი, №41, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<კალიასთან ბრძოლის აუცილებლობა> (გვ.507)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 25 თებერვალი, №43, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"დაჟინებულმა წვიმებმა... ანეულები... აოდა.."– იგულისხმება, რომ პურეული ნათესები გახმა მარცვლის დასრულებამდე.

“...მარცვალი და გორველა ერთმანეთს თითქმის უნახევრდება”– ე.ი. პურის მარცვალთან ერთად სარეველა მცენარის მარცვლებიც გაერია.

<მკურნალის მოძალაძეობრივი მოვალეობა> (გვ.511)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1890წ., 28 თებერვალი, №44, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ “ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში”. (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ტრაგედია მცხეთაში> (გვ.515)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1890წ., 4 მარტი, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ “ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში”. (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2).

<ხმაური საკრედიტო საზოგადოებაში> (გვ.518)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1890წ., 8 მარტი, №50, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2). იგი თ. მაჭავარიანმა აგრეთვე მიიჩნია ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებად (იხ. "ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", ტ.III, №1753).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"... თ. ბებუთოვი თავის წერილში..."– ამ მოვლენებთან დაკავშირებით თ. ბებუთოვმა გაზეთ "Новое Обозрение"-ში ორი წერილი გამოაქვეყნა: ერთი – 1890წ. №137-ში სათაურით: "Кредитное общество. Введения," "Кредитное общество", Письмо второе. Приход и расход.

<ხუთსარგებლიანი გირავნობის ფურცლის შემოღების აუცილებლობა> (გვ.524)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 10 მარტი, №52, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შესულია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"ეს ხუთმეტი წელიწადია, რაც ჩვენი ბანკი არსებობს..."– ტფილისის სათავადაზნაურო ბანკი დაარსდა 1875 წელს.

<ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების შესახებ> (გვ.531)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 13 მარტი, №53, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". ასევე მიაჩნია თ. მაჭავარიანს, რომელმაც იგი ი. ჭავჭავაძის სხვა თხზულებებთან ერთად "ივერიის" ბიბლიოგრაფიაში შეიტანა (იხ. "ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", ტ.III, №1697).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ჩვენი ქალაქების სამწუხარო მდგომარეობა> (გვ.544)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 16 მარტი, №57, გვ.1.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ბისმარკის გადადგომა> (გვ.547)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 18 მარტი, №59, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.

წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ "ილია ჭავჭავაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიაში". (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<უთანხმოება იმპერატორ ვილჰელმ II და ბისმარკს შორის> (გვ.551)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1890წ., 23 მარტი, №63, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
წერილი შეტანილია თ. სახოკიას მიერ შედგენილ “ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში”. (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2).
თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ვენახების წამლობის შესახებ> (გვ.556)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1890წ., 24 მარტი, №64, გვ.1-2.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ.
ამ ნაწარმოების ილიასადმი კუთვნილება პ. ინგოროყვას დაუდასტურეს “ივერიის” ძველმა თანამშრომლებმა: არტემ ახნაზარმა, გიორგი ლასხიშვილმა, თედო სახოკიამ და ილია ზურაბაშვილმა (იხ. ი. ჭავჭავაძის თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, 1956წ. ტVII გვ.512) ეს წერილი თ. სახოკიას შეტანილი აქვს “ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში” (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2). წერილი აგრეთვე შეტანილია ი. გორგაძის და ნ. გურგენიძის წიგნში: “ილია ჭავჭავაძე – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე”.

<შინაური აშლილობა გერმანიაში> (გვ.559)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. “ივერია”, 1890წ., 25 მარტი, №65, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ.
ეს წერილი თ. სახოკიას შეტანილი აქვს “ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში”. (იხ. ჟურნ. “მაცნე”, 1981წ. №2).
თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ბანკის საადგილმამულო კრედიტის გამო>
(გვ.563)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 28 მარტი, №67, გვ.1-2.

წერილი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებად მიიჩნია თამარ მაჭავარიანმა, რომელსაც იგი შეტანილი აქვს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ რვეულებში (იხ. რვეული I ნაწ. მე-3). ტომში შევიტანეთ ჩვენი ნაშრომის საფუძველზე, სადაც დასაბუთებული გვაქვს, რომ გაზეთ "ივერიის" ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2).

თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

<ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა>
(გვ.566)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 1 აპრილი, №69, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ. ტომში შევიტანეთ ლ. ჭრელაშვილის ნაშრომის საფუძველზე, სადაც დასაბუთებულია, რომ გაზ. "ივერიის" ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2). თხზულება კრებულში პირველად იბეჭდება.

"... პარნელის საქმემ ძალიან შეულახა სახელი და აბრუ გაუტეხა სამინისტროს სალუსბერისას"– ჩარლზ სტიუარტ პარნელი, ირლანდიის "მიწათა ლიგის" თავმჯდომარე, ირლანდიის ჰომრულის (მოძრაობა ირლანდიის ავტონომიისათვის) მომხრე, 1880წ-დან ამ პარტიის ხელმძღვანელი, ცდილობდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყო ინგლისისაგან. მალე იმლანდიელთა პარტია გამაგრდა პარლამენტში და შეიძინა ძლიერი მოკავშირე

გლადსტონის სახით. პარნელის რეპუტაცია ძალზე შეირყა 1890 წლის ბოლოს, ცოლ-ქმარ ო'შის განქორწინების პროცესის დროს. პროცესზე გამომჟღავნდა სასიყვარულო კავშირი ქალბატონ ო'შისთან. ამან გამოიწვია განხეთქილება ირლანდიურ პარტიაში.

<ევროპა პოლიტიკურ ცვლილებების მოლოდინში> (გვ.571)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 8 აპრლი, №72, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ. ტომში შევიტანეთ ლ. ჭრელაშვილის ნაშრომის საფუძველზე, სადაც დასაბუთებულია, რომ გაზ. "ივერიის" ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2). თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

<კანონმდებლობა კერძო ვექილობის წინააღმდეგ> (გვ.575)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 11 აპრლი, №74, გვ.1-2.

სათაური მიცემულია ჩვენ მიერ. ტომში შევიტანეთ ლ. ჭრელაშვილის ნაშრომის საფუძველზე, სადაც დასაბუთებულია, რომ გაზ. "ივერიის" ყველა ხელმოუწერელი მეთაური წერილი ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2). თხზულებათა კრებულში პირველად იბეჭდება.

ქუთაისის ბანკის საქმე (გვ.579)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., №167-171; 173 (4-5, 9-10, 12 აგვისტო).

"ქუთაისის ბანკის საქმე". წერილები ილია ჭავჭავაძისა, ტფ., 1890, (იბეჭდება ავტორის ნებადართვით);

"ქუთაისის ბანკის კომიტეტი და ბ-ნი ჩიკვაიძე". წერილები ილია ჭავჭავაძისა, ტფ., 1890, (იბეჭდება ავტორის ნებადართვით).

ილია ჭავჭავაძე აგვისტოს ბოლოს თანხმობის წერილს უგზავნის ალექსანდრე ნანეიშვილს ქუთაისში: "... დღეს უმიკაშვილის ბარათი მომივიდა და მწერს, რომ მანდ საჭიროდ დაგინახავთ ჩემი მეთაური წერილები მანდაურ ბანკის თაობაზედ ცალკე ბროშიურად დაჰბეჭდოთ. მე თანახმა ვარ დაბეჭდვისა, თანახმა ვარ იმისაც, რომ ჩემი სახელი მოსწერდეს ამ წერილებს...". ოქტომბრის დასაწყისში ცალკე წიგნად გამოდის "ქუთაისის ბანკის საქმე. წერილები ილია ჭავჭავაძისა" (იბეჭდება ავტორის ნებადართვით), ტფ., გამომცემელი ქუთათელი, 1890წ. არსებობს იგივე წიგნი განსხვავებული თავფურცლით: "ქუთაისის ბანკის კომიტეტი და ბ-ნი ჩიკვაიძე. წერილები ილია ჭავჭავაძისა" (იბეჭდება ავტორის ნებადართვით), ტფ., გამომცემელი ქუთათელი, 1890წ.

ეს წერილები პირველად პ. ინგოროყვამ შეიტანა (1959წ., ტ.X). აღნიშნული "მოწინავეები" შეტანილი აქვს, თ. სახოკიას თავის "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981წ. №2, ლ. ჭრელაშვილის პუბლიკაცია).

წერილი მეგობართან (გვ.623)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890წ., 19 აგვისტო, №178, გვ.1-2.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: შენი სფირიდონ ჩიტორელიძე, ძაუჯი-ყაუ.

წერილი დაიბეჭდა რუბრიკაში: ფელეტონი, სათაურით – წერილი მეგობართან. ამ სათაურით ი. ჭავჭავაძემ ორი წერილი გამოაქვეყნა (ორივე – სფირიდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით). მეორე წერილი, რომელიც გაზ. "ივერიის" 1890 წლის 21 აგვისტოს ნომერში (№179) გამოქვეყნდა, ეხება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს და ამიტომ დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის V ტომში.

"წერილი მეგობართან" ილიასთან ხელშეკრულებით ვ. ჭილაძის მიერ შედგენილ ხელნაწერ კრებულებში შეტანილი არ არის, რადგან 1890 წლის ნაწერები საერთოდ არ არის ამოწერილი. გამომცემლებმა მუშაობა1889 წლის დასაწყისშივე შეწყვიტეს. წერილი ილიასეულად მიიჩნიეს და მწერლის თხზულებათა კრებულში პირველად პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა 1927 წელს, ილიას ნაწერების სრული კრებულის IV ტომში, თუმცა შემდგომში ამ წერილის ავტორად ილიას მიჩნევა (ისევე, როგორც წერილისა "სპირიდონისა და თადეოზის ბაასი")შეცდომად ჩათვალეს (იხ. შენიშვნა წერილისა "სპირიდონისა და თადეოზის ბაასი", თხკ 20 ტომად, 1991წ. ტ. V, გვ. 630-635).

ჩვენ ეს ნაწარმოები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში შევიტანეთ ჩვენი ნაშრომის საფუძველზე, სადაც დასაბუთებული გვაქვს, რომ "სფირიდონ ჩიტორტიძე" ყველა შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმია. "წერილი მეგობართან" თ. სახოკიას შეტანილი აქვს "ილია ჭავჭავაძის ნაწერების ბიბლიოგრაფიაში" (იხ. ჟურნ. "მაცნე", 1981, №2, ლ. ჭრელაშვილის პუბლიკაცია).

<ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო>
(გვ.632)

ნ ა ბ ე ჭ დ ი: გაზ. "ივერია", 1890 წ. 2-3 ნოემბერი, № 233-234, გვ. 1-2.

სათაური მიცემულია პ. ინგოროყვას მიერ. ეს წერილია რომ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, პ. ინგოროყვას 1925-1927 წ.წ. დაუდასტურეს "ივერიის" ძველმა თანამშრომლებმა: არტემ ახნაზარმა, გიორგი ლასხიშვილმა, თედო სახოკიამ და ილია ზურაბიშვილმა. (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. VII).

საძიებლები

სახელთა ანოტირებული საძიებელი

ა

აბდულჰამიდ II (1842-1918) – თურქეთის სულთანი 1876-1909 წლებში –

აბრაამი – ებრაელთა ბიბლიური მამამთავარი –

აგვისტოსი, ავგუსტუსი – იმპერატორი –

აზო – ირანსუს ძე, ლეგენდარული პირი, იხსენიება ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში –

ათინა –

ალექსანდრე მაკედონელი –

ალექსანდრე II– (1818-1881), რუსეთის იმპერატორი 1855-1887 წლებში.

ამატუმი –

ანდრაში დიულა (1823-1890) გრაფი, უნგრელი პოლიტიკური მოღვაწე. 1879 წელს ბისმარკთან ერთად ხელი მოაწერა გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ხელშეკრულებას, რომელიც საფუძვლად დაედო სამთა კავშირს.

ანდრონიკაშვილები – თავადთა საგვარეულო ფეოდალურ საქართველოში. საანდრონიკო მამულები მოიცავდა კახეთის სოფლებს: მელაანს, ჩალუბანს, ფხოველსა და სხვ.

ანტონ კათალიკოსი

არამ-არანარგისტი I – არგიშტი I, ურარტუს მეფე ძვ. წ. 786-764
არგისტი, არგიშტი – ურარტუს მეფე ძვ. წ. 786-764
არდამი
არი – სომეხთა წინაპარი
არისტოტელე
არლოვსკი (ორლოვსკი) ვალერი კონსტანტინეს ძე
არმაზი
არჩილ მეფე
ასათიანი ლ.
ასურ-ბან-აბალ – ასურბანიფალი, ასურეთის მეფე ძვ. წ. 669-დაახლ 633
ასურ-ნაზირ-აბალი – ასურნასირფალ II, ასურეთის მეფე ძვ. წ. 883-859
აფრიდიტე
აფრიდონი – მითიური გმირი "ქართლის ცხოვრებიდან"
აქემენიდები – სამეფო დინასტია სპარსეთში ძვ. წ. 552-330, რომელმაც გააერთიანა სპარსული მოდგმის ტომები
აღათოკლე
აშინოვი
აშმანაცორი

ბ

ბაალი
ბაბა ამირა
ბაბოვი ევგენი სერგის ძე – ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ექიმი
ბაიერნი
ბარათაშვილი სულხან მირმანოზის ძე (1821-1866) – მან რუსულად დაწერა "საქართველოს ისტორია", რომელიც ქართულად თარგმნა ილია ჭავჭავაძემ და დაბეჭდა "საქართველოს მოამბეში"
ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815-1879) – რუსეთის არმიის გენერალ-ფელდმარშალი. 1856 წლიდან მთავარსარდალი და მეფისნაცვალი კავკასიაში.

ბაქრაძე დიმიტრი ზაქარიას ძე (1826-1890) – ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. 1889 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი "ისტორია საქართველოსი" (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე).

ბალადატი

ბახტეევი ს. ს..

ბებუთოვი კ.

ბევრასფ

ბეკონი ფრანსის (1561-1626) – ინგლისელი ფილოსოფოსი

ბელი – ინგლისელი ინჟინერი

ბელინსკი ბესარიონ გრიგოლის ძე (1811-1848) – რუსი კრიტიკოსი და ჟურნალისტი

ბინი (რამანი, რამინი)

ბისმარკი ოტო-ედუარდ-ლეოპოლდ ფონ შონჰაუზენი (1815-1898) – გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი 1871-1890 წლებში, იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანიის იმპერიის დამაარსებელი. დინასტიური ომების საშუალებით მან გააერთიანა გერმანია პრუსიის მეთაურობით. რეპრესიების გზით ცდილობდა შაეხშო მუშათა მოძრაობა გერმანიასი. იგი იყო "სამთა კავშირის" (1882) ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი.

ბისმარკი ჰერბერტ ჰენრი ფერდინანდ – ბისმარკის შვილი, გერმანიის პოლიტიკური მოღვაწე, საგარეო საქმეთა მინისტრი 1888 წელს.

ბოკლი – ჰერცოგი

ბომბელი – ჰოფმარშალი, ავსტრიის უფლისწულ რუდოლფის აღმზრდელი

ბორკი – სახელმწიფო მდივნის თანაშემწე

ბოროზდინი კორნელი ალექსანდრეს ძე (1828-1896) – რუსი მოხელე. 1848-1867 წლებში მსახურობდა კავკასიაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

ბოჩი

ბროკი

ბატი

ბულანჟე ჟორჟ-ერნესტ-ჟან-მარია (1837-1891) – ფრანგი გენერალი, პოლიტიკური მოღვაწე. მონაწილეობდა პარიზის კომუნის ჩახშობაში. 1886-1887 წლებში იყო

საფრანგეთის სამხედრო მინისტრი. 1887-1889 წლებში მოხერხებულად გამოიყენა ნაციონალისტური დემაგოგია და სათავეში ჩაუდგა შოვინისტურ მოძრაობას. მონარქისტებთან მისი ურთიერთობის გამომჟღავნების შემდეგ, გაიქცა ბელგიაში, სადაც თავი მოიკლა.

გ

გაკონი

გაიმი გამბა — ინგლისელი ინჟინერი

გამბეტა ლეონ მიშელ (1832-1882) — საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი 1881-1882 წლებში. მემარცხენე რესპუბლიკელების ლიდერი. აპირებდა პასუხი გაეცა პრუსიელი ოკუპანტებისთვის. ამავე დროს ეშინოდა რევოლიციური მოძრაობის და ამუხრუჭებდა ბრძოლას მის წინააღმდეგ.

გაცი

გეტე — გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749-1832)

გიორგი — ლაშა გიორგი

გლადსტონი უილიამ იუარტ (1809-1898) — ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. 1832წ. პარლამენტში აირჩიეს ტორების პარტიიდან. მალე იგი დარწმუნდა ტორიზმის უპერსპექტივობაში და მიემხრო ლიბერალებს. 1843-45 წლებში იყო ვაჭრობის მინისტრი, 1845-47 წლებში კოლონიების მინისტრი, 1852-55 და 1859-66 წლებში — ფინანსთა მინისტრი, 1868 წლიდან — ლიბერალური პარტიის ლიდერი. 1864-74 წლებში — პრემიერ-მინისტრი. 1880-85 წლებში კვლავ პრემიერ-მინისტრის პოსტზეა და აგრძელებს კონსერვატორების ექსპანსიონისტურ საგარეო პოლიტიკას. 1882 წელს ჯარი გაგზავნა ეგვიპტის დასაპყრობად. სასტიკად ახშობდა ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ამასთან, ირლანდიელებს ზოგი რამ დაუთმო კიდეც. 1892-94 წლებში კვლავ პრემიერ-

მინისტრია, ხოლო 1894 წელს საბოლოოდ გადადგა და ჩამოსცილდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

გლავაცკი პლატონ ანტონის ძე – თბილისის გუბერნიის ექიმი

გრეგორია

გრევი ჟიულ (1807-1891) – საფრანგეთის პრეზიდენტი 1879-1887 წლებში, ზომიერ რესპუბლიკელთა ლიდერი.

გრეპპი

გროსმანი ალექსანდრე ეგნატეს ძე – ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი

გლადსტონი უილიამ იუარტი (1809-1898) – დიდი ბრიტანეთი პრემიერ-მინისტრი

გუნსბერგი

გატტერიასი

დ

დავით აღმაშენებელი

დადიანი

დანინა

დანტე

დელორიე –არმენოლოგი

დემურჩალელები

დერბი ედუარდ-ჰენრი-სმიტ-სტენლი (1826-1893) – ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე. 1867 და 1877 წლებში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1882 წელს იყო კოლონიების მინისტრი.

დერულედი პოლ (1846-1914) – ფრანგი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. 1882წ. დააარსა ე. წ. "პატრიოტთა ლიგა", რომელშიც მონაწილეობისათვის მიიწვიეს ყველა მოქალაქე, განურჩევლად მათი პარტიული კუთვნილებისა. ბულანჟეში დერულედი ხედავდა გერმანიასთან ომის მომავალ გმირს. 1889წ. აირჩიეს დეპუტატად სენატში.

დომალდი – შვედეთის მეფე

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1820-1890) – საქართველოს სამოქალაქო ნაწილის

მთავარმართებელი და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი
დრეპერი – ისტორიკოსი

ე

ეკატერინე II, ალექსის ასული (1729-1796) – რუსეთის დედოფალი 1762 წლიდან.
ელიოტი
ეიჰგოფი

ვ

ვალდერზეე ალფრედ – გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი 1888 წლიდან
ვახტანგ გორგასალი
ვახტანგ VI (1675-1737)
ვახუშტი (ბაგრატიონი) (1696-1757) – გეოგრაფი, ისტორიკოსი
ვებერი მაქს (1864-1920) – გერმანელი სოციოლოგი, ისტორიკოსი, ეკონომისტი
ვეზიროვი სვიმონ – ბიოლოგი
ვილჰელმ I ჰოჰენცოლერნი (1797-1888) – პრუსიის მეფე 1861 წლიდან და გერმანიის იმპერატორი 1871 წლიდან. მის დროს ქვეყანას ფაქტობრივად ბისმარკი მართავდა.
ვილჰელმ II ჰოჰენცოლერნი (1859-1941) – გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე 1888-1918 წლებში. ვილჰელმ I-ის შვილიშვილი
ვირსოვი რუდოლფ (1821-1891) – გერმანელი ანთროპოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე, ბისმარკის ოპოზიციონერი.
ვინდჰორსტი ლუდვიგ (1812-1891) – პრუსიის სახელმწიფო მოღვაწე, 1871 წლიდან კათოლიკური პარტიის ხელმძღვანელი.
ვოიეკოვი

ზ

ზადენი
ზაიცევი
ზდანოვიჩი გიორგი
ზეზემანი
ზიქართი ზოილი – დავით ივანეს ძე კეზელის (1845-1905) ფსევდონიმი.
ზოროასტრი-იგივე ზარატუშტრა (10-64 ჩვ.წ. აღ-მდე) – წინასწარმეტყველი, ძველი სპარსული რელიგიის რეფორმატორი

ვ

ვანუა (ტირაცუა ვანუა) – ივანე ხეჩატუროვი

თ

თამარ მეფე (1160-1213)
თარგამოსი
თეიმურაზ ბატონიშვილი
თეიმურაზ მეფე
თორგომი
თუბალი
თუგლათ-ადარი – ასურეთის მეფე
თუგლათ-პალასირ I – ასურეთის მეფე
თუგლათ-პალასირ II – ასურეთის მეფე

ი

იაფეტი
იეზეკილი – ეზეკიელი, ძველ ებრაელთა ერთ-ერთი წინასწარმეტყველი (ძვ.წ. VI საუკუნე)
"**ივერიელი**" – ილია ჭავჭავაძე
იზაბელა

თოკაი მორ (1825-1904) – უნგრელი მწერალი, უნგრეთის 1848-49 წლების განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე. რედაქტორობდა ჟურნალ-გაზეთებს.

ირანსუ

ისკანდერის დარმანი

ისუ-ნავე – იესო ნავეს ძე, ბიბლიური პირი. ძვ. აღთქმის მიხედვით მოსეს მსახური, რომლის წინამძღოლობით ებრაელებმა ეგვიპტიდამ გამოსვლის შემდეგ დაიპყრეს აღთქმული ქვეყანა ქანაანი.

კ

კავენდიში

კაკაბაძე ვასილ ივანეს ძე

კალნოკი

კალუბანსკი კონსტანტინე მიხეილის ძე, ტფილისის საქალაქო სათათბიროს ხმოსანი

კარიერი

კარლოს დიდი

კარნო მარი ფრანსუა სადი (1837-189) – საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე

კაროლ გაბრიელ სტეფან კაროლის ძმა, პოლიტიკოსი

კაროლ სტეფან – გრაფი, უნგრელი მაგნატი

კატკოვი

Картвелов-კარტველოვი

კაშჩეევი, კოშჩეევი

კეზელი დავით ივანეს ძე (1854-1907) ქართველი საზოგადო მოღვაწე. წერდა "ზოილისა" და "დავით სოსლანის" ფსევდონიმებით.

კიაქსარი – მიდიის მეფე ძვ.წ. XII-VI საუკუნეებში

კიკნაძე ბერი

კიპერტი – ისტორიკოსი

კირილე (დაახლ. 827-14,II.869) – რუსული ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი, თავის უფროს ძმასთან, მეთოდესთან ერთად შექმნეს სლავური ანბანი.

კიროსი, კიროს II დიდი (გარდაიცვალა ძვ.წ. 530) – სპარსეთის მეფე, აქემენიდების სახელმწიფოს დამაარსებელი

კლაპროტი – ენათმეცნიერი

კობურგელი ფერდინანდ – გერმანიის მთავართა შთამომავალი, პრინცი, ბულგარეთის მეფეთა დინასტიის ფუძემდებელი
კოლუნბი (1451-1506) – გენუელი ზღვაოსანი
კონრადი
კორონა ისააკ იაკობის ძე – თბილისელი ექიმი
კორში
კრილოვი ივანე ანდრიას ძე (1796-1844) – რუსი მწერალი, მეიგავე
კრისპი ფრანჩესკო (1818-1901) – იტალიის სახელმწიფო მოღვაწე. 1887-1891 და 1893-1896 წლებში იტალიის პრემიერ-მინისტრი. ატარებდა ანტიდემოკრატიულ საშინაო და ექსპანსიონისტურ საგარეო პოლიტიკას
კრუზე – სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის წევრი

ლ

ლაუენბურგი
ლაშა-გიორგი
ლებბოკი
ლენორმანი ფრანსუა (1837-1883) – ფრანგი აღმოსავლეთ მცოდნე
ლეოპოლდი-ლეოპოლდ II (1835-1909) – ბელგიის მეფე 1865 წლიდან
ლესგაფტი პეტრე ფრანცის ძე (1837-1909) – რუსი პედაგოგი, ანატომი და ექიმი, ფიზკულტურაში საექიმო-პედაგოგიური კონტროლისა და თეორიული ანატომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი
ლოლუა ლ.
ლორთქიფანიძე ან.
ლორთქიფანიძე ნ.
ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888) – რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე. 1880-81 წლებში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი
ლუდოვიკი – ბავარიის მეფე
ლოლუა ლ.

მალკოლმი
მანი
მანასე
მასკარტი
მეთოდე (დაახლ. 815-6.IV.885) – რუსული ანბანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა თესალონიკეში. ბიზანტიის იმპერატორმა, ძმასთან, კირილესთან ერთად მორავიაში გაგზავნა სლავურ ენაზე ქრისტიანობის საქადაგებლად.
მელიქოვი
მენდელეევი
მესტროფი-მესროპ მაშტროცი (361-17.II.440) – სომხური ანბანის შემქმნელი (405-406). თავის მოწაფეებთან ერთად სომხურად თარგმნა ბიბლიის ნაწილი
მილანი (1854-1901) – სერბიის მთავარი 1868-1882 წლებში. მეფე მილან I 1882-1889 წლებში. ობრენოვიჩების დინასტიიდან.
მილდი
მილი ჯონ სტუარტ (სტიუარტ) (1806-1873) – ინგლისელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე
მირიან მეფე – ქართლის მეფე IV საუკუნეში
მიტაჩი
მიქელაძე დ.
მიქელაძე ი. ა.
მონდი ლუდვიგ – ინგლისის საექიმო და სატექნიკო საზოგადოების პრეზიდენტი
მონტესკიო (1689-1755) – მონტესკიე შარლ ლუი. საფრანგეთის ერთ-ერთი განმანათლებელი XVIII საუკუნეში, ფილოსოფოსი და მწერალი, ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგი. იგი თავის "სპარსულ წერილებში" ეხებოდა საქართველოსაც.
მოსე წინასწარმეტყველი –
მოსე ხონელი –
მოსოხი –
მურიე – მთარგმნელი

ნ

ნაბუქოდონოსორ II – ბაბილონის მეფე 605-562 წ. ჩვ. წ. დაანდრია იერუსალიმი და გააუქმა იუდეველთა სამეფო. მის დროს აშენდა ე. წ. დაკიდებული ბაღები.

ნაპოლეონ I ბონაპარტი (1769-1821) – საფრანგეთის იმპერატორი 1804-14 და 1815 მარტ-ივნისში. წარმატებული ომების წყალობით საგრძნობლად გააფართოვა იმპერიის ტერიტორია. რუსეთთან დამარცხების შემდეგ, 1812 წელს დაიწყო ნაპოლეონ I-ის იმპერიის დაშლა

ნაპოლეონ III, ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი (1808-1873) – საფრანგეთის იმპერატორი 1852-1870 წლებში. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს (1870-71წწ) ასი ათასიანი არმიით ჩაბარდა ავსტრიელებს ტყვედ სუდანთან

ნარამ-სინი (ნარამსინი, ნარამ სუემი) – ძველი შუამდინარეთის ერთ-ერთი მეფე, აქადის დინასტიის IV წარმომადგენელი (ძვ.წ. 2290-2254). მის დროს იმპერიამ მიაღწია ძლიერების ზენიტს. იგი სიცოცხლეშივე გააღმერთეს.

ნარდონი – ივანე ჯაბადარის ფსევდონიმი

ნასრ-ედდინ შაჰი (1831-1896) – 1848-1896 წლებში ირანის შაჰი, ყაჯარების დინასტიიდან

ნემზერი – ისტორიკოსი

ნიკოლაძე ნიკო (ნიკოლოზ) იაკობის ძე (1843-1928) – ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე

ნერგალი

ნინი

ნინო (წმინდა ნინო)

ო

ობრენოვიჩი მილან – იხ. მილან

ოდინი

ოველაკი – ლინგვისტი

ომალოს ჰერცოგი – ჰენრიხ-ევგენი-ლუდოვიკო-ორლეანელი (1822-1897) – საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო ფილიპეს შვილი
ოპერტი – ისტორიკოსი
ორბელიანები (ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები) – ფეოდალური საგვარეულო XVII-XIX საუკუნეების საქართველოში. მათი სამფლობელო მოიცავდა ქციისა და დმანისის ხეობათა დიდ ნაწილს, აგრეთვე ტაშირს
ორლეანის პრინცი
ოქრომჭედლიშვილი
პ

პალლადი – პალადი (1827-1898). 1886 წლიდან საქართველოს ეგზარხოსი, სინოდის წევრი, ქართლ-კახეთის ეპისკოპოსი
პარნელი ჩარლზ სტიუარტ (1846-1891) – ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე
პატკანოვი
პატროკლე
პაშინო
პაწია ნაპოლეონი – იგულისხმება ბულანჟე
პედრო I (პედრუ I) (1798-1834) – ბრაზილიის იმპერატორი (1822-1831). 1822 წელს მან ბრაზილია დამოუკიდებელ იმპერიად გამოაცხადა
პედრო II (პედრუ II) (1825-1891), ბრაზილიის იმპერატორი 1831-1889 წწ. დამხობილ იქნა ანტიმონარქისტული რესპუბლიკური მოძრაობის მიერ
პეტროკლე
პიგოტი
პინდარი – დაახლ. 522-442 ძვ.წ. ბერძენი პოეტი პლინი (პლინიუს უფროსი) – I საუკუნის რომაელი მწერალი, მეცნიერი
პლატონი – 427-347 – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი
პლინი-პლინიუსი
პრუდონი პიერ ჟოზეფი (1806-1865) – ფრანგი ეკონომისტი, რომელიც პროპაგანდას უწევდა საზოგადოების მშვიდობიან გარდაქმნას კრედიტისა და რეფორმების გზით. წამოაყენა "სახალხო ბანკის" უტოპიური იდეა

პტოლომეოსი კლედიუსი (დაახლ. 90-160) – ძველბერძენი ასტრონომი, მსოფლიოს გეოცენტრული სისტემის ავტორი. ნაშრომში "გეოგრაფია" მოგვცა გეოგრაფიული ცნობები ანტიკური სამყაროს შესახებ

რ

რამზეს მეფე (რამსეს II) – ეგვიპტის ფარაონი 1317-1251 ჩვ.წ-მდე, ებრძოდა ხეთებს
რატილი (ნავრატილი იოსებ ივანეს ძე) (1840-1912) – ჩეხი მუსიკოსი, თბილისში შეადგინა ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელთა გუნდი
რაულინსონი – ისტორიკოსი
რევი – მეფე
რენუ, რენიო ანრი ვიქტორ (1810-1878) – ფრანგი ქიმიკოსი და ფიზიკოსი
რუდოლფი ფრანც-კარლ-იოზეფი (1858-1889)– ავსტრიის იმპერატორი, იოზეფ I-ის შვილი
რუსთაველი

ს

სადურ – მეფე
სალამან ასარი
სალუსბერი, (სოლუსბერი რობერტ არტურ ტალბოტ გასკონ სესილ) (1830-1903) – ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ბრიტანეტის პრემიერ-მინისტრი 1885-1892 წლებში
სამას
სანდალა ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძე (1854-1931) მწიგნობარი, გამომცემელი. წერდა ფსევდონიმებით: "სანდალა", "ზ. მთაწმინდელი" და სხვ.
სანდონისი
სარგის თმოგველი
სარგონ I, (სარგონ დიდი აქადელი) – აქადის მეფე ძვ.წ. 2369-2314 წწ. სემიტური დინასტიის დამაარსებელი
სარიუკონი – სარგონი, ასურეთის მეფე

სასანიდები – ირანის შაფების დინასტია 224-651 წწ., რომელიც დააარსა არდაშირ I-მა
სეზენი
სეისი არჩიბალდ ჰენრი (1845-1933) – ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე
სემირამიდა – ასირიის დედოფალი ჩვ. წ-მდე მასთან არის დაკავშირებული დამპყრობლური ომები მიდიაში და დაკიდული ბაღების გაშენება ბაბილონში
სეფორი – მეფე რევის ცოლი
სვანიძე
სიდონი
სიმონი ჟულ (ჟიულ)
სინ
სინაქერიბი
სკობოლევი (სკობელევი) მიხეილ დიმიტრის ძე – რუსი გენერალი
სმარაგდოვი – ისტორიკოსი
სმიტი ადამ (1723- 1790) – ინგლისელი ეკონომისტი
სოლონი ჩვ. წ. მდე VII-VI საუკუნეების ათინელი უმაღლესი თანამდებობის პირი (არქონტი), რომელმაც 594 წელს გაატარა რეფორმები თემური გადმონაშთების აღმოსაფხვრელად
სოფოკლი, სოფოკლე – დაახლ. 497-406 ძვ.წ-მდე
სოღაკი
სპენსერი – სოციოლოგი
სპიულერი ეჟენ (1835-1896) – ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, გამბეტას პირადი მდივანი. 1887 წელს იყო კულტურისა და განათლების მინისტრი, 1889-1890 წწ. – საგარეო საქმეთა მინისტრი
სტამბულოვი სტეფანე ნიკოლოზის ძე (1853-1895) – ბულგარეთის სახელმწიფო მოღვაწე, იზრდებოდა რუსეთში. 1875 წ. მონაწილეობდა ბულგარეთის აჯანყებაში თურქეთის წინააღმდეგ. 1886 წ. ხელი შეუწყო პრინც ფერდინანდ კობურგელის ბულგარეთის ტახტზე ასვლაში. მის დროს დაინიშნა მინისტრ-პრეზიდენტად. დესპოტურად მართავდა ქვეყანას. 1894 წელს გაუშვეს თადარიგში. 1895 წელს ქუჩაში მოკლეს შეთქმულებმა
სტეფანე კაროლი – გრაფი

სტრაბონი (ჩვ.წ-მდე I საუკუნე) – ძველბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი, "გეოგრაფიის" ავტორი
სუნდუკიანცი გაბრიელ მკრტიჩის ძე (1825-1912) – სომეხი მწერალი, დრამატურგი

ტ

ტაიროვი ვ. – სოფლის მეურნეობის სპეციალისტი
ტალბოტი – ისტორიკოსი
ტაციტი, ტაციტუსი (დაახლ. 55-116) – რომაელი ისტორიკოსი. მთავარი ნაშრომები ეძღვნება ქალაქ რომსა და რომის იმპერიას
ტეილორი – ანტროპოლოგი
ტიზენჰაუზენი
ტირარი პიერ ემანუელი (1827-1893) – ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე
ტირაცუა ვანუა – იგულისხმება ივანე ხეჩატუროვი
ტისსა კალმან-ბაროსიენე (1830-1902) – უნგრელი სახელმწიფო მოღვაწე. 1875-1890 წლებში უნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრი. მომხრე იყო უნგრულ თავადაზნაურთა და ჰაბსბურგების დინასტიის კავშირისა
ტორკვატო ტასსო
ტრაჩევსკი – ისტორიკოსი
ტროიანე, ტურგენევი ივანე სერგის ძე (1818- 1883)

უ

უასამი – თუბალთა მეფე
უვაროვი ალექსანდრე სერგის ძე (1828-1884) – არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე 1864 წლიდან
ულუსუნ
ური – ურარტუს მეფე
უსლარი პეტრე კარლოს ძე (1816-1875) – პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტი (1868). საფუძველი ჩაუყარა კავკასიური ენების მეცნიერულად შესწავლას

ფ

ფავლენიშვილი თ., სათავადაზნაურო ბანკის ბუღალტერი
ფარნავაზი – ქართლის იბერიის პირველი მეფე. მეფობდა ძვ.წ.IVს. მიწურულსა და IIIს I ნახევარში
ფარშაროტ – (ფრაორტი) სპარსთა მეფის, ქეკაპოს შვილი
ფერდუსი, ფირდოუსი აბულ კასიმ (დაახლ. 940-1020/1030)
ფერი ჟულ (ჟიულ)(1832-1893) – საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ადვოკატი, პუბლიცისტი
ფლოკე შარლ თომას (1828-1896) – ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. აქტიურად მონაწილეობდა ბარიკადულ ბრძოლებში 1848წ. რევოლუციის დროს
ფრანც-იოსები, ფრანც იოზეფ I (1830-1916) – ავსტრიის იმპერატორი ჰაბსბურგ-ლოთარინგელთა გვარისა. უნგრეთის მეფე 1848 წლიდან
ფრიდრიხი, ფრიდრიხ III, ფრიდრიხ-ვილჰელმ-ნიკოლოზ კარლოსი (1831-1888) – პრუსიის მეფე და გერმანიის იმპერატორი, ვილჰელმ I-ის ვაჟი
ფრიმანი ედ. – კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი
ფუკიდიდი, ფუკიდიდე

ქ

ქართველოვი – იხ. კარტველოვი
ქართლოსი
ქავკაია ე.ო.
ქეკაპოსი – სპარსეთის მეფე
ქელბაქიანი მ.ვ.
ქსენოფონტე
ქსერქსი (ქსერქსე) – სპარსეთის მეფე

ყ

ყიფიანი მიხ.

შ

შავთელი (XII ს. ბოლო-XII ს. დასაწყ.), პოეტი-მეხოტბე
შავროვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1826-1899) – ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. 1884-91 წწ. იყო გაზეთ "კავკაზის" მთავარი თანამშრომელი
შამილი – ჩეჩნეთის იმამი
შარვაშიძე
შაქირ ფაშა
შაჰნაზაროვი იოსებ
შექსპირი უილიამ (1564-1616)
შლოსერი ფრიდრიხ კრისტოფი (1776-1861) – გემანელი ისტორიკოსი, "მსოფლიო ისტორიის" ავტორი
შოგრენი ანდრია მიხეილის ძე (1794-1855) – რუსი ფილოლოგი და ლინგვისტი. 1844 წელს გამოსცა ოსური გრამატიკა, ოსურ-რუსული და რუსულ-ოსური ლექსიკონები
შრადერი – ენათმეცნიერი

ჩ

ჩოგორინი მიხეილ ივანეს ძე (1850-1908) – რუსი მოჭადრაკე
ჩიკვაიძე კალისტრატე ნიკოლოზის ძე – ქუთაისის ბანკის თავმჯდომარე
ჩამიშკიანი – სომეხი მსახიობი
ჩინგის (ჩინგიზ) ყაენი

ც

ციციშვილი ალექსანდრე

წ

წერეთელი ს.
წყალტუბელი – გიორგი ნიკოლოზის ძე იოსელიანის (1847-1919) ფსევდონიმია. ქართველი საზოგადო მოღვაწე. პედაგოგი

ხ

ხვილსონი – არქეოლოგი
ხუდადოვი ნიკოლოზ ალექსის ძე (1850-1907) – ექიმი და საზოგადო მოღვაწე

ჯ

ჯაბადარი ივანე სპირიდონის ძე (1852-1913), ქართველი რევოლუციონერ-ხალხოსანი. "ნ.დ." ("Н.Д.") ნარდონი ი. ჯაბადარის ფსევდონიმია.
ჯანდიერი ლევან გიორგის ძე – თიანეთის მაზრის უფროსი
ჯორჯიკია

ჰ

ჰაბსბურგები – მმართველი დინასტია ავსტრიაში. 1282-დან – ჰერცოგები, 1453-დან ერცჰერცოგები, 1804-დან იმპერატორები
ჰერკულესი
ჰეროდოტე (ძვ.წ. V საუკუნე) – ძველი ბერძენი ისტორიკოსი. მისი "ისტორია" სანდო წყაროს წარმოადგენს ბევრი ქვეყნის ისტორიისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველური ტომების, საქართველოს ძველი ისტორიისთვის
ჰეროსტრატე – ქალაქ ეფესოს მკვიდრი ბერძენი, რომელმაც განდიდების მიზნით ძვ. წ. 356-ში დაწვა ეფესოს არტემიდას ტაძარი, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი
ჰინკსი – ისტორიკოსი
ჰოფმანი კარლ (1827-?) – გერმანიის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე
ჰუმბერტი – იტალიის მეფე

ჰუმბოლტი, ჰუმბოლდტი

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აბანო, აბანოს სერი — უღელტეხილი კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე
აბანო-გუდაურ-კაიშაურის მთა
აბანოს ხეობა
აბაშა
აბისინია
ადრიატიკის ზღვა
ავლაბარი — თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი, რიყეს, ჩუღურეთსა და ნავთლუხს შორის
ავსტრალია
ავსტრია
ავსტრი-ვენგრია — ავსტრია-უნგრეთი
ავღანისტანი — ავღანეთი
ავჭალა — თბილისის გარეუბანი, მის ჩრდილოეთით
აზია
ათონი
ალაზანი — მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
ამერიკა (სამხრეთ ამერიკა)
ამიერკავკასია
ანტიოქია
არაბეთი
არაგვი
არაგვის ხეობა
არარატი — ვულკანური მასივი მდინარე არაქსის შუაწელში

არაქსი — არეზი, მდინარე ამიერკავკასიაში, მტკვრის უდიდესი შენაკადი
არგენტინა
არეზი
არზრუმი (ერზერუმი) — ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით
არმაზი
არმენია (დიდი არმენია) — ისტორიული მხარე მდინარე ევფრატის სათავეებთან, შედიოდა სეთების სახელმწიფოში, შემდეგ ძველ სპარსეთში. ჩვ.წ. II საუკუნის დასასრულს იყო დამოუკიდებელი სამეფო
ასურეთი — ძველი სახელმწიფო ერაყის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა ძვ. წელთაღრიცხვით III ათასწლეულში და იარსება ძველი წელთაღრიცხვით VII საუკუნის ბოლომდე
ატლანტის ზღვა — არლანტის ოკეანე
ატრეკი (ათრაკი) — მდინარე ირანში, ერთვის კასპიის ზღვას
აფრიკა
აქსტაფა — მდინარე აზერბაიჯანსა და სომხეთში, მტკვრის მარჯვენა შენაკადი
აღმოსავლეთი
აღმოსავლეთი საქართველო
ახალსოფელი — სოფელი ყვარლის რაიონში
ახალქალაქი
ახალქალაქის მაზრა
ახალციხე
ახალციხის მაზრა — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. მოიცავდა დღევანდელ ახალციხის, ადიგენის და ნაწილობრივ ასპინძის რაიონის ტერიტორიებს

ბ

ბაბილონი — ძველი ქალაქი შუამდინარეთში, ევფრატის სანაპიროზე. დააარსეს შუმერებმა ძვ.წ. III ათასწლეულში
ბავარია

ბათომი, ბათუმი
ბალკანეთი, ბალკანეთის ნახევაკუნძული
ბარდავა
ბაქო
ბელგია
ბელგრადი
ბეჟათუბანი — სოფელი ხარაგაული რაიონში, მდინარე ჩხერიმელის მარჯვენა ნაპირზე
ბერლინი
ბიზანტია
ბოლგარია, ბოლგარეთი, ბულგარეთი
ბოლივია
ბორჩალო — ახლნდელი ქალაქ მარნეულის სახელწოდება. ქვემო ქართლის ისტორიული მხარე. თავდაპირველად მოიცავდა ახლანდელ წალკის, მანგლისის, თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ტერიტორიას, აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე ტერიტორიათა ნაწილს. 1880 წელს თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიქმნა ბორჩალოს მაზრა
ბორჩალოს მაზრა
ბრიუსელი
ბუფფალო — ბუფალო, ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ამერიკაში, ნიუ-იორკის შტატში
ბრაზილია

გ

გერმანია
გვინეია, გვინეა
გლდანი
გლდანის წყალი — მტკვრის მარცხენა შენაკადი
გორი
გორის მაზრა
გუდამაყრის ხეობა — მდებარეობს დუშეთის რაიონში, სადაც მიედინება გუდამაყრის არაგვი ანუ შავი არაგვი
გუდაური
გურია

დ

დაგესტანი, დაღესტანი
დარიალის ხეობა
დარუბანდი, დერბენტი
დასავლეთ საქართველო
დასავლეთ ევროპა
დედოფლისწყარო
დილიჟანი
დუშეთი
დუშეთის მაზრა

ე

ეგეის ზღვა — ეგეოსის ზღვა
ეგვიპტე
ევროპა
ევფრატი
ეკბატანი — მიდიის დედაქალაქი
ელამი — ძველი სახელმწიფო წინა აზიაში წარმოიშვა ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში. იარსება ძვ.წ. IVს-მდე. ამ რეგიონის თანამედროვე სახელწოდებაა სუზისტანი
ელდარი — ელდარის ველი, მდებარეობს მდინარე ივრის ქვემო დინების ნაპირებზე
ელზას-ლორენი — ელზას-ლოთარინგია, გერმანიის "საიმპერიო" მიწა, ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეული, შექმნილი ელზასისა და ლოთარინგიისაგან
ელისაბედის ქუჩა — ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის ქუ-ჩა თბილისში
ერევანი
ეთიოპია

ვ

ვანი — ქალაქი აღმოსავლეთ თურქეთში, ვანის ტბის აღმოსავლეთ ნაპირთან. ძვ.წ. IX-VI საუკუნეებში იყო ურარტუს სახელმწიფოს დედაქალაქი. ძვ.წ. VI საუკუნიდან ცნობილია ვანის სახელწოდებით

ვანის ტბა — გაუდინარი ტბა თურქეთში, სომხეთის მთიანეთში

ვარანცოვის (ვორონცოვის) ხიდი — აიგო 1850-53 წლებში. მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა. ამჟამად საარბრუკენის სახელწოდების ხიდია

ვენა

ვენგრია, უნგრეთი

ვენეტიკა — ვენეტო, ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში, ვენეციის ყურის (ადრიატიკის ზღვა) სანაპიროზე

ვლადიკავკაზი — ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქი

ვოლგა

ზ

ზემო ავჭალა — დასახლება თბილისის ჩრდილოეთ-დასავლეთით. ამჟამად თბილისის ფარგლებშია

თ

თავრიზი

თანჯურეთი, თანჯავური — ქალაქი სამხრეთ ინდოეთში

თარლან-ყუში

თეირანი

თელავი

თელავის მაზრა

თერგი

თიანეთი

თიანეთის მაზრა

თორგომი

ი

იაპონია
იმერეთი
ინგლისი
ინდოეთი
ინსპრუკი
იორი
იტალია
ისპანია, ესპანეთი
ირანი
ირლანდია

კ

კადეში — ქალაქი ასურათში
კავკავი
კავკასია
კარსანი — სოფელი მცხეთის რაიონში
კაპადოკია
კასპიის ზღვა
კასპიის კარი
კამენტი — ადგილი ვლადიკავკაზის მხარეში
კახეთი
კობანი — სოფელი ჩრდილო ოსეთში
კობის ხეობა
კოდმანი — სოფელი ქარელის რაიონში
კოლხიდა
კრიტის კუნძული, კრეტას კუნძული
კავკასია
კაპადოკია
კოლუნბია
კოსტრომა
კოჯორი
კუკია — ძველად სოფელი, აჟამად უბანი თბილისში

ლ

ლონდონი

მ

მანნა — მდებარეობს ვანის ტბასთან
მეცი — ქ. საფრანგეთში, ლოთარინგიაში, მდ. მოზელზე
მთიულეთი
მიდია
მილიდი, მილდისი (არზრუმი)
მოსკოვი
მცხეთა
მუსასირი — მდებარეობს ვანის ჩრდილოეთით
მუხათგვერდი — სოფელი მცხეთის რაიონში
მტკვარი
მუშტაიდი

ნ

ნავთლუხი — ნავთლუღი, ვახუშტის მიხედვით — ნავთლუხი — სადაც "დის ნავთი" ("აღწერა", 54). XVIII ს. II ნახ. სოფელი ყოფილა. თბილისის ნაწილი გახდა XIX ს. დამდეგს. ამჟამად თბილისის ერთ-ერთი უბანია
ნაირი — მხარე ტიგროსის და ევფრატის სათავესთან
ნინევია — ასურეთის დედაქალაქი 7-8 სს-ის დასასრულს
ნიდერლანდია, ნიდერლანდები
ნიცცა

ო

ომალი
ორიოლი
ორლეანი
ორონთა — მდინარე ასურეთში
ოსმალეთი

პ

პალესტინა
პარაგვაი
პარიჟი, პარიზი
პენსილვანია — შტატი ჩრდილო-აღმოსავლეთ ამერიკაში
პერსეპოლი — სპარსეთის დედაქალაქი
პერუ
პეტერბურგი
პოლინეზია
პონტო — სამეფო მცირე აზიაში ძვ.წ. 302-64. ძირითადად მოსახლეობას კაპადოკიელები შეადგენდნენ
პორტუგალია
პრუსია

ჟ

ჟინვანი, ჟინვალი — სოფელი დუშეთის რ-ში

რ

რიონი
რიო-დე-ჟანეირო
რიყე — სოფელი ზუგდიდის რაიონში
რომანინის ტბა — მდებარეობს ბაქოში
რომი
რუსეთი
რუმინია, რუმინეთი
რუმელია — თურქ-ოსმალების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ იმ პროვინციის თურქული სახელწოდება, რომელიც მოიცავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებს. ბერლინის 1878 წლის ტრაქტატით, ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში დარჩენილ ბულგარეთის სამხრეთ ნაწილს ეწოდა აღმოსავლეთი რუმელია. ზოგჯერ რუმელიას უწოდებენ თურქეთის ევროპულ ნაწილს (აღმოსავლეთი თრაკია)

ს

საბერძნეთი
სამეგრელო
სამთავრო
საპიორის ქუჩა
სართიჭალა
საფრანგეთი
საქართველო
სერბია
სიდონის ბატონობის დასასრულად სირია
სირიის ზღვა
სიღნაღი
სიღნაღის მაზრა
სიცილია
სკანდინავია
სმოლენსკი
სნოს ხეობა — ყაზბეგის რაიონში
სოლოლაკი
სომხეთი
სომხითი — შუა საუკუნეების სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოების (ისტ. გაჩიანის და გარდაბნის ტერიტორია) სახელწოდება
სოხუმი
სპარსეთი
სტამბოლი
სტეფანწმინდა
სურამი

ტ

ტიგროსი — მდინარე
ტფილისი (тифлис)
ტფილსის გუბერნია
ტროა
ტური — ქალაქი საფრანგეთში

უ

ურარტი, არარტი – მტკვრის და არეზის შუა მდებარე ტერიტორია
ურუგვაი

ფ

ფილადელფია
ფინიკია
ფრიგია
ფრიდრიხსრუე – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიაში

ქ

ქალდეა (ქალდუ)
ქართლ-კახეთი
ქუთაისი
ქართლი

ღ

ღლიღვეთი – ადგილი, სადაც ცხოვრობდა დაღესტნის მთიელთა ერთ-ერთი ტომი

ყ

ყაბახი – თბილისის ამ ნაწილს ადრე გარეთუბანი ერქვა, შემდგომში მას სახელები ეცვლებოდა: "ასპარეზი", "სალაღობო", "ალექსანდრეს ბაღი", "კომუნარების ბაღი". ამჟამად ,ას 9 აპრილის ბაღი ეწოდება
ყაზანი

ყაზბეგი
ყარაბაღი
ყარაიასი – ყარაია, შემდეგ გაჩიანი, ამჟამად გარდაბანი
ყარსი
ყვირილა – ამჟამინდელი ქალაქი ზესტაფონი მდინარე ყვირილაზე
ყუბანი

შ

შავი ზღვა
შამხორი
შანქორი
შვეიცარია
შირიქი
შორაპანი

ჩ

ჩინეთი

ც

ციმბირი

ძ

ძეგამი
ძაუჯი-ყაუ – კავკავი

წ

წალკა

წინამძღვრიანთკარი
წიწამური

ხ

ხალეპი (ხალები) – დღევანდელი ალეპო, ქალაქი სირიაში
ხმელთაშუა ზღვა

ჯ

ჯეირანჩელი

ჰ

ჰეირათი, ჰერათი – ქალაქი ჩრდ.-დას. ავღანეთში

თემატური საძიებელი

პოლიტიკა, სახელმწიფო წყობა

ავსტრია-ბულგარეთის ურთიერთობა
ავსტრია-გერმანიის ურთიერთობა
ავსტრია-ოსმალეთის ურთიერთობა
ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობა ბულგარეთთან
ავსტრიის, გერმანიისა და იტალიის ურთიერთობა
ავსტრიის ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება
ბულანჟეს გაქცევა საფრანგეთიდან
ბულანჟეს პოლიტიკა საფრანგეთში
ბულგარეთის საშინაო პოლიტიკა
ბულგარეთის ურთიერთობა ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიასთან
ბულგარეთ-ოსმალეთის ურთიერთობა
ბისმარკის გადადგომა
ბისმარკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა
გერმანია-ავსტრიის ურთიერთობა
გერმანია-ავსტრიის დამოკიდებულება ბულგარეთთან
გერმანია-იტალიის ურთიერთობა
გერმანია მარჯვე შემთხვევის მოლოდინში
გერმანია-ოსმალეთის ურთიერთობა
გერმანია-რუსეთის ურთიერთობა
გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა
გერმანიის დამოკიდებულება საფრანგეთისა და რუსეთისადმი
გერმანიის იმპერატორის ვიზიტი ევროპაში
გერმანიის მოუსვენარი პოლიტიკა

გერმანიის ურთიერთობა იტალიასა და საფრანგეთთან
გლადსტონის ლიბერალთა დასი
დაძაბულობა ევროპაში
ევროპის ქვეყნების მზადება ომისთვის
ევროპის ქვეყნების განწყობა გერმანიისადმი
ევროპის შეიარაღება
ვითარება ბრაზილიაში
ვილჰელმ II-ის გადაწყვეტილება ევროპის ქვეყნების ერთობლივი კონფერენციის მოწყობის თაობაზე
ვილჰელმ II-ისა და ბისმარკის ურთიერთობა
ინგლის-ბულგარეთის ურთიერთობა
ინგლისის გადამწყვეტი როლი მოსალოდნელ დაპირისპირებაში
ინგლისის დამოკიდებულება საფრანგეთისადმი
ინგლის-ირლანდიის ურთიერთობა
ინგლისი, იტალია, ოსმალეთი და რუსეთი ავსტრო-უნგრეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ
ინგლისის სურვილი, დაუახლოვდეს საფრანგეთს
ინგლისისა და საფრანგეთის პირველი პირების შესაძლებელი შეხვედრა ნიცაში
ინგლის-პორტუგალიის ურთიერთობა
იტალია-ესპანეთის დამოკიდებულება საფრანგეთისადმი
იტალია-საფრანგეთის ურთიერთობა
იტალიის, ავსტრიისა და გერმანიის ურთიერთობა
იტალიის, გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთობა
კრეტა-ოსმალეტის ურთიერთობა
მილიტარიზმი ევროპაში
მინისტრების ცვლა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში
მონარქისტები საფრანგეთში
ორლეანის პრინცის მომხრენი საფრანგეთში
ოსმალეთ-ბულგარეთის ურთიერთობა
ოსმალეთ-გერმანიის ურთიერთობა
პოლიტიკური ვითარება საფრანგეთში
პოლიტიკურ ლიდერთა იდუმალი გარდაცვალება
ჟურნალ-გაზეთთა პოზიცია გერმანიის შიდა პოლიტიკურ ბრძოლებში
რუსეთის ინტერესები უნგრეთში
"სამთა კავშირი"
"სამთა კავშირში" ოსმალეთის ჩაბმის გეგმები

საფრანგეთის ნაციონალური რესპუბლიკა
საფრანგეთის პალატის არჩევნები
საფრანგეთის პარლამენტური რესპუბლიკა
საფრანგეთის რესპუბლიკელები
საფრანგეთის საშინაო პოლიტიკა
საყოველთაო სამხედრო ბეგარის შესახებ
სარბია-ავსტრიის ურთიერთდამოკიდებულება
სოციალ-დემოკრატების დევნა ბისმარკის მიერ
სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ ბრძოლაში ვილჰელმ II-ის ჩაურევლობა
სხვადასხვა დაჯგუფებები
უნგრეთის საშინაო პოლიტიკა
ხაზარების და ქართველთა ურთიერთობა

ეკონომიკა, ვაჭრობა

ბათუმის მიწათმფლობელობის საქმე
ბათუმის საადგილმამულო კომისია
ბანკის თანამშრომელთა შორის ანაზღაურება
ბანკის მიერ მამულის დაფასება
ბანკის მიერ მამულის დაფასება რუსეთში
ბანკის საადგილმამულო კრედიტი
ბანკის შეღავათიანი კრედიტი თავადაზნაურთათვის
გირაოდ აღებული მამულის გაყიდვა
დაფასებისას ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინება
მამულების გამიჯვნა
მამულების გამიჯვნის გაჭიანურების მიზეზები
მოკლევადიანი კრედიტები გლეხებისათვის რუსათსა და საქართველოში
მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ
საადგილმამულო ბანკი
საადგილმამულო გადასახადის გაწერის კომიტეტი
საადგილმამულო გადასახადის თაობაზე გამართული კრება
საადგილმამულო გადასახადის სქემა
საგლეხო ბანკი
საგლეხო ბანკის ექვსთვიანი შეღავათი
სახელმწიფო ქონების გამგებელთა დავები
სახელმწიფო ხარჯებისგან გათავისუფლება

სესხის აღების ფორმალობები
სესხის გაცემის გაჭიანურება
ქალაქის საკრედიტო საზოგადოების საქმიანობა
მამულის დაფასების საჭიროება სესხის ასაღებად
მამულის ნორმალური დაფასება
მამულის სპეციალური დაფასება
მინისტრთა კომიტეტის დადგენილება მიწის თაობაზე
მორიგების პირობა
მწარმოებალთა და მუშტართა საზოგადოება
ნავთის მოპოვება კავკასიაში
ნასყიდობის წერილი
ოსმალეთის მთავრობის სიგელები მიწის მფლობელობაზე
სათავადაზნაურო ბანკი
სათავადაზნაურო ბანკის გადაწყვეტილება
სასაქონლო ბაზარი და ვაჭრობა
სახელმწიფო ბანკები
სოფლის საზოგადოების განაჩენის ბანკში წარდგენა
ქართული ქალაქების ყოფა
ქართული ქალაქების ხარჯები
ქუთაისის ბანკის საქმიანობა
შესატანის დაგვიანებისას ჯარიმის დაწესება
შესატანის დაგვიანებისას საპატიო მიზეზები

სოფლის მეურნეობა

ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ
გლეხთა გადასახადების შესახებ
ვაზებს შორის დასარგავი მცენარის შერჩევა
ვაზის დაავადება
ვაზის მოვლა-პატრონობა
მორწყვის პერსპექტივები
მოსავლის გასაღების პრობლემები
მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში
რწყვის ტრადიციები საქართველოში
საქონლის ჭირი
ქართული სოფლის მდგომარეობა

ერი, ისტორია, რელიგია

ანთროპოლოგიური მონაცემები საქართველოზე
არგონავტები
ასურეთი და საქართველო
დავით აღმაშენებლის ეპოქა
ერის დაბერების თეორია
ეგვიპტელთა კავკასიაში ყოფნის შესახებ
ეკლესიების შემოსავალ-გასავალი
ეროვნული ინდიფერენტიზმი
ეროვნებათა აღრევა
ვახტანგ გორგასლის ეპოქა
ზღვისპირეთში რუსების განსახლების შესახებ
თავისუფალი ყაზახების შესახებ
თამარის ეპოქა
თანამედროვე ცივილიზაცია და და ერის ცხოვრება
ისტორიის არსი
ისტორიის კვლევის შედარებითი მეთოდი
ისტორიის კვლევა ენაზე დაკვირვებით
ისტორიის სპარსული წყაროები
ისტორიული მასალები
ისტორიული ცნობების არასწორი ინტერპრეტაცია
ლურსმული დამწერლობა
მსოფლიოს უძველესი ისტორია
მოსე წინასწარმეტყველის შესახებ
ზოროასტრიზმი
კერპთმსახურები
რელიგიური დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისად-მი
რელიგიური შემწყნარებლობა საფრანგეთში
რწმენისადმი დამოკიდებულება თამარის ეპოქის საქართველოში
სამთავროს სამარხი
საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა
საქართველოს მატიანე
სხვადასხვა სარწმუნოებებზე
ტაძრების მშენებლობა
უძველესი ქართული წარწერები
უძველესი წყაროები საქართველს შესახებ
ფარნავაზის ეპოქა

ქართველთა უძველესი ტომების რწმენა
ქართველთა წარმომავლობა
"ქართლის ცხოვრების" შესახებ
შედარებითი მითოლოგია
ცეცხლთაყვანისცემა
ცრურწმენები
ხაზარები საქართველოში

განათლება, მეცნიერება, ლიტერატურა

ადამიანის ღირსების დაცვა ლიტერატურის მიერ
განათლების რეფორმა სპარსეთში
განათლების საკითხი რუსეთში
განათლების შესახებ აზიაში
კრიტიკის არსი
რუსეთის ახალგაზრდების განათლების შესახებ
საქართველოს წარსულზე და მის ლიტერატურაზე
სწავლა-აღზრდის შესახებ ლონდონის ყრუ-მუნჯთა სასწავლებელში
ფიზიკური წვრთნა სკოლებში
ქალთა განათლების შესახებ
ლიტერატურული კრიტიკა
შედარებითი ფილოლოგია

ენა, კულტურა, ზნეობა

ადამიანის ღირსება ინგლისში
ანბანის მნიშვნელობა
დიფთონგების შესახებ ენაში
ენათა ნათესაობა
ენის წარმატება და ანბანი
კავკასიაში ახალი ანბანის შემოღების თაობაზე
მწიგნობრობა და ენის განვითარება
საზოგადოების დაუნდობლობა
საისტორიო მუზეუმის დაარსება
ქართულ ანბანზე
ქართული და სომხური ენების ურთიერთმიმართება

ქართული ენის რაგვარობა
ქართული ენის ღირსებები
ცოდვა-მადლი

მედიცინა, სამართალი

ავადმყოფთა მკურნალობის თაობაზე
დანაშაული და სასჯელი
ექიმთა კოლეგიალობა
პროცესი მკურნალთა შორის
საქონლის ქურდობა
უკანონოდ შობილთა შესახებ

თბილისი

თბილისის იერსახე
თბილისის წყალი
თბილისში ჩვეულებათა ცვლა
სანიტარული მდგომარეობა თბილისში

სხვადასხვა

საახალწლო მილოცვები

ლიტერატურული ნაწარმოებები და პერსონაჟები

“ვეფხისტყაოსანი”, “Барсова кожа” –

“Писмо о грузии” – ივ. ჯაბადარის მიერ 1889წ. თებერვალ-მარტის ჟურნალ “Северный Вестник”-ში გამოქვეყნებული წერილები

“ქართლის ცხოვრება”

“ქილილა და დამანა”

“შაჰნამე”

ვლადიმირი (“კრასნოე სოლნიშკო”) – ვლადიმირ I (?-1015) ნოვგოროდის თავადი 965წ-დან, კიევისა – 980-დან. 988წ. სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა ქრისტიანობა. რუსულ ბილინებში მას უწოდებენ “კრასნოე სოლნიშკოს” (“ლამაზი მზე”)

კრუშჩინსკი, კრეჩინსკი – რუსი მწერლის ა.ვ. სუხოვო-კობილინის (1817-1903), ცნობილი კომედია-ტრილოგიის “კრეჩინსკის ქორწინების” ერთ-ერთი პერსონაჟი

მანასე

სოლაკი

ჰამლეტი – შექსპირის ტრაგედია “ჰამლეტის” პერსონაჟი

თადეოზი – ილია ჭავჭავაძის წერილების: "წერილები სხვადასხვა რა გინდა-რაზე" და "წერილი მეგობართან" პერსონაჟი.

მეცნიერული ლიტერატურა

ბაქრაძე დ. "პროფესორი ბატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები"

გატტერიასი – "ლინგვისტური ეტიუდი ქართულის ენის შესახებ" 1881წ.

გატტერიასი – "სომხეთი (არმენია) და სომხები", 1882

ლებბოკი – "დასაწყისი ცივილიზაციისა"

სპენსერი – "საფუძველნი სოციოლოგიისა"

ოვტაკ – "ლინგვისტიკა"

ზაიცევი – "История Востока"

Трачевиат "Древная история "

Взглиад на Мцхетский могилънис, Труди императорского археологического общества, т.Х

Труди IV археологического съезда в россии, Т.I

"**Всеобщая история литературы",**Т.I

ხვოლსონი "Надгробная надписъ из Мцхета"

პერიოდული გამოცემები

"თეატრი" – ყოველკვირეული სამხატვრო-ლიტერატურული გაზეთი, პირველი თეატრალური ბეჭდვითი ორგანო (1885-1891). დამაარსებელი, გამომცემელი და პირველი რედაქტორი იყო მსახიობი ვასო აბაშიძე

"ივერია" ("Иверия") – ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში

(1877-1906). მისი დამაარსებელი და რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე

“Tempo”

“Кавказ” ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა (1846-1918) თბილისში რუსულ ენაზე

“Capital”

“მეურნე” – ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი, გამოდიოდა 1888-1898წ.წ. თბილისსა და ქუთაისში

“Morning Post”

“Московские Ведомости” – უძველესი რუსული გაზეთი (1756-1917). 1863 წლიდან რეაქციულია (რედ. მ. კატკოვი და პ. ლეონტიევი)

“Новое Обозрение” – ყოველდღიური რუსული გაზეთი (1884-1906), გამოდიოდა თბილისსი. 1887-1891 წ.წ. გაზეთის გამოცემას სათავეში ედგა ნ. ნიკოლაძე

“National Zeitung”

“Neue Freie Presse”

“Русские Ведомости” – ყოველდღიური გაზეთი (1863-1918), გამოდიოდა მოსკოვში

“Русская мыслъ” – ყოველთვიური ლიტერატურულ მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი (1880-1918), გამოდიოდა მოსკოვში

“Riforma”

“საქართველოს მოამბე” – საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი, “თერგდალეულების” ორგანო, გამოდიოდა 1863წ. თბილისში, რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე სულ 12 ნომერი გამოვიდა

“Северный Вестник” – ლიტერატურულ-მეცნიერული, ყოველთვიური ჟურნალი (1885-1898), გამოდიოდა პეტერბურგში. იყო ნაროდნიკული მიმართულების

“Standart”

“Селъское хозяйство”

“Тифлисский листок” – რუსული ყოველდღიური გაზეთი (1886-1919), გამოდიოდა თბილისში
“Times” – ინგლ. გაზეთი
“Journa”/ de Geneva
“Journa”/ de St. Petersbourg
“Journa”/ des Debats
Shvarz gelbi – ვენის დამოუკიდებელი გაზეთი

რა გავაკეთეთ ბათუმში?

25 აგვისტოს 1878 წელს რუსის ჯარმა პირველად შესდგა ფეხი ბათუმში; მაშასადამე ახლა სწორეთ ერთი წელიწადი და ნახევარია მას აქეთ, რაც ბათუმის მაზრაში დამყარებულია ჩვენი მმართებლობა; წელიწადნახევარია, რაც ეს ძველი ნაწილი საქართველოისა ისევ დაუბრუნდა თავის დედა-ხალხს და გამამადიანებული ქართველები ხელახლად დაუძმობილდნენ თავის ქრისტიან მოძმეებსა.

ყველას ახსოვს ის აღტაცება, ის სიხარული და კმაყოფილება, რომელიც ამ გარემოებამ, ამ დაკარგულ ძმების პოვნამ აღძრა მაშინ ჩვენში. ყველას ახსოვს ის მართლა ძმური სიყვარული, რომელიც წარჩინებულმა ქართველებმა გამოუცხადეს იმ დროს დეპუტაციათ ჩამოსულ რამდენსამე ბათუმელებს და ქობულეთლებს, როდესაც ერთს აქაურს კლუბში სადილი გაუმართეს მაშინ, როდესაც ტკბილ სიტყვებსა და საიმედო ნუგეშებს სამზღვარი არა ჰქონდა; მოხუცებულებიც კი თამაშობდნენ, ხტოდნენ მომეტებულის კმაყოფილებისაგან.

ყველას ანუგეშებდა მაშინ ის ტკილი იმედი, რომ ჩვენ ვიპოვნეთ დიდი ხნით უსამართლო ბედისაგან მოტაცებული ძმები და შემდეგში ისევ ერთად, ძმურად და მოყვრულად ვიცხოვრებთო; ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს შეერთება იმათთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც, იმათაც გამოაღვიძებს და ჩვენც, იმათაც დაანახებს თავის ვინაობასა და ჩვენც,

იმათაც განუახლებს ძველ ქართველობის სულსა და მხნეობასა და ჩვენც და სხვ.

გავიდა ხანი. განქრა პირველი აღტაცება. დიდი უბედურება, ბევრი გაჭირება, შიმშილი, წყურვილი, სიტიტვლე, სიცივე გამოსცადეს იმთავითვე ჩვენმა მოძმეებმა. ბევრმა იმათგანმა, მიატოვა თავის მამა-პაპეული ადგილმამული, მიწა-წყალი; ბევრი გადაიხ-ვეწნენ ოსმალეთში.

და ჩვენ, იმათი მოძმეები, რას ვშვრებოდით ამ დროს? რითი დაუმტკიცეთ, რომ ჩვენ მართლა ნამდ-ვილი ძმები, ერთი მიწის-შვილნი, ერთ-სისხლნი ვართ იმათი? ბევრით არაფრით, თუ იმას არ ჩავაგდებთ სათვალავში, რომ მთელს ქართველობაში რაღაც ორასიოდ თუმანი მოვკრიბეთ ხელისმოწერით იმათ სასარგებლოდ, პირველი აღტაცების შემდეგ ჩვენ დაგვავიწყდა ყოველი ღვთიური და კაცობრიული მო-ვალეობა ჩვენი მოძმეების წინაშე. დაგვავიწყდა, რომ ახალნაპოვნ ძმას მოვლა, პატრონობა, გზის ჩვენება, ჩვენი თავის გაცნობა და შეყვარება უნდა. დაგვავიწყ-და, რომ ასე მიტოვება იმათი განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ყოველის მხრით მოდიან იმათთან და ეჩურჩულებიან, უქადაგებენ — გადმოდით ოსმალეთ-შიო, გადმოსახლდითო, აქ დარჩენა და ცხოვრება თქვენ ხელს არ მოგცემთო, დაგვავიწყდა-მეთქი, რომ ამ დროს მიტოვება ამ ხალხისა ჩვენის მხრით დიდი წინდაუხედაობა იყო, დიდი შეცოდება და დაბრკოლე-ბა.

ერთი სიტყვით, ჩვენ დავივიწყეთ ყოველი ნაციო-ნალური მოვალეობა იმათ შესახებ.

მეორეს მხრით, საუბედუროთ, ვერც პირველმა გამგეობამ და პირველმა იქ დაყენებულ ჩინოვნიკებმა დაიმსახურეს ადგილობრივ ხალხის თანაგრძნობა და სიყვარული თავის მოქმედებითა, გამგეობითა და ხალ-ხის მოპყრობითა. იქაური ჩვენი მმართებლობის წარ-მომადგენელი პირები ერთობ ჩინოვნიკები გამოდგნენ (ყველაზე არ მოგახსენებთ), ერთობ ვიწროთ აღმ-

სრულებელნი თავიანთ ოფიციალურ თანამდებობისა, ერთობ ჩინოვნიკურად მყურებელი ხალხისა და იმის ბედისა; ამათთვის საკმაო იყო და არის, თავის პირდაპირი ჩინოვნიკური მოვალეობა შეასრულონ, მოწერ-მოწერა იქონიონ თავის უფროსებთან და ხალხთან მძიმედ, მედიდურად დაიჭირონ თავი. თითქმის არც ერთი ნაბიჯი არ ნახულა ჯერ ამათგან ისეთი, რომელშიაც ჩნდეს, რომ მართლა ამ დაჩაგრულ ხალხისათვის გული შესტკივათ, რომ ისინი ზრუნვენ ხალხის სიკეთესა და კეთილდღეობისათვის.

ამ ერთის წლისა და ნახევრის განმავლობაში რა გავაკეთეთ სამამადიანო საქართველოში? ღა საშუალება ვიხმარეთ შიმშილისაგან მამაკვდავ ხალხის შესაწევნელად? მთავრობამ დაურიგა ხალხს სესხად რამდენიმე ათასი ფუთი სიმინდი, — მხოლოთ.

გავმართეთ ჩვენ ბათუმის მაზრაში ერთი სახალხო შკოლა მაინც? — არა.

გავიყვანეთ სასოფლო გზები? — არა.

გავამშვენიერეთ, გავასუფთავეთ ქალაქები: ბათუმი, ართვინი, ქობულეთი და სხვ.? — არა.

აღმოუჩინეთ ცხოვრების წყარო ათასს დამშეულს, ომისაგან დაღუპულს, მტერ-მოყვრისაგან დაჩაგულს? — არა.

წესიერება შემოვიღეთ ადგილობრივ აღებ-მიცემობაში? — არა.

დავეხმარეთ რომელსამე წარმოებას? — არა.

ერთის სიტყვით, თითქმის არცერთის ფაქტით, არცერთის სახსრით და ჩვენის მოქმედებით ჯერ არ დაგვიმტკიცებია ამ ხალხისათვის, რომ ჩვენ ამათთვის სიკეთე და ბედნიერება გვსურს, რომ ჩვენ ნამდვილ ძმებად მიგვაჩნია იგინი და ვზრუნავთ იმათთვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

<საგლეხო ბანკის საკითხისათვის> 8
<მილიტარობა ევროპაში> 20
ა მ ბ ა ვ ი ყბადასაღები და წყალწასაღები..... 23
<ბულანჟე ამოირჩია პარიჟმა>..... 39
<რა არის სიმდიდრე ერისა?>..... 43
<„სამთა კავშირს“ ფესვები აწყდება > 47
<ავსტრი-ვენგრიის ტახტის მემკვიდრის გარდაცვალება>..... 51
<ომრესა და პირადობა> 55
<მამულების გამიჯვნა> 61
<ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება>..... 65
<მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში> 71
<საადგილმამულო გადასახადის გაწერის კომიტეტის დადგენილება ტფილისის გუბერნიაში> 75
<ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ> 78
<პროცესი მკურნალთა შორის>..... 82
<საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო>..... 86
<„სამთა კავშირის“ ბატონობის დასუსტება ევროპაში>..... 89
<გლეხკაცთა უნუგეშო ყოფა-ცხოვრება>..... 94
<ტფილისში ჯანმრთელობისა და სანიტარული საქმის ვითარება>..... 99
<ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო> 102
<ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი>..... 107
<ყაზახის აშინოვის ამბავი> 110
<ქალთა სასწავლებელი>..... 113
<ბულანჟეს ხმაური საფრანგეთში> 117
<კრება საადგილმამულო გადასახადის გაწერის თაობაზე> 120
<ბათომის მიწათმფლობელობის საქმე> 124
<საკუთრების საქმე ბათომში> 127
<მორწყვის საქმე წინათ და ახლა> 134
აი ისტორია 138
დამატება წერილებისა..... 272
წ ე რ ი ლ ე ბ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა..... 283
გზადაგზა და სხვათაშორის..... 293
სახელდახელო..... 305
<ევროპაში ყველას ხელი ხმლის ვადაზე უჭირავს>..... 311
<ნავთის საქმის მომავალი კავკასიაში>..... 316
<სახელმწიფო ბანკის გამართვა თავადაზნაურთათვის>..... 321
<უყურადღებობა ვარჯიშის მიმართ ეხლანდელ სკოლებში> 325
<ფილოქსერა> 329
<სახელმწიფო ბანკის შეღავათიანი კრედიტი თავადაზნაურთათვის>.. 332
<ევროპა გაყოფილია ორ ბანაკად>..... 335
<ისევ განათლების საკითხებზე> 338
<რუსეთის იმპერატორის ვიზიტი გერმანიაში> 347
<არეულობა იტალიასა და საფრანგეთს შორის>..... 351
<გერმანიის იმპერატორის ვიზიტი სტამბოლში>..... 354
<არეულობა კრეტას კუნძულზე> 357

<გაურკვევლობა დღევანდელ პოლიტიკაში> 360
<„Новое Обозрение“-ს წერილის გამო> 363
<მმართველობის შეცვლა ბრაზილიაში> 382
<ავსტრიის საქმეები ბალკანეთში> 387
<საფრანგეთის ახალი პარლამენტი და იმპერატორ ვილჰელმ II
სტამბოლში ვიზიტის ნაყოფი> 391
<უნაღვლოდ ყოფნა, როცა გარს ამდენი სანაღვლელია> 395
<სამართალი და ზღვევა> 398
<პასუხი კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებას პეტერბურგიდან> .. 400
<„სამთა კავშირის“ მოსალოდნელი დასასრული> 403
<აზია წინათ და ეხლა> 408
<დღევანდელი სპარსეთი> 412
წიგნი გადადმიდგან 418
<სწავლების წესი რუსეთის გიმნაზიებში> 427
<ვაზის სნეულებანი> 430
<საახალწლო მილოცვები> 436
<ევროპის პოლიტიკა ახალი წლისთვის> 439
<გერმანიის ინტერესი ბულგარეთისადმი> 444
<სასწავლო პროგრამების შეცვლის აუცილებლობა რუსეთში> 448
<ევროპის ხარბი ხელი საყოველთაო საქმეებში> 451
<საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ჟურნალ-გაზეთების თვალით> 456
<ევროპის დიდი და პატარა ონავრები> 459
<საგლეხო გამსესხებელ-შემნახველი საზოგადოებანი და მოკლევადიანი
კრედიტის საკითხი გლეხობისათვის> 464
<ახალგაზრდა იმპერატორ ვილჰელმის დაინტერესება მუშა ხალხის
ბედით> 472
<გერმანიის საშინაო პოლიტიკა> 477
<ყრუ-მუნჯთა სასწავლებელი ლონდონში> 482
<ეკლესიების შემოსავალ-გასავლის საქმე> 486
<მოსალოდნელი საყოველთაო აღწერა რუსეთის იმპერიაში> 489
<ახალი კანონპროექტი „უკანონოდ“ შობილთათვის> 491
<სოფლად ხარჯის მოკრების და მისი შენახვის ნაკლი> 495
<მუშა ხალხის საქმე გერმანიაში> 500
<კალიასთან ბრძოლის აუცილებლობა> 505
<მკურნალის მოქალაქეობრივი მოვალეობა> 509
ტრაგედია მცხეთაში 513
<ხმაური საკრედიტო საზოგადოებაში> 516
<ხუთსარგებლიანი გირავნობის ფურცლის შემოღების აუცილებლობა>
..... 522
<ბანკის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების შესახებ> 529
<ჩვენი ქალაქების სამწუხარო მდგომარეობა> 542
<ბისმარკის გადადგომა> 545
<უთანხმოება იმპერატორ ვილჰელმ II და ბისმარკს შორის> 549
<ვენახების წამლობის შესახებ> 554
<შიანური აშლილობა გერმანიაში> 557
<ბანკის საადგილმამულო კრედიტის გამო> 561
<ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა> 564
<ევროპა პოლიტიკური ცვლილებების მოლოდინში> 569

..... 573
<კანონმდებლობა კერძო ვექილობის წინააღმდეგ>..... 573
ქუთაისის ბანკის საქმე..... 577
წერილი მეგობართან.....621
<ქუთაისის ბანკის საქმეთა გამო> 630
ტექსტისათვის 637
შენიშვნები და კომენტარები..... 641
საძიებლები 695
სახელთა ანოტირებული საძიებელი 695
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 713
თემატური საძიებელი 725
სხვადასხვა 732
საახალწლო მილოცვები..... 732
ლიტერატურული ნაწარმოებები და პერსონაჟები..... 732
მეცნიერული ლიტერატურა 733
პერიოდული გამოცემები 733
რა გავაკეთეთ ბათუმში? 735
სარჩევი.....741